

# ქართული ენის

## ტარაშკირი

## ფონოლოგია

მამია ფაღავეა  
ქმეზი ცინცაძე  
მანია ბარამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართველოლოგიის ცენტრი

მამია ფალავა, ჭმერი ცინცაძე, მამია ბარამიძე

ქართული ენის ტაოური  
დიალექტი  
(გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი)

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2024



**Batumi Shota Rustaveli State University**  
**Faculty of Humanities**  
**Centre for Kartvelian Studies**

**Mamia Paghava, †Meri Tsintsadze, Maia  
Baramidze**

# **A Tao Dialect of the Georgian Language**

**„Meridiani” Publishers**  
**Tbilisi 2024**

გამოკვლევა ეძღვნება ქართული ენის ტაოურ დიალექტს, რომელიც ისტორიულ ტაოშია გავრცელებული, კერძოდ, ელიასხევის ხეობის (იუსუფელის რაიონი) რამდენიმე ქართულად მოლაპარაკე სოფელში, ჩვერელიში (რომლის ერთ უბანში, გივითში ქვაბაგიდან გადმოსახლებულები დასახლებულან) და ბინათში - კლარჯეთისა და ტაოს მოსაზღვრე სოფელში. აღვნიშნავთ, რომ ერთ დროს ვრცელი ქართული ქვეყნის მკვიდრთა მეტყველებიდან „ნამსხვრევებიდა“ გადარჩენილა. მიუხედავად ამისა, ავტორები ცდილობენ, აღადგინონ დიალექტის ლინგვისტური პორტრეტი...

წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება:

პირველ ნაწილში განხილულია ტაოურის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი;

მეორე ნაწილში - ტაოს ონომასტიკა.

მესამე ნაწილში შეტანილია ტაოური დიალექტის მასალები (ლექსიკონითურთ).

მონოგრაფია განკუთვნილია ქართული დიალექტოლოგიით, ისტორიული გეოგრაფიით, ეთნოლოგიით, ფოლკლორით, ზოგადად, ჭოროხის აუზით დაინტერესებული მკვლევრებისათვის, სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

მამია ფალავას საერთო რედაქციით.

რეცენზენტები: პროფესორი ზაზა შაშიკაძე,  
ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარტენაძე.

პირველი გამოცემა

© მამია ფალავა, ქმერი ცინცაძე, მათა ბარამიძე, 2024

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-532-6

## შესავალი

ტაოური ერთ-ერთი სამხრული კილოა და აჭარულთან, შავშურთან და კლარჯულთან ერთად ქმნის ქართული ენის სამხრულ დიალექტთა ჯგუფს, რომელსაც სამხრულ მეტყველებასაც ვუწოდებთ. სპეციალურ ლიტერატურაში ტაოური კილოს აღსანიშნავად გვხვდება სხვა ტერმინიც - ტაოს ქართული (იხ. **ფუტკარაძე, 1993; 1995:30; 2016:273**). ლინგვისტურ ქართველოლოგიაში უფრო ტაოური დიალექტი//ტაოური კილო მკვიდრდება (იხ. **გოგოლაშვილი, 2018:209-217; ფაღავა, 2004; ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:174** და შემდეგ; **ფაღავა, 2015...**).

ტაო ვრცელი ისტორიული ქართული ქვეყანაა, გაშენებული ჭოროხის ხეობის შუა წელში. მას სამხრეთით სპერი ესაზღვრება, ჩრდილოეთით - კლარჯეთი, ორი ისტორიული ქართული ქვეყანა. ძველი წყაროებით ტაო ორ ნაწილად იყოფოდა - ამიერტაო და იმიერტაო. ძველად ტაოს ქვეყანა დასახლებული იყო ქართული ტომით - ტაოელებით (ისტორიული წყაროებით - ტაოხები...), რომელთა შთამომავლების მეტყველებაა ტაოური დიალექტი. ტაოს ქვეყანაში ჩანს სხვა ეთნიკურ ჯგუფთა - სომხების, ბერძნების, თურქების ნაკვალიც. აღვნიშნავთ, რომ ოდესღაც ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტის ნაშთებიღა გადარჩენილა ამიერტაოს რამდენიმე მცირე სოფელში, რომელიც თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით სამ სამამასახლისოში, სამუხტროშია გაერთიანებული. ქართული მეტყველება ისმის ასევე ჩევრელში (რომლის ერთი უბანი - გივითი ქუაბაგიდან გადმოსახლებულებითაა დასახლებული) და ბინათში - კლარჯეთისა და ტაოს სასაზღვრო სოფელში. საუკუნის წინ, როცა ამ მხარეში ექსპედიცია მოაწყო ექვთიმე თაყაიშვილმა, ქართულად მოლაპარაკე ტაოური სოფლების რაოდენობა მეტი ყოფილა, ქართული ისმოდა ოთხთა ეკლესიაში, ჭიძჭიძეში, ტაოსკარში, იშხანში, იქნებ სხვაგანაც, შესაბამისად ფართო იყო ტაოური კილოს გავრცელების არეალიც.

ტაოური კილოს მკვლევარი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მექართულე სოფლებში შეკრებილი მასალებით, კვლევისას ასევე უნდა გაითვალისწინოს ტაოს ონომასტიკაც, უპირველესად ტოპონიმია, რომელიც ტაოს მთელ ქვეყანაში იძებნება და რომელშიც ჩანს დიალექტური თავისებურებებიც.

ტაოური დიალექტი ქართული ენის მკვეთრად გამოხატული ქვესისტემაა. იგი ბევრი მახასიათებლით განსხვავდება მეზობელი კლარჯულისაგან, ზოგადად, სხვა სამხრული კილოებისგან (მასში უფრო მეტია ძველი ქართულის ნაშთები), თუმცა საერთოც აქვს მათთან. და ეს არცაა მოულოდნელი, ისიც ხომ აჭარულთან, შავშურთან და კლარჯულთან ერთად სამხრული მეტყველების დიალექტური დაყოფის შედეგია.

საინტერესო იქნებოდა ტაოურის მიმართება ჭოროხის ზემო წელში გავრცელებულ სპერულ დიალექტთან, მაგრამ დღეს ამ თემაზე საუბარი შეუძლებელია სპერელთა ქართულის ჩვენამდე ვერმოდწევის გამო. ისტორიულმა ვითარებამ შეიწირა სპერული დიალექტი, საფრთხის ქვეშაა სხვა სამხრული კილოებიც: შავშურსა და კლარჯულს თურქეთის ქვეყნის სახელმწიფო ენა,

თურქული ანაცვლებს, აჭარულს - სალიტერატურო ქართული ენა. ამიტომაც საშუალო საქმედ მიგვაჩნია დიალექტური მასალის შეგროვება, მისი დიგიტალიზაცია და ლინგვისტური ანალიზი. ბარემ აღვნიშნავთ, რომ მონოგრაფიულად შევისწავლეთ შავშური (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022) და კლარჯული დიალექტები (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023), ჯერი ტაოურზე მიდგა; წინამდებარე მონოგრაფიით მკითხველს ვთავაზობთ ტაოური დიალექტის ჩვენეულ ინტერპრეტაციას. წიგნი ერთგვარი გაგრძელებაა წინა ორი მონოგრაფიისა: სამივე ერთად ხომ სამხრული კილოების ლინგვისტურ თავისებურებებს ეძღვნება...

ჩვენი კვლევა ემყარება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კომპლექსური ექსპედიციების მიერ 1995-2018 წლებში შეკრებილ მასალებს, რომელთა ნაწილი დასტამბულია და შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში (იხ. ფაღავა...2005: 146-175; ფაღავა, ბარამიძე, 2018:158-199; ტაო, 2020: 973-1106), ნაწილიც ინახება ქართველოლოგიის ცენტრის არქივში, რომლის დიდი ნაწილი ლექსიკონითურთ დაერთვის წინამდებარე მონოგრაფიას. კვლევისას ასევე გამოვიყენეთ შ. ფუტკარაძის მიერ გამოქვეყნებული ტაოური ტექსტები (იხ. ფუტკარაძე, 1993: 170-181) და თ. შიოშვილის მიერ გამოცემული ტაოური ფოლკლორის ნიმუშები (იხ. შიოშვილი, 2022:233-392). არსებული მასალები მრავალფეროვანია და, ვფიქრობთ, კარგად წარმოაჩენს ტაოს ლინგვისტურ პორტრეტს.

გამოკვლევა ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან. მკითხველის ყველა საქმიან შენიშვნას ავტორები მადლიერებით მიიღებენ და გაითვალისწინებენ მომავალ კვლევებში.

20 დეკემბერი, 2023 წელი

## ნაწილი პირველი

### ტაოური დიალექტი

(ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა)

## თავი I. ტაოურის ფონეტიკური თავისებურებანი

ფონეტიკურად ტაოური ბევრ მსგავსებას ავლენს სხვა სამხრულ კილოებთან, ბევრი მახასიათებლით განსხვავდება კიდეც მათგან.

### §1. ტაოურის ბგერითი შედგენილობიდან

ტაოურში გვხვდება **ჭ**, რომელიც არ ისმის აჭარულსა და კლარჯულში, დასტურდება შავშურში, უმარცვლო **უ** და **ფ** - ი's პოზიციური ვარიანტი, სხვადასხვა პოზიციებში დაჩნდება **ო** და **უ** უმლაუტიანი ხმოვნებიც.

#### 1.1. **ჭ** ტაოურში. ტაოურში ისმის **ჭ** ფარინგალური თანხმოვანი. მაგალითები:

ესა დიდი **ჭიღია** (ფუტკ. 170); აქ **ჭარებ** ჭედდენ (ელიასხევი); **ჭარების** ჭედვა მაისის თუეშია (ელიასხევი); იქ, გზაბაწარზე გეძარებენ **ჭარები** (ელიასხევი); ...ძველი სახელია **ელიასხევი** (ელიასხევი); ძველათ ქუაბაქ ერქვა, ახლა - **ჭევაი** ლივანე (ელიასხევი); **ჭევი** - პარები **ჭევია** (წითლეკარი); ... **საჭენელი**, **საჭნისი** აკეთებენ (ხევეცი); ძეწკნიდან... ქსოვენ... **მაჭალას**, **ჭელედს** (იეთი); ბასლეკარ **ჭეი** (გოდლეკარი); იეთი **ჭეი**, ქვეით - **ელიასხეი** (გოდლეკარი)...

საგულისხმოა, რომ ტაოურში **ჭ** და **ხ** ერთმანეთის მონაცვლედ იხმარება, სხვაგვარად, ვერ ქმნიან ოპოზიციას: ისმის როგორც **ჭევი**, ისე - **ხევი**, ასევე: **ჭარი/ხარი**, **საჭენელი/სახენელი**... ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს შავშურში, „სადაც ზოგჯერ **ჭ** განირჩევა **ხ**საგან” (Mapp, 1911:81), მაგრამ პირველს არა აქვს ფონოლოგიური ღირებულება (ფაღავა, 2005:47; 2004:17-18; შავშეთი, 2011:221). გავიმეორებთ ერთი ბაზგირელი ინფორმატორის ნათქვამს: „**ხელი** და **ჭელი** სხვა არ არი, ერთია” (შავშეთი, 2011:221).

**ჭ**'ს პოზიციურებით ტაოური გვერდით უდგას შავშურს, განსხვავდება აჭარულისა და კლარჯულისაგან. აღვნიშნავთ, რომ **ჭ** არ ისმის აჭარულ და კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულშიც, რაც დასტურია, რომ იგი აჭარულმა და კლარჯულმა არ იცოდა ამ საუკუნენახევრის წინადაც.

1.2. **ფ** ტაოურში. ტაოურში დასტურდება პალატალური ნახევარხმოვანი **ფ**. იგი უმეტეს შემთხვევაში დამავალი დიფთონგის ნაწილია, სხვადასხვა ბგერათკომპლექსში **ი**'ს პოზიციური ვარიანტი, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში (ფაღავა, 1995:29-35; შავშეთი, 2011:220-221; კლარჯეთი, 2016:531...) და ისევე წარმოითქმის, როგორც ძველი ქართულისათვის და სხვა სამხრული კილოებისათვის ივარაუდება, „ენის შუა წელის მაგარ სასასთან მიახლოებით” (შანიძე, ბარამიძე, აბულაძე, 1934:28; ნიჟარაძე, 1975:58; ნოლაიძელი, 1972:19; შავშეთი, 2011:220; კლარჯეთი, 2016:531; ფაღავა, 2003:113; შდრ. ფუტკარაძე, 1995:31).

ტაოურში **ფ** დასტურდება შემდეგ პოზიციებში:



**V-#:** ჩემ მამამს **დედაი იმსოი** იქა ყოფილა (ელიასხევი); **ველაი** ბალრან ბორგი (ფიშნარხევი); რამეთლი **აღაი** იტყოდა... (ცუცეკარი); ჩემი **დედეი** იქ იყო (ცუცეკარი)...

**V-V:** ვერ **გემარნები** (იეთი); **გედემარე, გადმემარე,** გადადი, გადმოდი... (ელიასხევი)...

**V-C:** აქ მამის დედეები **ჩამოიდენ** (ელიასხევი); შექერი **წეიდე** (ელიასხევი); **ჰაიდე** წევდეთ რუს უკან (წითლეკარი)...

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ტაოურში **ი** საკუთრივ ქართულ სიტყვებში დასტურდება ხმოვნის მომდევნოდ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ინტერვოკალურ და ხმოვანსა და თანხმოვანს შორის პოზიციებში და ქმნის დამავალ დიფთონგს.

ტაოურში, სხვა სამხრული დიალექტების მსგავსად, თურქულიდან ან თურქულის გზით შემოსულ სიტყვებში **ი** გვხვდება ხმოვნისწინა პოზიციაშიც **y** ბგერის გადმოსაცემად და ქმნის აღმავალ დიფთონგს.

...**იუზ** კირქ თანე დაწერილი მაქ... (ელიასხევი); **მა** გაბევრდება, **ადა** გააბლდება გურჯული (ელიასხევი); იქ **გოლი** არი... (ელიასხევი); ი არ ვიცი ქი, **აფ!** (ქუაბაგი); მისი დედა ჩემი დედასი **აგანია** (ხვეკვი)...

ტაოურში **ი** „შესაძლოა იყოს ს' ბგერის დასუსტების მაჩვენებელი" (შდრ. ქავთარაძე, 1964:68; ჯორბენაძე, 1989:316), ზოგჯერ სხვა ბგერისაც:

**რუითავი** (ბინათი), შდრ. **რუსთავი**; რა'ნა **იქნაი** ჩვენი ჰალი (შიომ., 2018:126), შდრ. **იქნას**; მე ხუთ წელიწად **აღმანაი** ვისაქმე (ქუაბაგი), შდრ. **აღმანაის**; იმ ჯარის **თავრობაი** უთქვია... (ელიასხევი), შდრ. **თავრობას**...

ტაოურში სპორადულად

**რ>ი:** ესა **კოიდი** (ცუცეკარი), შდრ. **კორდი**;

**ჟ>ი:** **მოლა** არი, აქ **მოლა** უმახიან და იქ არ ვიცი (ობლეკარი), შდრ. **ჟოლა**.

**რ>ი, ჟ>ი** იშვიათია ტაოურში, განსაკუთრებით უკანასკნელი.

**1.3. უმარცვლო უ (ჟ) ტაოურში.** ტაოურში დასტურდება უმარცვლო **უ**. ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ტაოურშიც **ჟ** ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი ჩანს:

**გ>ჟ:** [ერმანებს] მაშინ **ბეჟრი** ფულები ქონებიან (ელიასხევი), შდრ. ბევრი; კაი **გჟეჩვენება ჩჟენი** ადგილები (ელიასხევი), შდრ. ჩვენი; **წჟრილნი-წჟრილნი** აღარ პარიკობენ (ელიასხევი), შდრ. წვრილნი; **დიდრჟანი** ლაპარიკობენ... (ცუცეკარი), შდრ. დიდ[რ]ვანი; ესეც ჩემი **ნათქჟამი** (ელიასხევი), შდრ. ნათქვამი; მაღლა'ნა **წეჟდე...** (ელიასხევი), შდრ. წევდე<წავიდე; აქედან **მოჟდენ**, მურღულიდან (ელიასხევი), შდრ. მოვდენ<მოვიდენ; აქ **ბეჟრნი** მოვლენს თურისტები (ელიასხევი), შდრ. ბევრნი; **გჟენატრებით**, ზმაო, **გჟენატრებით** (ფუტკ. 170), შდრ. გვენატრებით; **გნოჟ**, ერთი დაჯექ და! (ქუაბაგი), შდრ. გნოვ...

ანალოგიური შემთხვევები დასტურდება აჭარულში, შავშურსა და კლარჯულშიც:

**აჭარული:**

იქ **ძალუან** (<ძალვან) ნაქები იყო საქონელი (**ნიჟარაძე, 1957:150**); ერთ ხეს გაძრება ასე **რუა** ტეზე (მსშხი 2(1), 265)...

**შავშური:**

ხარჩლუხი **ჩამოუდა** (<ჩამოვდა<ჩამოვიდა) თავით (მც 1951); ახლა **მიუხტი** (მივხტი<მივხვდი) განა (ბაზგირეთი)...

**კლარჯული:**

მაგას **წევყუან** (<წევყვან<წავიყვან) მე და **სხუა** (<სხვა) არ მოვალ (მც 1998:323)...

(ვრცლად იხ. ფაღვა, 2007:3-7; შავშეთი, 2011:221; კლარჯეთი, 2016:531).

ტაოურში ზოგჯერ ერთსა და იმავე პოზიციამი მონაცვლეობენ **ჟ** და **ვ** ბგერები:

**მანდეფრი** გზა კად არ არი... (იეთი), შდრ. **მანდეჟრი**<მანდაური); რა

ვიცი, **ჟოჟ?** (ქუაბაგი), შდრ. **ჟოვ**.

აღვნიშნავთ, რომ **ვ** და **ჟ** გრაფემები ძველი და საშუალო ქართული ენის ძეგლებშიც ირეოდა, რაც აღნიშნულია კიდევ სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ქავთარაძე, 1964:89; შდრ. ცინცაძე, ფაღვა, 1998:10): **გალმავრი** ვარა (ქუაბაგი), შდრ. **გალმაური** ვარ...

ტაოურს დაუცავს ძველი ქართულის ფორმებიც:

ორნი, **ექუსნი**... მოდიოდეს (ელიასხვევი); მე ბევრ ჩაის **ვსუამ** (ელიასხვევი); მე წევდეუნა ჩემ [მ]კუდრებ ხედრისთვინ (წითლევეკარი); ისე გაგონილი ვართ **ჩუენა**... (ქუაბაგი); ამა რა ეტყვით **თქუენა?** (ქუაბაგი); **თქუენში** ვოტკა, **ჩუენში** ჩად (ელიასხვევი); სამ **თუე** დავდგებოდი (ელიასხვევი); მის მერე გავყარენით აქევრობა, **სხუანი** ამოვებენ (მოსლიეთი); **ჩუენი** ლაპარაკი ერთმანეფს არ ეწყობა (ქუაბაგი); **თუელი**, გურჯიჯა **თუელია** (ქონობანი)...

**შდრ.** რაისათჯს **მეზუერეთა** და ცოდვილთა თანა ჭამს და **სუამს** მოძღუარი **თქუენი** (მ.9.11)...

შეგნიშნავთ, რომ ტაოურში არქაული ფორმები გვხვდება ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, გამონაკლისი არც ფონეტიკაა.

ტაოურში **ჟ** ზოგჯერ ბგერათკომპლექსის გარდაქმნის შედეგია, მაგალითები:

**ოვ>ვ>ჟ:**

ყოველ ქარჩაზე **გამჟალთ** აქა (ელიასხვევი), შდრ. **გამოვალთ>გამვალთ>გამჟალთ**; ილლა რამ'ნა **მუართჟათ** (ქონობანი), შდრ. **მოვართვათ>მუართჟათ**...

**ვი>ჟ:**

**ფქჟელი** აქოვრობაში უთესია (ქონობანი), შდრ. **ფქვილი**; ვაშლი იყო: **ყჟთელი**, წითელი... (იეთი), შდრ. **ყვითელი**; არ'ნა **წახჟდე** სახში... (ხევეკი), შდრ. **წახვიდე**; ... იქავრი ბგანო ვარ აქ **გამოთხოჟელი** (წითლევეკარი), შდრ. **გამოთხოვილი**; ესკიდან **წისქჟილი** ყოფილა (ქონობანი), შდრ. **წისქვილი**...

**ავ>ჟ:**

... რა **ბლჟმხარ** ჯარსავენ (ელიასხვევი), შდრ. **ბლავიხარ**; მოვა, მოვა ურვანად./**დჟაყენო**, არ **დჟაყენო** (ბასლეკარი), შდრ. **დავაყენო**; ნაცარი **დჟაყარო**/ მეჭეჭი თავზე (შიომ.2018:134), შდრ. **დავაყარო**; იმა ფურუნში

შუაგდებთ, პუტურა წყალი **დჟასხამთ...** (ქონობანი), შდრ. **დავასხამთ;**  
ახშამ **დჟალბოფ...** დილაზე აადუღეფ (ქონობანი), შდრ. დავალბოფ...

**ევ>უ:**

**მჟერე** იგონეფს... (ელიასხევი), შდრ. მეორე-მეგორე>მჟერე.

აღნიშნავთ, რომ **დჟაყენო, დჟაყარო, დჟასხამთ, დჟალბოფ...** თითქოს უჩვეულო ფორმებია, არ გვხვდება სხვა სამხრული კილოებში (ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ ჩავიციებთ), ოდენ ტაოურში დასტურდება.

ტაოურში **ჟ** გვხვდება: C-V, V-C, C-C პოზიციებში.

ტაოურში, არც სხვა სამხრულ კილოებში **ჟ** არ გვხვდება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, თანხმობის შემდეგ, როგორც ეს ძველ ქართულში გვქონდა (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965:40; ცინცაძე, ფაღავა, 1998:10-11; ფაღავა, 2004:17; 2007:6). ტაოურში უმარცვლო **უ** იმავე ფონეტიკური გარდაქმნებითაა მიღებული, ვარლამ თოფურიაძე ძველი ქართულისათვის რომ დაადგინა მეორე და მესამე გზად (თოფურია, 1979:157-161).

**1.4. უმლაუტი ტაოურში.** უმლაუტი თუ „უმლაუტის მსგავსი მოვლენა“ (ნათელა ქუთელია) მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ყველა სამხრული დიალექტისათვის, დასტურდება - ტაოურშიც. იგი მეორეული მოვლენაა საკვლევ დიალექტში და ზოგჯერ თურქულ ენასთან ხანგრძლივი კონტაქტითაც აიხსნება. თუმცა გვხვდება უმლაუტის ის შემთხვევები, სვანურისათვის რომაა დამახასიათებელი. ცნობილია, რომ უმლაუტს სვანურში საფუძვლად უდევს საუმლაუტო ხმოვანზე მომდევნო **ე** ან, განსაკუთრებით, **ი** ხმოვის გავლენა, მაშინ როდესაც თურქულში წინამავალი ხმოვანი ახდენს გავლენას მომდევნოზე, ნაწილობრივ იმსგავსებს მას, რაც ხმოვანთა „პარმონიის სახელით არის ცნობილი“ (შანიძე, 1981:323).

**ვე>ო:**

...ღმერთ **ეხოწებთან** კი... (ელიასხევი); ...**ჩონი ხოწნები** გეფგონეო... (ელიასხევი); **ყოლ** უბანში არი საყდარი (ხევეკი); ჩემი ნათესები არიან **ყოლანი** (იეთი); ქილისა უშენებია, **ყოლი** საქმე უქნია (ფიშნარხევი); **ჩონ** აქ გავთავდეთ, გურჯი არ იქნება (ფიშნარხევი); ფიდ წელწად **უხოწნია** ფერსა (წითლეკარი); დიდი **სასონი** სანჩხრის თავი (ხევეკი); ...ისინი **გოყავლებთან** ქი... (ბალხიბარი); [ხალხი] ღმერთ **შეეხოწებთან** (ქუაბაგი); ...**ჩონ** გუდასხევი მივდივართ... (ქუაბაგი); ყოფილა, **ჩონა** მოვესწარით... (ქუაბაგი); ეზიეთი **ყოლგან** ბევრია... (ობლეკარი); ...ღმერთ **შეეეხოწებით** (ჭედლიანკარი); კუპრეთის **ქომო** ცუცეკარია... (ხევეკი)...

[ქალი] **ფეხებქოშ**ნა დაჟდეს... (ელიასხევი); ლახანა ტოლმა **შეეახოვთ** (ქონობანი); ...მას უკან **დაეახოვთ** ასე (ქონობანი); დათვები ეტყვიან, ვინ **გეხოწა**, ბებრებ უკან იხტვინე? (ხევეკი); **თავქოშ** ქვაფ/თევზის ფხაფ... (სავრიათი); ისი ფულ იკრეფენ, შეჩოულია ისე (ხევეკი)...

**ე>ო:**

ჩვენ **წოვდოდით**, ერზრუმ ვისაქმებდით (ქუაბაგი); **ბოვრ** წონობდა ბათუმ (ფიშნარხევი); გენჯები **წოვდეს** აქედან (ფიშნარხევი); **ბოური** ზე

რომ შაადგება, „გდუნედ მაჰალე“ (ელიასხევი); დღისი **ტყვონარში** დევმალოდითო (ელიასხევი)...

ავ>რ:

**მყოდეს**, ბევრი ცხვრები **მყოდეს**, ვაცები **მყოდეს**,... გავყიდე (მოსლიეთი)...

ვა>რ:

ღმერთმა **ქო** (<ქვა) შექნასო, ვინცხამა ქნა ეს საქმეო... (კუპრეთი); ბენ ენ წინ გურჯი **ვხორათობდით**... (ბინათი); შდრ. ახლა ყველა თურქჩა **ხვართობენ** (ბინათი)...

ა>რ:

**გომოხვალ**, აქოს გათავდება სოფელი (ხევეკი); მე **ჩომოელ** ბათუმში (ხევეკი); არ **გომოსწიო** (ობლეკარი); აბი არ **გომოსულა** ჯერ (იეთი); კამერაში არ **გომოსწიო** (ქუაბაგი); ანაჲ დევნახე, **წომოველ** (ფიშნარხევი); **გომოსულა** სისხლი, დეკაცი დუკლიან (წითლევკარი); მეცხვარე უკნედამ **ჩომოსულა** ეზოში... (ქუაბაგი)...

საყურადღებოა, რომ პროცესი ზოგჯერ შორს წასულა, ასიმილაციას მოჰყოლია დისიმილაცია: **ჩომოსულა**>**ჩუმოსულა**; **წომომყევი**>**წუმომყევი**; **გომოხვალ**> **გუმო-ხვალ**...

ვი>უ:

ასე’და **წეხუდე** აღმართში (ხევეკი); **წუმამა** გააფუჭა [ბალი], **წუმამა** (ქედლიანკარი); **ყუთელი** წყალი... (ქუაბაგი); **წუმა** არ **წუმს**, წყალი პეტერა, სიცხეა... (ბინათი)...

**იმისთუნ** ბოვრი არ ვიცი (ქონობანი); **ხალხისთუნ** უთქმია ქი... (ბასლევკარი); ჰოდა, უთქვიან იმ **ფაფაზისთუნ** ასე (ელიასხევი)...

ა>უ:

ეს ფერი გოგო **ჩუმუყევანია** სახში (ხევეკი); **წუმოდი** (ქონობანი); ამეზღამ აქნა **გუწუმდეს** (წითლევკარი); იმ ტარალს ასწევს, მეძპრის, **წუმოვა** ასე (ხევეკი); ...ბიჭი **ჩუმოვა** აქე... (ხევეკი); [თოვლი] **წუმულიან**, დამდნარა (დუგური)...

ე>უ:

აქ ვერავინ ვერ **შუმოვა** (ბასლევკარი)...

საკმაო მასალა მოვიყვანეთ პალატალური **ო** და **უ** ხმოვნების წარმოქმნისა ტაოურში, რომელთა უმეტესობა რეგრესული ასიმილაციის შედეგია, სხვაგვარად, გვაქვს უმლაუტის ისეთივე შემთხვევები, სვანურისთვის რომაა დამახასიათებელი, შეინიშნება თურქულის გავლენის კვალიც. ანალოგიური შემთხვევები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც (იხ. ფალავა, 2002:113-121). ბარემ აღვნიშნავთ, რომ ქართული ენის დიალექტთაგან უმლაუტი დასტურდება ინგილოურში (იმნაიშვილი, 1963), მესხურში (ჯორბენაძე, 1998), ჯავახურში (მარტიროსოვი, 1984; ბერიძე, 1988), მოხეურში (ქავთარაძე, 1985), ქვემოქართლურში (ჯორბენაძე, 1998), იქნებ სხვა კილოებშიც. დადგენილია, რომ ქართული ენის დიალექტებში უმლაუტიანი ხმოვნები მიღებულია:

ა. ვე//წე, ვი//წი კომპლექსთა ცვლილებით.

ბ. მიღებულია ლაბიალურ ხმოვანთა პალატალიზაციით (**ო**>**რ**, **უ**>**უ**).

გ. მიღებულია პალატალურ ხმოვანთა ლაბიალიზაციით (ე>ო, ი>უ) (ჯორბენაძე, 1998:34).

ტაოურში ა. ვე>რ; ე>რ; ავ>რ; ვა>რ; ა>რ.

ბ. ვი>უ; ა>უ, ე>უ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ

1. ტაოურში უმლაუტიანი ხმოვანი (რ,უ) განსაზღვრულ პოზიციაში წარმოიქმნება და, ამდენად, იგი შესაბამისი ფონემის (ან ბგერათვომპლექსის) პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს.

2. ჩანს, უმლაუტი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ქართული კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა როგორც ისტორიულად (ქავთარაძე, 1964:74-85), ისე ახლა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართულმა ენამ „ვერ იგუა იგი“ (ჯორბენაძე, 1998:38).

## §2. ფონეტიკური მოვლენები

ტაოურში დადასტურდა ფონეტიკურ მოვლენათა მრავალფეროვნება, რომლის ნაწილი სხვა სამხრულ კილოებშიც დასტურდება, ნაწილიც მხოლოდ ტაოურისათვის არის დამახასიათებელი.

**2.1. ბგერის დაკარგვა.** ბგერის დაკარგვა ერთ-ერთი გავრცელებული მოვლენაა დიალექტებში, მათ შორის ტაოურშიც. იკარგება როგორც თანხმოვანი, ისე ხმოვანი ბგერა.

**2.1.1. იკარგება მ.** ტაოურში ხშირად იკარგება სიტყვის თავკიდურა მ:

ქორუგი დიდია, მიმე (ხევეკი), შდრ. მიმიმე; დინარე ყოფილა (დეგური), შდრ. მიდინარე; შალამ ვჰამთა, ჟავე ვიჯებით (იეთი), შდრ. მიჟავე; ზე ამოვა, ზე ჩავა (ქუაბაგი), შდრ. მიზე; ქალი... სუქანი'და იყოს... (ელიასხევი), შდრ. მსუქანი; ძაღე ყველი ან შავი ყველი ქვია (ფიშნარხევი), შდრ. მიძაღე; ... შიერები იყვენ (ქუაბაგი), შდრ. მიშიერები; [ტყეში]... გელი არი (ქუაბაგი), მგელი; ახლა ჩემი არი, ჰამა ი ჰახეა (ბინათი), შდრ. მიჰახე; ბოლქვამე გვარი აქ ბევრია, ჰედლიშვილი, ზალუმოღლი (ბინათი), შდრ. მიჰედლიშვილი; ეს სხალია, ჰო! სხალი და! (ცუცეკარი), შდრ. მსხალი; ვიცით თუარე, ზე, ზითუალიც ვიცით (ელიასხევი), შდრ. მითუარე, მიზე, მიზითუალი; ზემ გედეარა (ელიასხევი), შდრ. მიზემ; იმ თას ბოწმინდა ქვია (ელიასხევი), შდრ. მითას; [ფესტილი]... ქლიავიდამ ცოტა ჟავეა (ელიასხევი), შდრ. მიჟავე; ჩუენი ჩად წარეა (ელიასხევი), მიწარეა; ახლა თავრობა მოვდა (ელიასხევი), შდრ. მითავრობა; ერთხელ თის წვერზე ცოტა გათოვლებულა (ელიასხევი), შდრ. მითის; თაზე შენი დეკული,/მაგან რან'და მედწველოს (შიომ.2018:126), შდრ. მითაზე...

სიტყვის თავში მ იკარგება მხოლოდ თანხმოვნისწინა პოზიციაში, ხმოვნის წინ მ'ს დაკარგვის შემთხვევა არ დაგვიდასტურებია.

შედარებით მცირეა მ'ს სიტყვის ფუძიდან დაკარგვის შემთხვევები. იკარგება სხვადასხვა პოზიციაში მდგარი მ:



V-V:

**ზომელე** (ქუაბაგის უბანი), შდრ. **ზომომელე** (<**ზემომეჰელე**); ეს მისი **დააბრუნებელი** და... (ხევეკი), შდრ. **დამაბრუნებელი**.

V-C:

გუდმოღმა **უზევი** ვუძახივარ (ხევეკი), შდრ. **უმზევი**.

C-C:

მასკვა მუსლიმანი **შექნილა** (ქისქიმი), შდრ. **შექმნილა**.

აღვნიშნავთ, რომ **მ**'ს დაკარგვა სხვა სამხრული კილოებისთვისაცაა დამახასიათებელი (იხ. ნიჟარაძე, 1957; კლარჯეთი, 2016:532; შავშეთი, 2011; ფაღავა, 2003:227-232).

**2.1.2. იკარგება რ**. სონანტი **რ** იკარგებოდა ძველსა და საშუალო ქართულში, იკარგება ქართული ენის დიალექტებში და კოლხურსა და სვანურში. ივ. ქავთარაძის აზრით, „**რ**ს დაკარგვის მოვლენები შინაგან კავშირშია თვით ამ ბგერის ბუნებასთან. ისტორიულად იგი არ იყო მყარი ფონემა ქართველურ ენებში. **რ** ხშირად განიცდიდა პალატალიზაციას და იკარგებოდა როგორც ხმოვნებს შორის, ისე თანხმოვნებთანაც” (ქავთარაძე, 1964:134; შდრ. ქალდანი, 1963:209; იმნაიშვილი, 1974:202; შარაძენიძე, 1963:229). აღვნიშნავთ, რომ სამწერლობო ქართულისათვის **რ**'ს დაკარგვის კანონზომიერებებს ანალოგი მოეპოვება სამხრულ მეტყველებაში (იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:12 და შემდეგ; ფაღავა, 2002(1):189-199), ბუნებრივია, ტაოურ დიალექტშიც.

ტაოურში **რ** იკარგება სხვადასხვა პოზიციაში:

V-V:

ჩვენებურა **ხვა'ათობდეს**... (ქონობანი), შდრ. **ხვარათობდეს**;  
ჩვენებურა **ხვა'ათობ** და იმბარზე გიმძირვარ (ქონობანი); ზოგნი გურჯიჯა აღარ **ხვა'ათობენ**... (ბალხიბარი); დაბანჯი არ პარიკობენ...  
ქართული **ეპა'აკე** სიფთა (ელიასხევი), შდრ. **ეპარიკეეპა'იკეეპა'აკე**...

ზოგჯერ **რ** შენარჩუნებულია:

დავდგნეთ ერთი **ვიპარიკოთ** (ელიასხევი)...

სხვა მაგალითები:

**აქაუობა** უცვიან იმათა (ქელიანკარი), შდრ. **აქაურობა**; ვერ **დეგეპაკეებით** (იეთი), შდრ. **დეგეპარიკებით** <\***დეგელაპარიკებით** < \***დაგელაპარაკებით**...

ინტერვოკალურ პოზიციაში **რ**'ს დაკარგვის შემდეგ ხმოვნისმომდევნოდ დარჩენილი ი სუსტდება და გვადღევს **მ**'ს: **ეპარიკე**>\***ეპიკე**>**ეპაკე**.

C-C: იკარგება თანხმოვანთშორის მდგარი **რ**:

...ზოგლი მუსლიმანი **დამჩალან** ბათუმზე. რაც არი, იქ **დამჩალან** მუსლიმანი (ელიასხევი), შდრ. **დამრჩალა**; ბახჩიებია ამ თერეფში, **ვწყავთ** (ელიასხევი), შდრ. **ვრწყავთ**; იქი მაშინდა დეთიმი **დავჩი** (ბინათი), შდრ. **დავჩი**; ...ონდასონრა **გააპტყელო**'ნა (ქონობანი), შდრ. **გააბრტყელო**'ნა; ჭალებთ, ყანებთ **ვწყავთა** (გოდლეკარი); ყანას ვწყავთა (იეთი)...

ჩანს, C-C პოზიციაში **რ**'ს დაკარგვა კომპლექსის გამარტივებისაკენ მიდრეკილებითაა გამოწვეული. თანხმოვანთკომპლექსიდან **რ** უკვალოდ იკარგება.

V-C:

ეს კედელი, კარი ძირიდან - **ზღუბლი...** (წითლევკარი), შდრ. **ზღურბლი**; ეთი მუსაფირი ბებერი ყოფილა იქა... (ქისქიმი), შდრ. **ერთი**; **გადაცლილი** ბერები კი იღვაწებდეს... (ელიასხევი), შდრ. **გარდაცვლილი**; „ნაკადი“ ვებნევით, **საწყავის** ჩამოსაგდებათ რომ იქნება (ელიასხევი), შდრ. **სარწყავის...**

#-C: იკარგება სიტყვის თავში თანხმოვნის წინ მდგარი რ:

ე ჩემი ორი **ძალი** არიან (ბასლევკარი), შდრ. **რძალი**; ამისი ბგანო ჩემი **ზალია** (ბინათი), შდრ. **რძალი**; **თველზე** ჩუმოვდოდეს აქა (ქონობანი), შდრ. **რთველზე**; **ძიდან** ვიჯებით ყველ (ბოწმინდა), შდრ. **რძიდან**; ...ყოლი რამ აქ **ჩება** (სადგიყანა), შდრ. **რჩება...**

რ' დაკარგული უნდა იყოს გეოგრაფიულ სახელში **მასისი** (მწვერვალი კაჩკარის//პონტოს მთებზე), რომლის ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **მარსისი**, რომელსაც ადასტურებს გ. ყაზბეგი (ყაზბეგი, 1995:139), თუმცა მიუთითებს: „კოხი უწოდებს **ვარსამბერს**, რას ნიშნავს, არავინ იცისო”.

#-V: ასკერები **ომ** ჩომოსულან, ას წელწადზე ბეურია (ელიასხევი), შდრ. **რომ**.

აღვნიშნავთ, რომ ხმოვნისწინა პოზიციაში რს დაკარგვის შემთხვევები ტაოურში შედარებით მცირეა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რ' იკარგება ოსა და უს წინ (იხ. ფაღავა, 2002:193; 2003:221).

V-#: იკარგება ხმოვნის მომდევნო სიტყვის ბოლოკიდურა რ':

ა' იციან იმათ და ვაჩოვ... (ქონობანი), შდრ. **არ**; ა' ვართა,... ახლა ა' ვართა (ქონობანი); ძველათ, ჰო? ა' ვიცი (ელიასხევი); ა' ვახმობთ [ცერცვს] (ხევეკი) ისინი ჩუენ ა' ვიცით (ქუაზაგი); მე სიმღერა ვე' ვიტყვი (ხევეკი), შდრ. **ვერ**; ვე' მივხთი (ხევეკი); ალა' მახსოვს, ალა', მაღყდება ბითაო (ხევეკი), შდრ. **ალარ...**

ხმოვნისწინა და ინტერვოკალურ პოზიციაში რს დაკარგვა იწვევს წინამავალი ხმოვნის დაგრძელებას. ასეა ეს აჭარულში, შავშურში, კლარჯულში, ასეა - ტაოურშიც.

C-V: ... ამა ონაგორა ფეხ აწევ, **დაბუნდება** (ხევეკი), შდრ. **დაბრუნდება**.

აღვნიშნავთ, რომ თანხმოვნისმომდევნო პოზიციაში რს დაკარგვის შემთხვევები ტაოურში იშვიათია.

რს დაკარგვა ტაოურში ანალოგს პოულობს აჭარულში, შავშურსა და კლარჯულში, სხვა დიალექტებსა და სამწერლობო ქართულშიც. რ' იკარგება კოლხურსა და სვანურშიც. შეიძლება ითქვას, სხვადასხვა პოზიციაში რს დაკარგვა საერთოქართველური მოვლენაა.

**2.1.3. იკარგება ლ'. ტაოურში იკარგება სხვადასხვა პოზიციაში მდგარი ლ',** კერძოდ:

C-C:

**თოვში** გავაკეთებდით გზასა (ხევეკი), შდრ. **თოვლში**; ძველ **სახში** ექსი ძმად (სადგიყანა), შდრ. **სახლში**; **სახში** ქართული ვპარიკობთ (ბასლევკარი)...

C-V:

ერთხელ თის წვერზე ცოტა **გათოვებულა** (ელიასხევი), შდრ. **გათოვლებულა**.

**V-C:**

იმას უთქვია ქი: **სუყველა** ერმენები გადაჰყაროთ თურქეთში (ელიასხევი), შდრ. **სულყველა**; ... გაგონილი გექნებთან **ბექი**, მესელა (ქონობანი), შდრ. **ბელქი**...

**V-V:**

**ქობაები** „გნო“ ამბობენ (ხევეცი), შდრ. **ქობალები**; **ლებუო კაკაები** (ქონობანი), შდრ. **კაკალები**; **მარტო კაკაი** და **ლებუო იქნება** (ქონობანი), შდრ. **კაკალი**.

**ლ**'ს დაკარგვის შემთხვევები დასტურდება ქართულ კილოებსა (კლარჯეთი, 2016:535; ფადავა, 2003:225 და შემდეგ) და საშუალო ქართულის ძეგლებში (ქავთარაძე, 1964:123-126). სპეციალურ ლიტერატურაში **ლ**'ს დაკარგვა მისი პალატარული ბუნებითაა ახსნილი (იხ. ქავთარაძე, 1964:123; Кипшидзе, 1914:5; ჩიქობავა, 1936:142).

2.1.4. **იკარგება ნ'**. ტაოურში სხვადასხვა ბგერათკომპლექსში **ნ'** იკარგება უკვალოდ, კერძოდ:

**V-#:**

არ ვიცი, რა იქნა **მასკა** (იეთი), შდრ. **მასკან**; ... აქა **ნავლიხა** ყურანი ქერიმის კითხვა იგონებენ (ელიასხევი), შდრ. **ნავლიხან**; მიხდება, ამა **უკნისკე** ვერ უთქვია (ელიასხევი), შდრ. **უკნისკენ**; უყრიან [ერმენები] **გარესკე** (ელიასხევი), შდრ. **გარესკენ**; ბებერმა მობრუნდა **აქეთისკე** (ფუტკ. 175), შდრ. **აქეთისკენ**...

შეგნიშნავთ, რომ **კე**(<კენ) თანდებული დასტურდება ქართული ენის ბევრ ქვესისტემაში, კერძოდ: კლარჯულში, შავშურში, მოხეურში, ფშაურში, თუშურში, კახურში, რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში (იხ. ფადავა, 2011:246-247), იქნებ სხვა კილოებშიც. აღვნიშნავთ, რომ **კე**(ნ) დიალექტებიდან შესულია სამწერლობო ქართულშიც: მათ **ლამქართაკე** (ვტყ.959,1); **ქვეშეთკე** (112,3)... სულ 23 შემთხვევა დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“ **ნარ**'მოკვეცილი **კენ** თანდებულის ხმარებისა (იხ. სიმფონია, 1956:16). **კე**[ნ] დასტურდება საშუალო ქართულის სხვა ძეგლებშიც. მიჩნეულია, რომ **კე'** ყველა შემთხვევაში „წარმოშობითაც და გავრცელებითაც დიალექტურია“ (ქავთარაძე, 1964:133). ბარემ აღვნიშნავთ, რომ **ნ**'ს დაკარგვა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მეორეულ მოვლენადაა მიჩნეული (იხ. ჩიქობავა, 1936:72; 1942:104 და შემდეგ).

**V-V:** **შეა** შვილია? (ელიასხევი), შდრ. **შენი**; ახლა-ახლა ბევრი **აყიდიებენ** (ქონობანი), შდრ. **აყიდინებენ**<**აყიდვინებენ**...

**V-C:** ათერთმეტი თანე იქნება **მაიც** (ფუტკ. 171), შდრ. **მაინც**.

ჩვენი მასალების მიხედვით, ტაოურში **ნ'** იკარგება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (**V-#**), სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ინტერვოკალურ (**V-V**) პოზიციაში და ხმოვანსა და თანხმოვანს (**V-C**) შორის. **ნ**'ს დაკარგვის შემთხვევები ხშირია ქართული სამწერლობო ენის ძეგლებსა (ძიძიშვილი, 1960:106; ქავთარაძე, 1964:128 და შემდეგ) და დიალექტებშიც (იხ. ჯორბენაძე, 1998:521).



2.1.5. **იკარგება ვ.** ტაოურში, ზოგადად ქართულ ენაში, იკარგება **ვ** თანხმორვანი. სუსტი არტიკულაცია და ნაკლები მჟღერობა მიაჩნია ვ'ს დაკარგვის ერთ-ერთ მიზეზად ივ. ქავთარაძეს (იხ. ქავთარაძე, 1964:114). იკარგება როგორც ფუძისეული, ისე აფიქსისეული **ვ**.

ტაოურში იკარგება სხვადასხვა პოზიციაში მდგომი **ვ**:

**V-V:**

**მიხდება**, ამა უკნისკე ვერ უთქვია (ელიასხევი), შდრ. **მიხვდება**; არ **კლენ** და იმისთინ იხდება (ელიასხევი), შდრ. **კვლენ**; ბერი **მოკდა**, ჩავდევ მიწაში (ჭილათი); ბაბა ადრე **მოკდა** (ბინათი), შდრ. **მოკვდა**; ძველ სახში **ექსი** ძმადა (სადგიყანა), შდრ. **ექვსი**; ჩვენი **დათლა** ძველია, გურჯი (გოდლეკარი), შდრ. **დათვლა**; **გამოცლილია** სიტყვები... (ელიასხევი), შდრ. **გამოცვლილია**...

აღვნიშნავთ, რომ **ექსი**, **მოკდა**, **დათლა**, **გამოცლა**... გვხვდება აჭარულში, სხვა სამხრულ კილოებშიც: **ექსი** წლის ვიყავი, ნენედ **მოკტა**... (ხელვაჩაური); დაჟდა, დედაწყო ფარის **თლა**... (ხიხაძირი); ქერემეთის **გამოცლა** მიხდა, მარა ჟემტი ვერ ვნახე... (ორთაბათუმი)...

**V-V:**

ბევრთ **იპოეს** ალთუნი (ელიასხევი), შდრ. **იპოვეს**; **ქვეით** მეტი ხალხი არ ყოფილა... (ელიასხევი), შდრ. **ქვევით**; ძველათ აქ მამის დედიები როგორ **ჩამოდდენ**, არ ვიცი (ელიასხევი), შდრ. **ჩამოვიდენ**; **მოადლოდი**, ერთხელ **მოადლოდი**, სამ თუე დავდგებოდი (ელიასხევი), შდრ. **მოვიდლოდი**; დიდი **კეა**... (ელიასხევი), შდრ. **კევი**; ამ სოფში **ვიყაა გამოთხოვლი** (ცუცეკარი), შდრ. **ვიყავი**, **გამოთხოვილი**; ჯერ ბაღნები **ვიყაათ** (ხევეკი); აგი? - **ცხაა** (ელიასხევი), შდრ. **ცხავი**; **ხააწ** გააკეთებ... (ხევეკი), შდრ. **ხავიწ[ს]**; რატო დაფურა **ყიდაო** (ხევეკი), შდრ. **ყიდავო**; მე **ჩამოელ** ბათუმში (ხევეკი), შდრ. **ჩამოველ**; ტიკით **მევეყანეთ** [დედოფალი] (იეთი), შდრ. **მევეყანეთ**; **უტაა** ერმენი ყოფილა (ბასლეკარი), შდრ. **უტავი**; ... **ქილიაა** არი, **შაა** ყურმენი არი აქ (ქონობანი), შდრ. **ქილიავი**, **შავი**; თულში დებენ **თააანი** ლაჰანა (ქონობანი), შდრ. **თავიანი**; **დამააწყდა**, არ ვიცი (წითლეკარი), შდრ. **დამავიწყდა**; სისხლი თუ **ამოა**, დამკლეს (წითლეკარი), შდრ. **ამოვა**; **სახრაა** ატამი (ბალხიბარი), შდრ. **სახრავი**; ცქვიტა წახვალ, **მეწეა**/წელა წახვალ, არ **მეწეა**... (ბალხიბარი), შდრ. **მეწევი**; **ყვაალი** ქონდა... (ქუაბაგი), შდრ. **ყვაილი**; ყური **მიყაა** მე (ქუაბაგი), შდრ. **მიყავი**; ხააწს **გავხრაკაო** (ქუაბაგი), შდრ. **გავხრაკავო**; **სამაარი** მევტანო... (წითლეკარი), შდრ. **სამავარი**; მისი **თაა** მას ჩუმუკიდია (ხევეკი), შდრ. **თავი**; ჰაიდან **მიპოე** შენ? (ხევეკი), შდრ. **მიპოვე**; აა **სატყეპაა** კაცია... (ხევეკი), შდრ. **სატყეპავი**...

**ვ'** დაკარგულია ტოპონიმებშიც: **კრაეკარი**/**კრავეკარი**, **ხეთავი**/**ხევითავი**, **ველითაა** (ხევეკი), შდრ. **ველითავი**, **ლიტრეა** (მცირე სოფელი ელიასხევიში), შდრ. **ლიტრევი**, **წითლეკარი**/**წითლეკარი**...

**V-V** პოზიციაში **ვ**'ს დაკარგვა სისტემურია ტაოურში, შეიძლება ერთ-ერთი გამოკვეთილი დიალექტური თავისებურებაცაა. ვიტყვით, რომ ინტერვოკალურ

პოზიციაში ვ'ს დაკარგვა უცხო არაა სხვა სამხრული კილოებისთვისაც (იხ.: ფაღავა, 2003:235), არც სამწერლობო ქართულისათვის: ქვითა დაქვეანით იგინი Gpb. ლევიტელთა, 20,17. შდრ. დაქვეანით...

#-V: იკარგება პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ' ხმოვნის წინ:

იმათ უმზირვარ, ისინი სხვაფერ თვლიან... (ელიასხევი), შდრ. ვუმზირვარ; ჩემ ძალ უქსოვ (ქუაბაგი), ვუქსოვ; მე უთხარ ქი... (ქონობანი, შდრ. ვუთხარ; დათვი წყარო უმახდით [ჩვენ]... (ბასლეკარი), შდრ. ვუმახდით...

ტაოურში #-V პოზიციაში ვ იკარგება ო და უ (უმეტესად) ხმოვნების წინ.

C-V:

ფიდი წვერი გედეყარე... (შოიშ. 2018:155), შდრ. შვიდი> \*ფვიდი>ფიდი.

შეგნიშნავთ: ტაოურში დაშვებულია შ:ფ მონაცვლეობა: შორვა> ფორვა, შვაგი>ფვაგი>ფამ...

მამამს დედად პეტრად ბავში ყოფილა (ელიასხევი), შდრ. ბავშვი; ...ერთი კაცისთინ ერთი გოგო დაპირებთან... (სადგიყანა), შდრ. კაცისთვინ; დათო, მე სახლსა მყავან ღენჭებო (ხვეკვი), შდრ. დათვო; ...ახლა-ახლა ბევრი აყიდიებენ (ქონობანი), შდრ. აყიდეიებენ <აყიდვინებენ...

#-C: მე არ ხვარათობ (ქონობანი), შდრ. ვხვარათობ; ჩვენ არ ხვარათობ შენს უკან (ქონობანი), შდრ. ვხვარათობთ...

V-C: ამით გოდორი მოაქსონება (ელიასხევი), შდრ. მოიქსონება.

ვ'ს დაკარგვის ტაოურის მსგავსი შემთხვევები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით. ინტერვოკალურ პოზიციაში ვ'ს სისტემური დაკარგვა ტაოურს გამოარჩევს სხვა სამხრული კილოებისაგან.

2.1.6. იკარგება ს. ს'ს დაკარგვა უპირატესად წინაენისმიერ სამეულებთან გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში, დამახასიათებელია იგი ტაოურისთვისაც:

აქ წორი კაცები არ არიან (დუგური), შდრ. სწორი; ...ეს არი წორი დათლა (ელიასხევი); ქართული არ უწავლია [ნენეს] (ბინათი), შდრ. უსწავლია; მე ანამ მაწავლა გურჯიჯა (ბოწმინდა), შდრ. მასწავლა; ცოტ-ცოტა დევწავლე (ელიასხევი), შდრ. დევსწავლე; ..ისეც არ ვიცი... წორია, მართალი (ელიასხევი), შდრ. სწორია...

შდრ. „ჩვენებურები“: აწავლის, წორე, მოვეწარი... (ფუტკარაძე, 1995:24), აჭარული: დეიწავლა, გაწრო... ივ. ქავთარაძე აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას საერთოქართველურად მიიჩნევს (ქავთარაძე, 1964:140).

ტაოურში იკარგება ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული თანხმოვანი, ასევე მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

აქ ერთი სომხი ბიჭი ყოფილა (ელიასხევი), შდრ. სომხის ბიჭი; ჩაი თესლი ამევტანე... (ელიასხევი), შდრ. ჩაის თესლი; აქედან ქობამ'ნა გეხვიდეთ (ჭილათი), შდრ. ქობამს;

მიდან ვიჯებით ყველ... (ბოწმინდა), შდრ. ვიჯებით ყველს; ნაწველ  
ვასხამთ მაქინაში (ბოწმინდა), შდრ. ნაწველს ვასხამთ; ლობიო დავლენავ  
(ბოწმინდა), შდრ. ლობიოს; ძროხებ ვინახავთ, ბოსტან ვთესავთ...  
(ელიასხევი), შდრ. ბოსტანს, ძროხებს; ... მე იმა'ნა მივცე ბევრი ფული  
(ელიასხევი), შდრ. იმას'ნა...

იკარგება ნაცვალსახელისეული ს (ის>ი):

ედა წევდა ი კაცი... (ელიასხევი), შდრ. ის; სომხი ბიქს ი გოგო  
უთხოვნია კი... (ელიასხევი)...

იკარგება სუბიექტის მესამე პირის ნიშანი ს:

რა არი ეს დაეაშვიკება? (ელიასხევი), შდრ. არის...

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს აჭარულში, შავშურსა და კლარჯულში (იხ.  
ფაღავა, 2003:236-241).

**2.1.7. სხვა შემთხვევები.** ტაოურში იკარგება სხვა თანხმოვნებიც:

იკარგება დ:

იმხნა ნეკერი ვდგემნით (ბალხიბარი), შდრ. იმხნად<იმხანად;  
ქეციქით (წითლეკარი), შდრ. ქედსიქით; სა დგებით? (ხევეკი), შდრ.  
სად? ისე მოდით, მეგემშევათ (ბინათი), შდრ. მოდით; [დათვის] სალამი'ნა  
ვუთხრა (ცუცეკარი), შდრ. სალამი'ნდა ვუთხრა; გურჯიჯა ერთი  
უქუმეთი'ნა შეიქნეს (ელიასხევი), შდრ. უქუმეთი'ნდა შეიქნეს; მოდი აქა  
ჩემ გვერცა (ელიასხევი)...

ტაოურში გვერდიგვერდ გვხვდება უნდა'ს ნდა და ნა' ვარიანტები:

მალა'ნდა წეუდე, დათვი'ნდა შემეყაროს, მოვკლა'ნდა...  
(ელიასხევი)...

იკარგება ტ:

საცთელჰა (ტბა მასისზე), შდრ. საცთელტბა; კარის დაკილვა, ჰო?  
(ცუცეკარი), შდრ. დაკილტვა...

იკარგება შ:

ღამეღ ჩომოსულან ჩვენ სახლსა ორი ჯარი (ქისქიმი); შდრ. ღამეში;  
აქოვრობაღ ბოვრი ყურძენია... (ბალხიბარი), შდრ. აქოვრობაში...

იკარგება გ:

იქა ქობაღ ქი გურჯი ყოფილა (ქისქიმი), შდრ. ქობაგი; ... ზოხან  
ცოტა გათოვდება... (ჭილათი); შდრ. ზოგხან; მაღ? ყრალი მოლი!  
(ფიშნარხევი), შდრ. მაგი; ... კიდენა გიიზვირონ საქონელიო (ფუტკ. 172),  
შდრ. გიგიძვირონ...

არაბუნებრივად გვეჩვენება ფორმა გიიზვირონ, თუმცა ინტერვოკალურ  
პოზიციაში გ'ს დაკარგვა დასაშვებია სამხრულ მეტყველებაში.

იკარგება ღ:

გამელ წინაღ//გალმელთ წინაღ (იეთი); დილაზე მოდდენ, საამოზე  
წაველით (ბალხიბარი), შდრ. საღამოზე...

იკარგება თ:

შენ გაღმი, მე გამოღმი/გულმა რა'ნდა მედვენოს? (შიომ. 2018:126),  
შდრ. გაღმით, გამოღმით.

იკარგება ხ:

**ზღაფული** - დევსაკარა, იქა არიან (ბასლეკარი), შდრ.  
**ზღაფხული**<ზაფხული; შენ **ვინცამ** გაშინა,/მეც იმან შეგვაშინა  
(ჭედლიანკარი), შდრ. **ვინცხამ**.

იკარგება ჰ:

იმ **მეელეს** ყაზახებს უძახებენ (ელიასხევი), შდრ.**მეჰელე**; **ამედალა**  
ვაშლი არი... (ქონობანი), შდრ. **აჰმედალა**; ედა, ჩემი **უსედნაჲ** ავჯობს  
(ცუცეკარი), შდრ. **ჰუსეინაჲ**...

ინტერვოკალურ და ხმოვნისმომდევნო პოზიციაში ჰ'ს დაკარგვა  
გავრცელებული მოვლენაა დიალექტებში.

იშვიათად ჰ' შენარჩუნებულია ხმოვნის წინ: მე **ჰეჟია** არ ვიცი (ცუცეკარი)...

**2.1.8. იკარგება ბგერათკომპლექსი.** ტაოურში იკარგება ბგერათკომპლექსიც:

იკარგება ავ':

დედე ფუტკარ **ინახდა**, ზროხებ **ინახდა** (სადგიყანა), შდრ.  
**ინახავდა**; ესენი ჩემი **ნათესები** არიან ყოლანი... (იეთი), შდრ.  
**ნათესავები**...

იკარგება და':

ქალ ვეტყვით, **დეკაცსაც** ვეტყვით (იეთი), შდრ. **დედაკაცი**; იქ  
**დეკაცი** ყოფილა (იეთი)...

იკარგება ლა':

სუყველა თურქია **პარიკობენ** (ელიასხევი), შდრ.  
**ლაპარიკობენ**<ლაპარაკობენ; მოდი, **ვიპარიკოთ**... (ელიასხევი), შდრ.  
**ვილაპარიკოთ**; სახში ქართული **ვპარიკობთ** (ბასლეკარი), შდრ.  
**ვლაპარიკობთ**...

ზოგჯერ ამოსავალი ფორმაც ჩანს:

აქ ქართული არ **ლაპარიკობენ** (ელიასხევი)...

იკარგება ვს':

ბურსაში **მიგვაქ** (ქონობანი), შდრ. **მიგვაქეს**...

ანალოგიური ფორმები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც.

იკარგება ებ':

დიდი კაცები **შეწუხულან** ქი (ქუაბაგი), შდრ. **შეწუხებულან**; ჩვენი  
**დაბადული** ენა ქართულია (იეთი), შდრ. **დაბადებული**...

იკარგება ის':

**პაპაშებ** კევი... (ბალხიბარი), შდრ. **პაპაშების** კევი...

იკარგება ვე':

**ყოლ** წელ მოდიან (ელიასხევი), შდრ. **ყოველ**...

იკარგება ოვ':

მე **იქრობა** არ ვიცი, არ ვიცი **იქრობა** (ბინათი), შდრ. მასკან  
**იქოვრობაში** მივალთ (ბინათი)...

იკარგება მა':

... **ლენჭებ** აღარ იციან გურჯიჯა (ბალხიბარი), შდრ.  
**ლენჭებმა**...იციან...

## იკარგება რე’:

პირველზე ახორია, ... თავში **დეფანი** (ფიშნარხევი), შდრ.

### დერეფანი...

სიტყვაში მარცვლის დაკარგვის შემთხვევები შედარებით მცირეა, რაც დასტურია, რომ მოვლენას არა აქვს სისტემური ხასიათი, იგი სპორადულად გვხვდება. აღვნიშნავთ იმასაც, რომ დიალექტში დაკარგულა ბრუნვის ნიშანი, ზოგჯერ ზმნის თემატური ნიშანი, რაც იწვევს სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურაში ცვლილებას... ყოველ შემთხვევაში მოვლენის საფუძველი ფონეტიკურია.

**2.1.9. ხმოვნის დაკარგვა.** ტაოურში თანხმოვანთა დაკარგვის გვერდით დასტურდება ხმოვნის დაკარგვის შემთხვევებიც. ზოგიერთს პარალელი ეძებნება სამწერლობო ქართულსა და დიალექტებშიც:

### იკარგება ა.

**აგრები** ქონდენ... (ქუაბაგი), შდრ. **აგარები**. კილდიათი **აგრისკე** მივდოდით (ქუაბაგი)...

**აგარა** ჩვეულებრივ არ იკუმშება.

**ბაღნები იპრიან** (ქუაბაგი), შდრ. **იპარიან**; **კუპრეთი** იქ არის, კილდე **უფრის** (ხევეკი), შდრ. **უფარის**; [ქობავრი] ... ნიჩბის ტარს **მეძპრის** (ხევეკი), შდრ. **მეძპრის** <\***მეძპარის** <**მოძპარის**; ჭანკუტარამა თქვა **იპრისო** მუხტარი... (ხევეკი)...

ა დაკარგული ჩანს ტოპონიმში **ვარმეთი** (არმუთი), შდრ. **ვარამეთი**.

ა’ს დაკარგვის ანალოგიური ნიმუშები ჩანს სხვა სამხრულ კილოებშიც:

**შავშური: მომგონდა** ჟუჟუნაჲ/დამზნელდა თვალი (ქედქედი. ბსკიფს, 46,21), შდრ. მომაგონდა...

**კლარჯული: ხვალა ბუღები’ნა დავჭედოთ** (მურღული), შდრ. **დავაჭედოთ**...

**აჭარული: განაგრძობენ გზას ქარვანის** ერთათ (ბსკიფ ს,7.55), შდრ. **ქარავანის**...

### იკარგება ე:

**ნახვარი** აქ ჩამოსულან (ბინათი), შდრ. **ნახევარი**; [ქალმა] წინდები’ნა **გიმირცხას** (ელიასხევი), შდრ. **გიმირცხას**<\***გიმირცხოს** <**გიმირეცხოს**<**გამირეცხოს**; ... მილეთის **სახლი** - ბასლეთები (ბასლე-კარი), შდრ. **სახელი**; **სარცხი** ტბავი (ხევეკი), შდრ. **სარეცხი**[ს] ტბავი; ...კვირაში ერთ დღეს **სარცხელი** დრო ყოფილა (ხევეკი), შდრ. **სარეცხელი**; მასკვა ჩამოსულან **ასკრები** (ქისქიმი), შდრ. **ასკერები**...

შდრ.

**აჭარული: ჯოხიც რომ ვერა ვიშოვე/ხელში ავსწი** ჩალის ხიკვი (ბსკიფს 40,8), შდრ. **ავსწიე**; მივედი და მივაყურე, ჩემი **ლევრის** სიცილია (ბსკიფს 67,110), შდრ. **ლევრის**...

**კლარჯული: პურის მარცვალი გარცხა** მინდა... (მც 1998:323), შდრ. **გარეცხვა**...

**შავშური: საფიქროს** აქ ყდა ... (ბსკიფს 45,5), შდრ. **საფეიქროს**...

ე’ს დაკარგვის შემთხვევები იძებნება საშუალო ქართულის ძეგლებშიც:



ვიცნობთ... **ეთრად** და ელვად... ოქროპირსა (ტბელი, 5.30), შდრ.  
**ეთერად**; ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე **მკრდამდის** გასაპობელად (ვტყ.  
95), შდრ. **მკერდამდის**...

**იკარგება ი:**

მთავრობა **მოვდა**... (ელიასხევი), შდრ. **მოვიდა**; ერთი რამ **გევიგონე**  
აი (ელიასხევი), შდრ. **გევიგონე<გავიგონე**; ასკრები ომ ჩომოსულან, ას  
**წელწადზე** ბეურია (ელიასხევი), **წელიწადზე**; ამოსავლელი ხარ, **ამეარე**  
(ელიასხევი), შდრ. **ამეარე<ამეადრე<ამოიარე**; ...თავდაღმით **ჩეარ** -  
უკანუბანი... (ქონობანი), შდრ. **ჩაიარ<ჩეიარ<ჩეარ**...

**შდრ.**

**აჭარული:** დაზრუქვილი **გამოვდოდა** (მაწყვალთა), შდრ. **გამოვიდოდა**; ...ასე  
კარ იყო წინწინ (ნიჟ. 1961:76), შდრ. **კი არ**...

**კლარჯული:** დემესიზმა გომა ვინცხა **მიძახს** (მც1998:318), შდრ. **მიძახის**...

**იკარგება ო:**

**ზემვანი** არი სოფელი (ქონობანი), შდრ. **ზემოვანი**; იქ **ზემვანი** არი  
(ჭედლიანკარი); ნუ ტირი, ნენე მუა, ძუძუს **გაწვებს** (ელიასხევი), შდრ.  
**გაწოვებს**;

**ო** დაკარგული ჩანს ტოპონიმში **წალიკვანი** (სათიბი ელიასხევში), შდრ.  
**წალიკოვანი**.

**შდრ.**

**აჭარული:** ... ხემწიფეს უთხრა, ყური **ათხვე** ჩემ ხალხსო (ბსკიფს 24,2), შდრ.  
**ათხოვე**...

**შავშური:** ჩამველ ქალაქში... (ბსკიფს 66,29), შდრ. **ჩამოველ**...

**იკარგება უ:**

**მასკვან** არტანი... (ბასლეკარი), შდრ. **მას უკან**; მე დევსაკრული ვარ,  
იგი **ფიშნარკველია** (ბასლეკარი), შდრ. **ფიშნარკვეური**...

**შდრ.**

**აჭარული:** ბაღანას **ეზნევა** სკოლაში არ წეხვიდეო (ორთაბ.), შდრ.  
**ეუზნევა<ეუზნევა<ეზნევა**.

**შავშური:** მასკან იქ გავჩერდით პაწახან (ბსკიფს 66,28), შდრ. **მას უკან**...

**კლარჯული:** ჰეჰკიდი ჰაჰ, **შუქრი'ნა** ქნა (მურღული), შდრ. **შუქური**...

მოყვანილი საილუსტრაციო მასალიდან ირკვევა, რომ ტაოურში სხვადასხვა  
პოზიციის იკარგება ყველა ხმოვანი, ოღონდ განსხვავებული ინტენსივობით.  
ხმოვნის დაკარგვაში რაიმე კანონზომიერების დადგენა ვერ ხერხდება, ერთგვარ  
გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, რომ უმეტესად იკარგება ვ'ს მეზობლობაში  
მდგარი ო.

**2.2. ბგერის ჩართვა.** ტაოურში ბგერის ჩართვის შემთხვევები ბგერი არ არის.  
თანხმოვანთაგან უპირატესად ჩაერთვის სონორები.

**2.2.1. ვითარდება ნ:**

ბიჭს ტარადი **უწევნია** (დუგური), შდრ. **უუწევია<აუწევია**; ...ემეჰ  
მქონდა, კარტი და **დიმიტევნია** ჰაცხა (ქუაბაგი), შდრ. **დიმიტევია**

**<დამიტევია;** მე არ გიმიგნია ეს (ხევეცი), შდრ. გიმიგნია <გამიგნია; ჩვენ ასე დავგრჩნეთ ბერ-ბებერი (მოსლიეთი), შდრ. დავგრჩეთ; დავდგნეთ ერთი, ვიპარიკოთ (ელიასხევი), შდრ. დავდგეთ; აქუნურები გითხრა... (გოდლეკარი), შდრ. აქაური>\*აქანური>აქუნური (რეგრესული, დისტანციური ასიმილაციით)...

#### 2.2.2. ვითარდება რ:

[ქოხის] მესამე ყათი - სათივრე (იეთი), შდრ. სათივე; აჰა, იქობა-შიც ვაშლები არია... (ქუაბაგი), შდრ. იქობაში...

აღვნიშნავთ, რომ ტაოურში დადასტურებული აქობაში, იქობაში, არ ჩანს სხვა სამხრულ კილოებში.

#### 2.2.3. ვითარდება მ:

... ყოფილა ერთი გოგო და ერთი ბიჭი შემყვარებული (ქუაბაგი), შდრ. შეყვარებული; ახლა ყველამფერ იღებენ (ელიასხევი), შდრ. ყველაფერ[ს]; იქ ყოლამფერი მოვა (ელიასხევი), შდრ. ყოლაფერი <ყველაფერი...

მ'ს ჩართვის შემთხვევები დასტურდება სამწერლობო ქართულის ძეგლებში: უმფრო და უმფრო დიდება ემატება (რუსუდ. 11,13), შდრ. უფრო... გვხვდება - დიალექტებშიც (იხ. კლარჯეთი, 2016:538; შავშეთი, 2011:232; ნიჟარაძე, 1975:115; ფაღავა, 2003:254-257).

#### 2.2.4. ვითარდება ვ:

ერთი გოგო საცვაი იქნებოდა (სადგიყანა), შდრ. საცავი; ძეწნარი (ადგილი ელიასხევიში), შდრ. ძეწნარი.

აღვნიშნავთ, რომ ტაოურში გვხვდება ძეწნი, ძეწნი ფორმები.

ქომო თერეფში გედევაროთ (ელიასხევი), შდრ. გედევაროთ <\*გადევაროთ <გადავიაროთ.

-ავ განვითარებულია ფორმაში გავხსნავთ: ცომს გავხსნავთ (სადგიყანა), შდრ. გავხსნით... აქ, სხვა კუთხით თუ შევხედავთ, მონაცვლეობს თემისნიშნიანი და უთემისნიშნო ფორმები: შდრ. გავხსნით. ასევე: ვჰამთ და ვჰამავთ...

ვ'ს განვითარების შემთხვევები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც (ფაღავა, 2003:252 და შემდეგ; კლარჯეთი, 2016:537-538; შავშეთი, 2011: 232), ასევე ქართულ სამწერლობო ენასა და მონათესავე კოლხურსა და სვანურში (იხ. ქავთარაძე, 1964: 168-169).

თანხმოვნის ჩართვის სხვა შემთხვევებია:

#### 2.2.5. ვითარდება კ:

ძეწნიდამ გოდორ ქსოვენ (იეთი), შდრ. ძეწნი//ძეწნა; ეს ძეწნია, ძეწნი! (ცუცეკარი)...

2.2.6. ვითარდება თ: [აღრიბასანი] ვერ დიგინახია, **ზნელთია** (ბასლეკარი), შდრ. **ზნელი**; შენ სახელი რა **გთქვია?** (ქუაბაგი), შდრ. **გქვია...**  
ქობულეთურში დასტურდება: **მთქვია** (მე), **გთქვია** (შენ), **სთქვია** (მას).

2.2.7. ვითარდება ფ:  
ახლა **ფშვიდი** თანე კაცი არი... (ელიასხევი), შდრ. **შვიდი**; ... ერთი ათი თანე იქნება თუ **ფშვიდი** [ცხვარი] (ელიასხევი)...

2.2.8. ვითარდება ღ: ღ განვითარებულია სიტყვებში **ზღაფხული** (<ზაფხული), **ზღამთარი** (<ზამთარი):

**ზღაფხული**, თველი, **ზღამთარი**, ქაჩაჲ (//ქარჩაჲ) (ფიშნარხევი);  
...**ზღაფხულში** არ წევდოდეს სამუშაველა... (ელიასხევი); ... აქა მოვა **ზღაფხულ** (ელიასხევი).

აღნიშნავთ, რომ მხოლოდ ტაოურში იხმარება **ზღაფხული** (ფორმა არ იცის სხვა სამხრულმა კილოებმა), **ზღამთარში** ღ' **ზღაფხულის** ანალოგიით ჩანს განვითარებული.

სიტყვაში ღ'ს განვითარება იშვიათია ქართულში. იშვიათ ნიმუშთა შორის შეიძლება დავასახელოთ **ზიზ** (მაზიზებს//ეზიზება), **ზეზ** (ზეზვა), რომელმაც ახალ ქართულში მოგვცა **ზიზღ** (ეზიზლება) ფორმა. აჭარულში გავრცელებულია **მეზიზება**, **გეზიზება**, **ეზიზება**: ხსენი საქმელათ **მეზიზება** (სურმავა, 1976:7) და იგი მიჩნეულია ღ'დაკარგულ ფორმად. ილ. აბულაძე **ზეზ**, **ზიზ** ფუძეს ადასტურებს ძველ ქართულში (იხ. აბულაძე, 1946:261). ჩანს, აჭარულს დაუცავს (ასევე კლარჯულსაც - ავტ.) ეს იშვიათი ხმარების ფუძე, რომელშიც ღ' ჩართულად უნდა ვივარაუდოთ" (ცინცაძე, ფალავა, 1998:22).

2.2.9. ვითარდება ხმოვანი. ტაოურში დასტურდება ხმოვნის ჩართვის ნიმუშებიც:

ძველათ ნეკერ **დაგვაფიდი** (ელიასხევი), შდრ. **დაგვაფდი**/ **დაგვაფავდი**; [ქალმა] ზარმელიწა **ქენოს** (ელიასხევი), შდრ. **ქნას** > **\*ქენას** > **ქენოს**; ხალხი არი, რაჰათ ვერ იქამ (ჭილათი), შდრ. **იქმ**; **მურუღაჲ**, მრუდე და... (ქუაბაგი).

ხმოვნის ჩართვის სხვა შემთხვევებია:

აქ ერთი **კილდე** ყოფილა, ფინთი **კილდე**, გასაჭრელი (ელიასხევი); ყურძნიდამ თქუენ შარაფ აკეთავთ, ჩუენ **ტკიბილ** ფაფას (ელიასხევი); ძროხის სახელები გინდა? **შეველაჲ**... (ბოწმინდა), შდრ. **შეველაჲ**; [ეს] **კილდიათი**, გაღმაღც - **კილდიათი** (ქუაბაგი); **ხემელ** ვაყრით ჩუენ (ქუაბაგი), შდრ. **ხმელი**; **ფიქვილ** ვიქმოდით... (ფიშნარხევი), შდრ. **ფქვილ**[ი]; ე - **გიზა** (ქონობანი), შდრ. გზა; ... თულში **კიბილი** უნდა, მე ა' მაქ... (ქონობანი); **კილდიათი** (ადგილი წითლეგვარში); ...ენ დიდი **ზიზე** გოდორი, კალოდან **ზიზე** ჩაყრი... (წითლეგვარი), შდრ. **ზზე**; ... **ხამიდან** უშენებთან კაცები... (ბალხიბარი), შდრ. **ხამდან** (ხელახლა); აქედან გეძარ,



ჩეხვალ გიზაზე (ბალხიბარი); ჯარები გათავდა, ...**ხოზობი** არიან (ქუაბაგი), შდრ. **ხოზები**; ერთი **ხოზო** დარჩა, ისაც დაკლეს (სადგიყანა); კევის **საკრეფელად** მიდიოდეს (ელიასხევი), შდრ. **საკრეფლად** <**საკრეფად**.

გვაქვს შემთხვევები, როცა ჩვეულებრივ კუმშვადი ფუძეები ტაოურში შეუკუმშავი გვხვდება:

თქუნში ცივი **წყალები** არი? (ქონობანი); შენ **ქმარის** უკან დაგაბეროს (იეთი); ბერები მიდიან, **ახალებმა** არ იციან (ელიასხევი)...

შეგინშნავთ, რომ შეუკუმშავი ფორმები ტაოურში, ისევე როგორც კლარჯულში, შავშურსა და აჭარულში, ბევრი არ არის, არც ხმოვანგანვითარებული ფორმებია მრავლად.

შოთა ნიჟარაძე, ეხება რა რედუქციის საკითხს აჭარულში, ყურადღებას მიაქცევს ვ. თოფურიას დაკვირვებას, რომ „ცოცხალ კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული” (თოფურია, 1946:88), და აღნიშნავს, რომ აჭარულში „რედუქციის პროცესი ჯერჯერობით არაა დასრულებული” (ნიჟარაძე, 1975:111), რომ „ზემოაჭარულში ხმოვანთა რედუქცია ქმედითია, ხოლო ქვემოაჭარულსა და ქობულეთურ კილოკავებში კი - შესუსტებული” (ნიჟარაძე, 1995:113). რედუქცია სუსტი ჩანს ტაოურშიც (შავშურსა და კლარჯულშიც), სადაც დასტურდება ურედუქციო ფორმები: **ქმარის, ახალები, წყალები...**

შ. ნიჟარაძე აჭარულში დადასტურებულ სრულხმოვნობის შემთხვევებს სამ ჯგუფად ჰყოფს: პირველ ჯგუფში აერთიანებს **კიბილი, კილდე, ხოზო...** რომელთაც ქართველურ ენებში სრულხმოვნიანი ფორმები შეესატყვისება, მეორეში - **აშიქარე, ფილავი...** რომელთა ფუძეებში ხმოვანთა არსებობა (sic) თურქულ-სპარსულ ენათა (საიდანაც ნასესხებია ეს სიტყვები) გავლენას უნდა მიეწეროს, მესამე ჯგუფში კი გაერთიანდება **წიგინი, ხეჭეპო...** რომლებშიც **ი,ე** ხმოვნები თანხმოვანთგასაყარია (იხ. ნიჟარაძე, 1975:114). მოყვანილი დაკვირვება შეიძლება გავრცელდეს სხვა სამხრულ კილოებზეც - შავშურზე, კლარჯულსა და ტაოურზეც, თუმცა შეიძლება კიდევ ერთი დაშვებაც: სამხრულ კილოებში გამოვლენილი სრულხმოვნობის შემთხვევები ხომ არ მივიჩნით ქართველურ ენათა უძველესი ვითარების გადმონაშთად...

**2.3. ბგერათმონაცვლეობა.** ბგერათმონაცვლეობა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ცოცხალ მეტყველებაში. ხშირად იგი ფონეტიკურად შეპირობებულია, ზოგჯერაც - ფონეტიკური კანონზომიერებით მისი ახსნა ვერ ხერხდება. ბგერათმონაცვლეობა ზოგჯერ სისტემურ ხასიათს ატარებს, ზოგჯერაც - სპონტანურია.

განასხვავებენ თანხმოვანთმონაცვლეობას ხმოვანთმონაცვლეობისაგან.

### 2.3.1. თანხმოვანთმონაცვლეობა ტაოურში

**ძ:ზ.** ტაოურში ხშირია **ძ:ზ** მონაცვლეობის შემთხვევები. იგი ისტორიულად ცნობილი მოვლენაა ქართულში.

ტაოელები (შავშები, კლარჯები, ზოგჯერ აჭარლებიც) **ძროხ**'ის ნაცვლად იყენებენ **ზროხა**'ს:

ჩვენ **ზროხებ** ვინახავთ (ელიასხევი); **ზროხები** მოასხა, დაბმული არიან (ელიასხევი); სადამოს **ზროხები** ჩამოვლენ მთიდან, ქალები **ზროხებ** მოსწველენ (ქუაბაგი); მე თაში **ზროხებ** ვაძუებ... (ბასლეკარი)...

**ძ:ზ** მონაცვლეობის სხვა შემთხვევები:

**საზხელი** (ბინათი), შდრ. **საბმელი**; ამისი ბგანო ჩემი **ზალია** (ბინათი), შდრ. [რ]ძალი; ქობადად ვარ, აქ **ზალი** ჩომოსული ვარ (ობლეკარი); ჩვენ **ზალ-მულნი**, ესენი **ზალ-მულნი** არიან (ქუაბაგი); ჩემი ქალი, **ზლები** იქ წევნეს (ბასლეკარი); ეს ჩემი **ზალია** (ბალხიბარი); **ბოზალი** - ისიც ჯარი დათალი (ქუაბაგი), შდრ. **ბოძალი**; **საფუზარა** (უტავი), შდრ. **საფუძარა**; ქისმორეთის **ზირია**, **ზმაო...** (ფუტკ.170), შდრ. **ძირია**, **ძმაო**; მადლობა **ზმაო...** (ფუტკ. 170); **ზეწნი** იქნება აქვერობაში (ფუტკ. 171), შდრ. ძეწნი; [ინტკორში] ...ერთი **ჰინზანი** რამ ყოფილა (ქუაბაგი), შდრ. **ჰინძანი**. **რზის** წყარომ ამაშენებია პარხალიო (ფუტკ. 176), შდრ. **რძის**.

აღნიშნავთ, რომ ტაოურში დასტურდება **ზე** (<ძე<რძე), უცნაურია ფორმა **რზე**. ვვიქრობთ, ჩაწერის ცდომილებაა.

მსგავსი ნიმუშები გვხვდება ძველი ქართულისა და მოგვიანო პერიოდის ძეგლებში:

**სიძმარსა** მას შინა (ვიმოწმებთ: იმნაიშვილი, 1986:126); ფრდიდეს **ზროხასა** და ცხოვარსა და ტრედსა (ი.2,24 DE); **საგძალი** არ შეიტანეს (არჩ. 560); მართალია, **მძრახველს** ძრახვა თვით კი ავად მოუხდების (გურ.142)...

**ძ:ზ** მონაცვლეობა გვხვდება სხვა სამხრულ კილოებშიც (ფადავა, 2003:178-181). თურქული ენის გავლენით უნდა აიხსნას **ძ:ზ** მონაცვლეობა, დეზაფრიკატიზაცია, შემდეგ მაგალითებში:

**ბალაზელარ** (უტავი); **გუნგუზე** (უტავი), შდრ. გუნგუძე; **არუნზე** (უტავი), შდრ. არუნძე; **ბალაზე** (ბინათი), შდრ. **ბალაძე**...

მონაცვლეობის მიზეზი ისაა, რომ თურქულს არ გააჩნია ძ თანხმოვანი.

ტაოურში დასტურდება შემთხვევები, როცა **ზ>ძ**'ს:

**მაქინაძე** დუბმია [მისაბმელი] (ხევეკი), შდრ. **მაქინაზე**; პაპაშები აქ **ძიან** და (ბალხიბარი), შდრ. **ზიან**; პაპაშებ ჯეგია, იქ **ძიან** და... (ბალხიბარი); ... ჩვენებურა დეკაცი მეზნევა ქი, რა **მიმძირიხარო** (ქონობანი), შდრ. **მიმზირიხარო**; შენაც იქ **ძიხარ**? (ფუტკ. 176), შდრ. **ზიხარ**...

**ძ:ს**. **ძიგარას** სვამხარ? (წითლეკარი), შდრ. **სიგარა**; ერთი **ძიგარა** მომე... (შიომ.2018:128)...

**ძიგარა** გვხვდება აჭარულში: **ძიგარას** ჭუუკიდე და... რაცხა არ მეჩემა, ჭვიმის ჭვეთი რომ ცხვირზე დემეცა, სულიასთან წევე... (ბზუბზუ); **ძიგარაქადალდი** ვიყიდე ერთი პაჭკა (ორთაბ.)...

**შავშური**: **ძიგარა** გინდა, მუუკიდე (ჩაქველთა)...

**კლარჯული**: **ძიგარა** მე ებზედი არ მისმია (ადაგული)...

**ზ:ს**.

**აუნუზიანი** (მეტსახელი გვარი გოდლეკარში), შდრ. **აუნუსიანი**;  
**ზამთრიზა** ჩადს უკან ვჭამთა (იეთი), შდრ. **ზამთრისა**; **ამეზლამ** აქ ხართა?  
(იეთი), შდრ. **ამასლამ**>**ამესლამ**>**ამეზლამ**...

**ქ:ჯ.**

...იქ **გიჯები** ყოფილან... (ხევეკი), შდრ. **გიჟები**; მე ბევრი **მაპატიჯა**  
ამან (ფიშნარხევი), შდრ. **მაპატიჯა**; ...**დავქდებოდით** [კვერზე],  
გავლენით კალოს (ქუაბაგი); ...შენ **დამჯავებული** ხარ... (ელიასხევი),  
შდრ. **დამჯავებული**; **დავქნეთ**, ერთი ვიპარიკოთ (შიომ. 2018:134), შდრ.  
**დავქდეთ**; [პარხალში] ქეშიში **მქდარა** (ბასლეკარი), შდრ. **მქდარა**...

დასტურდება **ჯ:ჟ** მონაცვლეობაც:

ადესა **მჯე** არის (ხევეკი), შდრ. **მჟე**<**მჯაე**.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ჯ:ჟ** მონაცვლეობა თურქული ენის გავლენით  
უნდა აიხსნას, რამდენადაც თურქულს არა აქვს **ჟ** ფონემა (იხ. შავშეთი, 2011:233),  
შავშები, კლარჯები და ტაოელები კიდევ თურქული ენის მატარებლები არიან,  
სხვაგვარად, მათი ქართული თურქულის ძლიერ ზეწოლას განიცდის.

**დ:ნ.**

თქვენ სოფელში არ **მოინეს**? (ხევეკი), შდრ. **მოვიდეს**>**მოიდეს**  
>**მოინეს**; იმათ გაათავეს საქმე, **სხენან** (ობლეკარი), შდრ. **სხედან**; ფეხით  
ქი **მიხუნეთ**, ...ნახვარ საათზე მუხვალთ (ქუაბაგი), შდრ. **მიხუდეთ**  
<**მიხვიდეთ**; ჰადდე იქ **მივნეთ**, ჩემ სახლში **მივნეთ**... (ბინათი), შდრ.  
**მივდეთ**>**მივიდეთ**; იქა **დავსხნეთ** (ხევეკი), შდრ. **დავსხდეთ**; **დასხენით**,  
ჩვენ **შევნეთ** (ქონობანი), შდრ. **დასხედით**, **შევდეთ**; ჩვენ გვგონია ქი,  
**მოვკნით**, გათავდა (დუგური), შდრ. **მოვკდით**; ეს ორჭვანია, **სხენან** და  
ბრუნვენ (ბოწმინდა), შდრ. **სხედან**; ხალცი **დამსხნარან** ძველათ...  
(ელიასხევი), შდრ. **დამსხდარან**; აქ სახლი იყო... ბურსაში **წევნენ**  
(ელიასხევი), შდრ. **წევნენ**<**წევდენ**<**წავიდენ**; **დავსხნებით**, ერთი ღენჭი  
მყავს (ელიასხევი), შდრ. **დავსხნებით**; ...აქო დავდგნეთ, **დავსხნეთ**,  
**დავჯნეთ** (ელიასხევი), **დავსხდეთ**, **დავჯდეთ**; ხალხსაც უთქვია ქი,  
ჩვენც **გევნეთ** იქა... (ელიასხევი), შდრ. **გევნეთ**<**გევდეთ**<**გავიდეთ**...

მოყვანილი მაგალითებიდან ვხედავთ, რომ **დ:ნ** მონაცვლეობა ხდება მხოლოდ  
ზმნურ ფუძეებში და მისი მორფოლოგიური სტრუქტურის ცვლილების მიზეზი  
ხდება. აღვნიშნავთ, რომ **დ:ნ** მონაცვლეობა სამხრულ კილოთაგან მხოლოდ  
ტაოურში ჩანს.

**ბ:ფ.**

უზიდია შექერი, **ფრინჯი**, მაკარინა... (ქონობანი), შდრ. **ბრინჯი**;  
**ჯიფში** მაქვა ფარები... (ფიშნარხევი), შდრ. **ჯიბში**<**ჯიბეში**; ...**ვსაქმოფთ**  
ბინებზე... (ელიასხევი), შდრ. **ვსაქმობთ**; ჩვენში არიან და **თურქეფ**  
ეტყვიან კი (ელიასხევი), **თურქებ**<**თურქებს**; ...ჰამა **თურქულეფ**  
დაწერილია (ელიასხევი), შდრ. **თურქულებ**...

ჩანს, რომ ბაგისმიერ ხშულთა (**ბ:ფ**) მონაცვლეობა ხდება ყველა პოზიციაში,  
განსაკუთრებით ხელშესახებია სიტყვის ბოლოში, რაც გავრცელებული მოვლენაა  
დიალექტებში (იხ. გოგოლაშვილი, 1983).

**შ:ჩ.**

**ხანჩი** მოდიან, **ხანჩი** არ მოდიან (წითლევკარი), შდრ. **ხანში** (ხანდახან); აქიდან **ბათუმჩი** მისულან (ბინათი), შდრ. **ბათუმში**; **აილეფჩი** აქიდან მიდის გზა (ელიასხევი), შდრ. **აილეგში**; **პარხალჩი** მე გესული ვარ (ელიასხევი), შდრ. **პარხალში**; **იმეთჩი** ჩვენი დედები ყოფილან... (ელიასხევი), შდრ. **იმეთჩი<\*იმათჩი<იმათში**; ის გახრაკული გავა **იმათჩი** (ხევეკი)...

[ლობიოს] ... **მოვხარჩავთ**, ვჭამთ (ქუაბაგი), შდრ. **მოვხრშავთ**.

ერთ გეოგრაფიულ სახელშიც ჩანს **შ:ჩ** მონაცვლეობა: **ფიშხეთი** (ადგილი უტავში), შდრ. **ფიჩხეთი**.

სიტყვის ფუძეში **შ:ჩ** მონაცვლეობის ერთეული შემთხვევები გვხვდება შავშურში (იხ. შავშეთი, 2011:233) და აჭარულში, არ ჩანს კლარჯულში. ტაოურში -**ში** თანდებული გვაძლევს -**ჩი**'ს. ანალოგიური შემთხვევები დასტურდება აჭარულში (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:47), არ გვხვდება შავშურსა და კლარჯულში.

**მ:ნ**. ტაოურში ურთიერთმონაცვლეობენ **მ** და **ნ** სონანტები:

აჲ **ჯიმჭარი** (ობლეკარი), შდრ. **ჯინჭარი<ჭინჭარი**; ჩვენ **ჯიმჭარ** ვეტყვით... (ფიშნარხევი); ... **ჯიმჭარი** სუსხავს (ფიშნარხევი); ...ის გოგოს **დონებია** და გოგოს მამას არ **დონებია** (ქუაბაგი), შდრ. **დომებია**; თქვენ **რატონ** წერავთ ამასა? (ქუაბაგი); დაჯე, **რატონ** არ მიხარ? (ელიასხევი), შდრ. **რატომ**.

**მ:ვ**.

[ზაბოს] ...**უთქვია** კი... (ბოწმინდა), შდრ. **უთქმია**; ქართველებთა **უთქვიან** მისთვინ (ელიასხევი); მიხდება, ამა ვერ **უთქვია** (ელიასხევი); იმას **უთქვია** კი... (ელიასხევი)...

**ლ:ნ**.

ამისი სახელი **ჟავენაჲ** (ობლეკარი), შდრ. **ჟაველაჲ**; ხე მოვჭარით, იმისი **ტალი** ცახია (იეთი), შდრ. **ტანი** (აჭ. ხის **ტანი//ტოტი**); **სული** აქვა, დასუნავ, **სული** აქვა (ქონობანი), შდრ. **სუნი**; **სული** არ არი... (ქუაბაგი); **ნეკნარი//ლეკნარი** (ადგილი იეთში)...

**რ:ლ**. **რ-ლ** მონაცვლეობის ერთი შემთხვევა დავადასტურეთ ტაოურში, ისიც გეოგრაფიულ სახელში:

ეს არის **ქერაზორი**, **ქელაზორისი** საყდარი... (ქუაბაგი).

**ვ:ბ**. **ვ-ბ** მონაცვლეობა გავრცელებულია სამხრულ მეტყველებაში ზოგადად და ტაოურშიც:

**ვაკვენარი** (<ვაკებნარი), **კალოვნარი** (<კალოვენარი<კალოებნარი), **ხევენარი** (<ხევენარი<ხეებნარი), **თეფვენარი** (<თეფეებნარი)... (ადგილის სახელები ქუაბაგში); მე **დამაბიწყდა** (ხევეკი), შდრ. **დამავიწყდა**...

**ბ:პ**.

ლომბი **ტპა** (ტპა მასისზე), შდრ. ლომბი **ტბა**; **უბარკავს** - ხვარათობს (ბასლეკარი), შდრ. **უპარკავს<\*უპარიკავს**; ვიციტ... **პატრიჯანი** (ბოწმინდა), შდრ. **ბადრიჯანი**...

**ღ:ხ**.

ბებერი ეტყვის [დათვს], - **ოჯახიდანო** (ხევეკი), შდრ. **ოჯალში** დაჰდებს, დაჯოხავს **პაწა-პუწასა** (ხევეკი); **ჩარდალში** ასე ტახტა არი ...

(ბასლევარი), შდრ. ჩარდახი; ოჯალი თუთუნობს... (ქონობანი), შდრ. ოჯახი; ხენჭებ ვერ უპარაკებთან [გურჯიჯა] (იეთი), შდრ. ღენჭებ[ი]; შორახი/შორალი (ადგილი მექართულე ტაოში); პატრად ნაჯალია, დიდი - ცული (ელიასხევი), შდრ. ნაჯახი; იქვერი ხალღი პარხლის ხალღია (ფუტკ. 172), შდრ. ხალხი...

ქ.ხ.

იქ სანჩხრი თავია (დუგური), შდრ. ჩანჩქრი[ს]; სანჩხერ არი, შელაღე (ელიასხევი); აქობად ხრისტიანი იყო (ქისქიმი), შდრ. ქრისტიანი; ართუხ ორი ზმა მოსულან (ქუაბაგი), შდრ. ართუქ.

გვაქვს ხ:ქ მონაცვლეობაც:

საქუნდარი, ჯარებთი ძათალი (ქუაბაგი), შდრ. სახუნდარი...

ყ.ხ.

სახდარი რაა? (ხევეკი), შდრ. საყდარი; ველიათმ სახდარი არ იცი თუ? სახდარი რა არივო? (ხევეკი), შდრ. საყდარი; ხალყი დამსხნარან ძველათ... (ელიასხევი), შდრ. ხალხი...

სიტყვაში ხალხი თანხმოვანთმონაცვლეობას დისიმილაცია უღევს საფუძვლად: ხ - ხ>ხ - ყ.

ყ:ჯ. ირმაყევ[ი] (ადგილი ხემრუთში), შდრ. ირმაჯევი.

გ.ღ.

ერ თანე ღარჭი, ორი თანე - ზღანო (ქონობანი), შდრ. ზგანო.

ამოსავალი ფორმა ჩანს ზღანო. შდრ. ზღანა/ო.

აღ ნაგარეღ თეფე (სადგიყანა), შდრ. ნაღარეღ<ნაღარევი.

კ.ყ.

ჩემი კაცი ყაზაში მუშაობს (ბასლევარი), შდრ. კაზა; [კაცი]... იეთში ერთ ქალზე დააშიყებია (ქუაბაგი), შდრ. დააშიკება; იმა ყართოფ ეტყვიან (ხევეკი), შდრ. კართოფი; ყარატაში//კარატაში (მთა); ... ბუქი არ იყვეს, სეპტკვა არ ჰყრიდეს (ელიასხევი), შდრ. სეპტკვა<სეტკვა<სეტყვა; ორი სოფელი იყო, - ახალთი და ყაზახორა (ფუტკ. 179), შდრ. კოწახურა> \*კაწახურა>ყაზახურა>კაზახორა...

წ.ჭ.

...წყალი ჭუგდო და მოვალ (ბალხიბარი), შდრ. წუგდო<წუუგდო; ჭინახო (არჯევანი), შდრ. წინახო; ელია, გოგო, ელია, ე რა ჭმინდა ჭელია, სამი ჭელიჭადია, მენი თხოვნა მჭადია (ქუაბაგი), შდრ. წმინდა, წელია, წელიწადია, მწადია.

წ:ჭ მონაცვლეობა ჩანს აჭარულში (ძიგარას ჭუუკიდე... ბზუბზუ), არ ჩანს შავშურსა და კლარჯულში.

ც.ს.

სირცვილის გურჯიჯა არ ვიცი (სავრიათი), შდრ. სირსვილი; ჩვენში აქ შარაბი შესმა სირსხვილია (ხევეკი), შდრ. სირცხვილი; გიამას მისი ხალხი გაასხა (ქუაბაგი), შდრ. გიამაც; ერთის სამჯე არის... (ბალხიბარი), შდრ. ერთიც; ლისეში მედარა წელსა (ქუაბაგი), შდრ. ლიცეში; მოდი აქა ჩემ გვერცა (ელიასხევი), შდრ. გვერდსა> \*გვერსა >გვერცა.



აღვნიშნავთ, რომ სუბსტიტუციას - სირსვილი>სირცვილი საფუძვლად დისიმილაცია უდევს (ს - ს>ს - ც), ხოლო სირცხვილი > სირსხვილს - ასიმილაცია (ს - ც>ს - ს).

**ბ:ქ.**

ასე გოჩობენ, წადი, წომოდი (ქუაბაგი), შდრ. ქოჩობენ; თქვენშიც არიან მაქფერი? (ელიასხევი), შდრ. მაგფერი; [თოვლი] ...მოგვაქვს, იკარქვის (ელიასხევი), შდრ. იკარგვის.

**ბ:პ.**

ხინგალი (ანზავი), შდრ. ხინკალი; გაბანდიბი (ხემრუთი), შდრ. კაპანდიბი; ახლა მივდივართ ქობაკს (ელიასხევი), შდრ. ქობაგს...

**ჯ:ჭ.**

ჯიშკარ[ი] (ადგილი ანზავში), შდრ. ჭიშკარი (ზეკარი - კაჩკარზე); ჯეილანკარი//ჭეილანკარი (მცირე სოფელი ელიასხევში); ანკესზე კედ ვაბამთ, კედზე - ჯაყელი (ელიასხევი), შდრ. ჭაყელი<ჭიაყელა/ი...

**ტ:დ.**

ჩვენ ლაზუდ ვეტყვით... (ქონობანი), შდრ. ლაზუტ[ი]; ...ვერ მივ-მბტარვარ (ბოწმინდა), შდრ. მივმბდარვარ...

**დ:თ.**

თუქანი აა იმან გააკეთა... (ხევეკი), შდრ. დუქანი; ...ზომოთაჲ ქეთ-ქეთი (ქუაბაგი), შდრ. ქედ-ქედი; დედნახე, ვერ მიხთი (ცუცეკარი), შდრ. მიხვდი>მიხდი; „ლექსები“ ვერ მივხთი, რა არი (ელიასხევი); ძველათ ფარა არ იყო (ელიასხევი), შდრ. ძველად...

**დ:ლ.**

...ახლა წეველით, მეველით და... (ქონობანი), შდრ. წეველით,მეველით; გეველით, ხელში ვწევთ, ხელს გვატკივნებს... (ელიასხევი), შდრ. გავედიით...

**შ:ფ.**

შენი ოღლუშადი ფავ წუულია (შიომ. 2018:155), შდრ. შვავ>\*ფვავ>ფავ; თქუენი შორვა, ჩუენი - ფორვა (ქონობანი); ... მარტო მარქვალი ფორვა ვიქთა (ქონობანი); ...ფით წელწად უკან უხოწნია ფერსა (წითლეკარი), შდრ. შვიდი>\*ფვიდი>ფიდი.

აღვნიშნავთ, რომ ფავი, ფორვა, ფიდი არ იცის სხვა სამხრულმა კილოებმა.

**კ:ქ.**

მარქვალი იტყვით თუ კართოლი?(ხევეკი), შდრ. ქართოლი; არსუქარი (არჯევანი), შდრ. არსუკარი; აჰა, ეს კედი, ეს ბოწმინდა... (ელიასხევი), შდრ. ქედი...

**ს:ჰ.**

ამან თურქა ჰად ისწავლა? (ხევეკი), შდრ. სად; შენ ჰად ხარა? (წითლეკარი)...

**ჯ:ჩ.**

მათ ღენჰსა ი' თევზი გაჯრია ყიაში (სავრიათი), შდრ. გაჩრია; არდუჩი (მცენარე), შდრ. არდუჯი.

**წ:ტ.**

მეტი წარე არაა, **წვიბილია, წვიბილი** (ქუაბაგი), შდრ. ტკიბილი.

**წ:ტ** მონაცვლეობა იშვიათია ტაოურში, ზოგადად სამხრულ კილოებში; შეიძლება, იგი ინდივიდუალურ მოვლენად ჩაითვალოს.

**ჰ:ხ** ტაოურში მონაცვლეობენ **ჰ:ხ** ზმნური პრეფიქსები:

აქიდან **ჩახყვები** ასე... (ფიშნარხევი); ბი **დახკარგულა**, ჭო დამჩალა (ქონობანი); ...საწურავში **ჩახყრიდეს** (ფიშნარხევი); ქორი ახორშია, პირტყვ **შევხყრით** (ფიშნარხევი); დუგუნ ვიქმოდით, ხარ **დავხკლიდით** დუგუნში (მოსლიეთი); არაბა **მიხყავს**, მასხამს (გოდლეკარი); ერთი დიდი ძმად **ხყავსა** სტამბულში... (ხევეკი); ხარული - ქერ **ჩახყრი**, ლაზუთ **ჩახყრი** (ხევეკი); ცხენი **ხყოლია** ათი (ჭილათი); არაა და **ხკითხე** (ხევეკი); მარაში **ჩავხყრიდით...** (ქუაბაგი); თავიდან კარი **ხქონდა** (ქუაბაგი)...

ერთპირიან ზმნასთანაც გამოიყენებენ ტაოელები **ხ** პრეფიქსს, მაშინ, როცა მოსალოდნელი არაა:

ქეშიში **ხყოფილა** (ჭედლიანკარი); ჩემი დედე **ხყოფილა** ბათუმ... (ქუაბაგი)...

**შდრ.**

მადანოზი **დავჰყრავთ**, **ვჰჰამთა** (ხევეკი); დიკად მარტო **დაჰრჩება** (ხევეკი); ... რად **გაჰყავლობს**, რად **გაჰყავლობს** (ქუაბაგი); ვერ იპუა კია, **მოჰკლიდა...** უჩუმა **ჰკლენ** (მოსლიეთი); ქათამ **ჩავჰყრით** თეფსიში (ქონობანი)...

**ჰ:ხ** მონაცვლეობის სხვა შემთხვევები:

**კალმაჰათ**[ი] (ადგილი უტავში), შდრ. **კალმახათ//კალმახეთ**; ...ჭერზე - **კაჰმა//კახმა** (წითლეკარი); **ლაჰანა** ვიტყვით ჩუენ გურჯიჯა (ქონობანი), შდრ. **ლახანა**.

**ჰ:ს.**

**ჰიდამა** ხარა-მეთქი? - ვუთხარ (ბოწმინდა), შდრ. **სიდამ**; თქვენ **ჰიდან** მოხვედით? (ხევეკი), შდრ. **სიდან<საიდან... ბერიჰყანა** (ადგილი მოსლიეთში), შდრ. **ბერისყანა**; დაილა იყო **ქედიჰყანა** (წითლეკარი), შდრ. **ქედისყანა**; **ელიაჰყანა** (ელიასხევი), შდრ. **ელიასყანა**; იმას გელი-მელი ვერ **შეჰჰამს** (ფუტკ. 175), შდრ. **შესჰამს...**

იშვიათად გვხვდება ზმნურ პრეფიქსად **ჰს** კომპლექსიც:

ქალები **დაჰსწყევლიდეს** (ხევეკი)...

**ჰ:შ.** **სოშთა** (ადგილი ქუაბაგში), შდრ. **სოჭთა**.

**ჯ:ხ.**

**ხევი//ჯევი** (მთელს მექართულე ტაოში); გააპტყელო'ნა **უჯრაძთა** (ქონობანი), შდრ. **უჯრაძ//უხლაძ-უხლავი//უხლავო**; ასე ქი **უჯრაძთა**'ნა მურიო (ქონობანი)...

**ქ:ყ.** **ქარამანლები//ყარამანლები** („გვარი“ მექართულე ტაოში)...

**ს:შ.** ბელელში **შაჰმელი** დავდებდი (ხევეკი), შდრ. **საჰმელი**.

**შაჰმელი<საჰმელი** ფონეტიკური საფუძველია რეგრესული ასიმილაცია.

**ფ:ვ.** **სიფთა** ბევრი იყო აქ თევზი (ფიშნარხევი), შდრ. **სიფთა...**

**ტ:თ.** **ტუტა//თუთა** (ბალხიბარი): **ტუტა** - შავი თუთა, **თუთა** - თეთრი თუთა.

**ვ:ნ** სიმღერა არ **მახსონს** (ელიასხევი), შდრ. **მახსოვს**.

**ჯ.ჩ. ჩეფი** ამბოფ? (ბალხიბარი), შდრ. **ჯეიზი**.

**რ.ღ.** ეს არი **გოდრეკარი//გოდლეკარი** (ხევეკი).

**ს.დ.** ის კაცებ სუყველა **დამრად** წასულან (ელიასხევი), შდრ. **საომრად**.

მოვიყვანეთ თანხმოვანთსუბსტიტუციის შემთხვევები ტაოურ დიალექტში, რომელთაგან ზოგს ანალოგი მოეპოვება სხვა სამხრულ კილოებში, ნაწილს ქართული ენის სხვა დიალექტებშიც, ნაწილიც მხოლოდ საკვლევ კილოში დასტურდება. ამასთან თანხმოვანთმონაცვლეობის ზოგი შემთხვევა შეპირობებულია, ზოგიც შეუპირობებელი, ზოგი კიდევ შეიძლება ინდივიდუალურ მოვლენად ჩაითვალოს.

**2.3.2. ხმოვანთმონაცვლეობა ტაოურში.** ტაოურში დასტურდება ხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევებიც:

**ე.ი.**

ჩაირსა **ვკრიბავთ** (ქუაზაგი), შდრ. **ვკრებთ; სოდან/სოდანი** (ბოწმინდა); **ჯამი** ქომოა, ნამაზ კითხულობენ (ბინათი), შდრ. **ჯამე; საწოლი/საწოლე** (იეთი); [ბიჰს]...დაბლა **ჩავარდნამდი** უმახია კი... (ელიასხევი), შდრ. **ჩავარდნამდე...**

**ა.ე.**

ზღაფხულ მიდიან **აეილაში** (ჭილათი), შდრ. **აილა;** ...ზოგნი **თენტელა** ებნევიან, ზოგნი - **თენტენე[ს]** (ბოწმინდა); ად ყვერე,... **ზედე** გეართ - ჯიდი (ელიასხევი), შდრ. **ზედა.**

**ა.ი.** ად **კაკალა ... კაკალი** ხეა (ელიასხევი).

**უ.ვ.** აქავრი კაცი ბათუმ დამჩალი არი (ბოწმინდა), შდრ. **აქაური.**

შენიშნავთ: **აქავრი, მაქავრი, შინავრი...** გვხვდება აქარულშიც.

**2.4 ბგერის გადასმა.** გვხვდება ბგერის გადასმის, ანუ მეტათეზისის შემთხვევები:

**ღრუ>ღურ:**

...**ღურბელო** გაჭარ-გამოჭარ... (შიომ. 2018:135), შდრ. **ღრუბელო.**

**რმ>მრ:**

ჩად შევსვათ და **მემრე** ვილაპარიკოთ (ელიასხევი), შდრ. **მერმე-<sup>\*</sup>მერემე;** ის **გერმელი** ბალია (ცუცეკარი), შდრ. **გემრიელი.**

**ხს>სხ:**

თქუნში მექთეფი რამდენზე **ისხნება** ამ თვის? (ელიასხევი), შდრ. **იხსნება;** კარი **გეისხნა** (ელიასხევი), შდრ. **გეიხსნა.**

**რვ>ვრ:**

...**ვრანი**, ბგერი მოდიოდეს (ელიასხევი), შდრ. **რვანი; ვრა** თანე ვერძი დავკალით (მოსლიეთი).

**ნ-მ>მ-ნ:**

ბებრები **მანგლით**, კაცები - თირფნით [ჭრიან] (ცუცეკარი), შდრ. **ნამგლით.**

**გზ>ზგ:**

ზველთ პატიკაა **ზგამთ** წევდოდით ჭილჭიმს (ბინათი), შდრ. **გზამთ;**



**მღ>ღმ:**

...გურჯიჯა არ **ვიღმერებთ** (ბალხიბარი), შდრ. **ვიმღერებთ**; ჩუნენ თურქქა **ვიღმერებთ** (ბალხიბარი).

**გრი>გირ:**

**გირგოლეთი** (ადგილი ზღაფორში), შდრ. **გრიგოლეთი**.

**ტვ>ტ...ვ:**

[ბებერს] დუწყვია დიდი **ტირთვი** (ხევეკი), შდრ. **ტირთი**.

**გ - ბ>ბ - გ:**

...წყალიც **დუბუგებია** [ბიჭს] (ობლეკარი), შდრ. **დუგუბებია<დუუგუბებია <დაუგუბებია**; ფური **გაბაში** დუქვენთან [სტუმარი] (სავრიათი), შდრ. **ბაგაში**; თივის ჩასაყრელი **გაბა** (ქუაბაგი), შდრ. **ბაგა**.

**ბაგა>გაბა**'ს სამხრულ კილოთაგან მხოლოდ ტაოურში დავადასტურეთ, ხოლო **ხს>სხ** (იხსნება>იხსნება), **ნ-მ>მ-ნ** (ნამგალი>მანგალი) მთელს სამხრულ მეტყველებაშია გავრცელებული. ხოლო რაც შეეხება **ღრუ>ღურ** (ღრუბელი>ღურბელი) გვხვდება მოხეურშიც, იქნებ სხვა კილოებშიც, მაგრამ არა აჭარულში, შავშურსა და კლარჯულში.

**2.5. ასიმილაცია.** ასიმილაცია ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ქართულ ენაში, გავრცელებულია იგი ტაოურ დიალექტშიც.

**2.5.1. ხმოვანთა ასიმილაცია.** ტაოურში განსაკუთრებით ხშირია ხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევები:

**ა - ე>ე - ე:**

ეს არი **სეცერი** (ხევეკი), შდრ. **საცერი**; **საჯვერეთი** (ადგილი არჯევანში), შდრ. **საჯვარეთი**; **გურნეთეული** (ადგილი არჯევანში), შდრ. **გურნათეული**; ...**ერმენხევეკში** ყოფილან **ერმენები** (ქუაბაგი), შდრ. **არმენხევეკი**, **არმენები**; იქ უწვენიან **მეცხვერებს** წარები (ქუაბაგი), შდრ. **მეცხვარ[ე]ებს>მეცხვერებს**; ...ახლა **წვევლით**, მოველით და... (ქონობანი), შდრ. **წაველით**; ...**ზემ გედეარა** (ელიასხევი), **გადაიარა>გადეიარა>გედეარა**; **პეტერაჲ** [ბიჭი] ათ და სამი წლისაა (ელიასხევი), შდრ. **პატარა>\*პატერა>პეტერა**; [კაცი] **გემეარს** უკანკვეს (ხევეკი), შდრ. **გამოიარს>გამეარს>გემეარს**.

**გემეარს** - იშვიათი ფორმაა ტაოურში, არ ჩანს სხვა სამხრულ კილოებშიც.

აბლი, აბლი **გედევცვალენით...** (ხევეკი), შდრ. **გადავიცვალეთ** (ნიშნავს: შევიცვალეთ)>**გადევიცვალეთ** (დისიმილაცია)>**გედევცვალეთ**.

**ვ**'ს მომდევნოდ **ი**'ს დაკარგვა ორგვარადაა ახსნილი ქართულ ენათმეცნიერებაში:

ა. პროცესი ფონეტიკურია;

ბ. ცვლილების მიზეზი მორფოლოგიურია, ი'ს დაკარგვა მორფოლოგიური სტრუქტურითაა შეპირობებული (ჯორბენაძე, 1989:584; გოგოლაშვილი, 1984).

ჩვენ აზრით, პროცესი ფონეტიკურია, რომელიც „გავლენას ახდენს სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურაზე“ (კლარჯეთი, 2016:539).

ზოგჯერ პროცესი შორს წასულა და დაკარგულა ასიმილაციური ე:  
... პეტრა ბალხი არი (ელიასხევი) შდრ. პატარა>პატერა>პეტერა  
>პეტრა.

მოვყანილი მაგალითები რეგრესული დისტანციური ასიმილაციის შემთხვევებია.

დასტურდება რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია:

აე>ე:

**დეემგერე** ქვემოთკენ (ბინათი), შდრ. **დაემგერე**;

**კრეეკარი** // **კრაეკარი** (ისმის ორივე ფორმა).

აღვნიშნავთ, რომ ტაოურში აე>ეეს, პროცესი აქ სრულდება, აღარ გრძელდება, როგორც აჭარულში (ეე>ეე): **დეემგერე**>**დეემგერე** (იშვიათად: **დეემგერე**)...

ე - აე - ეს პროგრესული ასიმილაციით:

ერთ თერეფში **დედეკაცები** ... იფერხულეზდეს (ქუაბაგი), შდრ.

**დედეკაცები**; ორი თანე **დედეკაცი** მოვიდეს (ქუაბაგი); ლობიო **ვთესევედით**... (იეთი), შდრ. **ვთესავდით** >**ვთესევედით**...

აღვნიშნავთ, რომ -ავ-ევ (ვთესავდით: ვთესევედით) თემის ნიშანთა მონაცვლეობას ფონეტიკური მოვლენა (ასიმილაცია) უდევს საფუძვლად.

ოე>ეე:

...ცქვიტა წახვალ, **მეეწეა**,/წელა წახვალ, არ **მეეწეა** (ხვეკვი), შდრ.

**მოეწევი** > **მოეწევი** > **მეეწეა**; ამ ხესა? გურჯიჯა - **ბრეწეული** (ჭილათი), შდრ. **ბროწეული**.

აღვნიშნავთ, კლარჯულში პროცესი შორს მიდის: **ბრეწეული**>**ბრეწეული** (იხ. კლარჯეთი, 2016:1044).

ა-ო>ო-ო სრული რეგრესული ასიმილაციით:

[ქადა] ... სობაში **გომოცხვება** (ხვეკვი), შდრ. **გამოცხვება**; ...წითელი წყალი **წომოვა** (ხვეკვი), შდრ. **წამოვა**; უკნისკე მოვტრიალდი,/ჩემ ძარ თვალი **წომოვკარ** (შიოშ. 2018:129), შდრ. **წამოვკარ**; **იქოვრობა** პარხალი ყოფილა... (ელიასხევი), შდრ. **იქაურობა**>**იქოურობა** >**იქოვრობა**; ...ბგანო **გომოსულა** გოლიდამ... (ქუაბაგი), შდრ. **გამოსულა**; ე იგერ **გომოჩდა** მახათეთი... (ფუტკ. 171), შდრ. **გამოჩდა**<**გამოჩნდა**; აქიდამ **ჩომოვდენ** ისენი... (ფუტკ. 171), შდრ. **ჩამოვიდნენ**>**ჩომოვდენ**; არაბას ყაშსა **გომოჭირება** უნდა, **გომოჭირება** (ფუტკ. 172), შდრ. **გამოჭირება**; შარშან **გომოველ** აქა... (ფუტკ. 177), შდრ. **გამოველ**; ...ეე იმხანდელი **გომოწეულია** ისა (ქისქიმი), შდრ. **გამოწეულია** (ნიშნავს: გადაღებულია); ...აქ ზალი **ჩომოსული** ვარ (ობლეკარი), შდრ. **ჩამოსული**; ...იქა **გომოთხოილი** ვარ (ქონობანი), შდრ. **გამოთხოილი**>**გამოთხოილი**...

ა-ო>ო-ოს ასიმილაციის შემთხვევები სისტემურად მხოლოდ ტაოურში ჩანს, რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია.

ე-ო>ო-ო:

**შომოქხედე**, არ შეშინდონ-მეთქი (ფუტკ.171), შდრ. **შემოგხედე**; სახელი თამარა, სოფადი - **დოდოფალი** (ქუაბაგი), შდრ. **დედოფალი**; შენ წინდები არ გაქვა, **შომოგცივდება** ზამთრი... (ხვეკვი), შდრ. **შემოგცივდება**; ქლიავი - **დოდოფალა** არი... (ბინათი); **ზომო** მივა

მაჰალეები (ფიშნარხევი), შდრ. ზემო; მე ა' მაქვა, მოზობლებ აქვა (ქონობანი), შდრ. მეზობლებ[ს].

ი-ო>ო-ო: იქ არი, კოდო მევტან (ფუტკ. 179), შდრ. კიდო<კიდევ[ვ]...

ო-უ>ო-ო პროგრესული ასიმილაციით:

ბევრი წონობდა ბათუმ (ფიშნარხევი), შდრ. იწონებდა> \*იწონობდა >წონობდა.

ა-უ>უ-უ ს რეგრესული ასიმილაციით:

თოვლი ფამ წუმუა, წყალიდან ღვარი წუმუა (დუგური), შდრ. წამოვა>წამუა>წუმუა.

აღნიშნავთ, რომ სხვა სამხრულ კილოებში გარდაქმნის პროცესი წამუაზე გაჩერდა, ტაოურში უფრო წინ წავიდა: ა-უ>უ-უ.

ბაღანა არი პუტურად, ვერ გიმიგდია (ფიშნარხევი), შდრ. პატარა> \*პატურა>პუტურა; ბიჭი - პუტური კაცი, ...ქალი - პუტური ბგანო (წითლევეკარი)...

გვხვდება შეკუმშული ფორმაც - პუტრუე:

ძალი პუტრუე - ძალი წიწილი (წითლევეკარი), შდრ. პატარად> \*პატურად> \*პუტურად >პუტურუდ>პუტრუე; პარხალის ზედან პუტრუე ქილისე იყო... (წითლევეკარი); ისინი პუტრულიდან ხვარათობენ (წითლევეკარი)...

იქ ჩუმუვდა, მიცა მოქალაქეობა (ხევეკი), შდრ. ჩამოვიდა > \*ჩამოვდა>\*ჩამუვდა>ჩუმუვდა; ვერ ჩუმუალ, დეილაჯი ვარ (ხევეკი), შდრ. ჩამუალ; შად ტყე გაპწდა,/შად კაცი გუმუარდა (შიომ. 2018:132), შდრ. გამუარდა; აღრიბასანი ფეხებიდან წუმუა (ბასლეკარი), შდრ. წამოვა>წამუა>წუმუა...

აუ>უუ (>უ):

ეს ბაწრები ჩუმუშივი, ერთი კვირა შეიქნა (იეთი), შდრ. ჩამოვუშივი >\*ჩამოლუშივი > ჩამულუშივი> ჩუმულუშივი; მართლა იბრაჰიმს ერთი თუალი დლუქორდა (ფუტკ. 175), შდრ. დაუქორდა; იუსუფის ჯელივით დერი [ყოფილა]... იუსუფელი დლურქმევიან (ფუტკ. 175), შდრ. დაურქმევიან; იქ ჯამე დლუნახიან ... (ქუაბაგი), შდრ. დაუნახიან; სად მიხვალ? - ულბანებენ ელიასჯეველები (ხევეკი), შდრ. აუბანებენ; მუჭით გულხრეტიან [ქვა], ქერი დლუნაყიან ხელით (ხევეკი), შდრ. გაუხრეტიან, დაუნაყიან.

ოუ>უუ რეგრესული ასიმილაციით:

მულტანიან კაცები... (ბალხიბარი), შდრ. მოლტანიან.

ო - უ>უ - უ>უ - 0:

ჯარები იყვნეს, პურტყები იყვნეს... (იეთი), შდრ. პირუტყვი> \*პურუტყვი> \*პურუტყვი> პურტყი.

ეუ>უუ:

...ოქულში არ შულჭირდენ თურქაო.. (ფუტკ.171), შდრ.

შეუჭირდენ.

ა-ო>ო-ო>უ-ო>უ-უ პროგრესული ასიმილაციით:

[ბიჭი] გუმუქცევლა, გამოსულა აქა... (დუგური), შდრ. გამოქცევლა >გომოქცევლა >გუმოქცევლა >გუმუქცევლა; წუმუმყე, გუნო, წუმუმყე./რა მომხდება ჩემს უკან (შიომ. 2018:131), შდრ. წამომყე >წომომყე >წუმომყე >წომომყე; ტყეში უპუვია [ბავშვები] (ხევეცი), შდრ. უპოვია...

ო - ი>ი - ი:

ბალხში სახში შეხვალ, მიგიპრის (ხევეცი), შდრ. მოგიპრის>მოგიპრის>მიგიპრის; მე ვერც გურჯიჯე მიმიგვრია, ვერც თურქე (ხევეცი), შდრ. მომიგვრია; ჩემ ბაბოა \*გადმივლილა თქუნესა (ფუტკ.177), შდრ. გადმოვლილა; მალე მიხვალ, მიგიჩრება,/წახვალ, მოკტება (შიომ.2018:135), შდრ. მოგიჩრება; ...დობტურებში წავსულვარ, ჰამა არ მიმიხდა (ქუაბაგი), შდრ. მომიხდა...

\*გადმივლილა - იშვიათი ფორმაა, ჩვენ არ დავგიდასტურებია არც ერთ სამხრულ კილოში. ბარემ ვიტყვით, რომ ასევე იშვიათია მიგიპრის, მიმიგვრია, მიგიჩრება...

ა - ი>ი - ი:

დიგინახოს ვერ შეგჭამს? (ცუცეკარი), შდრ. დაგინახოს; დევძინე, ჰამა არ დიმიინახია (ობლეკარი), შდრ. დამინახია; ჩვენი ლაპარაკი გადარეველა... (ფიშნარხევი), შდრ. ლაპარაკი; ...არ იმილო ჩემ კაცმა [ბეჭედი] (ბალხიბარი), შდრ. ამილო; მომისმინე, ყური დიმიგდე (სარიგიოლი), შდრ. დამიგდე; მე თოხი ვერ იმიშენებია (ბასლეკარი), შდრ. ამიშენებია; დაგისხა? - ჩიმისხი! (ელიასხევი)...

ი - ე>ი - ი: წითლივკარი/წითლეკარი (სოფელი მექართულე ტაოში).

ოა>აა'ს რეგრესული ასიმილაციით:

ეს თოკზე მააზამ... (ხევეცი), შდრ. მოაზამ; შიგან ჩადებენ, კაკალა მააყრიან, ერბოს მასახმენ, იქნება ქადა (ფუტკ. 180), შდრ. მოაყრიან, მოასხმენ; თუ აჩენ გამაჩინე თეთრი ყია (ფუტკ. 177), შდრ. გამოაჩინე; ადვილაა მაადრის (ფუტკ.175), შდრ. მოადრის; გამაათრევეს იქიდანა (ფუტკ.173), შდრ. გამოათრევეს; ღურბელო, გაჰკარ-გამოხკარ,/ზის თვალი გამაჩინე (ხევეცი), შდრ. გამოაჩინე; შენ იტყოდი, ისის მააყოლებდეს (სადგიყანა), შდრ. მოაყოლებდეს; დადექი, ასკერი არ მააკტინოვო (ქუაბაგი), შდრ. მოაკტინოვო; ... თევნარში ამოვებდეს, სოფელ ჩამასხმიდეს (ქონობანი), შდრ. ჩამოასხმიდეს; ბგანები წამასხი... (ბალხიბარი), შდრ. წამოასხი; აქ მასახმენ [პირტყვს] (ფიშნარხევი), შდრ. მოასხმენ; სანქი მააბუჩაო (იეთი), შდრ. მოაბუჩა; ფარუქი ახლა გამააგდეს (ხევეცი), შდრ. გამოაგდეს; მაწონ მასახამ, ერბო მასახამ, შუკჰამ (ქონობანი), შდრ. მოასახამ...

განიხილავს რა ოა>აა'ს ნიმუშებს შ. ფუტკარამე იტყვის: „ტაოს ქართული ექცევა კლარჯული კილოების ფარგლებში(?), უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან (მესხურ-ჯავახური, ქართლური), ვიდრე დასავლურთან” (ფუტკარამე, 2016:293). ვფიქრობთ, აქ სიახლოვეზე საუბარი არაა მართებული. ტაურში ოა ხმოვანთკომპლექსის გარდაქმნა დამოუკიდებლად მივიდა აა'მდე. ანალოგიური მდგომარეობაა შავშურშიც (იხ. შავშეთი, 2011:254),

უცხოა იგი აჭარულისა და კლარჯულისათვის. სხვაგვარად, ერთგვარი მდგომარეობა არა გვაქვს სამხრულ კილოებში, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია.

**ო - ა>ა - ა:** ...**მამაგონდა** აშილი/გულში მაკანკალებს (ხევეკი), შდრ. **მომაგონდა**.

**ა - ო>ა - ა**ს რეგრესული ასიმილაციით:

კიბილ **ამაიგდებენ**, კარი უკნიდან დაჰდებენ (შიოშ. 2018:153)...

**ა - ი>ე - ი**ს რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

...იმათგან **დევწავლე** (ფიშნარხევი), შდრ. **დავისწავლე**>

**\*დევისწავლე>დევსწავლე> დევწავლე**; ესა **წევდა...** იმაზე ჰკვა **წევდა** (ხევეკი), შდრ. **წავიდა>წევიდა>წევდა**; აქ **დევბადენით**, აქ **გევზარდენით...** (ელიასხევი), შდრ. **დავიბადენით>\*დევიბადენით> დევბადენით**; **გავიზარდენით>\*გევიზარდენით> გევზარდენით**.

დასტურდება **ა - ო>ი - ო**ს ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის იშვიათი ნიმუში: **გიდმოდე** (სადგიყანა), შდრ. **გადმოდე**.

**ა - ო>ე - ო:**

ყანთარი მაქვა, ახლა **ჩემოვტან** მე (ხევეკი), შდრ. **ჩამოვტან**.

**აუ>ოუ:**

თავრობამ სახლი **დოუდგა** (ფუტკ. 171), შდრ. **დაუდგა**; [თურქებს]... **გოუდენიან** ერმენები იქიდამა (ფუტკ. 171), შდრ. **გაუდენიან**.

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ ხმოვანთასიმილაცია ტაოურში მრავალფეროვან სურათს ქმნის, ჰარბობს რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები.

**2.5.2. თანხმოვანთა ასიმილაცია.** ტაოურში შედარებით ნაკლებია თანხმოვანთასიმილაციის შემთხვევები, ვიდრე ხმოვანთასიმილაციის.

**მ - ნ>ნ - ნ:**

ლულუკი იმნაური, **ნაწვწით** იჯევენება... (ხევეკი), შდრ. **მაწვწით**; **ქონობანი** (მცირე სოფელი მექართულე ტაოში), შდრ. **ქომობანი** (<ქომო უბანი)...

**ლ - ნ>ნ - ნ:**

**ბანნალი** (ადგილი წითლეკარში), შდრ. **ბალნარი**; მე აგარა **ნეკნარი** მქონდა (ქუაბაგი), შდრ. **ლექნარი**...

**ლ - რ>რ - რ:**

**ბასრეკარი** (მცირე სოფელი მექართულე ტაოში), შდრ. **ბასლეკარი** (<ბასილიანთკარი)...

**დ - თ>თ - თ:**

ორი **სალთათი** იყო, მოვა (ქისქიმი), შდრ. **სალდათი**; შენი **ნალაპარიკი** ვერ **მივხთით** (ჭილათი), შდრ. **მივხდით<მივხვდით**.

**ძ - ჯ>ჯ - ჯ:**

**ჯელიჯვარი** (უტავის მეზრე), შდრ. **ძელიჯვარი**.

**კ - ქ>ქ - ქ:**

**ქოსქეთი** (არჯევანი), შდრ. **კოსქედი**.

**წ - ჭ>ჭ - ჭ:**

**ჭინჭალა** (გოდლეკარი), შდრ. **წინჭალა**.



**ბტ>პტ** რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით:

ონდასონრა **გააპტყელო**ნა (ქონობანი), შდრ. **გააბტყელო** <გააბრ-  
**ტყელო**.

**სჭ>შჭ:**

[ლობიოს] ...ვტეხავთ, **შაჭმელ** ვიჯებით (ქუაბაგი), შდრ. **საჭმელი**...  
დასტურდება პროგრესული ასიმილაციის შემთხვევებიც.

**ს - ც>ს -ს:**

**ესას** ცხრილი (ელიასხევი), შდრ. **ესაც; ესას** გავა (ფიშნარხევი); შენ  
იტყოდი, **ისის** მაყოლებდეს (სადგიყანა), შდრ. **ისიც;** ის ძველათ  
იმღერებდეს, მე **ესეს** არ მიქნია (ხევეკი), შდრ. **ესეც**...

**ჭ - კ>ჭ - ჭ:**

ჭაკვალი, მარცხენად და, **ჭაჭველა** (ბასლეკარი).

**მ - ვ>მ - მ:**

**დამამიწყედენ**... ვეღარ გეცხსენე (ქუაბაგი), შდრ. **დამავიწყედენ**...

**შ - ს>შ - შ:**

იმან კაცი დემჭიროს, მაკედენ, **შემჭამს** (ხევეკი) შდრ. **შესჭამს**...

**რ - ლ>რ - რ:**

**პარხარი** გურჯი არ არი (ელიასხევი), შდრ. **პარხალი**.

პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია:

**კდ>კტ:**

შერიფ უსტა იყო, ...**მოკტნეს** (წითლეკვარი), შდრ. **მოკედეს > მოკ-**  
**დეს>მოკტეს;** ბაბად **მოკტა** (ქუაბაგი)...

მოყვანილი მასალა გვიჩვენებს, რომ ტაოურში

ა. ხმოვანთასიმილაცია ჭარბობს თანხმოვანთასიმილაციას;

ბ. უფრო მეტია რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები, ვიდრე - პროგრე-  
სული;

გ. ასიმილაციის ზოგიერთი შემთხვევა სამხრულ კილოთაგან მხოლოდ  
ტაოურში გვხვდება.

**2.6. დისიმილაცია.** ტაოურში დადასტურდა დისიმილაციის მრავალი  
შემთხვევა, ერთმანეთს განემსგავსება როგორც ხმოვნები, ისე - თანხმოვნები.

### **2.6.1. ხმოვანთა დისიმილაცია**

**ა - ა>აუ - ა:**

მერე სიმინდის ფქული **ჩუვაყარო** (ხევეკი), შდრ. **ჩავაყარო;**

ზამთარში ქომო, ბალხიბარ **ჩუვალთ**... (ჭედლიანკარი), შდრ. **ჩავალთ**...

**ჩუვაყარო, ჩუვალთ** და მსგავსი ფორმები სამხრულ კილოთაგან მხოლოდ  
ტაოურში გვხვდება.

**ა - ა>აო - ა:**

საქმე'და **გოვაჰსწორო** (ელიასხევი), შდრ. **გავასწორო**.

**ა - ა>ი - ა:**

მოვა, მოვა მურვანად,/ **დიგაყენებ**, არ **დიგაყენებ**... (მოსლიეთი),  
შდრ. **დაგაყენებ**.

ა - ა>ე - ა:

ამან, თუბამა... ლისე ყეზაში [იკითხა] (ქონობანი), შდრ. ყაზა;  
„დელე“ პეტრაა, დიდი „ჭოროლია“ (ელიასხევი), შდრ.  
პატარა>\*პატრა>პეტრა...

დასახელებული მაგალითები რეგრესული დისიმილაციის ნიმუშებია, გვაქვს  
პროგრესული დისიმილაციის შემთხვევებიც:

ა - ა>ა - ო:

მე მიყვარს აქოვრში (ფიშნარხევი), შდრ. აქაურში; ლაღაბები  
გითხრა აქოვრი? (ხევეცი), შდრ. აქაური>აქაერი>აქოვრი; აქო ქორწილი  
იქნებოდა... (ხევეცი), შდრ. აქა.

ა - ა>ა - ი:

მინდოდა ველაპარიკო გურჯიჯა (ელიასხევი), შდრ. ველაპარაკო;  
...ისეც არ ვიცი, ილაპარიკებენ... (ელიასხევი), შდრ. ილაპარაკებენ;  
სუყველა თურქა პარიკობენ (ელიასხევი), შდრ. ლაპარაკობენ> ლაპარი-  
კობენ>პარიკობენ...

ა - ა>ა - ე:

შენ დასხი, დასხი, მასე ხელები ერყევა (მოსლიეთი), შდრ. მასა;  
ამეზღამ აქ ხართა? (იეთი), შდრ. ამასღამ.

დისიმილაცია გვაქვს ასეთ შემთხვევაშიც ა - ო>ა - უ'ს:

ფად არ წამოვდესო, ნელა მოსულან (ქუაბაგი), შდრ.  
წამოვდესო<წამოვიდესო.

ე - ე>ა - ე:

აქ ერმანები ჩამოსულან (ბინათი), შდრ. ერმენები.

ე - ე>ო - ე:

ჰადდე წევდეთ რუს უკან,/რა შოხვდება ჩემს უკან... (შიოშ.  
2018:127), შდრ. შეხვდება; ვერ დამდგარან ბოვრზე... (ქუაბაგი), შდრ.  
ბევრზე.

ე - ე>უ - ე:

ღმერთ შუვეხვეწებით... (ბასლეკარი), შდრ. შუვეხვეწებით.

ე - ე>ი - ე:

ჩვენ გიგეყარნეს, გამოველთ აქო, ...გიგეყარნეს, აქ ჩადირი დადგეს  
(ქუაბაგი), შდრ. გაგეყარნეს>გეგეყარნეს>გიგეყარნეს; ჩვენი დედეები  
აჭარაიდამ მოსულ არიან (ელიასხევი), შდრ. დედეები>დედეები; ...ამის  
გამიერს ყანთაროლი უთქმიან (ხევეცი), შდრ. გამეერს; ...მიერე  
თერეფიდამ მოკლე გზა გუაქ (ელიასხევი), შდრ. მეორე>\*მეერე>მიერე.

ე - ე>ე - ა:

ესაც ჩვენია, არ დეჯერებს ხომ? (ხევეცი), შდრ. ესეც;

დისიმილაციის შედეგი უნდა იყოს ე - ა>ი - ა'ს:

...[ყველი] გაახმო'ნა, შიჭამო (ბალხიბარი), შდრ. შეჭამო; ...თუ არ  
შიჭამა, მაღლი იგებს (ბასლეკარი); [ყველი] გაშავდება, მერე შიჭამენ  
(ფიშნარხევი)...

ო - ი>ე - ი:

ჰასან უსტა დევნახე, გემიხარდა (ქუაბაგი), შდრ. გამიხარდა> გიმი-  
ხარდა>გემიხარდა; აღარ გეგიშვებენ, სტუმარი იქნებით (ფუტკ. 173),  
შდრ. გაგიშვებენ>გიგიშვებენ> გეგიშვებენ...

ო - ი>ი - ე:

აქო ისენი აღარ არიან... (ფიშნარხევი), შდრ. ისინი.

ო - ი>ი - უ:

ასკერებისთუნ პური გამოცხობისთუნ ქერი...არ დავტიე ამ  
სოფელშიო (ფუტკ. 176), ასკერებისთინ>ასკერებისთინ>ასკერებისთუნ...

ო - ო>უ - ო:

შენ ფარა'და გუმოგილო (ხევეკი), შდრ. გამოგილო>\*გომოგილო  
>გუმოგილო; წადი და გუმოდი, ვილაპარიკოთ (დეგური), შდრ.  
გამოდი>\*გომოდი>გუმოდი; გოგო, გუმოდი კარზე... (ზასლეკარი);  
...მასისზე ნახვარზე ჩუმოსულა თოვლი (ჭედლიანკარი), შდრ.  
ჩამოსულა>ჩომოსულა > ჩუმოსულა; გუდმოდმა უძევი ვუძახივარ  
(ხევეკი), შდრ. გადმოდმა>გოდმოდმა>გუდმოდმა; დათვი ჩუმოვა  
ოჯალიდან (ხევეკი), შდრ. ჩამოვა>ჩომოვა>ჩუმოვა; ჩუმოვდეს, მოსაფირი  
შეძქნებოდეს (ობლეკარი), შდრ. ჩამოვდოდეს>\*ჩომოვდოდეს >ჩუმოვ-  
დოდეს;

დეველეთმა არ გვიპუსო, აქ დამალულან (ქუაბაგი), შდრ.  
გვიპოვოსო> გვიპოოსო>გვიპუსო; გუმოყრიან, ბრაგა-ბრუგი ატეხილა  
ბოსელში (ქისქიმი), შდრ. გამოყრიან>\*გომოყრიან>გუმოყრიან; იქედან  
ჩუმოხუალ, მოგლესილია (ქუაბაგი), შდრ. ჩამოხვალ>\*ჩომოხუალ  
>ჩუმოხუალ; ბათუმ წუმოდი, ღორი წიწილა'ნა დიგიკლაო (ქუაბაგი),  
შდრ. წამოდი>\*წომოდი>წუმოდი; ვოლკანი ჩუმოსულა; ...ერთი ქალი'ნა  
ვიპუო (ელიასხევი), შდრ. ვიპოვო>ვიპოო>ვიპუო; გუმოვდოდა, ვარებ  
ეჭედებოდა (იეთი), შდრ. გამოვდოდა>გომოვდოდა>გუმოვდოდა;  
წყალმა წუმოვდა, აჟდაა წუმოდლო (ელიასხევი), შდრ. წამოდლო>  
წომოდლო>წუმოდლო; წამოვდა>წომოვდა>წუმოვდა.

ო - ო>ე - ო:

ცერცვი ლეზიო არი... (ელიასხევი), შდრ. ლოზიო>ლეზიო.

დისიმილაცია მომხდარა ო - ა>უ - ა'ს ხმოვანთკომპლექსშიც:

ცუტა კიდო მომხარშოს... (ხევეკი), შდრ. ცოტა>ცუტა.

## 2.6.2. ხმოვნის დისიმილაციური დაკარგვა

უუ>უ. ტაოურში უუ კომპლექსი მარტივდება, გვამლევს უ'ს:

ასე მუწიე (ქუაბაგი), შდრ. მუუწიე<მოუწიე; სახლი ვერ  
დუფაქებია... (ხევეკი), შდრ. დუუფაქებია<დაუფაქებია; ერთი [ძმა]  
დუქორწილებელი ყოფილა... (დეგური), შდრ. დუუქორწილებელი  
<დაუქორწილებელი; ...ამას ტარის აქვა, ჩუსკვამთ, ხეს გავთლით  
(ხევეკი), შდრ. ჩუსკვამთ<ჩავუსკვამთ; დუჯერეფს დათვი (ხევეკი),  
შდრ. დუუჯერეფს<დაუჯერეფს<დაუჯერებს; ბებერი გუდმუშვებს კედს  
თავდაღმისკე (ხევეკი), შდრ. გუდმუშვებს<გადმუშვებს <გადმოუშ-  
ვებს; თუ ჩუმოხვალთ იქა, შუმუხვიეთ (იეთი), შდრ. შუმუხვიეთ



**<შემუხვით><შემოხვით>**; ...იქედამ **გუდმუვლიან**, რუსი ორდი **გუდმუვლიან**, იქა ყარაგად უქნიან... (ქისქიმი), შდრ. **გუდმუვლიან** **<გადმუვლიან><გადმოვლიან>**; **აქური** სულალეები გინდა? (დუგური), შდრ. **აქური<აქაური>**; სავარცხალი **მუპრია**, წასულა (წითლევეკარი), შდრ. **მუპრია <მოუპარია>**; ...იმიდან **დუთქმევიან** „კრაეკარი“ (ბასლეკარი), შდრ. **დუთქმევიან <დაურქმევიან>**; კაცები **მუკლიან**, ღენჭები **მუკლიან**, **გუგდიან**, **გუდუყრიან** ქომოთვე... (ქუაბაგი), შდრ: **მუუკლიან<მოუკლიან>**; **გუუგდიან < გაუგდიან>**; **გუდუყრიან <გადუყრიან><გადაყრიან>**...

ზოგჯერ უუ'ც ისმის, მაგრამ შემთხვევათა უმეტესობაში კომპლექსი გამარტივებულია და უ გვაქვს.

ტაოური მასალების გაცნობის შემდეგ იბადება კითხვა: რა მდგომარეობა გვაქვს სხვა სამხრულ კილებში? უპირველესად მივმართოთ აჭარულს:

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებებს აჭარულში სწავლობდნენ ჯ. ნოლაიდელი, შ. მიძიგური, შ. ნიჟარაძე... მკვლევრები მსჯელობენ ხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნით მიღებულ ე.წ. გრძელ ხმოვნებზე:

**აუ>უუ>ჟ: აუხსნა>უუხსნა>ჟხსნა.**

**და+უ>დუუ>დჟ: დაუძახა>დუუძახა>დჟძახა.**

**გა+უ>გუუ>გჟ: გაუგზანა>გუუგზანა>გჟგზანა.**

**ჩა+უ>ჩუუ>ჩჟ: ჩაუწყო>ჩუუწყო>ჩჟწყო;**

**წა+უ>წუუ>წჟ: წაულო>წუულო>წჟლო.**

**შე+უ>შუუ>შჟ: შეუდგა>შუუდგა>შჟდგა.**

**მო+უ>მუუ>მჟ: მოუტანა>მუუტანა>მჟტანა** (ნოლაიდელი, 1960:13).

ჯ. ნოლაიდელი საუბრობს ასევე გრძელ ა და ე ხმოვნებზეც, თუმცა ახლა ჩვენთვის ეს არაა მსჯელობის საგანი. მოგვიანებით შ. მიძიგურმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებებს ქართულ კილოებსა და ზანურში. ჯ. ნოლაიდელზე დაყრდნობით მკვლევარი ასკვნის, რომ აჭარულში ხმოვანთკომპლექსთა ცვლილება მთავრდება გრძელი ხმოვნის წარმოქმნით: **აუ>ოუ>უუ>ჟ; აი>ეი>იი>ი** (მიძიგური, 1946:21). პირველად მ. ფაღვამ ექვეყემ დააყენა ე.წ. გრძელი ი'ს საკითხი აჭარულში (წაილო>წიილო>წილო), აღნიშნავდა, რომ აჭარულში **აი>ეი>ეი** და არა **აი>იი>ი**ს (წაილო>წიილო>წილო და არა წაილო>წიილო>წილო) (იხ. ფაღვა, 2003:206). გრძელი ხმოვნების საკითხთან დაკავშირებით აჭარულში შ. ნიჟარაძე იზიარებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას (ნიჟარაძე, 1957:11; შდრ. ნიჟარაძე, 1961:23; 1975:66-67...), თუმცა ორჭოფობს ე.წ. გრძელი ი'ს პოვნირებაზე აჭარულში. მოგვიანებით მ. ფაღვა სწავლობს ხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნის საკითხებს სამხრულ კილოებში და ასკვნის: **აა>ა; ეე>ე; იი>ი, უუ>ჟ**ს ხელოვნურია: „თუ ხმოვანთა შერწყმა-დაგრძელება დამახასიათებელი იყო აჭარულისათვის, უნდა გვხვდებოდეს იგი აჭარულ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც, ასევე აჭარულის მოსაზღვრე დიალექტებში - შავშურში, კლარჯულსა და გურულში (ქვემოგურულში მაინც), მაგრამ ასე არ არის“ (ფაღვა, 2003:214-215), და აღნიშნავს, რომ სამხრეთ საქართველოს (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო) ზოგიერთი სოფლის მკვიდრთა მეტყველებაში სპორადულად

შეიძლება შეგვხვდეს აუ>უუ>უ<sup>1</sup>: დუნა, მუკდუნებია, გუკეთა... მაგრამ მასეთ შემთხვევაში ისმის არა გრძელი ხმოვანი, არამედ ჩვეულებრივი უ (ფაღავა, 2003:215).

სამხრულ კილოებში ხმოვანთკომპლექსთა გარდაქმნის პროცესი ასე წარიმართა:

**აუ>უუ; დაუ>დუუ, გაუ>გუუ, ჩაუ>ჩუუ, წაუ>წუუ, შეუ>შუუ, მოუ>მუუ.** ყველა შემთხვევაში გარდაქმნის საფუძველია რეგრესული ასიმილაცია. აჭარულში, კლარჯულსა და შავშურში პროცესი უმეტესად აქ გაჩერდა. ტაოურში გარდაქმნა კიდევ უფრო შორს წასულა, **უუ>უ.** ბუნებრივია კითხვა, რა არის კომპლექსის გამარტივების მიზეზი? ვფიქრობთ, საქმე გვაქვს ხმოვნის დისიმილაციურ დაკარგვასთან, სხვაგვარად, კომპლექსის გამარტივების მიზეზია დისიმილაცია.

სპორადულად გვხვდება სხვა ხმოვანთა დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევები:

**ეე>ე:** თავი **შეჩვია**, დავიწყნეს გურჯიჯა (ფუტკ.177), შდრ. **შეჩვია**.

**აა>ა:** ოჯალში **გაცხელებენ** (ფუტკ. 180), შდრ. **გააცხელებენ**.

**ოო>ო:** კალობა ვიჯებოდით (ქუაბაგი), შდრ. **კალოობა**.

შესაძლებელია, მომავალში დღეს ერთეული შემთხვევები ინტენსიური გახდეს.

ყურადღებას მივაქცევთ ერთ კონკრეტულ ფაქტსაც: ტაოურში გვხვდება **პურტყი** (წვრილფეხა საქონელი), შდრ. ლეჩხუმური - პურტყვი<პირუტყვი (იხ. რუხაძე, 2017:153): **პირუტყვი>\*პურუტყვი >პურტყი. უ - უ>უ.** ამ შემთხვევაშიც შეიძლება დავუშვათ, რომ ხმოვნის დაკარგვის მიზეზი დისიმილაციაა<sup>1</sup>.

**უუ>უ** საკუთრივ ტაოურის ერთ-ერთ ფონეტიკური მახასიათებელია.

### 2.6.3. თანხმოვანთა დისიმილაცია

ტაოურში დადასტურდა თანხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევებიც:

**ს - საზ - ს:**

რა **მიზდევსო** უკან (ელიასხევი), შდრ. **მისდევს**.

**ტ - ტად - ტ:**

ესაც **დომატესი** (ობლეკარი), შდრ. **ტომატესი**.

**ჭ - ჭაჯ - ჭ:**

**ჯიმჭარი** (უტავი), შდრ. **ჭინჭარი; ჯიმჭველები** არიან (ქონობანი), შდრ. **ჭინჭველები**.

**მ - მაღ - მ:**

მთის უკან ქედა არი, **ჭილჭიმი** (ბინათი), შდრ. **ჭიმჭიმი**.

**მ - მამ - ვ:**

ართვინში ვერ **მითქვია**, ქართველი ვარო (ელიასხევი), შდრ. **მითქმია**.

**ქ - ქაქ - ზ:**

<sup>1</sup> ჩვენი აზრით, ხმოვნის დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევები სპეციალურ კვლევას მოითხოვს სხვა სამხრულ კილოებშიც. ამ თვალსაზრისით სამხრული მეტყველების შესწავლა საინტერესო სურათს მოგვცემს.

...მას უკან ამედღებ ქვევრით, დელუგიანი ციციხით (ქონობანი),  
შდრ. ქვევრი <ქავერი>ქაფქერი.

**ხ - ხ>ხ - ღ:**

**ხალღ** ვებნევით, ჰამა არ ჯერავენ (ელიასკევი), შდრ. **ხალხ**[ს];  
...ბევრი **ხალღი** იქნებოდა (ელიასხევი).

**წ - წ>წ - ც: წინცკარო** (ადგილი არჯევანში), შდრ. წინწყარო.

ესაა სულ ჩვენ ხელს არსებული მასალა, მომავალმა მიებამ იქნება ახალი შემთხვევები გამოავლინოს, თუმცა დისიმილაციის მთავარი მახასიათებლები წარმოჩნდა.

დასკვნის სახით ვიტყვით:

ა. ტაოურში ჭარბობს ხმოვანთდისიმილაცია თანხმოვანთდისიმილაციას;

ბ. ტაოურში უფრო გავრცელებულია რეგრესული დისიმილაცია, რითაც იგი გვერდით უდგას სხვა სამხრულ კილოებს, - კლარჯულს, შავშურსა და აჭარულს.

### §3. ტონური მახვილი

გასული საკუნის დასაწყისში აკაკი შანიძე, სწავლობდა რა აღმოსავლეთის მთის კილოებს, აკეთებდა ქართული დიალექტოლოგიისათვის მნიშვნელოვან დასკვნას: „დანარჩენი ქართული კილოებისაგან მთის კილოები იმით განირჩევიან, რომ შედარებით კარგად შეუნახავთ ძველი ქართულის თავისებურებანი ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და სინტაქსშიც. მთიულური რომ ჩამოვაშორით, დანარჩენი კილოები: ხევსურული, მოხეური და ფშაური ერთ ვიწრო ჯგუფს შეადგენს, რომელსაც, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრების გამო, მე ფხოურს ვუწოდებ... მთიულური განსაკუთრებით დგას არა მარტო ფხოურის ჯგუფისაგან, არამედ სხვა ქართული კილოებისაგანაც (გარდა ზემო რაჭულისა, უმთავრესად გლოლა-ჭიორა ღების კილოსა), რადგანაც მასში დაცულია გრძელი ხმოვნები“ (შანიძე, 1981:15). ე.წ. „გრძელი ხმოვნები“ განასხვავებს მთიულურს სხვა კილო-თაგან. ყურადღებას მივაქცევთ იმასაც, რომ „მთიულურში დაცულია“ გრძელი ხმოვნები. და რადგანაც დაცულია „გრძელი ხმოვნები“, უნდა ვიგულისხმოთ იგი ძველ ქართულშიცა და სხვა კილოებშიც.

მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველებაა. მომავალი კვლევები დაადასტურებს ახალგაზრდა მკვლევრის მოსაზრებას.

გაივლის კიდევ ათიოდე წელი. არნ. ჩიქობავა შეისწავლის „გრძელ ხმოვნებს“ მთიულურში და იტყვის: „ნამდვილად მთიულურის ე.წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონურ მოდულაციაზე დამყარებულ მახვილს“ (ჩიქობავა, 2010:64)<sup>2</sup>. ავტორი იქვე მიუთითებს: „ტონური მახვილი თითქმის ყოველთვის მეორე მარცვალში გვხვდება“ (ჩიქობავა, 2010:65).

ამრიგად, მთიულურისათვის დამახასიათებელი „გრძელი ხმოვნები“ (ა. შანიძე) „ტონური მახვილი“ (არნ. ჩიქობავა) ყოფილა და იგი სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალს ხვდება.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავამ შრომა წაიკითხა მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1923 წლის 11 მარტს. პირველად დაიბეჭდა ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის IV ტომში 1924 წელს.

აღვნიშნავთ, რომ ტონური მახვილის ქვეშ მდგომი ხმოვანი გრძლად იხმოვანდება. ამიტომაც, ვფიქრობთ, შემთხვევით არ უწოდებია ასეთი ხმოვნებისათვის აკ. შანიძეს „გრძელი ხმოვნები“.

ბუნებრივია, დაიბადოს კითხვა: რატომ ვიხსენებთ თითქმის საუკუნის წინანდელ ამბავს?

აკ. შანიძისა და არნ. ჩიქობავას ნააზრევთან შეხება მოგვიხდა შემდეგი მიზეზის გამო: 1995 წელს ისტორიულ ტაოში, ელიასხევის მექართულე სოფლებში ვაკვირდებოდით ადგილობრივთა ქართულ მეტყველებას. ჩვენი ყურადღება მიიქცია სიტყვაში ბოლოდან მეორე ხმოვნის გრძლად წარმოთქმამ:

**ბოწმინდა:**

ბე'რიც ადაფბა'ზარ გავგზა'ნე; ღენჭე'ბი არ მყავს, ცხრა თვეა ვარ გათხოვი'ლი; ძროხებისა? ბალხუ'რი, მიჭვრი'ტი; აგზე რომ იყვნენა, ამისი არი'ან; ფურებ მოძუე'ბენ; გევხრა'კე, მზემ გამხრა'კა....

**ცუცკარი:**

ღარჭი'ა და; იმისი'ა; გიჭამი'ა ხომ? გერმალი'ა, გერმა'ლი; ემე ვიჯე'ბით; კიდოვ შექერ ვა'ყრით, ფესტილ ვიჯე'ბით; ამ სოფში ვიყა'ვი, ამ სოფში გამოთხოი'ლი; მისი სახელი ოსმა'ნი; ძველი ზათი'ნდელ კაცებ იცი'ან; ის შავი ბალი'ა, ვინდა დაკრი'ფოს; აქობაში მოდი'ან; იმ ღამეს დაღე'ჭა [დათვმა] ჩვენი ბებე'რი, დაღე'ჭა, ჰო; კარი დაკლი'ტვა, ჰო, ა'რი, აქაც არი; ჩემი სახე'ლი ფატმა; დირე'გი...

ტაოურში ზოგჯერ წინადადებაში მომდევნო ერთმარცვლიანი სიტყვა წინას ეკედლება. ასეთ შემთხვევაში ტონური მახვილი გადაიწევა და მაინც ბოლოდან მეორე მარცვალზე მოხვდება:

ბეი'და (= ბეი და); ჩორაფჩი'დამ ვა'რმე (= ვარ მე); გობდე'და (= გობდე და); ჭერი'და (=ჭერი და)...

ტონური მახვილი უმეტესად შეუნახავს მოხუცებისა და ქალების მეტყველებას. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ბინათელთა (ტაოური სოფელია ბინათი კლარჯეთის მოსაზღვრე) მეტყველებაში „გრძელი ხმოვნები“ იშვიათად იხმოვანდება.

**შენიშვნა 1:** ისტორიული ტაო რამდენიმე საუკუნეა თურქეთის შემადგენლობაშია, შესაბამისად, ქვეყნის უმეტესი ნაწილი მეთურქულეა. მექართულე ტაოს მოსახლეობა ორენოვანია, ტაოური ქართული კი განიცდის თურქული ენის გავლენას. ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა: ჩვენ მიერ აღწერილი ტონური მახვილი ხომ არაა თურქული ენის გავლენის შედეგი? პასუხი ერთია, – არა! მართალია თურქულს ახასიათებს ე.წ. სიტყვის მახვილი, მუსიკალური ძალის მქონე, მაგრამ იგი ფიქსირებულია და ყოველთვის სიტყვას მოუდის ბოლოდან პირველ მარცვალზე (დაწვრილებით იხ.: Кононов, 1956: 51-58; Hengirmen, 1995: 97-103; Bangioglu, 1990: 114-123).

**შენიშვნა 2:** ტაოურში დავადასტურეთ თითო–ოროლა შემთხვევა, როდესაც მახვილი ეცემა სიტყვაში ბოლოდან პირველ მარცვალს. ეს ხდება უმეტესად თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში: სოფადი' (გვარი, ჩამომავლობა); ზათი'ნ არ იყო... ბუნებრივია, ეს ფაქტი თურქულის გავლენით უნდა აიხსნას.

ტონური მახვილის თვალსაზრისით ისტორიულად ტაოურს გვერდით ედგა სხვა სამხრული კილოები: შავშური (მაჭახლურითურთ), კლარჯული და აჭარული.

აჭარულისათვის ტონური მახვილი რომ იყო დამახასიათებელი, ჩანს აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებიდან. „მოხუცი „ჩვენებურების“ ქართულში შეინიშნება ტონური მახვილი, რომელიც უკვე მიღებულია და გარკვეულ პირიბებში იჩენს თავს“ (ფაღავა, 1997:112).

მაგალითები:

გაცოცხლოს გამჩენმა დმერთმა; სიცოცხლის ზამანია, სიცოცხლის; ჩვიდმეტ ქათამში წეფყვანა ჩემი კოკოტა ქათამი; იჯექი ბურსას ქალაქში, სახლი გქონდა კას ალაკში...

საილუსტრაციო მაგალითები მოყვანილია ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებიდან. აჭარელ მუჰაჯირთა ქართულში ტონური მახვილის პოვნისთვის გვაფიქრებინებს, რომ იგი მთლიანი აჭარულისათვის იყო დამახასიათებელი.

ნაშთის სახით, მაგრამ მაინც ტონური მახვილი დაუცავს შავშურსაც. მექართულე შავშეთის ზოგიერთი სოფლის ქართულში დაჩნდება „გრძელი ხმოვნები“, რომელთაც სიტყვაში ბოლოდან მეორე ადგილი უჭირავს:

ბათუმი ქაზიმ დიაბეჟირმა, ათათურქმა მედგო (უსტამისი); ეს კაკალია (უსტამისი); სიტალინსა იხტიბარი ქი უქნია... (უსტამისი); ბევრი სალაში, სალაში (სვირევანი); ამეძარეთ, ყალე არ სჩაზდა? (სვირევანი); აბა არ არიან, სავსე (ჩაქველთა); დიობანში იყავით? (ნიოლეტი); მიწის სახელი არი (ნიოლეტი)... (შავშეთი, 2011: 242).

ტონური მახვილი დავადასტურეთ მაჭახლურ კილოკავშიც, განსაკუთრებით შესამჩნევია ის მაჭახლურ მუჰაჯირთა ქართულში. მაჭახლურში ტონური მახვილი იმავე პოზიციას იკავებს, რაშიც ტაოურში, მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალს:

მე წევდოდა... (ქესტანეფუნარი); იქდა ევდო, სოფელიდა დევნახო (ჰაირიე); არ ვიცი არაფერი, დავბერდი (ახბაბა); თხები მომცედა, არ მოქცედა... მოკლა (დენიკენთი)...

აქვე ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტსაც:

მაჭახლურ მუჰაჯირთა შთამომავლის, მურად შაჰინის (ძნელაძე) ჩანაწერებში განმეორებულია სიტყვაში ბოლოდან მეორე ხმოვანი, ამის საჭიროება კი არ არის. ბარემ ვიტყვი, რომ ბატონი მურადი უნიეს მაჭახლურ სოფელში გაიზარდა, მაჭახლური მეტყველება მისთვის მშობლიურია, შესაბამისად, ზედმიწევნით კარგად აღიქვამს მას. ჩამწერს ინფორმატორთა მოთხოვნებში სიტყვაში ბოლოდან მეორე ხმოვანი გრძლად ესმის, ცდილობს ფაქტი აღნიშნოს ჩანაწერებში და გამოსავალს „გრძელი ხმოვნის“ განმეორებაში ხედავს:

სიმინდები გაზდილა, ხაკებ მუუსხმითა; სირბილით მამამის ყიაზე გედევხვითა; ჩობანი გოგოს ამუცნითა; ბიჭ გოგოს ნათქვამები უუღითა; წყალი დააქვითა; მის ქალისთინ ასე უთხრობითა; ... კაცებ უთქმითან და უცინითან; მარიაა გააქვითა; რა გაცვითა? გზაში მუუკითხითან, ასე მალე ჰად მიხვალ? ლოგინში დაწოლილითა; ცხვარს ბუჩქვა დუუწყითა...

ვფიქრობთ, მურად შაჰინის ჩანაწერებში ბოლოდან მეორე ხმოვნის განმეორების მიზეზი ტონური მახვილია. თუ არა ტონური მახვილი, აუხსნელი



დარჩება უნიელ მაჭახლელთა მეტყველების ნიმუშებში ბოლოდან მეორე-ხმოვნის განმეორება.

ამდენად, ტონური მახვილი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ჩანს შავშური დიალექტის ორივე კილოკავში – იმერხეულსა და მაჭახლურში.

ტონური მახვილი შეინიშნება კლარჯულშიც, უმეტესად დაუცავს იგი კლარჯ მუჰაჯირთა მეტყველებას:

ჩიტი დაჟდა ტყემალზე, თავი გედეიწყო ანზე (მურღული); ჩვენ ქორწილედში ფადიკოს ცეკვავენ (მურღული); შელა'ლე არი იქა (ნურუოსმანი); იქა'ვრი ხალხი არ მოვდოდენ, არ ილოცე'ვდენ (მურღული); იმის გაღმა სინკო'თი სოფელია (ისკები)...(იხ. კლარჯეთი, 2016:544).

ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა:

ა. ტონური მახვილი მეტ-ნაკლები ინტენსივობით დადასტურდა ოთხივე სამხრულ დიალექტში, თუმცა სისტემურად იგი დასტურდება ტაოურში. ტონური მახვილი სიტყვას მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე და გამოიხატება მახვილიანი ხმოვნის დაგრძელებით.

ტონური მახვილი ტაოურის სხვა სამხრულ კილოთაგან ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია.

ბ. არსებული მასალები გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ისტორიულად ტონური მახვილი მთლიანი სამხრული მეტყველებისათვის იყო დამახასიათებელი.

\* \* \*

კვლევის პროცესში გაგვიჩნდა კითხვა: ტონური მახვილის თვალსაზრისით რა მდგომარეობაა ქართული ენის სხვა კილოებში? „... დიალექტების გამოწვლილვითი ანალიზი საშუალებას მოგვცემს მიახლოებით მაინც აღვადგინოთ მახვილის სახე უძველეს ქართულში“ (ფადავა, 1997:110). კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართავთ ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას (დასანანია, რომ ყველაფრის გათვალისწინება ვერ შევძელით).

ს. ჟღენტის დაკვირვებით, მახვილის თვალსაზრისით ხევსურულის, მთიულურისა და მოხეურის შესწავლით დადგინდა, რომ „მთის კილოებში ადგილის მიხედვით ტონის მოდულაციამში არაა განსხვავება. ეს თავისებური აქცენტუაცია სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის. თუ მარცვალთა რაოდენობა გადიდა ბოლოდან, მაშინ აქცენტუაცია ისევ ბოლოდან მეორეზე გადაინაცვლებს. ასევე მარცვალთა რაოდენობა თუ შემცირდება ბოლოში, მაშინ მახვილი წინ გადმოინაცვლებს“. მკვლევარი მოიყვანს მაგალითებს:

**მთიულური:** კა'ლო, მაგრამ კალო'ში...

**ხევსურული:** შენ საით მიდი'ხარ? ჯუთასა?...

**მოხეური:** ძრიალ გულაბეზა'რი მთაა მყინვარი... (ჟღენტი, 1956:259–266).

თ. უთურგაიძე წერს: „ოსცილოგრაფიით მთის დიალექტებში (მთიულურს გარდა) ბოლოდან მეორე ხმოვანი მეტი სიგრძისაა, ტონისა და ინტენსიობისაა დანარჩენ ხმოვნებზე და სიტყვის მარცვლიანობა რაც უფრო ნაკლებია, მით უფრო გრძელია ბოლოდან მეორე ხმოვანი“ (უთურგაიძე, 1966:89).

მახვილისა და ინტონაციის საკითხს მოხეურში შედარებით ვრცლად განიხილავს ივ. ქავთარაძე. იგი უპირველესად ყურადღებას მიაქცევს ილია



ქავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ მოხევის მეტყველებას, სადაც მწერალს ბოლოდან მეორე მარცვლის ხმოვანზე მახვილი დაუსვამს: ადრი'და ა'ვად თუ კარგად ჩვენ ჩვე'ნი თა'ვნი ჩვენა'დვე გვეყუ'დნეს, მით ი'ყვის უ'კედ... (უთითებს: ილია, II, 1950:28)... ასეთივე მდგომარეობაა დღევანდელ მოხეურშიცო. მახვილი ბოლო მარცვლისეულ (sic. უნდა ბოლოსწინა) ხმოვანს მოუდის ყველა სიტყვაში: წავი'და, სოფე'ლჩი, წერწე'ნა, ველო'დი... (ქავთარაძე, 1985:31–32). მკვლევარი მიუთითებს, რომ ამ მოვლენისათვის ყურადღება მიუქცევია ჰუგო შუხარდტს, რომელმაც „გაკვრით აღნიშნა ოსურის შესაძლო გავლენა მოხეურზე“ (უთითებს: Schuchardt, 1895:12-13). ივ. ქავთარაძის დაკვირვებით, ოსურის გავლენა მოხეურზე აბსოლუტურად გამოსარიცხია, რამდენადაც დიდგორულ დიალექტში (სამხრული) მახვილი „ძირითადად ქართულისებურია“, ირონულში (ჩრდილოური) „კი მახვილის კანონზომიერება დამოკიდებულია გრძელ და მოკლე ხმოვანთა მქონეობაზე და მათ რაოდენობაზე სიტყვაში. მახვილი არაა ფიქსირებული, მაგრამ ამ თავისებურებას მახვილის ხმარებისას მთავარი მნიშვნელობა აქვს“ (უთითებს: Абаев, 1949: 100; 529-531; Ицаев, 1966: 26. იხ. ქავთარაძე, 1985:32) და აკეთებს საყურადღებო დასკვნას: „როგორც ჩანს, დიდგორული დიალექტი უფრო დაიახლოვა ქართულმა მახვილის მხრივ, ვიდრე პირიქით“ (ქავთარაძე, 1985:32).

მახვილს ხევსურულში გამოკვლევა უძღვნა ავთ. არაბულმა. სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი: „ქართული ენის დიალექტებში მახვილის მხრივ ერთნაირი მდგომარეობა არაა. ცალ–ცალკე შესწავლას მოითხოვს ტონური და დინამიკური, ფრაზისა და სიტყვათმახვილის გამოვლენა“ (არაბული, 1981:118).

განიხილავს რა ხევსურულის მასალებს ავთ. არაბული წერს: „ხევსურულ დიალექტში ბოლოკიდური ხმოვანი ვერ ძლებს და რედუქციას განიცდის (სრულს ან ნაწილობრივს). ამ საყოველთაო რედუქციის მიზეზი ძლიერი დინამიკური მახვილი (sic) უნდა იყოს, რომელიც ისტორიულად ბოლოდან მეორე მარცვალს იკავებს, მაგრამ სინქრონულ ჭრილში მახვილიანი ფაქტიურად ბოლო მარცვალი ჩანს, რამდენადაც სავარაუდო ბოლო ხმოვანი რედუცირებულია“ (არაბული, 1981:121. შდრ. ჟღენტი, 1956:259–266).

ხევსურულში „მახვილიან მარცვალს ახასიათებს ძლიერი ინტენსიობა და მარცვლის მეტი გრძლიობა“ (ჯავახიძე, 1975:115).

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ მთიულურში, ხევსურულსა და ფშაურში შენახულია ტონური მახვილი, იგი ფიქსირებულია და სიტყვას მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე (თუმცა მახვილის ფუნქციონირების განსხვავებული ნიუანსები დასტურდება ხევსურულში, რაზეც მიუთითებს ავთ. არაბული). განსხვავებულ ვითარებაზე მიუთითებს ფშაურში გ. ცოცანიძე: „მახვილი ცალკე სიტყვასაც და ფრაზაში „სამახვილო ცენტრსაც“ მოუდის თავიდან მეორე მარცვალზე“ (ცოცანიძე, 1978:141).

ალგეთის ხეობის ქართლურისათვის თ. სალარიძე შენიშნავს: „... არცთუ იშვიათია ტონური (კითხვითი) მახვილის გამოყენების შემთხვევები ბოლოდან მეორე მარცვალზე. ამგვარი ვითარება ძირითადად ზემო სოფლების... მეტყველებაში უფროა შენიშნული: რა ქნეს ვერ იპო'ვს? (თონეთი); ისევ მოხვე'დი შენ ნატამა'ლზე? (სალარიძე, 1978:42).

ტონურ მახვილს ხედავს არ. მარტიროსოვი ჯავახურშიც (მარტიროსოვი, 1984:48–49). ავტორის მსჯელობაში არეულია დინამიკური და ტონური მახვილი: „წინა მარცვალზე ინტენსიური დინამიკური მახვილის გამოა, რომ ზოგჯერ ზმნას მთელი ბოლო მარცვალი ეკვეცება. აქ საინტერესო ის არის, რომ მარცვლის მოკვეცის შემდეგ მახვილი გადაინაცვლებს და ისევ თავის ადგილას (ე.ი. ბოლოდან მეორე მარცვალზე) აღმოჩნდება. მაგ. მოზრუ'ნდი>მო'ზრუ! მოიცა'დე>მოი'ცა! მომიტა'ნე> მომი'ტა! (მარტიროსოვი, 1984:49).

**შეგნიშნავთ:** სამ და მეტმარცვლიან სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზე ტონური მახვილის მოდის და არა დინამიკური.

ქვემოიმერულში მახვილს სწავლობდა კ. კუბლაშვილი. მკვლევრის ვრცელი მსჯელობიდან ჩვენთვის საყურადღებოა: „სმენითი შთაბეჭდილებით ქვემოიმერულში უპირატესად ტონური, ანუ მუსიკალური მახვილი გვაქვს დინამიკური მახვილის ელემენტებით... ტონური მახვილი ხან მეტად არის გამოჩინებული, ხან – ნაკლებად“ (კუბლაშვილი, 1985:53). დაბოლოს, „... ფრაზის ტონური მახვილი (sic) სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზეა: იმან არ თხო'ვა.. ის ადგილი ქე გეცო-დინე'ბა; რავა ტყულათე ელაპარაკე'ბი...“ (კუბლაშვილი, 1985:54–55).

ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომ ქვემოიმერულს ახასიათებს ტონური მახვილი და იგი მოუდის სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე. დიალექტში მახვილთან დაკავშირებით არის სხვა ნიუანსებიც, მაგრამ ახლა ეს არაა ჩვენთვის მთავარი.

ო. მიქიაშვილი ყურადღებას მიაქცევს რაჭულისათვის ნიშანდობლივად მიჩნეულ კანონზომიერებას – „მახვილის ბოლოდან მეორე მარცვალზე დასმის წეს“: ვინმეს ნა'ვხავ? სა'დე იცი? ნა'ვხავ ძველს ვინმეს? (უთითებს: ძიძიგური, 1970:62. იხ. მიქიაშვილი, 1986:34–35).

გურულში მახვილს ჩვეულებრივ ახლავს „ხმოვნის გაგრძელება და ხმის ამალღება. მახვილი ამჟამად ბოლოდან პირველ მარცვალზეა უმთავრესად, მაგრამ ისტორიულად უნდა ყოფილიყო მეორეზე“ (იმნაიშვილი, 2006:96).

ამდენად, აღმოსავლეთის მთის კილოებში (ხევსურული, მთიულური, მოხეური), ქართლურში, ჯავახურში, იმერულში, რაჭულში, გურულში, აჭარულში, შავშურში, კლარჯულში, ტაოურში... დასტურდება ტონური მახვილი, რაც გვადლევეს საფუძველს ვივარაუდოთ:

– ტონური მახვილი ისტორიულად დამახასიათებელი იყო ქართული ენისათვის. ზოგიერთ დიალექტში იგი დღემდე დაცულია, ზოგშიც – მიღეულია.

– ტონური მახვილი ფიქსირებულია და სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის.

– მახვილიანი ხმოვანი გრძლად წარმოითქმის.

ტაოური ქართული ენის ერთი იმ კილოთაგანია, რომელსაც დღემდე დაუცავს ისტორიული ვითარება, – ტონური მახვილის სახით.

ვიდრე დავასრულებდეთ საუბარს, მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ ფაქტს: არნ. ჩიქობავამ ჭანურის ათინურ და არქაბულ კილოკავებში დაადასტურა ფაქტი, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი საკითხისათვის. მოვუსმინოთ ავტორს: „... ათინური და არქაბული ტექსტების ჩაწერისას დაადასტურებული იქნა ტონური მახვილის (თუ ტონური მახვილის ტიპის ხმის ამალღების) არსებობა

ჭანურში. მისი ადგილი გარკვეულია: თითქმის ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (იშვიათად უკანასკნელზე)“, სათანადო ხმოვანი გარძელებით გამოითქმის. ეს მოვლენა სრული ანალოგია იმისა, რაც მთიულურსა და ზემო რაჭაში, – გლოლა, ჭიორა, ღებში გვაქვს“ (ჩიქობავა, 1936: 42; 124. შდრ. ჟღენტი, 1953:191; როგავა, 1963): ხოჯა ჰიმ კოჩის ანთხრზუ (ხოჯა იმ კაცს გამოუდგა); მევა'თუმს (ჭრის, კვეთს)...

გ. როგავა ტონურ მახვილს ხედავს მეგრულშიც, რომელიც სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალს მოუდის (იხ. როგავა, 1963: 8).

ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ტონური მახვილი საერთო ქართველური მოვლენაა, სხვაგვარად, ტონური მახვილი უძველესი ქართველური ვითარების ნაშთია თანამედროვე ქართველურ ენებში.

## თავი II. მორფოლოგია

### §1. არსებითი სახელი

#### 1.1. ბრუნვები, მრავლობითი რიცხვი

ტაოურში შეინიშნება თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი და წრფელობითი ბრუნვების მონაცვლეობის შემთხვევები. ფართოდ არის გავრცელებული სახელის ფუძის სახით ხმარება მოსალოდნელი სახელობითის ნაცვლად. ასეთი ფორმები ძველი ქართულის წრფელობითს უტოლდება (ცინცაძე, 2002: 187).

##### 1.1.1. მხოლობითი რიცხვი:

ქვემო **მეტ ხალხ** არ ყოფილა; ბევრი **ნადგომ** ადგილია აქა; იქ, ქომო **ელიასხვე** არი; - ჩემი აღასი - **თურან**; ქართველი ვარ, ქართველ ვიყო (ელიასხვე); ართვინში ვერ მითქვია, ქართველ ვარო (ელიასხვე); ქედაზორ დაჰწერე? (წითლევეკარი); ეს სოფელი ორასი **თუთუნი** იყო უწინ, მარტო ბურსას ამ სოფლიდან სამასი **თუთუნ** არიან (ბასლეკარი); ამით **წყალ** არ წამეილო, **წყალი** არი (წითლევეკარი); ორ **წელწად** იქნა ჩომოედით (ხევამ); ფით **წელწად** ყოფილან (წითლევეკარი).

ეს ბოლო მაგალითი დავიმოწმეთ იმიტომ, რომ, როგორც წესი, დიალექტებში (და ხშირ შემთხვევაში სალიტერატურო ქართულშიც) ნორმით გათვალისწინებული მიცემითი ბრუნვის ნაცვლად გვაქვს სახელობითი.

ტაოურისთვისაც დამახასიათებელია პირდაპირი დამატების სახელობითი ბრუნვის ფორმით შეწყობა პირველი სერიის მწკრივებთან; ამ შემთხვევაშიც სახელობითს ხშირად ენაცვლება წრფელობითი:

ჯამი ქომოა, **ნამაზ** კითხულობენ (ბინათი); ოჯალში **სადგარ** დავდგამთ (ბინათი); ...ინშათი და **ქოხებ** აშენებდა (ქონობანი); ე **ხენარი** ხიზრავს, ე **ხიზრებ** ლესავენ, ე თახთები გარენდებს... (ობლეკარი)...

ანალოგიური ფორმები ხშირია -ებ-იან მრავლობითში:

სამ **კაცებ** არიან; აქ **ტყეებ** ყოფილა; **ტახებ** არიან; ეს **მეზობლებ** არიან; **წყლებ** აქიდამ მოდის; **ბგანებ** და, მე ერთი თანე ბგანო მყავს... (ობლეკარი); ახლა **დათვებ** არიან აქა (ფიშნარხევი); **ხენჭებ** ვერ ეპარიკებიან, ხთებიან (ხევამ); **თევზებ** არიან (ელიასხვე); **წყლებ** აქედან მიდის (ელიასხვე); აქ **ტყეებ** ყოფილა (ელიასხვე); ჩვენ კიდე ვიცით, **ლენჭებ** აღარ იციან გურჯიჯა (ბალხიბარი), ჩვენ **ლარჭებ** არ იციან (ხევამ); **ახალმოსულებ** აღარ იციან (ბალხიბარი)...

შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ბოლო სამ ფრაზაში **ლენჭებ**, **ლარჭებ** და **ახალმოსულებ** ენაცვლება სახელობითს და არა მოთხრობითს, რადგან ტაოურში

ქვემდებარე ზოგჯერ მოსალოდნელი მოთხოვნიტის ნაცვლად სახელობით ბრუნვაშიცაა: **მოზობლები** ტიკით იფერხულეს (=იციკვეს) (ხევად).

ტაოურისთვის ჩვეულებრივია სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელებზე **-ის (>მ)** დართვა:

ჩემი **ნენე** ჭიმჭიმულია (ბინათი); ჩემი **დედე** და **ნენე** ლაპარიკობდენ [ქართულად] (ბინათი); გურჯი სამი **ქომ** და მაჰალეზია (ელიასხევი); **...აჟდამ** წუმოდლო (ელიასხევი); აქეთ გედარს **გზამ** ართვინ გადავა (ქუაზაგი); ჩემი **დედე** ბათუმ არი (ელიასხევი); ჩემი **დედე** იყო იქ. ჩემი **დედე** ათი წელწადი თუ იქნება, მოკდა (ცუცეკარი); ერთი **დედე** მყავ ბათუმ (ელიასხევი); ჩემი **დედე** იქ არი (ელიასხევი); ჩემი **დედე** სექვზე დაბადულა ქვაბაში (ქისქიმი); **...ყამალის ძირამ** ყველი, ყველის **ძირამ** საჭმელი... (ელიასხევი); მარტო **დედამ** არი, **დედამ** ნახვარი ავათ არი (ქუაზაგი); მისი **ბაბომ** მომკდარა იქ (ქუაზაგი); **...მისინამ** სარზე ებმება (ფიშნარხევი); ერთიც **ტამ** მყაულა, ერთიც ჩემი **ძმამ**... (ქუაზაგი); **...ჩემი ანამ** ბევრ იჯებოდა (ქონობანი); ჩემი **ტადომ** დიდია, იმა ვუპოვოთ (ქისქიმი); მე მისი **ხალამ** ვარ (ფიშნარხევი); ესეც ჩემი **ტადა**, ამის კაცია (ქუაზაგი); **...ახლა** მივდივართ ასე, **გზამა**, ფეხი გზა, გზა პატარა (ელიასხევი); მე აქ ერთი **ქომ** არი, შუადერე ქვიან, იმ სოფლიდამ ვარა მეო (ქუაზაგი); აქ **ქვამა** და ბუქი, იმდაგვარ **ქვაბამ** დუურქმიან (ქუაზაგი); ორი **ბალანამ** არიან (ხევეკი); **არაბამ** მივა (ელიასხევი); **დუამ** ვიკითხებდით (ქონობანი); **ანამ** თუ კამა, **ბგანომც** კამ იქნება (ქუაზაგი)...

საკუთარი სახელები:

**თამარამ** იმტე გურჯის ფადიშაჰის ბგანუ... (მოსლიეთი); ჩვენი **ჭუსეინამ** თუ? (ქუაზაგი.); ედა ჩემი **უსეინამ** ავჯობას იჯება (ცუცეკარი); ერთი **რეჯებამ** არი, ქეჩეჯი, ქეჩებ აკეთებს (ხევეკი); ღენჭები ოთხი... ერთი **აჰმედამ**, ბლანო გათხოვილია (ქუაზაგი); **ფერუზამ** დეკაცი ყოფილა, იქიდან **ფერუზიანი** (ელიასხევი); **აიშომ** ჩელიქ, **ლეილამ** სალიყაია, ზეჰრა დინჩ (ქუაზაგი); **აიშომ. აიშომ, აიშემ**, რა'ცხას დიმიძახეფ (ჭილათი); **...ძველათ** ქუაზაგ ერქვა, ახლა **კევამ** ლივანე (ელიასხევი); **ქუაბამ** დორთ კილომეტრია აქედამ (ელასხევი); **ქალოცამ** იცი? - თველია **ქალოცამ**, იმ თვე მივდივართ (ქისქიმი); **ქალოცამ** იყო. თვეებია: ზეჰმერი, ქუჩუგი... **ქირეზამ, ჩურუგამ, ...ხარმანამ**... (ელიასხევი); ძროხის სახელები გინდა? **შეველამ, ფახლამ**, მიჭვრიტი (ბოწმინდა).

**-მ'(<ი)** ერთვის სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სხვა მეტყველების ნაწილებსაც:

**უკანამ** მაჰალე - ბასლეკარი (ბასლეკარი); **სუყველამ** ერთია და ცოც-ცოტა აზი გვირევია (ელიასხევი); **პეტრამ** ნაჯალია, დიდი - ცული



(ელიასხევი); ის ჩემი ბიჭია, **პეტრამ** (ხევეცი); ბაღანა არი **პუტურამ**, ვერ გიმიგდია (ფიშნარხევი); მე ვიცოდე, **მარტომ** დავთხრი (წითლეკვარი); ამ ხელსა წინაა აქოს, **უკანაა** აქოს (დუგური).

ერთსა და იმავე წინადადებაში ერთი პირის მეტყველებაში დასტურდება ნიშნის და უნიშნო ფორმები:

ბოლური ზე რომ შაადგება - **გაუნე** მაჰალე, ბოლური ზე რომ არ შაადგება - **გაუზე** მაჰალე (წითლეკვარი).

ტაოურში სხვა სამხრული დიალექტების მსგავსად (იხ. შავშეთი, 2011:244; კლარჯეთი, 2016:545; ცინცაძე, 2002:189) ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელებს მოთხრობით ბრუნვაში აქვთ ნიშანი -**მა**. მაჭახლელოთა მეტყველებაში მოთხრობითში -**მა** იშვიათადაა (მაჭახელი, 2017:220). -**მა** სუფიქსი ერთვის როგორც ქართულ, ისე თურქული ენიდან შემოსულ სახელებს.

საზოგადო სახელები:

**სიძემა** ხელი მტაცა; **ბაბომა**, ჩემ **ბაბომა** ასე ქნაო-და; ჩემ **ბაბომა** ასე ვესიათი ქნაო... (ქუაბაგი); ამის **ბაბომა** ბეური ლექსი იცის (ცუცეკარი); **წუმამა** გააფუჭა, **წუმამა** [ბალი] (ჭედლიანკარი); ...იმან გასხნა, **ბგანომა**, მუსაფირები მოდიანო (ბინათი); **ანამა** გურჯიჯა ბვერი ხვარათი იცის (ხევად); **დედემა** გაყო იშტე, სახლის თავადმა გაყო (სადგიყანა); ჩემმა **ებემა** თურქია არ იცოდა (ფიშნარხევი); ჩემი ქალის **ბაბომა**, ასი წლის იყო მოკტა, გურჯული არ იცოდა (იქვე).

საკუთარი სახელები:

**რეჯებამა** თქუას; ამან, **თუბამა**, სარიგოლ იკითხა (ქონობანი); **თამარამა** არლი ააშენა, პარხალ ქილისა ააშენა... **თამარამა** (ელიასხევი).

ერთ შემთვევაში -**მა** სუფიქსი ერთვის თანხმოვანფუძიან სახელს (როგორც ჩანს, გაგებულია ხმოვანფუძიანად): მათი კამანდარი გურჯი იყო, ი **გურჯიმა** აქ აღარ გომოგზანა... (ქისქიმი).

ერთი ფორმა შეგვხვდა ხმოვანფუძიან სახელთან მოთხრობითში -**მან** სუფიქსის დართვისა: ჩემ **ნენემან** არ იცოდა ქართული, არ უწავლია (ბინათი).

იშვიათად ხმოვანფუძიან სახელს ერთვის **მ**: იმხან ამბობდენ **თამარამ** მოდყვანაო რუ (ხევეცი).

1.1.2. **მრავლობითი რიცხვის წარმოება**. სახელების მრავლობითი იწარმოება - **ებ**, -**ნ/-თ** სუფიქსებით. სხვა სამხრულ კილოებთან შედარებით **ნარ-თანაიანი** მრავლობითი ტაოურში პროდუქტიულია.

-**ებ**:

ერმენ ხევეკში **ხრისტიანები** არიან (ელიასხევი); ჩვენი **დედეები**, დიდვანი **ბაბოები** ბათუმიდამ მოსულან (ელიასხევი); ე **ქალები** დაბერნეს, აღარ ესმიან (ელიასხევი); იქ **გურჯები** არ არიან (ელიასხევი);



კაკლები მოწვა (ბინათი); ასე დაწკარებული ვართ **მეზობლები** (ბინათი); ჩვენ **აშლები** ვართა (ბინათი); **ბაღნები** არ მყავს (ხევეკი); ესენი ჩემი **ნათესავები**||**ნათესები** არიან ყოლანი (იეთი).

ტაოურში -**ებიანი** მრავლობითის ფორმით დასტურდება სახელები, რომელთაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით მრავლობითი არ გააჩნიათ:

**ვაზები** ყოფილა, გურჯები მოდიოდეს (ცუცეკარი); ...აქო ნაწოლი გულისთუნ ჩონი **ხოწნები** გეგონეო (ელიასხევი); ძველ **ზამანებში** (=დროებში) ვინ გაკითხებს აეთიმ? (ბინათი); ჩვენი **რახები** კიდენ დარჩებოდა (ელიასხევი); მაშინ ბეური **ფულები** ქონებიან, ალთუნი **ფულები** (ელიასხევი).

-ნ/-თ:

**მოხუცნი** იმდერებდეს (ხევეკი); ჩვენ **ხისიმნი** ვართ (ქუაბაგი); თქვენ გეცოდინებიან, ჩუენზე **ნაკითხნი** ხართ (ქუაბაგი); აქ ცხოვრობენ **სულბიანნი, სალიანნი, ხოჯანნი, აჯარები, ჭიკვალეები, მოლიანნი, დამალიანნი, კარჩხლიანნი...** (ელიასხევი); **გუდასხეველთა** მეზრე არ აქვან, ბარი აქვან (ელიასხევი); საყდარზე **ძველთ** უნთიან, მუმი არ იყო, სხვა რამ უნთიან (ხევეკი).

ხშირად გვხვდება ორმაგი მრავლობითის ფორმები:

**გურჯებთა** უმენებიანო პარხალი (ხევეკი); ...სხვა **დათვებთ** აქვან დუგუნი (ხევეკი); **ჭალებთ, ყანებთ** ვწყავთა (გოდდეკარი); **ქართველებთა** უთქვიან მისთვის (ბინათი).

შ. ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ „ტაოში ჯერ კიდევ სრულად არ გაბატონებულა -ებიანი მრავლობითი, იმოწმებს ორმაგი მრავლობითის ფორმებსაც: **კაცებთა** თელათ იციან (ფუტკარაძე, 2016:283). ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ ტაოურში ხშირია **თანაინი** მრავლობითის ფორმები, რაც ძალიან იშვიათია თანამედროვე სამწერლობო ქართულში:

**ბევრთ** იპოეს ალთუნი (ცუცეკარი); გურჯიჯა მასზე **პატიტვანთ, წურილთ** არ იციან; **კაცებთ** თელთ იციან; ჭილათში ღარჭებმა ზოგთ იციან გურჯიჯა, **ზოგთ** - არა; **ქუაბელთ** და **ბალხელთა, კეველთა** იციან (ქუაბაგი).

მრავლობითი რიცხვის გარდა ზემოაღნიშნული წარმოებისა, რომელიც ჩვეულებრივია სალიტერატურო ქართულისა და დიალექტებისთვის, ტაოურში არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვი იწარმოება **-ნარ'** სუფიქსით, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელების მაწარმოებელია, „აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე: ნამენარი, ფიჭვნარი...“. ორიოდ შემთხვევაში **-ნარ** სუფიქსი ერთვის სხვა ტიპის სახელებსაც, როგორებიცაა მაგალითად: თიხა, ქვიშა, ქვა... (შანიძე, 1973: 145).

-ნარ' სუფიქსით მრავლობითი რიცხვის გამოხატვა სხვა დიალექტებისათვის უცხოა. ტაოელთა მეტყველებაში -ნარ' სუფიქსიანი სახელები, რომ ნამდვილად მრავლობით რიცხვს აღნიშნავენ ამის დასადასტურებლად პირველ რიგში დავიმოწმებთ ინფორმატორის განმარტებას:

თეფე ენ მაღალი ადგილია, **თევნარი** - ბევრი თაა (ელიასხევი); იქობაში - **თევნარში** ამოვებდეს (ქონობანი); **თევნარში** გოლი არი (ბასლევკარი); ჩვენი ქი გურჯები **თევნარი** გუხარდებიან, მაღლა'ნა იყვენ (ხევეკი); აქ ბევრი **ხევნარი** ყოფილა, ჩიტი ვერ გამრებოდა (ხევეკი); ...მერე ჩომოხვალ, იქო მწვანეები და **ხევნარი**, ის არის დეთის ველითამს საყდარი (ქუაბაგი); ბიჭი ერთ თანე ...**გზევენარ** იჯება, **გზევენარ** აშენებ[ს] (ქისქიმი); ...აქ **გზევენარ** ვაკეთებ, ხიდები არი... (ფიშნარხევი); **გზევენარი** კააა, ბეჩი არ არი (წითლევკარი); ახლა **გზევენარი** მოვდა... (ქუაბაგი); კევი იცი? ნამვი **ხევნარზე** იქნება (ელიასხევი); **ყვერევნარი** თავრობამ აშენეს (ხევეკი); წინაზე ბევრი **ტყევნარი** ყოფილა, უჭრიან (ქუაბაგი); **ტყევნარში** იქნებოდეს (იეთი); **თეფევნარია** აქა, თქვენი სოფლის **თეფევნარი** ჩანს (ქუაბაგი); იქეთ **კალოვნარია** - ჯარებ ვამუშავებდით (ქუაბაგი); ძველი **დღევნარი** მომაგონეთ (ბალხიბარი); ბევრი ბეჩი **კილდევნარში** წყალი მუყყვანია სავრიათ... (ხევეკი); ბოვრი ბეჩი **კელდევნარი**, წყალი მუყყვანია... (წითლევკარი).

**1.2. სახელის ფუძე.** თანხმოვანფუძიანია ზოგი სახელი, რომელთაც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ფუძე -ა ხმოვანზე უთავდებათ. ასეთებია - **ძეწნი** (>ძეწნი, შდრ. ძეწნა), **პეპელი** (შდრ. პეპელა), **მელი** (შდრ. მელა). ამავე რიგისაა **კალი** (<კალია):

**პეპელი** არი, ფრინავს, კალი ხტის (წითლევკარი); **მელი** არი, კურდღელი არი... (ფიშნარხევი); **მელი** არი, გელი არი აქა... **ძეწნი** - სოგითი (ქისქიმი); ეს **ძეწნია**, **ძეწნი**, ასკილი, ტირიფი, კაკალა (ცუცეკარი) (ცინცაძე, 2002: 189).

აქვე შევნიშნავთ, რომ **ძეწნი**'ს პარალელურად დადასტურდა **ძეწანი**: **ძეწანი** ხე, სოგუთი, ასკილი... (იეთი).

არის პირიქით შემთხვევებიც - ზოგი თანხმოვანფუძიანი სახელი ტაოურში ხმოვანფუძიანია, ასეთებია: **კაკალა**, **ქედა**:

ამ **კაკალა** ...კაკალი ხეა (ელიასხევი); **კაკალა**, ტყიმალი, ძეწნი, არდუჩი, შავი ველაა... (ელიასხევი); ეს ძეწნია, ძეწნი, ასკილი, ტირიფი, **კაკალა** (ცუცეკარი); აქ ყოლი რამ არი, **კაკალაზე** მისლამდი, შინდზე მისლამდი (ცუცეკარი); ეს **კაკალაა**, ის მუშმულაა (ცუცეკარი); მთის უკან **ქედა** არი, ჭილჭიმი, ახლა ჯევიზლი (ბინათი).

სალიტერატურო ქართულში არსებულ თანხმოვანფუძიან ანთროპონიმებს ტაოურში დაერთვის -ა' ხმოვანი და იქცევა ხმოვანფუძიან სახელად. ეს მოვლენა დამახასიათებელია საერთოდ სამხრული მეტყველებისათვის (იხ. მაჭახელი, 2017:221; კლარჯეთი, 2016:545).

ხელები დაძრომია **თამარას** გაგზანილ კაცსა (ელიასხევი); ჩვენი **ჭუსეინა** თუ? (ქუაბაგი); ჩემი **უსეინა** ავჯობას იჯება (ცუცეკარი); ერთი **რეჯება** არი, ქეჩეჯი, ქეჩებ აკეთებს (ხევეკი); ღენჭები ოთხი... ერთი **აჰმედა**... (ქუაბაგი)...

იშვიათად ამ ჯგუფის სახელები თანხმოვანფუძიანია:

წამოსლა მინდა და არ მცალია, **მეველუდმა** იცის (ხევეკი).

ტაოურშიც, ისევე როგორც საერთოდ სამხრულ დიალექტებში, ზოგიერთი ხმოვანფუძიანი სახელი სხვადასხვა ხმოვნით ბოლოვდება, ეს მოვლენა განსაკუთრებით თურქულიდან შემოსულ სახელებს ახასიათებთ (შავშეთი, 2011:243; მაჭახელი, 2017:224).

**აიშო//აიშე**: **აიშოდ**, **აიშედ**, რა'ცხას დიმიძახეფ (ჭილათი).

**ბგანო//ბგანუ**: ჩუენ „**ბგანო**“ ვეტყვით, თქუენ – გოგო (ბოწმინდა); თამარად იშტე გურჯის ფადიშაჰის **ბგანუ**... გურჯისტანის ფადიშაჰის **ბგანუ** (მოსლიეთი).

**მეზრე//მეზრა**: დედა-მამა **მეზრეში** არ არიან (ქუაბაგი); აქ ერთი **მეზრა** არი, კუპრეთია მისი სახელი (ელიასხევი).

**ქილისა//ქილისე** (kilise): გახველით პარხალ? იქა დიდი **ქილისე** არი (ბასლეკარი); **ქილისე** ყოფილა (ქუაბაგი); ინტკორში **ქილისა** არ იყო (ქუაბაგი); დორთ **ქილისა** ეტყვიან ახლა (ბასლეკარი).

ერთი და იგივე სახელი ორგვარი დაბოლოებით (თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი) არის წარმოდგენილი:

**ცერცი//ცერცვა**: ქერი, **ცერცი**, შავი **ცერცვა**, ქართოლი... ლობიო ვთესევდით, ლახანა (იეთი);

**დევი//დევე**: ისე დიდ კაც **დევე** ვეტყვით.დიდი კაცი, გბელი კაცი, ჩვენ **დევი** ვეტყვით, დევეკაცი (ფიშნარხევი).

**გზაბაწარი//გზაბაწარა**: ფეხი გზაა, **გზაბაწარა** (ელიასხევი); იქ **გზაბაწარზე** გეძარებენ ჯარები (ელიასხევი).

**თენჯერი//თენჯერე** (თ.tencere): ...მას უკან **თენჯერში** სოღანი'და მოხრაკო... მემრენ ლებულო ჩაყარე **თენჯერეში**... (ქისქიმი).

**ჯამე//ჯამი** (არ. cami): ...**ჯამი** ქომოა, ნამაზ კითხულობენ, **ჯამში** ვინმე წიგიყვანდეს არაბით, ვილოცავთ (ბინათი); ჰო, სოფელი ძველია, **ჯამე** სამი ასი წლისაა (ბინათი).

**მეტრი//მეტრო**: თოვლი დიდი იყო, სამი **მეტრო**, ოთხი **მეტრო** (იეთი); ორი **მეტრი** თოვლი მოდის (ელიასხევი).

**1.3. მავრცობი ხმოვანი.** მავრცობი ხმოვანი -ა' დამახასიათებელია სამხრული მეტყველებისათვის, იგი განსაკუთრებით პროდუქტიულია მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში (შავშეთი, 2011:245; კლარჯეთი, 2016:546; მაჭახელი, 2017: 222). ასევეა ტაოურშიც. დავიმოწმებთ მაგალითებს:

ლებიოში გურევთ **მარქვალსა** (ქონობანი); შინებთან **ხალხსა** ქი (ელიასხევი); სამოცი და ოთხი **წლისა** ვარა და... (ცუცეკარი); ...**რუსებსა** მუხებით ქალებითინ ხელები უსიან (ქუაბაგი); ამ **ხესა?** გურჯიჯა ბრეწეული... (ჭილათი); გზაჩი შააგებებენ **ბიჭსა**... (ცუცეკარი); კი **ქალსა** ჩუსმენ **ბიჭსა** (ცუცეკარი); ხელები დამრომია თამარას გაგზანილ **კაცსა** (ელიასხევი); იმ **ქემშიშა** მის ბაღვითვინ უთქვია... (ბასლეკარი); **დათვისა** ეტყვის იბრაიმიან ბებერი... (ხევეკი); **დოხ, დოხ, სიძისა** არ არი დადე (ცუცეკარი); ...**მარქვალი** არი, **ბიბერი**, **წითელისაც** არი, **მწვანესაც** არი, **ლახანა**... (ქონობანი).

იშვითად მავრცობი არის მოქმედებით ბრუნვაში, მონაცვლეობს მავრცობიანი და უმავრცობო ფორმები:

კედლები **ხიზრით** დავხიზრავდით, ...**ხიზარით** დავხიზრავდით, **ხიზრითა**... (ქუაბაგი); ბებერი გაპარცავს **დათვისა**, მერე გაჩეჩავს, შექნის **ნართსა**, დართავს **კედს** (ხევეკი).

**1.4. კუმშვა.** სალიტერატურო ქართულის მიხედვით კუმშვადი არსებითი სახელები ტაოურში უკუმშველია, ეს მოვლენა ჩვეულებრივია სამხრული მეტყველებისათვის (იხ. შავშეთი, 2011:245; კლარჯეთი, 2016:546; მაჭახელი, 2017:219).

**პარხალის** ზედან ჰუტრუდ ქილისე იყო, დედნგრა (წითლეკვარი); ...**თოვლი** - ფად წუმშა, **წყალიდან** - ღვარი წუმშა (დეუგური); თქვენში ესე ცივი **წყალები** არი? (ქისქიმი); სამი ხანე, ხუთი ხანე **სომხეები** იქნებიან (ხევეკი).

შეუკუმშავი ფორმების გვერდით გვხვდება შეკუმშულიც:

ერმენები ყოფილან, **სომხეები** ყოფილან (ელიასხევი).

თუმცა იკუმშება ზოგი უკუმშველი არსებითი სახელი:

...შიშა მუუგროვებია, ნაძვის **ტლები** (ხევეკი); კვეთი რა არი?

**ნაწვლით** კეთდება? (ქისქიმი).

არსებითი სახელი **ბებერი** შეკუმშულია სახელობით ბრუნვაში:

ამისი ებედ ადგა, ჰოუ? **ბებრი** ყოფი'ლა, ადგა და დეეჭირეს... (ხევეკი).

მხოლოდ ტაოურში შეგვხვდა ლექსიკური ერთეული **სახელი** შეკუმშული ფორმით, იკუმშება სახელობითსა და **-ებ**იან მრავლობითში:

ენ წინ მილეთი ყოფილა, ბასლეთები ყოფილა, მილეთის **სახლი** - ბასლეთები, იმ ბარზე ემეა, სოფლების **სახლები** და უკანად კარი; ...**რომელცხა** მილეთი არი, იმათი **სახლები** - კარი (ბასლეკარი); ქორიათი (გურჯიჯა **სახლებია** ბოინა), ბალხიბარი... (ქონობანი); ჩვენი **სახლები** გურჯია (ქუაბაგი).

ნასესხები არსებითი სახელები, რომელთა ფუძეები აგებულებით კუმშვადია, ექვემდებარებიან ქართულ ენაში მოქმედ წესებს - იკუმშებიან:

ჭალად'და მოჭრას **თირფნით**. ზოგი **თირფნით**, ზოგი მანგლით (ცუცეკარი); წითლეკვარის **ლაღბებია**: ჭარაბიანნი, მანასიანნი...

(წითლეკვარი); ...მარტო **მარქელი** ფორვა ვიქთა (ქონობანი); მასკვა ჩამოსულან **ასკრები**... (ქისქიმი); აჰადა **ფიდნებ** ვწყავ (ბალხიბარი).

შეკუმშული ფორმების გვერდით დასტურდება ერთი და იმავე სახელის შეუკუმშავი ფორმები:

**ასკრების** თავი გურჯი ყოფილა (ელიასხევი); თურქეთიჩი გუმუჟვილიან რუსის **ასკრები** სუყველა (ელიასხევი).

1.5. **კვეცა**. უკვეცელია სალიტერატურო ქართულის ნორმის მიხედვით კვეცადი სახელები, ეს წესი თანაბრად ვრცელდება როგორც საზოგადო, ისე საკუთარ გეოგრაფიულ სახელებზე. ასეა ეს სხვა სამხრულ კილოებშიც (იხ. შავშეთი, 2011:246; კლარჯეთი, 2016:546; მაჭახელი, 2017:219-220):

...ონდასონრა გააპტყელო'ნა **უტრადთა** (ქონობანი); **მამამს** დედა არ ილაპარიკებდა; თქვენ **მანქანადთ** მოხველით თუ? (ობლეკარი); ძველათ პატიკაჲ **ზგადთ** წევდოდით ჭილჭიმს (ბინათი); **მთადამ** ჩამოვტანეთ, დაეზიზრეთ (ობლეკარი); **მამასი** ალაჲ იყო; მე აქო ქოხი ვაშენებ, **ხედამ**, თახთადამ (ობლეკარი); ბექირი ჩემ **მამას** დის ბერია (ქუაზაგი)...

**შდრ.**: ძველი აქა ჩვენი **მამის დედაები** არიან (ელიასხევი); ჩვენზე **პეტრები** არ იციან [გურჯული] (ბინათი); **სარაკუნაები**, **სარაკუნაები** არ აში'ნებთ (ცუცყარი).

**დევესეკარამს** ბარის სოფლები მე გითხრა შენ... (ხევეკი); ოთხი თანე ძმა მოსულა **აჭარადამ** (ფიშნარხევი); ჩვენი დედეები **აჭარადამ** მოსულ არიან (ელიასხევი); იმეთიჩი ჩვენი დედეები ყოფილან იშტე **აჭარადამ** მოსული (ელიასხევი); ჩვენი დედეები ორთა **აზიადამ** მოსულან (ობლეკარი); **ბორჩხაიადამ** მოდიან... (ბინათი)...

**შდრ.**: **ბორჩხადან** ჩემი ბერია (ფიშნარხევი).

უკვეცელია თურქული სახელები:

თევზს **კანჯადთ** ვიჭირავთ (ფიშნარხევი); **ანამს** ბეზის ქენარი დედნახე, ანაჲ დედნახე (ქუაზაგი).

პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი თურქული სახელი **არაზა**:

იმა ზურგით მუტანია, ჩვენ **არაზადთ** ვერ მოვტანთ იმა (ფიშნარხევი); მახათეთ **არაზადთ** დადის ჩემი ძეგანი (ელიასხევი); **შდრ.**: ჯამში ვინმე წიგიყვანდეს **არაზით**, ვილოცავთ (ბინათი).

როგორც ვხედავთ, ტაოურში უმრავლეს შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი ძველ ვითარებას გვიჩვენებს: **-ის'>-მს'**, **-ით'>-მთ'**. **-მს'**, **-მთ'** ნორმაა ფუძეუკვეცელ სახელებში:

**თამარამს** წყალი სავრიათ **ხედამ** დევთისას მივა (ელიასხევი); **გოგომს** სახში წვევალთ (ბინათი); ი სავარცხელი დიდი **ოქროდან** ყოფილა (ხევეკი).

მხოლოდ იკვეცება, არ იკუმშება **კაკალა**: აჲ კაკალა... **კაკალი** ხეა (ელიასხევი). დაკარგულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი; მოსალოდნელი იყო შეკუმშულიყო კიდეც: **კაკლი(ს)**. ასეთი ფორმები უცხო არაა სამხრული მეტყველებისთვის. **შდრ.**: **ბაჯალა** - **ბაჯლის**, **ლახანა** - **ლახნის**, **ბაღანა** - **ბაღნები**



(შავშეთი, 2011: 246). შდრ.: ასევე: კაკალი' - ნაყოფი: ვაშლი-მაშლი სავსე, ჰამაჰარ ასხია, კაკლები მოწვა, ერთი თანე არ არის...(ზინათი)...

## §2. ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი ტაოურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში თავისებურებით არ გამოირჩევა. ყურადღება შევაჩერებთ ერთ შემთხვევაზე, რომელიც სხვაგან არ შეგვინიშნავს: ტაოელთა მეტყველებაში ზედსართავი სახელი **პატარა'** გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით: **პატარა>პეტერა** (**//პეტერე**)**//პეტურა//პუტურა//პუტური**:

**პეტერა** ბალხი არი (წითლევეკარი); მული მყავს, **პეტერა** მული გათხოვილი'ა ადაფაზარ (ზოწმინდა); წუმა არ წუმს, წყალი **პეტერა**, სიცხეა, დედწვა (ზინათი); **პეტარა** ბიჭი ალმანიაშია (ელიასხევი); ჰემ **პეტერა** ბურსაში გავათხვე (ზინათი); **პეტერა** ვიყავი, ბეური მესმოდა (ხევეკი); **პეტერა** ათ და სამი წლისაა (წითლევეკარი); **პეტერე** ბავში ვიყავ (ელიასხევი); **პუტური** - ღენჭი (ბალხიბარი); ბაღანა არი **პუტური**, წვრილი, ვუმზირო'და. ...ბაღანა არი **პუტურა**, ვერ გიმიგდია, ჩემი თორია (ფიშნარხევი); იმხან მე **პუტურა** ვიყავ („აგარა“)...

ამოსავალი **პატარა'** იშვიათია: **პატარა** ბერაბერ ერთფერა გევზარდეთ (ხევეკი).

ფონეტიკურად სახეცვლილი ეს ფუძეები ტაოურში **შეკუმშული ფორმითაც** გვხვდება: **პეტრა//პეტრე//პუტრუ**:

დიდი ბალხი ესაა, **პეტრა** ბალხი არი (წითლევეკარი); **პეტრა** დურგი (ხევეკი); ჩემ **პეტრა** ბიჭი ზოორი უხლართა, არ იცის, მიხტება (ელიასხევი); მე აქიდან **პეტრე** წვევ და... (ხევეკი); ...მახალა - გოდორზე **პეტრა** (ხევეკი); ჩვენზე **პეტრაები** არ იციან [გურჯული] (ზინათი); პარხალს ზედან **პუტრუ** ქილისე იყო, დედნგრა (წითლევეკარი).

შეკუმშული ფუძისაგან არის ნაწარმოები ახალი ლექსიკური ერთეული - **პუტრულიდან'** (=პატარაობიდან): ისინი **პუტრულიდან'** ხვარათობენ (წითლევეკარი).

შეკუმშული ფუძე შედის ტოპონიმთა შემადგენლობაში: **პეტრა ბალხი, პეტრა ინტკორი, პეტრა დურგი, პეტრა მასისი**.

ერთ შემთხვევაში-ებ'იან მრავლობითში ამოსავალი ფორმა - **პატარა'** შეკუმშულ-შეკვეცილია: ამ **პატრებმა** ქართულებ იციან (ქუაბაგი).

არცერთი ზემოაღნიშნული ვარიანტი შავშურმა და კლარჯულმა არ იცის. თუმცა, **-ობა'** სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვაში **პატრობით'** (=პატარაობიდანვე, ბავშვობაში) შავშურს შემოუნახავს შეკუმშულ-შეკვეცილი ფუძე (შავშეთი, 2011:597).

კუმშვად-კვეცად სახელებში აქვს განხილული ივ. იმნაიშვილს **პატარა'**. „ძველ ქართულში ნამდვილი კუმშვად-კვეცადი სახელებია: მოწაფე, მანქანა, პატარა“ (იმნაიშვილი, 1957:113). საგულისხმოა, რომ ივ. იმნაიშვილი მაგალითს იმოწმებს ოშკის ბიბლიიდან: „და შემაგინებდეს მე ერისა მიმართ ჩემისა მჭელისა ერთისათვის ქრთილისა და **პატრისა** ერთისათვის პურისა, ეზეკ. 13,19. თუ ამ სიტყვის ფუძეა **პატარა'**, მაშინ თანხმოვანფუძიანია და, ბუნებრივია - უკვეცილი, თუ **პატარა'** -



კვეცადი. კუმშვადი თავისთავად არის. დავიმოწმებთ ვრცლად ივ. იმნაიშვილის მსჯელობას: „თუ მოვიგონებთ, რომ პარხლის მრავალთავის (A 95) ანდერძში გადამწერად მოხსენიებულია გაბრიელ **პატარაი** (გვ.1222), აგრეთვე ეგევე გაბრიელ **პატარაი** არის დასახელებული ე.წ. პარხლის ოთხთავის (S 4927) გადამწერად (მოხსენიებულია ორგან: იოვანეს სახარების ბოლოს და ოთხთავის საკითხავების შინაარსის დასასრულს), შეიძლება დავუშვათ, რომ ფუძე ამ სიტყვისა არის **პატარა**. მაშასადამე, ეს სახელიც კუმშვად-კვეცადი ყოფილა“ (იმნაიშვილი, 1957: 114).

თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ორ სიტყვაზე (**მოწაფე**, **მანქანა**) დამოწმებული მაგალითებიც ძირითადად შატბერდული ხელნაწერებიდანაა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კუმშვად-კვეცადი ფორმები დამახასიათებელი იყო სამხრული მეტყველებისთვის და ტაოურს დაუცავს არქაული ვითარება.

**პატრა//პატრამ** ასევე დასტურდება ინგილოურში; **პეტერა**, **პეტერე** კი - იმერულსა და ლეჩხუმურში (<http://www.corpora.co/#/dictionaries>). კლარჯულში გვხვდება - **პატინა//პატილამ** (კლარჯეთი, 2016:1066); ტაოურში **პატარა**’ს სინონიმებია: **წვრილი**, **პაწამ**, იშვიათად **პატინამ**: ...**წვრილები** აღარ პარიკობენ [გურჯიჯას] (ელიასხევი); ...იმის **პაწამ** ჳელედი, ასე წამედბამ (ხევეკი); ერთი ონური - ერთიც **პატინამ** (ქუაბაგი)...

ზედსართავ სახელთა კიდევ ერთ თავისებურებას გამოვყოფთ - მრავლობითი რიცხვი **-ნ**,**-თ** და **-ებ** სუფიქსთა გარდა იწარმოება **(ო)ვან**>**უან** სუფიქსით (იხ. ფუტკარაძე, 2016: 302) და ასევე ფუძის გაორკვევით:

ჩუენ **პატიტუანი** ღარჭები ვიყავით (ქუაბაგი); ღამეე ჩომოსულან ჩვენ სახლსა ორი ჳარი, **დიდვანი** ჳარები (ქისქიმი); ხურდა სხალი, **დიდვანი** არ გეღვდება (იეთი).

ერთ წინადადებაში ორივე წარმოებაა: **დიდრუანი** ლაპარიკობენ, **წურილნი-წურილნი** აღარ პარიკობენ (ბინათი).

### §3. რიცხვითი სახელი

სამხრულ მეტყველებაში ძირითადად თურქულ რიცხვით სახელებს იყენებენ. არ იციან ქართული დათვლა და თანამოსაუბრეს რომ გააგებინონ, გაიაზრებენ გრაფიკულ გამოსახულებას, ან შლიან ათეულებად, ერთეულებად, ოცეულებად, მაგალითად: **ორმოცი და ერთიც ათი და კიდო ვრა** (იხ. ამის შესახებ: კლარჯეთი, 2016:548).

თურქულ რიცხვით სახელებს იყენებენ ტაოელებიც, მაგრამ ქართული რიცხვითი სახელების გამოყენების მხრივ ტაოური განსხვავდება შავშურისა და კლარჯულისაგან და უახლოვდება ძველ სალიტერატურო ქართულს (იხ. ფუტკარაძე, 2016: 283-284).

როგორც ვიცით, ქართული თვლა ნარევი ტიპისაა - ათობით-ოცობითია, ათობითია - ერთიდან ოცამდე და ასს ზევით, ხოლო ოცობითია ოციდან ასამდე (შანიძე, 1973:40; თოფურია, 1926: 292-296).

ძველ სალიტერატურო ქართულში ერთეული და ოცეული -**მე** ნაწილაკით იყო შეერთებული, ახალ ქართულში -**მე**'ს ჩამოშორდა **ე**' და დარჩა მხოლოდ **მ'**: **ორ-მე-ოცი>ორ-მ-ოცი...** (იმნაიშვილი, 1957:470). ვ. თოფურის აზრით, -**მე**' აღნიშნავს **ჯერ**'ს, ე.ი. ორმოცი' არის ორჯერ ოცი, სამმოცი - სამჯერ ოცი და ა.შ. (თოფურია, 1926: 292-296).

ოცობითი თვლა საკმაოდ გავრცელებულია ტაოურში. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, აქ ოცობით ითვლიან არა მარტო ოციდან ასამდე, არამედ ასსაც და ასს ზევით ოცეულების შემცველს (ას ოცი, ას ორმოცი...) და ორასს.

საგულისხმოა თავად ტაოელთა დამოკიდებულება თვლის ამგვარი სისტემისადმი, მიაჩნიათ, რომ მათი დათვლა სწორი ძველი ქართულია:

**ძველათ ჩემი მამას დედემ ამნაირ თლიდეს კი: ათი, ოცი, ოროცი. . . ბიჭები ჩამოვლენ და ისინი თლიან, იმათ უმზირვარ, ისინი სხვაფერ თლიან, მე ვთქვია კი . . . წორი ქართული ეს არი: ათდაორ, ათდასამ, ათდაოთხი . . . ეგ არი წორი დათლა (ელიასხევი);**

**ათდაორი, ორმოცი, ათიდასამი, ათიდაოთხი, ათიდახუთი, ხუთმოცდაათი, ექვსმოცი, შვიდმოცი, რვაოცი, ათოცი. ჩვენი დათლა არი ძველ გურჯული დათლა (ელიასხევი);**

**ერთი ოცი, ორ ოცი, სამ ოცი, ოთხ ოცი, ხუთ ოცი, ექვსი ოცი, შვიდი ოცი... ათი ოცი ვიტყვით. ჩვენი დათლა ძველია, გურჯი (გოდდეკარი);**

**ხუთმოციც იქნებოდეს [საქონელი, პირუტყვი] (იეთი).**

ოცობითი სისტემის რიცხვითი სახელები რომ დავალაგოთ თანმიმდევრობით გვექნება: **ერთი ოცი//ოცი, ორ ოცი//ორმოცი, სამ ოცი, ოთხ ოცი, ხუთ ოცი//ხუთმოცი, ექვსი ოცი//ექვსმოცი, შვიდი ოცი//შვიდმოცი, რვაოცი, ათი ოცი//ათოცი.**

როგორც ვხედავთ, ერთეული და ოცეული ერთმანეთს უკავშირდება უშუალოდ ან, **მე>მ** ნაწილაკის საშუალებით. ე.ი. ხუთ ოცი//ხუთმოცი - ხუთჯერ ოცია ანუ ასი, ექვსი ოცი//ექვსმოცი - ექვსჯერ ოცი - ასოცი, შვიდი ოცი//შვიდმოცი - ასორმოცი, რვაოცი - ასსამოცი, [ცხრა ოცი - ას ოთხმოცი], ათი ოცი//ათოცი - ორასი.

**ხუთოცი**' დასტურდება ძველ ქართულშიც.

შერეული - ოცობით-ათობითი სისტემითაა ნაწარმოები **ხუთმოცდაათი**, რომელიც შემდეგნაირადაა მიღებული: **ხუთ-მე-ოც და ათი**', ე.ი. **ხუთჯერ ოცი და ათი** ანუ **ასი და ათი** - **ასათი**. აქედან გამომდინარე შეიძლება დავუშვათ, რომ **ასოცთაათი**' იქნებოდა **ექვსმოცდაათი**', ას **ორმოცდაათი** - **შვიდმოცდაათი**', ას **სამოცდაათი** - **რვაოცდაათი**', ას **ოთხმოცდაათი** - **ცხრაოცდაათი**'.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რიცხვით სახელთა წარმოების ეს სისტემა ოდინდელი ოცობითი თვლის გადმონაშთია (იხ. თოფურია, 1926: 292-296, კლარჯეთი, 2016: 548).

როგორც ვიცით, **და**' კავშირი ძველ სალიტერატურო ქართულში ახლავს არა მხოლოდ ოცეულებს (ოცდაერთი, სამოცდახუთი...), არამედ იგი იხმარებოდა ყოველი საფეხურის შემდეგ (ოთხათას და ორას, შუდას და ოთხმოც...) და ასევე მაშინაც, როცა რომელიმე საფეხური, კლასი გამოტოვებული იყო (ას და ორი...). ე.ი.

ძველ ქართულში **და'** კავშირი რთული რიცხვითი სახელების გადმოსაცემად გაცილებით ხშირად გამოიყენებოდა (იმნაიშვილი, 1957: 471).

რაც შეეხება ტაოურს, გარდა იმისა რომ **და'** კავშირი გვხვდება ოცეულებთან და ასის შემდეგ - **ასდაერთი, ასდაორი, ასდახუთი** (დასახელებულ მაგალითებს ვიმოწმებთ ჩვენებურების ქართულის მიხედვით, 1993:171; იხ. ასევე ფუტყარაძე, 2016: 284), იგი გამოიყენება **თერთმეტიდან' ოცამდე'** რიცხვით სახელებშიც:

**ათ და ორი** იქნა? (ელიასხევი); იმხან ჩემი ხალაა **ათ და ოთხის** ყოფილა, წლისა... (ქისქიმი); ...**ათ და ხუთი** თანე ცხვარი - პირტყვი, დანი (ქისქიმი); **ათ და ხუთ** დღე [ვრჩებით - ჩამწ.] (ქუაბაგი); პეტრად - **ათ და ოთხ**, ბიჭია ისიც (ქუაბაგი); **ათ და ვრა** თუე იქ ვიმუშავე (წითლევაკარი).

შეგვხვდა **და'** კავშირის გარეშეც: **ათერთი** ხანეა აქ (სადგიყანა).

ერთი შემთხვევაში ძველი ქართულისებურადაა: **ათხუთმეტი** წელია იშტე (ქუაბაგი).

ძველი ქართულისებურად უმარცვლო **უ**-თია გადმოცემული მარტივი რიცხვითი სახელი ექუსი: **ექუს** თვედ იმუშავა იქა (ქონობანი).

სხვა მაგალითები:

**სამოცი და ოთხი** წლისა ვარა და... (ელიასხევი); **ოთხი ოცი და ათი**, კიდო **ორი** წლისა ვარა (ქუაბაგი); ჯამე **სამი ასი** წლისაა (ბინათი).

დასტურდება რაოდენობით რიცხვით სახელთა **ნარიანი** მრავლობითის ფორმები:

**ორნი** არ არიან ქართული („აგარა“); დაშლი ადარვინ არი, **ორნი** არიან, იმათაც არ ესმიან (ქონობანი); ახლა **ოთხნი** არიან: ერთანე სტამ-ბულ არი... (ელიასხევი); შვილები ბევრნი არიან **ფშვიდნი** (ჭილათი).

ერთგან რიცხვით სახელს ერთდროულად ერთვის მრავლობითის მაწარ-მოებელი სამივე სუფიქსი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი: ამ **ორთანებმა** კაა იციან (ქუაბაგი).

გვხვდება **-ვე'** ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები ე.წ. ნარევი ფორმის (იხ. შანიძე: 1980: 104) ორმაგი მრავლობითით:

**ორთავენ** აქევრი ვართ (ბინათი).

ერთ შემთხვევაში ამგვარ ფორმას ემატება მიცემითი ბრუნვის ნიშანიც:

...აქასაც იყო, იქასაც - **ორთვენსაც** იყო (ბალხიბარი).

#### §4. ნაცვალსახელი

თავისებურებით ხასიათდება ზოგი ნაცვალსახელის წარმოება.

ხმოვანფუძიანი ნაცვალსახელები არსებით სახელთა მსგავსად მოთხრობით ბრუნვაში დაირთავენ **-მა'** სუფიქსს:

...ასე იმახდენ ხის გათრევიხან, **ყველამა** ერთათ ქნასო (სადგიყანა); ისინი მაჰალე-მაჰალე **ვინმემა** დაგაწერია? (საგრიეთი); აქა **ვინმემა** არ მოსულან გურჯისტანიდამ, თბილისიდამ (ქუაბაგი)...

აქაც იშვიათად გვაქვს **მ'** ნიშანი: ჩაი **ვინმემ** შეგასვა ქობაკში? (ბოწმინდა)...

პირველი და მეორე პირის მრავლობითი რიცხვის პირისა და შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელები პარალელური **ჩუენ//ჩვენ, თქუენ//თქვენ**,

**ჩუენი//ჩვენი, თქუენი//თქვენი** ფორმით გვხვდება, პირველი რიგის ფორმები პროდუქტიულია:

**ჩვენც** ასე დევნა'ხეთ (წითლეკვარი); **ჩვენ** ასე დავრჩნეთ ბერ-ბებერი (მოსლიეთი); **თქვენ** ახლა რით მოხველით? (მოსლიეთი); **თქვენ** რატონ წერავთ ამასა? (ქუაბაგი); **ჩუენც** ვებნევით (ელიასხევი); ყურძნიდამ **თქუენ** შარაფ აკეთავთ, **ჩუენ** ტკიბილ ფაფას (ელიასხევი); **ჩუენ** „ბგანო“ ვეტყვით, **თქუენ** – გოგო (ბოწმინდა); **ჩუენ** ამა ვებნევით „ქართოლ“ (წითლეკვარი); ამდენი შიშა მუუწიკია, **ჩუენ** გავყარეთ (ელიასხევი)...

**ჩვენი** სოფელი პეტრად, იმათი სოფელი - დიდი (ხევეკი); **ჩვენი** მეჰელე ბალხია, ჰამა ვერანია (მოსლიეთი); **თქუენი** გურჯიჯა მაინც ვერ მივმხთარვარ (ბოწმინდა); სამ დღე სარწყავის მარტო **ჩუენი** წყალი იყო (ელიასხევი); **ჩუენი** მეზრე ბოწმინდა არი, ჰამა ჩუენ არ მივდივართ-ქი ახლა (ბოწმინდა); **ჩუენი** გურჯიჯა თქუენი არ დეეჭირვის (ბოწმინდა); **თქუენში** მექთეფი რამდენზე ისხნება ამ თვის? (ელიასხევი); **ჩვენში** ტყვილი ლაპარიკი მეტი არ იციან (ხევეკი)...

ბოლო სამ წინადადებაში **-ში'** თანდებული **-თან'** თანდებულის ფუნქციითაა (თქუენში=თქუენტან, ჩვენში=ჩვენთან).

იშვიათად **-ში'** თანდებულის ფორმას ერთვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი და -**ც'** ნაწილაკი: **ჩვენშისაც** ადნია და? (ხევეკი).

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ორივე ფორმაა:

მარტო მარქელი ფორვა ვიქთა (**თქვენი** - შორვა, **ჩუენი** - ფორვა) (ქონობანი); ქუმა **ჩვენც** ვაკეთავთ. ყურძნიდამ **თქუენ** შარაფ აკეთავთ (ცუცეკარი).

სამხრულ მეტყველებაში **ის'** ნაცვალსახელს ენაცვლება **ისი'**, **ისა'**. ჩვენებითი ნაცვალსახელი **ესე'** ფორმით გვხვდება. ასეთი მონაცვლეობა ქართული ენის სხვა დიალექტებისთვისაც არის დამახასიათებელი (იხ. <http://www.corpora.co/#/corpus>).

ტაოელთა მეტყველებაში ჩვეულებრივია ასეთი მონაცვლეობა, გვხვდება **ისა'**, **ესა'**, **ისე'**, **ესე'** ნაცვალსახელები, იშვიათად - **ისი'**.

**ისა:**

ერთ კაც უთხოვნია **ისა**, ჩუმუყვანია (ელიასხევი); სობაჯი არი, ოსმანი, ქობაურია **ისა** (ხევეკი); ის ბასრეკარია//ბასლეკარი, ის ჭელეკვარი, **ისას** გოდლეკვარი (ელიასხევი); კაცი იკითხავს მექთეფში, **ისაც** ირმი წლისა... (ბოწმინდა)...

**ესა:**

იტყვება, ტყვილია **ესა** (ხევეკი); დიდი თა, **ესა** მასისის თა არი (ხევეკი); ამხანაგებ მეტყოდენ, **ესაო** თქვენი პარიკობაო კად წმინდა გურჯულიაო (ელიასხევი); **ესა** წევდა, ჩემ კაცმა ჭკვა დიმილია, წევდა (ხევეკი).

ისე:

ისეც და მოდდეს, გაათავა და მოა (ხევეკი).

ესე:

თქუნში ესე ცივი წყალეუბი არი? (ქისქიმი); ესეც ესკიდან ბინათი, ახლაც დოქუზოლლუ ეძახიან (ბინათი).

ისი:

...რომ ჭამ და თუალეფში გენტეზა, აა ისი (ბოწმინდა).

იმვიათად გამოიყენება იგი' ნაცვალსახელიც:

იგი მაზლია ჩემი, ბგანო მოვალ - კიზიმ (ბინათი).

ერთგან მიცემითი ბრუნვის ნიშანი ერთვის სახელობითის ფუძეს: ესეს ერქარება, ესეს კარ დუკეტვენ (ხევეკი).

შავშურისა და კლარჯულის მსგავსად მრავლობითი რიცხვი იწარმოება დისიმილირებულ ისე' ფუძიდან (კლარჯეთი, 2016: 548; შავშეთი, 2011: 249):

ისენი კაა ხვართობენ, მე არ ხვართობ (ზალხი); ისენი ჩემნი არ არიან (ბოწმინდა); ისენი ა' ვიცი მე რამდენია (წითლეკარი); ისენი თუ! (ელიასხევი).

იმვიათად ორმაგი მრავლობითიც (-ნ' და -ებ' სუფიქსებით ნაწარმოები) გვხვდება. კლარჯულისაგან განსხვავებით ფუძისეული ე' შენარჩუნებულია (კლარჯეთი, 2016:548):

მერე რუსია ქი აფეხებულა, აქ გამოქცეულან, ისენები აღმანი ყოფილან (ქუაზაგი)...

შავშურისა და კლარჯულის მსგავსად ტაოურში პირის ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებს უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი', რომელსაც მსაზღვრელად ახლავს კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი თავი, შენი თავი...) (შდრ. კლარჯეთი, 2016: 549-550; შავშეთი, 2011: 250):

ელიასხევე კაცები, ბერები, ჩემი თავი უყვარს (ფიშნარხევი); შენი თავი გუუწევიან... (ობლეკარი); არაბა დევნახეთ და თქვენ თაა არ დიგვინახია (ფიშნარხევი); აქ გუმოსწიეს, „იმედი“ კანალში ჩვენი თავი ვისეირეთ (ზალხიზარი).

დასავლური კილოების მსგავსად (იხ. მაჭახელი, 2017: 224), ტაოურშიც დასტურდება აგი', აა' (<აი<აგი), მაა' (<მაი<მაგი) ნაცვალსახელები:

აა? კალათი, აგიც გოდორი, აგი – მახალა, პატინა კალათი, ესას ცხრილი (პერხაა), აგი – ცხაა. აგი – კვერია, აგი – უღელი, აგი – სახვნელი, მოთერძვიდი. აგი მერულია, ვანიავებდით დიკასა, ქერსა (ელიასხევი); მაა? – ყრალი მოლი (ანწლი – ჩამწ.), არ ჭამენ (ფიშნარხევი); აა? ბულლო! სამყური, ჯიმჭარი (ელიასხევი).

ჩვენებითი ნაცვალსახელებია ასევე: იმდაგვარი', ამნეთი' იმრეთი'(იხ. შავშეთი, 2011: 249). არ. მარტიროსოვის აზრით, საშუალი ქართულიდან მომდინარე შესიტყვებების - იმდენ ერთი', ამდენ ერთი' შემადგენელი ნაწილების რიგი ახალ ქართულში შეიცვალა: ერთი ამდენი', ერთი იმდენი' (მარტიროსოვი, 1964: 154). ტაოურის ამნეთი', იმრეთი' შემდგომი ფონეტიკური ცვლილებით მიღებული



ფორმები: ამდენ ერთი>ამდენეთი>ამნეთი, იმდენერთი>იმდენეთი>იმნეთი  
>იმრეთი.

აქ ქვაბა და ბუქი, **იმდაგვარ** ქვაბად დუღურქმიან (ქუაბაგი);  
ბასლეკარი... ფიშნარკევი... ვაჩეკარი... **ამნეთი** ვიცით (ხევეკი); ...რაცხა  
**იმრეთი** იქნება ის ხალხი... (ელიასხევი).

სხვა სამხრული კილოების მსგავსად ნაცვალსახელი **თელი** (**ამთელი**)  
მნიშვნელობით იგივეა, რაც **ყველა** (მაჭახელი, 2017: 225; კლარჯეთი, 2016: 549;  
შავშეთი, 2011: 249):

ზაფხულში **თელი** აქ მოდიან, სიცხე უჭირდებიან (წითლევეკარი);  
თელს ცხენი გყავდა, ახლა არ არი (ქუაბაგი); **თელი** არიან, რა ვიცი.  
ხოჯიოღლები არიან... (ქუაბაგი).

კითხვითი ნაცვალსახელი **რა** სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება.

**რა**'ს მნიშვნელობაა **როგორ**:

შენ გალმი, მე - გამოლმი/ გულმა **რა**'ნა გეძვენოს? (სადგიყანა); ექი  
თურჩა არ იცი? აბა **რა** იკითხავთ? (ქისქიმი).

**რა**' ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმის მნიშვნელობა არის  
**როგორ**:

მე ლაჯში კიბილი არ მაქ და, ეიდა, **რაით**'და შეეჭამო?! (ბალხი).

**რატომ** ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს **რა**' ნაცვალსახელის **-ზე** თანდებულიან  
ფორმას:

**რაზე** ჰყავლობ, დანი, **რაზე** ჰერსიანოფ? (ქუაბაგი).

**რა**' ნიშნავს **როგორ**:

რა გინდა, **რა** ჰერსიანი ხართა? (ქუაბაგი).

ასეთივე მნიშვნელობა აქვს **რა**' ნაცვალსახელს თურქულ **სოდ**'სთან (თ. soy)  
ერთად:

**რა სოდ** დუა გინდა, რა ვიცი? (ფიშნარხევი).

ასეთი სემანტიკური სხვადასხვაობა ჩვეულებრივია როგორც სალიტერატურო  
ქართულსათვის, ისე დიალექტებისთვის. ამ მხრივ გამოწვევის არც სამხრული  
კილოებია (მაჭახელი, 2017: 225; კლარჯეთი, 2016: 549; შავშეთი, 2011: 249).

სახელობით ბრუნვაში გვხვდება **რა**'//**რად**:

კვითი **რა** არი? (ბალხი); შენი სახელი **რაა**, სახელი? (ბალხი);

...თქვენ **რად** ეტყვი იმასა? (ქუაბაგი)...

**რა** ნათესაობითში უკვეცელია:

**რადს** ახალგაზრდა ვარ... დავბერდი... (ფიშნარხევი).

**რა**'ს ეწარმოება **-ებ**'იანი მრავლობითი:

**რაები** რომ ისხემდა, ერთი თანე არ არი ახლა (ბინათი).

შეგვხვდა კითხვითი ნაცვალსახელი **რარიგი**: თქვენი ქოები **რარიგია**?  
(ობლეკარი). რარიგია' გავრცელებულია ფშაურსა და მთარაჭულში (<http://www.corpora.co/#/corpus>).

**-ზე** თანდებულიანი კითხვითი ნაცვალსახელი **რამდენი**' გამოიყენება **როდის**'  
კითხვითი ზმნიზედის ფუნქციით:

თქვენში მექთეფი **რამდენზე** ისხნება ამ თვის? (ელიასხევი).



განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **სხვა** პარალელური - **სხვა** და **სხვა** ფუძეებით გვხვდება, აქვს **ნარ**იანი მრავლობითიც:

ქობაკის და ჩვენი ქართული **სხვადა**... (ზინათი); **სხუა** სოფლებიდან ...მედატანებდენ ოქრო, იმა ახურდავებდა (ელიასხევი); **სხუა** დაილა არაა, იქიდან მეშალეს, აქ მოდიან (ელიასხევი); ქალოცაში **სხვანი** მიდიან, მე - ზეჰმერში (დეუგური)...

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **რამე** ხმოვანმოკვეცილი ფუძით გვხვდება:

**რამ** იცი თანე? მე დამავიწყდა (ზინათი); დედაჰირა **რამ** ტად? (ქუაბაგი); აქ ჩამოდით, **რამ** და გითხრას (დეუგური)...

ბოლო მაგალითში **რამე** მნიშვნელობით იგივეა, რაც **რადაც**.

გვხვდება ნაწილაკმეუზრდელი ფორმა:

ფურ **რასმე** წყევანდეს (ელიასხევი)...

**რამე** დასტურდება **ნარ**იან მრავლობითში:

ზოგი **რამენი** არ უფერავს, ზოგი **რამენი** უფერავს (ქობ.).

უნდა აღინიშნოს, რომ **ნარ**იან მრავლობითში სხვა ნაცვალსახელებიც გვხვდება:

**ზოგნი** იქ იარებიან, **ზოგნი** - იქა (ბასლევარი); ისენი **ჩემნი** არ არიან (ბოწმინდა).

განუსაზღვრელობითია ასევე დასავლურ კილოებში გავრცელებული **ვინცხა**, **რაცხა**, რომლებიც ფონეტიკური ვარიანტია **ვიღაც**, **რადაც** ნაცვალსახელთა და მიღებულია **ვინ** და **რა** ნაცვალსახელებზე „რთული ღაც(ა) [ღა-ცა] ნაწილაკის დართვით“ (შანიძე, 1980: 44). ეს ფორმები მიღებულია საწარმოებელი **ღა-ცა** ნაწილაკის რიგის შებრუნებით - **ცა-ღა** (ფუტკარაძე: 2016:285).

**რაცხა** ვიცით კად გურჯულია (ელიასხევი); სახში **რაცხა** მეყვან, ის'ნა ჭამო (ელიასხევი); დედეს **ვინცხას** უშენებია, უშენებია, ამდენი შიშა მუუწიკია, ჩუენ გავყარეთ (ელიასხევი).

ზოგჯერ ნაცვალსახელს ერთვის **ნართაული -ა**:

ისინიც გაათავებდენ მათ ვოტკას **სუყველასა** (ელიასხევი); ...იმა არ მოქცემთ **შენაო** (ელიასხევი); ამას რა ეტყვით **თქვენა**? (წითლეკვარი); **ჩვენა** ახლა ქონობან მივალთ... (ელიასხევი); ჯამე რა ეტყვით **თქვენა**? (ქისქიმი); თქვენ რატონ წერავთ **ამასა**? (ქუაბაგი).

ტაოურშიც გვხვდება სხვა სამხრულ კილოებში გავრცელებული **ვინმე არ არის**, **რამე არ არის** ტიპის გამოთქმები:

ბათუმიდან **ვინმე არ** მოსულან (ქუაბაგი); აქა **ვინმემა არ** მოსულან გურჯისტანიდან (ქუაბაგი); ...**ვინმემ არ** მედაპროსო (სადგიყანა); ჩუენ **რამე არ** ვიცით (ქუაბაგი); ტრაბზონ იქეთ **რამ არ** ყოფილა (იეთი); ბევრნი იყვნენ, **რამ არ არიან**, ორი კაცია (ჭილათი).

დასახელებულ ბოლო შემთხვევაში **რამ**(**არამე**) ნაცვალსახელი ენაცვლება **ვინმე**ს.

ამ ტიპის გამოთქმების შესახებ არსებობს განსხვავებული შეხედულებები (დაწვრილებით იხ. ფაღავა, ცინცაძე, 2005: 79-81; შავშეთი, 2011: 250).

## §5. ზმნა

**5.1. პირისა და რიცხვის ნიშნები.** პირის ნიშნების გამოყენების მხრივ ტალურში, ისევე როგორც ზოგადად სამხრულში, ძველი ქართულისებური ვითარება ჩანს (იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998: 53).

**სუბიექტური მეორე პირის ნიშნებია ხ', ჰ', ს' - პრეფიქსები:**

**ხ':**

აქიდან **ჩახყევი** ასე, - ხამფიან კარი... (ფიშნარხევი); იქიდან **შუმოხყევი**, ხევაძის, დევთისა... (ხევეკი).

ეს ზმნები ერთპირიანებია, ნიშნავს - ჩაივლი, ჩამოივლი, შემოივლი.

ხარული - ქერ **ჩახყრი**, ლაზუთ **ჩახყრი** (ქუაბაგი); მარილ შიან **ჩახყრი**... (ქუაბაგი); არაა და **ხკითხე!** (ხევეკი)...

**ჰ':**

...მას უკან წყალ აადუღებ, ონდასონრა **ჩაჰყრი** შიგან (ქონობანი); თემელში ყურბან **დაჰკლი** (ქუაბაგი); ...სუყველა ერმენები **გადაჰყროთ** თურქეთში (ელიასხევი); ერთი ბარდაგი დავლიოთ, აღარ დამჯავდები, **გაჰსწორდები** (ელიასხევი)...

**ჰ' პრეფიქსი დედის ბგერების წინ:**

...მაწონ მასხამ, ერბო მასხამ, **შეჰჰამ** (ქონობანი); ...ჩაქუჩით **გაჰტეხავ**, მედტან (ქუაბაგი); ასე მუღხოვ, **აჰწევ**, აწონავ (ქუაბაგი); თემელ **გაჰტხრი**... (ქუაბაგი); თოკი მობმული წამედბამ ბეჰხო, **გამოჰწევ**, ჩამოა (ქუაბაგი); ტყეში... დომუზი არი... მოჰკლენ, **შეჰჰამ** (ქუაბაგი); ერთი ტყე **დაჰწერე**, სიკლია ტყე (ქუაბაგი); ქვედაზორ **დაჰწერე?** (ცუცეკარი); საჰმელი არ **ჰჰამე** (ელიასხევი).

**ს':**

ამასაც ასე დუვახოვთ, თირფან **მოსტყეჰავთ** (ქუაბაგი); ამას [კარს] **მისძრავ**, ამა - გადააბრუნებ, დადგება (ქუაბაგი); ყაურმასაც **დასჰრავ**... (ქონობანი); ...**ჩასწურავ** ბეზში, საწურავჩი (ელიასხევი); ...კაკალი - **დასწერე** მი? (ზინათი).

ტალურსაც დაუცავს მესამე პირდაპირ ობიექტური პირის პრეფიქსები - **ხ-, ჰ-, ს-**. ეს პრეფიქსები გვხვდება როგორც მიცემით ბრუნვაში მდგომ, ისე სახელობითბრუნვიან პირდაპირ ობიექტებთან (შდრ. შავშეთი, 2011: 251).

პირდაპირი დამატება მიცემით ბრუნვაში აღნიშნულია პრეფიქსით **ხ-**:

იქა დავლინიდით, მარაში **ჩავხყრიდით**... (ქუაბაგი); ...ბელელში, ხაროში **ჩავხყრიდით** [ფქვილს] (ფიშნარხევი); ...საწურავში **ჩახყრიდეს**... (ფიშნარხევი); ხარ **დავხკლიდით** დუგუნში (მოსლიეთი); ქორი ახორშია, პირტყე **შევხყრიდით**... (ფიშნარხევი); ვერ იპუა ქია, **მოხკლიდა**, ფითი'ა (მოსლიეთი); ...თხები, ცხვარი **შეხყრიდი** იქა (ქუაბაგი); ზაზაად **ვხკითე**, არ იყო (ხევეკი)...

**ვხკითე'** ამ კონტექსტში ორპირიანია (**ვიკითხე'**ს მნიშვნელობითაა).

**ჰ-:**

ყოზართმა - ქათამ ჩავყვრით ტეფსიში (ქონობანი); ყურმენი... რომ ყოფილიყო, დავკვიდებდით თავანებში... (ბინათი); ამა დავკვლავთ იშტა (ცუცეკარი); ყურბან დავკვლავთ... (ბასლეკარი); ...გამუალთ აქა, დავკვლავთ... (ელიასხევი); ...არა ვკვიდავთა (ცუცეკარი); ტყეში დათვი არი, ...დომუზი არი... მოკვლენ (ქუაბაგი); ძროხებ-მოხებ შევკვრებდით... (ფიშნარხევი); თემელ ამოთხრიდეს, ყურბან დაკვლიდეს (ქუაბაგი); ...მერე მოვკვრეფავთ კაცებ ბიჭის თერეფიდან (ცუცეკარი); ...კარტოფ ჩავყვრით (ობლეკარი).

ჰ-პრეფიქსი არის დედისეული ბგერების წინაც:

...დავკვრით, ვადულებთ, იმა შევკვამთ (ელიასხევი); მაიდანოზი დავკვრავთ, მოვთუთქავ ზეთში, ვკვამთა (ხევეკი); იმა შევკვამთ (ქონობანი); ...ზოგი მაღლიანია, არ შეკვამს (ბასლეკარი); ...იმა ჰკამსა, კაკალას (იეთი); წყალი არ წუმოსულიყო, ხალღ შეკვამდა, გაიგე? (ელიასხევი); მეძხარშემა [ყურბნები], ხალხი მოვლენ, შეკვამენ (ქუაბაგი); კედსა შიგან ჩაჰდებენ... (ხევეკი); ოჯალში დაჰდებს, დაჯოხავს პაწა-პუწასა, მიცემს ცეცხლსა (ხევეკი); პირტყს შეკვამს დათვი (ფიშნარხევი); დილაზე ავდგებოდით, საღამომდე ვჰწევდით (ქუაბაგი); ეს ბიჩხია, ამა გადავკვრით (ქუაბაგი)...

ს-:

აყირო მეძხარშვის წყალში და ისე სკამენ (ცუცეკარი); ქალები ძროხებ მოსწველენ... დილაზე მოსწველენ კი... (ქუაბაგი); თაფი, ქალიღზე დასწერდენ (სადგიყანა)...

ხშირია ს' პრეფიქსის ასიმილირებული ვარიანტი შ'-:

...კანალში ჩადებდა წყალში, ქეშიში მოვდოდა, შემკამდა (ფიშნარხევი); ...მერე ყურბან დავშკრით (ბასლეკარი); ...შინამ გაშავდებოდა, ვშკამდით (ფიშნარხევი); ღორს არ შკამენ და (ობლეკარი).

გვხვდება უნიშნო ფორმებიც, ერთ წინადადებაში პარალელური ფორმებია:

ვკვიდავთა, ედა დათვები ჰამენ (ცუცეკარი); ოჯალში დაჰდებს, დაჯოხავს პაწა-პუწასა, მიცემს ცეცხლსა (ხევეკი);

ერთგან შეგვხვდა მრჩობლი ჰს'-:

ძროხებ-მოხებ შევკვრებდით, ქალები დაჰსწველიდეს... (ფიშნარხევი).

პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაში.

ჰ-:

ღმერთისთუნ დავკვლავთ რამენი ცხვრები (ელიასხევი); მე ერთი მოვკვალე (ელიასხევი); ეს კი ღმერთის საყვარელი ხალხი კი მოვკვალე, მე ამისთანა სიცოცხლე რა ვქნაო... (ელიასხევი); პირტყვები დავკვალით, აქასაც იყო, იქასაც... (ბალხიბარი); უხარიან კი, თხა მოვკვალით... (ხევეკი); ...ჩვენ არ დავკვარგეთ [ქართველობა] და ახლა რატომ'და დავკვარგო? (ხევეკი); საქმე'და გოვაჰსწორო (ელიასხევი)...

ს-(>შ):

...ავსწიეთ თეთრი, აბლი წამოვღეთ (ელიასხევი); ...დავსტყვივით და მოველით (ხევეკი); იმან კაცი დედშვიროს, მაკადენს, შემჭამს (ფიშნარხევი).

**ჰ-, ს-** პრეფიქსები ენაცვლება ერთმანეთს ერთი და იმავე პირის მეტყველებაში სხვადასხვა ზმნისწინიან ერთსა და იმავე ზმნაში:

აღარ გეტყვი, აბა რამდენჯერწა ჩასწერო?! ამან დაჰწერა, ამან! (ხევეკი).

პირის ნიშანთა მონაცვლეობისთვის საინტერესო მაგალითია კომპოზიტად ქცეული ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებული ზმნა **გაჰკარ-გამოხკარ**’:

ღრუბელო, **გაჰკარ-გამოხკარ**, ზის თვალი გამაჩინე (ხევეკი).

მიცემითში დასმული ობიექტის **ხ**’- პრეფიქსი ზოგჯერ დაცულია ობიექტური წყობის ზმნებშიც:

ერთი დიდი ძმად **ხყავსა** სტამბულში (ხევეკი); ცხენი **ხყოლია** ათი და ჭილათი დაარქვეს (ჭილათი); თავიდან კარი **ხქონდა** (ქუაბაგი); არაბა **მიხყავს**, მასხამს (ობლეკარი)...

ორპირიან ზმნათა ანალოგიით **ხ-, ჰ-** პრეფიქსები გვხვდება სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ:

ა)მესამე სუბიექტური პირის ერთპირიან ზმნებში:

ქეშიში იქ **ხყოფილა** (ხევეკი); ჩემი დედე **ხყოფილა** ბათუმ... (ხევეკი); რუ არ **ჰყოფილა**, უთქვიან ქი, აქ რუ მეფყვანე... (დუგური).

**ჰ-**პრეფიქსი წარმოდგენილია თურქული სახელისგან **ყავლა** (kavga) ნაწამოებ ზმნაში:

ჰოე... უუ! რად **გაჰყავლობს**, რად **გაჰყავლობს**... (ქუაბაგი)...

ბ) **ჰ-** პრეფიქსი პირველი სუბიექტური პირის ფორმით წარმოდგენილ ერთპირიან ზმნაშიც შეგვხვდა:

ველარ წვედ სამუშაოთ, **დაგჰჩი** სახში (ქუაბაგი).

გ) ობიექტური წყობის ორპირიან ზმნაში (მათ ჩვენ):

...ჩვენ’და **დაგჰკვლან** სუყველა... (ელიასხევი).

დ) **ხ-** პრეფიქსი შენარჩუნებულია მიმღეობაში:

ბი **დახკარგულია**, ჰო - დამჩალა (ქისქიმი)

სამხრული კილოებისათვის დამახასიათებელია **-თ** და **-ს** სუფიქსების ნაცვლად **-ან**, **-ენ** სუფიქსთა გამოყენება. დიალექტებში ამ სუფიქსთა ფუნქციის საკითხის გარკვევა ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრობლემაა. აღნიშნულ საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია, რის შესახებაც მივუთითებდით კლარჯული კილოს ზმნის მიმოხილვისას (იხ. კლარჯეთი, 2016: 550; შდრ. ჯორბენაძე, 1989; სურმავა, 1989; ცეცხლაძე, 2014; ფარტენაძე, 2014).

ტაოურ მეტყველებაშიც **-ან**, **-ენ** აფიქსთა გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა და პირთა კომბინაციებიც ჭრელი, მათი ფუნქცია კონტექსტის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

-ან სუფიქსი ხშირად გვხვდება აქვს და ჰყავს ზმნებთან პირთა სხვადასხვა კომბინაციაში. დავიმოწმებთ მაგალითებს.

-ან'-თ' სუფიქსის ნაცვლად, ზმნასთან შეწყობილი ორივე პირი მრავლობითშია - მათ ისინი:

მუშაობენ, იქ საქმეები აქვან და ვერ დამდგარან ბევრზე (ქუაბაგი);  
 იქ საქმეები აქვან, მუშაობენ (ქისქიმი); ...სახლები აქვან, ზიან (ქუაბაგი);  
 ...პატრად ფარები აქვან (ქუაბაგი); ჭალა და?! აქვან, აქვან: საჩახი, ყორი-  
 ეთყანა... (ცუცეკარი); ...ყავან ქალები (ბალხიბარი); ვინცხას ზროხები,  
 ფურები ყავან, იქა არიან (ბასლეკარი)...

ბოლო წინადადებაში ნაცვალსახელი ვინცხას' გააზრებულია მრავლობითად, რაზეც მიუთითებს ზმნა არიან'.

მათ ის: ...აქ მოსულან, აგარა არ აქვან (ბასლეკარი);

თქვენ ის: არაბა გაქვან? (ქისქიმი).

-ან' ცვლის -ს' სუფიქსს, გამოხატავს სახელობითში მდგარი სახელის რიცხვს:

შენ გყავან ხენჭები? (ქუაბაგი); თორები მყავან ეფეძჯა (ქისქიმი);  
 ...მეც მაქვან სახლი სამი ყათი (ქუაბაგი); ორი მმა მყავან (ქუაბაგი).

ბოლო ორ ფრაზაში სახელობითში დასმული სახელები მხოლოდით რიცხვშია, მაგრამ რადგან მათ მსაზღვრელად ახლავს ერთზე მეტის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი ზმნაც მრავლობითშია.

გვხვდება მხოლოდ -ა' (<ან'):

თაროზე ყველი მაქვა... (სადგიყანა); ფული მეც მაქვა; თავში არ აქვა, აქ მევეყანეთ, დაჭკვიანდესო; ფეხზე ფოთინი მაქვა კოჭებზე მოდებული, ერთი გოგო მაქვა კახეთში მოდებული (ხევეკი); ნახეს, თაჲ არ აქვა; ყანა მაქვა, შიგან ლეზო არი... მე ა' მაქვა, მოზობლებ აქვა (ქონობანი)...

-ან' იცის' მყოფადის ფორმებთან -თ'ს ნაცვლად:

თქვენ გეცოდინებიან, ჩუენზე ნაკითხნი ხართ (ქუაბაგი); ამათი განაყოფები იქ არიან, ფაცა ეცოდინებიან (ობლეკარი)...

გარდაუვალ ზმნასთან -თ სუფიქსის ნაცვლად არის -ან:

ზაფხულში თელი აქ მოდიან, სიცხე უჭირდებიან.

ამ წინადადებაში განსაზღვრებით ნაცვალსახელს თელი' (=ყველა'), რომელიც სიმრავლეს გულისხმობს, ზმნა აზრობრივად ეწყობა მრავლობით რიცხვში, ამაზე მიუთითებს ზმნა მოდიან' - ...თელი აქ მოდიან.

-თ' სუფიქსის ნაცვლად ტაოურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ორმაგ -ანან' სუფიქსს დაირთავს უნდა' ზმნის სხვადასხვა პირის ფორმა (იხ. კლარჯეთი, 2016: 552):



გმია, პური ვჭამოთ, რომელიცა **გინდანან**, ჭამეთ (ელიასხევი); რა **გინდანან**-ქი? (წითლეკვარი); უმუშავებელად ფარა მოგება **უნდანან** (ხვეკვი); აქ ჯიმჭველები არიან, აქ მოსლა არ **უნდანან** (ქისქიმი).

**უნდას'** ანალოგიით-**ანან'** სუფიქს დაითავს **აქვს'** და **ჰყავს'** ზმნის სხვადასხვა პირის ფორმა (შდრ. კლარჯეთი, 2016: 552):

ფურები **გყუნან** ჩუნა (ქუაბაგი); ბუზდოლაბი **გაქვანან** იქ [ბელელში] (ბინათი).

დასახელებულ მაგალითებში კონტექსტით იგულისხმება პირველი პირი, მაგრამ ზმნაში მეორე ობიექტური პირის **გ-** პრეფიქსია წარმოდგენილი.

-**ან** გვხვდება ობიექტური წყობის ინვერსიულ ზმნებთან პირთა სხვადასხვა კომბინაციაში: **მათ ის:**

ე ქალები დაბერნეს, აღარ **ესმიან** (ელიასხევი); ძაშლი აღარვინ არი, ორნი არიან, იმათაც არ **ესმიან** (ქონობანი); ზოგს არ **უხდებიან** [წამალი], მე არ დევჯერე (ქუაბაგი).

უკანასკნელ წინადადებაში **ზოგი'** მრავლობითად არის გააზრებული.

მონოგრაფიაში „კლარჯეთი“ აღვნიშნავდით, რომ „სამხრული მეტყველებისათვის I თურმეობითის მწკრივში მრავლობითის ფორმებში -**თ**-ს ნაცვლად სხვადასხვა ჯგუფის ზმნაში ჩვეულებრივია -**ან**“ (იხ. კლარჯეთი, 2016: 552). ტაოურში ასეთი შემთხვევები მრავლადაა.

-**ან** სუფიქსი -**თ**-ს ნაცვლად **პირველ თურმეობითში:**

...ნეჯამი არ **ულალატნიან** (ცუცეკარი); მაშინ რა **უქნიან?** **უყრიან** გარესკე (ელიასხევი); ...**უთქვიან** კი, მოდიან თურქელები... (ელიასხევი); მაშინ ბეური ფულები **ქონებიან**, ალთუნი ფულები (ელიასხევი); ისინი მიწაში **ჩუუდვიან**, გამქცარან (ელიასხევი); ემენი **ჩუუდვიან** მიწაში, ამდგარან, გაქვეულან (ელიასხევი); იმ სომხებ თურქი ქალები ჯოხებზე უცვიან, ყოლაფერი **უქნიან** (ელიასხევი); ერთი აქ რუსებ **გუმუვლიან**. თურქეთში **გუმუვლიან** რუსის ასკერები სუყველა (ელიასხევი); აქოვრობაში **უნახვან** ხალხი... (ელიასხევი); ...იქ **ჩუუყვანიან**, იქიღამ **გუდუუგდიან** ი სომხი ბიჭი (ელიასხევი); მის მერე კიდო არ **მუუციან**... და **უთქვიან** იმისთვი... (ელიასხევი); ღამი კაცები **დუუჭრიან უფერხულიან**... (წითლეკვარი); საყდარზე ძველთ **უნთიან**, მუმი არ იყო, სხვა რამ **უნთიან**, ცეცხლი (ხვეკვი); წყალი ქი **უსმიან**, აქ ნუ ხართა... (ობლეკარი); აქ ქვა და ბუქი, იმდაგვარ ქვაბად **დუურქმიან** (ქუაბაგი); ...რუსებსა მუხებით ქალებისთინ ხელები **უსიან**, კაცები **მუკლიან**, დენჭები **მუკლიან**, **გუგდიან**, **გუდუყრიან** ქომოთკე (ქუაბაგი); აქ რუსი მოსულა, იმტა, **უჭამიან**, **უსვენიან** (ქუაბაგი); ორმოცი წლის წინ აჟდაა დედებს **დუუნახიან**... (ელიასხევი); კაცისა ანად მომკტარა, **წუუყვანიან**,

გუცინია კი... (ელიასხევი); სისხლი ამოსულა, **დუკლიან** (ელიასხევი);  
გასულან, **წუმულიან**, გამდნარა, ხელი **უმტკივნებიან** (ელიასხევი);  
მოსულან, **უთქვიან** ქი... (ელიასხევი); ბაშთან უჩუმა **ულოციან**, დაჰა წინ  
**ულოციან**... (ელიასხევი); ხრისტიან გურჯებ მათი ფაფაზი **ყოლიან**  
(ელიასხევი); გურჯები **გუდუკაფიან**, ერმენები დამსხდარან, გურჯები  
**დუკლიან**, იმ უბანზე ერმენი ხევეკი **უთქვიან** (ელიასხევი); იმ სომხებ  
თურქი ქალები ჯოხებზე **უცვიან**, ყოლაფერა **უქნიან** (ელიასხევი);  
...ფურუნჯები ყოფილან, **უმუშავიან** იქ (ცუცეკარი); ენა **ცოდნიან**...  
(ცუცეკარი); ჰადა ხელი არ **ურევიან** აქ (ცუცეკარი); წყალი უპოვნიან და  
დამსხდარან (ელიასხევი); ქვის ყვერე ზათინ **უკეთებიან** (წითლეკვარი);  
იქინდი **ულოციან** და მოდიან (ქუაბაგი).

-ენ' სუფიქსი ცვლის -თ' სუფიქსს აქვს' ზმნის უწყვეტლის მწკრივში:

აგრები დაილა **ქონდენ** (ქუაბაგი).

-ენ' სუფიქსი -თ' სუფიქსის ნაცვლად არის აწმყოს მწკრივში სხვა ზმნებთან:

**ჯერავენ**, არ **ჯერავენ**, ჰამა დუნახიან ქი. ...არ **ჯერავენ** ქი (ელიას-  
ხევი).

მოსალოდნელი -თ' სუფიქსის ნაცვლად ობიექტური წყობის უწყვეტლის  
მრავლობით რიცხვში პირის ნიშნად არის -ეს':

ახლა სხუა სოფლებიდან ფული **დაჭირდებოდეს**, მეტანებდენ  
ოქრო, იმა ახურდავებდა (ელიასხევი); დაილები **ქონდეს**, ახლა აღარ  
მიდიან (წითლეკვარი); სასმელი წყალი **მიჰყავდეს** და არ იქნა (ქუაბაგი).

დასავლური ჯგუფის დიალექტებისთვის დამასახიათებელია -ნენ' სუფიქსის  
ნაცვლად -ენ'-ის გამოყენება, რაც ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციით აიხსნება  
(ჯორბენაძე, 1989: 529), ასევე სამხრულ კილოებში. დავიმოწმებთ მაგალითებს  
მწკრივთა მიხედვით.

უწყვეტელი:

...მიწა **ასვენებდენ** (ელიასხევი); მარებით **ათრევდენ** ქვას  
თოვლშიგან (ქუაბაგი); აქ ხრისტიანები არ **ცხოვრობდენ** (ფიშნარხევი);  
...რუსულით **თვლიდენ**... (ელიასხევი); დედედ და ნენედ **ლაპარაკობდენ**  
[ქართულად] (ბინათი); აქ ჯარებ **ჰედდენ** (წითლეკვარი)....

პირველი ხოლმეობითი:

სექვზე **დაწვებოდენ**, ძროხებთან... ფასხლევზე (ქისქიმი); ...თაში  
**წევდოდენ**, ჩამოვდოდენ... (ქონობანი); ერმენჯი **დელაპარაკებდენ**,  
გურჯი არ **იცოდენ** (ელიასხევი); ...ფილავ **წეიდებდენ** სახლიდამ...  
(ელიასხევი); მეტანებდენ ოქრო, იმა ახურდავებდა (ელიასხევი)...

წყვეტილი:

ძველათ აქ მამის დედიები როგორ **ჩამოდენ**, არ ვიცი (ელიასხევი); მე მევესწარი, იქ ხლისტიანები **იყვენ** (ელიასხევი); მემრე **წევდენ** (ელიასხევი).

**ენ'** სუფიქსი არის **-ეს'**-ის ნაცვლად გარდამავალი ზმნის წყვეტილში:

დედეებმა, ბაბოებმა **გვითხრენ** (ხევეცი)...

ერთ წინადადებაში **-ნენ'** სუფიქსს **-ეს'** და **ენ'** სუფიქსები ენაცვლება: ესკიდან აქ **იყვენეს**, **წევდენ** მერე, აღარ **დადგნეს** (იეთი).

მოსალოდნელი **-ს** სუფიქსის ნაცვლად არის **-ნ'**: ძველი არ **გვახსონ**, არ დაგამახსოვდება. ძველი ხებრები არ **გვახსონ** (ქუაბაგი). **-ნ'** **-ებიან'** მრავლობითში დასმული სახელის რიცხვს გამოხატავს.

საკმაოდ ხშირად **-ეს'** სუფიქსი ძველი ქართულის მსგავსად დასტურდება **უწყვეტლისა** და **წყვეტილის მესამე** პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში (ცინცაძე, 2002:187; ფუტკარაძე, 2016: 296):

### **უწყვეტელი:**

ასი თავი ცხვარი **იქნებოდეს**, დიდრონი **იქნებოდეს**, ზღაფხულჩი არ **წევდოდეს** სამუშაველა, ასაღებელა (ელიასხევი); ზამთრი **მოვდოდეს** (ცუცეკარი); ერ ღამეში, ანდა ხუთ დღეში ბიჭები **მოვდოდეს**, იმას ვაჭმევ (ელიასხევი); თურქეთში ძველათ მამა, დედა ჭალა-ყანას **მუშაობდეს** (ქუაბაგი); ვაზები ყოფილა, გურჯები **მოდოდეს** (ცუცეკარი); კევის საკრეფელათ **მიდოდეს** (ცუცეკარი); ბიჭები **მოდოდეს** და ცოტ-ცოტა დევწავლე (ელიასხევი); მუსაფირი **მოვდოდეს**, ვაჭმევდით (ბინათი); ჩემ დედესი დედემ მახსოვს, ისენი **ილაპარიკებდეს** (ელიასხევი); იქ მუსაფირ **იქმოდეს**, პურ **მიართმიდეს**, დააწვენდეს... (ფიშნარხევი); ფახრაჯებში ნაწველს **ჩადებდეს**, **ადულ-ებდეს**, საწურავში **ჩახყრიდეს**, ცხელ შრატში **ჩადებდეს**, **მუუჭირებდეს**, **გაშრებოდეს**, შინაგაშავდებოდა, ვჭამდით (ფიშნარხევი); ...იქედამ მიღეთი **მოადოდეს**, აქა **შეაყრებოდეს**, ტიკი **მეატანდეს**, **გასიებდეს** და **იფერხულებდეს** ხორონი (ქუაბაგი); ხუთ-ექს ხანეს ერთი წისქვილი ქონდა, **იხმარებდეს** (ქუაბაგი); ერთ თანე გორგალი ხიდან ერთ თანე ტახთა გამოვდოდა ცულითა, **თლიდეს** და **თლიდეს** (ქუაბაგი); ძანი, დედეები **ილაპარიკებდეს**, ჩონც მოვსმინებდით (ქუაბაგი); უწინ **ქსოვდეს** ვაცი თმიდან (წითლეკვარი); ფურ რასმე **წაყვანდეს** (ელიასხევი); თქვენებურები **მოსულიყნეს** ყეზაში, რასმე **იღებდეს** და ჩვენებურა **ხვა'ათობდეს** (ქონობანი); ღამით თხრიან, **იღებდეს**, ბევრი ამეღდეს (ელიასხევი); აქ ირანელები... უმექროს **სმიდეს** (წითლეკვარი); ვილლა აამენე, **მეტყოდეს** (წითლეკვარი); ...თაში **წევდოდენ**, **ჩამოვდოდენ**... თველზე **ჩუმოვდოდეს** აქა (ქონობანი); აქ

უწინ გურჯი წამუვდოდა, იმალოდენ, **გვეტყოდეს** და იმალოდენ (ხევეკი).

**წყვეტილი:**

სამი ტყუბი **იყენეს**, დობტორმა პრობლემი ქნეს... (ხევეკი); იქიდან **მემაღლეს**, აქ მოდიან; იქ ირანელები **იყენეს** (წითლევეკარი); ძველი ბერები **მოკდეს**... (ბინათი); დღეს **გვენეს**, პიკნიკ იჯებიან (ხევეკი); ინსნები არ **დარჩნეს**, ბოდნა **წვენეს** მუჰაჯირ (წითლევეკარი); შერიფ უსტა იყო, რეჯებ უსტა, **მოკტნეს** (წითლევეკარი); ამერიკაში **გეიქცნეს**, ალმანიაში **გეიქცნეს** (იეთი); შინებთან ხალხსა-ქი, ადგებიან, **მოვდეს**, **ეფერებოდეს** (ელიასხევი); გურჯები ჰა **წვენეს?** - იყენეს და **გადაბრუნდეს**... (ქისქიმი); ათ და ხუთი კაცი **იყენეს** და შეშიდენ (ცუცეკარი); ქართულეზ აქ ბევრი **იყენეს** და **დააბლდეს** (ქუაზაგი); უწინ იყო და ახლა არ **დარჩეს** (წითლევეკარი); ჩვენ **გიგეყარნეს** გომოველთ აქო, ჩვენს უკან არ **დასხნეს**, **გიგეყარნეს**, იქ ჩადირი **დადგეს** (ქუაზაგი)...

ამ უკანასკნელი წინადადების ზმნა **გი-გ-ე-ყარ-ნ-ეს** სხვა რამითაც იქცევს ყურადღებას: 1. ზმნაში დაცულია მოქმედებითი გვარისაგან გამომყოლილი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის **-ენ(>-ნ)** სუფიქსი (იხ. ქვევით მსგავსი ფორმების შესახებ); 2. პირველი ობიექტური პირი მრავლობითი რიცხვისა ზმნაში მეორე პირის **გ-** პრეფიქსითაა გადმოცემული: ჩვენ **გი-გ-ეყარნეს**.

როგორც ზემოთ დავინახეთ, უწყვეტლისა და წყვეტილის მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის საწარმოებლად არქაული **-ეს** სუფიქსი პროდუქტიულია. ამ ფორმათა შესახებ შ. ფუტკარაძე აღნიშნავს: „თუ იმერხეულსა და ლივანურში (შესაბამისად: შავშურსა და კლარჯულში - ავტ.) ამ მოვლენის ნაშთებია სამეზარი, ტაოს მეტყველებაში „**ეს**“ ბოლოსართი ჯერ კიდევ მკვიდრადაა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან“ (ფუტკარაძე, 2016: 296). აღნიშნავთ, რომ იმავე პოზიციაში **-ეს** სუფიქსი სპორადულად გვხვდება აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველებაშიც.

**-ეს** სუფიქსი გვხვდება აგრეთვე მრავლობითში **-თ** სუფიქსის ნაცვლად ობიექტური წყობის მესამე პირის უწყვეტლის მრავლობით რიცხვის ფორმებში:

ახლა სხუა სოფლებიდან ფული **დაჭირდებოდეს**, მეტანებდენ ოქრო, იმა ახურდავებდა (ელიასხევი); მაილები **ქონდეს**, ახლა აღარ მიდიან (წითლევეკარი); სასმელი წყალი **მიჰყავდეს** და არ იქნა (ქუაზაგი).

პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი ძირითადად აღინიშნება **გგ-** პრეფიქსით, თუმცა არქაული **გუ'**- პრეფიქსიც არაიშვიათია, ასევე გვხვდება **მ-** პრეფიქსით აღნიშვნის შემთხვევებიც (იხ. ფუტკარაძე, 2016: 297):

აქ უწინ გურჯი წამუვდოდა, იმალოდენ, **გვეტყოდეს** და იმალოდენ (ხევეკი); იქიდან... მოკლე გზა **გუაქ** (ცუცეკარი); ...ჩუნ არ **გუაკითხია**, არ ვიცით (ქუაზაგი); ...კაა **გუეჩვენება** ჩვენი ადგილები (ელიასხევი)...

ერთი პირის მეტყველებაში პარალელური ფორმებია **გუ-//მ-**: ჩუნეც **გუნდა** ბათუმში წამოსლა. ...ჩვენც **დამვიწყდა** (ბასლეკარი).

მოქმედებითი გვარის ზმნაში წარმოდგენილია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-ენ'** სუფიქსი:

ძველათ აქვერის წინ მოსული კაცი ყოფილა, მის მერე **გავყარენით** აქვერობა, სხუანი ამოვებენ (ელიასხევი).

მრავლობითად არის გაგებული **აქვერობა'**. იმავე პირის მეტყველებაში მომდევნო წინადადებაში იგივე ზმნა **-ენ'**-ის გარეშეა:

დედეს ვინცხას უშენებია, უშენებია, ამდენი შიშა მუუწიკია, ჩუენ **გავყარეთ**, სამ დღე სარწყავის მარტო ჩუენი წყალი იყო (ელიასხევი).

როგორც ვიცით, ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით, აღნიშნული **-ენ'(-ნ')** სუფიქსი მოქმედებითი გვარის ფორმათაგან გადაჰყვება პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებს მეორე სერიის მრავლობითი რიცხვის ფორმებში.

ტაოურში წყვეტილის მრავლობითი რიცხვის ფორმებს დაუცავს ეს **-ენ'(-ნ')** სუფიქსი:

აბლი, აბლი **გედევცვალენით** (ხევკი); ჩვენც **გედევცვალენით**, ყურიდან ყურში გაგონილი ვიცით (ფიშნარხევი); გუგუმით წყალი მევტანეთ, **გევალენით...** (ობლეკარი); აქ **დევბადენით**, აქ **გევზარდენით** და კად გუეჩვენება ჩვენი ადგილები (ელიასხევი); **დედალენით?** (ელიასხევი); თიდან მოვდოდით, **ჩევფალაქენით**, დავმნით გზაში (იეთი); ქომო სალიფიანნი არიან, ისინი თლათ **გეცალნეს** (ქუაბაგი); დევრიშიანნი არიან, უსტიანნი არიან... **გეცალნეს, წევნეს** (ქუაბაგი)...

დასტურდება პირის ნიშანთა ხმარების ერთეული შემთხვევები, რომლებიც ენის ცუდად ცოდნითაა განპირობებული:

ა) პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **ე'** ხმოვნის წინ დაკარგულია: დობტურის ასისტენტი, ჩვენ **ებნევით** ჰექიმი, ჰექიმი (ბასლეკარი).

ბ) ობიექტურ წყობის ზმნაში არ არის **გვ-** პრეფიქსი და ზმნა მესამე პირის ფორმითაა წარმოდგენილი:

აქობაში ხოჯობა უქნია, იქიდამ მოლიანნი **უმახიან** ჩვენა (ობლეკარი).

გ) პირველი ობიექტური პირის ნიშნის ნაცვლად მეორე პირის პრეფიქსია:

**დაგავიწყდა** სიმღერები (ქუაბაგი); ღორი **მოგიკლავს** (ხევკი).

ბოლო წინადადებაში პირის ნიშანთა ინვერსიაა.

დ) მოსალოდნელი მეორე ობიექტური პირის ნაცვლად პირველი სუბიექტური პირია:

**ვეჭყერები** მე შენა (ელიასხევი). შდრ. **გეჭყერები**.

**5.2. მომავალი დროის გადმოცემა.** ტაოური დიალექტში, ისევე როგორც შავშურსა და კლარჯულში, მომავალი დროის გადმოსაცემად ზმნისწინიანი აწმყოს (=მყოფადის მწკრივი) პარალელურად გამოიყენება კავშირებითის მწკრივები (იხ. შავშეთი, 2011: 253; კლარჯეთი, 2016: 553; შდრ. მაჭახელი, 2017: 232).

**ზმნისწინიანი აწმყო (=მყოფადი):**



ბებერი გაპარცავს დათვსა, მერე **გაჩეჩავს**, შექნის ნართსა; **დართავს** კედს (ხევეკი); დიდვან კასრებით **წამოვლებთ** ვოტკას (ელიას-ხევი); ის ხალხი **მოიკრიფებიან**, **გამუალთ** აქა, **დავკლავთ**, **დავჭკრიოთ**, ვადულებთ, იმა **შევჭკამთ**. აქო **დააგებენ** ქილიმებ, ილოცვენ... (ელიასხევი).

ბოლო წინადადებაში მყოფადის მნიშვნელობითაა ნახმარი აწმყოს მწკრივის ზმნაც **ვადულებ** (ავადულებთ=მოვხარშავთ).

როგორც ვიცით, კავშირებითის მწკრივებით მომავალი დროის გადმოცემა დამახასიათებელი იყო ძველი ქართული სამწერლობო ენისათვის.

მომავალი დროის გადმოსაცემად შავშურ-კლარჯულის მსგავსად გამოიყენება მეორე კავშირებითის ფორმები:

ყიშლები **გითხრა**: პაკლისაჲ, კანაფურა, დარუნალი... (ობლეკარი); აქუნურები **გითხრა** [ადგილის სახელები] (ობლეკარი); ადგილის სახელები **გითხრათ**: ბელლი გუბე, კაკლიან ღელე... (სარიგიოლი); მე **დუძახო**, **მუვდეს**, **ილაპარიკოს**, **შენ** დასწერე (ხევეკი); ...**შენ გაკპარცო**, კედი **დავართა**, **მოგიქსოვო** წინდები (ხევეკი); ...დათვსა ეტყვის: **ჩევდე**, კედი **გამოვტანო**, **შენც** აქიდან დამცვი (ხევეკი); თოვლი **მოადეს**, მოვლენ და ზღაფხულ მიდიან ძეილაში (ჭილათი); აქ იფერხულო'და, ჩვენ **ვისეიროთ** (ქუაბაგი); თქვენ მკითხეთ და **გითხრა** (ხევეკი); ...რუ თავდება, ასე...მაყალი ალაგი არი... **შეხვიდე**, კად იქნება (ქუაბაგი); **გაგათხოოთ** თქვენ აქა (ფიშნარხევი); სამაარი **მეცტანო**, ჩაი **ვსვათ** (წითლევეკარი); აქ არი, აქ არი და **მოადეს** (წითლევეკარი); ახლა **შენ გაგაგნებო** და ამათ უთხარ **შენ** (ქონობანი); აჰა მე **გითხრა**: ქონობანი გაყოფილია (ხევეკი); ყანა და ბოსტანი ერთია ჩვენი - თომათესი, მარული... **დათესო**, იმა ბოსტან ეტყვიან (ქონობანი); ...იმა კარგა ჰასილ მისცემ, ონდასონრა **გააპტყელო** უჭრაძთა... (ქონობანი); ქართველ ვარ, ქართველ **ვიყო**, სისხლი არ იცლება (ელიასხევი); იმ სირთხე **დავდგეთ**, ისტერსან ბალხში **მივდეთ** (ცუცეკარი); გინდა მე **მოადდე**? (წითლევეკარი); ახალმა მუხტარმა, **დავდგეო**, ეს საქმე'და **გავასწოროო**... (ელიასხევი); აქ მიწა არ არი, ყორე'და აშენო, **გასწორდეს**, **დათესო** ქერი, დიკა, მარქვალი... (ელიასხევი)...

ერთსა და იმავე წინადადებაში მომავალი დრო გადმოცემულია მეორე კავშირებითითა და ზმნისწინიანი აწმყოთი:

იმა უთქვია ქი: მე ისეთი ყალე **გავაკეთო**, **ვაშენო**, აქ ვერავინ ვერ **შუმოვა**, ვერ მოვლენ ისინი (ბასლეკარი); კაცს ეტყვის: მე იქ გევალ, სისხლი თუ **დეინახო**, წადი, არ მელოდო, ვერ **დეინახავ**, მელოდე (ხევეკი); ...ასე ქი უხრაით'ნა მუურო, ...მას უკან **ამეიდებ** ქევგირით, ...მას უკან **ამეიდო**, ერბო'ნა გახრავო (ქონობანი); გოლში ქვა ჩააგდო,

ხოშკაკალი **გათოვდებო** (ელიასხევი); სობას ზედამ **დადგამ**,  
გაცხელდეს, საწურავის შიგან'და მოწურო, მარილიც'ნა **გუურო**,  
**გაახმო**'ნა, შიჭამო (ბალხიბარი); მალი, ძროხები სახში ყავან შეყრილი,  
კარში ნახოს, **შეშქამს** (ფიშნარხევი); ...ჩუენ **გავთავნეთ**, **მოვკვდებით**,  
გურჯიჯა აღარ იქნება (ბალხიბარი); ...ჩირდილში **გავა** და რა **დეინახოს**:  
სხვა დათვებთ აქვან დუგუნი (ხევეკი)...

მყოფადის კავშირებითი და ზმნისწინიანი აწმყო: თემელ **ამეიდებდეს**, ქვას  
**ჩააწყობდეს**, თამამ. მერე სახლი **გაკეთებს** (ქუაბაგი)...

**5.3. ზმნისწინი.** ტაოურში, როგორც პირიან ფორმებში, ისე სახელზმნებში,  
ზმნისწინთა მონაცვლეობის სხვადასხვა შემთხვევა დასტურდება. დავასახელებთ  
რამდენიმე გავრცელებულ შემთხვევას.

**გა**'- ზმნისწინი **და**'- ზმნისწინის ნაცვლად:

...იქ გიჟები ყოფილან, **გაჭკვიანდენ**, აქ მოდენილან (ფიშნარხევი);

...დიდ ოდას მოტალახავდენ, ცეცხლ **განთებდენ** (სადგიყანა)...

ერთგან **და**'-ს ენაცვლება **გა**'- ზმნისწინის არქაული ვარიანტი - **გან**'-:

...კამ წევდეს ყველაფერი ზღაფული ისე **განმთავრდეს** (ქუაბაგი).

**გა**'- ზმნისწინი **ჩა**'- ზმნისწინის ნაცვლად:

აბა წყალში **გაყარაა?** (ქუაბაგი).

თანამედროვე ქართულში **სვენ**' ფუძესთან გვხვდება **და**'- ან **მო**'- ზმნისწინები  
(**დასვენება**' - **დაისვენოს**, **მოსვენება**' - **მოისვენოს**'), ძველ ქართულში კი მას **გან**'-  
ზმნისწინიანი ფორმა შეესაბამებოდა. ტაოურს დაუცავს არქაული ვითარება:

...გულმა რა'ნა **გეისვენოს?! (სადგიყანა).**

**გეისვენოს**' ასიმილაციით (**გან>გა**; **გაი>გეი>გეი**) მიღებული ფორმაა (იხ.  
ცინცაძე, ფაღვა, 1998: 60-61; შავშეთი, 2011: 254).

**სხმა**' ფუძეს ზოგჯერ მოსალოდნელი **წა**'- ზმნისწინის ნაცვლად ერთვის **გა**':

გია არი ერთი ბათუმში, ის გიამას მისი ხალხი **გაასხა**... (ქუაბაგი);

შარშან ჩემ ბიჭმა **გაგასხა?** აბა ჩემ ბიჭმა რომ **განასხა** გურჯები, ვინ იყვენ?  
(ფიშნარხევი); ...იმ ემეში დარჩნეს [ცხვრები], იქ ვერ **გაასხეს** (ქისქიმი).

შდრ.: ბგანები **წამაასხი**, შეჭა'მე ზღაფული ვაშლი (ბალხი-ბარი);  
ზღაფულში თაში **წაასხმიდეს** ჰადვანს (სადგიყანა)...

ლექსიკურად **გასხმა** და **წასხმა** სხვადასხვაა: **გაასხა** ნიშნავს - **გაიყვანა** (გაღმა,  
გარეთ...), **წაასხა** - **წაიყვანა**. ტაოურში ორივე მნიშვნელობას ხშირად **გა**-  
ზმნისწინიანი ფორმა გადმოსცემს.

**სხმა**'პირდაპირი ობიექტური პირის რიცხვის მიხედვით მონაცვლე ფუძეა  
**ყვანა**' ზმნისა. ადამიანის მიმართ ის დღეს თითქმის აღარ იხმარება. ტაოურს  
დაუცავს არქაული ვითარება. აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ „იშვიათად გვხვდება ამ

ფუძეების შენაცვლებაც პირდაპირი ობიექტური პირების რიცხვის მიხედვით: შვილი ქალაქს წაიყვანა, ცოლ-შვილი ქალაქს წაასხა; „გამოასხა ერი იგი“ (მათ. 9, 25); ეგრე უთხრა: ძმანო ჩემო, აქ მომიცადეთო. მე წავალო და აქლემებს წავასხამო. თუ მშვიდობით გავიარო, კიდეც გამოვივლიო და თქვენც წავასხამო“ („რუსუდ“, 51, 24-25)...ასეთი შენაცვლება თითქმის გადავარდა ხმარებიდან. **წასხმა** ეხლა შეიძლება მხოლოდ საქონელზე ითქვას...“ (შანიძე, 1980: 504-505).

**სხმა** ფუძეს ერთვის სხვა ზმნისწინებიც ორიენტაციისა და მიმართულების გამოსახტავად.

**მო-** (>**მა-** **მუ-**) და **და-** ზმნისწინები სააქეთო ორიენტაციას გამოხატავენ:

აქ **მაასხმენ** [პირუტყვს] (ფიშნარხევი); არაბა მიხყავს, **მაასხამს** (გოდლეკარი); გურჯები **მუასხი** და! (იეთი); ვინ **დაგასხათ** (=მოგიყვანათ) აქა? (ფიშნარხევი).

**ჩამო-** (>**ჩამა-**) ზმნისწინის დართვით გამოხატულია ზემოდან ქვევით მიმართულება:

**ჩამოასხეს** საქონელი (ელიასხევი); იქობაში - თევნარში ამოვებდეს, სოფელ **ჩამაასხმიდეს**. ჯარები თაში დაწვებიან. ძროხები და პირტყეები **ჩამაასხმიდეს** სახლში (ქონობანი). (შდრ. შავშეთი, 2011: 264).

**მო-** ზმნისწინი **გა-** ზმნისწინის ნაცვლად:

იქ ბევრ მთხოვენ, ჰამა არ ვყიდავ, **მოაკეთონ** კარგა (წითლეკარი).

**მო-** **და-** ზმნისწინის ნაცვლად:

**მოცვა** უნდა, შუბერო და, ისე იქნება (ფიშნარხევი); ეს **მოღლა** არი (იეთი); აი მუშაობსა და **მოღალულია** (ბალხიბარი).

**მო'-** **შე'** ზმნისწინის ნაცვლად:

...მუშაობა **მოძაგნეს** (ბალხიბარი); მე უწინ არაბა ვარუნიე, **მომძაგდა**... (ქუაბაგი); იქ **მევეყრებოდით** ძველად, მესელა, იქ **მევეყრებოდით** (ქონობანი).

**და-** **მი-** ზმნისწინის ნაცვლად:

...ჰეფ ესკიდან **დაჩოულან** (ქონობანი).

**და** ზმნისწინისეული **ა'** ხმოვანი ასიმილირდება ფუძისეული ხმოვნის გავლენით:

ახლა აბლ-აბლი **დევეჩუეთ** (<დავეჩუეთ) (ქონობანი); თურქა მექეთებში **დევეჩვიე** (<დავეჩვიე) (ბასლეკარი).

**და** ზმნისწინი გამოხატავს, მოქმედების ინტენსივობას და ობიექტის სიმრავლეს:

წინწინ ქალოცას ყურძენ **დავეკრეფდით** (ობლეკარი); ...საფხანად, ცხენ **დაფხანდით** (ხევეკი); ესენი თოჯები. ჰემ ჰრისა, ჰემ **დათხარებს** (ობლეკარი)...

ზმნისწინთა მონაცვლეობის ცალკეული შემთხვევებია:

**ა- და-:** აბლი ბეური შევექნით, **ავძიმდით...** (წითლეგვარი).

**შე - მო-:** ჩვენ არ ვიფერხულეთ, **შეგვეხათრა** (იეთი).

**გა- წა-:** ერმენხევში ყოფილან ერმენები, ისტამბოლ **წეაბარგნეს** (<წაიბარგნეს) (ქუაბაგი)...

**შე'**- ზმნისწინი გამოხატავს მოქმედების ოდნაობას:

ჰაივანს დანიშნავდენ, ყურს **შუჟკრიდენ** (<შეუჟკრიდენ) (სადგიყანა).

ზმნისწინთა მონაცვლეობის ანალოგიური შემთხვევები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ტაოურში დადასტურებულ **მიგიპრის'** ფორმაზე, რომელიც ძველი ქართულის ნაშთად მიგვაჩნია:

იმან ხისიმი-მისიმი თამ არ იციან, სახში შამუა, **მიგიპრის** (ფიშნარხევი); ბალხში სახში შეხვალ, **მიგიპრის** (ფიშნარხევი)...

ვიციტ, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **მი-**, **მო-** ზმნისწინების ფუნქციაა **ორიენტაციის** გამოხატვა. **მი-** ზმნისწინი გამოხატავს ორიენტაციას, რომელიც პირველი პირიდან მესამე პირისკენ მიემართება (მისცა, მიიყვანა, მისწერა...), **მო-** ზმნისწინი კი - საპირისპირო ორიენტაციას - მესამე პირიდან პირველი პირისკენ (მომცა, მომიყვანა, მოწერა...). მეორე პირისკენ მიმართული (პირველი პირიდან იქნება თუ მეორე პირიდან) მოქმედების გამოსახატავი საშუალება ქართულ ენას არ გააჩნია. ახალ ქართულში ამ შემთხვევაში **მო-** ზმნისწინი გამოიყენება, რადგან მეორე პირი პირველი პირთან ახლოს იგულისხმება (მოგცა, მოგიყვანა, მოგწერა...) (შანიძე, 1980: 246-247; იმნაიშვილები, 1996: 9).

რაც შეეხება ძველ ქართულს, აკ. შანიძე წერს: „ძველად მე-2 პირისკენ მიტყეული მოქმედება გარკვეულ შემთხვევებში **მი'**თი გადმოიცემოდა („ესე ყოველი მიგცე“, მათ. 4, 9...). მაგრამ დღეს ასეთ მოვლენას ადგილი აღარ აქვს“ (შანიძე, 1980: 246-247). ივ. და ვ. იმნაიშვილები აღნიშნავენ, რომ ზოგან მეორე პირი **მო-** ზმნისწინს იყენებს: „ვინ **მოგცა** შენ ჳელმწიფებად ესე (მ. 21, 23); მამად შენი, რომელი ჳხედავს დაფარულთა, **მოგაგოს** შენ ცხადად (მ. 6,4, 6, 18)... მაგრამ უფრო ძველ ვითარებას ასახავს საწინააღმდეგო შემთხვევები, როცა მეორე პირისათვის **მი-** ზმნისწინია გამოყენებული. ეს არის სწორედ ძველი ქართულისთვის ნიშანდობლივი და დამახასითებელი“ (იმნაიშვილები, 1996: 9). **მი-** ზმნისწინი ძველ ქართულში უფრო მორგებულად არის გამოყენებული, ვიდრე ახალ ქართულში. აქედან იქით **მიჰგუარეს**, **მიუთუალეს...** ასევეა **პარვა'** ზმნის პირიან და უპირო ფორმებშიც: რადსათჳს **მიმპარეთ** ბარძიმი ჩემი ვეცხლისად (დაბ. 44,4); ვინ-მე რად **მიმპარა** საუნჯე იგი (სინ. 98,15); ხოლო უკუეთუ ჳემმარიტად გნებავს, რადთა არავინ **მიგპაროს** საფასე შენი, ქმენ, ვითარცა მე გასწაო, ...დაჰვალ იგი მუცელსა შინა გლახაკთასა, და

უკუნისამდე ვერვინ **მიგპაროს** იგი (სწავ. 89, 18-20) (მაგალითებს ვიმოწმებთ ივ. და ვ. იმნაიშვილების მიხედვით. იმნაიშვილები, 1996: 11).

მამსადადამე, ტაოურს ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დაუცავს არქაული ვითარება - **მიგპაროს** ძველი ქართულის ნაშთია. შდრ. შავშური: გოგოს უნდა, **მომიპარეო**, ეტყვის; დიმინახა, მიმიპარა, კაი ბიჭი იყო (ჩაქველთა) (შავშეთი, 2011: 255).

ზოგჯერ ზმნა წყვეტილში, მეორე კავშირებითა და პირველ თურმეობითში უზმნისწინა:

აქო ძველი ჯამე იყო, **ვანგრიეთ**, ახალი **ვაშენეთ** (წითლეკვარი);  
ოტელი'ნა **ვაშენო**, იქ ბევრ მთხოვენ (წითლეკვარი); აქ რუსი მოსულა,  
იმტა, უჭამიან, **უსვენიან** (ქუაბაგი); თამარამა **უშენები**'ა, ისეა (წითლეკ-  
ვარი); ფქული აქოურობაში **უთესია**, ესკიდან წისქული ყოფილა, იქ  
დუფუფქვიან (ქონობანი); ბილეზუგები, ქუფები **უყიდა**, **უშენები**'ა  
(წითლეკვარი)...

**5.4. თემის ნიშანთა მონაცვლეობა.** ცნობილია, რომ წყებას ზმნებისას ფუძეზე ერთვის თემის ნიშნები, რომლებიც მკვიდრია ამა თუ იმ ზმნასთან, მაგრამ ზოგჯერ ცოცხალი კილოების გავლენით თემის ნიშანთა ხმარებაში შეინიშნება მერყეობა. დიალექტებში მათი მონაცვლეობის არაერთი შემთხვევა დასტურდება (იხ. შანიძე, 1980: 408; ნათაძე, 1959: 129). ამ კუთხით სამხრულ კილოებზე დაკვირვება ჭრელ სურათს გვაძლევს (იხ. შავშეთი, 2011: 255-257; კლარჯეთი, 2016: 554-560; ფაღავა, 2014: 3-8; ბარამიძე, 2015: 60-67; მაჭახელი, 2017: 234-236; ნიქარაძე, 1975: 146-147...).

თემის ნიშანთა მონაცვლეობის შესახებ გ. გოგოლაშვილი წერს: თუ თვალს გავადევნებთ ქართული ზმნის ფორმოზომიერ განვითარების გრძელ გზას, აშკარად დავინახავთ: თემის ნიშანთა სისტემა ერთ-ერთი ყველაზე არამყარი, ცვალებადი სისტემაა, თუ თანამედროვე ქართული ენის დიალექტებს ამ მხრივ გადავხედავთ, სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება (გოგოლაშვილი, 2011: 667).

კლარჯული კილოს ზმნის დახასიათებისას აღვნიშნავდით, რომ გ. გოგოლაშვილის „ეს მოსაზრება სამხრულ კილოთაგან განსაკუთრებით ვრცელდება კლარჯულზე“ (კლარჯეთი, 2016: 555). თითქმის ანალოგიური ვითარებაა ტაოურშიც. განსაკუთრებით შესამჩნევია სხვადასხვა ტიპის ზმნებთან -ავ თემის ნიშნის „გაბატონების“ ტენდენცია.

დავიმოწმებთ მაგალითებს.

-ი თემატურ ნიშანს ენაცვლება -ავ (ამ ტიპის ზმნათა შესახებ იხ. გოგოლაშვილი, 2010: 318):



ასე მუხბოვ, აჰწევ, აწონავ (ქუაბაგი); ...თემტს წონავს (ხევვი);  
...ცომს გავხსნავთ, კამდას გურევთ... (სადგიყანა); საქონელ აძუევს,  
წველავს, ის არი (ელიასხევი); ხესა ათრევენ, მღერავენ... (ქუაბაგი)...

**მღერის' ზმნა -ობ'** თემის ნიშნითაც გვხვდება:

არ ვხვარათავთ, არ ვღმერობთ (სავრიეთი).

ანალოგიური ფორმები გვხვდება აქარულსა და შავშურში (იხ. სურმავა, 1976: 12; ცინცაძე, ფალავა, 1998: 65; მაჭახელი, 2017: 235; შავშეთი, 2011: 255).

**-ავ'** თემისნიშნისანია **ვყიდი'** ზმნა:

...დუდურაებს ვკლავთა, ვჰყიდავთ (ქუაბაგი); ...არა ვჰყიდავთა,  
ედა, დათვები ჭამენ (ცუცეკარი); თველზე წავალთ - გავყიდავთ [ფურს]  
(ქისქიმი); ...ვკლავთ, ვყიდავთ (წითლეკარი); იქ ბევრ მთხოვენ, ჰამა არ  
ვყიდავ, მოაკეთონ კარგა (წითლეკარი); რატო იაფურა ყიდაო (<ყიდავო)  
(ხევვი)...

**-ავ'** თემის ნიშნის დანართავს ეს ზმნა შავშურშიც და მაჭახლურშიც, რომელსაც ისტორიული შავშეთის ნაწილად მივიჩნევთ (იხ. შავშეთი, 2011: 257; მაჭახელი, 2017: 6; 234). **ყიდის'** ზმნა და ზოგადად „ი ელემენტისანი ზმნები“ შავშურში უნიშნოდ, **-ი'**, **-ავ'** და **-ებ'** სუფიქსებით გვხვდება (იხ. შავშეთი, 2011: 257).

**ყიდის'** ფუძის ზმნას ტაოურშიც ერთვის **-ებ'** თემატური სუფიქსი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა **ყიდვას'** (შემენას') გულისხმობს (ამ მნიშვნელობით, უფრო ხშირად გამოიყენება **აღება'**) და არა - **გაყიდვას'**:

...მიღეთი ფართი იყიდებენ (ობლეკარი).

**-ი'** სუფიქსი გადაჰყვება უწყვეტელში:

რუსეთი ვოტკას ბაზარჩი ვიყიდიდით (ელიასხევი). (იხ. შავშეთი, 2011: 257).

**-ავ'** თემისნიშნისანია **ჭრა'** ფუძის ზმნა:

ყაურმასაც დასჭრავ პეტერა-პეტერა (ქონობანი); ე ქელფეთი,  
თელეებ ჭრავს (ობლეკარი)...

ეს თავისებურება შავშურისთვის უცნობია (ამ მოვლენის შესახებ ქართულში იხ. უთურგაძე, 1986: 59-60; ფუტყარაძე, 2016: 298-299).

**-ობ'**ს ენაცვლება **-ავ'**:

ზოგი მადლიანია, არ შეჰჭამს, ილოცავს... (ბასლეკარი); ხომ გდავრი  
არ ვარა, ვილოცავ და რემეზან ვიჭირავ (ქისქიმი); ტბაში... ლამაზი გოგო  
იბანავს (ხევვი)...

ტაოურში მედიოაქტიური ზმნა **ლაპარაკობს**, გვხვდება განსხვავებული ფუძითაც **-პარიკობენ'**:

სუყველა თურქა პარიკობენ (ცუცეკარი); დიდუანი ვპარიკობთ  
კიდო გურჯიჯას, წვრილები აღარ პარიკობენ (ელისხევი); დაბანჯი არ  
პარიკობენ (წითლეკარი)...

შდრ.:

დედე და ნენე და ლაპარიკობდენ [ქართულად], მაშინ მთელი  
სოფელი ლაპარიკობდა (ბინათი)...

-ობ' თემისნიშნიანს ენაცვლება -ავ' თემისნიშნიანი - იპარიკავს':

...იპარიკავს გურჯიჯა, არ იპარიკავს გურჯი არაა (ფიშნარხევი)...

დანაკლის ფორმათა შესავსებად კი ჩვეულებრივ -ებ' თემისნიშნიანი  
მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმებს იყენებს:

დედეები ილაპარიკებდეს, ჩონც მოვისმინებდით (ქუაბაგი); ...რუმ  
ვერ დეილაპარიკებს, იქ მივა (ხევეკი)...

ვიპარიკობთ, პარიკობენ ფორმები თავდაპირველად ჩავთვალეთ ინდივი-  
დუალურ თავისებურებად, ენის უცოდინარობის შედეგად მიღებულად (ცინცაძე,  
2002: 191), მაგრამ შემდგომში მოძიებულმა ემპირიულმა მასალებმა გვიჩვენა, რომ  
იგი სისტემებზე გვხვდება ტაოს მკვიდრთა მეტყველებაში და ამდენად, ტაოურის  
თავისებურებად შეიძლება ჩაივალოს.

-ებ : -ავ:

უჩუმრა მიეპარება, სავარცხელსა დასტაცავს (ხევეკი); ევვი'დავთ  
[გოდორს], ჭალა-ყანაში წვეალთ, მოვვი'დავთ, მოვტანთ (ობლეკარი); ეს  
კანჯა, ამაზე წუმოვდეფთ, ჩუმოვვი'დავთ (ქუაბაგი); აა... გაღმობა'ში  
უყურავს! (ქუაბაგი); ქორწილი ჩვენ გავაკეთავთ... ნიშან გავაკეთავთ...  
(ბინათი); ქუმა ჩვენც ვაკეთავთ, ყურმნიდამ თქუნ შარავ აკეთავთ  
(ცუცეკარი);

-ავ' თემისნიშნიანია ხმოვან-მონაცვლე ზმნები:

მერე მოვჰკრეფავთ კაცებ ბიჭის თერეფიდამ (ცუცეკარი); ეს ნაძვია,  
ამაზე კევი ვკრეფავთ (ობლეკარი);...ხელ ვერ შეყოფ, მოდრეკავს (ხევეკი);  
ედა ისე ვდრეკავთ (ქუაბაგი); ეს თოვზე მახამ, ეს არ ცვეთავს თოვს  
(ქუაბაგი)...

...თუთა ამაში დავჰკრიფავთ (ქუაბაგი); ჩაირსა ვკრიბავთ, ძროხებ  
ვინახავთ (ქუაბაგი); ჭოროხში მივალ, თევზ ვიჭირავ (ფიშნარხევი);  
თევზს კანჯადთ ვიჭირავთ (ფიშნარხევი); იქ სახლ რამ დეიჭირავს, თუ  
აურთში დადგება? (ქონობანი); არ იჭირავს ერთმანეთი გურჯილარ  
(ქისქიმი); ეს ჩვენი დელე, ...თევზი არი, აქიდამ იჭირავ (ობლეკარი); მაჭა  
- ჯარებ დუბამთ, მაჭა დეეჭირავთ... (ქუაბაგი); თევზებ არიან, ყოლამ-  
ფრით ვიჭირავთ (ელისხევი); ვილოცავ და რემეხან ვიჭირავ (ქისქიმი);  
...ახლა კად კაცი შეიქნაო, მიმზირავსო (ბასლეკარი); ცომ მოვზილავ,

გავაბტყელებ... (ხევეცი); ...ტალახ **მოზილავს**, ფეხამურ ვეტყვით- (ხევეცი);  
ერბოს **მეისხლიტავს** ხაძწი (ხევეცი)...

როგორც ვხედავთ, **-ავ'** ერთვის პირველი სერიის - **ე'** ხმოვნიან ფუმესაც და მეორე სერიის - **ო'** ხმოვნიანსაც. ჭარბობს მეორე რიგის შემთხვევები (ამ ფორმათა შესახებ იხ. ნოზაძე: 1998: 225).

ფუმედრეკად ზმნებზე **-ავ/-ამ** თემის ნიშნის დართვა საერთოდ დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისათვის გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისა (რ. ქურდაძე) - აღნიშნავს გ. გოგოლაშვილი და ამ პროცესს ორ საფეხურად წარმოგვიდგენს: „I ეტაპზე ხდება **ე** ხმოვნიან ფუმეებზე თემის ნიშნის დართვა: დრ-ეკ-ს> დრეკ-ავ-ს; ფაქტობრივ ამ შემთხვევაში ხდება ორმაგი დაპირისპირება I და II სერიის თემათა შორის (ხმოვანმონაცვლეობითა და თემის ნიშნით): **დრეკ-ავ-ს – დრიკ-ა**. ცხადია, ერთ-ერთი ჭარბია; ამიტომაც, რადგან ტენდენციაა **-ავ** თემის ნიშნის დართვა, გახმოვანებით დაპირისპირება მოიხსნება და ვიღებთ ცვლილების მეორე საფეხურს – დრიკ-ავ-ს. ე. ი.: დრეკ-ს>დრეკ-ავ-ს>დრიკ-ავ-ს (გოგოლაშვილი, 2011: 672).

**უთემისნიშნოს** დაერთვის **-ავ**:

ცა, ცაავ, ასე **იქავ**... (სადგიყანა); **ჯერავენ**, არ **ჯერავენ**, ჰამა დუნახიან ქი. ...არ **ჯერავენ** ქი (ელეასხევი); **ტეხავ** ამა, შიგანად იღებ... ლებუოსაც აინი და, **ვტეხავთ** (ქუაზაგი); ფებ თუ არ **მეატეხავ?** (წითლეკვარი); თქვენ რატონ **წერავთ** ამასა? (ქუაზაგი); **წერავთ** და რამე ზარალი არ მოვდეს ჩვენ... (ბინათი); ამათ რატონ **სწერავთ** (ბინათი); რასმე **ვწერავთ**, მოვალ! (ხევეცი); ...ქითებზე არ **წე'რავს** (წითლეკვარი); შენ რას **წერავ?** ი კარგათ **წერავს**, ი ქათიბია! (ფიშნარხევი)...

სამხრული მეტყველებისთვის ნორმაა **წერს'** ზმნის **-ავ'** თემისნიშნიანი ფორმები.

მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება **-ავ'** თემის ნიშნის გაბატონების ტენდენცია, ზოგჯერ მოსალოდნელი **-ავ'** არ არის:

რამაზ, აგი **იპრის**, მე არ **ვიპრი**... (ხევეცი); ქალი ფიქრობს, როდის **მეიპრის** ტარალს და წევა (ხევეცი); ის იმ ტარალს ასწევს, **მეიპრის**, წუმუვა ასე (ხევეცი); სავრცხელი **მუპრია**, წასულა (წითლეკვარი); თემელში ყურბან **დაჰკლი**... (ქუაზაგი).

**-ავ'** თემის ნიშნის გარეშეა **თესავს'** ზმნა, რომელიც წარმოშობით ერთთემიანია (შანიძე, 1980: 389):

ფექ აქ არ **თესენ** იმას, ...ისენი ქომობა'ჩი თესენ (ობლეკარი).

**-ავ'**ს ენაცვლება **-ობ'**:

არადა, შეშა **ურთობენ**, ჭაღებ აცხობენ (ბინათი).

**-ავ : -ებ'**:

ჯელადინი ხალი **გედეიხურეფ**, გიდიეყუდები ზედა (დუგური);  
...ცხვრებ დავჰკლიდით, იქა დუა ვიკითხებდით (ქონობანი); დეკაცები  
ევდოდენ, **ილოცებდენ** (ელიასხევი).

-ევ : -ამ:

[ხორცს] ღენჭებ უწინ **მუართვამთ** (ბასლეკარი); თუ პურ  
**მიართვამს** მუსაფირ, იმა ალა ვეტყვით... იქ მუსაფირ იქმოდეს, პურ  
**მიართმიდეს**, დააწვენდეს... (ფიშნარხევი); გოგოძს სახში წვეალთ,  
**ავართვამთ** [დედოფალს] (ბინათი) (შდრ. შავშეთი, 2011: 256- 257).

ეს ზმნა წარმოშობით -ამ' თემისნიშნანია: **ვართვამ'**, რომელსაც „ევ აქვს  
დართული: მივართმევ, წავართმევ...“ (შანიძე, 1980: 397).

თემის ნიშანთა მონაცვლეობის სხვა შემთხვევებია:

-ებ : -ობ:

მაქინაში ვწევთა ნაწველი, დიდი ყაზანში **ევესობა** (ბასლეკარი);

Ø : -ებ:

დედესა ფურუნი **ქონებია** (ქუაბაგი); სამღერებლად **წიმიყვანებ**  
საქართველოში (წითლეკარი).

-ი : -ებ:

ესენი თოჯები, ჰემ ჭრისა, ჰემ **დათხარებს** (ობლეკარი); იმ მეელეს  
ყაზახებს **უმახებენ** (ქუაბაგი); ...მე მივცემ ოტელს, ღარჭებს **ასწავლებს**  
(სადგიყანა).

-ობ : -ებ:

...ართულ **იკითხებენ** ყურანი (წითლეკარი); დედეები  
**ილაპარიკებდეს**... (ქუაბაგი).

ხმოვანმონაცვლე ფუძეს ერთვის -ებ:

...იმით გააბრტყელებ, ქენარებ **მუუჭირებ** (ქონობანი); დედეები  
ილაპარიკებდეს, ჩონც **მოვისმინებდით** (ქუაბაგი).

-ობ თემის ნიშნითაა ნაწარმოები სახელზმნური ფუძის ზმნა **ცნობილობთ'**:

ნურიჯანის **ცნობილობთ?** (ბინათი)...

ასეთი წარმოება დამახასიათებელია შავშური დიალექტისათვის (იხ. შავშეთი,  
2011: 265).

ფუძემონაცვლე ზმნებს ერთვის თემის ნიშანი. **ებ'** თემის ნიშნანია **მოიტანა**  
ზმნა:

სხუა სოფლებიდან ფული დაჭირდებოდეს, **მეატანებდენ** ოქრო...  
(ელიასხევი).

ასევე **ქმნ'** მონაცვლე ძირის ზმნას ერთვის თემის ნიშნები და გვაქვს  
პარალელური ფორმები: **იქამ//იქავს** (ამ ზმნის შესახებ ზემოთ):

ხალხი არი, რაჰათ ვერ იქამ (ჭილათი); ამაში ფუტკარ ჩავჰყრიდი, თაფლსა იქავს (ქუაზაგი).

ერთი და იმავე ზმნის პარალელური ფორმებია:

**ვხვართავთ//ვხვართობ:**

...ჩვენ წორა ვხვართავთ... ისინი წორა არ ხვართვენ - არ ვიცით (ქონობანი); არ ვხვართავთ, არ ვღმერობთ (სავრიეთი);

მე ვხვართობ, მათაც დეფწავლონ (წითლეკვარი); ესენი კამ ხვართობენ, მე არ ხვართობ (ბალხი)...

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში მონაცვლეობს **ვიფერხულებდით //იფერხულავს:**

დილამდე ვიფერხულებდით გურჯი ფერხული (სადგიყანა.); იმა ბევრი ხალხი უნდა, ასე ვერ იფერხულავს (სადგიყანა).

ამ პარალელურ ფორმებს ზემოთმოყვანილი მაგალითებს შეგვიძლია დავამატოთ: **ვღმერობთ - მღერავენ; ყიდავს - ყიდებენ; პარიკობს - იპარიკავს.**

როგორც დავინახეთ, ტაოურშიც თემის ნიშანთა მონაცვლეობის არაერთი შემთხვევა დასტურდება, ამ მხრივ განსაკუთრებით პროდუქტიული -აჲ' სუფიქსია, ზოგ ფუძესთან გაბატონებულია კიდეც (წერავს, ყიდავს...).

**5.5. გვარი. ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება.** ტაოურშიც ფართოდ არის გავრცელებული სამხრული მეტყველებისთვის დამახასიათებელი **ენიანი** ვნებითი **დონიანის** ნაცვლად:

არ ეთხვევა, არიან, ჰამა, არ ეთხვევა (ბინათი); ახლა ისე ადრე აღარ ეთხოვიან, გვიან ეთხოვიან (ხევეკი)...

**მშია'** ზმნის ვნებითი ძველი ქართულის მსგავსად ეწიანია: ისე მოით, **მეგემშევათ** (ბინათი). (შდრ. შავშეთი, 2011: 258; კლარჯეთი, 2016: 560; ცინცაძე, ფალავა, 1998: 62; ნიჟარაძე, 1975: 150).

ცნობილია, რომ ვნებითი გვარის წარმოება შეიძლება ერთი ტიპიდან გადავიდეს მეორეში, ზოგჯერ ორივე ტიპის ფორმები ერთი და იმავე მნიშვნელობით პარალელურად იხმარება. ასეთია მაგალითად, **შეეშინა'** და **შეშინდა'**, გვხვდება კონტამინირებული ფორმაც - **შეეშინდა** (შანიძე, 1980: 301-302). ტაოურში გვხვდება **დ'ონიანია შეშინდა:**

ათ და ხუთი კაცი იყვნეს და შეეშინდენ (ცუცეკარი). შდრ.: აჭარული (ნიჟარაძე, 1975: 150).

ამ ფუძის მედიოპასიური **ემინია'** პირველ თურმეობითს აწარმოებს -**ებ'** თემის ნიშნით:

**შინებიან** ხალხსა-ქი, ადგებიან, მოვდეს, ეფერებოდეს (ელისახევი). შდრ.: ჰყვარებია, სძულებია (იხ. ამ ზმნათა შესახებ: **შანიძე, 1980: 307**).



ძველი სალიტერატურო ქართულის მსგავსად **-ავ'** და **-ამ'** თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის შესატყვისი ვნებითის ფორმებში **-ებ'** თემის ნიშნის ნაცვლად არის შეკუმშული **ავ'**, **-ამ'**:

...აყირო **მეხარშვის** წყალში (ცუცეკარი); **მეხარშვის**, მარილს ვაყრით (ხევეკი); ხორცი წყალში ვადუღეთ, **იხარშვის**; ...არ ჭამენ, ამუა, გახმება, დეკარგვის (ფიშნარხევი); სამ-ოთხ ხელად იტყვი, დუმანი **დეკარქვის** (წითლეკარი); ყველაფერი **იკარქვის**; ...ყველს ამაზე დავდებდით, **დეაწურვის**, წყალიც გავა (ხევეკი); ლუბიო **იწურვის**; ბევრი ფული **დეხარჯვის**; წყალი ისმის (ელიასხევი); იგი აქ **იმაღვის**; ...გავა სახში, **დემაღვის** (ხევეკი)...

შდრ.: ...ყოლ წელ იქაც **დეაკლება**... (ქუაბაგი).

მოსალოდნელი **დემაღვის**' ნაცვლად არის **დემაღავს**:

გოგო დედნახავს კავს, ჩეფლობა [წყალში] და **დემაღავს** (ხევეკი).

**-ავ'** და **-ამ'** თემის ნიშნისანთა მსგავსად აწარმოებს ვნებითს ფუძედრეკადი ზმნებიც, ვინაიდან ისინი **-ავ'** თემისნიშნისანებში არიან გადარიცხული:

ჩუენი გურჯიჯა თქუენი არ **დეაჭირვის**... (ბოწმინდა); ...დმერთ ეხოწებიან, **ეაკრიფვიან**, წევლენ (ელიასხევი).

**-ავ'/-ამ'**იანთა ანალოგიით არის ნაწარმოები **-ებ'** თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის ზმნის ვნებითი:

რუმ ბადანა **დემაღვის**, რუმ ვერ დეღლაპარიკებს, იქ მივა (ხევეკი).

**დონიანი** ვნებითის ფორმითაა (**უჭირ-დ-ებ-იან'**) წარმოდგენილი მედიოპასიური **უჭირს'**:

ზაფხულში თელი აქ მოდიან, სიცხე **უჭირდებიან** (წითლეკარი).

ერთპირიანი **ჭირს'** და მისთ. ზმნების შესახებ ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ისინი მარტო პირველ სერიაში, უმეტესად აწმყოს წრეში იხმარება (**შანიძე, 1980: 307**).

ასევე **დ'ონიანი** ვნებითის ფორმითაც გვხვდება მედიოაქტიური ზმნა **ვმღერი'**, რომელიც **მღერავენ'**, **ვღმერობთ'** პარალელური ფორმებითაც დასტურდება: **გავმღერ-დ-ებ-ოდით** (ვიმღერებდით):

კიდევ **გავმღერდებოდით**: თაროზე ყველი მაქვა... (სადგიყანა).

არქაული ფორმით - **უხარის'** დასტურდება სტატიკური ზმნა **უხარია'**:

ამა **უხარის**, ნონამა თვალმა კრა (ხევეკი).

დინამიკურ **ეფარება'**ს ენაცვლება **უფრის'** (სტატიკური, შდრ. **უხარის'**):

კუპრიეთი იქ არის, კილდე **უფრის** (ბასლეკარი).

ი'ნიანი ვნებითით გადმოიცემა მოქმედების შესაძლებლობა (შეუძლებლობა):

ეს წყალი არ **შეაძმევა** (წითლეკარი); ...აქ აღარ **დეადგუმლებაო**... (ქუაბაგი); აქ გათოვდა, აქ აღარ **დეადგომებაო** (ჭედლიანკარი); აქ არ **დეარჩუმლებაო**, ქეშიშმა (ელიასხევი)...

**5.6. მწკრივთა წარმოება.** ა) ვეტყვი, ვიტყვი' ზმნები, ისევე როგორც ძველ ქართულში, იხმარება აწმყოს მნიშვნელობით:

ახლა მე ვეტყვი ჩემ ბიჭსა; ჩუენ „ბგანო“ ვეტყვით, თქუენ - გოგო (ბოწმინდა); ღარჭი, ხენჭი - აინი ვიტყვით (იეთი); ...აქ ბგანო ვიტყვით (იეთი); ერთი კილდე არი და იმა ბინათ ეტყვიან (ობლეკარი). (შღრ. ფუტკარაძე, 2016: 301).

ბ)-ავ' და -ამ' თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნებს, ძველი ქართულის მსგავსად, აწმყოსა და მყოფადის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში ეკუმშება თემის ნიშნისეული ხმოვანი, ეს მოვლენა საერთოდ დამახასიათებელია სამხრული მეტყველებისათვის (იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998: 67; შავშეთი, 2011: 259; კლარჯეთი, 2016: 561; მაჭახელი, 2017: 237; ნიჭარაძე, 1975: 147), მაგალითები:

**აწმყო: -ავ(>ვ):**

ჰურს აღარ თესვენ (იეთი); ...მოზობლები თიბვენ (ობლეკარი); ...[ოჯალი] ვერ ააშენეს, ახლა ზიბილებ წვენ (წუ-ავ-ს, წუ-ვ-ენ>წ-ვ-ენ) (ბინათი); ქართველებ როგორ უკითხვენ? (ცუცეკარი); ...ღენჭები უკითხვენ და... (ქონობანი); ...ილოცვენ, ღმერთ ეხოწებიან კი... (ელიას-ხევი); ენ ბეური ინგლიშდა იჭირვენ (წითლეკარი); ...იქსაც დაკვლენ (ქუაბაგი); ...დათვ მოჰკვლენ, უჩუმა მოჰკვლენ (ქუაბაგი)...

ხშირად იკარგება თემის ნიშნისეული თანხმოვანიც:

უჩუმა ჰკლენ (<ჰკლვენ) (მოსლიეთი); ...არ კლენ (<კლვენ) [დათვებს] და იმისთინ იზდება (ელიასხევი).

ამ წესს ემორჩილება -ავ' თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნაც: ...სხენან და ბრუნვენ (ბოწმინდა).

**-ამ:**

ღორს არ შჰამენ და ღვინოს სმენ (ობლეკარი); უჩუმად სმენ... (ხევეკი); ჰადდე, ჩად შევსვათ, ისინი სმენ (ბინათი); ...ღუგუნებში სმიდეს და უსკმენ მერე (ხევეკი).

**მყოფადი:-ავ:**

...იქ დაფქვენ (ხევეკი); ორი კაცი ყანაში მარლის დათესვენ (ხევეკი); ...იქსაც დაკვლენ (დაკლვენ), ყოლ წელ იქაც დედკლება... (ქუაბაგი); ამას აღარ შუუმვებენ ტბაში, დაჰკლვენ (ხევეკი).

ასევეა სხვა ზმნებშიც, რომლებშიც -ავ' ერთვის ათემატურ ზმნას ან ენაცვლება სხვა თემის ნიშანს:

ქაღოცად ყურძენ კრეფვენ (წითლეკარი); [გზას] ახლა აფაქვენ, უწინ დაყაფანდებოდა (წითლეკარი).

ზოგჯერ ერთი პირის მეტყველებაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება პარალელური წარმოება:

ქალები ერთი-ორჯერ **თიბავენ**, მემრე ძროხები მოძოვენ, **საგამ ალაგებ მოთიბვენ...**

გ) როგორც ცნობილია, ძველ ქართულში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისანი ზმნები პირველი სერიის სავრცობიან მწკრივებს თავისებურად აწარმოებდა: უწყვეტლის პირველსა და მეორე პირებში თემის ნიშნისეული ხმოვანი **-ა'** იცვლებოდა **-ე'**თი, მესამე პირის ფორმებში **-ი'** ხმოვნით უკავშირდებოდა **დ'** სავრცობს და ვლელულობდით **-ვიდ/-მიდიან** ფორმებს, რომელიც გადადიოდა უწყვეტლის ხოლმეობითისა და პირველი კავშირებითის ყველა პირში (შანიძე, 1976: 94).

შავშურსა და კლარჯულში ძველი ქართულის ეს წესი დაცულია პირველი და მეორე პირების შემთხვევაში, ხოლო რაც შეეხება მესამე პირს, ყველგან **ე'** ხმოვნიანი წარმოება დასტურდება, იშვიათია **-ვიდ**, **-მიდიანი** ფორმები (იხ. შავშეთი, 2011: 259; კლარჯეთი, 2016: 561; მაჭახელი, 2017: 236).

არნ. ჩიქობავას **-ვედ** და **(ა)ვ-ი-დ** სხვადასხვა დიალექტური წრისად მიაჩნია და ფიქრობს, რომ სათანადო დიალექტებში ყველა პირში უნდა ყოფილიყო **ევ-დ** ვარიანტიც და **ვ-იდ** (ჩიქობავა, 1964: 129). (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლ. კიკნაძის მოსაზრება: კიკნაძე, 1947: 317-344).

ტაოურში პროდუქტიულია სამივე პირში **-ვიდ**, **-მიდიანი** წარმოება, თითო-ოროლა შემთხვევა-**ვედ**, **-ემდ** პარადიგმისა. დავიმოწმებთ მაგალითებს (ბუნებრივია, ვასახელებთ იმ ზმნებსაც, რომლებშიც **-ავ'**, **-ამ'** თემის ნიშნებმა დაიმკვიდრეს ადგილი და უღლების ამ წესს მიჰყვებიან):

**-ვიდ**, **-მიდ**: პირველი პირი:

კალოზე მოვტანდით, **გავლენვიდით**, წისქვილში **გომოვფქვიდით...** (ობლეკარი); ეს ძველებური, ამაზე **ვბურვიდით** (ქუაბაგი); ...ყანა **დავთესვიდით**, თესვა ვიქმოდით (ქონობანი); მატყლი **გავპარსვიდით** (ქუაბაგი); ...წისქვილში წევლებდით, **გუმუვფქვიდით** (ელიასხევი)...

კალოზე ქერი, დიკა... **ვლენვიდით**(<ვლენვიდით) (ქუაბაგი); **ვლენვიდით**, ცხენითაც **ვლენვიდით...** (ქუაბაგი); ქერს **ვლენვიდით**, ...დავჟდებოდით [კევრზე] ზედ, **გავლენვიდით** კალოს (ქუაბაგი); ქვა ცხენით არ **ვზიდიდით** (<ვზიდვიდით), ცხენით შემა **ვზიდიდით** (ქუაბაგი); ...აქო... **დავჰკლიდით** (<დავკლვიდით) ყურბნებ (ქუაბაგი); ვერძ **დავკლიდით** (წითლევკარი); იქ პირტყვებ **დავჰკლიდით**, ცხვრებ **დავჰკლიდით...** (ქონობანი); ჯარებით **ვთესიდით** (<ვთესვიდით) ყანებსა (ქუაბაგი); ლებოთ **ვთესიდით**, ქერ **ვთესიდით**, დიკას **ვთესიდით** (ფიშნარხევი); იმის ზედდან თივებ **ვჯოხიდით** (<ვჯოხვიდით) (იეთი); ძველათ ნეკერ **დავკაფიდით** (<დავკაფვიდით) (ელიასხევი)...

ეს **გაუხრიტიდით** (<გაუხრიტივით) ხეს... (ხევეკი);  
**გავტეხილით** (<გავტეხვიდით), ვაშენებლით (ქუაბაგი);

...შიგან ცომს **ჩავასხმიდი**... (ბასლეკარი); თივას მოვჭრიდით,  
მალებ, ძროხას **მუართმიდით** (ხევეკი)...

**მეორე პირი:**

...აგი - სახვნელი, **მოთერძვიდი** (ელიასხევი)...

**მესამე პირი:**

თიხა ურევდა, **დაჯეჯგვიდა, დაჯეჯგვიდა**... (ბასლეკარი); ამა  
**მოთოკვიდა** კაცი (ქუაბაგი); ვერ იპუა ქია, **მოხკლიდა** (<მოხკლვიდა)  
ფინთი'ა (მოსლიეთი)...

ძროხა **დაჰკლიდეს** (<დაჰკლვიდეს), ჯარ **დაჰკლიდეს**...  
(ფიშნარხევი); თემელ ამოთხრიდეს, ყურბან **დაჰკლიდეს** (ქუაბაგი); ქერ  
**დათესვიდეს**, სელ **დათესვიდეს**... (ფიშნარხევი); იქაც **ილოცვიდენ**  
(ქუაბაგი)...

პურ მედწევდეს, **მოგლეჯვიდენ** (ფიშნარხევი)...

აქ ირანელები იყვნეს, უშექროს **სმიდეს** (წითლეკვარი);  
...დუგუნებში **სმიდეს** და (ხევეკი); ...იქ მუსაფირ იქმოდეს, პურ  
**მიართმიდეს** (ფიშნარხევი); ხელზე **გისკმიდა**, თავზე **გისკმიდა**  
ორეთმენი (ხევეკი); ზღაფხულჩი თაში **წასხმიდეს** ჰადვანს (სადგიყანა)...

**-ევდ, -ემდ:**

**პირველი პირი:**

იმხნა ნეკერი **ვდგემნით** (ბალხიბარი); ქერი, ცერცვი... **ვთესევდით**  
(იეთი)...

**მესამე პირი:**

რაები რომ **ისხემდა**, ერთი თანე არ არი ახლა (ბინათი).

როგორც ვხედავთ, მეორე პირის ფორმები არ შეგვხვედრია, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას (იხ. ზემოთ: მოთერძვიდი), ისიც აქ განზოგადებული პირი იგულისხმება და არა თანამოსაუბრე - მეორე პირი. ამ ფაქტს ლ. კიკნაძე იმით ხსნის, რომ „წარსული დროის გამომხატველი მეორე პირის ფორმები საერთოდ ნაკლებად იხმარება“ (კიკნაძე, 1961: 261; იხ. ასევე: შავშეთი 2011: 259).

ერთგან დადასტურდა პარალელური **-ავ** და **ვიდ** ერთი პირის მეტყველებაში: ქალოცას ამ ყანებ ძირ **დათესავდეს**... პურ მედწევდეს, **მოგლეჯვიდენ** (ფიშნარხევი).

**-ავ**-იანი ფუძისგან ჩანს ნაწარმოები **ინახდა** (<ინახავდა - ავ'-ის დაკარგვით), თუმცა შეიძლება დამუგება, რომ **ინახდა** <ინახვიდა>საგან **<ვ(ი)-ს** დაკარგვით, რადგან ტაოურში უფრო ეს უკანასკნელია გავრცელებული.

შეიძლება ითქვას, რომ სამხრულ მეტყველებაში ჩამოყალიბებულია ორივე სახის პარადიგმა: სამივე პირში **-ევდ** და ასევე სამივე პირში **-ვიდ** (ამ ფორმათა

შესახებ იხ.: სარჯველაძე: 1984: 447-449; ცინცაძე, ფალავა: 1998: 68-69). ტაოურისთვის დამახასიათებელია **-ვიდიანი წარმოება**.

**დ) -ე** სუფიქსიან **წყვეტილს** პირველი და მეორე პირის ფორმებში ერთვის **-ვი** დაბოლოება. ასეთი ფორმები ჩვეულებრივია საშუალო ქართულისათვის. ზ. სარჯველაძე იმოწმებს მაგალითებს X-XI-XII საუკუნეების ძეგლებიდან: „წრვლად ნაწერისათვის შემინდევით; ...მიიღეთ ესე, და წარვედით და **დაასევით** ადგილსა მას...“ მას ეს მოვლენა დიალექტიზმად მიაჩნია (სარჯველაძე, 1984: 116). **-ე** სუფიქსის გენეზისის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებაა (დაწვრილებით იხ. შავშეთი, 2011: 262-263).

...ესენი მასკვან **ევლევით** (წითლეკვარი); ესეც ძველანდელი რადიო, ძველათ **ევლევით** (ბინათი); ...წამალიც **ევლევით**, შევჭამეთ (ქუაბაგი); გენჯობაში ვიარებოდით, ახლა **გავაგდევით**. ახლა გზევნარი მოვდა და **გავაგდევით** (ქუაბაგი); ღარი **დეინახევი**, ღარი? (ქუაბაგი)...

ასეთი ფორმები დამახასიათებელია სამხრული მეტყველებისათვის (იხ. შავშეთი: 2011: 262-263; კლარჯეთი, 2016: 561-562; მაჭახელი, 2017: 239; ცინცაძე, ფალავა, 1998: 73-74; ნიქარაძე, 1975: 148...).

**ე) წყვეტილის** მწკრივის პირველსა და მეორე პირებში (და შესაბამისად ბრძანებითშიც, რომელიც წყვეტილს იყენებს) ერთმანეთს ენაცვლება (ზოგჯერ ერთი და იმავე ზმნის) **უსუფიქსო** და **-ი** ნართაულსუფიქსიანი ფორმები. ჭარბობს უსუფიქსო:

...ვერ ვიცან, გამოცლილაო (ბასლეკარი); წრეველა ვერ **მუასწარ** დათესვა (ქონობანი); მეც **ჩამუელ** ბათუმ უნივერსიტეტში... (ხევეკი); უწინ აქ **მოხველ**? (ბასლეკარი); ბევრი მაღალია, ვერ **ეველ** (ელიასხევი); **გითხარ** და... (ფიშნარხევი); ჩემ დედესაც ასე **ვუთხარ**... (ბასლეკარი); ჰიღამა ხარა-მეთქი? - **ვუთხარ** (ქუაბაგი); პეტერე ბავში **ვიყავ**... (ელიასხევი); პირველ წელწად ხოფაში **ვიყავ** (ელიასხევი)...

**ბრძანებითი:**

აბლი ასე **მოდექ** (წითლეკვარი); რაცხა იცი, აა ის **უთხარ** (ფიშნარხევი); ...ამათ **უთხარ** შენ (ქუაბაგი)...

**შდრ.:**

გუმინ ართვინში **ვიყავი** (წითლეკვარი); აბლი ბეური **შევექნით** (წითლეკვარი); მე **უთხარი**, ბიჭო... (ელიასხევი); მე **ვუთხარი** შუშანა ფუტკარა ზადეს... (ქუაბაგი); **ჩომოედი** ბათუმში (ხევეკი); **ჩომოელით** იქა (ხევეკი); ემეში **წახველით** თუ, იშხან? (ქუაბაგი); რატონ **წახველ**? - მანდაო. თორბა ვერ **მოგეცი** (წითლეკვარი)...

ტაოურში დასტურდება **ინიანი** ვნებითის წყვეტილის ფორმა - **დეინგრია**:

აქ აღარ არი, ის ქოხები **დეინგრია** (ფიშნარხევი); დაილა იყო ქედლიჰყანა, **დეინგრია** (წითლეკვარი)...



ამ ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში აღნიშნულია, რომ -ევ' სუფიქსიანი ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნათა ვნებითი ინიანია (დაანგრევს - დაინგრევა, დაარღვევს - დაირღვევა, გაარკვევს - გაირკვევა...). ეს ზმნები ფუძედრეკადია -ნამყო ძირითადის ჯგუფში -ევ' იქცევა -ივ'-ად: დაინგრევა - დაინგრივა, გაირკვევა - გაირკვივა... ორ ხმოვანს შორის -ვ' იკარგებოდა ძველ სალიტერატურო ქართულში, ასევე დაკარგულია ახალ ქართულსა და დიალექტთა უმრავლესობაში. ძველ ქართულში შენარჩუნებული იყო სუფიქსისეული -ი'. ამიტომ ემთხვეოდა ვნებითისა და სათავისო ქცევის ფორმები წყვეტილსა და მეორე კავშირებითში. მოგვიანებით სხვადასხვა გზით დაიწყო ვნებითის ფორმათა გამარტივება. ერთი საშუალება იყო, რომ ვნებითმა დაკარგა სუფიქსისეული -ი' და დაინგრია'საგან მივიღეთ დაინგრა', დაირღვია' >დაირღვა'...

მიუხედავად ამისა, ვნებითი გვარის -ია' სუფიქსიანი ფორმები წყვეტილისა ზოგჯერ შეგვხვდება სალიტერატურო ქართულში, რაც დიალექტიზმად ითვლება. მიუთითებენ, რომ ამგვარი ფორმები დაუცავს ზოგ აღმოსავლურ დიალექტს, მაგალითად ქიზიყურს (ნორმები, 1985: 207-208). მათ რიცხვს დაემატება ტაოურიც, რომელსაც სხვაც არაერთი არქაული მოვლენა დაუცავს.

ამ და სხვა ფორმებზე ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე გ. გოგოლაშვილი ყალიბთა მონაცვლეობაზე მსჯელობისას და დაასკვნის, რომ „ყალიბთა მონაცვლეობა დიალექტური მოვლენა კი არ არის, არამედ უნიფორმაციისა და წარმოების ტიპის ცვლის ტენდენციის გამოვლენაა“ (გოგოლაშვილი, 2010: 401).

ვ) როგორც ვიცით, ძველ ქართულში საშუალო გვარის ზმნებს (მედიაოქტივებსაც და მედიაოპასივებსაც) აწმყოს მწკრივში მეშველი ზმნა არ დაერთვოდათ, ახალ ქართულშიც მედიაოქტივს მეშველი ზმნა არ მოუდის, გარდა გამონაკლისი ზმნებისა (წუხს, დულს, რბის, ხტის...), რომელთაც მეშველი ზმნა დაერთვის პირველსა და მეორე პირში. ხოლო მედიაოპასივ ზმნებს, გარდა იმ ზმნებისა, რომელთაც სუბიექტური წყობა არ გააჩნიათ (მაქვს, მძინავს, მცია...), ახალ ქართულში აწმყოს პირველსა და მეორე პირში დაერთო მეშველი ზმნა (შანიძე, 1980:478; 485-486).

ტაოურში ჩანს მეშველი ზმნის დართვის ტენდენცია იმ ზმნებზე, რომელთაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით არ დაერთვის, მათ შორის მოქმედებითი გვარის ზმნებზეც:

რა ბლუძხარ კარსათვენ? რა ბრუნავხარ ნართსათვენ? (წითლე-კარი); ძინავხარ კი, ტურამ დეძღავლა... (ფიშნარხევი); ...ჩვენებურა დეკაცი მეზნევა ქი- რა მიმძირიხარო? (ქონობანი); მე ვჯერავარ (იეთი); მე არ ვიყავ, არ ვჯერავარ (ფიშნარხევი); ჩაი მეეტანო, არ ჯერავხართ? (წითლეკარი)...

მოქმედებითი გვარის ზმნები:

გუდმოღმა უზევი ვუძახივარ (ბასლეკარი); ჩვენ წყალსა ხევ//კევ ვუძახივარ (სარიგდოლი); რა შვები მაგასა? წყავხარ? (ელიასხევი); ძიგარას სვამხარ? (წითლეკარი).

**ზ) პირველ თურმეობითში** ორგანული წარმოების ნაცვლად დასტურდება აღწერილობითი:

**მოვლილი ვარ** თურქეთის თითქმის ყველა ქალაქი; ქილისე არ დევნახე, ისე, ფოტოში **დანახულ ვარ** (ელიასხევი); ისე **გაგონილი ვართ** ჩუენა, რა ბარზე არ ვიცი (ქუაბაგი); მე ა'დომინხია იგი, **გაგონილი მაქ** (იეთი); ...მე არ დომინახია, ისე **გაგონილი\_მაქვა**, ღენჭებ ჭამსა (ფიშნარხევი); **მოსული არ ვარ** ბათუმში (ობლეკარი); რუ თამარასი **მოყვანილი არი** (ქუაბაგი); აქედან ბოვრი **არიან წესული** (ობლეკარი)...

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ორივენაირი წარმოებაა:

მე ეფეძე ხანია არ **წევსულვარ** ...მე **წასული ვარ** იქეთობაში (ქუაბაგი)...

ამ ტიპის წარმოება აჭარულში ხშირია (ქედ-ქედი გადავლილი ვარ).

**აწმოსა და წყვეტილის** ფორმებს ზოგჯერ აქვს **პირველი თურმეობითის** მნიშვნელობა:

ძველათ ჩვენი მამის დედაები **არიან** (=ყოფილან); ოცი წელი **არ შეიქნა**, გზა რომ გააკეთეს; ქილისე არ **დევნახე**, ისე, ფოტოში დანახულ ვარ (ელიასხევი); მე სულ არ **დევნახე** ჩემი დედე (ელიასხევი); მე არ დომინახია, **გევგონე** (ბასლეკარი); ისე **გევგონე** და... ბელქიდა იმნაც არ იცო'და (წითლეკარი); მე არ **გითხარი**, დამვიწყდა, დოლენჯიანკარის ერთი ალაგია ჩუჩუნაკარი (ხევეკი); ჩვენ ალფაბე არ **დევნახეთ** (ფიშნარხევი); ...ისე **ჯანლი არ დევნახეთ** და... თვალით **არ დევნახეთ** და ესე ხმები გევგონეთ (ქუაბაგი)...

-ავ'და -ამ' თემისნიშნისანი ზმნები პირველ თურმეობითში დაირთვენ -ი' დაბოლოებას:

გურჯები **გუდუკაფიან**, ერმენები დამსხდარან, გურჯები **დუკლიან** (ელიასხევი); გომოსულა სისხლი, დეკაცი **დუკლიან** (წითლეკარი); ხალხი **ჩუნთქია**, ღვარი წუმოსულა...(ელიასხევი); ...რუს აქევრები **მუუკლია**...(ელიასხევი); იქინდი **ულოციან** და მოდიან (ქუაბაგი); დევძინე, ჰამა, არ **დომინახია** (ობლეკარი); **დუნახიან** აჟდაა...(ელიასხევი); უწინ **დუნახიან**, მე არ **დომინახიან**... (წითლეკარი); ჯაზი არი, მე არ **დომინახია** (ფიშნარხევი); ჩუენ არ **გუდკითხია**, არ ვიცით (ქუაბაგი); გურჯები წასულხარ **ჩუმარხიან**, **დუმალიან** (ხევეკი); ხალხ ფაქა **დუჯერია** (ბასლეკარი)...

ეს ზმნა აწმყოში -ავ' თემისნიშნისანია.

ზოგჯერ შენარჩუნებულია -ავ', -ამ' თემის ნიშნების თანხმონითი ნაწილი:

...ესკიდან წისქული ყოფილა, იქ **დუუფქვიან** (ქონობანი); აქაურობად **უცვიან** იმათა (ქედლიანკარი)...

მესამე სუბიექტური პირის მრ. რიცხვის -ან' სუფიქსის დართვით შეკუმშულია თემის ნიშნისეული ხმოვანი:

მისულან, ქალს უკითხვან...; აქოვრობაში უნახვან ხალხი...  
(ელიასხევი)...

პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი **თქმა** (<თქუმა) ზმნა: **უთქმია**:

ისე ქი **უთქმია** იმასა (ბასლეკარი); გურჯიჯა მიხდება, მარა ვერ  
**უთქმია** (ხევეცი); იქიდამ გოდმუხედია, **უთქმია** ქი... (ქისქიმი); ...იმ  
უბანზე ერმენი ხევეცი **უთქმიან** (ელიასხ.)...

**უთქვია**:

**უთქვია** კი, ტარალი'და მომცე! (ელიასხევი); მიხტება ვითაო, ვერ  
**უთქვია** (ელიასხევი); იმა **უთქვია** ქი... (ბასლეკარი); ...მიხტები, შენ ვერ  
**გითქვია** (ბინათი); ...ვერ **მითქვია**, ქართველი ვარო... (ცუცეკარი); იმ  
ჯარის თავრობად **უთქვია** კი... (ელიასხევი); აქევრები მუუკლია, მერე  
**უთქვია** კი... (ელიასხევი)...

ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს პარალელური ფორმები:

ხოჯას ნაცარზე **უკითხი'ა**, **შუბერი'ა**, **შუბერი'ა** და **უთქუამს**...  
(ფიშნარხევი); ამ ხევეკში უჩუმარად **ულოცვიან**, მუსლიმანებ **ულოციან**  
(ფიშნარხევი); ისენი **წუსხმია** ბითევი, გუგდია, **წუსხია** ჭოროხში  
(ობლეკარი)...

ზოგჯერ **-ია'** დაბოლოების წინ ჩაერთვის **-ნ**:

...არ **დულაპარაკნია** დეკაც (ელიასხევი); იმ ქეშიშის ბიჭსა  
**შუხედნია** ქი... (ბასლეკარი)....

**აქვს'** ზმნის პირველი თურმეობითი ნაწარმოებია **-ებ'** თემის ნიშნით:

...ორი თავი **ქონებია** (ელიასხევი); მაშინ ბეური ფულები **ქონებთან**  
(ელიასხევი).

**-ებ'** თემისნიშნიან ფუძეს ეყრდნობა ასევე **ლაპარაკობს'/პარიკობს'** და **ემინია'**  
ზმნების პირველი თურმეობითი:

...ხენჭებ ვერ **უპარიკებთან**, ხთებთან (იეთი).

**შინებთან** ხალხსა-ქი, ადგებთან, მოვდეს, ეფერებოდეს (ელიასხევი). შდრ.:  
**ჰყვარებია**, **სძულებია** (ამ ზმნათა შესახებ იხ. შანიძე, 1980: 307).

**-ემ'** თემის ნიშანი გადაჰყვება **მიცემა'** ზმნას: ორმოცი ბინი ასკერი **მუცემია**  
(ჭედლიანკარი)(იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998: 75; შავშეთი, 2011: 264).

პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი-**ევ'** თემისნიშნიანი **არქმევს'**:

ყვავილი ყოფილა ბევრი, იმიდან **დურქმევთან** იეთი (ხევეცი);  
ართვინი სახელი მასკვან **დურქვთან** (ბინათი).

როგორც ვიცით, ერთპირიანი ზმნები მესამე სერიის საწარმოებლად  
წარსულდროიანი ვნებითი გვარის მიმღეობას იყენებენ (შანიძე, 1980: 453), ტაოურში  
მიმღეობის წარმოება თავისებურებით ხასიათდება (იხ. ამის შესახებ ქვემოთ),  
ამდენად, თავისებურია **ერთპირიანი ზმნების** პირველი თურმეობითის ფორმები:

...ახლა **ავსილა**, გაბელითებულა, მიწა ჩამოსულა, **ავსილა** (ობლეკარი); მუდარე **დაბადულა**... (ბასლეკარი); ჩემი დედე სექვზე **დაბადულა** (ქისქიმი); მეტი ძველი აღარ **დამჩალა** (ელიასხევი); ახლა ოცი **დამჩალა** (ფიშნარხევი); ბეჭედი გუყიდა თამარასა, ფარა არ **დამჩალა** (წითლეკარი); იქ **დამჩალან**, დიდი ყავლა იყო იქ... (ცუცეკარი); იქა მუსლიმანები **დამჩალან** და... ზოვლი მუსლიმანი **დამჩალან** ბათუმზე. რაც არი, იქ **დამჩალან** (ცუცეკარი); აქ **დამჩალან** ჰევში (ბინათი)...

პირველი თურმეობითის თავისებური ფორმაა **უჯდომიან'**:

...კარგა ძველათ სუყველა სომხებ **უჯდომიან** (ელიასხევი).

**ზის'/ჯდომა'** ფუძემონაცვლე ზმნის პირველი თურმეობითია **მჯდარა// მსხდარან**. სამხრულ მეტყველებაში დასახელებული ზმნა (კონტექსტისთვის შესაბამისი მწკრივებით) ნიშნავს **ცხოვრებას'**. ვფიქრობთ, **უ-ჯდომ-ი-ან'** იგივეა რაც **უ-ცხოვრ-ია-თ'** (მნიშვნელობით თავისთავად და წარმოების მიხედვითაც **-თ'** სუფიქსს ენაცვლება **-ან'**. ე.ი. უჯდომიან=მჯდარან/მსხდარან, ე.ი. უცხოვრიათ. შდრ.: იმ არეში **ჯდომილან** (მაჭახელი, 2017: 240).

დადასტურდა პირველი თურმეობითის არქაული წარმოებაც: ჩვენი დედეები აჭარადამ **მოსულ არიან** (ელიასხევი).

**5.7. ფუძემონაცვლე ზმნები.** ა) ცნობილია, რომ სამხრულ მეტყველებაში **ზი'**, **ჯდ'** და მათ მონაცვლე **სხდ'** ფუძეებს ძირითადი მნიშვნელობის გარდა აქვთ **ცხოვრების'**, **დასახლების'** მნიშვნელობა (შავშეთი, 2011: 265; კლარჯეთი, 2016: 576; ფუტკარაძე, 2016: 300).

კლარჯულში ყველა შემთხვევაში (მხოლობითშიც და მრავლობითშიც) მხოლობითის ფუძე გამოიყენება:

თეელი აქ **ვზივართ** (თხილაზორი); აქ წყალი უნახვან და **დამჯდარან** (სირეთი) (კლარჯეთი, 2016: 576).

შდრ.: შავშური: მოსულან, აქ **დამსხდარან** (დასამობი) (შავშეთი, 2011:265).

შავშურში თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა **ზი'**, **ჯდ'** ფუძეებს ენაცვლება **სხდ'**.

ანალოგიური ვითარებაა ტაოურშიც:

წყალი უპოვნიან და **დამსხდარან** (ელიასხევი); აქ ერმენებ **უსხდომიან**, წასულან (ელიასხევი); **დასხენით**, ჩვენ შევნეთ (ქონობანი)...

იმვიათია მრავლობითში ბგერათმენაცვლებით მიღებული მხოლობითის ფუძე:

სახლები აქვან, **ძიან** (<ზიან) (ქუაბაგი); ოხშან ქეთქეთზე მივლენ, **დაჟდებიან** (<დაჯდებიან) (ხევკვი).

საყურადღებოა, რომ ტაოურში დასტურდება **სხედ'** ზმნის არქაული ფორმა **სხენან** (შდრ.: იმნაიშვილი, 1996:480):

იმათ გაათავეს საქმე, **სხენან** (ობლეკარი); ეს ორჭვანია, **სხენან** და ბრუნვენ (ბოჭმინდა); ოთხ ადგილას ერთათ **სხენან**, ბურსაში სულ ერთათ არიან (ელიასხევი).

ტაოურშიც, ისევ როგორც შავშურში დაცულია **სხმა'** ფუძის ხმარების წესი - რიცხვში ენაცვლება **ყვან'** (წაყვანა', მოყვანა') ფუძეს (შავშეთი, 2011: 264). ამ ფუძის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

**ბ)** სალიტერატურო ქართულში მწკრივში მონაცვლე ფუძეებია: **ვალ'** - **ვედ'** (**ვიდ'**) - **დი'**. **ვალ'** ფუძე ძველ ქართულში უზმნისწინოდაც იხმარებოდა და უსრული ასპექტისა იყო. შემდეგ შეიძინა მომავალი დროის გაგება და გახდა სრულასპექტიანი. აწმყოს ფუნქცია კი **დი'** ფუძემ იკისრა, რომელიც იხმარება სავრცობიან მწკრივებშიც. ე.ი. აწმყოს წრის მწკრივებში იქნება: მოდის, მოდიოდა, მოდიოდეს; მყოფადისაში: მოვა (<მოვალს), მოვიდოდა, მოვიდოდეს (შანიძე, 1980: 506).

ჩვენს ტექსტებში დადასტურებული **დი'** ფუძიანი ფორმა **მიდიოდის'** უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი უნდა იყოს, რასაც მოწმობს კონტექსტიც, - ამ ზმნით გადმოცემულია წარსულში განმეორებული მოქმედება:

ბოსელში **მიდიოდის**, ზემო ჩარდახში **მიდიოდის**, სახლებჩი [ჯინები] (ქუაბაგი).

**ვალ' > ვლ'** ფუძეს ეყრდნობა მყოფადის მწკრივი (მოვალ... მოვლენ), ტაოურში დადასტურებული **მოვლიან'** აწმყოს მწკრივად მიგვაჩნია (შდრ.: **მოლიან'**), რომელიც იყენებს ძველად აწმყოსთვის განკუთვნილ **ვალ'** ფუძეს და რომელსაც ხოლმეობითის გაგება აქვს:

...ქართველები **მოვლიან** აქ და ჩემი მოსაფირი იქნებიან (ხევეკი).

**ვედ'** ფუძეს წყვეტილში ენაცვლება **ველ'**. ივ. ქავთარაძეს **ვედ'** და **ველ'** ერთი მნიშვნელობის დიალექტურ წარმონაქმნებად მიაჩნია (ქავთარაძე, 1954: 174). **ვალ'** ზმნის წყვეტილის ფორმებს განიხილავს გ. გოგოლაშვილიც (იხ. გოგოლაშვილი, 2010: 391-394).

აოხ, არ წევსულვარ, ვერ **მოველით** (წითლევეკარი); ფაქ ოცდახუთი სენე **წაველით** ბურსას, ახლა **მოელით** (წითლევეკარი) (შდრ.: შავშეთი, 2011: 264).

**გ)** მონაცვლე ფუძეებია: **შრომა'**, **ქმნა'**- **ზმნა'**. აწმყოს წრეში ჩვეულებრივ იხმარება **შრომა'**, სათავისო ქცევის ფორმით აწმყოს წრეში **ქმნაც'** შეიძლება იყოს, მყოფადის წრეში კი იხმარება **ზმა'** სათავისო ქცევის ფორმით. „ვიქამ, იქამ და შემდგომი მყოფადის მნიშვნელობითვე იხმარება, მაგრამ დიალექტური ფორმებია“ (იხ. შანიძე, 1980: 508).



ტაოურში **შრომა** და **ზამ** ფუძეებს ენაცვლება **ქმნა** (იქამ//იქავს) და-სავრცო-ბიან მწკრივებს აწარმოებს არქაულად **ქმნ** ფუძით:

რას **ვიქმოდით** (=ვშვრებოდით), იცი? (წითლევეკარი); ხალხი არი, რაჰათ ვერ **იქამ**(=იზამ) (ჭილათი); ამაში ფუტკარ ჩავჰყრიდი, თაფლსა **იქავს**(=იზამს) (ქუაბაგი). (მდრ.: აჭარული: იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:74-75).

დ) ტაოურში თანამედროვე სალიტერატურო ქართულის **სმა** - **სვამს** შესატყვისია არქაული **სუმა**:

წყალ ცალკე ვხარშავთ, ...მემრე **ვსუამთ** (ელიასხევი); რატონ არ **სუამ**? მე ბევრ ჩაის **ვსუამ**, ილლექი'ნა **ვსუა** (წითლევეკარი)...

**5.8. სხვა თავისებურებები.** ტაოურში, კლარჯულის მსგავსად, ზმნას ერთვის ნართაული -ა', ეს მოვლენა დამახასიათებელია რაჭულისთვისაც (**ჯორბენაძე, 1989: 436**):

აჲ **გწვევსა** და... (ქუაბაგი); აგზე რომ **იყვნენა**, იმი'სნი არიან (ბოწმინდა); აქვერი **ვარა** (ბინათი); ოთხი ოცი და ათი, კიდო ორი წლისა **ვარა** (ქუაბაგი); იმ სოფლიდამ **ვარა** მეო (ქუაბაგი); ...ჩვენ ძაშლები **ვართა** (ბინათი); ღმერთმა იმ წყლით მოსარწყავი ჭალა-ყანა ქვიანი **ქნასა** და არ **ამოვდესა** (ელიასხევი)...

- **იძახს** ზმნას დაკარგული აქვს -ი' სუფიქსი:

მთიდან ერთი ქვა **იძახს**, მოვალ, მოვალო (ქუაბაგი).

- გვხვდება ერთი და იმავე ზმნის **შეკუმშული** და **შეუკუმშავი** ფუძე:

ვინმემ არ **მეძაპროსო**, თუ **მეძაპრიდა**, შეჭამდა ზოფას (სადგი-ყანა)...

- **მეორე კავშირებითის** ნიშანი არის -ა' მოსალოდნელი -**ო**'ს ნაცვლად:

მე არ გიმიგნია ეს. შენ რა'ნა **გიეგნა?** (ხევეკი); ...შენ გაკპარცო, კედი **დავართა**, მიგიქსოვო წინდები (ხევეკი).

- **ვალ** ზმნის ზმნისწინიან ფორმას აწმყოს (ახლანდელი დროის) მნიშვნელობა აქვს:

ჭოროხში **მივალ**, თევზ ვიჭირავ (ფიშნარხევი); აქ კუპრეთია, გზა რომ **მივა** - გუდასხევი (ცუცეკარი); სახში ხომ არ **მოვა** ი, იარება, იარება... (ფიშნარხევი).

აწმყოს (ახლანდელ დროს) გადმოსცემს მყოფადისა და პირველი თურმეობითის მწკრივები შემდეგ წინადადებებში:

მე არ ვიპრი, მე წორი **ვითამაშებ** (=ვთამაშობ) (ხევეკი); მე რაათსუზი ვარ, **ვერ\_გიმიგონია** (არ მესმის); იმა **ვერ გუუგონია** და! (=არ

ესმის) (სადგოყანა); ხენჭებ ვერ უპარაკებთან (=ვერ ლაპარაკობენ), ხთებთან (იეთი).

**აწმყოს** მწკორის აქვს წარსული დროის მნიშვნელობა:

ზოგლი მუსლიმანი დამჩალან ბათუმზე. რაც არი, იქ დამჩალან მუსლიმანი (ცუცეკარი).

- სამხრულ მეტყველებაში მონაცვლეობს ხმოვანპრეფიქსული და უპრეფიქსო ფორმები. ტაოურში ჭარბობს უპრეფიქსო წარმოება:

ჩვენც დამვიწყდა (ბასლეკარი); მე არ გითხარი, დამვიწყდა... (ხევეკი); ზაზად ვეკითხე, არ იყო (ხევეკი).

**ვეკითხე** ამ კონტექსტში ორპირიანია, **ვეკითხე**ს მნიშვნელობითაა.

**5.9. კონტაქტი.** დასტურდება შუალობითი კონტაქტის ფორმები:

ჩვენ თურქულეზულა გვაწერიებენ (ბასლეკარი); იქ მუსაფირ იქმოდეს, პურ მიართმიდეს, დააწვენდეს (ფიშნარხევი).

-ავ შუალობითი კონტაქტის ფორმაშიც დასტურდება:

...შეჩემელ მუუტან, ჩად, ყავე... ვასვამთ (ბასლეკარი) (ვ-ა-სვ-ამ-თ<ვ-ა-სუ-ამ-თ<ვ-ა-სუმ-ევ-თ) (იხ. კლარჯეთი, 2016: 560).

## §6. სახელზმნა

**6.1. საწყისი.** საწყისი ჩვეულებრივ -ა სუფიქსით იწარმოება:

ჩვენი დათლა არი ძველ გურჯული დათლა (ელიასხევი); დათვი, თხა მოკლა მასალია... (წითლეკარი); ძველათ რა იყო, აღება არ იყო, ყიდვა (ელიასხევი); კალო გალეწვა ვიცით... გალეწვა იშტა... (ქუაზაგი); ჩვენში შარაბი შესმა სირცხვილია (ხევეკი); გომოდრომა იქსა, ვერ გომოდრება (ხევეკი)...

**და** - ზმნისწინის ნაცვლად არის მო:

ეს მოლლა არი (იეთი); მოცვა უნდა, შუბერო'და, ისე იქნება (ფიშნარხევი)...

ცნობილია, რომ ნასახელარი ზმნებისთვის საწყისის მაგივრობას ეწევა ის სახელი, რომლისგანაც ნაწარმოებია ეს ზმნები. ესენია: ვლაპარაკობ, ვბასობ, ვსაუბრობ... (შანიძე, 1980: 565). ტაოურში ასეთი ზმნების საწყისთა პარალელური ფორმები გვხვდება.

**ლაპარაკობს** ზმნის საწყისია **ლაპარაკობა**, პარალელურად - **ლაპარაკიც**:

აქ იციან **ლაპარიკობა** (ფიშნარხევი); ვიარუნოთ, **ლაპარიკობად** მანი (ქვაზაგი); ქართული **ლაპარაკობა** და გაბევრდეს, და დააბლდეს (წითლეკარი); არ **ლაპარიკობით** თურქობა არ იქნება (ელიასხევი); აქა იციან **ლაპარიკობა**, მახანჯი არ ლაპარიკობენ (წითლეკარი); ქართული **პარიკობა** და გაბევრდება, დადააბლდეს (წითლეკარი); ქართული **ლაპარიკი** აბლი დარჩა (ელიასხევი)...

**ხვარათვა/ხვარათობა/ხვარათი:**

ჩემ ხვარათად ხდებით თუ არა (სავრიეთი); მე არ ვიცი თქვენი ხვარათა (ფიშნარხევი); ჩემ ხვარათად ხდებით თუ არა (სავრიეთი); მე არ

ვიცი თქვენი **ხვართა** (ფიშნარხევი); ...ვერ მივხდები იმა **ხვართობა** (ბალხიბარი); ბევრი ვერ მივმხდარვარ თქვენი **ხვართი** (ხევეკი)...

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ორივენი წარმოება:

ზოგი **ხვართობა** არ ეწყობა... ქობაძის ქართული სხვაა და ხევამის ქართული სხვაა... ჩვენი **ხვართვა**, იმათი **ხვართვა**... (ქონობანი)...

ეს ზმნა ტაოურში პარალელურად **-ავ'** და **-ობ'** თემის ნიშნებით გვხვდება - **ხვართავს, ხვართობს**.

**წერს'** ზმნის საწყისია **წერვა'** (ამოსავალია **წერავს'**) და ნამიმღეობარი **-წერილობა'**:

ამის **წერვა** ჩვენ არ ვიცით (იეთი); [ქართული] კითხულობა, **წერილობა** ჩვენში არაა (ბასლევარი)...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **წერს'** ზმნის **-ავ'** თემისნიშნიანი ფორმები სამხრული მეტყველებისთვის ნორმაა.

**ყიდის'** ზმნის საწყისია **ყიდვა**:

ძველათ რა იყო, ალება არ იყო, **ყიდვა** (ელიასხევი).

აღნიშნული ზმნაც ტაოურში **-ავ'** თემისნიშნიანია (ამ ზმნის შესახებ იხ. შანიძე, 1980: 547).

**ავსებს', იწყებს'** ზმნების საწყისი **-ობა'** თემისნიშნიანია:

წყალი **ავსობა** უნდა? (წითლეკვარი); აქო წელ **დაწყობაში**, ზღაფული **დაწყობაში**, დავჰკლიდით ყურბნებ (ქუაბაგი)...

**ვიარინობ, გეარინები** ზმნის საწყისი **ობ'** თემისნიშნიანიდან იწარმოება:

**მარობა** ეწყობა. ...**მარობა** ლაპარაკი ისენია (ობლევარი)...

გვაქვს **-ობა'** სუფიქსით ნაწარმოები ნამიმღეობარი საწყისები:

[ქართული] **კითხულობა, წერილობა** ჩვენში არაა (ბასლევარი);

ჩვენ **თხოულობა** თურქებთან მოქ (ქუაბაგი)...

**სიცოცხლეს** ცვლის **ცოცხლობა**:

ახლა **ცოცხლობა** კად არ არი. რომ დაბერდები, **ცოცხლობა** კად არ არი... (ქუაბაგი)...

**-წ'** ჩაერთვის **არევა'** საწყისში: სახლის **არევნა** არი (ხევეკი)...

**-ენ'** ჩაერთო საწყისის **რწყვა'**:

თამარასი რუა, ასე წყალი მოვა, ხალაიქებს, **რწყვენა** (ქუაბაგი)...

საწყისის თავისებური ფორმაა **დაცხომლება'**:

**დაცხომლება** - ავათ გახდი და... (დუგური).

**6.2. მიმღეობა.** თავისებურება შეინიშნება მიმღეობის წარმოებაში. წარსული დროის მიმღეობის მაწარმოებელი ძირითადად არის **-ულ'** და **-ილ'** სუფიქსები, რომლებიც დაერთვის უთემისნიშნო ფუძეს. ხშირად ისინი ენაცვლება ერთმანეთს: მოსალოდნელ **-ულ'**-ს ცვლის **-ილ'** სუფიქსი, ან პირიქით. ერთსა და იმავე ფუძესთან პარალელურად გვაქვს ორივე სუფიქსი. დავიმოწმებთ მაგალითებს.

**-ულ'**:

აქ **დაბადულ** ღარჭებ არ იციან ქართულზე ლაპარაკი; ან და  
ოთხის... წელიწადი **დაბადული** ძანი (ქისქიმი); აქ **დაბადული** ღენჭი ენა  
ამოდგამს - ქართული (დუგური); აქ ვართა **დაბადული** (ხევეკი); შენი  
შვილები **დასახლულია?** (ქუაბაგი); ...ყოფილა ერთი ბიჭი და ერთი გოგო  
**შემყვარებული** (ობლეკარი); ძველათ აქევრის წინ **მოსული** კაცი  
ყოფილა... (ელიასხევი); იქ რომ **მოთიბული** რამ არი, იაშარისი...  
(ქუაბაგი)...

-ულ' -ილ' სუფიქსის ნაცვლად:

...ფაბრიკიდან პირდაპირ **მოტანული** (ხევეკი); აი მუშაობსა და  
**მოღალულია** (ბალხიბარი)...

-ილ':

ჩემზე დიდი და **გათხოვილია**, ადაფაზარში (ქუაბაგი); ხელები  
დამრომია თამარას **გაგზანილ** კაცსა (ელიასხევი); დეკაც **აზელილი**  
უქნია, კანალი უშენებია (ფიშნარხევი); იქ მაღლა სახლსა არც ე'თი  
ძირიდან **ჩავლილი** არა (ქისქიმი); ქვა შექნილა და, სახელი შექნა  
ვოლბილო - ქო **შექნილი** კაცი... (ქუაბაგი); თავანი **გადაკოჭილი**,  
**დაბურვილი** - საჯი (ხევეკი)...

-ილ' -ულ' სუფიქსის ნაცვლად:

მაღლა სერზე ყოფილა **დამარხილი** ხორთლა'დი (ხევეკი); თავანი  
გადაკოჭილი, **დაბურვილი** - საჯი (ხევეკი); ქალები თაჲ **დაბურვილი?**  
(ხევეკი)...

ბოლო მაგალითში შენარჩუნებულია თემისნიშნისეული ვ' (ამოსავალია  
**ბურავს'**).

გვხვდება ერთი და იმავე ფუძის პარალელური ფორმები, ზოგჯერ ერთი პირის  
მეტყველებაში:

...სიცივეში **დახრაკულია**. თქუენ **დახრაკილი** იტყვით თუ  
დაწვილი? (წითლეკარი); აქ ვართა **დაბადული** (ხევეკი); იგი აქ  
**დაბადილია** (ელიასხევი)...

-ილ' სუფიქსი ენაცვლება მ-არ', მ-ალ' მაწარმოებლებს:

თქუენ დახრაკილი იტყვით თუ **დაწვილი?** (წითლეკარი). შდრ.:  
ძველი ქართული **შეწვული**' (შანიძე, 1980: 577); დილაზე იმის უკან  
**დალბობილი** წყალი'ნა გუდუწურო (ქისქიმი); **ადგომილი** კტარი იქნება?  
(ხევეკი)...

ბოლო ორ შემთხვევაში მიმღეობის საწარმოებლად საწყისია გამოყენებული  
(დალბობა>დალბობ-ილ-ი, ადგომა>ადგომ-ილ-ი) (უკანასკნელი ფორმის შესახებ  
დაწვრილებით იხ. ცინცაძე, ფაღავა, 1998:82-83).

**მოკვდა'** ზმნის მიმღეობებია **მოკდილი'**, **მოკდენილი'**, **კტარი'**(<მკვდარი'):

ბირთანე **მოკდილი** ყანსერი, ერთი წელი შეიქნა (გაღმა ქობად).  
...ბირ თანე [ბგანო] **მოკდენილი**... (ქუაბაგი); **ადგომილი** კტარი იქნება?  
(ხევეკი). შდრ. კლარჯული **მოკდომილი** (კლარჯეთი, 2016: 565).

**ღარჩა'** ზმნის მიმღეობაა **ღამჩალი**(<ღამრჩალი):

საყდარ ადგილი დუუნგრევიან, სახლი კედლებ უშენებთან  
საყდარიდან **დამჩალ** ადგილას (წითლეკვარი); ძველი **დამჩალი** ბელქი  
ერთი-ორი ხანე არი (ფიშნარხევი)...

ამ ფორმას ეყრდნობა პირველი თურმეობითის წარმოება:

ვინმე არ **დამჩალა**, წესულან (ელიასხევი); იგი **დამჩალა** მარტო...  
პრეზიდენტი **დამჩალა** მარტო (ბასლეკარი); აქავრი კაცი ბათუმ **დამჩალ**  
არი (ქუაბაგი) (შდრ. შავშეთი, 2011: 268).

წარსული დროის მიმღეობის მაწარმოებლებია ასევე: **ნა'-, ნა-არ'** აფიქსები.  
**ნა'-:**

...**ნატეხები** არი ასე და ნათხრები არი და მუშლიან ყველაფერი  
(ქუაბაგი); აქ **ნავალში** აქ რომ მუახლოვდებიან... (ელიასხევი); ჩემ აღასი  
**ნათქვამი** ესენი არიან... (ბასლეკარი); ესეც ჩემი **ნათქვამი** (ელიასხევი);  
თქუენ გეცოდინებიან, ჩუენზე **ნაკითხნი** ხართ (ქუაბაგი); იქ **ნამყოფნი**  
ხალხი თელი გურჯი არიან (ქუაბაგი); ...აქო **ნაწოლი** გულისთუნ ჩონი  
ხოწნები გეგონეო (ელიასხევი)...

**ნა-არ':**

ეს ხელით **ნაქნარია** (ხევეკი); გაღმა ყანები ჩემ აღასაც ახსოვს,  
ახალი **ნაქნარია** (ხევეკი); ...ძველად **ნაქნარი**, და ყოფილა, და არ ყოფილა?  
...არი კიდო ...ოღვილოსი **ნაქნარი** (ქუაბაგი)...

თავისებური ფორმებია: **ნანდომი, ნამცოდნი, ნალაპარიკი...**

ქართული **ნამცოდნი** პარხალ არ იქნებიან (ელიასხევი); თქვენი  
**ნალაპარიკი** ვერ მივხითთ (ჭილათი); ...ნატეხები არი ასე და **ნათხრები**  
არი და მუშლიან ყველაფერი (ქუაბაგი); აქ **ნავალში** რომ მუახლოვ-  
დებიან (ელიასხევი)...

მომავალი დროის მიმღეობას აწარმოებს **სა', სა-ელ'** აფიქსები:

**სა'-:**

...**საწურავში** ჩახყრიდეს, ცხელ შრატში ჩადებდეს... (ფიშნარხევი);  
ეს არი მაშხალა, ვაშლისი და სხალისი **საკრეფი** (ხევეკი); ეს **საწონი**, ...ეს  
**სალესი**, ესაც პურის **საცხოზი** (ხევეკი); ეს არი **სახიზრი** (ხევეკი); ეს არი  
**საქსოვნისი** (ხევეკი); **საწველავი** ოდა, აათალი ოდა... (წითლეკვარი)

**სა-ელ':**

აქ ერთი ბიჭი ყოფილა **საქორწინებელ** წელში; **სამღერებლად**  
წიმიყვანებ საქართველოში (წითლეკვარი); **ამოსავლელი** ხარ, ამეარე  
(წითლეკვარი); აქ **სავლელა** მოვდივართ, ზიარეთზე, ხისიმების  
დანახვაზე (ქუაბაგი); **სავლელა** მოსულა ბეური, **საწერელა** ქალი არ  
ყოფილა (წითლეკვარი); **სავლელი** თუალზე კად **მოსაჩინებელი** არის  
(ქუაბაგი); **საჯდომელათ** არ მცალია (იეთი); კვირაში ერთ დღეს  
**სარცხელი** დრო ყოფილა, იმ დროზე... **სარცხელს** იქმოდეს (ხევეკი);  
სარცხელი დღე არ ყოფილა (ხევეკი); **სარცხელი** უქნიან წყალში, სარცხი  
ტბაა, არი ლომბი ტპაც. **სარცხელი** ყოფილა, ქალები მოკრეფულან, იმ  
ქვებზე **სარცხელი** უჯოვნინან (ქუაბაგი); მაჭა **დასაჭერელი**, **საწნელი**



მიწაში მუშაობს (ქუაბაგი); ...ზღაფხულჩი არ წევდოდეს **სამუშაველა**, **ასაღებელა** (ელიასხევი); თურქეთი კაცები **საომებლად** წასულან (ელიასხევი)...

ერთი და იმავე ფუძის პარალელური ფორმებია:

ბურსა ბელედიეში გუვენლიქია, გარედან **საცველი** (იეთი); // ერთი გოგო მისი **საცვავე** იქნებოდა, ვინმემ არ მედპაროსო (სადგიყანა); ესა სათივლეა, **დასაჯოხებელი**, **დასაჯოხავი**, „საბზე“ (წითლევკარი).

მომავალი დროის მიმღეობის თავისებური ფორმებია - **მელაპარაკე**, **ამაღებელი**:

**მელაპარაკე** კაცია, ახლა არ ახსოვს (ქუაბაგი); ...შრატი აადუღებ და ყველი **ამაღებელი** (ხევეკი).

ტაოურში დადასტურდა მიმღეობა **ფრინვალე**:

...გალმი სერზე **ფრინვალე** /იქით-აქეთ მეარე (ბინათი).

ძველი ქართული ენის ლექსიკონში **მფრინვალე**, **მფრინვალი** განმარტებულია როგორც **მფრინავი**, ხოლო **მფრინველი** - **ფრინველი**: ვითარცა **მფრინველი მფრინვალე** (I, ეს. 31,5) (აბულაძე, 1973). ტაოურის **ფრინვალე** ნიშნავს სწორედ **მფრინავს**. შდრ.: აჭარული **გამფრინვალე**. (იხ. ცინცაძე, ფალავა, 1998: 81-82).

უარყოფითი მიმღეობა იწარმოება **უ-ელ** კონფიქსით:

**უმუშაველად** ფარა მოგება უნდანან (ხევეკი); **მანქანაშუსლელი** სოფელი, მგონი, აქ არ არი (ბალხი).

ბოლო წინადადებაში მიმღეობა შედის კომპოზიტის შემადგენლობაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმღეობათა დასახელებული მაგალითებიდან ბევრი გასუმსტანტივებულია, - საწურავი, საკრეფი, საწონი, საცხობი..., ზოგიც ზმნიზედად არის ქვეული - სავლეა, საწერელა, საომებლად...

## §7. უდეტრები

### 7.1. ზმნიზედა

**7.1.1. ადგილის ზმნიზედა.** ტაოურში სალიტერატურო ქართულის **აქ**, **იქ** ადგილის ზმნიზედების შესატყვისები გვხვდება სხვადასხვა ფორმით, ფუძის გახმოვანებითა (**აქო**, **იქი**) და -ს' თანხმოვნის დართვით - **აქოს**.

**აქ**, **იქ** წარმოების მიხედვით პირველადი ზმნიზედებია, რომელთაც თავდაპირველად ჰქონდათ ბოლოკიდური ხმოვნები **აქ(ა)**, **იქ(ა)**, რომლებიც -ც' ნაწილაკის დართვისას აღდგება. აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ „იქა“-ში ა „აქა“-ს ანალოგიით არის გაჩენილი: ძველი ფორმა იყო „იქი“: „მიიახლა აქა და **იქი** და არავინ იხილა (გამოსლვათა 2, 12); „მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის **იქი** მჯდომარე“ („ვეფხ.“ 91)...“ (შანიძე, 1980: 588).

**იქ** ზემო - მექეთების ძირად - კრაეკარი... (ბასლევკარი);

**აქო** დააგებენ ქილიმებ, ილოცვენ, ...**აქო** ნაწოლი გულისთუნ... (ელიასხევი); **აქოს** გააჩერე! (ხევეკი); **აქოს** ვიმღერებდით, გოგომ ბიჭი, გოგომ ბიჭი (იეთი); მოსულან **აქოს** (ელიასხევი);

...**იქი** სულ არ იციან [ქართული] (ქისქიმი); **იქაც** ილოცვიდენ, **იქსაც** დაკვლენ... (ქუაბაგი);

...გალმი სერზე ფრინვალე /იქით-აქეთ მეარე (ბინათი)...

ამ ფუძეებისგან წარმოქმნილი ზმნიზედებია **აქობაში' იქობაში'**:

მე ა' დომინახია და, **აქობაში** არ არი [ეკლესია] და, **იქობაში** არ წავსულვარ (ქისქიმი). შდრ.: აჭარული **აქში', იქში'**.

ხმოვანფუძიან სახელთა ანალოგიით ზოგი ზმნიზედა დაირთავს სახელობითი ბრუნვის ნიშანს, ესენია: **გაღმაღ', გადაღმაღ', ძირაღ', თავაღ', შიგანაღ', გარეღ'**:

არ ჩანს აქედამ, სირთის **გადაღმაღ** საყდელა (ქუაბაგი); ეს ბოწმინდა, **გაღმაღ** - კუპრეთი (ელიასხევი); იქ **გაღმაღ** - გოდლეკარი... (ბასლეკარი)...

ამათ პარალელურად გვაქვს **გაღმი', გამოღმი'**:

შენ **გაღმი**, მე - **გამოღმი** / გულმა რა'ნა გედსვენოს?! (სადგიყანა).

**თავაღ'(თავში')**, **ძირაღ'(ძირს')**:

ის **თავაღ** - დოლენჯიკარი, იქ ზემო - მექთების **ძირაღ** - კრაეკარი... (ბასლეკარი).

**შიგანაღ'(შიგან')**, პარალელურად გვაქვს **შიგან'**:

**შიგან** ყველი'ნა მუწყედო... მუწყედოვ **შიგან** (ქონობანი); ქორი **შიგანაა** (ქონობანი); ტეხავ ამა, **შიგანაღ** იღებ, გარეღ - არა (ქუაბაგი)...

**გარეღ'(გარეთ')**:

**შიგანაღ** იღებ, **გარეღ** - არა (ქუაბაგი).

ბოლო ორ წინადადებაში ზმნიზედები (**შიგანაღ'** და **გარეღ'**) გაარსებითებულია.

**ზემოთ'** ზმნიზედას ჩამოშორდება ბოლოკიდური თანხმოვანი:

იქ **ზემო** - მექთების ძირაღ - კრაეკარი... (ბასლეკარი).

**შორს'** ჩამოშორდება თანხმოვანი და სახელობითი ბრუნვის ნიშნითაა ფუძე გაფორმებული:

**შორია**, ჰო, ...აქედანა ქობაღ'ნა გახვიდეთ, ქობაღდან დეილა (ჭილათი).

**საღლაღ'** ზმნიზედის მნიშვნელობით გამოიყენება **სამ'**:

ფაჩალი მამა'ლი, ქათა'შიც იყო და **სამ** წევდა (წითლეკარი)...

შენახულია ძველი ქართულის **მანდ (მანდა)**:

...ბებერი **მანდ** არის, თუ არ არი? (ხვეკვი)...

**7.1.2. დროის ზმნიზედა.** დროის ზმნიზედებია **წინ', წინწინ'**, ორივეს მნიშვნელობაა **ძველად' წინათ', უწინ'**:

ასე **წინ** მოსული კაცები მუუკდუნებია (ელიასხევი); **წინწინ** ყავარი იყო (ხვეკვი). (შდრ. შავშეთი, 2011: 269; კლარჯეთი, 2016: 566).

**იმ ხანე'//იმხან'//იმხანა'** მნიშვნელობით იგივეა რაც **იმ დროს'**:

...**იმხან** უჩუმალად ულოციან (ელიასხევი); **იმხანა** ნეკერი ვდგემნით (ბალხიბარი); **იმ ხანე** ჯედზი არ იყო (მოსლიეთი)...

**დიდხანს'** ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება **ბევრი'** (იხ. ვითარების ზმნიზედა), **ბევრზე'**:

მე **ბევრი** არ ვიყავ აქა (ხვეკვი); იქ საქმეები აქვან და ვერ დამდგარან **ბევრზე** (ქუაბაგი)...

**წრეელა//წრეელ** იგივეა რაც **წელს**:

...**წრეელა** არაფერი არ არი. ყურძენი არი, **წრეელ** არა, არ მედსხა (ბინათი).

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის თანხმონებითი ნაწილის ჩამოშორებით მიღებულია ზმნიზედები **დლისი** და **ღამი**:

**დლისი** რამე საქმე გაქ, **ღამე** რატომ არ მოხველ? (ქუაბაგი).

(**დლისი** ზმნიზედის შესახებ იხ. შანიძე, 1980: 591).

ზმნიზედის თავისებური ფორმა კომპოზიტური წარმოების **აწმისიქით** (<აწმის იქით), **აწმამდი** (<აწმამდი). შდრ.: აქამომდე:

**აწმისიქით** დავწერ, **აწმამდი** არ ვიცოდი (წითლევეკარი)...

**7.1.3. ვითარების ზმნიზედა.** ვითარების ზმნიზედად გამოიყენება ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავი სახელი, რომელსაც ხშირად ჩამოშორებული აქვს ბრუნვის ნიშნის თანხმონი, ზოგჯერ - ბრუნვის ნიშანი მთლიანად, ამგვარად მიღებულ ფორმებს ხმოვანფუძიან სახელთა ანალოგიით ერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი (იხ. შავშეთი, 2011: 269; კლარჯეთი, 2016: 567) და ვღებულობთ ერთი და იმავე ფუძის ზმნიზედის პარალელურ ფორმებს:

რატო **იაფურა** ყიდაო... რატომ **მეფურად** ყიდავო... (ხევეკი); მე **ცქვიტა** ვიარინოზ (ქუაბაგი); ბევრი **ცქვიტა** ხვარათობენ... (ბალხიბარი); ...**პირველ** ბებრები წევლენ (ცუცეკარი); ვინმე თუ არ არი, არ თუთუნობს - **წორა** უთქმიან (წითლევეკარი); ამა ვერ უხვარათია **სწორ** (წითლევეკარი); **უჩუმა** ჰკლენ... (მოსლიეთი); **უჩუმრა** მიეპარება... (ხევეკი); ბაშთან **უჩუმა** ულოციან, **უჩუმამ** სმენ (ხევეკი); ...იმხან **უჩუმალამ** ულოციან (ელიასხევი); ჩვენ **ჩვენებურამ** ვილაპარიკებთ ...**ჩვენებურამ** არ იქნება (ქუაბაგი); ის **ტყვილამ** არ იხვარათებს (სადგიყანა); ედვიდე ფული და **მარტუამ** გეძარე წად (ქუაბაგი); სახში ჰემ **ქართულა** ვხვარათობთ, ჰემ - თურქქა (დუგური); სუყველა **ქართულ** პარიკოფს (ელიასხევი)...

ზმნიზედის ფუნქციით გამოიყენება ასევე ზედსართავი სახელი:

სუ ყველა **ქართული** ელაპარიკა (ელიასხევი); ...სახში ფაქა (თეელი) **ქართული** ვხვარათობდით. სახში **ქართული** ვპარიკობთ (ბასლეკარი); **ქართული** ეპაჰე სიფთა (წითლევეკარი).

ზედსართავი **ბევრი** გარდა იმისა, რომ აღნიშნავს დროის ზმნიზედას **დიდხანს** (იხ. ზევით), ნიშნავს აგრეთვე **ძალიან**:

**ბევრი** მაღალია, ვერ ეველ (ელიასხევი); აქ ზამთარი **ბევრი** თოვლსა (იეთი).

**კარგად** ზმნიზედის მნიშვნელობით გამოიყენება ზედსართავი სახელი **კარგი**>კამ:

**კამ** ვარ, **კამ!** (ელიასხევი); ...და **კამ** არ ვიცი გურჯული (ხევეკი); ამ ორთანებმა **კამ** იციან (წითლევეკარი); **კამ** ხარა? მე **კამ** ვარა? ალლაჰ შუქურ, **კამ** ვარ (წითლევეკარი).

ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად ზედსართავი მოქმედებით ბრუნვაშია:

...გურჯისტანიდან მოსულიყვენ და რუსულით თვლიდენ...  
(ელიასხევი)...

**7.1.4. კითხვითი ზმნიზედა. როდის' ზმნიზედის მნიშვნელობისაა რახან':**

ფოშეთი ა' გქონდა წითელი შენ აქ ხელჩი?- რახან? (ქუაბაგი); შენი  
ბერი რახან მოგიკტა? (ფიშნარხევი)...

**სიდამ'//ჰიდამა'//ჰადენამ'//ჰადემდა** გამოიყენება **საიდან'** ზმნიზედის  
მნიშვნელობით:

**ჰიდამა** ხარა-მეთქი? (ქუაბაგი); **ჰადენამ** დეეჩვიე (ბასლეკარი);  
**ჰადემდა** მოხველით? (ფიშნარხევი); შენ **სიდამ** მოსული ხარა? (ქუაბაგი).

**რატომ'** კითხვითი ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს **-ზე'** თანდებულიან **რა'**  
კითხვით ნაცვალსახელს:

ახლა **რაზე** გეცინეო? (დუგური); ჩემ დედეს უთქმია კი, **რაზე**  
გეცინეო? (ქუაბაგი); **რაზე** წასულან, არ ვიცი (ელიასხევი)...

**7.1.5. მიზეზის ზმნიზედა. იმ ბარზე' ნიშნავს იმიტომ', იმის გამო':**

... მე მივხდი და **იმ ბარზე** გიმძირვარ (ქონობანი); ხოჯიყანა - ჯამე  
წინიდამ არი და **იმ ბარზე** (ქონობანი).

**იმიტომ'** ზმნიზედის მნიშვნელობისაა **იმაზე'**:

ერთი თვე არ ვხედავდი, **იმაზე** ჰკვა წევდა (ხევეკი); არ კლენ და  
**იმისთინ** იზდება (ელიასხევი); ბევრი კრავები, ცხვრები უნახიან... **იმიდან**  
დუუთქმევიან „კრავკარი“ (ბასლეკარი)...

**7.1.6. მიმართებითი ზმნიზედა. როდესაც' მიმართებითი ზმნიზედის**  
**მნიშვნელობით გვხვდება როდის':**

...**როდის** გახვიდოდი, გიგიკეთებდენ (სადგიყანა).

**7.1.7. ზომა-ოდენობის ზმნიზედა. ზომა-წონისა და ოდენობის ზმნიზედების**  
**მაწარმოებელია ხელა'//ხელაჲ':**

**სამ-ოთხ ხელაჲ** იტყვი, დუმანი დეგვარქვის (წითლეკვარი); **სამი**  
**ხელა** იტყვიან (ბალხიბარი).

რიცხვითი სახელი **ნახევარი'** იგივეა რაც **ნახევარჯერ'**:

დედაჲ **ნახვარი** ავათ არი (ქუაბაგი)...

**7.2. თანდებული. ვით'თანდებული გავრცელებულია ვევ', თვენ' სახით:**

**ჩვენსავევ** ბერებია, დენჭი არ არი (ხევეკი); რა ებგერები  
**ვერძსათვენ'?**რა ბლუიხარ **კარსათვენ'?**რა ბრუნავხარ **ნართსათვენ'?**  
(წითლეკვარი)...

-**ვევ'** გვხვდება კლარჯულში (კლარჯეთი, 2016: 567), **ვენ'** დამახასიათებელია  
მთელი სამხრული მეტყველებისათვის (შავშეთი, 2011: 270; კლარჯეთი, 2016: 567;  
მაჭახელი, 2017: 246; ნიჟარაძე, 1975: 128).

პარალელურად გვხვდება -იდან' და -დამ' თანდებულები:

**ძიდან** ვიჯები ყველ... (ბოწმინდა);

ფესტილ **თუთიდან** გააკეთებენ, **ქლიავიდან** ცოტა ჟავა (ცუცეკარი); **იქიდან**, მიერე **თერეფიდან**, მოკლე გზა გუაქ (ცუცეკარი); ...**დენისიდან** ბევრი მალაა (წითლეკარი); **შეშიდან** ასხამს წყალი (ბოწმინდა); შენ **სიდან** მოსული ხარა? (ქუაბაგი)...

-**დამ** თანდებულები გვხვდება მთელ სამხრულ მეტყველებაში და ქართული ენის სხვა დიალექტებშიც (იხ. ფალავა, 2011: 235-241; კლარჯეთი, 2016: 567; მაჭახელი, 2017: 247).

-**კენ'** თანდებულს მოკვეცილი აქვს **ნ'**, პარალელურად გვაქვს ორივე ფორმა - **კენ'//კე'**:

უთქვია, წიმიყვანე **მშობლისკეო** (ელიასხევი); ...გუუგდიან, გუდუყყრიან **ქომოთკე** (ქუაბაგი); კოწახურა დორთ **ქილისასკენაა** (ხევეცი)...

-**ზე** თანდებული გვხვდება -**თვის'** თანდებულის ნაცვლად, ასეთი სახელი წინადადებაში მიზნის გარემოებაა:

აქ სავლელა მოვდივართ, ზიარეთზე, ხისიმების **დანახვაზე** (ქუაბაგი). **დანახვაზე'** ე.ი. **სანახავად'**.

**თვის'**, **გულისთვის'** თანდებულის მნიშვნელობით იხმარება **ბარზე'**:

ზათენ **დენჭებ ბარზე** ჩეველით ყეზაში (ქონობანი); ახლა **ეზე ბარზე** მოველით აქა (ქონობანი).

-**ში'** თანდებული ერთვის სახელობითი ბრუნვის ფორმას:

ჩემი დედე სექვზე დაბადულა **ქვაბაში** (ქისქიმი); **ხევაში** ჩვენ არ გავალთ, **ხევაში** ორჯინალია, აქ - არა (ქისქიმი). შდრ.: **გემიში'**, **ჩარშიში'** (კლარჯეთი, 2016: 567; შავშეთი, 2011: 270).

-**თვის'** თანდებულის ვარიანტია -**თუნ'**:

უთქვიან იმ **ფაფაზისთუნ** ასე... (ელიასხევი)...

თანდებულის ფუნქციით გვხვდება შემდეგი ზმნიზედები: **წინიდან'**, **შიგან'**, **უკან'**. **წინიდან'** იგივეა რაც **წინ'**:

ხოჯიყანა - **ჯამე წინიდან** არი და იმ ბარზე (ქონობანი).

**შიგან'** - **ში'**:

ბევრი **შეირ შიგან** არი'ან (წითლეკარი); ძარებით ათრევენ ქვას **თოვლშიგან** (ქუაბაგი).

**უკან'** - **თან'**:

**ბიჭს უკან** დადე არსა არი (ცუცეკარი)...

**უკან'** თანდებულის ფუნქციით იხმარება კლარჯულშიც (იხ. ფალავა, 2011:249-251; ცინცაძე, 2015:56).



**7.3. ნაწილაკი.** ტაოურში ფართოდ გავრცელებულია კითხვითი -ა' ნაწილაკი. იგი უმეტესად ერთვის ზმნა-შემასმენელს:

სამი დღე **თქვია?** გურჯები **ხართა?** (ქუაბაგი); ახლა სად **მიდისხართა?** (ელიასხევი); მუსლიმანი **ხარა?** (ელიასხევი); ბათუმიდან **ხართა?** (ელიასხევი); ჰიდამა **ხარა-მეთქი?** (ქუაბაგი); სამი დღე **თქვია?** ხუთი დღე **თქვია?** (ქუაბაგი); სხვა ალაგსაც **მიხვალთა?** (ობლეკარი); ქათმებ ვინ **შეხედავსა?** (ქუაბაგი); ჰად **მივდივართა?** (ელიასხევი); შენ **ხარა?** (წითლევეკარი); არ **იციტა?** (ცუცეკარი); მუსო, როგორ **ხარა?** (ელიასხევი); აბა წყალში **გაყარაა?** (ქუაბაგი); რა გინდა, რა ჰერსიანი **ხართა?** (ქუაბაგი); შენ სიდამ მოსული **ხარა?** გურჯები **ხართა?** (ქუაბაგი); შენ ჰად **ხარა?** (წითლევეკარი); მე თაბი **ვილოცოა?** (წითლევეკარი); კად **ხარა?** მე კად **ვარა?** ალლაჰ შუქურ, **კად** ვარ (წითლევეკარი); ხომ გაავრი არ **ვარა?** (ქისქიმი); ღორს **ჰამთა** თუ ღორსა? (ობლეკარი); რომელი სოფლიდამ **ხარა?** ბათუმიდამ **ხარა?** (ელიასხევი); გურჯი **ხარა** და მუსლიმანი **თუ?** (ცუცეკარი); ემექლი **ხარა თუ?** (ქუაბაგი)...

იშვიათად ა ნაწილაკი გვხვდება წინადადების სხვა წევრებთან:

ამას ვუმღერო **მეა თუ?** (წითლევეკარი); გურჯიჯა იხვართე! **მეა?** (ქუაბაგი); **მეა?** მე აქევრი ვარ (ბასლეკარი)...ვის მიე, **ვისაა?** (ქუაბაგი)...

კითხვითი ა' ნაწილაკი მეტ-ნაკლებად გავრცელებულია მთელ სამხრულ მეტყველებაში და ქართულის სხვა დიალექტებშიც (იხ. ფალავა, 2009: 29-39; ასევე: შავშეთი, 2011: 271; კლარჯეთი, 2016: 568; მაჭახელი, 2017: 252. შდრ. ფუტკარაძე, 2016: 289).

ტაოურში, სხვა სამხრული კილოების მსგავსად, **უნდა'** ზმნის შეკვეცილი ფორმები (**ნა', და'**) გვხვდება ნაწილაკის ფუნქციით:

შიგან **ყველი'ნა** მუუწყდიო... (ქონობანი); აქედანა **ქობაა'ნა** გახვიდეთ (ჰილათი);

ედდა, **რაით'და** შევჰამო? (ქისქიმი); ბიჰი ყოფილიყო, **მე'და** დემერქვა სახელი... (ელიასხევი)...

კლარჯულის მსგავსად უარყოფითი **არ'** ნაწილაკი დასტურდება **ვერ'** ნაწილაკის ფუნქციით:

მომეზნე და **არ** იპოვე? (ბოწმინდა); ვეხვართები, ჰამა **არ** ხდებიან (ბალხიბარი).

თურქული **მი'** ნაწილაკი გამოხატავს კითხვას:

შექერ არ **აგდეფ-მი?** (ბინათი); შექერ არ **იჯებით-მი?** (ბინათი); ...კაკალი - **დასწერე-მი?** (ბინათი)...

**მი'** ნაწილაკი თურქულში გამოხატავს სხვადასხვა მოდალობას კითხვას, გაოცებას, აძლიერებს მოქმედებას. ლ. ჩლაიძე აღნიშნავს, რომ ქართულში **მი'** მხოლოდ კითხვას გამოხატავს (ჩლაიძე, 2001). ქვემოთ დასახელებულ მაგალითებში

**ა. მი'** გამოხატავს გაოცებას:

ასე პირზე **შეხედე-მი**, გურჯულა გეტყვის (ფიშნარხევი);  
**დამდგარა-მი** [საათი] (ბინათი)...

**ბ. მი'** აძლიერებს მოქმედებას:

...მექთები **გეცხსნა-მი**, მივალთ (ბინათი)...

დადასტურებითი ნაწილაკია **ოქი' - ჰოდა (?)**:

ირანი **ოქი** ინგლისურებ ეომებოდა, ...**ოქი** თურქეთი კაცები  
საომებლად წასულან (ელიასხევი).

დასტურდება **მა'** ნაწილაკი:

ქათამი წევდა **მა**, ყვირის [მამალი] (წითლეკვარი).

**ქი**:

ჰამა ჩუნ არ **მივედივართ-ქი** ახლა (ბოწმინდა); შინებიან **ხალხსა-ქი**... (ელიასხევი); რა **გინდანან-ქი?** (წითლეკვარი); იმა **უთქვია-ქი**: მე ისეთი ყალე გავაკეთო... (ბასლეკარი); ფეხზე **დავდექ-ქი**, მისივდება (ბინათი); მუსლიმები **არიან-ქი** სოფლებში (ქუაბაგი); ვერ იპუა-**ქია**, მოხკლიდა, ფინთი'ა (მოსლიეთი)...

### თავი III. სინტაქსი

#### §1. სუბსტანციური მსაზღვრელი

ტაოური ქართულის ერთ-ერთი საინტერესო თავისებურება ჩანს მსაზღვრელი სიტყვის ნანათესაობითარი სახელობითი ბრუნვის ფორმა, მნიშვნელობა არა აქვს, თანხმოდანფუძიანი თუ ხმოდანფუძიანი სახელით არის გადმოცემული ეს მსაზღვრელი. ა' და ე' ხმოდანფუძე დაბოლოებულები უკვეცელია, რიგი პრეპოზიციურია. სხვა სამხრულ კილოებში ასეთი ფორმები თითო-ოროლა დასტურდება (შავშეთი, 2011: 276; ნიჭარაძე, 1975: 155).

- ა. თანხმოდანფუძიანი სახელით გადმოცემული სუბსტანტიური მსაზღვრელი:
- წაველით... ჩემ ბერისი ტადასი დეკაცი (ქონობანი); ამ სოფლისი აგარა არი (ბასლეკარი); ესეც თორისი ბგანოა (ბასლეკარი); ეს არი მაშხალა, ვაშლისი და სხალისი საკრეფი (ხევეკი); ერთი სამი თანე თურქეთისი ასკერები მუკდუნებია (ელიასხევი); ჩემ კაცისი ტადასი ხანუმი - დეკაცი (ბასლეკარი); ეს არი ცხენისი ყაშაა, საფხანაა (ხევეკი); ...სახლისი კარი, ე - გიზა... (ქისქიმი); ...ი ჩემი დეგნისი ქალია (ბალხიბარი); ეს არის ქელაზორი, ქელაზორისი საყდარი (ქუაბაგი); მე ბექთაშოლღებისი სიძე ვარ (ბინათი); ილაჯებ მამღევს, ვარეზისი წინდა ჩედციო (ბინათი); იქოვრობაა პარხალი ყოფილა ზათინ, ესაც პარხალისია (ელიასხევი)...

ბოლო წინდადებაში საზღვრული სიტყვა ჩავარდნილია.

- ბ. ხმოდანფუძიანი მსაზღვრელი:

მისი დედა ჩემ დედასი აგანია (ხევაა); ჩემ ალასი ნათქუამი ესენი არიან (ბასლეკარი); ჩემი ალასი სახლი იქ არი, ბასლეკარ (ქონობანი); ეს ალასი სახლია (ფიშნარხევი); დედასი ლაპარაკი სახში ფექა ამდგარა (ბასლეკარი); მას უკან ზალი მოვდა, ალაბესი დეკაცი (ქონობანი); ქომო ამ მაჰალესი აიღებია (ელიასხევი); ჩემ დედესი ჭალაა (ელიასხევი); ქობაღსი ქართული სხვაა და ხევაღსი ქართული სხვაა (ქონობანი); ...ქართული - დედასი ლაპარიკი (ბასლეკარი); თამარასი რუა, ასე წყალი მოვა (ქუაბაგი); თამარასი სარწყა'ვო იქ არი და... (წითლეკარი); ...მაშინ ჩემ დედესი ორი ჯარი, ათ და ხუთი თანე ცხვარი გომოყარეს თოვლში (ქისქიმი); ონდენი ვინაა? - ჰაქი დედესი. - ჰაქისი ბიჭი? (ქუაბაგი); ამ მაჰალესი აიღებია! (ცუცეკარი); ე ჩემ ტადასია (ქონობანი); ამ მაჰალესი სახელი - ქონობანი... მაჰალესი სახელი - იეთი მაჰალესი ვარ (ქონობანი); ...ალასი, ანასი რესმები იქ არი (წითლეკარი); ის დევსეკარისი თავია (ქუაბაგი); მისი დედა ჩემ დედასი აგანია (ხევეკი); ეს ჭალა ანენუმ

**ბაბასია** (ელიასხევი); ...ჩემ **ბაბასი** [გვარი] ერიდი, გულფაჩაშერ (ბინათი)...

ასეთი მსაზღვრელი ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს' თანხმონითი ნაწილის გარეშე ან **უნიშნოდაა** წარმოდგენილი.

**ა. -ს'ს გარეშე:**

აგი **ჯამე** კარი (ხევეკი); **ჩაი** თესლი ამეცტანე, დავთესე (ელიასხევი); ...აქ **ქობაი** ხალხი ცხოვროფს. **ქობაი** ხალხი ცხოვროფს იქაც (ხევეკი); ...ზათი გზა ყოფილა, **არაბი** გზა (ქონობანი); ...კანალი, **თამარა** კანალი, და! (წითლევეკარი); **ბგანი** თერეფში წველებთ (მოსლიეთი); ...გზაა, **ფეხი** გზა, გზა პატარა (ელიასხევი); **ფეხი** გზაა - გზა ბაწარაი (ელიასხევი); არმენ ხევეკი **პარხალი** თერეფშია (ელიასხევი); ე ჩემი ორი ძალი არიან, **ბიჭები** ქალები (ბასლეკარი); კილაზე **გუდასკვე** ხალხია, ქართული არ იციან (ხევეკი); კერევლათი **უტავი** მაჰალეა (ხევეკი); ზათინდელი **ხელი** ხიზარი იყო (ქუაბაგი); ...იქა მაღაზია ქონდა, **ტანსაცმელი** მაღაზია (ხევეკი); ახლა თქვენ ცალკე ჰუქუმეთი ხართ, **გურჯისტან** ჰუქუმეთი? (ქუაბაგი); ...ახლა **ყურძნი** ქოქები არი (ქუაბაგი); ...**თევზი** ფხად გაჯრილა ყიაში (მოსლიეთი); **სახლი** კედლებ უშენებთან საყდრიდან დამჩალ ადგილას (წითლევეკარი); უწინ ქსოვდეს **ვაცი** თმიდან... (წითლევეკარი); ...მარტო **მარქელი** ფორვა ვიქთა (ქონობანი); ჩემი ალა, ოტელი არი... **ბეთონი** ჳიდი არი... (ქონობანი); კევი იცით? **ნამვი** ხევნარზე იქნება (ელიასხევი)...

**ბ. ნიშნის გარეშე:**

მომწონდა **პარხალ** ქილისე (ქონობანი); **პარხალ** ქილისეში გაველით ჩუენ (ქონობანი); ბიჭები'ნა მოდენ, ზლები, თორები - **ბიჭებ** ღარჭები (წითლევეკარი); **იეთ** მაჰალეები: ზომო მაჰალე (ობლეკარი); აქ **ჭანებ** მაილებია გადაღმა (დუგური); ...**ალაგებ** სახელი ქართულია: დიდლეუ... (ქისქიმი); აქო ახლა სამრავლო წვერზე ვართ, **საყდარ** წვერზე... (ქუაბაგი); **საყდარ** ადგილი დუუნგრევიან (წითლევეკარი)...

გვხვდება სუბსტანციური მსაზღვრელის -ა' სავრცობიანი და უსავრცობო ფორმებიც.

**ა. -ა' სავრცობიანი:**

**კაცისა** ანად მომკტარა, წუყუყანთან... (ელიასხევი); მე **სახლისა** ბგანო ვარ, ისა - მაზლი (ბასლეკარი)...

იშვიათად დასტურდება შებრუნებული წყობით -ა' სავრცობით:

...პივაც კადა **თურქეთისა** (წითლევეკარი).

**ბ. სავრცობის გარეშე:**

იმ **ქალის** ანასა დუბედია, დედასა... (ქისქიმი); იმ **ქეშიშის** ბიჭსა შუხედნია ქი... (ბასლეკარი); ...**გოგოს** სახში წევალთ (ბინათი); **თამარას** წყალი სავრიათ კედდამ დევთისას მივა (ელიასხევი)...

ერთსა და იმავე წინადადებაში დასტურდება პარალელური ფორმები:

ჩემი სახლი, ე **ბგანოსი**, **მაზლისა** ზედთ (ბინათი); ...ე **ბგანოსი** თორია, ი - **ბიჭისა** (ფიშნარხევი); ჩემ **ძალისა** ენგადა, **ემოსი** დეკაცი (ბინათი); ად **ვაზი** ფურცელია, **ადესასი** ფურცელი (სადგიყანა); **დათვი** წყარო უძახდით - **აღაძს** სახლი არი იქა (ბასლეკარი); ესენი ყოლიფერი ცალკე მეცხვარეს დედიჭირვიდეს, გაგზანიდეს - **ხარისი** (//**ჯარისი**) ცალკე, **პირტყევბ** - ცალკე, **ძროხებ** - ცალკე (ქონობანი)...

## §2. ატრიბუტული მსაზღვრელი

ატრიბუტული მსაზღვრელიც ძირითადად პრეპოზიციულია, გადმოიცემა ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელით და იშვიათად ზედსართავი სახელითაც.

პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელი, სხვა სამხრული კილოების მსგავსად, მოთხრობით ბრუნვაში ფუძის სახითაა წარმოდგენილი, არ ეთანხმება საზღვრულს (მდრ. შავშეთი, 2011: 275; კლარჯეთი, 2016: 572; მაჭახელი, 2017: 259; ნიჟარაძე, 1975: 155):

ი **ჩემ დედამთილმა** იცო'და... (ფიშნარხევი); შარშან **ჩემ ბიჭმა** გაგასხა? (ფიშნარხევი); ...არ იმილო **ჩემ კაცმა** (ბალხიზარი); ...**ჩემ კაცმა** ჭკვა დიმილია (ხევეკი); **ჩემ ბაბომა** ასე ვესიათი ქნაო (ქუაბაგი); **ჩემ პეტრად ბიჭი** ზოორი უხლართა (ელიასხევი)...

მოსალოდნელი სახელობითის ნაცვლად ფუძის სახითაა კუთვნილებითი ნაცვალსახელი, მაშინაც როცა იგი ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის მსაზღვრელია:

ბოძნე წაველით, ჩემი დედამთილი... **ჩემ ბერისი** ტადასი დეკაცი (ქონობანი); ...**ჩემ ბგანოს** სახლი - აბლი ქომო (ქისქიმი); მე წევდე'ნა **ჩემ კუდრებ** ხედრისთვინ (წითლეკარი); მაშინ **ჩემ დედესი** ორი ჯარი... გომოყარეს თოვლში (ქისქიმი); **ჩემ დედესი** დედედ მახსოვს, ისენი ილაპარიკებდეს (ელიასხევი); ბექირი **ჩემ მამას** დის ბერია (ქუაბაგი)...

ასეთი მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშიც დასტურდება:

**ჩემი დედესი** ჭალაა... (ცუცეკარი).

**რიცხვითი** სახელით გამოცემული დროის აღმნიშვნელი სახელის მსაზღვრელი ძირითადად წარმოდგენილია ფუძის სახით, იშვიათად - სახელობითით:

...**ექუს თვედ** იმუშავა იქა (ქონობანი); **სამ თუე** დავდგებოდი. ყარდაში მყავს, მოდის, **ერთ ღამე** დადგება, წავა (წითლეკარი); **სამ დლე** სარწყავის მარტო ჩუენი იყო (ელიასხევი);



**ასი წელწად ხრისტიანი ყოფილან... (ბასლეკარი)...**

ფუძის სახით გვხვდება ასევე ზედსართავითა და ჩვენებითი ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელები:

**ახალ** სახელი აღმურთაა (წითლეკარი); მე **ისეთ** ყალე გავაკეთო... (ბასლეკარი)...

**ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი დასტურდება შებრუნებული წყობით:**

ფეხი გზაა - **გზა ბაწარა** (ელიასხევი); ახლა მოვდივართ ასე, გზაა, ფეხი გზა, **გზა პატარა** (ელიასხევი)...

### **§3. შედგენილი შემასმენელი**

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი გვხვდება სახელობითსა და წრფელობით ბრუნვებში:

ხევადის ქართული **სხვაა**... ჩუენი გურჯი **სხვაა**, თქვენი გურჯი - **სხვა** (ქონობანი); ეს **მეზობლებ** არიან (ცუცეკარი); ხუთი შვილი მყავს, სამი **კაცებ არიან**... (ელიასხევი); ჰექიებ, კარგათ დაბერებულ **ბერებ არიან**, კაცები, იმათ იციან (ცუცეკარი); ჩამოსულან ჯარის ხალხი, **შიერები იყვენ** (ქუაბაგი)...

ორგანულ წარმოებას - **ცხელა**, **ცივა** ენაცვლება შედგენილი შემასმენელი, რომლის სახელადი ნაწილი ვითარებით ბრუნვაშია:

...ახლა ზააბა **ცხელათ არი** (ქონობანი); ...მაღლა'ნა იყვენ, **ცხელათ არ'ნა იყვეს** (ხვეკვი); აქავრობაა **ცივათ არი'ა**, ყურძენი არ მუა (ხვეკვი)...

მოსალოდნელი მიმღეობის ნაცვლად სახელადი ნაწილია საწყისი:

სახლი **არევენა არი** (იეთი); ეს **მოღლა არი** (იეთი)...

### **§4. პირდაპირი დამატების ბრუნვა**

ფართოდაა გავრცელებული პირდაპირი დამატება სახელობით ბრუნვაში პირველი სერიის ფორმებთან. ეს მოვლენა სხვა სამხრულ კილოებშიც გვხვდება, განსაკუთრებით კლარჯულში (იხ. შავშეთი, 2011: 278; კლარჯეთი, 2016: 569; მაჭახელი, 2017: 255; ფუტკარაძე: 2016: 304):

**ჰალეზი** ერთი-ორჯელ თიბავენ (ქუაბაგი); ორი ხარი თურქი ფულით ეფეძე **ფული** იჯება; სახში **რაცხა** მედყვან, ის'ნა ჰამო (ელიასხევი); ძიდამ ვაკეთეფთ **ყველი**, **ერბო** (აღ), **მაწონი**, **სადველი** (ელიასხევი); **შრატ** ადუღეფ, საწურავში ჩასახამ, **ვედრა** შუუღდამ ძირიდამ; **ხორცი** წყალში ვადუღეფთ, იხარშვის (ბოწმინდა); დოფაფა იცი? ადრანში **ფქვილი** ჩაყრი, მუურეფ, ადუღეფ, თამამ (ბოწმინდა); **ლებიო** დაღეწავ, მოხარშავ, მემრე **წყალი** გუდუუწურავ; **დიკა**, **ქერი**,

**ჭვავი** ვთესავთ (ელიასხევი); ამას **ხერთალი** ვეტყვით, ამას **ტარი...** (წითლეკარი); **ურანიუმი** ეძებენ (წითლეკარი); მე **ღორი** არ ვჭამ (ცუცეკარი); ემეში სამი **კოვზი** ჩაყრი (ელიასხევი); **ხელი** წაავლებ, აყროლდება (ბინათი); **ტიკი** მედტანდეს... და იფერხულდებდეს **ხორონი** (ქუაბაგი); **მატყლი** გავპარსვიდით (ქუაბაგი); **ქერი, ცერცი, შავი ცერცვა, ქართოლი//მარქვალი...** **ლობიო** ვთესავდით, **ლახანა** (იეთი); **ცული, დანა, თოფი** აკეთებენ... **საჯენელები, კვერი, კაბდო, უღელი...** **საჯნისი** (ხევეკი); **ძროხები** და **პირტყეები** ჩამაასხმიდეს სახლში (ქონობანი); ...**გურჯული** ხდება და ვერ უხვარათიან (ბასლეკარი); ჩუენი **გურჯიჯა** **თქუენი** არ დეჰირვის, ვერ მივმხტარვარ (ბოწმინდა); არ შეჰჭამს, ილოცავს, სალავათს იტყვის, **მადლი** იგებს (ბასლეკარი)...

ხმოვანფუძიან სახელებთანაც უნდა ვივარაუდოთ სახელობითი ბრუნვა და არა მიცემითი:

თულში დებენ თაჲანი **ლახანა** (ქისქიმი); **ლაჰანა** ვეტყვით ჩვენ **გურჯიჯა** (ქისქიმი); მაილა **აგარა** უძახიან, ჩუენ **მაილა** ვეტყვით (წითლეკარი); ...**ვედრა** შუუდგამ ძირიდამ (ელიასხევი); ...ინჯირში, თქვენ **რა** ეტყვით? (ბასლეკარი)...

**შდრ.:** რძისგან ვაკეთებთ: **ერბოჲ, მაღი, მაწონი, ნაწველი...** (ელიასხევი).

დასახელებულ წინადადებაში ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი სახელებით გადმოცემულ პირდაპირ დამატებებს ერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი.

იმ შემთხვევაშიც, სადაც თანხმოვანფუძიანი სახელები პირდაპირ დამატებად ფუძის სახითაა წარმოდგენილი, დაკარგულია არა მიცემითის, არამედ სახელობითის ბრუნვის ნიშანი (ტაოურში შეინიშნება თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი და წრფელობითი ბრუნვების მონაცვლეობის შემთხვევები. იხ. ზემოთ):

ყურძნიდამ თქუენ **შარაჲ** აკეთავთ (ცუცეკარი); ვაკეში ავლენ **ფულ** ეღებენ, ისაქმებენ (ცუცეკარი); **ვერძ** დავკლიდით (წითლეკარი); ჯამი ქომოა, **ნამაზ** კითხულობენ (ბინათი); ოჯალში **სადგარ** დავდგამთ (ბინათი); ...ინშათი და **ქოხებ** აშენებდა (ქონობანი); **მადენ** იღებენ თაში (ხევეკი); აქო... დავჰკლიდით **ყურბნებ** (ქუაბაგი); **ილაჯებ** მაძლევს, ვარეზისი წინდა ჩედგვიო (ბინათი); ერთი რეჯებაჲ არი, ქეჩეჯი, **ქეჩებ** აკეთებს (ხევეკი); მიწიდან აშენებულ პლენკებზე ვაცხოზდით **პურ** (ქუაბაგი); ანკესზე ზედ მუაბამ, **ჯაყელ** ეტყვიან (ელიასხევი); ...**შრატ** აადულებ ზედან სადელი (სადველი) მოვა, ჩასწურავ ბეზში (ელიასხევი); **ძროხებ** ვინახავთ, **ბოსტან** ვთესავთ... (ელიასხევი); ქალი

**ძროხებ** აძუებს, მეც მივალ (ელიასხევი); ემე ვიჯებოთ, **კონსერვ**, **შექერ** ვაყრიოთ (ცუცეკარი); **ფესტილ**? ...ამა მოვწურავოთ, **ფქვილ** ვაყრიოთ (ცუცეკარი); **ქილიმ** ვწყავთა (ელიასხევი); ...ძველ ზამანებში ვინ გაკითხებს **ფეთიმ**? (ბინათი); **ქათმებ** ვინ შეხედავსა? (ქუაბაგი); დიდან ვიჯებით **ყველ**, **სადველ** ვიჯებით, **ერბო** ვიჯებით. **ნაწველ** ვასხამთ მაქინაში (ბოწმინდა); **ფებ** თუ არ მედტახავ? (წითლევეკარი); ...იქ **ბევრ** მთხოვენ, ჰამა არ ვყიდავ (წითლევეკარი); ესენი **კატარ** ვუძახით (ცუცეკარი); **ფესტილ** თუთიდამ გააკეთებენ... (ცუცეკარი); **წყალ** ცალკე ვხარშავთ (ელიასხევი); **ბევრ** ჩაყრი, წარე იქნება (ელიასხევი); ძველათ **ნეკერ** დავკაფიდით (ელიასხევი); ...აქა მოვა ზღაფხულ, **საქონელ** აძუფს (ელიასხევი); ...იმ **ცხოვრებ** დაჰკლვენ, ღმერთ ეხოწებიან... (ელიასხევი); აქო დააგებენ **ქილიმებ**... (ელიასხევი); ჩვენ **ასკერ** ვეტყვით, ჩვენა (ცუცეკარი)...

ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი ერთ წინადადებაში:

**ლებიო**, **ქადა** გამუაცხოზ, **ბიშე**, **ბორეგებ**, **ხაძე** გააკეთებ... (ხევეცი); ლახანა - **ტოლმა** შავახოვთ, იმი **ფორვა** ვიქთა - **ფირინჯ** გურევთ, **ყაურმა** გურევთ, ზედან **ნაწველ** დავასხამთ, ისე **ფორვა** გუმუა (ქონობანი); ...ამა **ბარ** ვებნევიოთ. ...ყანასა - **ყანა** ვეტყვით, ჭალასა - **ჭალა** ვეტყვით (ქონობანი); **პრასა** აქ არ ვთესავთ, **ლებიო** დალეწავ, მოხარშავ ცივ წყალში, მემრე **წყალ** გუდუწურავ, **ერბო** მოასხამ (ბოწმინდა); ამას **მატყლ** ვეტყვით, თხისას - **ღაზლა** (წითლევეკარი)...

ფუძის სახით წარმოდგენილი პირდაპირი დამატებები, რომ ნამდვილად სახელობით ბრუნვაში იგულისხმება ამის დასტურად გამოგვადგება ისეთი მაგალითები, რომლებშიც სხვა ბრუნვა არც იგულისხმება:

**ქვედაზორ** დაჰწერე? (ცუცეკარი); იქ ერთი ქეშიში **ინჯირ** უკითხია (ბასლეკარი); იმ კაცებ ის **თაგებ** უხუჭიან კი... (ელიასხევი)...

ამ წინადადებებში ზმნები მეორე და მესამე სერიის მწკრივებშია, რომლებიც პირდაპირ დამატებას სახელობითის ფორმით შეიწყობენ.

**ჰექიებ** ...იმათ იციან (ცუცეკარი). როგორც ცნობილია, **იცის**, **უწყის** ზმნები გადმოსულია მეორე სერიიდან და მათ პირველ სერიაში პირდაპირი ობიექტი სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა.

ამ მხრივ საინტერესოა ასევე მაგალითები, რომლებშიც ასეთი სახელები ერთმანეთის გვერდით გვხვდება ფუძითა და სახელობითი ბრუნვის ფორმით:

ანკისზე **კედ** ვაბამთ, **კედზე** - **ჯაყელი** (ელიასხევი); მე აქო **ქობი** ვაშენებ, ე **ხევნარი** ხიზრავს, ე **ხიზრებ** ლესავენ, ე **თახთები** გარენდებს (ობლეკარი); იქ **პირტყვებ** დავჰკლიდით, **ცხვრებ** დავჰკლიდით იქა, **დუაჲ** ვიკითხებდით (ქონობანი)...

პირდაპირი დამატება იშვიათად მიცემით ბრუნვაშია. წინადადებაში ერთადაა სახელობითი (ნიშნისანი თუ უნიშნო) და მიცემითი ბრუნვის ფორმები:

კად **კაცი** დააქებენ, ბეჩ **კაცსა** - დაამაგებენ (ბასლეკარი); **სოდანი** მოხრაკავ, ა იმხან **ფქვილი** პუტუროდ ჩაყარო, მას უკან **სალჩა** ჩააგდებ, მერე ჩაყრი **ლებუოს**, იდულებს (ქისქიმი); ზოგნი **თენტელა** ებნევიან, ზოგნი - **თენტენეს** (ბოწმინდა); **ლებიო** ვთესიდიოთ, **ქერ** ვთესიდიოთ, **დიკას** ვთესიდიოთ... (ფიშნარხევი); **ყველს** გააკეთებდეს, **ერბო** გააკეთებდეს... (ქონობანი); აქ **ქართოლ**, **ყველ**, **ერბოს** ვიჯებით (წითლეკვარი); **ჩაირსა** ვკრიბავთ, **ძროხებ** ვინახავთ (ქუაბაგი)...

იშვიათად **ირიბი დამატებაც** მიცემითის ნაცვლად სახელობით ბრუნვაშია ან ბრუნვის ნიშნის გარეშეა, ჭარბობს უნიშნო:

სახელობითი ბრუნვა:

ქართველი **გოგო** დააშიკებია (დუგური); ზომო **სოფელი** ძველათ ქუაბაქ ერქვა (ელიასხევი); **ესენი** კატარ ვუძახით (ცუცეკარი); აქაური **ქალები** მუშაობა არ უნდებიან (ობლეკარი)

უნიშნო:

**ლენჭებ** უწინ მუართვამთ, თუ დარჩება [ხორცი], სახში წევლებთ, **დეკაც** მუუტანთ (ბასლეკარი); იქიდან უყურებ **სოფელ** (ხევეკი); გუმოვდოდა, **ჯარებ** ექიდებოდა... (იეთი); თუ ბევრს წუმს, **ღმერთ** ზითვალ ვთხოვთ (ელიასხევი); **მუხტარ** რახი დაალევიეს და ცალკე სოფელი ქნესა (ელიასხევი); **ერთმანებ** ეწყობა, ჰამა სხვა... (ბინათი); თუ პურ მიართვამს **მუსაფირ**, **იმა** ალა ვეტყვით (ფიშნარხევი); ხრისტიან **გურჯებ** მათი ფაფაზი ყოლიან (ელიასხევი); **ღმერთ** შუვეხვეწებით (ბასლეკარი)...

## §5. ქვემდებარის ბრუნვა

ქვემდებარე ზოგჯერ მოსალოდნელი მოთხრობითის ნაცვლად სახელობით ბრუნვაშია, განსაკუთრებით **იცის** ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან შეწყობილი:

ჩვენ, **ჯეელები** არ ვიცით (ხევეკი); აქ აღარაა სამღერებელი, ჩვენი **ბაბოა**, **დედეა** იცოდეს... (ცუცეკარი); ...ჩემ **პეტრაა ბიჭი** ზოორი უხლართა, არ იცის (ელიასხევი). **მოზობლები** ტიკით იფერხულეს (ხევაა); ჩემი **გენჯობა** აქობაში გეძარა (ფიშნარხევი); კალო'დამ სათივრეში მედტან, ზამთარი შექამონ'ნა **ფურე'ბი** (წითლეკვარი)...

სახელობითს ენაცვლება წრფელობითი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტაოურში ფართოდ არის გავრცელებული სახელის ფუძის სახით ხმარების შემთხვევები მოსალოდნელი სახელობითის ნაცვლად:

ჩვენ ვიცით და ასე **ლენჭებ** აღარ იციან გურჯიჯა (ბალხიზარი); გუდუგადეთ გურჯიჯა, **ლენჭებ** არ იციან. ახალი **მოსულებ** აღარ იციან (ბალხიზარი); აქა იშტა **გენჯებ** არ იციან... (ელიასხევი); **ჩვენ ლებჭებ** არ იციან, ხენჭებ ვერ უპარაკებთან, ხთებთან (იეთი); აქა იშტა **გენჯებ** არ იციან... (ბალხი); **ძველეფ** ჩემფერ ლაპარიკ არ იციან (ელიასხევი); **ძველი ზათინდელ** კაცებ იციან, **ახლებ** არ იციან (ცუცეკარი)...

სხვა მაგალითები ქვემდებარის ფუნქციით სახელობითისა და წრფელობითის მონაცვლეობისა:

იმხან **სალდათებ** ეტყოდეს ასკერებსაო (ქისქიმი); აქ არის **ელიასხევი, ხევექ, ქუაბაქ, ბალხი...** (ელიასხევი); იქ, ქომო, **ელიასხე** არი (ელიასხევი); **თევზებ** არიან, ყოლამფრით ვიჭირავთ (ელიასხევი); რუ სათავი - **წყლებ** აქიდამ მოდის (ელიასხევი); **ტახებ** არიან... (ცუცეკარი); ზომო სოფელი ძველათ **ქუაბაქ** ერქვა, ახლა **ჯევაი ლივანე** (ელიასხევი); **...ამხანაგებ** მეტყოდენ, ესაო თქვენი პარიკობაო კამ წმინდა გურჯულიაო (ბასლეკარი); ზემოთ არი **გუდასხევე**, ახლა **ოზგუვე** ქვია (ელიასხევი); **ინტკორ** ჩვენი ძაილაა (ელიასხევი); აქ **ტყეებ** ყოფილა, გათავებულა (ელიასხევი); **დეკაც** ქართველია (ელიასხევი); გათხოვილი ვარ და **ლენჭებ** არ მყავ (ბოწმინდა); **ქართველი** ვარ, **ქართველ** ვიყო, სისხლი არ იცლება (ელიასხევი)...

ქვემდებარე მოთხრობითის ნაცვლად წრფელობითია შემდეგ წინადადებაში:

აქვერი და, **მეზობლებ** მოგვიკითხეს (წითლეკარი).

სახელობითია ასევე ქვემდებარე მოსალოდნელი მიცემითი ბრუნვის ნაცვლად:

**ფერი** უთქვია ქი... (ხევეკი); სავრიეთი რომაა, **თამარა** უშენებია (ხევეკი); ამისი **დედეი** ბოვრი უმუშავია (წითლეკარი); გახრაკულა... ხამიდან უშენებია **კაცები** (ბალხიზარი); იქ ერთი **ქეშიში** ინჯირ უკითხია (ბასლეკარი); იმ ჯარის **თავრობაი** უთქვია კი... (ელიასხევი); კარქა ძველათ აქ **ერმენები** უსხდომიან (ელიასხევი); **ჩემი ძმა** გუხარდება (ხევეკი)...

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც მიცემითს ენაცვლება წრფელობითი:

...არ დუულაპარაკნია **დეკაც** (ელიასხევი); აქ **რუსებ** კი გუმულია...

თურქეთისი ასკერები მუკდუნებია (ელიასხევი); **სუყველა** აქ უცხოვრია... (ელიასხევი); **დეკაც** ვერ გუუძლია... (წითლეკარი)...

გარდაუვალი ზმნით გადმოცემული შემასმენლის მეორე სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია:

**წყალმა** წუმოვდა (ელიასხევი); ...გიმილო იმანა, გევექნიე და **იმანაც** ხესაც შეეძგერა (ხევეკი); ჩემი ქალის **ბაბომა** ასი წლის იყო, მოკტა,



გურჯული არ იცოდა (ფიშნარხევი); გზა-მზა მოვდა, **ხალხმა** იქ გადასახლდა (ელიასხევი); **იმა** ახლა წევდა (ჭილათი)...

ბოლო წინადადებაში მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი (-ნ') დაკარგულია.

მოთხრობით ბრუნვაშია ასევე გარდამავალი ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმასთან შეწყობილი ქვემდებარე:

...ა'ვიცი, **ვინცხამ** აკეთებს, იმას'და კითხო (ქისქიმი)...

მიცემითი ბრუნვის ნაცვლად მოთხრობითშია გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითით გადმოცემულ შემასმენელთან შეწყობილი ქვემდებარე:

**თამარა'მა** უშენები'ა, ისეა (წითლევეკარი)...

გვაქვს პარალელური ფორმებიც: ერთ წინადადებაში **მოვალ'** ზმნის პირველი თურმეობითის ფორმით გადმოცემულ შემასმენელს ქვემდებარე შეწყობა მოთხრობითი და სახელობითი ბრუნვის ფორმებით:

აქა **ვინმემა** არ მოსულან გურჯისტანიდამ, თბილისიდან...  
ბათუმიდამ **ვინმე** არ მოსულან (ქუაბაგი)...

## წმ. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში

შემასმენელი მრავლობითი რიცხვის ფორმით ეწყობა ქვემდებარეს, რომელიც რიცხვითი სახელია ან რომელსაც მსაზღვრელად ახლავს რიცხვითი სახელი:

ართუხ **ორი ზმა მოსულან**, ართუხ ასკერიდან **გაქცეულან**, ართუხ სხვა რამე მაფისიდან **გაქცეულან**, არ ვიცი (ქუაბაგი); **სამი ტყუბი იყვნეს**, დოხტორმა პრობლემი ქნეს, ბაღნები არ მყავს (ხევეკი); **ვრა ხანე იყვნეს** იქ (ობლეკარი); **ორი კაცი** ყანაში მარილს **დათესვენ** (ხევეკი); **ორი ბაღანაა არიან** (ხევეკი); **ჩომოსულან** ჩვენ სახლსა **ორი ჯარი** (ქისქიმი); ...ბოსელში ჩავა ქი: **ორი ჯარი** და **ათ და ხუთი პირტყვი არ არიან!** (ქისქიმი); ე ჩემი **ორი ძალი არიან...** (ბასლეკარი); **ორნი იყვნეს**, ტყუბი... (ხევეკი); **ორნი არ არიან** ქართული (ხევეკი); ზამთარში **სამნი არიან**, აქო სამი ხანე არი (გოდლეკარი); შვილები **ბევრნი არიან**, **ფშვიდნი** (ჭილათი); აქაც **ბევრი მოვდეს** (ხევეკი)...

რიცხვითი სახელით გადმოცემულ მსაზღვრელთან საზღვრულიცა და შემასმენელიც მრავლობითშია:

ხუთი შვილი მყავს, **სამი კაცებ არიან**, **ორი ქალებ** (ელიასხევი)...

მრავლობითშია შემასმენელი **თელი** (=ყველა), **ზოგი'**, **ვინმე'**, **ყველა'** ნაცვალსახელებით გადმოცემულ ქვემდებარეებთან:

ზაფხულში **თელი** აქ **მოდიან**, სიცხე **უჭირდებიან** (წითლევეკარი); **თელი არიან**, რა ვიცი... (ქუაბაგი); **ზოგნი** იქ **იარებიან**, **ზოგნი** - იქა (ბასლეკარი); ბათუმიდან **ვინმე არ მოსულან** (ქუაბაგი); აქა **ვინმემა არ მოსულან** გურჯისტანიდამ (ქუაბაგი); ზამთრი ბოლოში **ყველა** აქ **მოდიან** (ელიასხევი).

მრავლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა შემასმენელი კრებითი სახელით  
გადმოცემულ ქვემდებარეს:

**მოკრეფულან ხალხი, წესულან** (ხევეკი); **მოკდებიან ხალხი**, იქ  
დაფლვენ (ხევეკი); **...ხალხი მოვლენ**, შეჰჰამენ (ქუაბაგი); **ჩამოსულან**  
ჯარის **ხალხი**, შიერები იყვენ (ქუაბაგი); **ხალყი დამსხდარან** ძველათ...  
(ელიასხევი)...

ორცნებიანი კომპოზიტით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენელი  
მრავლობითია: **დედ-მამა** მეზრეში **არ არიან** (ქუაბაგი).

კრებით სახელადაა გააზრებული ქვემდებარეები შემდეგ წინადადებებში:

ჩემ ალასი **ნათქვამი ესენი არიან**... (ბასლეკარი); **ვინცხას** ზროხები,  
ფურები **ყავან**, იქა **არიან** (ბასლეკარი)...

მრავლობითია შემასმენელი ქვემდებარესთან, რომელიც გადმოცემულია **რა**  
ჯგუფის სახელით ან ნაცვალსახელით, რომელიც ცვლის ასეთ სახელს:

**თევზებ არიან**, ყოლამფრით ვიჭირავთ (ელიასხევი); ჰავა ცხელი  
და **სინეგები არიან** (ბინათი); ბაშთან აქ გურჯი **სოფლები ყოფილან**  
(ელიასხევი); **ყვაგები იქნებიან** ბევრი, იმას ვაძლევ კონსერს  
(წითლეკარი); **ტახებ არიან** (ცუცეკარი); **ისენი ჩემნი არ არიან**  
(ბოწმინდა)...

ზოგჯერ მრავლობითი რიცხვის **ვინ** ჯგუფის სახელთან შემასმენელი  
მხოლობითის ფუძითაა რიცხვში შეთანხმებული:

აქ მუსლიმანი **კამანდრები დამჟდარან** (ქუაბაგი)...

## §7. უბრალო დამატება

ტაოურში **-თან'** თანდებულიანი უბრალო დამატების ნაცვლად გვაქვს **-ში'**  
თანდებულიანი:

...**დოქტორში** წევყვანე, ...ჰამა, არ იქნა (ფიშნარხევი).

მოსალოდნელი იყო **დოქტორთან'**.

**-თვის'** თანდებულიანი უბრალო დამატებას ცვლის უთანდებულო მიცემითი:

...ნახეს, თაჲ არ აქვა. მისულან, **ქალს** უკითხვან... (ელიასხევი)  
(შდრ. მაჭახელი, 2017: 258).

უბრალო დამატება ხშირად ნათესაობითის ნაცვლად წარმოდგენილია  
სახელობითი ან წრფელობითი ბრუნვის ფორმით:

ზათი ბევრი **ფარა** მოგება არ იყო (ქონობანი); უმუშავებელაჲ **ფარა**  
მოგება უნდანან (ხევეკი); აქო **წელ** დაწყობაში, **ზღაფული** დაწყობაში,  
დავჰკლიდით ყურბნებ (ქუაბაგი); **ხე** მოჭრა, დასაღია (ელიასხევი);  
**ქართული** ნამცოდნი პარხალ არ იქნებიან (ელიასხევი); **წყალი** ავსობა

უნდა? (წითლევაკარი); ყველი გაკეთებისან შით რომ ჩავა, ის არი-ნაწველი (ელიასხევი); კალო გალეწვა ვიცით... (ქუაბაგი)...

შდრ.: ახლა აღარაა საჭირო დიკის თესვა (ელიასხევი); რუ თამარასი მოყვანილი არი (ფიშნარხევი)...

ტაოურშიც -გან' თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად გვაქვს -გან' თანდებულიანი მოქმედებითი:

სახლი კედლებ უშენებინან საყდრიდან დამჩალ ადგილას... (წითლევაკარი)...

ასეთი ფორმები ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში. გ. ცოცანიძე აღნიშნავს, რომ -გან' თანდებულიანი მოქმედებითის ნაცვლად დღეს გვაქვს -დან' თანდებულიანი მოქმედებითი (ცოცანიძე, 1981: 27).

უბრალო დამატება მოსალოდნელი სახელის ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად გვხვდება ფუძის სახით:

ზათი ბითევაა წევნეს მუჰაჯირ (მოსლიეთი); ...ბოძნა წევნეს მუჰაჯირ (წითლევაკარი)...

## §8. გარემოებანი

**8.1. ადგილის გარემოება.** -ში' თანდებულიანი მიცემითის ნაცვლად ადგილის გარემოება გადმოიცემა უთანდებულო მიცემითის ფორმით. თანხმოვანფუძიან სახელებს მოეკვეცება ბრუნვის ნიშანი და ფუძის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო ხმოვანფუძიანი სახელით გადმოცემულ ადგილის გარემოებაში შენარჩუნებულია.

თანხმოვანფუძიანი სახელები ადგილის გარემოებად:

ამან, თუბამა, **სარიგოლ** იკითხა (ქონობანი); საყდარი არი **ქელაზორ** (ხევეცი); ჩემი სოფელი ქობაა, აქ **ჭილათ** ვარ (ხევეცი); **თიფლის** ჩვეელ, ერთის **ქუთაის** ჩაველ... (სასტ. „აგარა“); ჩემი ბაბოა იტყოდა, **ბათუმ** ფურუნი მქონდაო... (სასტ. „აგარა“); აქავრი კაცი **ბათუმ** დამჩალი არი (ქუაბაგი); ჩემი ბადიში **ბათუმ** იარებოდა არაბით (ქუაბაგი); ჩვენა ახლა **ქონობან** მივალთ (ელიასხევი); **მახათეთ** არაბადთ დადის ჩემი ძეგანი (ელიასხევი); ერთი დედეა მყავ **ბათუმ** (ელიასხევი); [ქართველები] **ქობაგ** არიან, **ბალხ** არიან (ელიასხევი); ჩემი დედეა **ბათუმ** არი... (ელიასხევი); **ქონობან** მივდივარ (ცუცეკარი); ყოლ წელ მოდიან, **ართვინ** მიდიან (ცუცეკარი); ...**სარი გოლ** დუქნები მქონდა, თერძობა ვიჯებოდე (წითლევაკარი); ჩემ დედეს **ბათუმ** ქალი უპოვნია (წითლევაკარი); ქართული ნამცოდნი **პარხალ** არ იქნებიან (ელიასხევი); პეტერაა მული გათხოვილია **ადაფაზარ** (ბოწმინდა); ...ერთანე **სტამბულ**

არი, ...ერთანე **ფრანცუზ** არი, მუშაობს, საქმობს (ელიასხევი); **სახლ** არის  
თუ არა, ა'ვიცი (ქისქიმი)...

ხმოვანფუძიანი სახელები ადგილის გარემოებად:

**ბურსას** ბევრი ქართველები არიან (სასტ. „აგარა“); ...ერთანე  
**ალმანიას** არი, ერთანე ფრანცუზ არი, მუშაობს, საქმობს (ელიასხევი);  
...ვსაქმობთ ემეში, **ანკარას**, სტამბულს, **ბურსას**, **ალმანიას**... (ელიასხევი);

იშვიათად გვაქვს პირიქით შემთხვევები - თანხმოვანფუძიანი სახელს  
შენარჩუნებული აქვს მიცემითი ბრუნვის ნიშანი, ხმოვანფუძიანს - არა:

ახლა მივდივართ **ქობაკს** (ცუცეკარი); ...ვსაქმობთ ანკარას,  
**სტამბულს**, ბურსას, ალმანიას... (ელიასხევი).

აქ არ ვართა ჩუნა, **ბურსა** ვართ (ბასლეკარი); ანაჲ, ალაჲ **ბურსა**  
არიან, მე ვინახავ აქა თორს (ქუაბაგი); ...მუსუფელინდა ხუთ-ექს **ალაგა**  
ქილისა არი, ყალე არი (ქისქიმი)...

საზოგადო არსებითი სახელით გადმოცემული ადგილის გარემოება  
სავრცობიანი მიცემითითაა გამოცემული:

ახლა მოიდა **სახლსა**, აი მუშაობსა და მოღალულია (ბალხიბარი);  
...ჩომოსულან ჩვენ **სახლსა** ორი ჯარი (ქისქიმი)...

ერთ წინადადებაში ადგილის გარემოების ფუნქციით დასტურდება  
თანდებულისი და უთანდებულო ფორმები:

**ფეზიანში** არ არიან, **წითლეკარ** არიან ბოვრი, **აბაზიან** არ არიან,  
**ყარამალიანში**... იქაც არ არიან (ქისქიმი); ჩვენში ხუთ ძერზე არის  
საყდარი: **ქელაზორ** არი საყდარი, **ფიშნარჯევ**, **ველითავში**, კიდო **ბალხში**.  
ყოლ **უბანში** არი საყდარი (ხევეკი); **ბურსაში**, **ადაფაზარში**, **ისტამბულ**  
წასული არიან აქიდამ (ელიასხევი)...

იშვიათია **-ზე'** თანდებულისიანი სახელი ადგილის გარემოებად მოსალოდნელი  
უთანდებულო სახელის ან **-ში'** თანდებულისის ნაცვლად, უკანასკნელ  
შემთხვევაშიც შეიძლება ითქვას, რომ უთანდებულოს ენაცვლება, რადგან ტაოურში  
ჩვეულებრივია უთანდებულო მიცემითი ადგილის გარემოებად:

ჩვენში ხუთ **ძერზე** არის საყდარი (ხევეკი); ...ზოვლი მუსლიმანი  
დამჩალან **ბათუმზე** (ცუცეკარი)...

შეგვხვდა სახელობითი ბრუნვაც ადგილის გარემოებად:

**ხევაჲ** ბევრი მეჰელეა (ქონობანი); **აქავრობაჲ** ცივათ არი'ა, ყურძენი  
არ მუა (ხევეკი)...

ადგილის გარემოების გადმოსაცემად გეოგრაფიულ სახელებს ერთვის  
თურქული მაწარმოებელი სუფიქსი **-da'** (=ში'):

ახლა ა'ვართა, ახლა მუაჯირი წევნეს **ბურსადა** (ქისქიმი); **ქილათდა** სიჩახ? (ქისქიმი); ...**აუსუფელინდა** ხუთ-ექს ალაგა ქილისა არი, ყალე არი (ქისქიმი)...

ზმნიზედა **უკან** და თანდებულიანი ფორმა - **უკნიდან** ერთვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვანი მოკვეცილია) თანდებულის ფუნქციით და გამოხატავს ადგილის გარემოებას:

საყდარი, სოფლის მაღალი **უბანი უკან** არი საყდარი (ხევეკი); ჩუნენ კარი **უკნიდან** დავდგებით (ბალხიბარი); ...ო' რუ **უკნიდან** კილდე არის... (ქუაბაგი). (შდრ.: მაჭახელი, 2017: 256).

**8.2. დროის გარემოება.** წელიწადის დროების **ზამთრითა** და **ზაფხულით** გადმოცემული დროის გარემოება ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

**ზამთარ** არ დარჩება აქა, **ზღაფხულ** მოდიან მარტო (ბასლეკარი); ...აქა მოვა **ზღაფხულ**, საქონელ ამუეფს (ელიასხევი); ...**ზამთარ** კილო მივდივართ, ვსაქმობთ (ელიასხევი).

**ზამთარი** დროის გარემოების ფუნქციით შეკუმშული ფორმითაც გვხვდება:

არვინ არი აქ **ზამთრ** (ბალხი); არვინ არი აქ **ზამთრ** (ქისქიმი).

დასტურდება აგრეთვე **ზამთრი**:

ჩვენ **ზამთრი** ბურსას ვართ (ქუაბაგი); ამ სოფლისი აგარა არი, **ზამთრი** არ ვიქნებოდით (ბასლეკარი); ...შენ წინდები არ გაქვა, შომოგცივდება **ზამთრი** (ხევეკი); **ზამთრი** ქომო ჩავალთ (ცუცეკარი)...

ო' შეიძლება -ით ან -ივ ნიშნების ნაშთი იყოს.

გვხვდება სახელობითი ბრუნვითაც:

აქ **ზამთარი** ბევრი თოვლსა (იეთი). კალო'დამ სათივრეში მეფტან, **ზამთარი** შექამონ'ნა ფურე'ბი (წითლეკარი); ამ სოფლისი აგარა არი, ...**ზღაფული, ზღაფული** - დევსეკარა, იქა არიან, ვინცხას ზროხები, ფურები ყავან (ბასლეკარი)...

-ში თანდებულიანი ფორმები იშვიათია, ერთ შემთხვევაში წინადადებაში ორივენაირი ფორმა - თანდებულიანი და უთანდებულო:

ახლა ყოლამფერ იღებენ, მოდიან **ზღაფხულჩი,ზამთრი** მიდიან (ელიასხევი).

შეკუმშულ ფორმას თანდებულის ფუნქციით ერთვის ზმნიზედა:

**ზამთრი** ბოლოში ყველა აქ მოდიან (ელიასხევი)...

დროის გარემოება გადმოიცემა ასევე **-ზე** თანდებულიანი დროის აღმნიშვნელი სახელებით:

ისინიც ჩამოვლენ, **საღამოზე** წავლენ (ქუაბაგი); ჯინები **საღამოზე** დაქვავენენ ქოხებზე (წითლეკარი); **დილაზე** მოიდენ, **საღამოზე**



წაველით (ბალხიბარი); **დილაზე** ამდგარა, მასისზე თეთრი...  
დუღუნახია (დუღური); **დილაზე** იმის უკან დაღობილი წყალი'ნა  
გუდუწურო (ქისქიმი); **დილაზე** ავდგებოდით, **სადამოზე** ვჭწევდით...  
(ქუაბაგი); ...**დილაზე** მოსწველენ (ქუაბაგი); **ქარჩაზე** მოვდივართ,  
**თუელზე** მივდივართ (ქისქიმი); აპრილი იცი? **აპრილზე** მოვდივართ  
(ქისქიმი); ფეხით ქი მიხუნეთ... **ნახვარ საათზე** მიხვალთ (ქუაბაგი); **ჩუენ**  
**ვახტზე** არვინ იყოს ძველები, ა'ვიცი (ქუაბაგი)...

ერთსა და იმავე წინადადებაშია სახელის უთანდებულო და თანდებულობის  
ფორმა:

**ახშამ** დუღაღოფ, დაღბეზა, **დილაზე** აადღუღეფ (ქისქიმი)...

დროის გარემოება გადმოიცემა დროის აღმნიშვნელი სახელის როგორც  
სახელობითი ბრუნვის ფორმით, ასევე ფუძით.

სახელობითი ბრუნვა:

**შვიდი თვე** დაღვა, მოვდა (ბინათი); ახლა მე **ერთი თვე** აქ ვარ  
(ხევეკი); ნიშნლი ვიყავ, **სამი თვე** **სონრა** დავქორწილდით (იეთი);  
ქაღოცა იცი? - თველია ქაღოცა, **იმ თვე** მივდივართ (ქისქიმი); თოვლი  
ეძკრიფვის აქა, **დილა** გამოვლენ (ელიასხევი); **ქაღოცა** ყურძენ კრეფვენ  
(წითლეკარი); **ღამე** ჩომოსულან ჩვენ სახლსა ორი კარი (ქისქიმი); **ღამი**  
კაცები დუჭკრიან, უფერხულიან, **ღამი** უჭკრიან, უფერხულიან  
(წითლეკარი)...

სახელის ფუძე:

**ასი წელწად** ხრისტიანი ყოფილან... (ბასლეკარი); **ხუთ წელწად**  
ვქარი მე ოქულში (ბინათი); მე **ორ წელწად** შეიქნა, ჩომოველი აქ  
(ხევეკი); **ფით წელწად** ყოფილან (წითლეკარი); აქ **ოცდახუთ წელწად**  
ვმუშაოფ (წითლეკარი); **პირველ წელწად** ხოფაში ვიყავ (ელიასხევი);  
**ყოღ წელ** მოდიან... (ცუცეკარი)...

მიცემითი დროის გარემოებად:

წინწინ **ქაღოცას** ყურძენ დავკრეფდით (ობლეკარი)...

აღწერით წარმოებაში ნანათესაობითარი მიცემითი დროის გარემოებად  
ბრუნვისნიშნმოკვეცილია:

**ღუა ქნისა** (ქნისას=ლოცვისას) ხელ ასე ვიქთ (ბასლეკარი)...

ერთ წინადადებაშია სახელობითისა და მიცემითის ფრომები:

აქ მოვალ **ზღაფხული**, **სამ-ოთხ თვეს** (ბასლეკარი)...

დროის გარემოებას გამოხატავს ასევე **უკან** ზმნიზედა თანდებულის  
ფუნქციით, ნიშნავს **შემდეგ**:

...იმის უკან დაღობილი წყალი'ნა გუდუწურო (ქისქიმი); ...**მას**  
**უკან** მუსლიმანი შექნილან (ბასლეკარი)...

-ობა' სუფიქსით ნაწარმოები -ში' თანდებულიანი დაწყობა დროის აღმნიშვნელ სახელთან ერთად გამოხატავს დროის გარემოებას:

აქო წელ დაწყობაში, ზღაფული დაწყობაში დავჰკლიდით ყურბნებ (ქუაბაგი)...

დროის გარემოება გადმოიცემა კომპოზიტით წინწინ':

წინწინ ქალოცას ყურძენ დავკრეფდით (ობლეკარი)...

დროის გარემოებას გადმოსცემს -ხან' დართული სახელები და ნიშნავს დროს' (ყველი გაკეთებისან' - ყველის გაკეთებისას, გაკეთების, დამზადების დროს...):

ყველი გაკეთებისან შით რომ ჩავა, ის არი ნაწველი (ელიასხევი);

იმხან მე პუტურად ვიყავ ... წასლა-მოსლა იმხან არ იყო (სასტ. „აგარა“)...

შდრ.: ძველი ქართული ხანი' - დრო (აბულაძე: 1973: 560)

**8.3. მიზნის გარემოება.** მიზნის გარემოების გადმოსაცემად გამოიყენება -ზე' თანდებულიანი საწყისი:

ე წალდი, დაკაფვაზე ვხმაროფ (ობლეკარი); ...მომსურნეს და დანახვაზე გუმუელ (ფიშნარხევი)...

მიზნის გარემოებად მიმღობის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა, რომელსაც ჩამოშორდება ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი, ზოგჯერ ამგვარად მიღებულ ფორმას ერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი:

აქ სავლელა მოვდივართ, ზიარეთზე, ხისუმების დანახვაზე (ქუაბაგი); ჩვენ სავლელაჲ მოვედით, ჩვენ აქ არ ვდგავართ (ქუაბაგი)...

**8.4. მიზეზის გარემოება.** მიზეზის გარემოება გადმოიცემა მიზეზის ზმნიზედებით (დაწვრილებით იხ. 2.7.1. ზმნიზედა):

ღვესეკარი - იმაზე უკან, იმ ბარზე უკან აღარ არი რამ (ბასლეკარი).

## §9. აღწერითი წარმოება

ტაოურში, სხვა სამხრული კილოების მსგავსად, საკმაოდ გავრცელებულია აღწერითი წარმოება. აღწერითი კონსტრუქციები შედგება სახელადი ნაწილისა და ზმნისაგან. სახელადი ნაწილი ხშირად თურქული სიტყვაა, ხოლო ზმნათაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება ქმნა'(/ქნა), იჯება'.

დავიმოწმებთ მაგალითებს:

ასკრობა ნაქნარი თორი მყავს (ობლეკარი); ...საცერში გავცრიდით, პურ ვიქმოდით (ელიასხევი); ამათა ზარხოში გახადესა ჩვენი მუხტარი, ხელი დააკრევიეს, ცალკე სოფელი ქნესა (ელიასხევი); ჩემ ბაბომა ასე ვესიათი ქნაო და... (ქუაბაგი); ჩვენი ლაპარიკი გადარევლა, ასიმილე ქნილა (ფიშნარხევი); ჩვენ დავგბიწყებია, ასიმილე ვქნილვართ (ქუაბაგი); თქვენი ლაპარიკი გადარევლა, ასიმილე ქნილა (ობლეკარი); ...იქ

**მუსაფირ იქმოდეს**, პურ მიართმოდეს, დააწვენდეს (ფიშნარხევი); **ფიქვილ ვიქმოდით**, ბელელში, ხაროში ჩავხყრიდით, ვიხმარდით (ელიასხევი); მე **დუგუნი ვქენი...** იქ სახლი გვქონდა, იქა **დუგუნი ვქენი** (ქუაბაგი); **დუგუნ ვიქმოდით**, ხარ დავხვლიდით დუგუნში (მოსლიეთი); სამი ტყუბი იყვნეს, დობტორმა **პრობლემი ქნეს** (ხევეკი); ...ბურსაში **მერი'და იქნას** ახლა ფარუქი (ხევეკი); მუუტანიან კაცები, დინგი, ისენი **უქნიან**, მუჭით გუუხრეტნიან, **დინგი უქნიან**, ქერი დუუნაყიან ხელით (ბალხიბარი); იმ დროზე ხალხი გევდოდეს, **სარცხელ იქმოდეს** (ხევეკი); ჰამა ორი სოდ არის - ერთ თანე **თავი იქსა**, ერთ **თანე არ იქსა** (ქისქიმი); **ცომი'ნა ქნა** მა... (ქონობანი); მესელა, ქათამ **იზგარა იქმენ** (ქონობანი); ჩონ ქორიეთ მოვნეს, **კალაი ქნეს** და ... თემთს წონავს (ხევეკი); შეშიდამ იყო, ახლა **ბეთონიდამ ვქენეფთ** (ქუაბაგი); აქობაში **ხოჯობა უქნია** (ობლეკარი); ...ჰამა **ბედვა უქნია** იქავრობას (წითლეკარი); ახლა მოველით და ...**ბომა ვქენით** (წითლეკარი); ...ჯარ დაჰკლიდეს, **ჰალვა იქმოდეს** (ფიშნარხევი); **ეთი ვქენი**, აღარ დუკრავ! (ფიშნარხევი); უწინ **ხოჯობა არ ქნა**, ჯამეში იმამობა (ბასლეკარი); **ღამე შეიქნება**, დათვი იღარღალებს... (ხევეკი); **დუა ქნისა ხელ ასე ვიქთ** (ბასლეკარი); ...ყურბან დაეჰკლავთ, **დუას ვიქთ** (ბასლეკარი); ორ-სამ ღამეს ხალხი შედყრებოდეს... **მოსაფირი შეიქნებოდეს** (ობლეკარი); ხალხი არი, **რაჰათ ვერ იქამ** (სასტ. „აგარა“); სამი ბიჭი **ყადობა შეიქნებოდეს** (სადგიყანა)...

ორი ჯარი თურქი ფულით ეფეიჯე **ფული იჯება** (ელიასხევი); ...დუქნები მქონდა, **თერძობა ვიჯებოდე** (წითლეკარი); ...ფაბრიკაში შესულან, **თერძობას იჯებიან** (ჭილათი); ედდა ჩემი უსეინა **ავჯობას იჯება** (ცუცეკარი); **კალობა ვიჯებოდით**, ქერს ვლეწიდით... (ქუაბაგი); ...ვტეხავთ [ლობიოს] **შაჭმელ ვიჯებით**, ვჰამთა (ქუაბაგი); დიდი - **შოფერობა იჯება** (ბალხიბარი); დღეს გევნეს, **პიკნიკ იჯებიან** (ხევეკი); ერ თანე ფური არი... **თათილ ვიჯები** (წითლეკარი); ზამთარი აქ **აღარ იჯებოდა**, ზააბა თოვდა (ქონობანი); შად ყურმნიდან **იჯებიან ბეთმეზი** (სადგიყანა); იმას აადულევენ, **სადველ იჯებიან** (ხევეკი); ...**სარცხელი უჯებიან** ზათი (გოდლეკარი)...

ხომ კად **ხებერი მოგე** (ელიასხევი); იქ გზაზე დუქანი ჩემი იყო, **ცეცხლი მიცეს**, გახრაკეს (წითლეკარი); ...იმა კარგა **ჰასილ მისცემ**, ონდასონრა გააპტყელო... (ქონობანი); ...აქ რაცხა იჯები, იქა **ხებერ აძლევეს** (ხევეკი)...

**ტყვილ გიგიკეთებს**, წევა, არ მუა, იმა ჩუენ ტალღაჯი ვეტყვით (ფიშნარხევი).

ახლა **ფიშმანი ვარო** (ელიასხევი); **სალამი'ნა ვუთხრა** (ცუცეკარი)...

ერთ წინადადებაშია აღწერილი და ორგანული ფორმები:

...აქ **თესვა-მესვაი ვიქმოდით**, ყანა **დავთესვიდით**, **თესვა ვიქმოდით** (ქონობანი); ეწწინ **დავნიშნავთ**, **ნიშან გავაკეთავთ** (ბინათი).

აღწერით კონსტრუქციებს შ. ნიჟარაძე (ნიჟარაძე, 1971: 69-70) და ნ. გურგენიძე (გურგენიძე, 1973: 77-84) მიიჩნევენ თურქული ენის კალკებად. ზმნათა აღწერითი

ფორმები ძველ ქართულში მონოგრაფიულად შეისწავლა თ. ვაშაკიძემ. მეცნიერს მიაჩნია, რომ **იქმნა**’ მეშველზმნიანი ფორმები ბუნებრივია ქართული ენისათვის და არ წარმოადგენს უცხო ენათა გავლენის შედეგს (ვაშაკიძე, 1993: 155). არქაიზმებად მიიჩნია ანალოგიური ფორმები აჭარულში მ. ცინცაძემ (ცინცაძე, 1966: 98-99).

ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ ამგვარ კონსტრუქციებს, რომლებიც მრავლად გვხვდება სამხრულ მეტყველებაში, „შესატყვისები მოეპოვებათ ქართულ სამწერლობო ენაში - როგორც ძველში, ისე საშუალოში“, ორიგინალურსა თუ ნათარგმნში. მათი ასეთი ფართო გავრცელება გვაფიქრებინებს, რომ ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ თურქული ენის კალკებს (იხ. ფაღავა, ცინცაძე, 2005: 78-79).

## თავი IV. ლექსიკა

### §1. ქართული ლექსიკა ტაოურში

წარმოვადგინოთ ტაოური დიალექტის ლექსიკურ თავისებურებებს.

პირველ რიგში გამოვყოფთ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ჩვენი მასალის მიხედვით არ დასტურდება სხვა სამხრულ კილოებში.

**მცირის', ცოტას'** მნიშვნელობით ტაოში ამბობენ **აბლი'**:

**აბლი** ვიცი, წორა არ ვიცი (იეთი); აქ ორი ცოლი **აბლის** ყავს, ბევრსა - არა (ფუტკ.170); ზათენ ბევრი მუშაობა იყო, **აბლი** ფარა იყო (ქონობანი); **აბლი** იტირა (ბასლეკარი); **აბლი, აბლი** გედევცვალენით (ხევეკი)...

ზმნაც არის ნაწარმოები: პირტყვი ბევრი იყო, **დააბლდეს** (ელიასხევი).

**აბლის'** პარალელურად იშვიათად გვხვდება **ცოტა'**: აქა **ცოტა** იციან ქართული (ფუტკ.171).

**გოგოს'** მნიშვნელობით გვხვდება **ბგანო//ზღანო**:

ხუთი თანე - ორი ბიჭი, სამი **ბგანო**, მიხთი? (ბალხი); მე ერთი თანე **ზღანე** მყავს, თორები - ონ იქი თანე მყავს; **ზღანები** - ბიჭები, **ბგანო** - გოგოსაც, ბიჭი - ბიჭია, გოგო - გოგოა, **ბგანოა** (ობლეკარი); იქავრი **ბგანო** ვარ, აქ გამოთხოული (წითლეკარი); ეს ჩემი **ბგანო**, ესეც დამადი, სიძე, სიძე და (წითლეკარი); ძალუზი **ბგანო** მინდა (ბალხი); ერთი ღარჭი, ორი თანე **ბგანო** (ბალხი); ორი ბიჭი, ერთი **ბგანო** მყავს (ელიასხევი); ღარჭი ბიჭი და **ბგანო** - გოგო (ელიასხევი); **ბგანო** მოვაო (ბინათი).

უნდა აღინიშნოს, რომ ბინათის ერთ-ერთი მკვიდრის მეტყველებაში დავადასტურეთ **ბოგანო'**, თუმცა ერთგან **ბგანოსაც'** გამოიყენებს:

ამისი **ბოგანო** ჩემი ზალია (ბინათი); ჩემი სახლი, ე **ბოგნისი**, მაზლისა ზედთ (ბინათი); ჩემი ძმა ავათ არი, **ბოგანო** ჩევდა... (ბინათი); ამის **ბოგნები** თომარი იქ არიან (ბინათი); ართვიწდა, იმან გასხნა, **ბგანომა** (ბინათი); ბიჭები, **ბგანები** იქ არიან (ბალხი).

მრავლობით რიცხვში **ო'** იკარგება: **ბგანოები>ბგანები**.

**ბგანო'** გადატანითი მნიშვნელობით **ქალს'**, **ცოლს'** უნდა აღნიშნავდეს შემდეგ კონტექსტში: ღარჭი... სამსონ არი, **ბგანო** მუენდისი მეფყვანა...

**ლაპარაკის'**, **საუბრის'** აღსანიშნავად გამოიყენება **ხვარათობა//ხორათობა//ხვაათი'**:

ამა ვერ **უხვარათია** სწორ. მე **ვხვარათობ**, მათაც დედწავლონ (წითლეკარი); ახლა ის'ნა **გეხვარათო** (ფუტკ. ქუაბაგი); ეს **მეხვარათა** ბასლიან რეჯებამა ბალხიდამ (ფუტკ. ქუაბაგი); **დეხვარათენით**-მეთქი, ვუთხარ იმასა (იეთი); ვერ **დეგეხვაათეზიო**, ვერ დეგელაპარიკები (იეთი); ბენ ენ წინ გურჯი **ვხორათობდით**, ოქულში რომ წევედით, ოღრეთმენმა არ **დაგვახვარათა**, ახლა ყველა თურქე **ხორათობენ**, ჩვენც თურქეა **ვხორათობთ**; სახლ არ **ხორათობთ**, შვილები-მილები თურქეა



**ხორათობენ**, ჩვენც თურქია **ვხორათობთ** (ბინათი); მურღულელები სხუა სოდ ლაპარაკობენ, ართვინის იქეთაც სხვა სოდ **ვიხვარათებთ** (ფუტკ-ქუაბაგი); ბევრი ვერ მივმხდარვარ თქვენი **ხვარათი** (წითლეკვარი); გურჯიჯა არ **ხვარათობენ**, ლენჭები არ **ხვარათობენ**, ჩვენც არ **ხვარათობ** შენს უკან, ვიცი ჰამა არ **ხვარათობ** (ბალხი); ესენი კა **ხვარათობენ**, მე არ **ხვარათობ** (ბალხი); ადამიანები **ხვარათობენ** კი, ქართული არ ვართო (ბალხი); რასმე იღებდეს და ჩვენებურ **ხვაათობდეს** (ქონობანი); ჩვენებურა **ხვაათობ** და მე მივხდი და იმ ბარზე გიმძირვარ (ქონობანი); ბევრი ცქვიტა **ხვარათობენ**, ვერ მივხდები იმა **ხვარათობა**, იმათ უთხარი ქი, ნელა **იხვარათონ**, ჩვენც მივხდეთ (ბალხიბარი); იქ **ხვარათობენ** (ქონობანი); ისინი პუტრულიდან **ხვარათობენ**... აქ **ხვარათობენ**, იქ არ **ხვარათობენ** (წითლეკვარი).

**ლაპარაკს** აღნიშნავს ასევე **ვიარინობ**; ჩვენი დაკვირვებით, **ხვარათი** არის ზოგადად **ლაპარაკის** აღმნიშვნელი, **ვიარინობ**, **გვარენები** - კონკრეტულ მომენტს გულისხმობს საუბრისას.

მე ცქვიტად **ვიარინობ** (ქუაბაგი); ვერ უხვარათიან, ვერ უხვარათიან, ხთებიან, ჰამა... ვერ **გვარენებით** (ქუაბაგი).

**მშობლიური ენის** დედაენის მნიშვნელობით ტაოელები ამბობენ **დაბადული ენა**:

ჩვენი **დაბადული ენა** ქართველია, მასკა დევწავლე თურქია (ელიასხევი).

**დამდგურებული**, **მდგური წყალი** წყაროს წყალია:

წყალი არი **დამდგურებული**. **მდგური წყალი** არი, ხელ ვერ შეყოფ, მოდრეკავს (ხევეკი).

**ხურდა სხალი** პანტა მსხალია:

სხალი: **ხურდა სხალი**, დიდვანი ასე გეძდება (იეთი).

**ველაჲ ბალი** ველური ბალია:

**ველაჲ ბალია** ბოვრი (ფიშნარხევი).

**ძირაჲ//ძირი ქვემოს** აღნიშნავს:

სახლი სამი ყათი იყო: **ძირაჲ** ბოსელი (ქუაბაგი); **ძირაჲ** დატეხილი ქვები დასობილი იყო (ქუაბაგი); **ძირი** ბეთონი, იმის **ძირი** მაგარი თახთა. **ძირი** ბოსელი არი, ზემო სათივრე (წითლეკვარი); **ძირიდამ** ბოსელი, მერე სახლები (წითლეკვარი)...

ტაოურში შავშურისა და კლარჯულისაგან განსხვავებით **ქალის** მნიშვნელობით იხმარება **დედაკაცი//დედეკაცი//დეკაცი**:

კაცები, სამი თანე კაცი, ორი თანე **დედეკაცი** მოვიდეს (ქუაბაგი); ერთ თერეფში **დედეკაცი**, ერთ ქენერში კაცები იფერხულებდენ (ქუაბაგი)...

ასიმილირებულ ვარიანტს ზოგჯერ ენაცვლება **დეკაცი** - დაკარგულია მარცვალი **და** ან ასიმილირებული ვარიანტის **დე**:

ქალ ვეტყვით, **დეკაცსაც** ვეტყვით (იეთი); **დეკაც** იქა, კაცი - აქ [ცხოვრობდა] (ელიასხევი); ჩემი ბერისი ტადასი **დეკაცი** (ქონობანი)...

ივ. ქავთარაძის ახსნით, **დედაკაცის** შემდგომი ცვლილებით მიიღება **ლიაცი**: **დეკაცი>დეაცი>ლიაცი**. ივ. ქავთარაძე **დეკაც** ფორმას იმოწმებს XVI საუკუნის ქართული ისტორიული საბუთიდან როგორც **დ**-ს შემცველი მარცვლის ჰაპლოლოგიური დაკარგვის ნიმუშს (ქავთარაძე, 1964:112).

**დეკაცი** არის ინგილოურშიც, სადაც აქვს ორი მნიშვნელობა: 1. ქალი, დედაკაცი (გათხოვილი ან ასაკში შესული); 2. ცოლი; ინგილოურში დასტურდება ასევე კომპოზიტი **კაც-დეკაცი** „ცოლ-ქმარი“ (ლამბაშიძე, 1988; კიკვიძე, 2005: 182; <http://corpora.co/#/dictionaries>).

ზოგჯერ **ქალის** // **ცოლის** მნიშვნელობით ტაოურში **დედეკაცი** // **დეკაცის** გარდა დასტურდება აგრეთვე **ბებერი** // **ბებერა**:

...ერთი ჩემი **ბებერა** არი, კად არ არი, ავათ არი (ობლეკარი); მე ერთი კად, მსუქანი **ბებერი**, ქალი'ნა მოყვანო... (ობლეკარი); მე მეყვანე **ბებერი**, ...ვმუშაობ, ჰამა კად **ბებერა** არ არი... (ობლეკარი); **ბებერი** - ქალი და, სახლ ქოხ ებნევი'ან (მოსლიეთი); პირველ **ბებრები** წევლენ, მემრე კაცებ გავგზანით (ცუცეკარი)...

**ბებერი** შედის კომპოზიტიში **ბერ-ბებერი**, ნიშნავს მოხუც **ცოლ-ქმარს**:

ჩვენ ასე დავრჩნეთ **ბერ-ბებერი** (მოსლიეთი).

იხ. აგრეთვე „ჩვენებურების ქართული“: ამ სიტყვის განმარტებისას ავტორი იმოწმებს ტაოურს: ბერ-ბებერნი - მოხუცი ცოლ-ქმარი: „ბერ-ბებერნი გომოინეს, დევნახევითო“ (ფუტკარაძე, 1993: 391). შდრ.: აჭარული **ბერ-დედაბერი** - ცოლ-ქმარი, მოხუცი ცოლ-ქმარი, მშობლები (ნიჟარაძე, 1971).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაოურში **ბებერი** **კაცის**, **ქმრის** მნიშვნელობითაც გამოიყენება. ინფორმატორი ასე განგვიმარტავს ამ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას: ბაბა ანე, გურჯიჯა - ებედ, ეში (მეუღლე - ჩამწ.) - დეკაცი, კაცი - **ბებერი**. ჰად მიხვალ **ბებერო**, არ დედაკარქო... (ხევეცი).

**ბერი** ქმრის მნიშვნელობით დასტურდება ქვემოაჭარულშიც:

**ბერი** მოვა და ვეტყვი, მე არ ვიცი (ორთაბათუმი).

თუმცა აქ უფრო განრიდების, ქმრის სახელის არხსენების გამო გამოიყენება **ბერი**.

**კარქა გურჯი** წმინდა ნამდვილ ქართველს აღნიშნავს:

ჩუენ სოფელში ორმოცი ხანე ვართ, **კარქა გურჯი** (ფუტკ.170).

ამავე მნიშვნელობით დასტურდება სინონიმური **სუფთა გურჯი**:

ქუაბაგი ოთხმოცი კუამლია **სუფთა გურჯი** (ფუტკ.170). ეს ჭილათი სოფელია, **სუფთა** ქართული... ფაქ აქ არიან (ფუტკ.171)...

**წიწილი**'ს მნიშვნელობაა **ნაშიერი**: ძაღლი(ს) წიწილი, კატი(ს) წიწილი, ქათმი(ს) წიწილი:

ძალი, პუტურად ძალი - წიწილი, კატა პუტრუ - კატი წიწილი, წიწილი - პუტრად და, ქათმი პუტრუდ - წიწილი და; ბათუმ წუმოდი, ღორი წიწილი'ნა დიგიკლაო (დუგური)...

**არსებობას, ცხოვრებას, ოჯახობას აღნიშნავს თუთუნობა;** თუთუნი' - ოჯახი, მოსახლე'. მისი სინონიმებია - კომლი', ხანე', სახლი':

ოჯადი **თუთუნობს**, კვამლი, დუმანი, დუმანი წავა-ია - **თუთუნობს**, იტყვიან ქი - შეხედე მათი ოჯახი **თუთუნობს**, სახლ არიანო (ქონობანი); ვინმე თუ არი, სახლი **თუთუნობს**, ვინმე თუ არ არი, არ **თუთუნობს**, წორა უთქმიან (წითლევეკარი); დოლენჯიკარი - იმ ერთი კაცის სახელი ყოფილა დოლენჯი, ერთი **თუთუნი** ყოფილა (ბასლეკარი); ერთი სახლი - ერთი **თუთუნი**, ი - მეორე **თუთუნი**, მესამე **თუთუნი**. ეს სოფელი ორასი **თუთუნი** იყო უწინ, ახლა წევნეს, წევნეს ადარავინ არის, გათავნეს, წევნეს - ისტანბულ, ბურსას, ადაბაზარ, მარტო ბურსას ამ სოფლიდან სამასი **თუთუნი** არიან (ბასლეკარი).

**სუსხვად' ნიშნავს ჭინჭარს':**

ჰო, ჯიმჭარი, **სუსხვად** ადნია! (ელიასხევი); ჯიმჭარი სუსხავს, ფიშნარხევიში ჩვენ ჯიმჭარ ვეტყვით, იგი **სუსხვად** ეტყვის (ელიასხევი).

**ზაბა//ზააბა' - ძალიან':**

**ზააბა** თოვდა, სამი-ოთხი მეტრო თოვდა, ახლა **ზააბა** ცხელათ არი (ქონობანი); **ზაბა** პეტრად ვიყავ (ქონობანი); აქ გურჯები **ზაბან** მიყვარს (ხევეკი).

**ბევრის' მნიშვნელობაა დიდხანს':**

მე **ბევრი** არ ვიყავ (ხევეკი); მარა ის მერე **ბევრი** ვერ უცოცხლია კარზე (ელიასხევი); იქ საქმეებ აქვან და ვერ დამდგარა **ბევრზე** (ქუაბაგი).

**ბევრი წინა' აღნიშნავს დიდიხნის წინ:**

აქ მოსულა სამი ძმა **ბევრი წინა**, ბათუმიდამ, საქართველოდამ (ბინათი).

ზმნიზედა **გარეთ'** დასტურდება **გარდას'** მნიშვნელობით:

...დედაკაცი არ არი **თქვენ გარეთ?** (ბინათი); ეს ვინ'და იკითხოს **შენ გარეთ?** (ბინათი).

მიმღეობა **შექნილი'** (ქმნის' ზმნისა), **შექნილა'** ტაოელთა მეტყველებაში ნიშნავს - **დამწიფებულ, მოსულ ნაყოფს':**

ბალი **შექნილი** არი, ბალი **შექნილა** (ხევეკი).

**შევექნით'** ნიშნავს **გავხდით':**

აბლი ბევრი **შევექნით** (იეთი).

**დგ'** ძირის ზმნის ფორმებს გარდა ძირითადი მნიშვნელობისა რამდენიმე სხვა მნიშვნელობაც აქვს: 1. **დგება'**, **დგებიან'** ნიშნავს **სადმე, ვინმესთან დარჩენას გარკვეული დროით'**; სამოცი ხანე **დგებიან** [ზამთარში], სხვად მიდიან (ობლეკარი).

2. **ვდგავართ** ფორმის მნიშვნელობა - **ვცხოვრობთ**: ჩვენ სავლელამ მოგვედით, ჩვენ აქ არ **ვდგავართ** (ქუაბაგი).

3. ასევე აღნიშნავს **აყრას, გადასახლებას**: პარხალი წასულა აქიდან, **ამდგარა**, ფაქა **ამდგარან** (ბასლეკარი).

**დგ** ძირის წყვეტილის მწკრივის ფორმა შავშურსა და კლარჯულში ნიშნავს რაიმე წესის, ჩვეულების მოშლას, საგნის ხმარებიდან გასვლას: კეცები **ადგა**, ახლა სობაა (დავლ.); **ადგა** გურჯი სამობა (შირინს.) (შავშეთი, 2011: 285; კლარჯეთი, 2016: 575).

ტაოელთა მეტყველებაში **დგ** ძირი ამ მნიშვნელობით იშვიათად გამოიყენება, მას ცვლის **დეილია**, **ეძწია** ზმნები:

...წურილნი-წურილნი აღარ პარიკობენ. ზამან-ზამან **ადგება** (ქუაბაგი).

სხვად არ არი, **დეილია** (ქედლიანკარი); ახლა კეცი აღარაა, **დეილია**, გავაგდეთ. პურ არ დავთესავთ, კალო **ეძწია**, კეცი **ეძწია**, პურ მარკეტში ევლებთ, ვჭამთა... (ბასლეკარი).

**უგმანი** ნიშნავს **მიუვალს**, **გაუვალს**:

**უგმან-უგმან** ადგილებშინა დავმალოო, ამბობდა გუშინა... (ფუტკ. ქუაბაგი).

**უგმანი** - იგივეა, რაც **უგვანი** (ფუტკარაძე, 1993: 577) - მიუვა-ლი, გაუვალი (შდრ.: საბა: **უგვანი** - უმსგავსო).

**სატყეპი** ნიშნავს **სამჭედლოს**: სანჩხრის თავში ყოფილა **სატყეპი**.

**გალახვის ცემის** მნიშვნელობით დასტურდება **დატყეპვა**:

**დავსატყეპეთ** და მოველით (ხევეკი) (იხ. ფაღავა, 2019: 39).

ტაოურში **რუხის** მნიშვნელობით დასტურდება **მრეხი**:

ამისი ფერი **მრეხი** (ქუაბაგი).

„ჩვენებურების ქართულში“ არის **მრეში** - **თეთრისა და შავის საშუალო, რუხი**.

ძველი სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით **წული**, ტაოურში, ისევე როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ნიშნავს **შვილს**:

ისინი ჩემი მულის **წულები** არიან (ქუაბაგი).

ეს მნიშვნელობა აქვს „ჩვენებურების ქართულში“ დამოწმებული შ. ფუტკარაძეს. შდრ.: ილ. აბულაძე - წული - „ყრმა“, „წულებრი“, ვაჟი (**აბულაძე, 1973**); ზ. სარჯველაძე - ახალშობილი; ვაჟი; მამაკაცი (**სარჯველაძე, 2001**); საბა - წული: ვაჟი (ორბელიანი, 1949).

**ჩამოგდება** ნიშნავს **დაკლებას** **მოკლებას**:

ახლა ერთი წელიწადია ასკრობა, ახლა **ჩამოაგდეს**, ერთი გახდა... (გოდლეკარი).

საინტერესო ლექსიკური ერთეულია **ფეხამური**, რომელიც არცერთ სხვა სამხრულ კილოში არ შეგვხვედრია და ნიშნავს **დამხმარეს**, ვინც საქმე, ხელობა არ

იცის და „შავ საქმეს“ ასრულებს. თავად ინფორმატორი სწორედ ასე განმარტავს ამ სიტყვის მნიშვნელობას: მუშაობენ და **ფეხამური**... უსტა არაა. **ფეხამური** რაა, რაფერ გაგაგნებო! **ფეხამურ** ვეტყვით: ოთხი მევეყარეთ, მე ვიცი საქმე, იმან არ იცის, ტალახ მოზილავს, **ფეხამურ** ვეტყვით (ხევეკი).

სხვაგან არ შეგვხვედრია **ტალღაჯი**, ნიშნავს **მატყუარას**:

ტყვილ გიგიკეთებს, წევა, არ მუა, იმა ჩვენ **ტალღაჯი** ვეტყვით (ფიშნარხევი).

**მზესუმზირა** ტაოურში **მზის მზერია**:

ეს **მზის მზერია**, დავთესავთ, მოვა (ელისახევი).

დაუმწიფებელი, შემოუსვლელი ნაყოფის აღსანიშნავად გამოიყენება **კოკრი**:

სხალი ჯერ **კოკრია**, არ შედჰმება (ფინარხევი). შდრ.: კოკორი (გაუმლელი ყვავილი, კვირტი), კოკრობა (კოკრად ყოფნა) (ქეგლ).

**იმ ბარზე** ნიშნავს **იმიტომ, იმის გამო, თვის, გულისთვის**:

... მე მივხდი და **იმ ბარზე** გიმძირვარ (ქონობანი); ზათენ **ღენჭებ ბარზე** ჩეველით ყეზაში (ქონობანი); ახლა **ებე ბარზე** მოვენით აქა (ბასლეკარი); ხოჯიყანა - ჯამე წინიდამ სა არი და **იმ ბარზე** (ქონობანი).

**უკან** ზმნიზედა ძირითადი მნიშვნელობის გარდა, ისევე როგორც კლარჯულში, გამოიყენება **თან, ერთად, შემდეგ, მემრე/მერე** თანდებულების მნიშვნელობით (იხ. ცინცაძე, 2015:55-59).

**უკან=თან**:

ნენეს **უკან**, ბაბას **უკან**, აქ არი - ართვინ (ბინათი); ერთი გოგო, ერთი ბიჭი, ჩემ **უკან** არიან ადაფაზარ (ბასლეკარი); ერთი ბგანო აქ არი და იმის **უკან** ვართ (ბალხი); ჩვენი ლაპარიკი გადარეველია, ასიმილე ქნილა, თქუენიც გადარეველია რუსულის **უკან** (ელისახევი); ერგან იქნებიან დადეები **გოგოს უკან** (ცუცეკარი); **ბიჭის უკან** დადე არსა არი (ცუცეკარი).

შავშურში ეს მნიშვნელობა ფართოდ გავრცელებული არ არის.

ტაოურში **უკან=შემდეგ**:

...რომელცხა მილეთი არი, იმათი სახლები - კარი, **მას უკანაც** კარი (ბასლეკარი); ...ჩვენც არ ხვართობ **შენს უკან** (ქისქიმი).

**უკან** ზმნიზედა **უკანა** ფორმით ზედსართავის ფუნქციით გამოიყენება:

... იმ ბარზე ემეა, სოფლების სახლები და **უკანა** კარი (ბასლეკარი)...

იგულისხმება სოფლის დასახელების მომდევნო ნაწილი (იხ. ჩინჩალაძე, 1955: 30; ცინცაძე, 2015: 55).

საინტერესოა ზოგი ქართული სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობა. დიდი **მდინარის** მნიშვნელობით იხმარება **ჭოროხი**.



აგვიხსნეს: დელე პატარაა, დიდი - **ჭოროხი**; ართვინში რომ მივა, იმის სახელი **ჭოროხია**, **ჭოროხ** ერევა. პარხალიც **ჭოროხია** (ელიასხევი).

განსხვავებული მნიშვნელობებისაა **ნაჯალი** და **ცული**: **ნაჯალი** პეტრაა, **ცული** - დიდი (ელიასხევი).

გამოვყოფთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ჩაითვლება **არქაიზმებად**.

**შენება**, **შწნება** ძველ ქართულში გარდა აშენება, აგებისა ნიშნავდა კეთებას, მისი სინონიმია ქმნა (აბულაძე, 1973). ტაოურში **აშენება**, **აშენებული** სწორედ **გაკეთების**, **გაკეთებულის** მნიშვნელობით დასტურდება:

კეცები იყო წინწინ მიწიდან **აშენებული**, თიხადან (ქუაბაგი).

შეხედა, ბახალუმ, უწინდელი იგიავო, ცული **აშენება**, თოხი **აშენება**...

(ქუაბაგი); ოჯალი **ეშენებიეს**, ვერ **ააშენეს**... (ბინათი).

**უფროსის** მნიშვნელობით ტაოურში არის **თავადი**:

დედმა გაყო იშტე, სახლის **თავადმა** (სადგეყანა).

ძველ სალიტერატურო ქართულში **თავადის** ერთ-ერთი მნიშვნელობაა სწორედ „თავი“, მეთაური: „იგი არს თავადი (თავი) ყოვლისა მთავრობისაჲ“ კოლ. 2,10 (აბულაძე, 1973). ძველ ქართულში სინონიმებია: თავადი, თავი, მთავრობა მთავარი.

**მიტოვებულის**, **მიტოვების**, **დატოვების** შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება რიცხვში მონაცვლე **გდება/ყრა** ზმნა: **გაგდება**, **დაგდება/გაყრა**, **დაყრა**.

მხოლობითის ფუძეს **მიტოვების**, **დატოვების** შინაარსი აქვს ძველ ქართულშიც. ძველი ქართული ტექსტების პარალელურ რედაქციებში ერთმანეთს ენაცვლება **დაგდება**, **განგდება**, **დატევება**... ილია აბულაძე **დაგდება**სთან უთითებს სინონიმებს - „დაბნევა“, „დატევება“, „განგდება“, „დაცადება“ - მიტოვება: „დააგდო ვეცხლი იგი“ C - „დააბნია ვეცხლი იგი“ DE, მთ. 27, 5; „არა დააგდოს შენ“ M - „არა დაგიტეოს შენ“ G, II შჯ. 4, 31; „ნუ დამაგდებ მე“ L - „ნუ განმაგდებ მე“ C ფს. 37,22; ... „რომელმან არა დამაგდე მე, მწევალი ესე შენი“ ფლკტ. 140,22; დავაგდე სამკვდრებელი ჩემი“ pb - „დავაცადე სამკვდრებელი ჩემი O, იერემ. 12, 7. (აბულაძე, 1973).

დავიმოწმებთ მაგალითებს ტექსტებიდან:

ამ კაცმა სახლი **გააგდო** და სხვაგან წევდა (ელიასხევი); ერგან იქნე-ბიან დადეები გოგოს უკან, სამი ღამე გათამდება, წავლენ და **გააგდებენ** იმას (ცუცეკარი); არ ვიარებით, **დაგდებულისა**... (ელიასხევი); ახლა კეცი აღარაა, დეილია, **გავაგდეთ** (ბასლეკარი); ახლა **გავაგდე**, არ მივალ (ქუაბაგი); დაბლა ჩონი ქობია, ჩემძლა, **დავაგდეთ** (ჭედლიანკარი).

აქ ბევრი ყანა **დაყრილია**, **დაყარეს**, წევდეს... **დაყრილია**, ხინძანი ვის უნდა... ჭალები ახლა **დაყრილია**; ...იქ არ მიდიან, **დაყარეს**, წევნეს. დაილა **დაყრილია**, ჭალა **დაყრილია** (გოდდეკარი); ე თორები **გაყარეთ** აქა (ფიშნარხევი); იმის მერე **გავყარენით** აქევრობა, სხუანი ამოვებენ (ელიასხევი).

## §2. თურქული ლექსიკა

სხვა სამხრული კილოების მსგავსად, ტაოელთა მეტყველებაში ბევრია თურქული ლექსიკური ერთეულები. დავიმოწმებთ მხოლოდ ზოგიერთს.

შავშურსა და კლარჯულში გავრცელებული ლექსიკური ერთეულია თურქული **ebe'** - **ებე'**, ნიშნავს ბებიაქალს', შავშურში მისი სინონიმია **ბიბიამ'**, კლარჯულში კი - ქართული **ბებერამ'** (შავშეთი: 2011:572, 581; კლარჯეთი: 2016: 1052). ტაოელთა მეტყველებაში **ებე'** განსხვავებული მნიშვნელობებით დასტურდება, ნიშნავს **ბებიას'** და **ასაკოვან ქალს'**:

ბაბა ანე, გურჯიჯა - **ებე** (ხევეცი); ახლა **ებე** ბარზე მოვენით აქა, ჩუენ **ებე** ვამბობთ, **ებე**; **ებემ** გვითხრა, თქუენ ძალიან იკითხეთ, ახლა აქ მოდითო (ბასლევარი); აქ ერთი **ებე** იყო, დიდი ქალი (ქუაბაგი)...

თურქული **oğul'** (**oglu**) - ვაჟი, ცალკე ლექსიკური ერთეული არ ჩანს შავშურსა და კლარჯულში: ეს დოსტი, მისი **ოღლი** ჩემი სიძეა (ბინათი).

**ბეჩი'** ნიშნავს საერთოდ ცუდს, იხმარება რა' ჯგუფის სახელების მიმართაც:

ხევში **ბეჩია** გზა; კამ ალაგებ მოთიბვენ, **ბეჩ** ალაგებ ძროხები მოძოვენ (ცუცეკარი); ზემო ერევა გზები, **ბეჩია** გზა (ელიასხევი).

**კამპური** - **კუზიანი**: **kampur** - კუზი:

**კამპური** ბერი ყოფილა (ფუტკ. ქუაბაგი); ღმერთმა უუწია **კამპური** (ფუტკ. ქუაბაგი).

**ქენარი** - კიდე, **განაპირა**: ...**ქენარში** ვიყავი, ჩემი არ გეხბრაკა (წითლეკარი).

**ფერი** - სული, **ფერია**: იმ ტბაში **ფერი** ყოფილა, იცით **ფერი**? (ქისქიმი).

**რაამეთლი** - **ცხონებული**: **რაამეთლი** აღამ იტყოდა (ხევეცი); იტყოდეს **რაამეთლი** ბაბო (ელიასხევი).

**მეზერი** - საფლავი: აქ ბევრი **მეზერი** არი (ცუცეკარი).

**ქილიმი** - ნოხი: აქო დააგებენ **ქილიმებ**, ილოცვენ (ელიასხევი).

**ქელიმე** - სიტყვა: ...თითო-ოროლა **ქელიმე** ვაჩოვ (ქონოზანი).

**ყავლა kavg**a - **ჩხუბი**: ჩუენ ყველდღე **ყავლობთ** (ქუაბაგი).

**თირფანი tirfan** - **ცელი**: ჭალაა'და მოჭრას **თირფნით** (ცუცეკარი).

**მექთეფი mektep** - **სკოლა**: ახლა თავრობა მოვდა, **მექთეფი** გახსნა (ცუცეკარი).

**ზენგინი zengin** - **მდიდარი**: **უსტიოღლი** ყოფილა **ზენგინი** (წითლეკარი).

**ხებერი haber** - **ამბავი**: იმა ახლა წევდა, ახლა. **ხებერი** არ მოსულა (ფიშნარხევი).

**ჰამალი hamal** - **სკამი**: ...**ჰამალი** მიე, დაჟდეს, გო! (ფიშნარხევი).

**ბუზდოლაბი buzdolab** - **მაცივარი**:

...ცივი არ არი, მგონამე, **ბუზდოლაბი**დამ დეფლია (ელიასხევი).

### §3. სინონიმური ლექსიკა

ტაოურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ერთმანეთის გვერდით, ხშირად ერთისა და იმავე მოქმელის მეტყველებაში გვხვდება სინონიმური მნიშვნელობის ქართული ან ქართულ-თურქული სიტყვები.

**3.1. ქართული სინონიმური ლექსიკა.** ალება - ყიდვა, მუშაობა - საქმობა, ღარჭი - ბაღვი, ღარჭი - ბიჭი, ქვა - ფიქალი, განაყოფი - მოზობელი, მომსურდა - მენატრება...

**ალება/ყიდვა:**

ამხანაგები მყუანდეს, მეტყოდეს: - ამხანაგო, **მიყიდე** ერთი ღვინო (ფუტკ. ქუაბაგი); აქ მოსულა ისვენ და მიწა **უყიდა** (ფუტკ. იუსუფელი); ჩემი სახლ-კარი, ყანა-ბახჩა მაშინდელი **აღებულია** (ფუტკ. იუსუფელი); მე ბეჭედი არ მაქ, ჩემი გატყდა და არ **იმილო** ჩემ კაცმა (ბალხიბარი); თველზე წავალთ - **გავყიდავთ** (ქისქიმი); ეს **ევლეთ** მაღაზაში (ბინათი); ძველინდელი სადაა, ძველად **ევლევით**; ყველაფერი **გაყიდა**, რომ არ ეყო, საყურეებიც **გაყიდა** (ბალხი).

**ღარჭი/ხენჭი/ბაღვი - ბავშვი:**

გურჯი მაზი შაასწავლებლით **ბაღვებსა** (ფუტკ. ქუაბაგი); ჩემი **ხენჭები** - ბურსა, ერთი ბგანო ანტალიას საქმობს, ბიჭი - ბურსას საქმობს, ბიჭი დასახლებულია, ბგანო ბექარია (იეთი); ჩვენ **ღარჭებ** არ იციან, **ხენჭებ** ვერ უპარაკებინან, ხთებინან (იეთი); **ღარჭი - ხენჭი** - აინი ვიტყვი. ორი **ხენჭი** მყავს: ერთი ბიჭი, ერთი - ბგანო, აქ ბგანო ვიტყვით (იეთი); ეს ჩემი ბიჭია, პატარა, თორუნე მყავს, **ხენჭები** იქ მყავს (ხევეკი); **ხენჭები** ოთხი - ერთი ბღანო, სამი ბიჭი, ბღანო გათხოვილია, ბღანოც ბურსა არი, ბიჭიც ბურსა არი (ქუაბაგი); მე პეტრად ვიყავ, პეტრად **ღენჭი** ვიყავ (ელიასხევი); სამი **ღენჭი**, ბეური არ მინდა (ელიასხევი); გყავან **ხენჭები**? (ქუაბაგი)...

**ღარჭი** ზოგადად ბავშვის გარდა აღნიშნავს **ბიჭს**: **ღარჭი/ბიჭი**:

ხუთი თანე **ღარჭი** მყავს, ოთხი ბოგანო, ერთი - **ღარჭი** (ბინათი);

**ღარჭი** წევდა ახლა (ბინათი); **ღარჭი** - ოღლია, ყიზი - ბოგანო (ბინათი)...

**გახრაკულა/გახანძულა/დეილანძა**: გახრაკება' ნიშნავს შეხრაკვას', მოხრაკვას', ტაოურში გახრაკულა' ნიშნავს დამწვარა':

**გახრაკულა**, ხამიდან უშუენებინან (ბალხიბარი); **გეახრაკა** (სახლი) (ქუაბაგი); ყიტრი არ ასხია **გახანძულა** (ბინათი); ერთი თანე არ არი ახლა, ცხელაში არ იქნება, **დეილანძა** (ბინათი).

**ქვა/ფიქალი:**

იქა გზიპირში **ფიქლები** არი (ფუტკ. ქუაბაგი); ჩომოსლიხან ზემოდან **ქუები** აგორდა (ფუტკ.174); სირთიდან რომ გადახედავ, **ქვებია** (ფუტკ. ქუაბაგი); **ქვები** დაგებულია, **ფიქლები** (ხევეკი).

**განაყოფი/განაყარი/მოზობელი:**

ამათი **განაყოფები, მოზობლები** ბევრნი არიან (ფუტკ. ქუაბაგი); ეს **მეზობლებ** არიან. ესენი, ჩვენ **განაყარი** ვართ. ძველიდამ **განაყარი** არიან, ძველიდან. თერძები და ჩვენ ხოჯიანნი **განაყარები** ვართ (ცუცეკარი).

**ალაგი//ადგილი:**

ახლა **ალაგი** - გოდლეკარი (ხევეკი); სხვა **ალაგასაც** მიდიხართ? (ობლეკარი); ვიცი ის **ალაგი** (ხევეკი); პატინად **ადგილია** ანნიანი (ქუაბაგი); კონწოლი ქვია იმ **ადგილსა** (ფუტკ.171).

**პეტრა//პაწა:** მახალა - გოდორზე **პეტრად**, იმის **პაწად** - ჯელედი (ხევეკი).

**3.2. ქართულ-თურქული სინონიმური ლექსიკა.** უფრო მეტია ქართულ-თურქული სინონიმები: **გაკუჭება - გაჭერება, ტბა - გოლი, სოფელი - ქოძ, ადგილი, ალაგი - მერი, ძველი - ესკი, გვარი - სოდადი, წითელი - ყირმიზი, ქართველი, ქართული - გურჯი, გურჯიჯა, საქართველო - გურჯისტანი, ნათესავი - ხისიმი, კუამლი - დუმანი, ვმუშაობ - ჩალიშიორ...**

შავმურსა და კლარჯულში ფართოდ გავრცელებული ჩანს ამ წყვილთა ცალეები.

**სახლი//კომლი//ხანე:**

იქ **სახლი** დეიჭირავს თუ იურთში დადგება (ქონობანი)? შიგან ორასორმოზდაათი **კუამლი** იქნება (ფუტკ.170); ელლი **ხანე** (=სახლი, კომლი) არიან, ზამთარში ოთხი-ხუთი **ხანე** არიან (ბინათი); ორმოცი **ხანე** იყო, ახლა ოთხი **ხანე** დარჩა (მოსლიეთი).

**სოფელი//ქოძ:**

იქიდან უყურებ **სოფელი**, აქოს გათავდება **სოფელი** (ხევეკი); აქიდან მე ჩამოვალ **სოფელში** (ფიშნარხევი); სამოცი **სოფელი**, შიგან სამი **სოფელი** გურჯია (სასტ. „აგარა“); ერთიც თეჯუალს **ქოძში** არი ქილისე (ქონობანი); მოვეყვანო ჩემ **ქოძში** (ელიასხევი); რა ვიცი აქიდან იყო თუ, სხვა **ქოძდამ** მოსულა (ბასლეკარი); ჩუენი **ქოძლურია**, იცნობდა და (ქუაბაგი).

**ალაგი//ადგილი//მერი:**

ახლა **ალაგი** - გოდლეკარი (ხევეკი); სხვა **ალაგასაც** მიდიხართ? (ობლეკარი); ვიცი ის **ალაგი** (ხევეკი); პატინად **ადგილია** ანნიანი (ქუაბაგი); კონწოლი ქვია იმ **ადგილსა** (ფუტკ.171); **მერების** სახელები გინდათ? (ხევეკი); ჩვენი ქოძ **ალაგი მერი** - ხევაძ (ხევეკი).

**ესკი//ძუელი:**

აქევრი სოფლებია **ძუელი** (ფუტკ. ჩევრელი); ჩვენ ასე ვიცით, ჰამა, დერინა არ ვიცით, **ძველებურა** არ ვიცი (ხევეკი); **ესკი** ზამან... **ძველ** ზამანებში ვინ მაკითხებს იეთიმ? (ბინათი); თლათ გურჯია, ჰემც **ესკი** (ფუტკ.170); **ზუელათ** აქა ერმენები მჟდარან (ფუტკ.171).

### **ქართული//გურჯიჯა, ქართული//გურჯი:**

სახში ფაქა (თელი) ქართული ვლასპარაკობდით (ბასლეკარი); აკვანშიც ქართული ისწავლიდენ წინ-წინ (ფუტკ.171); ქომში გაზდილებმა იციან ჰერალდა გურჯიჯა (ფუტკ.171); თქუენი გურჯიჯა და ჩუენი გურჯიჯა არ ედრება (ბალხიბარი); ჩუენი გურჯი და შავშეთის გურჯი არ ეწყობა...შენი ლაპარიკი ბევრი ვერ გომირიგებია (ქონობანი); ჩუენ ქართულები ვყოფილვართ (ფუტკ.172); არჯევანი ...? ქართული არ არი (ფუტკ.170); სამოცი სოფელი, შიგან სამი სოფელი გურჯია (სასტ. „აგარა“); გურჯისტანდა რა იჯებით? (ბინათი); გურჯისტანიდამ გადმეარა თამარა დოდოფალმა (ფუტკ. ქუაბაგი).

### **ტბა//გოლი:**

ტბაში შეხედავს ქი ლამაზი გოგო იბანავს (ხევეკი); წოწოლ ტბამ, ლომში ტბავი (ლომის), სარცხი ტბავი - კვირაში ერთი დღე..... (ხევეკი); ამას აღარ შუუშვებენ ტბაში, დაჰკლვენ, ტბა სისხლივით გახთება (ხევეკი); თი თავში ტბა არი (ფუტკ. ქუაბაგი); სასლიპავი - სამოცდაათი ხანე ყოფილა, გოლი ყოფილა (დუგური); მალლა ბევრი გოლებია, გოლის ჯარი კარგი დიდი ყოფილა (იეთი); გოლები არი, ტბები... (ქუაბაგი).

პარალელური ტბა' და გოლი' სხვაგან არ არის.

### **საყდარი//ქილისე//მონასტერი:**

საყდარ ადგილი დუუნგრევიან სახლი კედლებ უშენებიან, საყდრიდან დამჩალ ალაგას (წითლევეკარი); პარხლის ზედან პუტრამ ქილისე იყო, დედნგრა ... აქოვრობაში მემრე მოსულან, ქილისე, ჯამე არ იყო (წითლევეკარი); საყდარი - პუტური ქილისე (ქუაბაგი); ქელაზორი არი, იქომ მონასტერი ყოფილა.

### **ნათესავი//ხისიმი:**

ჩვენ ხისიმები ვართ, მაბანჯი არ ვართ (ქუაბაგი); ე ჩემი ხისუმია (ქუაბაგი); ჩვენ ხისუმი ვართ... აქ სავლელა მოვდივართ, ზიარეთზე, ხისუმების დანახვაზე (ქუაბაგი); ესენი ჩემი ნათესავები არიან ყოლანი (იეთი).

### **გუარი/სოადი:**

იქავრი გუარები არ მახსოვან (ფუტკ. ქუაბაგი); გურჯი სოადი - გულფაშა ყინჩ, -აზა რა არის... (ბინათი).

### **მუშაობა/საქმობა//ჩალიშიორ:**

აქ ბევრ რასმე ვისაქმებ (ფიშნარხევი); ისინი მუშაობენ, საქმეზე არიან (ფიშნარხევი); იმდენი არ ვიცი, ფაბრიკაში ჩალიშიორ (ფიშნარხევი).



**აღად//ზაზოდ:**

ანად, **აღად** ბურსა არიან. **აღად** ჩვენ ზაზოსაც ვეტყვით, **აღასაც** ვეტყვით (ქუაზაგი).

**დაბერებული//ყოჯიყარი:**

**ყოჯიყარი** არ გამოსწიოთ. **დაბერებული - ყოჯიყარი** (ბალხი).

**აგრები//აილა:**

**აგრები (აილა)** ქონდათ (ქუაზაგი); იქ რამდენი **აგრები** იყვნეს... (ქუაზაგი); ზაფხულში **აილაზე** წავასხამდი (სადგიყანა); **აილა, აგრები** ვეტყვით მას (ქუაზაგი).

**მანქანა//არაბა:**

...აქედან იქ მისლამდე **არაბა** მივა, ჰამა თქვენი **მანქანა** გავა თუ არა, ის ა'ვიცი (ქუაზაგი).

**დედა//ანა:**

**დედა** ჭელიანკარულია და ახლა იუსუფელშია (ხევეკი); ჩემი **ანა** ქსოვდა, **დედა...** (ქუაზაგი).

**ბიძა//ემე:**

იგი **ემის** შვილია, **ბიძას** შვილი (ობლეკარი).

**სავარცხელი //ტარალი:**

...**ტარალითა, სავარცხელითა** თმებს ისწორებს (ხევეკი); ჩემი **სავარცხალი** მომეო (ხევეკი); **ტარალი (სავარცხელი)** დარჩა გოგოს. ის იმ **ტარალს** ასწევს, მეძორის, ...**ტარალი** არ იქნება და იტირებს. ი **სავარცხელი** დიდი ოქროდდან ყოფილა (ხევეკი).

**დუზგუნი//სწორი:** Duzgün'ი ქართულად არის **გლუვი', სწორი'**. ეს ლექსიკური ერთეულები სინონიმებია **მართალის'** მნიშვნელობით:

**დუზგუნი** კაცები არის, **წორი** კაცები, იმათ'და გაარიგონ (სადგიყანა).

განსხვავებას სხვა სამხრული კილოებისაგან კარგად გრძნობენ ტაოელები, ხშირად აღნიშნავენ კიდევ ამის შესახებ: ჩვენ „ვიმუშაოთ“ ვიტყვით, ისინი „ვისაქმოთ“ იტყვიან; მურღულში „ცოტას“ იტყვიან, ჩუენ „აბლსა“ ვიტყვით; ჩვენ „ჯიმჭარ“ ვეტყვით, იგი „სუსხვაა“ ეტყვის; მურღულელები სხუა სოფ ლაპარაკობენ, ართვინის იქეთაც სხვა სოფ ვიხვარათებთ, ჩვენ ვიტყვით „დედეკაცები“, ისინი იტყვიან „ქალები“.

აქავრობა - „დეკაცი“, მურღულ, ბორჩხა იქავრობაში „ქალი“ ეტყვიან (ბასლეკარი); ჩვენ ვიტყვით „დედეკაცები“, ისინი იტყვიან „ქალები“ (ფუტკ. ქუაზაგი);

„გოგო“ ბორჩხა, მურღულ, ბათუმ იტყვიან, აქ - „ბგანო“, მაჭახელ - „პრატი“ (ბასლეკარი).

ჩვენს ქართულსაც ადარებს ზოგი: როგორ იქნა? გამთელდა. თქვენ - გაჯამთელდა (სასტ. „აგარა“); აქ მარქვალი, თქვენ - კარტოფი (სასტ. „აგარა“); მომსურდა ვამბობთ, თქვენ მენატრება (სასტ. „აგარა“).

#### §4. ფრაზეოლოგიზმისათვის ტაოურში

ტაოური დიალექტი ყურადღებას იქცევს ფრაზეოლოგიზმებითაც, რომლებიც მრავალმხრივ არის საინტერესო, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური, ისე ენის ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

ტაოს ქართულის ფრაზეოლოგიზმები მრავალფეროვანია სემანტიკურად და სტრუქტურულად. ბუნებრივია, ბევრი მათგანი საერთოა სხვა სამხრულ კილოებთან, მაგრამ გვხვდება განსხვავებულიც, ზოგიერთს პარალელი ეძებნება სალიტერატურო ქართულსა და კილოებში.

სამხრულ კილოებში ფართოდ არის გავრცელებული ქალისა და ვაჟის ურთიერთმოწონების, შეყვარების აღმნიშვნელი გამონათქვამები, რომლებშიც ერთ-ერთი კომპონენტი (უმეტესად პირველი) არის **თვალი**, მეორე ზმნა, ჩვეულებრივ, **დაჭერა** და **ქონება**. ასეთი მაგალითები ბევრია შავშურში: გოგო, შენზე **თვალი მაქ** (შავშეთი, 2011:439).

ჩვეულებრივ, ამ გამონათქვამებში ვაჟის აქტიურობა ჩანს, იშვიათად ქალისა: ჩემ ღარჭზე(=ვაჟზე) შვიდ წელწად **თვალი ქონდა**. თვალი ქონდა' ნიშნავს უყვარდა', ელოდა'.

ბევრია ამ მნიშვნელობით **დაჭერა** ფუძის ზმნის შემცველი გამონათქვამი: ათი წელიწადია, შენზე **თვალი მიჭირავს** (შავშეთი, 2011:405); ამ ემოს ღარჭებმა ორთამა ამ ემოს ბაჯალაზე **თვალი დეიჭირეს** (შავშეთი, 2011:415); ამას **თვალი დუუჭირია**, იმიტომ ავათ გამხდარა (შავშეთი, 2011:415).

გვხვდება ამ სახელითა და ზმნის შესაბამისი მიმღეობით შედგენილი კომპოზიტები: **თვალნაჭირი** გემითხუეს, აღარა ვარ ჭკუაში (შავშეთი, 2011:483); იმანაც **თვალ-ნაჭირი** დეინახა (შავშეთი, 2011:415); ამისი **თვალდაჭირული** ბაჯალა რავარცხა ქი დოდოფლობაში შეკაზმული იყო, აინი შეიყვანეთ (შავშეთი, 2011:415).

„**თვალის ქონება**“, „**თვალის დაჭერა**“ იმავე მნიშვნელობისაა, რაც აქვს ქართულში ცნობილ გამონათქვამს: „ვისზედმე თვალის დადგმას, „მოწონება, ვისიმე თავისად მიჩნევა, თავისად ნატვრა“ (სახოკია, 1979:260).

„**თვალის დაჭერას**“ ასე განმარტავს თ. სახოკია: „თვალის დევნება, მოწონება, ჩაცივებით და ნდომით ცქერა“ (სახოკია, 1979:261).

**თვალთან** აღნიშნული მნიშვნელობით შავშურში იხმარება **მექცევა**, **გაქცევა** (გაგირბის, გამირბის) ზმნები (თვალს' გულიც' ემატება): მე რომ შენ დეგინახავ, **თვალი** შენკენ **მექცევა**; სხვაზე რათ **გექცევა თვალი და გული**?!

ტაოურში არის **თვალის დაჭერა**, **თვალის ქონება**, ასევე **თვალის დარჩენა**:

ის აქვერ ვინმე **გოგოზე თვალი ქონებია** კი (ელიასხევი); ზემოთვე ქალები მოდიოდეს, დევნახე, **თუალები ზედ დამჩაო...** (ფუტკ. ქუაბაგი).

**თვალის დარჩენას** საერთოდ მოწონების მნიშვნელობა აქვს. ამ მნიშვნელობით დასტურდება შავშურშიც: იქ ფენა(=მალიან) კაი გურჯული იციან, **თვალი** იმაზე **დაგჩება** (ფუტკ. 443).

**თვალი ზედ რჩებოდა** გავრცელებული გამოთქმაა სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში. თ. სახოკია ასე განმარტავს: „**თვალი ზედ რჩებოდა** - მეტად ლამაზი, მეტად მშვენიერი იყო“ (სახოკია, 1979:257)

ტაოურში სხვა სამხრული კილოებისაგან განსხვავებით **თვალის დაჭერას** გარდა ზემოთ აღნიშნულისა აქვს **თვალის ცემის** მნიშვნელობა: ნონას **თვალმა დიმიჭირა** (ხევეკი). შდრ.: შავშური: ჩემ საყვარელ **თვალი ცემს**; ალელისა, მალელისა, **თვალი გეცა** ადემისა; **თვალიცემია**; **თვალიმაცემარსა** (ბარამიძე, 2011:43).

თვალის ცემის სინონიმია **„თვალის კვრა“** – დანავსვა, დაზარალება, მოხიბვლა, ვნება, ხელის შეშლა, დაღუპვა” (სახოკია, 1979:262). ტაოელთა ქართულ მეტყველებაშიც გვხვდება **თვალის კვრა**, ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობით, ნიშნავს – **ჩაიხედა**, **დაინახა**:

ამა უხარის, ნონამა **თვალმა კრა** (ხევეკი).

სალიტერატურო ქართულში ფრაზეოლოგიზმი, რომლის შემადგენელი კომპონენტია **მუცელი**, გამოხატავს სხვადასხვა სემანტიკას: უზომოდ სიცილს (**მუცელი არ შეგვრჩა**, **მუცელი ორი ხელით გვეჭირა**), დარდს, წუხილს (**მუცლის გვრემა**, **მუცლის დარდი**), უფრო მეტი კი – შიმშილს, საჭმლის ნდომას, ჭამა-სმაზე გადაყოლას... (**მუცელი ვალაღას მაყრის**, **მუცელი თავში მცემს**, **მუცელს ბოძი მივუდგათ**, **მუცლაობა**, **მუცლის გაღმერთება**...). ტაოურში შიმშილს, ეკონომიურ სიდუხჭირეს გამოხატავს ფრაზეოლოგიზმი **მუცელი არ გვიძლება**: გითხარ და, **მუცელი არ გვიძლება** აქა (ფიშნარხევი); **მუცელი არ გვიძლება** აქ, წვევლით (ობლეკარი).

ტაოურში ფრაზეოლოგიზმის კომპონენტია **სისხლი**. თ. სახოკიას მიხედვით: **„სისხლი“** – სიცოცხლე; ჩამომავლობა; შრომა, წვალემა“.

თ. სახოკია განმარტავს, რომ იმ დროს, როცა სწამდათ, რომ „საზოგადოების მაღალ საფეხურზე მდგომს სისხლი გაცილებით უკეთესი ღირსებისა ჰქონდა, ვიდრე გლეხს, ...მცნება „სისხლი“ გამოხატავდა წოდებას, შთამომავლობას (სახოკია, 1979:578). ტაოურში გაფართოებული ჩანს მნიშვნელობა და ფრაზეოლოგიზმი – **თქვენი სისხლიდან ვარ**, **ჩვენი სისხლიდან ხარ** გამოხატავს საერთო წარმომავლობას ფართო გაგებით, ერთი და იმავე ერისადმი კუთვნილებას:

ვეზნევი **თქვენი სისხლიდან ვარა!** (გაღმა ქუაბაგი); **თქვენ ჩვენი სისხლიდან ხართო** და ხელი არ ურევიან ვინმესთვინ (ქუაბაგი)...

შდრ. კლარჯული: **სისხლები**: გამარჯობათ, **სისხლებო** (ს. ბორჩხა) „სისხლები – ერთი სისხლი რომ აქვთ (საერთო წარმომავლობა) (ბარამიძე, 2014:15). ნ. ცეცხლაძე ნახევრადკალკურ ფრაზეოლოგიზმებში იმოწმებს **სისხლიდან გარეცხვას**, რაც ნიშნავს ნათესაობის დაკარგვას, დავიწყებას (ცეცხლაძე, 2011:47).

ცნობილია, რომ ქართულში ძალზედ გავრცელებულია **გულ** კომპონენტისანი ფრაზეოლოგიზმები და მათი სემანტიკაც მრავალფეროვანია, მათ შორისაა **გაბრაზება**, **წყენა**, **განრისხება**. თ. სახოკია ასახელებს გამოთქმებს: **გულზე გახეთქვა**, **გულზე დადგომა**, **გულზე მოვიდა**, **გულზე ცეცხლის მოკიდება**, **გულის ადუღება**, **გულის გასივება**, **გულის მოდება** (სახოკია, 1979: 106-117). ნ. ცეცხლაძე აღნიშნავს, რომ **„გაბრაზება, გაჯავრება ქართულში გულის გაშმაგებას//გაფიცვებას //გამხეცებას//ადუღებას ანდა ანთებას უკავშირდება“** და იმოწმებს მაგალითებს საშუალო ქართულის ძეგლებიდან (ცეცხლაძე, 2018: 118).

სწორედ **გულის ანთება** დავადასტურეთ ტაოელთა ქართულში წყენის, გაბრაზების მნიშვნელობით: „ხაღი არ მაჭამე, **გული მენტება** შენზეო“ (გული მენტება – გავჭერსდი შენზეო, ი თქმაა) (სადიყანა).

მისი სინონიმია **გაგულიანება**: გოგოს ბაბოა **გაგულიანდა** (ფუტკ...ქუაზაგი); **გაგულიანება** **დასტურდება კლარჯულშიც**:

ჩემი გელისის ბაბოა ნენე **გაგულიანდებოდა** „მეგრელი“ რატომ გვეტყვიან, ლაზები ვართ (ჯივანი).

აღნიშნული სემანტიკა ტაოურში გამოიხატება ასევე ფრაზეოლოგიზმით **გაცხვირული არის: გაცხვირულია ჩემგან**, არ მეხვარათება (ქუაზაგი); აჭარულში არის **ცხვირის გაშვერა** (ნიჟარაძე, 1971:408).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზმნა **ანთება** არც თუ იშვიათად გვხვდება სომატური ფრაზეოლოგიზმების შემადგენელ ნაწილად: **ჭლიკების ანთება**, **თავის ანთება**, **თუალეებში ანთება**. ამ ფრაზების ძირითადი მნიშვნელობა შესაბამისი სხეულის ნაწილის ტკივილია, თუმცა, შესაძლებელია, კონტექსტის მიხედვით დამატებითი ნიუანსი შეიძინოს:

**ჭლიკები ენთება** (ქუაზაგი); რომ ჭამ და **თუალეფში გენთება**, ამ ისი (ბოწმინდა); იქ კარ გევდეთ, აქ **თავი ემენტო** (ხევეკი).

ბოლო ორ წინადადებაში გამოყოფილი ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა განსხვავებულია: **თვალეებში გენთება** – **გეწვის**, **თავი ამენტო** – **დამცხა**.

სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში **სულ** კომპონენტის გამოთქმები **სულის დალევა**, **სულის მიცემა**, **სულის ძლევა** სიკვდილის სემანტიკის გამოხატველია. ტაოურში ამ მნიშვნელობით გვაქვს **სულის ართმევა**: ამ გზევენარმა **ამართვა სული**, გაჩენილ დღე ამ გზევენარზე ვიარები (ფუტკ...172); თუმცა, უნდა აღვნიშნოს, რომ ამ კონტექსტში არ გულისხმობს სიკვდილს პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ გაწვალებას, თავის მოზეზრებას.

ტაოურში ბევრია **ყურ** კომპონენტის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მოსმენის, გაგონების, არ/ვერ გაგონების სემანტიკის გამოხატველია: მომისმინე - **ყური დიმიგდე** (სარიგიოლი); **ყური მიყაძ** მე... (ქუაზაგი); ახლა მეც **ყური მიყავი** (ქუაზაგი).

**ყურიდან აზლი** იტყვიან ადამიანზე, რომელსაც არ ესმის, სმენადაქვეითებულია:

იმა ვერ გუუგონია, ვერა და, **ყურიდან აზლია** (სადიყანა).

**გაგონილით, მოსმენილით ნასწავლს** აღნიშნავს გამონათქვამი **ყურიდან ყურში**:

**ყურიდამ ყურში** ვისწავლეთ [ქართული], მიხდი? (ელიასხევი); ჩვენც გედევცვალენით, **ყურიდან ყურში** გაგონილი ვიცით, ალფაზე არ გვაქ (ელიასხევი); ...ანადამ, დედედამ... **ყურიდამ ყურში** ვისწავლეთ [ქართული] (ელიასხევი). შდრ. კლარჯული: **ყურიდან გაგროვილია**, დიდვანებიდან გაგონილი (ბორჩხა).

ქართულში ბევრია ფრაზეოლოგიზმი, რომელთა კომპონენტია **ჭკუა**. ასეთ ფრაზეოლოგიზმთა მნიშვნელობა ძირითადად დაჭკვიანებას, სიჭკვიანეს, გონიერებას, უჭკუობას, უგონობას, სიბრიყვეს... უკავშირდება: **ჭკუაზე მოსვლა**, **ჭკუაში ჩავარდნა**, **ჭკუის წასვლა**, **ჭკუის გამოლევა**, **ჭკუის დაკარგვა**... (სახოკია, 1979:894-896). **ჭკუის** შემცველი ფრაზეოლოგიზმები გავრცელებულია სამხრულ კილოებშიც.



აღნიშნული სემანტიკით ტაოურში გვხვდება **ჭკვიდან არ ყოფნა**, **ჭკვის ვერ მოკრეფა**:

ბურსისკე წევდენ, **ჭკვიდამ არ არიან**, მუშაობა მოძაგნეს (ბალხიბარი); **ჭკვა ვერ მომიკრეფია**, ბევრი ხანია წეველ (იეთი).

განსხვავებული სემანტიკა აქვს ფრაზეოლოგიზმებს – **ჭკვის დაღევა**, **ჭკვის წასვლა**. მათი მნიშვნელობაა დარდისგან, განსაცდელისგან **გონის, მეხსიერების დაკარგვა**:

ესა წევდა, ჩემ კაცმა **ჭკვა დიმილია**, წევდა, ერთი თვე არ ვხედავდი, იმაზე **ჭკვა წევდა** (ხევეკი); ამან **ჭკვა დიმილია** (ხევეკი).

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრულ მეტყველებაში ამ სემანტიკის ფრაზეოლოგიზმების აუცილებელი კომპონენტია **ჭკუა**. შდრ. შავშური: თვალნაჭირი გემითხუეს, **აღარა ვარ ჭკუაში** (შავშეთი, 2011:484); **ჭკვა დეიკარგა** სიმწარისგან (ბარამიძე, 2011: 42-43).

შევნიშნავთ, რომ **ჭკუა** და **გონება** სინონიმებია და ნიშნავს **აზროვნების უნარს**, **გონიერებას**. თურქულში **ჭკუას**, **გონებას** შეესაბამება **akil (kli)**, რომლის მეორე მნიშვნელობაცაა **მეხსიერება (მემიში, 1999)**. ვფიქრობთ, უკანასკნელ მაგალითებში **ჭკუის** გამოყენება **მეხსიერების** სინონიმად თურქული ენის გავლენაა.

**სულელის**, **გონებასუსტის** აღსანიშნავად ტაოურში გამოიყენება **ჩამოვლილი**:

ამ სოფელში ერთი უჭკვო მეცხვარე ყოფილა, **ჩამოვლილი** (**ჭკვიდან აკლია - მთქმელის განმარტება**) (ხევეკი).

ტაოურ დიალექტში გვხვდება **ხელ** კომპონენტის რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი: **ხელი დააკრევიეს**, **ხელ ვერ შემოიღებს**, **ხელი არ ურევნიან**.

**ხელი დააკრევიეს** იმავეს ნიშნავს, რასაც გავრცელებული სინონიმური ფრაზეოლოგიზმები: **ხელი ხელს**, **ხელი ხელს დაჰკრა**, **ხელი ხელს მიცემა** – **თანხმობა, პირობის დადება** (სახოკია, 1979: 924-925):

რომელთა ამათა ზარხოში გახადესა ჩვენი მუხტარი, **ხელი დააკრევიეს**, ცალკე სოფელი ქნესა (ელიასხევი).

**ხელ ვერ შემოიღებს** იგივეა, რაც **ხელს ვერ შემობრუნებს**, ე.ი. სამაგიეროს ვერ გადამიხდის:

იაშარი'ნა შევტყეპო. მე დიდი ვარა, **ხელ ვერ შემოიღებს**, ვერ შემტყეპავს (ქუაბაგი).

**ხელი არ ურევნიან** ნიშნავს **ხელი არ უხლიათ**, **არაფერი დაუშაგებიათ**:

ქალებთან **ხელი არ ურევნიან**... თქვენ ჩვენი სისხლიდან ხართო და **ხელი არ ურევნიან** ვინმესთვის... გურჯი მილეთიზა **ხელი არ ურევნიან** (ქუაბაგი); შდრ. **ხელის დარევა - ჯობნა, მორევა, დაუფლება** (ონიანი, 1966:190).

ტაოურ კილოში იმის გადმოსაცემად, რომ ადამიანს ვერ მოუგონებია სახელი, ახსოვს და არც ახსოვს რაღაც, დავადასტურეთ ფრაზეოლოგიზმი **ენაზე დგომა**: **ენაზე მიდგა, ვერ მითქვია** (ელიასხევი). თ. სახოკიასთან არის **ენის წვერზე დგომა** – მოგონება და ვერც მოგონება კარგად რისამე (სახოკია, 1979:176). ამ სემანტიკის გამოსახატავად ტაოურში გვხვდება ასევე: **ენაში მიგორავს და ვერ მითქვია**, რომელსაც იმოწმებს ნ. ცეცხლაძე „ჩვენებურების ქართულიდან“ (ცეცხლაძე, 2018:30). უნდა აღინიშნოს, რომ სამხრულ კილოებში აღნიშნული ფრაზეოლოგიზმის



მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვარიანტები გვხვდება, შავშურშია **ენის წვერზე გორვა**, აჭარულში **ენაზე მაქეს** (ბარამიძე, 2011:45).

**თავის დაგება** თმის დავარცხნაა:

კარზე გუმოსულა ფერი, თავ იგებდაო... დიდი თმები ქონებია (ბასლევარი).

სალიტერატურო ქართულში გვხვდება იდიომი **ქარის ამოღება**, რომლის მნიშვნელობაა **შესვენება, სულის მოთქმა** (ონიანი, 1966:157). ტაოურში დადასტურდა ანტონიმური **ქარს ვერ ამოიღებ**:

მძიმე შემოწვება, შემჭირდება, **ქარი ვერ ამოიღევ** (ბასლევარი) – ე.ი. სულს ვერ მოითქვამ, ვერ ამოისუნთქავ.

ტაოელთა მეტყველებაში დავადასტურეთ საინტერესო ფრაზეოლოგიზმი **ცარიელ არ გავაგდებთ**, რომელიც სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას უსვამს ხაზს, სტუმარს ისე არ გაუშვებენ, სუფრა რომ არ გაუშალონ:

მუსაფირი მოვა, ჩუენში **ცარიელ არ გავაგდეფთ**, ილლაქი რამ'ნა მუართუათ (ქონობანი).

დავძენთ, რომ კლარჯულში **ცარიელი** გარდა ცნობილი მნიშვნელობისა სამსახურიდან, სასწავლებლიდან თავისუფალს, საერთოდ უმუშევარს აღნიშნავს:

**ცარიელი** დავრჩი, ამოველ ბორჩხაში (ჯივანი); მექთების დაწყებამდე **ცარიელი** ვართო, ჩამოვდე'და (გურბინი); ის **ცარიელია** ზათი, ბევრს არ ისაქმავს (ქართლა).

**ცარიელი** არის თარგმანი თურქული სიტყვისა **boş**, რომელსაც აქვს ორი მნიშვნელობა: 1.ცარიელი. 2.თავისუფალი, არხეინი (ცინცაძე, ბარამიძე, 2014:87).

ფრაზეოლოგიზმებით – **რა მიზდეგსო უკან** (=თან რა მიჰყვება), **ძველი წინდა მიდეგსო** (=ძველი წინდა მიჰყვება) გადმოცემულია წუთისოფლის წარმავლობა, ამაოება, ამქვეყნიური ცხოვრება სიკეთის კეთების გარეშე ფუჭია, ადამიანი იმქვეყნად ვერაფერს წაიღებს:

მისი ანაჲ მოკტაო და **რა მიზდეგსო უკან...** ერთი ჭანგი მარილი წედლოო, მეტი არაო (ელიასხევი); ამ ბებერსა ქი ეღლუგი (=სიკეთე, მადლი) არ უქნიაგო, ერთი **ძველი წინდა მიდეგსო** (ხევეკი).

**ხათრის დარჩენა** – ხათრი არაბულ-სპარსული სიტყვაა, რომელიც საუკუნეებია დამკვიდრებულია სალიტერატურო ქართულში და პატივისცემას, თავაზიანობას ნიშნავს. თ. სახოკიასთან არის: **ხათრის გატება**, **ხათრის შენახვა** (სახოკია, 1979: 901). **ხათრის დარჩენა** იმავეს უნდა ნიშნავდეს, რასაც **ხათრის გატება** – უპატივცემულობა, პატივისცემის უარყოფა:

მთავრობის **ხათრი დამჩა** (ხევეკი).

შდრ. კლარჯული: **ხათრიდან გამოსვლა**.

ტაოურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ფრაზეოლოგიზმთა ერთ-ერთ კომპონენტად გვხვდება თურქული ან თურქულის გზით შესული არაბული სიტყვები, ზოგი გამმოთქმა თურქული ენის კალკია.

დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: **ყუსურზე არ დიმიხედო** – არ დამძრახო (იხ. ბარამიძე, 2011:45; ნიჟარაძე, 1971:378; ცეცხლაძე, 2018:173):

**ყუსურზე არ დიმიხედო**, მე წევდე'ნა (წითლეკვარი)

**ზოფის ჭამა** – გალახვა, ცემა:

...თუ მეიპრიდა, შეჭამდა ზოფას (სადიყანა);

**საფის ქნა** – გახარება, აქ: თვალების გაბრწყინება სიხარულისგან:

**თუალებმა საფა ქნა...** საკისერი ჩახსნილი ქონდა, ყიაქუეშია უჩანდა (ფუტკ. ქუაბაგი 177).

**სალავათის თქმა** – ლოცვა:

ზოგი მადლიანია, არ შეჭამს, ილოცავს, **სალავათს იტყვის** (ბასლეკარი).

ჩვენ წარმოვადგინეთ ნაწილი ტაოურ კილოში დაცული ფრაზეოლოგიზმებისა. როგორც მასალიდან ჩანს, ზოგი სალიტერატურო ქართულში გავრცელებულ ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურული ვარიანტია, ზოგი თურქული ენის კალკია, ზოგიც მხოლოდ ტაოელთა მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი. მათი სრულად აღნუსხვა და გამოწვლილვით შესწავლა ბევრ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს ქართულ ფრაზეოლოგიზმებთან მიმართების და კულტურათა დიალოგის თვალსაზრისით.

## §5. სიტყვაწარმოება

ტაოურში წარმოქმნილ სიტყვათა შინაარსობრივი ჯგუფები და მაწარმოებელი აფიქსები ძირითადად ისეთივეა, როგორც შავშურსა და კლარჯულში; სხვადასხვა აფიქსთა გამოყენების პროდუქტიულობაც ერთნაირია; ახალი ლექსიკური ერთეულებიც როგორც ქართული, ასევე თურქული ძირეული სიტყვებისაგან იწარმოება, მაწარმოებლად გამოიყენება ქართული და თურქული აფიქსები. გამოვყოფთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

ტაოურში პროდუქტიულია **-ელ'**, **-ურ'/-ულ'** სუფიქსები, რომლებიც წარმომავლობის სახელებს აწარმოებს. როგორც ცნობილია, ადამიანთა წარმომავლობას აღნიშნავს **-ელ'** სუფიქსი, ხოლო **რა'** ჯგუფის სახელებისას - **-ურ'** სუფიქსი.

ტაოურშიც, სხვა სამხრული კილოების მსგავსად, ხშირია **-ურ'/-ულ'** სუფიქსით ადამიანთა წარმომავლობის, ხოლო **-ელ'** სუფიქსით **რა'** ჯგუფის სახელთა წარმომავლობის აღნიშვნა.

**-ურ'/-ულ'** ადამიანთა სახელებთან:

დედა **ჭელიანკარულია** და ახლა იუსუფელშია (ხევეკი); ჩემი ნენეა **ჭიმჭიმულია** (ბინათი); ორნი არ არიან **ქართული** (სასტ. „აგარა“); ჩვენი **ქოილურია**, იცნობდა და... (ქუაბაგი); ისინი **შორაული** არიან, მე **ბინათური** ვარ (ბინათი); ჩემი სიმე **შავშეთურია**, გურჯი არ იცის იმან (ბინათი); აქვერი ვარ, **ბინათური** ვარ (ბინათი); ...ადამიანები ხვარათობენ კი **ქართული** არ ვართო (ქისქიმი); მე **ჭევაერი** ვარ, ჰამა ერთმანეთში თუ მივალთ, მე **დეესაკრული** ვარ (ხევეკი); **ინგლისურებ** დამებულა თურქეთი (ელიასხევი).

ხშირად ერთი და იგივე პირი იყენებს ორივე სუფიქსს:

**ხეველას** ქალი ვიტყვით, **ხევაერი** ქალი, გოგო იმტე (ქუაბაგი); კარზე **ხევაერი** ვარო, იტყვის, ჰამა შიგან შემოელით, მე **ხევაერი** ვარ, არ ვიტყვი, **ფიშნარცველი** ვარ, მე **დევსაკრული** ვარ, **იეთური**... ადგილის სახელია **დევსაკარა**, მე - **დევსაკრული**, **ფიშნარცვეი** - **ფიშნარცველი**, იეთი - **იეთური**, **იეთური** - ფოშაა, ხუმრობაა! **ელიასხევი** - **ელიასხეველი** (ხევეკი); მე **დევსაკრული** ვარ, იგი - **ფიშნარცველია**, ისა - **იეთური**, ისა კიდენ - **ელიასხეველი**... (ხევეკი); ენ წინ მაღლა დასახლებულან: **ფიშნარხეველები**, **ხევაერები**, **იეთლები** (ხევეკი).

-**ელ'** სუფიქსი რა' ჯგუფის სახელებთან:

ჩვენ ქი გავთავნეთ, აქ აღარც **ქართველი** [ენა] დარჩება (ობლეკარი); ესეც **ძველანდელი** რადიო, ძველათ ევლევიტ (ბინათი); სისხლი **ქართველია**, გურჯია (ხევეკი).

ერთ კონტექსტში ადამიანის და რა' ჯგუფის სახელის წარმომავლობა ერთნაირად -**ულ'** სუფიქსითაა ნაწარმოები:

ამ პატრებმა **ქართულებ** [ენა] იციან... **ქართულებ** აქ ბევრნი იყვნეს... (ქუაბაგი).

წარმომავლობა ზოგჯერ აღინიშნება უაფიქსოდ, შესაბამისი ძირეული სახელით:

მე **ელიასხევე** გურჯი ვარა! **ელიასხევე** კაცები, ბერები, ჩემი თავი უყვარს (ფიშნარხევი); ჩვენა **ძეთები** ველითაძს ძაილაზე მივდივართ (სადგიყანა); **იეთებ** მუცემიან ნახვარი-ნახვარი. ...**იეთებთა** ადგილი მუცემიან (ხევეკი); **პარხალი** ამერიკას წასულან (ბასლეკარი); ...ორი ჯარი **თურქი** ფულით ეფეძჯე ფული იჯება (ელიასხევი).

ზოგჯერ პირიქით, მოსალოდნელი ძირეულის ნაცვლად აფიქსიანი წარმოება გვაქვს: ...**უთქვიან** კი, მოდიან **თურქელები** (ელიასხევი).

-**ურ'** სუფიქსი დაერთვის ზმნიზედას და აწარმოებს სადაურობას:

**გაღმავრი** ვარა და აქ გომოვეთხოვეა **იქე'ვრი** (ქუაბაგი).

**აქაურის'** ნაცვლად შეგვხვდა **აქუნურები** მთქმელი გულისხმობდა ადგილის სახელებს: **აქუნურები** გითხრა (ობლეკარი).

-**ურ'** სუფიქსი პირის ნაცვალსახელისაგან აწარმოებს ზედსართავს:

...**ჩვენებურა** დეკაცი მებნევა ქი - რა მიმპირიხარო? (ქონობანი).

პროდუქტიულია ასევე -**ობა'** სუფიქსი. იგი აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს:

...**ძველობა** ფექ არ მახსოვს (ხევეკი); **გენჯობაში** ვიარებოდით, ახლა გავაგდევიტ (ქუაბაგი).

ხაზგასმული სიტყვები აღნიშნავს დროს.

აბსტრაქტული სახელია **რამზავობა**, რომელიც საინტერესოა აგებულებით **-ობა** სუფიქსი ერთვის კომპოზიტად ქცეულ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებს - **რა** და **ამზავი**:

სოფელში **რამზავობა** არი, თქვენ სოფელში? (ობლეკარი).

**-ობა** ერთვის ადგილის ზმნიზედებს **აქ**, **იქ** და ვლებულობთ: **აქობა**, **იქობა**:

ჩვენი მეჰელე ბალხია, ...**აქობა** - ბარი (მოსლიეთი); მე ა დიმინახია და **აქობაში** არ არი [ეკლესია] და **იქობაში** არ წავსულვარ (ქისქიმი).

აღნიშნულ ფორმათა პარალელურად გვაქვს **აქოვრობა**, **იქოვრობა** - **-ობა** ერთვის **აქ**, **იქ** ზმნიზედათაგან -**ურ** სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავებს:

...ღვარი ჩუმოვდა, **აქოვრობა** აავსო (ელიასხევი); ...**იქოვრობაში** ქართველები არიანო, ხელ არ ურევდენ (ელიასხევი).

მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება -**ა**, -**იან**, **სა-**, **სა-ო**, **სა-ე** აფიქსები.

დავიმოწმებთ მაგალითებს:

ეს არი ცხენისი ყაშა, **საფხანა** (ხევეცი); ...იმის ზეიდან სახლი, ზეიდან - **სათივრე** (ქუაბაგი); **საქეიფოთ** დავსხდებოდით (ელიასხევი).

-**ა** სუფიქსი აწარმოებს ცხოველთა სახელებს, აღნიშნავს ასევე რომელიმე ნიშნის მიხედვით მსგავსებას:

ძროხის სახელები გინდა? **შეველა**, **ფახლა**, მიჭვრიტი (ბოწმინდა); ფეხი გზაა, გზა **ბაწარა** (ელიასხევი).

-**იან** სუფიქსი მქონებლობის და წარმომავლობის სახელთა მაწარმოებელია, ტაოურ მეტყველებაში -**იან** სუფიქსი აწარმოებს ასევე შტო-გვარის, ქობის სახელებს, გარდა -**იან** სუფიქსისა შტო-გვართა სახელების მაწარმოებელია-**ებ** სუფიქსიც (იხ. **ფალავა, 2019: 73-89**).

აქ ცხოვრობენ **სუბელიანნი**, **სალიანნი**, **ხოჯანნი**, **აჯარები**, **ჭიკვალები**, **მოლ-იანნი**, **ამალიანნი**, **კარჩხლიანნი**... სხვა აღარ ვიცი (ელიასხევი).

## §6. ნასახელარი ზმნები

ნასახელარი ზმნები ნაწარმოებია როგორც ქართული, ასევე თურქული სახელებისაგან.

სად მიზვალ? - **უუბანებენ** ელიასხეველები (ხევეცი); ძველათ აქა არ **უთოვლებია** (ელიასხევი); სიძე **ფერხულობს**, აზა! (ხევეცი); ახლა **აფაქვენ**, უწინ **დაყაფანდებოდა** (წითლევკარი); წინწინ ყავარი იყო, ჰამა დალპა, **დაჩურულდა** (ხევეცი); ხე მოჭრეს **დახიზრეს** (ხევეცი); კედლები ხიზრით **დავხიზრავდით**, ხიზრითა (ხევეცი); ქართულებ აქ ბევრი

იყვნეს და დააბლდეს (ქუაბაგი); ბევრი იყო აქ თევზი, ახლა დააბლდა (ფიშნარხევი).

## §7. კომპოზიტები

წარმოქმნილ სიტყვებთან ერთად ტაოური ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს **კომპოზიტები**. განსაკუთრებით გავრცელებულია **ასონანსური კომპოზიტები** (ტერმინი ეკუთვნის ა. შანიძეს), რომელთა მეორე კომპონენტი სიტყვას იმეორებს პირველი თანხმოვნის შეცვლით. ამ მოვლენას ბ. ჯორბენაძემ გადაბგერება უწოდა (ჯორბენაძე, 1989: 580). ასონანსური კომპოზიტები დამახასიათებელია სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის, გვხვდება იგი სამხრულ მეტყველებაშიც, განსაკუთრებით კლარჯულსა (კლარჯეთი, 2016: 585) და ტაოურში:

**სახლები-მახლები** უკეთებიან (ხევეკი); **გზა-მზა** მოვდა, ხალხმა იქ გადასახლდა (ელიასხევი); აქ **თესვა-მესვა** ვიქმოდი (ქონობანი); იქ **ჯაყელი-მაყელი** არ არი (წითლევაკარი); მედმცრევენ **ვაშლი-მაშლი**, მედვა, წევლენ (გოდლეკარი); **ძროხებ-მოხებ** შევჰკრებდით (ფიშნარხევი); იმან **ხისიმი-მისიმი** თამ არ იციან (ფიშნარხევი); წერავთ და... **ჰაფიზი-მაფისი** არ მოვდეს (ბინათი); **ყალე-მალე** არ ყოფილა იქა (ქონობანი).

ასონანსური კომპოზიტები მიიღება ასევე ხმოვნით დაწყებულ ფუძეზე თანხმოვნის დართვით:

ისენი **ურუმ-ყურუმი** არიან (ფიშნარხევი); **ოფისი-მოფისი** არ არი (წითლევაკარი).

იცვლება პირველი მარცვლის ხმოვანი:

აქევრი ალაგები ალაჯა არი, **ჭრელ-ჭრული** (ქისქიმი).

ასონანსური კომპოზიტები გავრცელებულია თურქულში, სპარსულში და სხვა ენებშიც. ა. შანიძე გამოთქმებს „ხათრი-მათრი“, „ხურდა-მურდა“ უფრო ნასესხობად მიიჩნევდა. იმერხელში მათ ფართო გავრცელებას კი იმას მიაწერდა, რომ „ამ კილოზე მოუბრებმა თურქული იციან“ (შანიძე, 1980: 152).

ასონანსური კომპოზიტები შეისწავლა რ. სალინაძემ. მისი აზრით, „მსგავს ფორმათა არსებობა ქართულში გვაგარაუდებინებს საერთოენობრივი კანონზომიერების შედეგად გაჩენილ მოვლენას სხვადასხვა სისტემის ენებში, თუმცა ისიც საფიქრებელია, რომ კლარჯეთელ(?) ქართველთა მეტყველებაში ეს მოვლენა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა თურქული ენის გავლენით (შდრ. ნ. მარის მოსაზრება)“ (სალინაძე, 2018: 104).

\* \* \*

დავასრულეთ ტაოელთა მეტყველების ლინგვისტური დახასიათება. მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტის მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, შესაძლებელი გახდა ტაოს ლინგვ-



ისტორი პორტრეტის შექმნა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია ქართველური ენათმეცნიერებისათვის.

ტაოური მკვეთრად გამოხატული დიალექტია, რაც ნათლად ჩანს ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე. დაკვირვებული მკითხველი დაინახავს მსგავსებებსა და განსხვავებებს სხვა სამხრული კილოებისაგან:

- სამხრული კილოები ერთმანეთთან ახლოს მდგომი ქართული ენის ქვესისტემებია და გულისმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაში.

ტაოური ერთ-ერთი სამხრული კილოთაგანია.

სრულად რომ წარმოვიდგინოთ ტაოური დიალექტი, მნიშვნელოვანია ტაოს ონომასტიკის გათვალისწინებაც, რაშიც დაცულია ტაოურის ბევრი მახასიათებელი, რაც, ვფიქრობთ, შეავსებს ჩვენს ცოდნას ქართული ენის ამ შედარებით ნაკლებად-ცნობილი ქვესისტემის შესახებ.

ნაწილი მეორე

ტაოს ონომასტიკა

\* \* \*

ტაოში კომპლექსური საველე ექსპედიციების დროს დაგვიგროვდა მრავალფეროვანი ონომასტიკური მასალა - ტოპონიმები, ჰიდრონიმები, ვაზის სახელები, გვარ-სახელები, რომელთა შესწავლა მრავალი ასპექტით არის საინტერესო, იქნება ეს ლინგვისტური, ეთნოლოგიური თუ ისტორიული თვალსაზრისით:

- ტოპონიმებში შენახულა ადგილობრვი მოსახლეობის ისტორია, მისი მეურნეობა, კულტურა, ეთნიკური შედგენილობა, კუთხეში გავრცელებული მცენარეთა საფარი, ენის ლექსიკური შედგენილობა და სიტყვაწარმოების ძველი ინვენტარი... დასაინათ, რომ ძველი გეოგრაფიული სახელების დიდი ნაწილი დავიწყებას მიეცა ან ეძლევა, რისი მთავარი მიზეზიც მოსახლეობის ცვლაში უნდა ვეძიოთ: ჩანს, ბევრი სოფლიდან ძველი მოსახლეობა აყრილა და მისი ადგილი ახალს დაუჭერია, შედეგად დღეს სოფელმა არ იცის ძველი ტოპონიმები, სოფელში არ ისმის ზეპირი ისტორიები. სხვაგან კიდევ გეოგრაფიულ სახელებს ტრანსფორმაცია განუცდია, უცვლია ფონეტიკური სახე. ამ ცვლილებების მთავარი მიზეზი მოსახლეობის ორენოვნებაში უნდა ვეძიოთ. და კიდევ, არის ერთი გარემოება, რაც გარკვეულად აბრკოლებს ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევას: ახალ დროში ჭოროხის ყველა ქვეყანაში და ტაოშიც გეოგრაფიულ პუნქტებს სახელი შეუცვალეს, რისი უპირველესი მიზანიც ძველის დავიწყება ჩანს: ავტოქტონური მოსახლეობის ასიმილაციის პროცესში წინაპართა შერქმეული გეოგრაფიული სახელების დავიწყება მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა არა გადამწყვეტი; ხშირად ამ გზითაც ვერ ხერხდება საწადელის მიღწევა, - კუთხის მეხსიერებას შეუნახავს ძველი სახელწოდებები, ისტორიები, „ეტიმოლოგიები“, რითაც თანამედროვეობა არ წყვეტს კავშირს წარსულთან...

ტაოს ტოპონიმის ერთი ნაწილი დაცულია ისტორიულ დოკუმენტებში, როგორცაა: „ქართლის ცხოვრება“, მოსახლეობის ოსმალური აღწერის დავთრები, „ხუთვერსიანი“ და ისტორიული რუკები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევები... ტაოს ისტორიული გეოგრაფიის მკვლევარმა, ბუნებრივია, უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული წყაროებიც.

- ტაოში მრავალი ტბა (გოლი), მდინარე, ღელე, ხევი და წყაროა. უმეტეს მათგანს საკუთარი სახელი არ აქვს: მდინარე თუ ხევი იმ სოფლის სახელს ატარებს, რომელსაც ჩამოუდის, ანდაც საიდანაც იღებს სათავეს...

- ჭოროხის ქვეყნები, მათ შორის ტაოც, ვაზის სამშობლოა. საველე ექსპედიციების გზით შეგროვდა ვაზის სახელწოდებები, რომელთა უმეტესობა ქართულია, ასევე მოპოვებულია ცნობები ძველი საწნახელებისა და მარნების შესახებ.

- განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტაოური გვარ-სახელები, რომელთა უმეტესობას ფუძედ აღებული აქვს ადამიანის სახელი ან მეტსახელი, ზოგჯერ წარმომავლობა, ხელობა და ა.შ. და გაფორმებულია სხვადასხვა მაწარმოებლით. მიგვაჩნია, რომ ასეთი სახელები არაა გვარი ტრადიციული გაგებით, ამიტომაც მათ „მეტსახელი გვარი“ ვუწოდეთ, თავად ტაოელები - „ქობის სახელებს“ ეძახიან...

ტაოს ონომასტიკის შესწავლა მნიშვნელოვანია ტაოს ქვეყნის ერთიანი ლინგვისტური პორტრეტის შესაქმნელად.

## თავი I. ტაოს ტოპონიმია

### §1. ტაოს ტოპონიმია უცხოურ წყაროებში

ტაო ძველი საქართველოს ვრცელი პროვინციაა. ტრადიციულად იგი ორად იყოფა: ამიერტაო (ტაოს ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობები) და იმიერტაო (ოლთისისწყლის, თორთუმისწყლისა და მათი შენაკადების ხეობები). ქართულ საისტორიო ძეგლებში გვხვდება ამიერ–ტაო (ქცხ.I, 278,5), ტაოს ორივე კერძო (ქცხ.I, 275,14) და ქუემო ტაო (ქცხ.I,251,18)... სინტაგმა „ტაოს ორივე კერძო“ – ჩვენი აზრით, ამიერ და იმიერ ტაოს გულისხმობს. სხვაგან კიდევ დასტურდება მრ. ფორმა – ტაონი, რომელშიც ტაოს ქვეყნის აღნიშნული ორი ნაწილი იგულისხმება.

დღევანდელი მდგომარეობით ტაო, ჭოროხის სხვა ქვეყნების მსგავსად, შესაძლებელია, ორად გავყოთ: მექართულე ტაო და მეთურქულე ტაო. „ქვეყნის“ უმეტესი ნაწილი ახლა მეთურქულეა, ქართული მხოლოდ ერთ მცირე ხეობაში, ელიასხევში, გაშენებულ რამდენიმე სოფელშია ისმის და ბინათში, ჭიმჭიმის მახლობლად, – ტაოსა და კლარჯეთის მოსაზღვრე სოფელში. ბინათელთა სიტყვით, მათი წინაპრები ელიასხევიდან არიან გადმოსული (იხ. ფაღავა, 2014:71–73)<sup>3</sup>. ჭიმჭიმში დღეს არავენ იცის ქართული. 76 წლის ნეჯათ ილმაზის (ჭიმჭიმელი) ცნობით, „დედედ და ნენედ ლაპარაკობდენ [ქართულად] (ფაღავა, 2015:73). საყურადღებო ცნობაა, სადღაც საუკუნის წინ ჭიმჭიმშიც მექართულე ყოფილა. შესაბამისად, არ გვიკვირს, რომ ჭიმჭიმის ტოპონიმია ქართულია და, რაც მთავარია, ახსოვთ ჭიმჭიმელებს: ხუმხალი, ნიგზევანი, წოვაქოვარ, ხავისკარი, მუსუნჯური, ბედაზორი, ქედა, შედროლოლი, პერეთი, ჩიტაზე, იფნი ყანა, ვარდანეთი... ვენახი, მანაზორი, ვაკეთი, წონწყუთი, ხაჯარეთი, ლაშაგარა. ქართული ტოპონიმია ასევე ჭიმჭიმს გაღმა ხავისკარში: ყალე დიბი (შდრ. ციხისძირი), ლიმონა, ჩანთარევი, ზანიეწერი, ხარმანი სირთი, სასვენი, ნამოვარი, ტახლარი, ნებიგილი, გომდაგარა|გომნაგარა, გიდაზორი, კათხევი (\*კოთხევი)... (ფაღავა, 2015:72–73). დასახელებულ გეოგრაფიულ სახელთაგან რამდენიმეა არაქართული: მანაზორი, ყალე დიბი, ხარმანი სირთი, ნებიგილი, გიდაზორი. ამათგან ზოგიერთი ქართული სახელის პირდაპირი თარგმანია: ყალე დიბი – ციხისძირი, ხარმანი სირთი – კალოები. ყურადსაღებია ისიც, რომ ჭიმჭიმელთა და ხავისკარელთა მეტყველებაში ქართული ტოპონიმია აქტიური ლექსიკის ნაწილია, სხვაგვარად, აქაურებმა მხოლოდ კი არ იციან ქართული ტოპონიმია, ყოველდღიურ მეტყველებაშიც იყენებენ მას.

<sup>3</sup> გასული საუკუნის დამდეგს ბინათში 219 სული ცხოვრობდა, ყველა ქართულად ლაპარაკობდა. დღეს უჭირთ ბინათელებს ქართული და ქართულს ბინათში. სოფლის სახელწოდების შესახებ ასეთ თქმულებას ყვებიან ბინათელი ტაოელები: „ერთხელ მეფე თამარმა აქ გამოიარა. ცუდი ტაროსის გამო გზა ვეღარ განაგრძო და ინება ღამის გათევა ამ სოფელში. მას მიუჩინეს საუკეთესო ბინა და მას შემდეგ სოფელს დაერქვა ბინათი, რომ ამით აღნიშნათ თამარის ღამის გათევა ამ სოფლის ბინაში” (ალ. სტ. მატეასევიჩმა გადმომცაო ეს ლეგენდა, აღნიშნავს ექვთ. თაყაიშვილი (იხ. თაყაიშვილი, I, 2016:435).

გასული საუკუნის დამდეგს მექართულე სოფლები სხვაც ყოფილად დღეს მეთურქულე ტაოში. ერთგან ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „მაჰმადიან ქართველებს ქართული ენა საზოგადოდ დავიწყებული ჰქონდათ, მაგრამ ზოგიერთ სოფლებში, – ფანასკერტში, ანზავში და ნაიკომში მოხუცებულებს ზოგჯერ ახსოვდათ ქართული. ხოლო შეგნება, რომ ისინი წინეთ ქართველები იყვნენ, თითქმის ყველას ჰქონდა” (თაყაიშვილი, I, 2016:43).

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცნობასაც გვაწვდის ექვთ. თაყაიშვილი: კალკოსის (სომხების სოფელია ოლთისში) მცხოვრებნი „ორთულიდან არიან მოსული და ამბობენ, ჩვენ წინეთ ქართველები ვიყავითო, ხოლო შემდეგ გრიგორიანობა მივიღეთო“ (თაყაიშვილი, I, 2016:63). ვფიქრობთ, ტაოს მკვლევრისათვის მნიშვნელოვანი ცნობაა, რამდენადაც „სომხური კვალი“ ტაოში ბევრ კითხვას აღძრავს, და რაც მთავარია, კითხვები ხშირად პასუხგაუცემელი რჩება. მოყვანილი ცნობის მიხედვით, ნათელი ხდება კალკოსელი სომხების ვინაობა. ამ თვალსაზრისით კალკოსი გამონაკლისი არ უნდა იყოს.<sup>4</sup>

მივყვეთ ლიტერატურულ ცნობებს.

1900–იან წლებში მექართულე იყო:

1. ოთხთა ეკლესია, „რომლის მცხოვრებნი გამაჰმადიანებული ქართველები არიან, ქართული ყველამ იცის” (თაყაიშვილი, I, 2016:380). სხვაგან ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ მატეასევიჩის ცნობებში ქართულის მცოდნე სოფელთა სიაში მოხსენებული არ არის ოთხთა ეკლესია. „მცხოვრებნი ყოველთვის არ ამხელენ, რომ ქართულად ლაპარაკობენ” (თაყაიშვილი, I, 2016:435). ჩანს, მატეასევიჩს, რუს მოხელეს დაუმალეს ოთხთა ეკლესიელებმა, რომ იცოდნენ წინაპართა ენა, ვერ ენდვნენ უცხოს.

2. პარხალში გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ. ქართული მოხუცებულებსდა ესმით (თაყაიშვილი, I, 2016:393)<sup>5</sup>.

3. იაშხანი: „მოსახლეობა გამუსლიმანებული ქართველებია, ზოგიერთს ესმის ქართული ენა (თაყაიშვილი, I, 2016:144)<sup>6</sup>.

---

<sup>4</sup> დღეს იშვიათად გვხვდება მეთურქულე ტაოში ხსოვნა, რომ აქ ქართველები ცხოვრობდნენ. ამიტომაც გამოვლენილი ყოველი ფაქტი მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისათვის. მოვიყვანთ 2017 წლის ექსპედიციის მასალებიდან ორ ამონარიდს:

ა. „ალთი პარმალში (პარხალი – ავტ.) გურჯი არ არიან, გურჯიჯა არ იციან, ესკი გურჯი არიან თუ არა, ისაც არ ვიცი” (ინფორმატორი მუზაფერ გულერი).

ბ. „აქ ქართველებს უცხოვრიათ სომხებთან ერთად“, – გვითხრა ოშნაკში საჩაიეს სომეხმა მეპატრონემ.

<sup>5</sup> პარხალში ექვთიმე თაყაიშვილს ჩაუწერია რთველის დღესასწაულის შესახებ მეტად საინტერესო ამბავი: „ტან–გახდილი ჭაბუკები ფერხულს ცეკვავენ და ყურძნის მტევნებს იკიდებენ ტანზე”. ეს წესი ტაოს ქვემო სოფლებში შემორჩენილა. „ეს გაშიშვლებული ვაჟები ჩვენებური აგუნას და კლასიკური ბახუსის თანამგზავრებს მოგვაგონებენ” (თაყაიშვილი, I, 2016:394). ვფიქრობთ, ძველი რიტუალის საინტერესო ნაშთთან გვაქვს საქმე.

<sup>6</sup> ერთ ცნობას მივაქცევ მკითხველის ყურადღებას: „ქართლის ცხოვრებაში” ვკითხულობთ: „ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა,



ჩანს, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ტაოური დიალექტის გავრცელების არეალი გაცილებით ვრცელი ყოფილა, ვიდრე XXI საუკუნის დასაწყისში.

საყურადღებოა, რომ XX საუკუნის დამდეგს ტაოში ჩანს გამუსლიმანებული ქართველების სოფლები, სადაც ქართული უკვე აღარ ისმის. ეს სოფლებია:

ორთისი – „შესდგება 49 გამუსლიმანებული ქართველების სახლისაგან“ (თაყაიშვილი, I, 2016:86).

ტაოსკარი – 100 კომლამდე გამაჰმადიანებული ქართველი ცხოვრობს (თაყაიშვილი, I, 2016:107).

კიახი – მაჰმადიანი ქართველების სოფელია (თაყაიშვილი, I, 2016:111).

ფანასკერტი – ქართველ მუსულმანთა სოფელია (150 ოჯახი) (თაყაიშვილი, I, 2016:112).

ექვთიმე თაყაიშვილის შრომებში ვხვდებით ცნობებს ზოგიერთი სხვა სოფლის შესახებაც. მივაქციოთ ყურადღება:

ურუკი (ოლთისი) – სომეხთა სოფელია (თაყაიშვილი, I, 2016:83).

ბობისგერი (ოლთისი) – სომეხების სოფელია (თაყაიშვილი, I, 2016:71).

პერტუსი (ოლთისი) – სომეხთა სოფელია (თაყაიშვილი, I, 2016:70).

კოტისი (ოლთისი) – ქურთების სოფელია (თაყაიშვილი, I, 2016:73).

სევექარი (ოლთისი) – ქურთების სოფელია (თაყაიშვილი, I, 2016:114).

ზახჩალი–ყიშლა (ოლთისი) – მაჰმადიანთა სოფელი (თაყაიშვილი, I, 2016:83).

მნიშვნელოვანია ტაოს სოფლების შესწავლა იმ თვალსაზრისით, თუ ვინ ცხოვრობს აქ, რა შეინახა ადგილობრივთა ხსოვნამ სოფლის ძველი (ისტორიული) მოსახლეობის შესახებ. მნიშვნელოვანია ასევე თითოეული სოფლის მიკროტოპონიმის აღწერა. ეს უკანასკნელი კარგად ინახავს სოფლის ისტორიას.

\*\*\*

ტოპონიმის „მიწის ენა“. გამომდინარე თქმულიდან, მასში აისახება აქ მცხოვრები ხალხის ნაკვაღევი. როდესაც ტაოზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ მისი მოსახლეობის ისტორიული ცვალებადობა და მრავალფეროვნება.

ექვთიმე თაყაიშვილი ქსენეფონტეს (ფუტკ. წ. აღ. IV ს.) ცნობას მოიხმობს, სადაც იგი „ამ ქვეყნის მოსახლეობას „ტაოხებს“ (ტაოხი) უწოდებს, ე.ი. ტაოს მცხოვრებთ“ (თაყაიშვილი, I, 2016:421–422). დროთა სვლაში იცვლებოდა ტაოხების მიწაზე ვითარება. აქ, ჭოროხის მეზობელ ქვეყნებთან ერთად, ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა ხალხები: ქართველები, სომეხები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თათრები – სელჩუკები, თათრები – ოსმალები და სხვ. „იცვლებოდა უფლება ერთი ხალხისა მეორეზე, იცვლებოდა სარწმუნოება, ენა და განათლება. სპარსელებს, არაბებს და სელჯუკიანთ არავითარი თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებიათ ამ მხარეში. დიდია გავლენა ბერძნებისა, ე.ი. ბიზანტიისა, და კიდევ უფრო მეტი – სომეხებისა“ (თაყაიშვილი, I, 2016:421). იქვე, ქვემოთ, ნიკო მარზე დაყრდნობით მკვლევარი ასე გაანაწილებს ჭოროხის ქვეყნების მოსახლეობას: „ტაო–

---

ასპარამენს“ (ქ.ცხ. II, 288:289). მატთანე გვამცნობს, რომ იშხნის ციხე ასპარამენსში მდებარეობს. ყურადღებას იქცევს გეოგრაფიული სახელი „ასპარამენი“ – გვარ–სახელი ტოპონიმად. მსგავსი ადგილის სახელები ტაოში ამჟამადაც გვხვდება: ბალამელარ (<\*ბალამეები), ბასილაზე (<\*ბასილამე)...

თორთუმი... მესხებით იყო დასახლებული, ხოლო კლარჯეთ-ისპირის მცხოვრებნი ჭან-ლაზ-მეგრელები იყვნენ” (თაყაიშვილი, I, 2016:421). საყურადღებო ინფორმაციაა. მოყვანილი მოსაზრებიდან გამომდინარე, ტაოს ტოპონიმიაში უნდა ველოდოთ ქართველურთან ერთად ბერძნულ და სომხურ ფენას, ასევე – თურქულს, შედარებით ახალს წინა ორთან შედარებით.

ჩვენი კვლევის ობიექტს უპირველესად წარმოადგენს ოსმალურ საისტორიო წყაროებში დაცული და „ხუთვერსიან რუკებზე” დატანილი ტაოს ტოპონიმიკური მასალები. ეს წყაროებია:

1. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი” (წიგნი მესამე, 1958. ქვემოთ: დავთ.).
2. სევან ნიშანიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონები.
3. 1835–1836 წლების ოლთისის აღწერა (NFS.d 2772. თურქეთის მინისტრთა საბჭოს სტამბოლის ოსმალური არქივი).
4. 1835–1836 წლების ტაოსკარის აღწერა (NFS.d 02776. თურქეთის მინისტრთა საბჭოს სტამბოლის ოსმალური არქივი).
5. კავკასიის ხუთვერსიანი რუკა (ვიყენებთ დ. პაგირევის შრომას. იხ. Пагирев, 1913).

დასახელებულ დავთრებში აღწერილია იმიერტაოს, უმეტესად ოლთისის და თორთუმის მხარის სოფლები. წინასწარვე ვიტყვით, რომ მასალები ჩაწერილია ქართულის არმცოდნე ოსმალთა და რუსი მოხელეების მიერ ქართული ენის ჩაწერისათვის „სრულიად გამოუსადეგარი” ოსმალური და რუსული ანბანით. ამიტომაც ხშირად დიდა სხვაობა გეოგრაფიული სახელის ამოსავალ ფორმასა და ჩაწერილს შორის; განსაკუთრებით ეს ითქმის ოსმალური დავთრების შემდგენელთა ჩანაწერებზე. ამიტომაც მკვლევარი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს არსებულ ისტორიულ წყაროებს, განსაკუთრებით გამოუსადეგარია იგი ეტიმოლოგიური ძიების დროს.

მასალების ანალიზს დავიწყებთ სომეხი ავტორის, სევან ნიშანიანის ეტიმოლოგიური დაკვირვებებით. მის შრომაში აღწერილია ოლთისისა და თორთუმის მხარე და ბევრი ტოპონიმი ახსნილია როგორც სომხური, იშვიათად სხვა ენის კუთვნილებაზეც მიუთითებს.

მკვლევარი მიიჩნევს, რომ სომხურია ოლთისის შემდეგი გეოგრაფიული სახელები:

**დეჯერიქ|~~თეჯერიქ~~** – პატარა ეკლესიას ნიშნავსო.

**ურუთ** – ნიშნავს ტირიფს (ურუთ<ურუდ).

**ტორიქ** – პატარა დეღე, წყარო.

**სეხსორ** – სომხური ჩანს, სორ, ძორ ნიშნავს დელეს, ხევს.

**ხოსორი** – მრუდეს ნიშნავს.

**კინეპოსი|ქინეპოსი** – ვაზიანი დაბლობი, ველი.

**ანზავი** – კლდეს ნიშნავს (შდრ. ანძავ)...

რამდენიმე გეოგრაფიული სახელი, ჩანს, სომხურით ვერ ახსნა, ამიტომაც უკომენტაროდ დატოვა, ასეთია:

**ზერდენსი|~~ზერდენისი~~**. –ის სუფიქსიანი ნაგენეტივარი სახელი. ასეთი სახელები ქართულ ენათმეცნიერებაში მიჩნეულია საზღვრულდაკარგულ

მსაზღვრელად (იხ. შანიძე, 1973:115; 1958:20–21; ზურაბიშვილი, 1961:150<sup>4</sup>151; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:241, შნშ. 2 ბ).

აუხსნელი დაუტოვებია ს. ნიშანიანს **გომბორი** და **ჯანიქ** (შდრ. ქართ. ჭანეთი), ხოლო **სიმირდონზე** მიუწერია, თურქული ჩანსო.

თორთუმის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მკვლევარი რამდენიმე ფენას გამოჰყოფს, კერძოდ:

ა. სომხურს:

**გორმერი||გერმირი** – წითელი მონასტერი.

**სიღნაჯურ** – თევზიანი წყალი.

**ფიშინგოთ** – ეკლიანი.

**ხინძორიკი** – ვაშლოვანი.

**ახვისორ||ახფიძორ||აღფძორ** – წყაროს ხევი.

**\*ექრექ||აქარაგ** – შდრ. აგარაკი.

**მოსრთაბი** – ნაცრიანი ვაკე.

**მოხჩური||მოხჯური** – ნაცრიანი წყალი.

**\*\*\* მოღრეკომი||მელრაკომი** – თაფლის მეზრა.

**სისტოროთი||სოღტოროდი** – ნივრიანი.

**ექიქი||აიქიგი** – პატარა ბაღი.

**ფერენცი** – კუდები.

**მელუცი** – სკიანი.

**\*მეგსორი||მეგძორი||მარქაძორი** – მდინარისპირა ჭალა, შდრ. მერე.

**\*\*\*ვარშინ** – ქვესოფელი.

**აღფილიკ||აღფრიკ** – პატარა წყარო, ნაკადული.

**\*დანკარი** – ქვის სახლი. თ. ევ ქადა.

**კარინკოსი** შდრ. სომხ. **კარინგეც** – დამდგარი ქვა.

**ხაშნუდი||ხაშუდი** – წვრილფეხასაქონლიანი (ცხვრის ფარა, თხის არვე).

**სურბეჰან** (<სომხ. სურბოჰან) – წმინდა ოჰანესი.

**ნორაშენი** – ახალსოფელი.

**ოდიკი** – სამოვარი.

**\*\*კოლანისი||კოლონცი** – ყაჩაღები, მძარცველები.

**ქორქერი||კორკერი** – ხალიჩიანი.

**\*\*\*\*ვერინქელ** – ზედასოფელი.

**ახჩიკ** – პატარა თუზლა (მარილის პატარა საზადო).

გვეჩვენება, რომ ზოგჯერ მკვლევარი „ძალადობს“ გეოგრაფიულ სახელებზე, მისთვის მთავარია, სომხური ენის კანონებს დაუქვემდებაროს იგი, ან სომხურს მიაძგავსოს გარეგნულად მაინც. სევან ნიშანიანისაგან სომხურად მონათლული ზოგიერთი სახელი ქართული ჩანს:

**\*ექრექ||აქარაგ** – ვფიქრობთ, ქართული **აგარაკ**ის არმენიზებული ფორმაა.

**\*\*კოლანისი||კოლანცი** – ყაჩაღები, მძარცველები, განმარტავს ს. ნიშანიანი. ვფიქრობთ, „კოლანცი“ ხელოვნური ფორმაა, „კოლანისის“ გადააზრების შედეგად მიღებული. ამოსავალი უნდა იყოს **კოლონისი** (კოლონ–ის–ი), **კოლო** კიდევ ცნობილი ფუძეა ქართულში.

\*\*\*არც მიღრეკომი||მელრაკომი და ქილაკომი ჩანს სომხური. მასში ხომ (||ჟომ) სუფიქსი შეიძლება გამოვყოთ, იგივე მაწარმოებელი თორთომ, ბათომ||ბათუმ... და მისთანა გეოგრაფიულ სახელებში რომ გამოიყოფა (ვრცლად იხ. ფაღავა, 2009:3–15; 2009(1):189–195).

\*\*\*\*ქართულის ანალოგიით ჩანს შექმნილი ვარშინი (ქვე სოფელი) და ვერინქელ (ზედა სოფელი). შდრ. ქართული ზესოფელი (||ზოსოფელი) და ქვე სოფელი (||ქოსოფელი). ამავე რიგში ჩადგება ვალტანოსი||ვახტანგაცი (შდრ. ქ. ვახტანგისი). ჩვენ არ უარვყოფთ, ტაოს, განსაკუთრებით იმიერტაოს ტოპონიმიაში სომხური ფენის არსებობას, მაგრამ არც მისი ხელოვნურად გაზრდა მიგვაჩნია სწორად.

ერთი გეოგრაფიული სახელი თურქული ჩანს: დევე ათალი (შდრ. ქართული „აქლემის საწოლი“). ვფიქრობთ, იგი ქართული „ხარის საწოლის“ ანალოგიითაა შექმნილი.

ქართული ტოპონიმებიც გვხვდება ბატონი ნიშანიანის კვლევაში, თუმცა უკომენტაროდ: აბრნესი||აბურნისი, ბარი, ხახული, კიცხა (თ. კიცხა ქაფუსუ, შდრ. კიცხის კარი), ჩადირნისი (<\*ჭაგირნისი?), ზინაური||ცინაური, პეტხარი, ლისგავი... ადგილზე გადასამოწმებელია, რამდენად სწორადაა ჩაწერილი დასახელებული გეოგრაფიული სახელები, მათი ქართული წარმოება კი, ვფიქრობთ, ექვს არ იწვევს.

ყურადღებას იქცევს საგეოგრაფიო სახელი ხოზბირიკი (<\*ხოზბირკი). იგი კომპოზიციის გზით მიღებული ფუძე უნდა იყოს: ხოზ + ბირიკი, დასაშვებია – ხოზ[ო] + ბირიკი. ხოზ[ო] ხორბლის ჯიშია, „რბილი ხორბალი, უფხო და ყინტორა“ (მაყაშვილი, 1991), „ბირკა“ კიდეც იგივეა, რაც ხოზიკა [репейник] (იხ. მაყაშვილი, 1991). თუ ჩვენი დაკვირვება მისაღებია, მაშინ ხოზბირიკი ქართულია.

\*\*\*

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ შეტანილია ოლთისის, ფანასკერტის, ქამხისის და ბანას ნაპიეების გეოგრაფიული სახელები. „დავთარის“ გამომცემელი ცდილობს, ამოიკითხოს „ოსმალურად გადატეხილი“ (სინტაგმა ს. ჯიქიასია) ქართული ტოპონიმები. შესაძარებლად იყენებს მის ხელთ არსებულ მასალებს, ესაა „კავკასიის ხუთვერსიანი რუკა“, სპეცრუკა, აღწერის მასალები, სამეცნიერო ლიტერატურა... ვფიქრობთ, მკვლევარი უმეტეს შემთხვევაში ახერხებს სწორად წაიკითხოს „დავთარში“ შეტანილი გეოგრაფიული სახელები.

ტაოს ტოპონიმის შესწავლისას აუცილებელია „დავთარის“ მასალების გათვალისწინებაც.

დავიწყით ოლთისით:

ქალაქისკარი (598),

კალმახი (597),

კონდახორი (603),

კინეპოსი (602), სპეცრუკაზეც იგივე ფორმაა: Кинепос.

ჩანჩური (602), სპეცრუკაზე დატანილია Чанчур. შესაძლებელია, ამოსავალი ფორმა იყოს ჭანჭური.

ხართხა (602), ს. ჯიქიას ვარაუდით, ეს უნდა იყოს გრაფიკულ ნიადაგზე შერყვნილი ხარდოსა||ხარტოსა.

კეთხუდი (601), იგივე ფორმაა დატანილი სპეცრუკაზეც.

ჩაიჩური (601): ეს უკანასკნელი ხომ არაა იგივე ჩანჩური (<ჭანჭური)?

**ახა** (600),  
**ორუქი** (600),  
**ოსხა** (599–600), მდებარეობს იზხნის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Осха. ს. ჯიქია ვარაუდობს, რომ შესაძლებელია ამ ადგილის სახელია **ოცხა**.

**კოტიკი**, ახლოსაა ანძავთან და ხუვახთან (599). ხუთვერსიან რუკაზე დატანილია – Котикъ.

**ფოსიქი** (598).

**აბუსარი** (598), სპეცრუკაზე აღნიშნულია **მთა აბუსარი**. ჩანს, ამ მთის ფერდობებზეა გაშენებული **სოფელი აბუსარი**. **აბუსარ**ში, ვფიქრობთ, გამოიყოფა – **არ** სუფიქსი, იგივე, **ოლთისარ**, **ოპიზარ**, **ხახულარ**... და მისთანა ფუძეებში რომ გვხვდება.

**ქელგერი** (598), ამოსავალ ფორმად შეიძლება დავუშვათ **ქერქერი** (>ქელგერი): ქ – ქ>ქ – გ; რ – რ>ლ – რ თანხმოვანთდისიმილაციით.

**კოწახური** (597), სპეცრუკაზე დატანილია **Козахур**. ფლორონიმია, იგივეა, რაც **Барбарис**, **Berberis**. სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება სამივე ქართველურ ენაში (იხ. **მაყაშვილი, 1991**).

**კედლეთი** (596), –**ეთ** სუფიქსით ნაწარმოები სახელური ფუძე. აღნიშნავს **კედელა**’ს (>კედლა’ს) სახლეულის საცხოვრისს (იხ. **ფალავა, 2015:3–9**).

**ხევიკარი** (596), საყურადღებოა, რომ **კარ**’ ფუძიანი კომპოზიტი გეოგრაფიული სახელების გავრცელების არეალი მთელი ტაოა.

**სამურდონი** (596), რუკებზე – **Самирдон**, **Симирдон**. ქართული სახელი ჩანს.

**მზვარი** (596), მ’ შემდეგ განვითარებული ჩანს (შდრ. **მზალი**, **მზქოლი**...), ამოსავალია **ზვარი**.

**ქეთხუთი** (595), რუკებზე დატანილია **Кетхуд**. ვფიქრობთ, **ქეთხუთი**>**ქედხუთი**’საგან დ>თ მონაცვლეობით.

**საურმეთი** (594), სპეცრუკაზე – **Саурмек**, უნდა – **Саурмет**, რუსულად ჩამწერის დაშვებული უზუსტობაა. ფუძეა **ურემ**’, **სა – ეთ** კონფიქსი.

**ახა** (594), მნიშვნელობა გაურკვეველია, ფუძე ქართული ჩანს. შესაძლებელია **ახა<ახო**’საგან, ა – ა<ა – ო’საგან სრული ასიმილაციით.

**ხენძორეთი** (594), ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ამ ციხეს [თორთომს] ზეით არს **ხენძორეთი**, დაბა დიდი და გზა არზრუმისა“ (ვახუშტი, 687,2). ს. ჯიქია ევროპულ რუკაზე ამოიკითხავს **Ханзорек-улия** (ზემო ხენძორეკი). რუსულ რუკაზე ტოპონიმი დამახინჯებითაა დატანილი.

**ხენძორეთ**ში ამოსავალ ფორმად შეიძლება აღვადგინოთ **ხანძარეთი**. აღვადგინოთ თუნდაც იმიტომ, რომ ტოპონიმი ქართული სუფიქსით (–ეთ) არის ნაწარმოები, რაც მის ქართულობას გვაფიქრებინებს, **ხენძორეთი** კი არაფერს გვეუბნება. მეორეცაა და ჭოროხის ქვეყნებში გვხვდება გეოგრაფიული სახელები **ხანძართა**, **ხანძთა**...

**გორგისი|გიორგისი** (594), ორივე ფორმა დასაშვებია (შდრ. **გორგამე|გიორგამე**, შესაბამისად, **გორგა|გიორგა**).

**სამკარი** (594), რუსულ რუკებზე **Сами-кари**. **მოკტა**’სა და **ბოცას** შუა არის **სამკარი**. საინტერესოა, რისი სამი კარის აღმნიშვნელია გეოგრაფიული სახელი?



**შოშანი** (593), უაფიქსო სახელია. შესაძლებელია, **შოშანი<შროშანი>საგანა** (რ დაკარგულია). ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გვხვდება **შროშა, შროშის ჳევი...** (იხ. ვახუშტი, 758,8).

**მამირვანი**, სხვაგან **ნარიმანი** (593), ხუთვერსიან რუკაზეც დატანილია **Нариманъ** (Пагирев, 1913). „ნარიმანი ბერძნების დიდი სოფელი იყო **ალაბალიკ-სუს** (=კალმახის წყალი) ნაპირას, რომელიც ოლთისის წყლის მეორე მარცხენა შემდინარეს წარმოადგენს” (თაყაიშვილი, I, 2016:460). ვფიქრობთ, დასახელებული ორი ფორმიდან ამოსავალი უნდა იყოს **მამირვანი** (<მამირ-ოვან-ი). მეორეცაა და **მამირვანი** და **ნარიმანი** იმდენად განსხვავებული სახელური ფუძეებია, რომ ერთი მეორის ფონეტიკურ ვარიანტად მიჩნევა შეუძლებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დავთარში” აღწერილია ფანასკერტის ნაპიეს სოფლებიც:

**მამტური** (590), – გეოგრაფიულ სახელში გამოვყოფთ –**ურ** სუფიქსს, საძიებელია **მამტ'** სახელური ძირის მნიშვნელობა. შესაძლებელია, აღვადგინოთ ამოსავალი ფორმა: **მამტური<მამითური<მამათური**.

**კარნავასი** (590), ხუთვერსიან რუკაზე ორი **Карнавазъ**–ია დატანილი, სოფელი და დაილა (Пагирев, 1913). ს. ჯიქია მხარს უჭერს **კარნავასს** და ვფიქრობთ, სწორადაც.

**ხოშვანი** (590), დასაშვებია **ჯოშვანი** ან **ჭოშვანი**. ამოსავალი ფორმა **ხოშვანი** (<ხოშ-ოვან'ი) ჩანს.

**სევკარი** (589–590), ხუთვერსიან რუკაზე გვხვდება **Севкяр**, ევროპულ და რუსეთის რუკებზე – **Сивкяр**. ამოსავალი უნდა იყოს **სევკარი**. ს. ჯიქიას აზრით, **სევკიარ||სივკიარ** თურქიზებული ფორმებია. **სევკარ**ში მეორე ნაწილად **კარ'** გამოიყოფა, საძიებელია პირველი ნაწილის (სევ') მნიშვნელობა.

**ჰავდოსი** (589), რუკებზე იკითხება **Айдос, Айдос**, ხუთვერსიან რუკაზე – **Авдостъ**. ს. ჯიქია მხარს უჭერს **ჰავდოსს**. ვფიქრობთ, დასაშვები ფორმაა **ავდოს'**იც, ჰ ხმოვნის წინ ჩვეულებრივ იკარგება.

**ილორი** (588), ცნობილი გეოგრაფიული სახელია, დასტურდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

**კარმის'** (588), ახლა **კიზილ-ქოი** ჰქვია. რუკებზეც ეს უკანასკნელია დატანილი. ჩანს, რუკის შედგენისას სოფელს უკვე გადარქმეული ჰქონდა სახელი.

**ფერთუსი** (586–587), კითხვის ნიშანი (?) დაუსვამს მკვლევარს, სარწმუნოდ არ მიაჩნია წაკითხვა, დასაშვებად მიიჩნევს სხვა ვარიანტებსაც – **ნერთუსი** ან **თენტუსი**. ხუთვერსიან რუკაზე იკითხება **Пертусъ** (Пагирев, 1913) – სოფელი, ყიშლა და დაილა. თუ რუკის მონაცემს გავითვალისწინებთ, **ფერთუსი** სწორი წაკითხვა უნდა იყოს. **ფერთუსი<ფერთუ–ის–ი** ნაგენეტივარი სახელი ჩანს.

**ქამრისი** (587), რუკებზე **Кямис**. ამოსავალი ფორმაა **ქამრისი**. ჩვენი აზრით,

**ქამრასორი** (587) (ხუთვერსიან რუკაზე დატანილი **Камсоръ**), **ქამრისის** არმენიზებული ფორმაა.

**ჯულაკარი** (585) – შუა, ქვემო და ზემო. რუკებზე დატანილია **Джулакер, Джулакар**, სხვაგან იკითხება **Джулякар** და **Джулякер**. ს. ჯიქია მხარს უჭერს **ჯულაკარს** და შენიშნავს: „ოღონდ ერთი მაკვია გულს: ქართულ დამწერლობაში ამ სახელს ჯერ–ჯერობით არ ვიცნობთ და შეიძლება ეს **ჯულაკარი** კი არა, **ჭულაკარი**

იყოს” (585). დავამატებთ, რომ **ჯ:ჭ** მონაცვლეობა დასაშვებია ქართულში. ასე რომ დასაშვებია ორივე ფორმა – **ჯულაკარი||ჭულაკარი**.

**ქაფი** (585), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Капки**. „უეჭველია ამ სოფლის სახელი **ქაფქი** ან **კაპკი** უნდა ყოფილიყო“ და თურქულ გამოთქმაში ბოლოკიდურა ორი ხშულიდან ერთი დაიკარგა (585). **ქაფქს** ჰქონია სათესველი **გომქაშეთი**.

**ოლათაბი||ოლთადაბა** (582), ორი სათესი ჰქონია სოფელს – **ბაღისჭალა** და **ფინარი**. რუკებზე დატანილია: **Огдадаб, Огдабаг, Агдадаб**. დამეგებული ორი ფორმიდან – **ოლათაბი||ოლთადაბა** „ოლთადაბა“ ჩანს ამოსავალი, რომლის მეორე ნაწილი არის **დაბა**, ცნობილი ფუძე ქართულში, ნიშნავს „აგარაკი“, **სოფელი**, **ყანა** (იხ. აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001). სამიებელია **ოლთა**’ს, მრ. რიცხვში მდგარი ფუძის მნიშვნელობა: **ოღების დაბა**?

**ურექი**, შეიძლება **ურეციც** (582). **Урекъ** – დატანილია ხუთვერსიან რუკაზეც.

ს. ჯიქიამ ქამხისის ნაპიეს ათზე მეტი სოფელი ამოიკითხა „დავთარში“:

**გვადი** (579) – ასე კითხულობს მკვლევარი სოფლის სახელს. ევროპული რუსეთის სპეცრუკაზე დატანილია **Гад**, ხუთვერსიან რუკაზე – **Год**. დასახელებული სამი სავარაუდო ფორმიდან, ვფიქრობთ, მისაღებია – **გვადი**.

სახელი **გვადი** ადამიანის საკუთარ სახელად გვხვდება საქართველოში, გეოგრაფიულ სახელად კი პირველად დადასტურდა.

**ყაბანი** (578), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია – **Кабан** (კაბან’ი?). ვფიქრობთ, სწორი ფორმაა **კაბანი**.

**ფერთევანი** (578), რუკებზე დატანილია **Пертеван**. –**ევან**||–**ოვან** სუფიქსით ნაწარმოებული სახელია.

**სოლომონი** (577–578), ს. ჯიქიას შენიშვნით, სოფლის სახელი „დავთარში“ „სომხური ფორმითაა მოცემული“. „ივერიის“ კორესპოდენციაში იკითხება „სოლომონ კალა“. ჩანს, ეს უკანასკნელი ხუთვერსიანი რუკის მიხედვითაა, სადაც დაუტანიათ **Согомон-кала** და **СОГОМОНЪ**. ექვთიმე თაყაიშვილს ჩაუწერია ფორმა „სოლომონისი“ და „სოლომონისის ეკლესია“, „სოლომონკალას ეკლესია“ (თაყაიშვილი, I, 2016:44), „სოლომონისის“ ასახელებს დ. ბაქრაძეც (იხ. Бақраძе, 1887:192–202). ამოსავალი უნდა იყოს **სოლომონისი**, ნაგენტივარი სახელი, სხვები – გეოგრაფიულ სახელზე „ძალადობის“ შედეგი.

**ფანჯურეთი** (577), ექვთ. თაყაიშვილთან **პანჯურეთი**. ჩანს, ეს უკანასკნელი ფორმა ხუთვერსიანი რუსული რუკიდან მოდის (მდრ. **Панджуреткий ... пв. Пагирев**, 1913). ამოსავალი ფორმა არის **ფანჯურეთი**.

**ტაჯერექი** (576–577), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Теджерек**. ამოსავალი ფორმა ჩანს **თაჯერექი**.

**ქამხისის რაბათი** (575–576), იგივე გეოგრაფიულ სახელს ხედავს ს. ჯიქია **ჩამხის**’ში: ქ. **ქამხისი**>თ. **ქიამხისი**>დიალ. **ჩამხისი**. ექვთ. თაყაიშვილთან გვხვდება **კიაგმისი**. „კიაგმის’ ფორმაში **გ** თანხმოვანი **ღ**’საგან უნდა იყოს წარმოშობილი რუსულ ნიადაგზე. აქვე გვაქვს, არ ვიცი, რომელ ენობრივ კოლექტივში გაჩენილი, მეტათეზისი **ქამხის–ი>ქიამხისი>ქამღისი**. **Кямгис > Кятгис//Киагмис** (ქიაღმისი) და გამოთქვამს ვარაუდს: „ხომ არ არის ეს **ქაღმისი** ქართული შესაძლებელი **გაღმისი** ფორმიდან მიღებული? **გაღმ–ის–ი>ქაღმ–ის–ი>ქაღმ–ის–ი**“ ამოსავალი ფორმა ჩანს **გაღმისი**. „დავთარის“ **ქამხისი** თურქულში გადავიდა **ქიამხისად**. ექვთ. თაყაიშვილის

მოგზაურობისას ჩამხუსად წარმოითქმოდა (576). საყურადღებო მსჯელობას, არსებობის ღირსიც. თუმცა ვფიქრობთ, რომ ამოსავალი ფორმა უნდა იყოს ქამხისი (<ქამხ-ის-ი>). ქამხ' ფუძეში შეიძლება გამოვყოთ ხ' სუფიქსი (ქამ-ხ).

ფანაკის ნაპიეს შემდეგი სოფლები შეუტანიათ ოსმალთა მოხელეებს „დავთარში“:

**დოლენჯი ქოა** (დოლენჯის სოფელი) (574). **დოლენჯი** პიროვნების საკუთარი სახელია, რომელიც ფუძედ დადება გვარ-სახელს **დოლენჯიშვილი** ||**დოლენჯაშვილი** (ახლაც სახლობენ ხევეკში **დოლენჯოლები** – ავტ.). ექვთ. თაყაიშვილი ერთგან წერს: „ვისაც არ სურდათ გამაჰმადიანება, გადასახლდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში. ამათ რიცხვში უფრო წარჩინებული გვარები არიან: შალიკაშვილი, ციციშვილი, ავალიშვილი, ჯაყელი, დიასამიძე, გოგორიშვილი, თავდგირიძე, ხიმშიაშვილი, კავკასიძე, დოლენჯიშვილი, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი, ქობულაშვილი (ქობულისძე), სუმბათაშვილი, ზედგენიძე, თუხარელი, გუგუნავა და სხვ.“ (თაყაიშვილი, I, 2016:431). საინტერესო ცნობაა, სამხრეთ საქართველოდან მოსულან ხსენებული გვარები, მათ შორის დოლენჯიშვილიც. ფანაკის ნაპიეში **დოლენჯის**||**დოლენჯას** ჰქონია სოფელი, რომლის სახელი დავთრის შემდგენელმა ასე ჩაიწერა – „დოლენჯი ქოა“...

**ოკეთი** (573), –**ეთ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი. გაურკვეველია **ოკ'** სახელური ძირის მნიშვნელობა, შესაძლებელია, დაკარგული იყოს თავკიდურა თანხმოვანი, იქნება მარცვალიც. აღვნიშნავთ, რომ საქართველოში გვხვდება ტოპონიმი **აკეთი** (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი).

**ხოში** (573), რუკაზე დატანილია **Хощ'**, იგივე ფორმაა სტატისტიკურ კრებულში. უაფიქსო სახელია. სამიხეობელია ქართულში **ხოშ'** ფუძის მნიშვნელობა. აღვნიშნავთ, რომ **ხოშ'** ფერეიდნულში ნიშნავს **კარგს, სასიამოვნოს** (ლლონტი, 1984). შესაძლებელია, **ხოშ'** იგივე ფუძეა, რაც კომპოზიტში **ხოშკაკალი**. ჯერჯერობით საკითხი ღიად რჩება.

**გარლოღისი(?)**, **ქარლოღისი**, შეიძლება **კარლოღისიც** იყოს (572). ხუთვერსიან რუკაზე დატანილი არაა ასეთი გეოგრაფიული სახელი. შესაძლებელია, ამოსავალი ფორმა იყოს **კარლოღისი** < \***კარგო[რ]გისი** 'დან, ნიშავს „**კარი გიორგისი**“. ჩვენს ვარაუდს ერთი გარემოება უშლის ხელს, კერძოდ, წყობა „**კარი გიორგისი**“ უცხოა ჭოროხის ხეობის ტოპონიმიაში. ჩვეულებრივ გავრცელებულია სახელური ფუძე + **კარი**.

**ისრაილი** (572), ხუთვერსიან რუკაზე – Хутор Израиль. **ისრაელ**||**ისრაილ** საბას განმარტებული აქვს როგორც „გონება მხილველი ღვთისა, გინა ხილვა ღვთისა“ (**ორბელიანი, 1949**). ვფიქრობ, ტოპონიმსა და საბას განმარტებულ **ისრაელ**||**ისრაილ**'ს შორის კავშირი ნაკლებ სარწმუნოა.

**დეგირმან დერესი** (572) პირდაპირი თარგმანი ჩანს ქართული „**წისქვილი[ს] ხევისა**“.

**აგირდგომი** (571), რუკებზე – Агитком. ს. ჯიქია გვთავაზობს შემდეგ მსჯელობას: „მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი **გომ**'ია, ხოლო **კომ** (კომ), აგრეთვე **агит**“ში „ტ“ თანხმოვანი გადასხვაფერებული, შეიძლება გადასომხურებული ფორმა იყოს. არ ვიცი, თუ **აგირდგომ**'იდან რატომ გამოვარდა **რ'** თანხმოვანი“. საყურადღებო მსჯელობაა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ კიდევ

ერთხელ ვლინდება სახელურ ფუძეზე „დალაღობისა“ და ხელოვნურად სხვადქცევის ფაქტი.

**ქარგლუხი** (570), მეორე სახელი **კიზილ ფუნარი**. რუკაზე დააუტანიათ Кяркилух, ასევე ერთ სტატისტიკურ კრებულში, მეორეში – **Кяркялух**. ს. ჯიქიას უკანასკნელი ორივე ფორმა **ქარგლუხის** თურქულ ვარიანტად მიაჩნია.

დასაშვებია, **ქარგლუხი** < \***ქარგ-ლულ**’ისაგან. **ლულ**’ თურქული მაწარმოებელია, ქართული –**ნარ**’ის ბადალი, **ქარგ**’ ქართული სახელური ფუძე ჩანს.

**კარყული** (569), მეორე სახელი **კარგეთი**. „ორი წაკითხვა უაღრესად საეჭვოაო“, – აღნიშნავს ს. ჯიქია. მეორე ვარიანტი, **კარგეთი**, ქართულად ჟღერს, ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაც ის უნდა იყოს.

**მერენესი** (569), რუკებზე: меренеси. შეიძლება დავუშვათ, რომ **მერენესი** < \***მერენისი**’საგან ხმოვანთა სრული ასიმილაციით.

**ზარნაკი** (?) (568), წაკითხვა პირობითიაო, წერს ს. ჯიქია. რუკაზე დატანილია Пернякъ, სხვადქცეული ფორმა. **პერნიაკი** ქართული **ფარნაკის** (შდრ. ქ. არსენაკი, თ. არსენიაკი) თურქიზებული ფორმაა. **ფარნაკს** ადასტურებს ექვთ. თაყაიშვილიც.

**ეგრიშუარი** (567), ხუთვერსიან რუკაზე გვხვდება – Эгри-килиса. ჭირს **ეგრიშუარ**’ისა და **ეგრიქილისა**’ს იდენტიფიკაცია, მაგრამ კომპოზიტის პირველი ნაწილი (ეგრი) საერთო აქვთ. **ეგრი** იგივე სახელური ძირი ჩანს, რაც **ეგრ**-ისში, **ერგე** (<\***ერგე**<**ეგერე**)... აღნიშნავთ, რომ **ეგრი** - თურქულად მრუდეს ნიშნავს. მაგ: **ეგრი ჩაი** - მრუდე (კლაკნილი) მდინარე - ავტ..).

**ლაზარვანსი** (567). ხუთვერსიან რუკაზე იკითხება Назарвани (Пагирев, 1913). ს. ჯიქია უპირატესობას დავთრისეულ **ლაზარვანს**’ს ანიჭებს. მაინც რატომაა უპირატესი „დავთრის“ **ლაზარვანსი** რუკის Назарван’ზე? **ლაზარვანსი** < **ლაზარვან**’ ისაგან. ორივე წაკითხვით გეოგრაფიული სახელი კომპოზიტია და მისი მეორე ნაწილი არის **ვან**’ი (ძვ. ქართულის სადგომი, სახლი, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერის, სოფელი, ბუნაგი. იხ. აბულაძე, 1973). „ლაზარეს ვანი“ უნდა იყოს ამოსავალი. რუსული **Назарвани** იგივე **ლაზარვანია** (შდრ. ლაზარ Назар) ოღონდ რუსი კარტოგრაფის მიერ აღქმული.

**აკრიაკი** (568), ს. ჯიქია მიიჩნევს, რომ **აკრიაკი** არის არმენიზებული ფორმა თურქული **აქარაქ**’ის, ან ქართული **აგარაკის**. XIX საუკუნეში **აკრიაკის** მოსახლეობა სომხური ყოფილა; ჩანს, „დავთრის“ შედგენის დროსაც, ამიტომაც ოსმალო მოხელემ ჩაიწერა **აკრიაკი**, არმენიზებული ფორმა.

**კოპი** (564), არის მეორე ვარიანტიც – **გობი**. ს. ჯიქია უპირატესობას **კოპ**’ს ანიჭებს. Коп’ია დატანილი ხუთვერსიან რუკაზეც (Пагирев, 1913), როგორც პეტრუსის მეზრე (**მეზრე** სიტყვასიტყვით: მინდორი, დასამუშავებლად ვარგისი მიწა, მცირე დასახლებით).

**მუხრული** (563–564), ისტორიულ რუკაზე იკითხება Михрель, ხუთვერსიან რუკაზე – Мухрель. მამასადაძე, გვაქვს სამი ფორმა: „დავთრის“ „**მუხრული**“, რუკების – **მიხრელი** და **მუხრელი**. ამოსავალი უნდა იყოს **მუხრული** (შდრ. მუხროვანი): **მუხ[რ]ული** < \***მუხ[რ]ური** < \***მუხური**.

**ჭალა** (563). სამხრულ კილოებში „ჭალა“–ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ვაკე ადგილი მდინარის პირას... 2. სათიბი, სათიბ–სამოვარი (**ნიჟარაძე, 1971**).



**ბანა**, ოსმალური **ფანაქი** (560). მკვლევრის აზრით, ძველი ფორმა **ბანაკი** უნდა იყოს, მიუთითებს აკ. შანიძის დაკვირვებას ერთი დაუბეჭდავი შრომიდან: **მუშაკი>მუშა, დანაკი>დანა, კვირიაკე>კვირა, პიტნაკი>პიტნა**. უფრო ადრე **აგარაკი>აგარა**. აკ. შანიძის დაკვირვებიდან გამომდინარე, **ბანაკი>ბანა**. **ბანაკი** კიდეც ძველ ქართულში ნიშნავს: „ერი“, „მხედრობა“, რაზმი, გუნდი, ჯგუფი (აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001).

**კოთიქი** (570), ხუთვერსიან რუკაზეა **Котикъ**, სპეცრუკაზე – **Котек**. **ქოთიქი<კოტოკი**’საგან (<კოტაკი). **კოტა** კიდეც ცნობილი ფუძეა სამხრულ მეტყველებაში და მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ხის რიკი, სიმინდის ტარო, თოფის საკეტი, ცელის ტარის სახელური... (ნიჟარაძე, 1971).

**ბარიქი** (562), სოფელი ოლთისიდან 43 ვერსში, არტაანიდან 74 ვერსის მანძილზე. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Барыкъ**. **ბარიქი<ბარო–კი**’საგან, **ბარი** კიდეც ცნობილი ფუძეა ქართულში.

აღვნიშნავთ, რომ **ბარიქი** ამავე ნაპიეში სხვაგაა (იხ. 573).

**კარჭიო, გარჭიო, კარხიო, გარხიო** – ოთხ განსხვავებულ წაკითხვას გვთავაზობს ს. ჯიქია (567). რუკებსა თუ ისტორიულ წყაროებში მსგავსი გეოგრაფიული სახელი არ ჩანს. შესაძლებელია, ჩაწერის პრობლემასთან გვეკონდეს საქმე. ვფიქრობთ, ძველი ფორმაა **კარხიო||გარხი** (შდრ. კოლხი, ტაოხი...), –**ხ** სუფიქსი ჩანს.

**არსენაკი** – ზემო, ქვემო და შუა(566). ს. ჯიქია ფიქრობს, რომ სოფლის სახელია **არსენაკი** და არა – **არსენიაკი, არსენაკი** (შდრ. ბანაკი). არის ასეთი დაყოფაც: **Арсеняк Греческий, Арсеняк Турецкий**. ორ **არსენაკს** ასახელებს ექვთ. თაყაიშვილი (იხ. თაყაიშვილი, I, 2016:61). თურქული **არსენიაკი** ქართველ მაჰმადიანთა სოფელია (თურქული აქ მაჰმადიანის აღმნიშვნელია და მცხოვრებთა რელიგიურ კუთვნილებაზე მიუთითებს). იბადება კითხვა: რატომ ბერძნული არსენაკი? იმიტომ ხომ არა რომ აქ ბერძნები ცხოვრობენ? ვფიქრობთ, არა. **თურქული არსენიაკის** ანალოგიით ვუშვებთ, **ბერძნული არსენაკი** ბერძნული ეკლესიის (აქ: მართმადიდებელ ქრისტიანთა) მიმდევართა სოფელია. შესაბამისად, ბერძნული რელიგიურ კუთვნილებაზე მიუთითებს. სხვადასხვა კონფენსიათა მიმდევრობის გამო „დაუპირისპირდა“ „ბერძნული არსენიაკი“ „თურქულ არსენიაკს“.

**თახთი** (565), ხუთვერსიან რუკაზეც დატანილია **Тахтъ** (Пагирев,1913). ამოსავალი ფორმა უნდა იყოს ქართული – **ტახტი**, „საჯდომელი“ (აბულაძე, 1973).

**თხასქურქი** (565), ხუთვერსიანი რუკით – **Тавасхур**, ვარიანტში – **Тхасхор**. **თხასქურქი** და რუსული **Тхасхор**’ გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ, კომპოზიტის პირველი ნაწილით მაინც, **Тавасхур** – განცალკევებით დგას, თუმცა ჭირს გარჩევა, ვინ უფრო სწორედ ჩაიწერა ქართული ტოპონიმი ოსმალთა მოხელემ თუ რუსმა კარტოგრაფმა.

**არმაშენი** (562), **Армашень** დატანილია ხუთვერსიან რუკაზეც. სახელწოდება ქართული ჩანს, შდრ. **თამარაშენი, ახალშენი**.

ჩვენ წარმოვადგინეთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ ამოკრებილი ქართული გეოგრაფიული სახელები, ვცადეთ, ზოგიერთის არქეტაპის აღდგენა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, თუ რამდენად მოვახერხეთ, ამას მომავალი კვლევები დაადგენს. ერთი კია, ოსმალური დავთრის წაკითხვისას წარმოშობილმა სიმნელებმა დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია ტაოს, ისევე როგორც



ჭოროხის სხვა ქვეყნების, ტოპონიმის აღწერა სოფლებისა და ხეობების მიხედვით, რისი ცდაც ჩვენი შემკრებლობითი მუშაობაცაა ტაოში.

„დავთარში“ ორ ათეულზე მეტი ტოპონიმია შეტანილი, რომელიც არაქართულია, ერთი შეხედვით მაინც, ასეთებია:

**ფარაქესი** (597), სტატისტიკურ კრებულში და ხუთვერსიან რუკაზე დატანილია *Паракез-хосор*.

**ნუსუნგი** (601), ხუთვერსიან რუკაზე სამი ნუსუნგია: *Нюсюнг-баши г. Нюсюнг д. Нюсюнг я.* (მთა, სოფელი და აილა).

**მიტენდიერი** (602), ხუთვერსიან რუკაზე იკითხება *Митендеръ* (სოფელი და აილა).

**ტაში** (573–574), ხუთვერსიანი რუკით *Таш-башъ* (აილა).

**ჩაირი** (581), ვვიქრობთ, ქართული ბალახის (შდრ. ბალახვანი) თურქული თარგმანია.

**კიზილ–ქილისა** (593), ხუთვერსიან რუკაზეა *Кизил-килиса*. **კიზილ–ქილისა** (შდრ. წითელი ეკლესია) მეორეული სახელი ჩანს აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტისა.

**კოსორი** (562), მისი თურქიზებული ფორმა **კოსური**, ხუთვერსიან რუკაზე ვკითხულობთ *Косоръ*.

**ჩარსორი** (563), ასეთი სახელი რუკაზე არ ჩანს. ს. ჯიქია ვარაუდობს, რომ სტატისტიკურ კრებულებში და ხუთვერსიან რუკაზე **Чахсор**–ად წოდებული და ევროპული რუსეთის სპეცრუკის **Чихсори** სოფელი **ჩახსორია**. ტოპონიმი კომპოზიტი ჩანს, რომლის მეორე ნაწილია **სორ** (სომხური დეღე, ხევი), პირველი ნაწილის მნიშვნელობა საძიებელია. ამოსავალ ფორმად თუ **ჩიხსორს** მივიჩნევთ, მაშინ დასახელებული გეოგრაფიული სახელი იგივე იქნება რაც **ჩიხისხევი**/**ჩიხისკევი**.

**ქეიღვანქი** (564), იგივეა, რაც ხუთვერსიანი რუკის *Кейванк*.

**იღნაქი** (566), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია *Эгнаки*, სპეცრუკაზე *Игнаки*.

**ძაღქოსი** (569), მეორე სახელია **ქიზილ–ქოი**. რუკებზე იგი არაა აღნიშნული. ს. ჯიქია მას უკავშირებს სტატისტიკურ კრებულებსა და ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულ **Джахкос**ს (ჯახკოსი), ოღონდ უჭირს **ძ:ჯ** მონაცვლეობის ახსნა. ვვიქრობთ, ჩაწერის პრობლემასთან გვაქვს საქმე.

**ეკესორი** (569), რუკებზე დატანილია **Экясор**, **Экасор**, სტატისტიკურ კრებულებში – **Эказор**. ს. ჯიქია ამოსავლად მიიჩნევს **ეკესორს**.

**კინეპოსი** (570–571), ხუთვერსიან რუკაზე *Кинепось*. **კინეპოს**ს ახსენებს ექვთ. თაყაიშვილიც.

**ვაღავერი** (571), ხუთვერსიან რუკაზე იკითხება *Вагавер*, ეს უკანასკნელი **ვაღავერ**ის გადარუსულებული ფორმაა.

**ბარდიკი** (572), ხუთვერსიან რუკაზეა *Бердык* (Пагирев, 1913). **ბარდიკი**, **ბერდიკი** ოლთისიდან 31 ვერსზეაო, წერს ს. ჯიქია.

**აღუნდირი** (579), რუკაზე – *Агундир*’ი.

**ფანასკერტი** (581), ვახუშტი იყენებს ფორმას - **ფანასკეტი**|| (<\***ფანასკეთი** <**ფანასეთი**) (ვახუშტი, 1973:682, სქ.). **ფანასკერტი** **ფანასეთი**ს არმენიზებული ფორმაა. ჩანს, დავთრის შედგენისას უკვე **ფანასკერტი** იხმარებოდა. **ფანასკერტი**

„ფანას სოფელია” სომხურად გამოთქმული. შდრ. **ფანასეთი** (<ფანა[ს]-ეთ-ი) ფანას ოჯახის, სახლეულის საცხოვრისი.

**გესმალი** (583), რუკებზე – Гесманлы. ეს უკანასკნელი თურქიზებული ფორმაა –ლი სუფიქსით ნაწამოები.

**ფირდანოსი** (584), ხუთვერსიან რუკაზეც დატანილია Пирданось.

**მეჰანქი**, შეიძლება **მეჰანგი** (584), იგივე სოფელი უნდა იყოს, ხუთვერსიან რუკაზე **Мегенкь** ს სახელწოდებით რომაა აღნიშნული.

**ქარაშუთი** (584–585), რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში დასტურდება Кяляшут და Калашут. ს. ჯიქია ამოსავალ ფორმად **ქალაშუთის** თვლის.

**ნორბერთი** (589), ხუთვერსიან რუკაზე Норпетъ (Пагирев, 1913). **ნორბეთი** სომხურია, **ნორ** – ახალი, **ბერთ** – ციხე. **ნორბეთი** – „ახალი ციხე”. შეიძლება ვიფიქროთ, **ნორბეთი** ქართული „ახალციხის” თარგმანია.

**აღვანიქი** (590), ამოკითხვა პირობითიაო, აღნიშნავს ს. ჯიქია. **აღვანიქი** < \*აღვანიქი > საგან.

**პეტროსი** (591), არმენიზებული ფორმა ჩანს. შდრ. ქართ. **პეტრესი**.

**ვარანუთი** (594), სომხური ჩანს. შდრ. **ვარამუთი**//**ვარამეთი**.

**ვასექსორი** (594), სომხური სახელია. შდრ. ვასექსორი, ვასექქორი.

**ვარასორი** (595), ხუთვერსიან რუკაზე – Парасоръ (Пагирев, 1913). ტოპონიმი კომპოზიტია, რომლის მეორე ნაწილია სომხური **სორ** – ღელე, ხევი.

**ერუკი** (595), თურქული წარმოთქმით **რრუქ**. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Эрүкь. ამ სახელწოდების ტოპონიმი რამდენიმე – სოფელი, ყიშლა, დაილა.

**ბარდუსი** (596), სპეცრუკის Бердусъ და Пертус. ხუთვერსიან რუკაზე რამდენიმე **პერტუსია** ოლთისის უბანში, სოფელი, ყიშლა, დაილა. ამოსავალი ფორმა უნდა იყოს Пертус, რომელიც ქართული **პერტისის** (შდრ. **პერტია**) არმენიზებული ვარიანტია.

**ანძავი** (597), ხუთვერსიან რუკაზე – Анзовъ. ს. ჯიქიას შენიშვნით, „**ანზავი**”, „**ანძავის**” თურქიზებული ფორმაა.

**ფერთუსი** (597), ექვთიმე თაყაიშვილი ასახელებს **პერტუსს**, რომელშიც „50 კომლი სომეხია, სათათრეთიდან მოსული. ამ სოფელში ორი ქართული ეკლესია ყოფილა“ (თაყაიშვილი, I, 2016:70). ექვთ. თაყაიშვილის შრომიდან მოყვანილ ფრიად საგულისხმო ცნობას მივაქცევთ ყურადღებას: „სოფელში 50 კომლი სათათრეთიდან მოსული სომეხი ცხოვრობს“ და „სოფელში ორი ქართული ეკლესია ყოფილა“. ბუნებრივია, თავდაპირველად **ფერთუსი** (თუ **პერტუსი**) ქართული სოფელი ყოფილა თავისი სამლოცველოებით, სომხები მოსულან და სოფლისთვისაც სახელი შეუცვლიათ.

**პოლოსი** (598), შდრ. ქართ. **პავლე**.

**ვართანუთი** (598), შდრ. ქართ. **ვარდანეთი**.

**ექექი** (600), იმავეს ასახელებს ექვთიმე თაყაიშვილიც, უთითებს, რომ მ. ბროსესთან **ეგრეკი** გვხვდებაო (თაყაიშვილი, I, 2016:372). საყურადღებო ფორმას ასახელებს ფრანგი ორიენტალისტი: **ეგრეკი** (შდრ. **ეგრ-ის-ი**) რაღაცით ქართულს მოგვაგონებს, **ექექი** კიდევ მისი გათურქულებული ვარიანტია.

**ქეივანქი** (600), ხუთვერსიან რუკაზეც დატანილია Кейванкь. სახელი სომხური ჩანს.

**არდგილ'**(601), სახელი –**გილ** მაწარმოებლით.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ტაოს რამდენიმე ათეული გეოგრაფიული პუნქტის სახელია შეტანილი: რომელთაგან უმეტესი ქართულია, მეორე ნაწილი სომხური ან თურქული. ეს უკანასკნელი შედარებით ახალი ფენაა ტაოს, ზოგადად ჭოროხის ხეობის, ტოპონიმიში. არათურქულ სახელებს ოსმალურად ჩაწერისას დიდი ტრანსფორმაცია განუცდია, ხშირად იმდენად დაშორებიან ამოსავალ ფორმას, რომ ჭირს თავდაპირველის დადგენა. ვხედავთ, რამდენად დიდი ჯაფა დასდგომია „დავთარის“ წამკითხველს...

ტაოს სოფლები აღუწერიათ 1835–36 წლებში ოსმალთა მოხელეებს. აღწერის მასალები მნიშვნელოვანი წყაროა ტაოს ტოპონიმიკის შესასწავლად, თუმცა მკვლევარი დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მას. მასალებში გვხვდება როგორც ქართული, ისე არაქართული სახელური ფუძეები. და, რაც მთავარია, ბევრი გეოგრაფიული სახელი დღეს აღარ დასტურდება, დავიწყებულია, ან ახლითაა შეცვლილი.

\*\*\*

**1835–1836 წლების ტაოსკარის აღწერა** (დავთარი წაიკითხა ასოც. პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ):

**მოხიში** – ასე იკითხება ერთი სოფლის სახელი, შესაძლებელია – **მოხისი**.

**მოხე||მოხი** ტოპონიმი დასტურდება მესხეთშიც.

აღწერისას **მოხიში** ვრცელი სოფელია 115 კომლით.

**არგონისი||არგუნისი** – ნაგენეტივარი სახელია, **არგონ||არგუნ** სახელური ძირია.

**ჰაკნისი**, შეიძლება **აკნისიც**, ხმოვნის წინ **ჰ** ჩვეულებრივ იკარგება ქართულში.

**მეთენდიზი**, ვფიქრობთ, ჩაწერის პრობლემაა, მოსალოდნელია იყოს **მეთენდისი**, ნაგენეტივარი ფორმა.

**ური||ორი||ავრი||ევრი** – ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **ორი**. ჩანს, ოსმალთა მოხელის მიერ ჩაწერილი სოფლის სახელწოდებაა **ორი**.

**მალაქესი||მალაქისი**, ნაგენეტივარი სახელი. აღნიშნავს **მალაქა**'ს კუთვნილებას.

**იფხარი||იფხანი||იფხარი**, ხუთვერსიანმა რუკამ არ იცის ასეთი გეოგრაფიული სახელი. ძირეული მასალა უნდა იყოს **იფხრ**(<იფხარ). იგივე ფუძე გვხვდება **იფხრეულ**'ში (სოფელია შავშეთში). **იფხლი** გვიმრავს საბას განმარტებით (ორბელიანი, 1949).

**ოხორი** – ვრცელი სოფელია 63 კომლით. **ოხორ'** კოლხური ფუძეა სახლის აღმნიშვნელი (თანდილავა, 2013).

**კივი** – ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **კივი**. ამოსავალი ფორმაც ეს უკანასკნელი უნდა იყოს.

**ალოსი**, ხუთვერსიან რუკაზე გვხვდება **Алосъ** (Пагирев, 1913). **ალოსი**<**ალოსი** ნაგენეტივარი სახელია.

**ოგთისი||უქთისი**, ნაგენეტივარი სახელი ჩანს.

**ავარისი** – ნაგენეტივარი სახელია, **ავარ'** ძირია.

**უნისითი||უნისეთი** (შეიძლება დავუშვათ – **უნუსეთი**). ტოპონიმში გამორიყვია –**ეთ** სუფიქსი. შდრ. ხუთვერსიან რუკაზე გვხვდება **უნუსხევი**, ოღონდ ართვინში. **უნის||უნუს** ერთი და იგივე სახელური ძირი ჩანს.

**აქურთისი**, იგივე ფუძე დატანილია ხუთვერსიან რუკაზეც – **Акуртисъ** (Пагирев, 1913).

**ფულური||ფულორი**, ხუთვერსიან რუკაზე იკითხება **Пулуръ** (Пагирев, 1913). ვფიქრობთ, სწორი წაკითხვაა **ფულური** (<ფულ–ურ–ი).

**გივეთი||გივეითი**, –**ეთ** სუფიქსიანი ტოპონიმი, გივის სახლეულის სამოსახლო.

**ხმაგოროთი**, ასეთი გეოგრაფიული სახელი არაა დატანილი ხუთვერსიან რუკაზე.

**ერკენისი**, ნაგენეტივარი სახელია, შდრ. ერკენისი.

**ოლთისი** (ოლთ-ის’ი) –ნაგენეტივარი სახელია.

**ხივაკ’** (ხევეკ) – **ხევეკი||ხევაამ** ტაოში რამდენიმეგზის დასტურდება.

**ფირექესი** – მსგავსი სახელი სხვა არ დასტურდება ტაოს ტოპონიმიაში. ამოსავალი შეიძლება იყოს **ფირექისი** (**ფირექესი** ასიმილაციით მიღებული ფორმა ჩანს)

**ბარდიზი** (<\*ბარდისი?), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Бардусъ** (Пагирев, 1913). **ბარდისი||ბარდიზი** და **ბარდუსი** ერთი და იგივე პუნქტის სახელის ფონეტიკური ვარიანტები, ანდაც ჩაწერისას სახეცვლილი ფორმები ხომ არაა?

**გილო** – ქართული ფუძე ჩანს.

**მილეთური** (ახლა: **ბაშბაღლარი**, შდრ. **თავი ბაღები**), სახელი –**ურ** სუფიქსითაა ნაწარმოები. **მილეთ** (შდრ. მლეთა’) ძირია.

**ფესთაფორი** (შდრ. **ზღაფორი**, სოფ. სარიგიოლის მაღლა).

**სამის** (სანამის, სანანისი). დასაშვებია **სამისი** (შდრ. სამთა წყარო) და **სანანისი** (სანანო – ადამიანის საკუთარი სახელია).

**ჯამასი** (<\*ჯამასი), ნაგენეტივარი სახელია.

**ოშხე||უშხე** დასაშვებია ორივე წაკითხვა, უფრო პირველი.

**ორჯუკი||ორჯოკი** (შდრ. ორჯოხი).

**ზერდენსი||ზერდენისი** – ნაგენეტივარი სახელია. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Зарденисъ** (Пагирев, 1913). **ზერდენ||ზარდენ** ფონეტიკურ ვარიანტებად უნდა ჩაითვალოს.

**დაგვირი||ტაფქირი** – ორივე დაწერილობა გვხვდება. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Дагиръ** (Пагирев, 1913).

**ლისბეკი** (ესბეკი?), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Леспекъ** (Пагирев, 1913). ვფიქრობთ, **ლისბეკი** და **Леспекъ** ერთი სახელის ფონეტიკური ვარიანტებია.

**ურუთი||ორუთი||ურული** – ხუთვერსიან რუკაზე არც ერთი ფორმა არ დასტურდება.

**სიმირდონი**, ხუთვერსიან რუკაზეც იგივე ფორმაა **Симирдонъ** (Пагирев, 1913).

**ხივაკი||ხოვაკი** – **ხივ||ხოვ** ძირი ჩანს, –აკ მაწარმოებელი (შდრ. დანაკი...). შდრ. **ხევაკი||ხევეკი**.

**ჯუჯურუსი||ჭუჭურუსი**, ხუთვერსიან რუკაზე – **Джуджурусъ** (Пагирев, 1913). ვფიქრობთ, სწორი წაკითხვა უნდა იყოს **ჯუჯურუსი**, რასაც მხარს უჭერს რუსული ფორმაც.

**ჭანჭური||ჩანჩური**, ხუთვერსიანი რუკის **Чанчурь** (Пагирев, 1913) ორივე წაკითხვას უჭერს მხარს, მაგრამ, ვფიქრობთ, **ჭანჭური** უნდა იყოს ამოსავალი ფორმა.

**ორუქი** – ხუთვერსიან რუკაზე ასეთი გეოგრაფიული სახელი დატანილი არ არის.

**ნირიშენი||ნორეშენი** – სომხ. ახალსოფელი. თუმცა რთული ფუძის მეორე ნაწილი, **-შენ'** ეჭვის ქვეშ აყენებს **ნორეშენ'**ის სომხურობას, თუმცა ზ. სარჯველაძე მიუთითებს „შწნ - (შწნ-ი „დასახლებული ადგილი“; შწნ-ებ-ა)“ ძირის სომხურიდან ნასესხობაზე (სარჯველაძე, 1997:14).

**ზარდაკომი||ზერდეგომი...**

**სუფერი||სვირი** – შეიძლება ვიფიქროთ, **სვირი||სუირი** „დავთრის“ შემდგენელმა აღიქვა და ჩაიწერა **სუფერი** (წყლიანი ადგილი).

**ქურქი**, **-ჩი** (-ჯი) ხელობის სახელის მაწარმოებელი სუფიქსია თურქულში, **ქურქ'** – ფუძე.

**ფოსიქი**, იგივეა, რაც ხუთვერსიანი რუკის **Посики** (Пагирев, 1913).

**ოსგჰათი (?)** – მიახლოებითი წაკითხვაა, ამიტომაც უზის კითხვის ნიშანი.

**ერიდოს** (სარჩევში), **ავდოსი** (ტექსტში), ხუთვერსიან რუკაზეა **Авдось** (Пагирев, 1913).

**ჩერმუქი||ჩერმოქი**, ხუთვერსიანი რუკით **Чермухь** (Пагирев, 1913). **ჩერმუქი** ქართულად „თერმულ წყალს“ ნიშნავს.

**ჩათაქი**, ხუთვერსიანი რუკის **Чатахи** (Пагирев, 1913). ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **ჩათახი**. **ჩათაქი** (თ. ორ მთას შუა ღრმა ხევი) **ჩათახთან** ფონეტიკური მსგავსების გამო ჩაიწერა ოსმალო მოხელემ.

**ანზავი** (სომხური, კლდე) ხუთვერსიან რუკაზეა **Анзовь** (Пагирев, 1913).

**შახსორი**, **სორ'** სომხ. დეღე, ხევი. პირველი ნაწილის (**შახ'**) მნიშვნელობა სამიებელია, შეიძლება სულაც სპ. „შახია“, მეფე, მაშინ **შახსორი** „შახის ხევი“, „შახის დეღე“ (შდრ. მეფის წყალი, მეფის ხევი) იქნება.

**ჰავდოსი||ჰაიდოსი**, ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Авдось** (Пагирев, 1913).

**სირდასორი||სირდაძორი** შდრ. სომხ. **სირდაძორ** – გული ხეობა, შუა ხეობა.

**თერფენქი** შდრ. სომხ. **თარფინქ** (მჭედლები).

**კოზახორი||ხოზახორი** შდრ. სომხ. ღორების ახორი.

**მილასორი||მელასორი||\*მელაძორი** – კომპოზიტია, რომლის მეორე ნაწილია **სორ||ძორ**. შდრ. ქ. **მელისხევი**.

**ჩარზოვი||ჩარძოვი**, სომხ. ცუდი ტბა.

**კინეფოსი||კენეფოსი** (შდრ. სომხ. ვაზიანი), ხუთვერსიან რუკაზეა **Кинепось** (Пагирев, 1913).

**აქ თოფრაქი** (შდრ. თ. თეთრი მიწა). შესაძლებელია, ეს იყოს ხუთვერსიანი რუკის **Топрангь ან Аг-топрахь** (Пагирев, 1913), უფრო ეს უკანასკნელი.

**ქილიქი||ქელიქი** (შდრ. თ. ქექიქ, ქონდარი).

**ვართანოთი||ვართანუთი**, იგივეა, რაც ხუთვერსიანი რუკის **Вартануть** (Пагирев, 1913) (შდრ. ქ. ვართანისი-**\*ვარდანისი**).

**ჯამი ქებირ** (შდრ. დიდი ჯამე, ორთა ჯამე).

**დაირეი მუთესელიმ** (თ. მუთესელიმის (**გამგებლის**) სასახლე).

**თოსი ზადე** (თოსი ფაშა). **ზადე** სპარსულ-თურქულად ნიშნავს - ძე/შვილი.



მუსტაფა ბეგი.

ყალე ბოლაზი, შდრ. ქ. ციხის ყელი.

თამრუთი||თამნუთი, –უთ სომხ. სუფიქსია, ქართული –იან'ის ბადალი. თამრ–  
უთ|თემნ–უთ სომხ. ხურმიანი. ხუთვერსიან რუკაზეა **Тамруть** (Пагирев, 1913).

თუთმაჩი||თუთმოჩი (<\*თუთმაჯი). თურქული სახელია. შდრ. ოთხკუთხად  
დაჭრილი ცომისაგან მომზადებული წვნიანი.

ბახჩეჯიქი თ. პატარა ბაღი. იგივეა, რაც ხუთვერსიანი რუკის **Бахчаджуть**  
(Пагирев, 1913).

თოფრაქი, ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Топрякть** და **Топрянг** (Пагирев,  
1913), უფრო პირველი, – თოფრიაკტი, შდრ. ქ. მიწა.

ბოჯუქლუ ჩიფლილი შდრ. თ. ბოჯუქ – ღორი (–ლუ იგივეა, რაც ქ. –იან),  
ჩიფლილ – მიწა. ღორიანი მიწა? შდრ. საღორეთი. ჩიფთლიქ სიტყვა–სიტყვით: სახნავ–  
სათესი, კარ–მიდამო, მეურნეობა (ლექსიკონი, 2001).

ქოზახა||ხოზახორი. სომხ. ხოზ – ღორი + ახორი, ღორის ახორი, საღორე.

ვაშქანი (<\*ვაშქანი?), სომხური ჩანს. შდრ. ძვ. ქართული ვაშქარანი – გუდა,  
ჭურჭელი, აბგა, საგანძური, სალარო (აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001).

ინჯი (შდრ. თ. ინჯი – მარგალიტი).

ჰაქამი||ჰაგამი.

კაბანორუქი||კაბანოვი.

სიკევი||სიხევი, იგივე უნდა იყოს, რა ხუთვერსიანი რუკის **Сехчекъ** (Пагирев,  
1913).

ეზინსორი||ეზნაძორი, 1928 წლიდან სოფელს თ. სიღინდერე ჰქვია. შდრ.  
სიღირ – მსხვილფეხა საქონელი. ეზინსორი||ეზნაძორი არმენიზებული ფორმებია.

\*\*\*

ოლთისი 1835–36 წლების დავთარში:

ნიაკომი, ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Ниакомъ** (Пагирев, 1913).

ბადასო||ბარასორი||ბადასორი – სხვადასხვა წაკითხვას გვთავაზობს  
ოსმალური ჩანაწერების წამკითხველი. შდრ. სომხური ბადასორი||ბადაძორი.

ოლდერი||ოლდარი.

ქორდიქანლუ||ქურდიქანლუ||ქორდიქენლი – ჩანაწერი იძლევა სამი  
სხვადასხვა წაკითხვის საფუძველს. სახელი კომპოზიტი ჩანს. დიქენლი – ეკლიანი,  
ქორდიქენი – ეკლიანი მცენარეა, იყენებენ მედიცინაში.

თუქუჯუქი||თუქუჯიქი, კომპოზიტი ჩანს, რომლის მეორე ნაწილი არის  
ჯუქ||ჯიქ'.

აჰრიზი||ახრიზი, ხუთვერსიან რუკაზეა **Ахрисъ** (Пагирев, 1913). ვფიქრობთ,  
სწორი ფორმაა ახრისი, –ის სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი.

ისასორი||იზაძორი, ხუთვერსიან რუკაზეა **Исадзоръ** (Пагирев, 1913), სომხურია.

თავასორი||თავაძორი||თივასორი, შესაძლებელია, უკანასკნელი ფორმა იყოს  
სწორი.

სალაჩური||სალაჯური – ხუთვერსიან რუკაზე დაუტანიათ **Салачуръ** (Пагирев,  
1913). სწორი ფორმა უნდა იყოს **სალაჩური**.

ჩვენ სრულად წარმოვადგინეთ ოსმალურ „დავთრებში“ დაცული ტაოს  
ტოპონიმიკური მასალები. უპირველესად იგი მრავაფეროვნებით ხასიათდება:

გვხვდება ქართული, სომხური, თურქული საკუთარი სახელები. მკვლევრისათვის გასათვალისწინებელია, რომ ხშირად გეოგრაფიული სახელები სწორად არაა (უფრო ვერაა) ჩაწერილი, ჩანს განსხვავებულ ენათა და დამწერლობათა თავისებურებები, რაც ჩაწერისას ქმნის პრობლემებს. ყველაფრის მიუხედავად, მასალები მაინც საყურადღებოა და ველზე შეკრებილ ტოპონიმებთან შეჯერებით მოგვცემს გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას.

## §2. ტაოს ტონიმია კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე<sup>7</sup>

მნიშვნელოვანი ტიპონიმიკური მასალაა თავმოყრილი „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“. ქართული, ასევე თურქული, სომხური და ზოგჯერ სხვა სახელების რუსულად ჩაწერას თავისი სიმნელები ახლავს, ამიტომაც რუკაზე ასახული გეოგრაფიული სახელები სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ, ხშირად აუცილებელი ხდება ტოპონიმის ამოსავალი ფორმის აღდგენა, რადგანაც რუკაზე დატანილი საგრძნობლადაა დამორებული თავდაპირველ სახეს...

მასალები დავალაგეთ ენობრივი კუთვნილების მიხედვით: ქართულია იგი, სომხური თუ თურქული. წინასწარვე ვიტყვი, რომ პირველადი ფენა ქართული ჩანს, სხვა – მეორეული.

ტოპონიმებს მოვიყვანთ რუსულად ქართული ტრანსკრიპციითა და ზოგიერთი აუცილებელი შენიშვნით. აღვნიშნავთ, რომ რუკაზე დატანილია მხოლოდ ოლთისის გეოგრაფიული სახელები.

### ქართული ფენა:

**Агера** я. [აგერა, დაილა].

**Агерваке** я. [აგერვაკე, დაილა].

**Акуртисъ** [აკურტისი] <\*აქურთისი(?), –ის სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი. მსგავსი წარმოება ხშირია ტაოს ტოპონიმიაში.

**Алосъ** г. [ალოსი, მთა]. შდრ. \*ალოდსი <ალოსი.

**Анзасъ** мз. [ანზასი, მეზრე].

**Аркуниси** [არკუნისი], წარმოება – ქართულია, სამიებელია არკუნ<sup>7</sup> სახელური ფუძის მნიშვნელობა: ა[რ]კუნისი <\*აგუნისი(?).

**Армашен** [არმაშენი], შდრ. ახალშენი.

**Асикъ** кшл. [ასიკი, ყიშლა], უსუფიქსო წარმოებაა.

**Ахо** г. [ახო, მთა]. **ახო** გავრცელებული სახელია ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, ნიშნავს: „საყანური გაკაფული“ (ორბელიანი, 1949; შეერთებული, 2008).

**Ахрисъ** [ახრისი], ნაგენეტივარი სახელი.

**Ахути** [ახუთი]. გამოვყოფთ –უთ სუფიქსს, შედარებით იშვიათს ქართულ ტოპონიმებში (შდრ. შუხუთი).

**Бардусъ** [ბარდუსი], აღვადგენთ \*ბარდუსი ამოსავალ ფორმას. რუკაზე რამდენიმე „ბარდუსია“ დატანილი (დაილა, მდინარე და ცალკე ბარდუს ჩაი). ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რატომ შეიტანეს ცალ–ცალკე „ბარდუს ჩაი“ და მდ.

<sup>7</sup> ვიმოწმებთ დ. პაგირევის (იხ. Пагирев, 1913) შრომის მიხედვით.

„ბარდუსი“? „ბარდუს ჩაა“ და მდ. „ბარდუსი“ ერთი და იმავე მდინარის აღმნიშვნელი უნდა იყოს. თუ ამოვალთ საერთო ვითარებიდან, რომ ჭოროხის ხეობაში მდინარეებსა და ხეებს, უმეტეს შემთხვევაში, საკუთარი სახელები არ აქვთ და იმ სოფლის თუ კუთხის მიხედვით იწოდებიან, რომელსაც ჩამოუვლიან, ანდაც საიდანაც სათავეს იღებენ. ამოსავალი უნდა იყოს „ბარდუს ჩაა“, რაც „ბარდუსის წყლის“ გათურქულებული ფორმაა.

**Булаги** я. [ბულაგი, მაილა], შეიძლება აღდგეს ფორმა \*ბულაღ||ბულახი. შდრ. ბალახ–ბულახი.

**Буры** уш. [ბური, ხევი]. იგივე ძირი უნდა იყოს, რაც **ბურვა**ში გვაქვს.

**Бурнашень** кшл. [ბურნაშენი, ყიშლა]. **ბურნა** ადამიანის საკუთარი სახელია, შდრ. გვარი ბურნაძე.

**Вабусари** г. [ვაბუსარი, მთა]. დასაშვებად მიგვაჩნია სახელში –**არ** სუფიქსის გამოყოფა. შდრ. ოლთისარი, ოპიზარი, ხახულარი...

**Ваговерь** [ვაგოვერი].

**Гелаби** кшл. [გელაბი, ყიშლა].

**Геллять** [გელიათი]<\*გელათი. „გელიათი“ „გელათის“ თურქიზებული ფორმა ჩანს.

**Герашкиянь** [გერაშკიანი], –**იან** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი [იხ. ფაღავა, 2017:3–9. შდრ. ფაღავა, 2018:129–133].

**Джанаури** г. [ჯანაური, მთა]. ტოპონიმში გამოვყოფთ –**ურ** სუფიქსს და **ჯანა** სახელურ ფუძეს. შდრ. ჯანაშვილი.

**Джер-Джерь** г. [ჯერ–ჯერი, მთა], ფუძის გაორკეცებით მიღებული გეოგრაფიული სახელი.

**Джишкаръ** пв. [ჯიშკარი, ზეკარი]<\***ჯიშკარი**.

**Джуджурусъ** [ჯუჯურუსი]<\***ჯუჯურუსი(?)**.

**Закимъ** я.д. [ზაკიმი, მაილა და სოფელი].

**Замръ** г. [ზამრი, მთა].

**Занза-дагъ** г. [ზანზა–დადი, მთა]<\***მანძა(?)** შდრ.**ძინძე**: „მივიდა ადგილსა ძინძედ წოდებულსა“.

**Зарданесь** [ზარდანესი]<\***ზარდანისი**.

**Зимросъ** кшლ. [ზიმროსი, ყიშლა].

**Зувартъ** [ზუვართი], გამოვყოფთ –**თ(ა)** მრ. სუფიქსს. შდრ. ზუვარ–**თ**–**ი**<\***ზუვარ–თა**. შეიმჩნევა ჩაწერის პრობლემა. სახელის ფუძე ჩანს – **ზვარი**.

**Инисеть** [ინისეთი], –**ეთ** სუფიქსიანი წარმოება. დასაშვებია – უნუსეთი.

**Кабанъ** [კაბანი], სახელის მრ. ფორმა.

**Кабанъ** кшლ. [კაბანი, ყიშლა].

**Кабан-тарля** кшლ. [კაბან თარლა, ყიშლა].

**Казиманъ** кшლ. [ყაზიმანი, ყიშლა].

**Калконсъ** кшლ. [კალკონსი, ყიშლა]<\***კალკონისი**.

**Карабъ** кшლ. [კარაბი, ყიშლა].

**Карамъ** п. [კარამი, საგუმავო]<\***ქარამი(?)**.

**Каржи** г.[კარჟი, მთა]<\***კარჯი(?)**, შდრ. მეკარე.

**Катрикъ** [კატრიკი].

**Квабекари** გ. [ქვაბეკარი, მთა], შდრ. ქვაბიკარი||ქვაბაჲ||ქობაჲ. ქვაბიკარი სოფელია ტაოში, ელიასხევის ხეობაში. მთის სახელად იგი არ დაგვიდასტურებია.

**Кетенкь** კშლ. [კეტენკი, ყიშლა], შდრ. \*კეტენაკი.

**Киви** [კივი], დასტურდება ფორმა გივი'ც.

**Кивить** მზ. [კივითი, მეზრე], შდრ. გივითი, –ით მაწარმოებელია.

**Кирвать** მზ. [კირვათი, მეზრე].

**Кобушань** я. [ქობუშანი, დაილა]: ქობუშა–ნ–ი. შდრ. ქობუშები. ქობუშა ადამიანის საკუთარი სახელი ან მეტსახელია, უფრო – მეორე.

**Комь** რვ. დ. [კომი, ნანგრევი, სოფელი], შდრ. გომი.

**Конкь** [კონკი].

**Копь** კშლ. [კოპი, ყიშლა].

**Кортъ** г. [კორტი, მთა] <ქორთი, შდრ. ქორთა. ქართული სახელის რუსულად ჩაწერის სიძნელესთან გვაქვს საქმე.

**Котекъ** г. [კოტეკი, მთა], ოლთისშივე დასტურდება Котикъ [კოტიკი, სოფელი და ყიშლა]. ვფიქრობთ, კოტეკი და კოტიკი ერთი და იმავე სახელის ფონეტიკური ვარიანტებია.

**Котрисъ** კშლ. [კოტრისი, ყიშლა], –ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი. საძიებელია კოტრ' ფუძის მნიშვნელობა.

**Крани** რვ. კრ. [კრანი, ნანგრევი, ციხე]. შესაძლებელია, კრან' <\*ქრან' <\*ქორან' ისაგან.

**Кубадъ** (Эрюкъ) [კუბადი (ერიუკი)]. ჩანს, „კუბადი“ (კუბ–ად–ი) ძველია, ქართული, ერიუკი – ახალი, არაქართული.

**Кумръ** г. [კუმრი, მთა].

**Кялашуть** [კიალაშუთი] <\*კალაშ–უთისაგან. შდრ. კალაშ'ი, „შემოდგომის თბილი, მშრალი ქარი...“ (ნიჟარაძე, 1971).

**Кямхис-килиса** რვ.ძ. [კიამხის ქილისა, ნანგრევი, ეკლესია] < ქამხისის ეკლესიისაგან. ქამხისი ცნობილი გეოგრაფიული პუნქტია ოლთისში. რუკაზე დატანილი ასევე **Кямхисъ** კშლ. დ. [ქიამხისი ყიშლა, სოფელი]. „ქიამხისი“ „ქამხისის“ არმენიზებული ფორმა ჩანს.

**Кяркилух** (см. Хореветь) [ქიარკილუხი, იხ. ხორევეთი]. ქარკილუხი <\*ქარკილუხი [ქარკილუდი]საგან. –ლუხ||–ლულ თურქული მრ. რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსია. ხორევეთი კიდევ –ევ, –ეთ სუფიქსებით ნაწარმოები სახელური ფუძეა: ხორ–ევ–ეთ–ი||ქორ–ევ–ეთ–ი. ცალკე ქორევ'იც საინტერესო ფუძეა.

**Либи** კშლ. [ლიბი, ყიშლა]. ლიბი <\*ლიბო'საგან(?)

**Магал-мта** г. [მაღალმთა] > მაღალმთა.

**Мазонси** б. კშლ. [დიდი მაზონსი, ყიშლა]. რუკაზე იკითხება პატარა მაზონსიც.

**Мармошь** я. [მარმოში, დაილა].

**Меринесь** [მერინესი] <\*მარინესი.

**Михрель** [მიხრელი].

**Мохошь** [მოხოში].

**Назирвань** [ნაზირვანი] <\*ნამირვანი <ნამიროვანი.

**Ниакомъ** [ნიაკომი].

**Олор-су** р. [ოლორ–სუ, მდინარე], შდრ. ოლორის წყალი.

**Олор** [ოლორ'ი]. შდრ. ილორი.

**Олты** [ოლთი], ოლთისის გათურქულებული ფორმა.

**Олти-су р.** [ოლთი-სუ, მდინარე], შდრ. ოლთისის წყალი.

**Ори** [ორი]. რიცხვითი სახელი ტოპონიმად იშვიათია. საფიქრებელია აქ საქმე გვაქვს საზღვრულაკარგულ მსაზღვრელთან: შდრ. სამი ცაცხვი, სამი მუხა... გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძვ. ქართულში **ორი** აღნიშნავს „სწორს“, „უღლეულს“ (ორბელიანი, 1949).

**Ортись** [ორთისი]<\*ორთაისი>საგან. დასაშვებია, **ოლთისი**<**ორთისი**>საგან რ:ლ მონაცვლეობით.

**Ортули** [ორთული]. რუკაზე დატანილია მეორე ორთულიც, მაილა, ასევე – **Ортурь** [ორთური, ყიშლა]. ორთური>ორთულ'ს, რ-რ>რ-ლ დისიმილაციით.

**Панджуреть** [ვანჯურეთი], –ეთ' სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი.

**Панджуретский** пв. (Канли-килиса) [ვანჯურეთის ზეკარი (ყანლი ქილისა)].

**Перакись** [პერაკისი]||\*ფერაქისი.

**Перигорь** მზ. [პერიგორი, მეზრე]. სახელი კომპოზიციითაა მიღებული, მეორე ნაწილია „გორი“. „პერი“, კომპოზიტის პირველი ნაწილი, ძველ ქართულში ცნობილი ფუძეა, ნიშნავს „დეჟი“, „ქაფი“ (აბულაძე, 1973; ცინცაძე, ფაღვა, 1978: 165–166).

**Пертевань** [პერტევანი]||პერტოვანი. –ევან||–ოვან სუფიქსია, პერტ' სახელური ფუძე (შდრ. პერტია<პეტრია?).

**Пертусь** [პერტუსი], ამავე სახელწოდების ყიშლა და მაილაგაა ხუთვერსიან რუკაზე. **პერტუსი**<\***პერტუსი**<\***პეტრუსი**>საგან.

**Пертъ** я [პერტი, მაილა]. იგივე ძირია, რაც პერტევანსა და პეტრუსში.

**Пирали** г. [პირალი, მთა]. პირ–ალ–ი, –ალ სუფიქსიანი წარმოება. შდრ. ნაპირალი (ნა–ალ თავსართ–ბოლოსართია).

**Поротъ** г. [პოროტი, მთა]<\*ფოროთი. შდრ. ფოროსეთი.

**Пуруль** г. [პურული, მთა]: პურ–ულ, –ულ სუფიქსიანი წარმოება.

**Садруэ** მზ. [სადრუე, მეზრე], ძირია „დრუ“, სა–ე მაწარმოებელი. ადგილი, სადაც დრუ'ს აგროვებენ. „დრუ“ ნარჩენებია ყანის დაფარცხვის შემდეგ.

**Салачурский** пр. [სალაჩურის ზეკარი].

**Салачур-су р.** [სალაჩურ სუ].

**Салачурь** [სალაჩური].

**Салачурь** г. [სალაჩური, მთა].

ოთხი ტოპონიმია დატანილი რუკაზე „სალაჩურ“ ფუძით. სა–ურ პრეფიქს–სუფიქსი გამოიყოფა მასში, რაც მის ქართულობას გვაფიქრებინებს.

**Салтъ** [სალტი]||\*სალთი.

**Сарсысь** я. [სარსისი, მაილა], –ის სუფიქსიანი სახელი, **სარს'** ძირი.

**Сачино-сыртъ** пв. [საჩინო სირთი, ზეკარი].

**Сарухли** г. [სარუხლი, მთა]. –ლი თურქული სუფიქსია, ქართული –იან'ის ბადალი. შდრ. სარუხიანი||სარუხები.

**Светибарь** [სვეტიბარი], კომპოზიტია: **სვეტი**+**ბარი**.



**Севкярь** [სევკიარი]. რუკაზე ორი სევკიარია, ზემო და ქვემო. „სევკიარი“ სევკარ’ის გათურქულებული ფორმაა. გეოგრაფიული სახელის მეორე ნაწილია კარ’. ტოპონიმთა კარ’იანი წარმოება კიდევ ფართოდაა გავრცელებული ტაოში...

**Силахбурь** г. [სილახბური, მთა]. ტოპონიმი კომპოზიტი ჩანს, რომლის მეორე ნაწილია ბურ’ შდრ. დაბურვა.

**Сиаumberь** хр. [სიამბერი, ქედი]. სიამბერ’ში იგივე ბერ’ ძირი გვაქვს, რაც ვაჩიბერში, გოგიბერ’სა და მისთ. ფუძეებში. **სიამა’** კიდევ ანთროპონიმია, შდრ. სიამამჭვილი.

**Согомон-кала** рв. кр. [სოგომონ კალა, ნანგრევი, ციხე], ჩამწერის შეცდომა ჩანს, უნდა სოლომონ კალა. შდრ. სოლომონის ციხე.

**Сосань** кшл. [სოსანი, ყიშლა]. იქვეა ამავე სახელწოდების ნანგრევი და ციხე. **სოსანი** იგივე ზაფრანაა, *crocus spicatus*. შდრ. ჯავახ. მამლისთვალა (მაყაშვილი, 1991). აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ **სოსანი** შროშანის მნიშვნელობითაა (იხ. ვეფხისტყაოსანი, 1986:32).

**Сынарекь** г. [სინარევი, მთა].

**Тавацхурь** рв. д. [თავაცხური, ნანგრევი, სოფელი]. თავაცხური||თავაჩხური კომპოზიტი, მეორე ნაწილია ჩხურ’, იგი ლაზურია და ნიშნავს – ცხვარს (იხ. თანდილავა, 2013).

**Талахеть** г. [ტალახეთი, მთა].

**Танза-гора** мз. [ტანზა გორა, მეზრე]. ტანზაგორა შესაძლებელია იყოს ფონეტიკურად სახეცვლილი **ტანძაგორა** (**ზ:ძ** მონაცვლეობით). ტოპონიმი კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილია „ტანძა“, შდრ. ტანძია.

**Танзуть** р. [ტანზუთი, მდინარე]<\*ტანძუთი<ტანძოთი.

**Тапилярь** [თაპილარი]<\*[მ]თაპილარი.

**Таускерь** [ტაუსკერი]<\*ტაოსკარი. ფონეტიკური სახეცვლილება უფრო ჩაწერის პრობლემა ჩანს (ქართული სახელის ვერაღქმა ჩამწერის მიერ) და არა კანონზომიერება.

**Тяхть** кшл. [ტახტი, ყიშლა]. „ტახტი“ – საჯდომელი (აბულაძე, 1973).

**Темурь** мз. [თემური, მეზრე]. თემურ’ში –ურ სუფიქსია. თემური – თემის კუთვნილება, სათემო.

**Тышкарь** чк. [ტიშკარი, ქედი]<\*ჭიშკარი.

**Урекь** [ურეკი].

**Хазрань** я. [ხაზრანი, დაილა]. ნ’არიანი მრ. ფორმაა. საძიებელია **ხაზრა||ხაძრა** ფუძის მნიშვნელობა. შეიძლება ვიფიქროთ: ხაზრა-ნ’ი<ხაზარა-ნ. ხაზრა<ხაზარა მამაკაცის სახელი (მეტსახელი) ჩანს. შდრ. გვარი ხაზარაძე<ხაზარასძე.

**Хаинесь** [ხაინესი].

**Ханзь** г. [ხანზი, მთა]<\*ხანძი. **ხანძ’** ფუძეს გამოვყოფთ **ხანძთა’**შიც.

**Ханский** пв. [ხანის ზეკარი].

**Хань** рв. [ხანი, ნანგრევი].

**Ханин-талаларь** я. [ხანი თალალარი, დაილა]. ტოპონიმი „ხანის მინდვრების“ ან „ხანის ყანების“ თარგმანია. სამი ტოპონიმია ოლთისში ხან’ ფუძიანი, ერთიც – ართვინში.

**Хахкертъ** [ხახკერტი]. **ხახკერტი** კომპოზიტია, პირვენი ნაწილია **ხახ'**, მეორე – **კერტი**. ხახკერტი – ხახის ქალაქია. ხახი/ხახია მამაკაცის სახელი ჩანს, იქნებ მეტასახელიც, შდრ. გვარი ხახიაშვილი, ხახიძე.

**Хореветь** [ხორევეთი]: ხორ–ევე–ეთ'ი<ქორ–ევე–ეთ'ი. საყურადღებოა „ხორევის“ (–ევე სუფიქსიანი სახელი) ტაოში პოვნიერება.

**Хорхатль** მზ. [ხორხათლი, მეზრე]. **ხორხათ'** ქართული ფუძეა, შესაძლოა **ხორხათ'**ის ფონეტიკური ვარიანტიც, –ლი კიდევ თურქული სუფიქსი.

**Хоцкаръ** გ. [ხოცკარი, მთა]<\*ხუცკარი (შდრ. ხუცეკარი, სოფ. ელიასხევში).

**Хизнагетъ** მზ. [ხიზნაგეთი, მეზრე].

**Цумадъ** [ცუმადი]: ცუმ–ად–ი, შდრ. კითხვადი, ჭამადი...

**Чанчуръ** [ჩანჩური]<\*ჭანჭური.

**Чармагъ** კშლ. [ჩარმაგი, ყიშლა]<\*ჭარმაგი.

**Чорхутъ** კშლ. [ჩორხუთი, ყიშლა]<\*ჭორხუთი<ჭორ[ო]ხუთ (შდრ. ჭოროხი).

**Экутеръ** გ.[ეკუტერი, მთა]<\*ეგუტერი. ძვ. ქართულში ნიშნავს „ეკლესია“, „სამლოცველო“ (აბულაძე, 1973).

**Этри-килиса** კშლ. [ეგრი–ქილისა, ყიშლა], „ეგრი ეკლესიის“ თურქიზებული ფორმაა. **ეგრ'** იგივე ფუძეა, რაც **ეგრის'**ში.

**Эгнаки** [ეგნაკი], –აკ მაწარმოებელია, **ეგნ'** ძირი/

**Егес-таши** გ. [ეგეს–ტაში, მთა].

**Чханъ** კშლ. [ჩხანი, ყიშლა]. ჩხა–ნ–ი, სახელის მრ. ფორმაა. ჩხა'ს ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. კაპებიანი საკიდარი, კაჩხა; 2. ირმის დატოტვილი რქა; 3. ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად, კრჩხა (ქეგლ). დასაშვებია, სამივე მნიშვნელობასთან ჰქონდეს კავშირი აღნიშნულ გეოგრაფიულ სახელს.

**Шатиларъ** კშლ. [შატილარ, ყიშლა]. შატი–ლარ'ში –**ლარ** თურქული მრ. სუფიქსია, შატ' კიდევ იგივე ფუძეა, რაც შატბერდში.

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ „კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ მრავლადაა დატანილი ტაოს ქართული გეოგრაფიული სახელები. ბუნებრივია, ტოპონიმები, გაცილებით მეტია, ყველა მათგანი რუკაზე, მით უმეტეს ხუთვერსიანზე, ვერ დაეტეოდა. რუკის შემდგენელთა, კარტოგრაფთა ყურადღების მიღმა დარჩა მრავალი სახელი, განსაკუთრებით მიკროტოპონიმები, რომლებიც, როგორც წესი, უკეთ ინახავენ ამ მიწაზე მცხოვრებთა ნაკვალევს.

„ხუთვერსიანი რუკის“ შედგენისას, ჩანს, გეოგრაფიულ პუნქტთა ნაწილს სახელი შეცვლილი ჰქონდა: ახალ დროში თურქულით ჩაანაცვლეს ძველი ტოპონიმები. რუს კარტოგრაფებს მასალების შეკრებისას თურქული სახელები ჩაუწერიათ და შემდეგ რუკაზეც დაუტანიათ. ასეთი ტოპონიმები კი საკმაოდ ბევრია:

**Аг-дагъ** გ. [აღ–დადი, მთა].

**Аг-дашъ** გ. [აღ–დაში, მთა].

**Аг-дашъ** р. [აღ–დაში, მდინარე].

**Агджа-кала** я. [აღჯა–კალა, დაილა].

**Агит-комъ** я. [აგიტ–კომი, დაილა].

**Аг-килисийский** п. [აღ–ქილისეს საგუმზაგო].

**Аг-мезеръ** г. [აღ–მეზერი, მთა].

**Аг-топрахъ** [აღ–თოფრახი].

**Агундирка** р. [აგუნდირკა, მდინარე]. ვფიქრობთ, აქ ჩაწერის უზუსტობას, კარტოგრაფის ჩანაწერში იცვალა სახე მდინარის სახელმა. ალბათ „აგუნდირკა“ „აგუნდირია“, სოფლის სახელად რომ გვხვდება ოლთისში.

**Ай-дереси** კშლ. [აიდერესი, ყიშლა].

**Ай-дость** [აიდოსტი], **Авдость** я. [ავდოსტი, აილა]. ავდოსტი და აიდოსტი ერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელის ორი ფორმაა ჩაწერისას სახეცვლილი.

**Акрыкь** я. [აკრიაკი, აილა]. შდრ. აკრია.

**Акамять** რვ. დ. [აკამიატი, ნანგრევი, სოფელი].

**Аладжухь** კშლ. [ალაჯუხი, ყიშლა] <\*ალაჯული(?).

**Алла-гядукь** г. [ალლა-გიადუკი, მთა].

**Ардуч-хухурча** კშლ. [არდუჩ ხუხურჩა, ყიშლა].

**Арекь** კშლ. [არეკი, ყიშლა].

**Аскер-дагь** г. [ასკერ დალი, მთა].

**Бакур-пунари-гядукь** пв. [ბაკურ-ფუნარი-გიადუკი, ზეკარი]. შდრ. ბაკურის წყარო.

**Бал-кая** კშლ. [ბალ-ყაია, ყიშლა]. შდრ. თაფლისხევი.

**Барыкь** [ბარიკი].

**Бахчаджуги** [ბახჩაჯული], შდრ. ბაღები.

**Баш-кеи** я. [ბაშქოე, აილა], შდრ. თავსოფელი.

**Беджуклы** [ბეჯუკლი].

**Бердикь** კშლ. [ბერდიკი, ყიშლა].

**Боз-ехуши** [ბოზოხუში].

**Бякирь** კშლ. [ბიაქირი, ყიშლა].

**Васкуть** г. [ვასკუტი, მთა].

**Верань** რვ. კრ. [ვერანი, ნანგრევი, ციხე].

**Гасан-казы-дагь** г. [ჰასან-ყაზი-დალი, მთა].

**Гасан-су** р. [ჰასან სუ, მდინარე].

**Гатитарь** კშლ. [ჰატიტარი, ყიშლა]|| ჰათითარი (?).

**Гереклюкь** კშლ. [ჰერეკლუკი, ყიშლა].

**Гесманлы** [გესმანლი].

**Годь** [გოდი].

**Гутехрекь** я [გუტეხრეკი, აილა].

**Гусейн-ага-юртъ** г. [ჰუსეინ-აღა იურთი, მთა].

**Дагирь** [დაგირი] <\*დაღირი.

**Гюней-баши** г. [გუნეი ბაში, მთა].

**Дапос-гядуги** пв. [დაპიუს გიადუგი, ზეკარი].

**Дерн-дарь** კშლ. [დერნ-დარი, ყიშლა] <\*დერინ დარი(?).

**Дженпенс-баши** г. [ჯენპენს ბაში, მთა].

**Дюз-алань** я. [დუზალანი, აილა].

**Дюз-комь** კშლ. [დუზ-კომი, ყიშლა].

**Задгерекь** [ზადგერეკი].

**Зартман-кала** რვ.კრ. [ზართმან ყალა, ნანგრევი, ციხე]. შდრ. ზართმანის ციხე.

**Зиареть** г. [ზიარეთი, მთა]. იმავე სახელწოდები მთა ოლთისშიცაა.

**Игдаль** [იგდალი].

**Испир-оглы** [ისპიროდლი], გვარი დასტურდება ორთაბათუმში და მაჭახელშიც, სპერიდან მოსულისათვის შეურქმევიათ, ადგილისათვის ოლთისში. ჩანს, ოლთისშიც სახლობდნენ სპერიდან მოსულები (შდრ. სპერელისშვილი).

**Ичин-гуней-ташь** გ. [იჩინ გუნეი ტაში, მთა].

**Кала-диби** კშლ. [კალა დიბი, ყიშლა]. შდრ. ციხის ძირი.

**Калер-дагъ** გ. [კალერ დაღი, მთა].

**Камыш-гель** ოზ. [კამიშ გოლი, ტბა], შდრ. ლერწმის ტბა.

**Канлы-килиса** პვ. [ყანლი ქილისა, ზეკარი]. შდრ. სისხლიანი ეკლესია.

**Канлы-су** რ. [ყანლი სუ, მდინარე], შდრ. სისხლიანი მდინარე.

**Капкъ** [კაპკი].

**Кара-гюней** გ. [ყარა გუნეი, მთა].

**Кара-дашы** გ. [ყარა დაში, მთა]||\*ყარა ტაში||\*ყარა თაში.

**Кара-меша** я. [ყარა მეშა, დაილა], შდრ. შავი მუხა.

**Каратузь** [კარატუზი]<\*ყარატუზი. შდრ. შავი მარილი.

**Карнавазъ** [კარნავაზი]. ოლთისში ამავე სახელწოდების დაილადაა.

**Кегна-хелачъ** კშლ. [კეგნა ხელაჩი, ყიშლა].

**Кепри-Баши** კშლ. [კეპრი ბაში, ყიშლა].

**Кер-оглы** რვ. კრ. [ქეროდლი, ნანგრევი, ციხე], ჩაწერის პრობლემაა, შდრ. ქოროდლი.

**Кер-оглы-баши** გ. [ქეროდლი ბაში, მთა].

**Кечекъ** [კეჩეკი]<\*ქეჩეკი.

**Кечкъ** კშლ. [კეჩკი, ყიშლა]||\*ქეჩკი. ვფიქრობთ, ქეჩეკი და ქეჩკი ერთი და იგივე ფუძეა.

**Кизил-дашь** გ. [კიზილ დაში, მთა]<\*ყიზილ თაში. იქვეა ამავე სახელწოდების კლდე. „ყიზილ თაში“ ქართული „წითელი ქვის“ თარგმანი ჩანს.

**Кизил-кала** გ. [კიზილ კალა, მთა]<\*ყიზილ ყალა.

**Кизил-кей** в. [კიზილ ქომ, ზემო]<\*ყიზილ ქომ. იქვეა ქვემო „ყიზილ ქომ“.

**Кизил-килиса** [კიზილ ქილისა]<\*ყიზილ ქილისა. შდრ. ქართული „წითელი ეკლესია“.

**Кирачъ** გ. [კირაჩი, მთა].

**Кирашли-гель** ოზ. [კირაშლი გოლ, ტბა]. ვფიქრობთ, „კირაშ“და „კირაჩ“ ერთი და იგივე ფუძეა.

**Кирашли-гел-тапа** გ. [კირაშლი გოლ თაფა, მთა].

**Клыч-сыртъ** გ. [კლიჩ სირთი, მთა].

**Козларъ** გ. [კოზლარი, მთა].

**Колеръ** კშლ. [კოლერი, ყიშლა]<\*კო[ლ]ერი<\*[რ]კოდეი. შდრ. რკოები (მუხნარი).

**Комляръ** [კომლარი], სახელი მრავლობითის ფორმითაა, –ლარ სუფიქსით ნაწარმოები.

**Котер-тепе** გ. [კოტერ თეფე, მთა]

**Кошун-даги** გ. [კოშუნ დაღი, მთა].

**Кузей-комъ** კშლ. [კუზეი კომი, ყიშლა].

**Куртли я.** [კურტლი, აილა]. შდრ. მგლიანი(?)

**Курун-**баши г. [კურუნ ბაში, მთა] <\*ქურუნ ბაში.

**Курчун-**აгзы г. [კურჩუნ აღზი, მთა].

**Кибла-**дагъ г. [ციბლა დადი, მთა]. შდრ. ციბლე – „მუსლიმანური სამყაროს წმინდა ადგილის – ქაბას მხარე, საითკენაც ჩერდებიან მორწმუნენი ლოცვის დროს, სამხრეთი” (ნიჟარაძე, 1971). ციბლა დადი – სამხრეთი მთა(?). ახალი ნიშანია სახელდებისათვის გამოყენებული.

**Курд мезаръ пв.** [კურდ მეზარ, ზეკარი]. შდრ. მგლის საფლავი.

**Кюрчки** [კურჩკი].

**Кяси-**копри [ყიასი კოპრი] <\*ყიასი ქოფრი.

**Лянш-**даги г. [ლიანშ დადი, მთა].

**Магара я.** [მალარა, აილა].

**Магара-**тепеси г. [მალარა თეფესი, მთა].

**мегенкъ** [მეგენკი].

**Нариманъ** [ნარიმანი].

**Нюсюнг я.** [ნიუსუნგი, აილა].

**Нюсюнг-**баши г. [ნიუსუნგ ბაში, მთა].

**Нюсюнг** [ნიუსუნგი].

**Огдадаб** [ოღდადაბი].

**Пагиръ** [პაგირი].

**Пагиръ я.** [პაგირი, აილა].

**Парагюн-**дагъ г. [პარაგიუნ დადი, მთა].

**Пернякъ** [პერნიაკი].

**Петкуч-**баши г. [პეტკუჩ ბაში, მთა].

**Пиринджгаръ** რვ. დ. [პირინჯგარი, ნანგრევი, სოფელი].

**Посикъ я.** [პოსიკი, აილა].

**Посикъ** [პოსიკი].

**Сакал-**тутанъ г. [საკალტუტანი, მთა] <\*საქალთუთანი(?).

**Салпер-**сыртъ пв. [სალპერ სირთი, ზეკარი].

**Салкъ г.** [სალკი, მთა].

**Салым-**башъ г. [სალიმბაში, მთა].

**Сехчекъ** [სეხჩეკი].

**Сехчекъ я.** [სეხჩეკი, აილა].

**Сигногъ** [სიგნოგი]||\*სიღნოღი. შდრ. „სიღნაღი”, დასაშვებია, კარტოგრაფის მიერ ჩაწერისას დაშვებულ შეცდომასთან გვაქვს საქმე, გეოგრაფიული სახელი „სიღნაღი” უნდა იყოს.

**Сусуз-**даги г. [სუსუზ დადი, მთა]. შდრ. უწყლო მთა.

**Сусузь** კშლ. [სუსუზი, ყიზლა]. თ. **სუსუზი** ქართულად უწყლოს ნიშნავს. ჩანს, ახალი ნიშანი შეარჩიეს გეოგრაფიული პუნქტის სახელდებისათვის.

**Симирдонъ** [სიმირდონი].

**Схан-**ташъ ск. [სხან ტაში, კლდე].

**Такир-**дагъ г. [თაკირ დადი, მთა].

**Тамрутъ** р. [თამრუთი, მდინარე].



**Тамруть** რვ. ც. [თამრუთი, ნანგრევი, ეკლესია].  
**Тамруть** [თამრუთი].  
**Тандирлу** გ. [თანდირლუ, მთა]||\*თანდირლი.  
**Таш-башь** я. [ტაშ ბაში, დაილა]. სიტყვასიტყვით „ქვის თავი“, ახალი ნიშანია შერჩეული სახელდებისათვის.

**Ташли тепе** г. [ტაშლი თეფე, მთა]. შდრ. „ქვიანი ბორცვი“.  
**Терпангъ** см. Топрангъ [თერპანგი, იხ. თოპრანგი].  
**Топ-ели** пв. [ტოპ ელი, ზეკარი] ||\*თოფეოლი(?).  
**Топранг Авдотский** [თოპრანგი ავდოსის].  
**Топранг Бардусский** [თოპრანგი ბარდუსის].  
**Топранг** я. [თოპრანგი, დაილა].  
**Топрах кала** [თოპრახ ყალა].  
**Угурлы-дагъ** г. [უღურლი დადი, მთა].  
**Укямъ** [უკიამი].  
**Ункер-чай** р. [უნკერ ჩაი, მდინარე]||\*უნქერ ჩაი.  
**Ходжалы-полаки** г. [ხოჯალი პოლაკი, მთა].  
**Хоросанъ** г. [ხოროსანი, მთა].  
**Хотутагъ** кшл. [ხოთუთადი, ყიშლა].  
**Хизнапусъ** мз. [ხიზნაპუსი, მეზრე].  
**Цимикларъ** мз. [ციმიკლარი, მეზრე].  
**Чакир-баба** г. [ჩაქირ ბაბა, მთა]. ახალი ნიშანია მთის სახელდებისათვის.  
**Чамурлы** я. [ჩამურლი, დაილა].  
**Чамурлы дагъ** г. [ჩამურლი დადი, მთა]. „ჩამურლი“ ხომ არაა ქართული „სატალახე“ თარგმანი? გეოგრაფიული სახელი **სატალახე** დასტურდება მექართულე ტაოშიც.

**Чамбар-дагъ** [ჩამბარ დადი, მთა]. ამავე სახელწოდების მეორე მთაცაა რუკაზე.  
**Чахмах-таш-тепе** г. [ჩახმახ ტაშ თეფე, მთა].  
**Чермукъ** [ჩერმუქი].  
**Чилхорозъ** г. [ჭილხოროზი, მთა].  
**Ширакъ** რვ.კრ. [შირაქი, ნანგრევი, ციხე].  
**Шуготъ** кшл. [შუგოთი, ყიშლა].  
**Ясахъ** г. [დასადი, მთა].

ტაოს რამდენიმე გეოგრაფიული სახელი გვხვდება ნ.მ შუგუროვის ნარკვევში „სახელის ქართული მონასტერი“ (იხ. შუგუროვი, 2015:19):

**ვანქი** (ოშკი),  
**ბორხალი** (შდრ. პარხალი),  
**ხახული/ხოხუდი**<sup>8</sup>.

<sup>8</sup> აქვე მოვიყვანო ნ. შუგუროვის ერთ დაკვირვებას: თურქულ ქალაქ ისპირის სახელწოდება დღემდე ინარჩუნებს ქართულ წარმოთქმას „ესპირი“ (ბუნებრივია, „ესპირი“ არაა ქართული გამოთქმა, თურქული „ისპირის“ ფონეტიკური სახესხვაობაა მხოლოდ – ავტ.), მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა „... თავისთავს თურქებად თვლიან, თუმცა უმატებენ, რომ უღელტეხილს იქითა მხარეს, ჭოროხის

შუგუროვი იყენებს ფორმებს: **ვანქი** (ომკის სომხურ სახელწოდებას, შდრ. ომკვანქი), **ბორხალი**, **ხოხუდი**. ბოლო ორი ფორმა სხვათა ჩანაწერებში არ შეგვხვებოდა.

„კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილ გეოგრაფიულ სახელთა ნაწილი სომხურია (ერთი შეხედვით მაინც), ან გასომხურებული, და ეს ბუნებრივია, რამდენადაც ტაოში სომხური მოსახლეობის კვალი ხელშესახებია, თუმცა, მრავალი ფაქტის გათვალისწინებით, ვიტყვი, რომ სომხები არ არიან ტაოს ავტოქტონური მოსახლეობა, ისინი მოსულები არიან სხვა „ქვეყნებიდან“. რაოდენობრივად ტაოში სომხური ტოპონიმები მცირეა, ვიდრე ქართული თუ თურქული (გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი, ჩვენს მიერ სომხურად მიჩნეული გეოგრაფიული სახელი, შესაძლებელია არცაა სომხური...). ესეც რაღაცის მანიშნებელია.

**Арсенякъ** я. [არსენიაკი, ააილა]. შდრ. ქართული **არსენაული**.

**Анзовъ** [ანზოვი].

**Анзов-багларъ** г. [ანზოვ ბაღლარი, მთა].

**Бок-теқяръ** я. [ბოკ ტეკიარი, ააილა].

**Ваконсъ** я. [ვაკონსი, ააილა].

**Ванакна** [ვანაკნა].

**Ванкъ** [ვანქი].

**Ванкъ** рв.кр. [ვანქი, ნანგრევი, ციხე]. ვანქი, ჩვენი აზრით, არმენიზებული **ვანია**. **ვანი** კიდევ კარგად ცნობილი სახელური ფუძეა ქართულში: „სადგომი“, „სახლი“, „დაბა“, „საცხოვრებელი“, „მონასტერი“, საყოფელი, ბუნაგი (აბულაძე, 1973). ივ. იმნაიშვილის მიხედვით, **ვანი** ასევე ნიშნავს „ოჯახი“, „ოჯახობა“, „ჯალაბობა“ (იმნაიშვილი, 1949). „ვანქი“ ქართულ „ვანზე“ სომხურის ძალადობის შედეგია.

**Вартануть** [ვართანუთი]. შდრ. **ვარდანეთი**. **ვართანეთი** **ვარდანეთის** არმენიზებული ფორმაა.

---

მიღმა, ცხოვრობენ ასეთივე, მაგრამ გურჯების ენაზე მოლაპარაკე თურქები (აქ თურქში მუსულმანი იგულისხმება – ავტ.). მე მისახელებენ რამდენიმე მოხუც თურქს, ოდითგანვე მცხოვრებს ხახულში, რომელთაც ასევე შეეძლოთ ქართულად ლაპარაკი” (შუგუროვი, 2015:29). საყურადღებოა ავტორის შემდგომი მსჯელობაც: „... ჩემმა ჯარისკაცმა, შავლიაშვილმა, ადგილობრივ თურქულ კილოვანებაში აღმოაჩინა რამდენიმე ქართული სიტყვა” (შუგუროვი, 2015:29–30) და შენიშვნა: „ადგილობრივებმა არ იციან, რომ ოდესღაც ისინი ქრისტიანები და არსებითად, ქართველები იყვნენ”; დაბოლოს: „... ადგილობრივი მოსახლეები არიან პირდაპირი ჩამომავლები ძველი ქართველი ქრისტიანებისა, ვინც ტაოში (ტაოსკარი) კათალიკოს მოსეს დევნას გაექცა, რომელმაც არ ცნო ქალკედონის კრების გადაწყვეტილება” (შუგუროვი, 2015:30). მკვლევრისათვის მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ნ. შუგუროვის ნარკვევში, ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ დაახლოებით 120 წლის წინ ხახულში ქართულის მცოდნე მოხუცები ჯერ კიდევ იყვნენ, სხვაგვარად, ცოტა უფრო ადრე, ხახული მექართულე სოფელი იყო.

**Гечи-комъ** კშლ. [ქეჩი კომი, ყიშლა].

**Гогыкъ** მზ. [გოგოკი, მეზრე]. აქაც სახელზე ძალადობის კვალი იკვეთება. გოგი ქართულია, სომხურად გამოითქმის – გაგი, გაგოკი.

**Джакхось** კშლ. [ჯახკოსი, ყიშლა].

**Джулакеръ** [ჯულაკერ].

**Дълиан-комъ** я. [დილიან კომი, დაილა].

**Исадзоръ** [ისადორი]. შდრ. ისასხევი.

**Камсоръ** г. [კამსორი, მთა].

**Кейванкъ** [კეივანქი]||\* ქეივანქი.

**Келсоръ** მზ. [კელსორი, მეზრე].

**Кинепось** [კინეპოსი].

**Косоръ** [კოსორი].

**Леспекъ** (лестникъ) [ლესპეკი (ლესტნიკი)].

**Леспекъ** г. [ლესპეკი, მთა].

**Митиндеръ** [მიტინდერი].

**Митиндеръ** я. [მიტინდერი, დაილა].

**Малакезъ** [მალაქეზი].

**Мезгерекъ** კშლ. [მეზგერეკი, ყიშლა]<\*მეზღერეკი(?).

**Норпетъ** [ნორპეტი].

**Пирданось** [პირდანოსი]||\*ფირდანოსი?

**Парасоръ** [პარასორი].

**Паракез-хосоръ** [პარაკეზ-ხოსორი].

**Панаскертъ** в. [ფანასკერტი, ზემო]. **ფანასკერტი** **ფანასეთის** (ვახუშტი ბატონიშვილი) არმენიზებული ფორმა ჩანს.

**Панаскертъ** н. [ფანასკერტი, ქვემო].

**Панаскертъ-чай** р. [ფანასკერტის წყალი, მდინარე].

**Пенякъ** [პენიაკი]. **პენიაკი ბანაკ** ის, **ბანას** არმენიზებული ფორმა უნდა იყოს.

**Пенякъ** р. [პენიაკი, მდინარე].

**Сехдзоръ** [სეხძორი].

**Сигдасоръ** [სიგდასორი]||\*სილდასორი.

**Сигдасоръ** я. [სიგდასორი, დაილა].

**Сыхсуръ** я. [სიხსური, დაილა].

**Теджерек-Нариманский** [თეჯერეკი ნარიმანის].

**Тиритесь** კშლ. [ტირიტესი, ყიშლა].

**Тохли-комъ** [თოხლი კომი]. **თოხლი** საბას განმარტებით „სხვათა ენაა, ქართულად **ბუწი** ჰქვიან” (ორბელიანი, 1949), თუმცა რომელი ენაა, ლექსიკოგრაფი არ ამბობს. **ბუწი** შეაქვს ლექსიკონში და გვაგზავნის **თოხლთან**.

**Тохли-комъ** კშლ. [თოხლი კომი, ყიშლა].

**Тотмасоръ** კშლ. [ტოტმასორი, ყიშლა].

**Эказоръ** კშლ. [ეკაზორი, ყიშლა].

**Эзность** [ეზნოსი].

**Эзность** я. [ეზნოსი, დაილა].

**Эрюкъ** [ერიუკი].

**Эрюкь** (Кубадь) [ერიუკი (კუბადი)].

**Эрюкь** კიშლ. [ერიუკი, ყიშლა].

**Эрюкь** я. [ერიუკი, ძაილა].

**Хекерт-дагь** г. [ხეკერტ დადი, მთა].

**Хосорский** п. [ხოსორის ზეკარი].

**Хосорь** [ხოსორი].

**Хошаваз** კიშლ. [ხოშავაზი, ყიშლა].

**Хошаваз** рв. кр. [ხოშავაზი, ნანგრევი, ციხე].

**Шамкось** [შამკოსი].

**Чохсорь** [ჩოხსორი].

სამოცამდე გეოგრაფიული სახელი მივიჩნიეთ სომხურად ოლთისის ტოპონიმიში. ქართულისა და თურქულის ფონზე არაა დიდი რიცხვი, თუმცა, ფაქტია, მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს იგი. სხვადასხვა ეთნოსის კვალი ტაოს მიწაზე განსაკუთრებით კარგად გამოჩნდება მიკროტოპონიმიში. ამიტომაც, ვფიქრობ, ზედმიწევნით უნდა აღიწეროს „ქვეყნის“ მიკროტოპონიმი. მაკროტოპონიმი შეიძლება შეიცვალოს, ახალი ნიშნით ახალი სახელი ეწოდოს, მიკროტოპონიმის ასეთი ცვლილება ვერ ხერხდება, თუნდაც სიმრავლის გამო. გვხვდება ასეთი შემთხვევებიც: გვეუბნებიან სოფლის სახელს, მაგრამ მიკროტოპონიმი საერთოდ არ იცის სოფელმა. რით შეიძლება აიხსნას ფაქტი? ვფიქრობთ, მოსახლეობა მთლიანად შეიცვალა სოფელში, ძველი – წავიდა, ახალი – მოვიდა, სოფელს ახალმა პატრონმა ახალი სახელი უწოდა, მაგრამ „ადგილებზე“, ყანებსა და ბაზჩებზე სახელები დღემდე არ შეურჩევია.

\*\*\*

რამდენიმე უცხოური წყაროდან ამოვკრიბეთ და ერთად მოვუყარეთ თავი ტაოს ტოპონიმიკურ მასალებს. პირველივე შეხედვით ნათელი იყო, რომ როგორც ოსმალური, ისე რუსული დამწერლობა სრულიად უვარგისი იყო ქართული (ზოგჯერ სხვა) გეოგრაფიული სახელების ჩასაწერად: განსხვავებული ბგერითი შედგენილობა თავის ასახვას პოულობდა ჩაწერილ მასალებში. ვერც ოსმალურ მოხელეები და რუსი კარტოგრაფები აღმოჩნდნენ „კარგი მსმენელები“, ხშირად უჭირთ მათ სახელის სწორად აღქმა, რაც შესაბამისად აისახება დაწერილობაში. მიუხედავად ყველაფრისა, საერთო სურათის გასააზრებლად მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს უცხოურ წყაროებში დაცული ტაოს ტოპონიმიკური მასალა. გაითვალისწინოს თუნდაც იმიტომ, რომ მათ მიერ აღწერილი ბევრი გეოგრაფიული პუნქტი დღეს აღარ არსებობს, დავიწყებას მიეცა მისი სახელიც, წერილობითმა ძეგლებმა შეინახეს მხოლოდ. ასეთი კიდევ არცთუ მცირეა ისტორიული ტაოს (და არა მარტო) ქვეყანაში. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი: მრავალი დასახლებული პუნქტის მოსახლეობა მთლიანად შეიცვალა ახალ დროში: ძველის ნაცვლად ახალი მოვიდა. ახალმა პატრონებმა ახალ საცხოვრისს ახალი ნიშანი მოუწახეს და ახალი სახელი უწოდეს, ძველი მხოლოდ ძეგლებმა დაიცვეს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა იმაში, რომ ახალმოსახლეობამ არ იცის „მშობლიური სოფლის“ მიკროტოპონიმი, რასაც კარგად ამჩნევს მკვლევარი: სოფელში მისულს ინფორმატორი გეუბნება, რომ აქ „სომხები ცხოვრობენ“, და როდესაც ადგილის სახელებს კითხულობ, ახალთან ერთად ძველსაც გისახელებენ. კითხვაზე: ეს ხომ

ქართული სახელებია, თქვენ საიდან იცით? გპასუხობენ: აქ სომხებთან ერთად ქართველებსაც უცხოვრიათ, მათგან ვიცითო. სურათი ნათელია: სოფლის ძველი მოსახლეობა ქართულია, სხვები შემდეგ მოვიდნენ. ძველის ნაკვალევი ჯერაც ეტყობა მიწას, ძველის ხსოვნას ინახავს სოფელიც.

სხვა სოფელში იმავე კითხვაზე გიპასუხებენ: ძველი სახელები არ არის, სულ ესაა. კითხვაზე, სოფლის ყანა-ბახჩებს, ხევებს... სახელი არ აქვს? გპასუხობენ: არა! ყანა, ბახჩა, ღელე და... სურათი ამჯერადაც ნათელია: მოსახლეობა ახალია, ძველის ხსოვნა საერთოდ არაა, და, რაც მთავარია, წაშლილა ძველის კვალი ახალსოფელში.

ორივე შემთხვევაში ისტორიული წყაროების მოშველიება სწორი დასკვნების საიმედო გზაა.

და მაინც, რა გვიჩვენა მასალებმა? გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია:

– ტოპონიმიკური მასალის ანალიზით ჩანს, რომ ისტორიულად ტაოს აბორიგენი მოსახლეობა ყოფილა ქართველები, თუმცა „მიწას ეტყობა” სხვა, განსაკუთრებით სომეხთა კვალიც.

მოსახლეობის „სომხური ფენა” საჭიროებს ზოგიერთ დაზუსტებას, კერძოდ: როგორც ხშირად ხდება, მოსახლეობა იმ ერის კუთვნილებად აცხადებს თავს, რომლის რელიგიასაც აღიარებს. ჩანს, ოსმალეთის პერიოდში, ზოგჯერ ადრეც, ტაოელთა ნაწილმა სომხურ ეკლესიას შეაფარა თავი და „გასომხდა”. სხვაგვარად ვერ აიხსნება: სოფლის სახელი ქართული, მიკროტოპონიმია – ქართული, სოფლის ეკლესია – ქართული, მოსახლეობა – სომხური.

ზოგიერთ ყოფილ ქართულ სოფელში ჩანს საკუთრივ სომხური მოსახლეობაც, აქ იკვეთება ერთი ტენდენცია: ახალმოსახლებები „ძალადობენ” გეოგრაფიულ სახელებზე, ასომხურებენ მას, ყველა შემთხვევაში სომხურ ჟღერადობას აძლევენ.

დაბოლოს, ტაოში ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მოსული ძველი სომხური კვალიც ჩანს, რაც გასათვალისწინებელია.

– ოსმალთა მიერ ტაოს დაპყრობის შემდეგ კიდევ ერთი ტენდენცია გამოიკვეთა: ოსმალებმა, უპირატესად, გადასახადების შეწერის მიზნით, დაიწყეს ტაოს (ისევე როგორც სხვა დაპყრობილი ქვეყნების) სოფლების აღწერა: აღრიცხავდნენ სოფლის მოსახლეობას, მათ რელიგიურ კუთვნილებას, შემოსავლებს, შესაბამისად აწერდნენ გადასახადებს. ოსმალურ დავთრებში იკითხება ტაოს სოფლების სახელები, ჩაწერილი კონსონანტური დამწერლობით, ხშირად ფონეტიკურად სახეცვლილი.

მომდევნო ეტაპზე ჯერ ოსმალებმა, შემდეგ თურქეთის სახელმწიფომ დაიწყო ძველი გეოგრაფიული სახელების ახლით შეცვლა. პროცესი გარკვეული კანონზომიერებით მიმდინარეობდა. იკვეთება რამდენიმე ტენდენცია:

– ძველ სახელს აძლევენ თურქულ ჟღერადობას, ასე იქცა ოლთისი – ოლთუთ, ოშკი – ოშქად...

გამჭვირვალე გეოგრაფიულ სახელებს პირდაპირ თარგმნიან თურქულად: ციხისძირი – ყალე დიბი, ვაშლოვანი – ელმალი...

ზოგჯერ სახელმდებელი გეოგრაფიული პუნქტის მახასიათებელ ახალ ნიშანს არჩევენ, ასე ქმნის ძველის სანაცვლოდ ახალს...



ტაო (ჭოროხის ხეობა ზოგადად) აღწერეს რუსმა კარტოგრაფებმა „კავკასიის ხუთვერსიანი რუკისათვის“. რუკაზე დატანილია ტაოს სამ ასეულზე მეტი გეოგრაფიული პუნქტი. იკვეთება შემდეგი სურათი:

– ჩანს, ხუთვერსიანი რუკის შედგენისას ტაოს ბევრ გეოგრაფიულ პუნქტს სახელი უკვე შეცვლილი ჰქონდა.

– რუსულ ჩანაწერებშიც ჩანს სახელზე „სომხური ძალადობის“ კვალი.

– იკვეთება ჩაწერის რუსული სიმნელებიც.

ვფიქრობთ, ჩვენი ექსპედიციის მიერ მოპოვებული ტოპონიმური მასალების წერილობით წყაროებთან შეჯერებით ტაოს ისტორიული გეოგრაფიის დამაჯერებელი სურათი დაიხატება.

### **§3. ტაოს ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი**

ტაოს ტოპონიმის წერილობითი წყაროების განხილვის შემდეგ გადავიდეთ ტოპონიმთა სტრუქტურულ ანალიზზე. გამოვყოფთ შემდეგ ჯგუფებს:

ა. უაფიქსო ტოპონიმები;

ბ. ოდენპრეფიქსური წარმოება;

გ. ოდენსუფიქსური წარმოება;

დ. პრეფიქს-სუფიქსური წარმოება;

ე. კომპოზიციის გზით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

ვფიქრობთ, არსებული მასალის სათანადო შესწავლა მოგვცემს ზოგიერთი დასკვნის საშუალებას, უპირველესად ტაოს ძველი მოსახლეობის შესახებ.

**3.1. უაფიქსო ტოპონიმები.** ტაოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ტოპონიმთა ერთი ნაწილი უაფიქსოა.

**3.1.1. ხმოვანფუძიანი ტოპონიმები.** ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები შედარებით მცირეა, თუმცა მაინც მოიპოვება.

ა: **წოვა** (ჭიმჭიმი). დასტურდება პარალელური ფორმაც - **ზოვარ**. ამოსავალი გვგონია **წოვა**, **ზოვარ** ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია, **წ:ზ** მონაცვლეობით და **რ**ს განვითარებით. თუმცა შეიძლება სხვა ახსნაც.

**გაღმა** (ელიასხევი), **ყიშლა** (უტავი), **ყიშლა** (არჯევანი), **ქილისა** (არჯევანი).

**ქილისა** ნაეკლესიარია არჯევანში, ბუნებრივია, გვიან შერქმეული სახელი, უფრო ოსმალობის პერიოდში. სხვა სახელიც ქვია ამ ადგილს - **გაავრუმ დუზი** (ურჯულოთა ველი). ეს უკანასკნელიც მეორეული სახელია, ძველი - დღეს აღარ ახსოვთ. ერთი კია, **ქილისა** და **გაავრუმ დუზი** მაჩვენებელია, რომ აქ ეკლესია, ტაძარი იდგა, გაავრუმის (მუსლიმანთათვის - ავტ.) სამლოცველო.

ე: **გესმანე** (ოლური), **არიჩე** (<\*არიჯე), **ოგეჩე** (ფანასკერტი), **დუბე** (უტავი), **ვაკე** (წოდწყალი), **ვაკე** (ესენდალი), **ვაკე** (ბალხიზარი), **ვერანე** (ელიასხევი), **ჩივიე** (ოლური), **ორე** (ოლური).

ეზე დასრულებული ათი სახელური ფუძე ჩაგვიწერია სხვადასხვა დროს ტაოში. ვფიქრობთ, ყველა მათგანში ე ფუძისეულია.

ოლურის რაიონში ჩავიწერეთ **გესმანე**, ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **გესმანლი**, ოღონდ ოლთისში. ძნელი არაა ამ ორი ტოპონიმის იდენტიფიკაცია, ორივეს ერთი ფუძე აქვს (**გესმანე**): **გესმან-ლი**ში -**ლი** თურქული სუფიქსია, ქართული -**იან**, -**ნარ** სუფიქსების ზადალი. ამდენად, **გესმანლი** **გესმანეს** თურქიზებული ფორმაა.

**ვერანე** ელიასხევში დასტურდება. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **ვერანი**, ოღონდ მითითებულია ოლთისი. **ვერანა**ს ერთ-ერთი მნიშვნელობაა გავერანებული, აოხრებული, გაპარტახებული (**ნიჟარაძე, 1971**). **ვერანე/ვერანი** სწორედ გაპარტახებული, გავერანებული, აოხრებული ადგილია. ასეთი ადგილი კი ოლთისშიც შეიძლება იყოს და ელიასხევშიც, სხვაგანაც.

ჩვენმა ექსპედიციამ ოლურში ჩაიწერა **ორე**, ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **ორი**, ოღონდ ოლთისში. ოლურის **ორე** და ოლთისის **ორი** საერთო ფუძეა, **ორე/ორი**, ოღონდ ერთი ხმოვანი დაბოლოებითაა, მეორე - თანხმოვნით (შდრ. **ვერანე/ვერანი**).

**დუბე** - შ. ნიჟარაძეს სალექსიკონო ერთეულად გამოტანილი აქვს **დვიბე/დუბე**, „კარგი, მოხერხებული, მისადგომი საყანე, მიწა, სადაც ქარი არ უდგება“ (**ნიჟარაძე, 1971**). სულხან-საბა **დუბეს** ასე განმარტავს - დაბალი ადგილი (ორბელიანი, 1949. შდრ. ქეგლი; ჩუბინაშვილი, 1961; ჩუბინაშვილი, 1984). **დუბეს** განსხვავებულ მნიშვნელობას აფიქსირებს ქ. მოწენიძე იმერულში: 1. ჩავარდნილი ადგილი; დაბლობი, ჩადაბლება. 2. ჩავარდნილი, დაცემული ადგილი, სადაც წყალი დგება (მოწენიძე, 1974).

ვფიქრობთ, ტაოური **დუბე** იგივეა, რაც აჭარული **დუბე/დვიბე**, დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს მას იმერულშიც. და, რაც მთავარია, **დუბე** ქართულია.

ი: ი'ზე დაბოლოებულ ფუძედ მივიჩნევთ ტოპონიმს **ისი** (უზუნდერე).

საბას **ისი** განმარტებული აქვს, როგორც **იგი** (უთითებს: მეფე 17,26. იხ. **ორბელიანი, 1949**). ჩვენთვის საყურადღებოა ნ. ჩუბინაშვილისეული განმარტება: **ისი, ის** - ითქმის მიდმასთვის, ხოლო ახლოსთვის **ესე**... (ჩუბინაშვილი, 1961).

**ისი** იცის ძველმა ქართულმაც. ილ. აბულაძის განმარტებით, **ისი** „იგი“ (ნაწევარი) და მოიყვანს ნიმუშებს: სისხლი **ისი** მახვლისაჲ არს O,IV მფ. 3,23; რაჲ არს ადგილი **ისი**, რომელი ჩანს? O მფ.28,17... (აბულაძე, 1973).

ვფიქრობთ, ტოპონიმად ნაცვალსახელური ფუძეა გამოყენებული და აღნიშნავს ადგილს, რომელიც ჩვენგან შორსაა.

ო: **ფოსო** (ხერმუთი), **ფოსო** (წითლევკარი), **ფოტორო/ფოთორო** (არჯევანი), **ფოსტო/ფოსო** (მთა), **ახო** (ბასლევკარი), **ფირიალო** (ბალხიბარი), **ბოზალო** (<\*ბოძალო?), **კალო** (ფანასკერტი), **ჯირო** (ხერმუთი).

დასახელებული ტოპონიმები საინტერესოა, თუნდაც იმიტომ, რომ ნაწილი მექართულე ტაოშია ჩაწერილი, ნაწილიც - მეთურქულეში, და, რაც მთავარია, ყველა ქართულია, თუმცა ატყვია თურქული ენის კვალი, უფრო ინფორმატორის გამოთქმას: **ფირიალო** (შდრ. ფრიალო), **ბოზალო/ბოძალო** (ზ:ძ მონაცვლეობა, შდრ. **ბოძალი**). მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეთურქულე ფანასკერტში ახსოვთ **კალო**, ხერმუთში - **ფოსო**, არჯევანში **ფოტორო/ფოთორო**.

**ფოსო** - სულხან-საბას განმარტებით **ფოსვი** - „მცირე დაღრმობილი“ (ორბელიანი, 1949).

**ფოსო, ფოსოვი** - მცირედ დაღრმავებული ადგილი, ямина, ухап (ჩუბინაშვილი, 1961; შდრ. ჩუბინაშვილი, 1984).

მაშასადამე, **ფოსო** მცირე **ორმოა, ღრმული**.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტაოურში დღემდე არ დაგვიდასტურებია **ფოსო** **ორმოს** მნიშვნელობით, ტოპონიმმა დაიცვა იგი.

**ფოტორო//ფოთორო** საბას განმარტებით **ფლატეა** (ორბელიანი, 1949).

**ფოტორო//ფოთორო**ს უფრო ვრცელი განმარტებაა ალ. ლლონტთან: 1. იმერ. ლეჩხ. **ფუყე, უგულო** (ი. ქავთ.); ზეზე დამპალი ხე, ნ. ფუტურო (მ. ალავე). 2. მესხ. ნიადაგადაცლილი ხრიოკი ადგილი მდინარის ნაპირებსა და ხევ-ღელეუბში, ფლატე, დახრამული ადგილი (ი. მაის.), ფლატე (ლლონტი, 1984). ტაოური **ფოტორო//ფოთორო** სწორედ მეორე მნიშვნელობას უკავშირდება<sup>9</sup>.

**ბოზალო**/**ზოძალო**საგან. სახელის მნიშვნელობა ნათელი არაა. აღვნიშნავთ, რომ ქართულმა კილოებმა იცის **ბოძალი** რამდენიმე მნიშვნელობით:

1. საბოძე ხე, ხის თავზე ორი ტოტია, ორივეს თანაბარი სიმსხო აქვს (ლეჩხ. მ. ალავე.).

2. ლახვარი, ორპირი ისარი (გურ. გუდამაყ.).

3. ერთად მოჭრილი ორი ხე (რაჭ. შ. ძიძ.) (იხ. ლლონტი, 1984).

საყურადღებოა, რომ **ბოძალ** თანხმოვანფუძიანია დიალექტთა ერთ ჯგუფში, ტაოურში - ხმოვანფუძიანია.

**ჯირო** - იგივე ხომ არაა, რაც ჯიროლა - პატარა ბეღელი (ორბელიანი, 1949), „ბეღელი, საცავი მარცვალთა, житница (ჩუბინაშვილი, 1984).

ვფიქრობთ, ჩვენი ვარაუდი საფუძველს მოკლებული არაა და აქვს არსებობის უფლება.

**უ: ყალუ** (ოლური), **სექუ/სექო** (ხერმუთი).

ორიოდე გეოგრაფიული სახელი ჩაგვიწერია ტაოში უზე დაბოლოებული.

**ყალუ** იგივე **ყალო** ხომ არაა? ეს უკანასკნელი დასტურდება იმერულში და ნიშნავს **აყალო**, წითელ მიწას (ლლონტი, 1984).

**სექუ/სექო** შეიძლება დაუკავშირდეს თურქულ **seki** ფუძეს, რომელიც ასეა განმარტებული: „... ძველებურ, ძელურ სახლებში მთელი კედლის გასწვრივ მიშენებული ტახტი...“ (ნიჭარაძე, 1971; ლლონტი, 1984). თუ ასეა, მაშინ **სექუ/სექო** ტახტის (სექვის) მაგვარი ადგილია.

ყველა ხმოვანზე დასრულებული გეოგრაფიული სახელები დადასტურდა ტაოში, რომელთა უმეტესობა ქართულია და ანალოგიური ფუძეები დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც.

**3.1.2. თანხმოვანფუძიანი სახელები.** ტაოში თანხმოვანფუძიანი უაფიქსო გეოგრაფიული სახელები გაცილებით მეტი დადასტურდა, ვიდრე ხმოვანფუძიანი, რაც ბუნებრივია. მაგალითები:

**ნ. ავაზან**’ი (ჩევრელი), **ავაზან**’ი (უტავი), **ხარმან**’ი (შდრ. კალო. ჩევრელი), **ვან**’ი (ზღაფორი), **ვან**’ი (იუსუფელი), **ზივინ** (შდრ. ზვინი. ორუქი), **არჯევან**’ი სოფელი და ხევი, პარხლისწყლის მარცხენა შენაკადი), **ანკლან**’ი, **ხათუნ**’ი, **უბან**’ი (ზღაფორი),

<sup>9</sup> აჭარულში დასტურდება **ფუტურო**, მცენარის ვარჯში გაჩენილი ღრმული.

**მადენი** (უტავი), **ჰირსანი**/**ხირსანი** (ტყე, ესბევი), **ვარშინი** (თორთუმში), **სიმირდონი** (ოლთისი).

მოყვანილი გეოგრაფიული სახელების ფუძე მთავრდება **ნ'** სონანტზე. მნიშვნელოვანია, რომ ტოპონიმთა უმეტესობა ქართულია, გვხვდება არაქართული სახელებიც:

**ვარშინი** - სომხურიაო, ქართულად ქვესოფელს ნიშნავს. იქნებ **ქვესოფელის** // **ქოსოფელის** თარგმანია **ვარშინი**?

თურქული სახელებია **ხათუნი**, **მადენი**, **ჰირსანი**/**ხირსანი**, **სიმირდონი**. ვფიქრობთ, თურქული ფენა ტაოს ტოპონიმიაში ახალია, მეორეულია, გვიან შექმნილი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ადგილის მკვიდრთ არ ახსოვთ „ძველი“, ისტორიული სახელი, რისი მთავარის მიზეზიც მოსახლეობის ცვლაში უნდა ვეძიოთ. ზოგადი სურათი ასეთია: თუ რომელიმე სოფლის მოსახლეობა გამუსლუმანებული ქართველებია, აბორიგენი მოსახლეობა, სოფელმა იცის ადგილის ძველი სახელები, ტრადიციები, ყოფის ზოგიერთი ელემენტი. სხვაგვარად: ისტორიულ მესხიერებას ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც, შეუნახავს ძველი ყოფის ნიშნები; თუ სოფლის მოსახლეობა ახალია, ძველის კვალი საერთოდ არ არის, იციან ახალი ამბები, ადგილის ახალი სახელები, ზოგჯერ გეუბნებიან, ყანას, ბახჩას, საძოვარს სახელები არ აქვსო...

**ავაზანი** - წყლის სადგურია, ავზია (ორბელიანი, 1949). იგი იცის მესხურმა, შავშურმა, აჭარულმა, ოღონდ დიალექტებში მას ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:

„დიდი გეჯა, ხის მოგრძო ვარცლი პირუტყვისათვის წყლის სასმელად“ (ქდ, 653; ნიჟარაძე, 1971; მაისურაძე, 1954; შდრ. ქეგლ).

**ხარმანი** - ქართული **კალო**ს თარგმანი ჩანს. თავად **ხარმანი** სპარსულია, შესაძლოა, თურქულის გზით სამხრულ კილოებში შემოსული.

**ვანი** - სადგომია საბას განმარტებით (ორბელიანი, 1949). **ვან'** ფუძე გამოიყოფა **სავანე**შიც. ძველ ქართულში **ვანს** რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: სადგომი, „სახლი“, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერი, საყოფელი, ბუნაგი (აბულაძე, 1973).

**ზივინ** (<\*ზვინ) დადასტურდა ორუქში, მეთურქულე სოფელში. ვფიქრობთ, იგი თურქულად გამოთქმული ქართული **ზვინია**.

**არჯევანი** - ქართული ჩანს, დასტურდება ადამიანის საკუთარ სახელადაც, დაცულია გვარში **არჯევანიძე**.

**უბანი** - ადგილის სახელია ზღაფორში. მნიშვნელოვანია, რომ თურქეთის საქართველოს სოფლებში უბნის მნიშვნელობით იხმარება თურქული **მაჰალე**. ტოპონიმმა შეინახა ქართული ფუძე.

აგებულებით ქართული ჩანს **ანკლანი**, თუმცა მისი მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია.

**რ:** **ბარი** (თორთუმში), **ხოსორი** (ახლა აივალი), **კოპერი** (ტაოსკარი), **ზუარი**/**ზუვარი** (ხუახი), **სერი** (ელაისხევი), **ზღაფორი** (სოფელი სარიგიოლის თავზე), **ტალავარი** (ადგილი პარხლის ხეობაში), **ნიხორი** (უზუნდერე), **ბახთერი** (ხერმუთი), **ჭუვარი** (ჩევრელი);

**შახარ** (ესბეკი), **ფესერ'** (ომნაკი), **ჯულეჩერ** (ოლური), **ხოდუჩურ** (ომნაკი), **სალაჩურ** (ოლური), **მაჰქერ** (ნარმანი), **ჰოსფირ'** (ალაფინარი), **გორმერ'**/**გერმირ'** (თორთუმი).

მოყვანილი მასალის პირველი ნაწილი ქართული სახელებია, მეორე, ვფიქრობთ, არაქართული. მნიშვნელოვანია, რომ ქართული სახელები დასტურდება დღეს მეთურქულე სოფლებშიც.

**ბარი** - სამხრულ კილოებში **მთის** ანტონიმია (გარდა ცნობილი მნიშვნელობისა, **მთა** აღნიშნავს საზაფხულო საძოვარს (დაილა), ტაოში განარჩევენ **ზემო სოფელს** და **ბარს: ბალხი** (ზემო სოფელია) - **ბალხიბარი** (მისი ბარი), **ქვაბაგი** - **ჭილათი...** **ბარი** იცის ძველმა ქართულმაც: „ველოანი“, „დელე“, ვაკე: ქუეყანაჲ **მთაჲ** და **ბარი** M. ქუეყანაჲ **მთოანი** და **ველოანი** G II, შჯ. 11.11 ... (ვიმოწმებთ: აბულაძე, 1973-ის მიხედვით).

**კოპერ'**/**კობერ'** (?) - **კობერი** აჭარულში მარცვალგაცლილი სიმინდის ტაროა, ნაქუჩი (ნიჟარაძე, 1971). **კოპერი** ქვემოაჭარულში მკვახე, შემოუსვლელ ხილსაც ნიშნავს. დასახელებული ტოპონიმი ორივე მნიშვნელობას შეიძლება დაუკავშირდეს.

**ზუარ'**/**ზუბარ'** (<\*ზვარი) - მნიშვნელოვანია, რომ იგი დაუცავს დღეს მეთურქულე ხუახს, უძველეს ქართულ სოფელს.

**ზლაფორი**<**ზაფორი** (შდრ. ზლაფხული<ზაფხული). **ზლაფორ**/**ზაფორ** ფუძის მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია.

**ტალავარი** - ცნობილი ფუძეა, ნიშნავს: „სახლის ან საბძლის წინა მხარე, საჩრდილობელი“ (ფუტკარაძე, 1993). საბას სიტყვით, **ტალავარი** საჩრდილობელია (ორბელიანი, 1949). იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა იგი ძველ ქართულში - „ფაცხა“, საჩრდილობელი, ფანჩატური (აბულაძე, 1973), კარავი (სარჯველაძე, 2001).

**ტალავარი** იცის ფშაურმა, თუშურმა, ხევსურულმა, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით, აღნიშნავს **ტანისამოსს** (დლონტი, 1984).

ჩვენი ტოპონიმი, ვფიქრობთ, პირველ მნიშვნელობას უკავშირდება, - საჩრდილობელი, ფანჩატური.

ქართულ ფუძეებად ვთვლით **ნიხორ**'სა და **ბახთერ**'ს, თუმცა მათი მნიშვნელობა ნათელი არაა.

**ჭუვარ**<**ჯუვარ**<\***ჯვარ** - ადგილის სახელია ჩვერელში, იუსუფელს ზემოთ, ჭოროხის ხეობაში. **ჭუვარ'** გამოთქვა თურქულენოვანმა ჩვერელელმა, რაც **ჯუვარ**<**ჯვარ**'ის ფონეტიკურ ვარიანტად მივიჩნიეთ: **ჯ:ჭ** მონაცვლეობა სამხრულ კილოებში დაშვებულია: **ჭო**//**ჯო**, **აჭარა**//**აჯარა**, **ჭიყელი**//**ჭიყელი**//**ჯაყელი**... (იხ. ფალავა, 2003: 162-163).

რაც შეეხება ტოპონიმთა მეორე ჯგუფს: **შახარ**, **ფესერ**, **ჯულეჩერ**, **ხოდუჩურ**, **სალაჩურ**, **მაჰქერ**, **ჰოსფირ**, **გორმერ**/**გერმირ** ამაკარად არაქართულია, თურქული, იქნებ სხვა ენის კუთვნილებაც, რაც დამატებით კვლევას მოითხოვს.

**მ: ჰუქამი** (ჩადირული სოფელი იშხნის ხეობაში), **ოიდემი**/**ოგდემი** (სოფელი არჯევანს ზემოთ), **ქისქიმი** (ძვ. ხევცი).

**ჰუქამი**>**\*უკამი** (ვ:ქ მონაცვლეობით), შდრ. **ოკამი**.

**ოიდემი** (**ოადემი** - ადგილობრივთა გამოთქმაში), იგივე **ოგდემი**/**ოლდემი** - სამივე ფორმა დასტურდება არჯევანის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში.



**ქისქიმი** - დასაშვებია **კისკიმიც**, მნიშვნელობა უცნობია, დასაშვებია ხმაბაძვითი სიტყვა იყოს.

**ლ. თიფილი** (ალაფინარი), **ჩირდილი** (ქედლიანკარი).

ორივე სახელი გამჭვირვალეა, ცნობილი ფუძეებია ქართულში.

**ვ. ჯეა** (<ჯევი) (ბალხიბარი), **ანზავი** (ხეობა და სოფელი ოლთისში), **ლისგავი** (თორთუმი), **კივი** (ტაოსკარი).

**ჯეა//<ჯევი** - ტაოურში ჩვეულებრივია **V-V** პოზიციაში **ვ**ს ჩავარდნა. შდრ. **ხაიწი<ხავიწი**, **თაი<თავი**...

**ანზავი** ხეობისა და სოფლის სახელია ოლთისში. ქართულის კვალი ხეობაში მკრთალად, მაგრამ მაინც ჩანს. ამბობენ, **ანზავი<ანძავ**ისაგან, **სომხურია** და **კლდეს** ნიშნავსო (ს. ნიშანიანი). არ ვიცი, რამდენად მართალია ბატონი ნიშანიანის დაკვირვება, მაგრამ **ანზავის** **სომხურობის** მტკიცება დამაჯერებელი არ არის.

ტაოს ტოპონიმიაში დასტურდება სხვა თანხმოვნებზე დასრულებული გეოგრაფიული სახელებიც, კერძოდ:

**ექიქი** (თორთუმი), **არაფექი** (ესბეკი), **ქილიქ**, **სეხჩიქ** (ოლური), **მევენქ** (ოლური), **ვანქ** (სოფ. ბანისწყლის ხეობაში), **ესპექი//ესბექი** (სოფ. ბანისწყლის ხეობაში), **არაფექ** (ესბეკი), **ანჩითიქ** (ქისქიმი), **აზვაქ//აზვაკ** (ქისქიმი), **სანგერექ** (ომნავი), **ხორქ//ხორკ** (ზღაფორი), **ქერექ** (ანზავი), **ორუქ** (ანზავი), **გედუქ** (არჯევანი), **ქოთიქ//<კოტიკ** (ხუახი), **ლომბერიქ** (მთა ტამარანში), **ჩერიქ** (ალაფინარი), **ინგუზიქ** (უზუნდერე), **ბედრიქ** (მთ. ანზავს ზემოთ), **ჯანიქ** (ოლთისი, შდრ. ჭანეთი), **აშუნქ** (უზუნდერე).

**ჩიხთიჩ** (ოლთისი), **ურეჩი** (ოლური), **სორუჩი** (ოლთისი).

**გარსიგ//ქარსიგ**, **მერეგი** (დაილა ქისფოროთში), **ძიხეგ** (უზუნდერე), **ოც** (თორთუმი), **მელუც** (თორთუმი), **ფეჩენცი** (თორთუმი).

**ვიხიკი** (თორთუმი), **ოდიკი** (თორთუმი), **მეჰენკი** (ფანასკერტი), **ომნავი**.

**გუმფ** (ჩევრელი), **სინაფ** (ჭალა ფერნეკში), **ხალაფი** (დაილა ხუახში), **ოლადაფი** (ოლური).

**აკომის** (დაილა ფანასკერტში), **ქენაფოს** (ანზავი), **ფირქექეს** (ანზავი), **ფირაჩეს** (ანზავი).

**იფინთ** (მეზრე ჩევრელში), **დიგით** (ვეჟანგეთი), **ბაუთი** (დაილა ქისფოროთში), **ბაუთი** (ქისფოროთი), **ბერექეთი** (მეზრე უტავში), **ავახქუთი** (ესბეკი).

**ვენახი** (ჭიმჭიმი), **კახი** (სოფ. ოლურში).

**კუშადი** (ბალხიბარი), **ფაცადი** (ყიშლა ელიასხევში).

**მარაში** (ჩევრელი), **გონდი** (ელიასხევი).

მოვიყვანეთ ჩვენ ხელთ არსებული, ჩვენი აზრით, უაფიქსო გეოგრაფიული სახელები, რაოდენობრივად საკმაოდ ბევრი. ზოგი მათგანი აშკარად არაქართულია, უმეტესად თურქული, ზოგიც - ქართულია. აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე განმარტება:

**ვანქი** - იგივე **ვანია** სომხურად წარმოთქმული.

**ხორქ//<\*ხორკ<\*ხორგ** ქართული ფუძე ჩანს.

**ხორგო** გვხვდება ლეჩხუმურში, ნიშნავს - დიდი საწნახელი (დლონტი, 1984).

სულხან-საბამ იცის **ხორკლი** (<\*ხორკ-ალ<sup>ი</sup>), „ეკლის მსგავსი მოკლე და უმახვლო“ (ორბელიანი, 1949).

აჭარულში გვხვდება **ხორგი**, - „ქვიანი, ღორღიანი, ძნელად დასამუშავებელი მიწა“ (ნიჟარაძე, 1971). შდრ. **ჩახორგილი** - ქვა-ღორღით სავსე, **ჩახორგვა** - ქვა-ღორღით ამოვსება (რისაძე).

ვფიქრობთ, ტაოური **ხორქ**/**ხორკ**/**ხორგ** იგივეა, რაც აჭარული **ხორგი**, ქვა-ღორღიანი მიწა.

**ორუქ** ი, იგივეა, რაც თ. oruk, ბუნებრივი, ან ხელოვნური ტერასა. შდრ. აჭ. **ოროკი** (ნიჟარაძე, 1971).

**ქეჩექი** - უსწორ-მასწორო, ქვიანი ადილი (შდრ. აჭ. **ქეჩეხი**, მენტ. **ქანჩახი**. იხ. ნიჟარაძე, 1971).

**ქოთიქ**/**კოტოკ** - ქართული ფუძე ჩანს, იგივეა, რაც ქართლური კოტაკი, „პატარა გორაკი“ (ღლონტი, 1984).

**ჯანიქ** - იგივეა, რაც **ჭანეთი** თურქულად გამოთქმული.

**მერეგი** - საქონლის საკვების შესანახი ნაგებობა (თ. **Merek**), **საბბელი**.

**ოც** - სომხურია და გველს ნიშნავსო, თქვა ს. ნიშანიანმა. დაგვებადა ბუნებრივი კითხვა: რატომ სომხური? რატომ გველი? სადმე დასტურდება ტოპონიმად ქვეწარმავალის სახელი (აქ მხედველობაში არ გვაქვს სინტაგმა ტოპონიმი, სადაც ქვეწარმავალი სიტყვათმეხამებაში შედის...). ვფიქრობთ, **ოც** რიცხვითი სახელი უნდა იყოს ტოპონიმად, რომელსაც აკლია საზღვრული წევრი. ქართულ სინამდვილეში გვაქვს რთული გეოგრაფიული სახელები, რომლის შემადგენლობაში რიცხვითი სახელიც შედის: **სამზიარი**, **სამცაცხვი**, **სამი წიფელა**...

**ოდიკი** - **სამოვარს** ნიშნავსო სომხურად.

**მელუცი** - ს. ნიშანიანის მიხედვით სომხურია და **სკიანს** ნიშნავს.

**ფეჩენცი** - **კუდებს** ნიშნავსო სომხურად, გვეუბნება ს. ნიშანიანი.

ჩვენ არ გვაქვს საშუალება, გადავამოწმოთ ნიშანიანის ცნობები. მოსახლეობამ არ იცის აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტების სხვა სახელები.

**ოშნაკი** - **ოშკია** სომხურად გამოთქმული, თურქები **ოშქუს** გამოთქვამენ. ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა **ოშკი**.

**სინაფი** ვაშლის სახეობაა, შესაძლოა, ბანას (ახლა - ფერნეკი) ჭალის სახელდებისას სახელდების ნიშნად აქ გავრცელებული ვაშლის სახელი აირჩიეს.

**აკომის** ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა, **აკომ** მნიშვნელობა საძიებელია. ნათესაობითის ფორმებად შეიძლება ჩაითვალოს **ქენაფოს**, **ფირქექეს**, **ფირაჩეს**, ფუძეები არაქართული ჩანს.

ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ ფაქტს: რამდენიმე დღეს მეთურქულე სოფელი, - **ფანასკერტი**, **უტავი**, **ჭიმჭიმი**, **ოთხთა ეკლესია**... საუკუნის წინ მექართულე იყო, ბუნებრივია, სოფლის ტოპონიმიაც ქართული იყო. ახალ დროში ბევრი ცვლილება მოხდა დასახელებულ სოფლებში: მოსახლეობამ დაივიწყა წინაპართა ენა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სოფელში გეოგრაფიულ პუნქტებს შეუცვალეს სახელი: ზოგიერთი - თარგმნეს თურქულად, ზოგსაც ახალი სახელი უწოდეს, სახელდებისას ახალი ნიშანი შეურჩიეს. სოფელს ზოგჯერ აღარ ახსოვს ძველი სახელი, „დაივიწყა“, ამის მიზეზი კი მრავალია, მათ შორის მოსახლეობის ცვლა. ასე გაჩნდა ტაოს მიკროტოპონიმიაში ახალი, თურქული სახელები.

ცალკე მსჯელობის საგანია ე.წ. სომხური ფენა ტაოს ტოპონიმიში. ხშირად გვხვდება ქართული გეოგრაფიული სახელების გასომხურების ცდები, შედეგად **ოშკი ოშნაკად** იქცა, **ვანი - ვანქად...** მეცნიერებმა (უმეტესად სომეხმა) კიდევ არ დაახანეს და ქართული სახელური ფუძეების სომხურით ახსნის ცდები შემოგვთავაზეს. ეს მიზანმიმართული ცდები კიდევ ერთ მიზანს ემსახურებოდა, დაემტკიცებინათ, რომ ტაო სომხური ქვეყანაა, „მისი ძველი მოსახლეობა სომხური იყო... მტკიცების გზაზე კიდევ ტოპონიმია უტყუარ ცნობებს იძლევა...

დგას რესპონდენტის წარმოთქმის პრობლემაც (ხშირად ჩამწერისაც): უჭირს თურქულენოვან ინფორმატორს (ასევე ქართულის არმცოდნე ჩამწერს) ქართული სახელის სწორად წარმოთქმა (ჩამწერს - ჩაწერა), რაც, ბუნებრივია, მკვლევრის არასწორი დასკვნების მიზეზი ხდება.

ერთი სიტყვით, პრობლემათა წყება დგება მკვლევრის წინაშე, მათგან მთავარია, ადადგინოს სწორი სახელური ფორმა და შემდეგ მოახდინოს მისი მართებული ანალიზი.

**3.2. ოდენპრეფიქსური წარმოება.** ტაოს ტოპონიმიში მცირეა იმ გეოგრაფიულ სახელთა რიცხვი, რომელიც ოდენ პრეფიქსითაა ნაწარმოები.

**3.2.1. პრეფიქსი ნა-** ნა- პოლიფუნქციური თავსართია ქართულში. მისი ერთ-ერთი ფუნქციაა დამოუკიდებლად ან სხვადასხვა სუფიქსთან ერთად აწარმოოს ნამყო დროის მიმღეობა (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:315).

ნა- პრეფიქსს გამოვყოფთ გეოგრაფიულ სახელში **ნა-ყორ-ი** (ყიშლა მექართულე ტაოში). აღვნიშნავთ, რომ **ნა'** პრეფიქსიანი სახელი ერთი დავადასტურეთ ტაოში. შედარებით ბევრია ტოპონიმები, რომლებიც ნაწარმოებია **ნა-** პრეფიქსთან ერთად სხვადასხვა სუფიქსით (იხ. ქვემოთ).

**3.2.2. პრეფიქსი უ-** უ- პრეფიქსს გამოვყოფთ გეოგრაფიულ სახელში **უტავი** <უ-ტავ-ი (ხეობა (პარხლიწყლის მარცხენა შენაკადი და სოფელი ტაოში). ძირეული მასალაა **ტავ<თავ.** აღვნიშნავთ, რომ **უტავი** დღეს მეთურქულე სოფელია, მაგრამ უტაველთა თურქულში ჯერაც აქტიურია ქართული ლექსიკა, უპირველესად ქართული ტოპონიმია, რაც იმის დასტურია, რომ უტავის ხეობის მცხოვრებნი მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან. ჩანს, დიდი დრო არაა გასული, რაც უტაველებმა ქართული დაივიწყეს. უტავში ქართულ გეოგრაფიულ სახელებთან ერთად გაიგონებთ: **ქართოლი** (კარტოფილი), **საყელო** (ძროხის ბოგასთან მისაბმელი), **ჯიმჭარი** (ჭინჭარი), **კედელი**, **პანტა**, **მუმლი** („აწ რომ კოლოს უწოდენ” - **ორბელიანი, 1949**), **ავაზანი**, **ჭერი** (ღობზე გაკრული ხე, ლარტყა), **ჯოლა** (თუთა). უტაველები განასხვავებენ **ჯოლასა** და **თუთას**:

**ჯოლა** - მახანი (ველური) ჯოლაა (შდრ. ჯოლა<ყოლა **ჯ:ჟ** მონაცვლეობით).

**თუთა** - ნამყენი, ეხოში რომ დგას.

ზარემ ისიც ვთქვათ, რომ **ჯოლასა** (<ყოლა) და **თუთას** შორის სხვაობა არ იცის სხვა სამხრულმა კილოებმა.

სხვა ქართულ სიტყვებსაც შენიშნავს მკვლევარი უტაველთა თურქულში...

**3.2.3. პრეფიქსი სა-**. პრეფიქსურ წარმოებაში შედარებით მრავალრიცხოვანია სა- პრეფიქსიანი სახელები:

**სა-ღერ-ი** (თორთუმი), დანიშნულების სახელია, აღნიშნავს ადგილს, საიდანაც უღერებენ, ემუქრებიან. შდრ. **უღერებს**: 1. მუქარით უშვერს, უქნევს; 2. უჩვენებს, უთითებს (ქეგლ).

**სა-სვენ-ი** (ხავისკარი). მნიშვნელობა გამჭვირვალეა, აღნიშნავს ადგილს, სადაც ისვენებენ.

**სა-ცურ-ი** (ელიასხევი). ძირია - **ცურ**. საცური ის ადგილია, საიდანაც აცურებენ [მორებს].

**სა-ხაფერ-ი** (ხერმუთი) - ძირია **ხაფერ**. **სახაფერი** დანიშნულების სახელია, თუმცა მნიშვნელობა ნათელი არაა. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შეტანილია **ხაფრვა** (კახ. ფშ.), რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა **დაკავება, დაჭერა** (გზისა). დასაშვებია, **სახაფერი** დაუკავშირდეს **ხაფრვა, ხაფრავს** ზმნურ ფუძეს.

**სა-ყავ-ი** (დაილა) - სახელური ძირია **ყავ**, იგივეა, რაც **ციყვი**.

**სა-** პრეფიქსს გამოვყოფთ სინტაგმა ტოპონიმის პირველ ნაწილში - **სა-ფუტკი წინი** (გოდდეკარი) <სა-ფუტკ[რი] წინი.

**სა-კენჭვ-იან-ი** (ელიასხევი) შდრ. **კენჭვიანი<კენჭიანი**, მეტსახელი გვარი უნდა ყოფილიყო მექართულე ტაოში, დაუცავს ტოპონიმს, თავად „გვარი“ აღარ იხსენება. **საკენჭვიანი** - **კენჭიანთა** უბანია.

**სა-სლიპ-ავ-ი**, - ნაზმნარი სახელია, ნაწარმოებია **სლიპავს** ზმნიდან, აღნიშნავს ადგილს, სადაც სლიპავენ.

**საღერი, სასვენი, სახაფერი, საყავი, საფუტკ[რი], საკენჭვიანი, სასლიპავი** - დანიშნულების სახელებია ტოპონიმებად გამოყენებული. ყველა მათგანი დასტურია იმისა, რომ დანიშნულების მნიშვნელობას სახელს ანიჭებს **სა-** პრეფიქსი, მაშინაც, როცა მას სუფიქსიც ახლავს.

### 3.3. ოდენსუფიქსური წარმოება

ტაოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში სხვა ჯგუფის სახელებს ქარბობს სუფიქსური წარმოების ტოპონიმები.

**3.3.1. სუფიქსი ა.** გეოგრაფიულ სახელებში სუფიქსი ა- გამოხატავს ქონებას, მსგავსებას, თვისებას (**ზურაბიშვილი, 1961:151**):

**კაფვი-ა** (ფანასკერტი), **მურუდ-ა-მ/ბულუდ-ა-მ** (ქუაბაგი), **ქედ-ა** (ჭიმჭიმი), **ქედ-ა** (შადუთი), **ბაჩელ-ა** (ელიასხევი), **პაკლის-ა-მ** (ყიშლა, ელიასხევი), **კოწახურ-ა** (იუსუფელის უბანი პარხლისწყლის გაღმა), **სირი-ა** (დაილა), **ქონალა-ა-მ** (არჯევანის უბანი), **ჭალ-ა** (უზუნდერე), **ტატვან-ა** (არჯევანი), **ლიმონ-ა** (ხავისკარი), **შოგარ-ა** (მეზრე ბინათში), **ბენერ-ა** (იუსუფელი), **სურ-ა** (დაილა).

**მურუდ-ა-მ/ბულუდ-ა-მ** პარალელური ფორმები დასტურდება **მ:ბ** მონაცვლეობით (შდრ. მრუდე:ბრუდე), ერთის მხრივ და **რ:ლ** მონაცვლეობით,

მეორეს მხრივ. ამოსავალი ფორმა ჩანს **მურუდ-ა-მ** (<\*მრუდ-ა-მ). **მურუდა**//**ზულუდა** (ზრუდა) ფორმებში უ გაჩენილია თანხმოვანთგასაყარად.

რამდენიმე **ქედა** დასტურდება ტაოში, აღნიშნავს ადგილს, სადაც **ქედია**.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ტოპონიმს **კოწახურ-ა**. **კოწახური** მცენარეა, Berberis; აღვნიშნავ, რომ საქართველოს კუთხეებში იგი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: **კოწახური** (მთიულური), **კვაწახური** (რაჭული), **კაწახური** (ჭანური), **კორწოხული** (მეგრული), **გვაწხურ**//**გოწხირ** (სვანური) (იხ. მაყაშვილი, 1991).

როგორც ვხედავთ, **კოწახური** სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით გვხვდება ქართულ კილოებში და კოლხურსა და სვანურში. სხვაგვარად, **კოწახურ** საერთოქართველური კუთვნილებს.

დაბოლოს, **კოწახური** - მცენარის სახელი არ იციან ახლანდელმა ტაოელებმა, სახელი შეინახა ტოპონიმმა.

**სირი-ა** - ადგილი, სადაც **სირი**, **ჩიტი** (ორბელიანი, 1949) ბუდობს. **სირ** ფუძიანი ტოპონიმი სხვაც გვხვდება ჭოროხის ხეობაში (შდრ. სასირე).

**ჭალა** დავადასტურეთ უზუნდერეში, დღეს მეთურქულე სოფელში, რაც ქართულის კვალია გრძელხევი (უზუნდერე ქართული გრძელხევის თარგმანი გვგონია).

**ტატვან-ა**ში ვ განვითარებულია, ამოსავალია - **ტატან-ა**. **ტატან** გვხვდება საბასთან, რომელსაც ასე განმარტავს ლექსიკოგრაფი: „ვარსკლავ მორბედი: ესე არს რა მზისა შარავანდედი აღიხუამს ორთქლსა რასამე ქვეყანისაგან და ორთქლი იგი სიმაღლესა ჰაერისა მზისა და ეთერისა მიერ შეგვამდებიან და იქმნების ვითა ცეცხლი და მნათობი და სადაც ჰაერისა სიზრქე არს მუნ დაადგრების და რა ძლიერი ქარი ეკუჭთების განტაცებს და გამოჩნდების მორბედად, ვითა ვარსკულავი” (ორბელიანი, 1949).

„ვარსკულავმორბედი, რომელიცა ღამე გამოსჩნდება და თანავე გაქრება” (ჩუბინაშვილი, 1961; შდრ. ჩუბინაშვილი, 1984).

**ტატანი** - ფშაურში ცის პირი, ტატნობი, ჰორიზონტია (ღლონტი, 1984. შდრ. ქეგლ).

**ტატანა** - მაღალი ადგილია, ცის პირს რომ წვდება.

**ლიმონ-ა** - ადგილის სახელია ხავისკარში. **ლიმონა**, საბას დაკვირვებით იგივეა, რაც **ლიმენა**, „ელენებრივ ნავსაყუდელი” (ორბელიანი, 1949).

შ. ნიჟარაძე აჭარულში ადასტურებს **ლიმანს**: 1. ფონი (მდინარეში); 2. სანაოსნოდ გამოსადეგი, სანაოსნო სიღრმის მქონე ბუნებრივი ადგილი ზღვაზე, ზღვისპირას, ფარვატერი, ნავსადგური” (ნიჟარაძე, 1971). დასახელებული ფუძე შეუნახავს მუჰაჯირთა მეტყველებას (ფუტკარაძე, 1993), ნავსადგურის მნიშვნელობით დასტურდება კლარჯულში (კლარჯეთი, 2016), გვხვდება ბერძნულიდან ნათარგმნ ძეგლებში (იხ. ცინცაძე, ფალავა, 1998:110-111).

ტაოური **ლიმონა** (<\*ლიმენა) ადგილია, სადაც ფონია.

**სურა** - „ვერცხლის საღვინე, ანუ მცირე კოკა თიხისა” (ჩუბინაშვილი, 1961; შდრ. ორბელიანი, 1949; ჩუბინაშვილი, 1984).

**სურა** ადგილია, რომელიც კოკას მოგვაგონებს.

საინტერესო ფუძე ჩანს **შოგარა** <\*შვაგარა<შუაგარა<შუა აგარა.



**3.3.2. სუფიქსი -ევ.** -ევ მეტ-ნაკლები სიხშირით დასტურდება ჭოროხის ყველა ქვეყნის გეოგრაფიულ სახელებში (იხ. ფაღავა, 2015(1):31-35; ცეცხლაძე, 2004:160). განვიხილავდით რა კლარჯეთის ტოპონიმებს, ვწერდით: „ესაა სულ -ევ სუფიქსიანი ტოპონიმები, ჭოროხის ხეობაში რომ დავადასტურეთ. მომავალში შეიძლება მათი რაოდენობა გაიზარდოს, განსაკუთრებით ტაოს ხარჯზე, რამდენადაც ტაოს ტოპონიმია ჯერ კიდევ აღსაწერი და შესასწავლია” (ფაღავა, 2015(1):33). ვარაუდი გამართლდა. ტაოს ტოპონიმიაში რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში -ევ ბოლოსართი გამოიყოფა, კერძოდ:

**\*ქაჯ-ევ-ი** (იუსუფელი), **ჩანთარ-ევ-ი** (ხავისკარი), **წითლ-ევ-კარი** (სოფ.მექართლე ტაოში), **გოდრ-ევ-კარი//გოდრ-ე[ვ]-კარი//გოდლ-ე[ვ]-კარი** (მცირე სოფელი მექართულე ტაოში), **ლიტრ-ე-მ<ლიტრ-ევ-ი** (მცირე სოფელი წითლეკვარს ქვემოთ), **ხუც-ე-კარი<ხუც-ევ-კარი** (მდრ. ხუც-ებ-კარი. მცირე სოფელი მექართულე ტაოში), **მაღალ-ევ-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **ჭემნ-ევ-ი** (უტავი), **ხაბაკ-ევ-ი** (უტავი), **ბახტ-ევ-ი** (ხერმუთი), **საჩ-ევ-ი** (ჩევრელი), **თ-ევ-ი** (უზუნდერე).

**ქაჯ-ევ**ში **ქაჯ** ძირი გამოიყოფა, რაც, სხვა ტოპონიმებთან ერთად, მიგვანიშნებს ამირანის ნაკვალევზე ჭოროხის ხეობაში.

**თევი<მთევი**საგან მს დაკარგვით. აღვნიშნავთ, რომ სამხრულ კილოებში **მთა** ხშირად გამოითქმის როგორც **თა**.

**წითლეკვარი** სხვდასხვა ფორმით დასტურდება: **წითლეკვარი// წითლეკარი// წითლებკარი//წითლიკვარი**.

საყურადღებოა, რომ დასახელებულ ფორმებში მონაცვლეობენ **წითლეკვარი** და **წითლებკარი** (-ევ-ებ), რაც მნიშვნელოვანია -ევ და -ებ სუფიქსების გენეზისის დასადგენად (-ევ-ებ’ის ფონეტიკური ვარიანტია).

**წითლიკვარი<წითლეკვარი**საგან **ი - ე > ი - ი** ასიმილაციის გზით.

ყურადღებას მივაქცევთ იმასაც, რომ -ევ სუფიქსიანი ტოპონიმები მეთურქულე ტაოშიც დასტურდება, რაც მნიშვნელოვანია.

**3.3.3. სუფიქსი -ებ.** გეოგრაფიულ სახელებში -ებ (-ევ’ის ფონეტიკური და ფუნქციური ვარიანტი) რაიმეს ან ვინმეს სიმრავლეზე მიუთითებს. -ებ სუფიქსიანი სახელები ტაოს ტოპონიმიაში არცთუ ბევრია. გამოიყოფა ორი ჯგუფი:

ა. -ებ დაერთვის საზოგადო არსებით სახელებს, რომელიც ტოპონიმად გამოიყენება:

**კიდ-ებ-ი** (ქუაბაგის უბანი), **ყირმ-ებ-ი** (ყიშლა), **ბახჩ-ებ-ი** (დევთისა), **წისქვილ-ებ-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **ფაცახ-ებ-ი** (ელიასხევი), **ად-ებ-ი** (ელიასხევი).

ერთი ტოპონიმი დავადასტურეთ **წ’არიან** მრავლობითში: **ტამარ-ან-ი** (მდრ. ტამრები).

ვფიქრობთ, დასახელებული ტოპონიმები საჭიროებს ზოგიერთ განმარტებას:

**ფაცახ** - „კად არა და ბეჩი. **ფაცახ**- ბეჩი” - განმარტავს ელიასხეველი ნეჯათ აჯარი.

**ფაცაბ'** სახელური ფუძე გვხვდება ქიზიყურში, აღნიშნავს „უხეში, გრძელბეწვიანი, ბალნის მსგავსი მატყლი“ (დლონტი, 1984). შდრ. აჭ. **ფახაცი, ფახაწი** (ნიჟარაძე, 1971).

**ფაცახი** - მატყლი, სხვლი ბეწვი - განმარტავს საბა (ორბელიანი, 1949).

**ფაცახი** ცუდის მნიშვნელობის უნდა იყოს ტაოურში.

**ად-ებ-ი** - ძირია **ად(ა)**, თურქულია (თ. **ada**) და ქართულად კუნძულს ნიშნავს.

**ბ. -ებ** სუფიქსი დაერთვის მეტსახელ გვარს და აღნიშნავს „გვარის“ უბანს/საცხოვრისს სოფელში:

**ქეფჯან-ებ-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **ყარამანლ-ებ-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **კაკაბ-ებ-ი** (ქუაბაის უბანი), **ბასტა-ებ-ი** (სადგიყანის უბანი), **კაკაჩ-ებ-ი** (სადგიყანის უბანი), **ზურნ-ებ-ი** (იეთის უბანი), **თოსო-ებ-ი** (დვალეკარის უბანი), **ჭიჭიხ-ებ-ი** (კრაეკარის უბანი), **მუსტო-ებ-ი** (ბასლეკარის უბანი), **კომ-ებ-ი** (ქონობნის უბანი), **ფაფა-ებ-ი** (ქონობნის უბანი), **სილაჯ-ებ-ი** (ქონობნის უბანი), **პაპაშ-ებ-ი** (ელიასხევი), **დურგები** (ცუცეკარი. გვხვდება **დურგ-იან'იც**), **პაწა-ებ-ი** (ელიასხევი), **თოზალ-ებ-ი** (ელიასხევი), **შირინ-ებ-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **ყაზახ-ებ-ი** (ქუაბაგი).

ზოგჯერ ქართულ **-ებ**'ს თურქული **-ლარ'** ცვლის, გვხვდება პარალელური ფორმები: **ქოთან-ებ-ი/ქოთანა-ლარ** (არჯევანი). **-ებ**'ისა და **-ლარ'**ის მონაცვლეობა ახალი მოვლენაა.

რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში ორი აფიქსი გამოიყო: **ვაჩ-ეთ-ებ-ი** (ვაჩეკარი), **ქოს-ეთ-ებ-ი** (ფიშნარხევი), **ხუც-ეთ-ებ-ი** (ფიშნარხევი), **ბასლ-ეთ-ებ-ი** (ბასლეკარის უბანი), **ხოწ-ით-ებ-ი** (<ხოწ-ეთ-ებ-ი. ელიასხევი), **წით-ეველ-ებ-ი** (ბასლეკარი).

ბუნებრივია კითხვა: რატომ გამოიყენა ენამ ორმაგი წარმოება: **-ეთ-ებ;** **-ევე-ებ?** ვფიქრობთ, ერთ-ერთი სუფიქსის, უფრო **-ეთ**'ისა და **-ევე**'ის, ფუნქცია ნათელი აღარაა, ამიტომაც ტოპონიმს დამატებით დაერთო მრავლობითობის **-ებ** სუფიქსი. აღვნიშნავთ იმასაც, რომ **-ებ**'იანი მრავლობითში დასმული გეოგრაფიული სახელები ახალი ფენა ჩანს ტაოს ტოპონიმიაში, ძველი ჩანს **-ეთ** და **-იან** სუფიქსიანი ტოპონიმები. სხვაგვარად გაუგებარია ერთსა და იმავე ფუძეზე ორი ერთნაირი ფუნქციის მქონე (**-ეთ-ებ;** **-ევე-ებ**) სუფიქსის დართვა.

მნიშვნელოვანია, რომ **ბ** ჯგუფის გეოგრაფიული სახელების ფუძეა მეტსახელი გვარი, რომელიც მომდინარეობს პიროვნების სახელისაგან ან მეტსახელისაგან, მაგალითად, რომელიმე

**ქეფჯანები** - ქეფჯანის ოჯახის/სახლეულის საცხოვრისია,

**ყარამანლები** - ყარამანის,

**კაკაბები** - კაკაბის/კაკაბას,

**ბასტაები** - ბასტას,

**კაკაჩები** - კაკაჩის/კაკაჩას,

**ზურნები** - ზურნას,

**თოსოები** - თოსოს,

**ჭიჭიხები** - ჭიჭიხის,

**მუსტოები** - მუსტოს,

კომები - კომას,  
 ფაფაები - ფაფას,  
 სილაჯები - სილაჯის/სილაჯა,  
 პაპაშები - პაპაშის/პაპაშას,  
 დურგები - დურგას,  
 პაწაები - პაწას,  
 თოზალები - თოზაღას,  
 შირინები - შირინის,  
 ყაზახები - ყაზახის,  
 ვარჩეთები - ვარჩეს,  
 ქოსეთები - ქოსას,  
 ხუცეთები - ხუცის,  
 ბასლეთები (<ბასილეთები) - ბასილის/ბასილას,  
 ხოწეთები - ხოწის,  
 წითევლები - წითას.

ბარემ აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი მეტსახელი გვარი დღეს ტაოში აღარ გვხვდება, შეინახა მხოლოდ გეოგრაფიულმა სახელმა.

რამდენიმე გეოგრაფიული სახელის შესახებ გავაკეთებთ კომენტარს:

დღეს ტაოში არავინ იცის საკუთარი სახელი **ყარამანი**, შეინახა იგი ტოპონიმმა და მეტსახელმა გვარმა. ისტორიულად **ყარამანის** ბედი გაიზიარა **ხუციმ**, **ბასილიმ**, **ვარემ**, **პაპამ**.

ვფიქრობთ, საყურადღებო სახელია **ჭიჭიხი**, რომელშიც **-ხ(ი)** სუფიქსი გამოიყოფა, იგივე, რაც **ბალხ**ში, **კალმახ**სა და მისთ. სახელებში.

დაბოლოს, ტოპონიმმა **ყაზახები** შეგვინახა ქუაბაგში რუსული კვალის ხსოვნა.

**3.3.4. სუფიქსი -იან.** სუფიქსი **-იან** და მისი ფონეტიკური ვარიანტები ტაოურში ჩვეულებრივ აწარმოებენ ე.წ. მეტსახელ გვარებს (იხ. ქვემოთ), იგივე სახელები, უმეტესად მრ. ფორმები, აღნიშნავენ სოფელში ამ „გვარის“ საცხოვრისს, უმეტესად სოფლის უბანს, მაჰალეს:

**უსტალ-იან-ნი** (ქუაბაგი, შდრ. უსტალოლი), **თორუნ-იან-ნი** (ქუაბაგი, შდრ. თორუნოლი), **გოგუ-ან-ნი** (<გოგო-ან-ნი, ქუაბაგი), **აბაზლ-იან-ნი** (მცირე სოფელი წითლეკარის ახლოს), **ტურც-იან-ნი** (ქუაბაგი), **იაღობ-იან-ნი** (ობლეკარი), **მაჰმად-იან-ნი** (ობლეკარი), **კედელ-იან-ნი** (ობლეკარი), **მოლელ-იან-ნი** (დვალეკარი), **მახას-იან-ნი** (კრაეკარი), **მიხიკ-იან-ნი** (კრაეკარი), **ხაზნუთ-იან-ნი** (კრაეკარი), **თათარ-იან-ნი** (დოლეჯიანკარი), **თათარ-იან-ნი** (გოდლეკარი), **იბრიმ-იან-ნი** (გოდლეკარი), **იუნუს-იან-ნი** (გოდლეკარი), **სოფთარ-ან-ნი** (გოდლეკარი), **ყანთარ-იან-ნი**//**ყანთარ-ან-ნი** (ქონობანი), **მელოღლ-იან-ნი** (ქონობანი), **ბრექ-იან-ნი** (ელიასხევი), **აბდ-იან-ნი** (ელიასხევი), **ჭარაბ-იან-ნი** (ელიასხევი), **დელ-იან-ნი** (ელიასხევი), **ლიტრ-იან-ნი** (შდრ. ლიტრ-ევ-ი), **ობშ-იან-ნი** (ელიასხევი), **ქუნქლ-იან-ნი** (ელიასხევი).

აღნიშნავთ, რომ ტოპონიმებში დასტურდება წარიანი მრავლობითის სახელობითის ფორმები.

-იან'ის გვერდით გვხვდება -იონ' მაწარმოებელიც: **კულახს-იონ-ნი** (გოდლეკარი), **ბაჯახს-იონ-ნი** (ობლეკარი), **პაჯახს-იონ-ი** (ბასლეკარი).

-იონ სუფიქსი გვხვდება, ერთის მხრივ, **ბაგრატ-იონ**ში, მეორეს მხრივ, ხევსურულში: **არხოტ-იონ-ი**, **შატილ-იონ-ი** (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:239). ბარემ ვიტყვი, რომ -იონ>იოს: **ნორ-იონ-ი>ნორ-იოს...** (ქავთარაძე, 1979:87).

დასახელებული ფორმები აღნიშნავენ ვისიმე სიმრავლეს, კრებულს.

მექართულე ტაოში დასტურდება -იან სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მხოლოდით რიცხვში, აღნიშნავენ კონკრეტული „გვარის“ საცხოვრის და ქმნიან სოფლის უბანს:

**ოხმ-იან-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **ხოჯ-იან-ი** (შდრ. ხოჯიოღლი. ქუაბაგი), **ჰელიმ-იან-ი** (წითლეკარი), **აბაზლ-იან-ი** (წითლეკარი), **ყარამანლ-იან-ი** (სოფელი წითლეკარის ახლოს), **სოფ-იან-ი** (ქუაბაგი), **თოფლ-იან-ი** (ქუაბაგი), **სალ-იან-ი** (გოდლეკარი), **ქეაჯ-იან-ი** (ბასლეკარი), **ფაზლ-იან-ი** (ქონობანი), **ომარ-იან-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **ეიბ-იან-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **პაჩელ-იან-ი** (ელიასხევი), **ბასლ-იან-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **აინ-იან-ი** (ქუაბაგი), **ნაბ-იან-ი** (ქუაბაგი), **სორ-იან-ი** (ადგილი მექართულე ტაოში), **ქელ-იან-ი** (ბასლეკარი), **გუმუმ-იან-ი**<sup>10</sup> (გოდლეკარი).

დაბოლოს, -იან სუფიქსს გამოვეყოფთ ტოპონიმში **ბას-იან-ი**, რომელიც პ. ინგოროყვას **ფასიან**'ის ფონეტიკურ ვარიანტად მიაჩნია. მისი აზრით, **ბასიანი** ჯერ მდინარის სახელწოდება იყო, შემდეგ მიწის (ინგოროყვა, 2009:64, სქ.).

ვფიქრობთ, **ბასიანიც -იან** სუფიქსიანი ტაოური სახელების გვერდით დგას.

მოყვანილი საილუსტრაციო მასალა რამდენიმე დასკვნის საშუალებას გვაძლევს:

- თითოეულ ტოპონიმს საფუძვლად უდევს ადამიანის სახელი ან მეტსახელი, რომელიც მეტსახელი გვარის/ქოხის სახელის ფუძედ ქცეულა.

- მექართულე ტაოში პარალელურად იხმარება მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები. გეოგრაფიული სახელისათვის ამოსავალი ჩანს მრავლობითის ფორმა, მხოლოდითის ფორმები მისგანაა მიღებული **ნნ** კომპლექსის გამარტივების გზით (**ნნ>ნ**). სხვაგვარად, ქართულში ორი იდენტური თანხმოვანი ვერ ძლებს და ერთი იკარგება დისიმილაციის საფუძველზე.

**3.3.5. სუფიქსი -ხ(ი).** ტაოს ტოპონიმიაში დასტურდება გეოგრაფიულ სახელთა ერთი ფენა, რომელშიც გამოვეყოფთ სხვადასხვა ხმოვნის თანხლებით -ხ სუფიქსს;

**ოშხი** (ახლა: ნისფი იშხანი), ადგილობრივები გამოთქვამენ **ოსხა//ოცხა**, უფროსი თაობა - **ოშხი**. ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა **ოშხი**.

<sup>10</sup> ყურადღებას მივაქცევ ინფორმატორის განმარტებას: „გოდლეკარში გუმუმოღლი (გუმუმიანი - ავტ.) ექვსი ქოხია, გუმუმიანია მათი მაჰალე“ (ალი გუმუმოღლი გოდლეკარიდან).

**ხუახ-ხუვახ** (ოლთისი). დღევანდელი ხუახელები გამოთქვამენ **ოვაქ//ოვახ**. სპეცრუკაზე დატანილია **Хувах'**, ს. ჯიქიას „დავთარში“ შეაქვს ზემო **ხუახი**.

ს. ჯიქია გააკეთებს კომენტარს: ექვთ. თაყაიშვილის მიერ განხილული პუნქტი **ხუვალი**, შეიძლება ჩვენი **ხუვახი** იყოს (ჯიქია, 1958:599, სქ.).

**ბალხი** - სოფელი მექართულე ტაოში. არის ასევე - **დიდი ბალხი** და **ბალხიბარი**.

**საჩახი** - ცუცეკარში.

**ბაირხა** (ბინათი),

**პარტახი** (ბინათი),

**შორახი//შორალი** (ადგილი მექართულე ტაოში). ამოსავალი ფორმა ჩანს **შორახი**.

**პარეხი** (სოფელი და ადგილი ბალხიბარს უკან).

**ნიხახი** (ომნაკი),

**კალმაჰათ<\*კალმახათ<\*კალმახეთ'** (უტავი). ამოსავალი ფორმაა **კალმახ'**.

**კალმახი** (ახლა: სოლომონი),

**ჭიჭიხი** (კრაეკარი),

**ოხუხ'** (ვეჟანგეთი), ისმის **მიხიხი//იხუხი'**ც.

**ხათხა** (უზუნდერე),

**ქერექი<\*ქერეხი**'საგან (ოლთისი). პირველი (ქერექი) თურქიზებული ფორმა ჩანს ძველი **ქერეხ'**ისა. **ქერეხი** იმავე პუნქტის აღმნიშვნელია, რაც ოსმალურ დავთარში **ქეფრექი//ქეფრეხ'**ითაა ჩაწერილი (22/82).

**პაკეხი** (ოლთისი),

**კიცხა** (თორთუმი), იმავე ფუძეს ვხედავთ სინტაგმა ტოპონიმში **კიცხა ქაფუსუ**. ეს უკანასკნელი ქართული **კიცხის კარის** თარგმანი ჩანს.

-**ხ'** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები გვხვდება ისტორიულ წყაროებშიც:

**კარხისი<\*კარხი** (დავთ.),

**კარხიო<\*გარხიო** (დავთ.). ს. ჯიქია ამოიკითხავს სხვა ფორმასაც - **კარჭიო, გარჯიო**. ვფიქრობთ, ამოსავალია **კარხიო//გარხიო** (კ:გ მონაცვლეობით), რასაც მხარს უჭერს **კარხ'**ისიც.

**შამხი** (ოლთისი, 32/125), იგივე ფუძე გამოიყოფა ტოპონიმში **შამხ'ისი** (14/42).

ოსმალურ დავთარში ტაოსკარში ჩაწერილია გეოგრაფიული სახელი **გახი//კახი** (30/74). ამოსავალი ფორმა უნდა იყოს - **კახი**.

**ხ'** სუფიქსიანი რამდენიმე ტოპონიმებია დატანილი ხუთვერსიან რუკაზე:

**Янухь** (მთ. ოლთისი).

**Янухь** (ყიშლა ოლთისი); ჩანს, მთასა და ყიშლას ერთი სახელი აქვს. პირველადი ალბათ, მთის სახელია.

**Чилпахь** (მთ. ოლთისი), ქართულად, ალბათ, **ჭილპახი** უნდა იყოს.

**Чапахь** (მზრ. ოლთისი), ქართული **ჩაპახ'**ის რუსული ტრანსკრიპციაა.

**Сырнухь** (ყიშლა, ოლთისი), ქართული - **სირნუხი**.

**Пашальхь** (ყიშლა, ოლთისი), ქართული - **ფაშალიხი**.

**Кямхись** (ოლთისი), ქართული **ქამხისის** თურქიზებული ფორმის რუსული ტრანსკრიპცია.

**Кяхь** (ოთისი), რუკაზე რამდენიმე **კიახია** დატანილი.



**Кямряджихь** (მთ. ოლთისი), - ქართული **ქამრიჯიხ**'ის თურქიზებული ფორმის რუსული ტრანსკრიფცია უნდა იყოს.

**Курунухь** (ყიშლა, ოლთისი), ქართული **ქურუნუხ**'ის რუსული ტრანსკრიფცია.

**Долгяхь** (ყიშლა, ოლთისი), შდრ. **დოღიახი**.

-**ხ**' სუფიქსს ვხედავთ ტოპონიმში **Кобахли** (კობახ'ლი) (ყიშლა, ოლთისი), და **Кобах-тапа** (მთ. ოლთისი), **Кобахли-дагь** (მთ. ოლთისი). ჩანს, რუსმა კარტოგრაფმა უკვე თურქიზებული ფორმები ჩაიწერა. ქართულად ალბათ, **კობახი//კოვახი** ჟღერდა.

რამდენიმე გეოგრაფიული სახელი ჩაუწერია ექვთ. თაყაიშვილს:

**ჩამხუსი** (ოლთისი, ბანასთან ახლოს), ფუძეა **ჩამხ**'ი (თაყაიშვილი, I, 2016:44). შდრ. ჩამხისი.

**კიახ**'ი (ფანასკერტი), მაჰმადიანი ქართველების სოფელი (თაყაიშვილი, I, 2016:111).

ესაა სულ ჩვენს ხელთ არსებული მასალა.

დ. რეიფილდი მოიყვანს ურარტულ ჩანაწერს, სადაც ნახსენები სულ მცირე შვიდი მხარე შეიძლება ქართულად ჩაითვალოს: **კოლხა** (შესაძლებელია, დღევანდელი - **ოდრხე**), ქატარაზა (დღევანდელი გოდერძის უღელტეხილი...), **ზაბახაე** (თანამედროვე ჯავახეთი), **ლუშა**, **ერიახი**, **იგანეხი** (შესაძლებელია, მას ბერძნები **ჰენიოხო**'ს სახელით იცნობდნენ...) (რეიფილდი, 2019:19-20).

დასახელებული მხარეების სახელთაგან ხუთი - **კოლხა** (**ოდრხე**), **ზაბახაე**, **ერიახი**, **იგანეხი** (**ჰენიოხო**) -**ხ** (-**ახ**//-**ეხ**//-**ოხ**//-**უხ**) სუფიქსითაა ნაწარმოები.

აქვე ყურადღებას მივაქცევ დ. რეიფილდის კიდევ ერთ დაკვირვებას: „გონივრული იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ თანამედროვე სამხრეთ ქართული (და სომხურიც) პროვინციის, **ტაო**'ს სახელი (**ტაოხი**, სომხური - **ტაიკ**: ურარტულ ენაში სუფიქსი -**ხი**, ისევე როგორც სომხური -**კ** მრავლობითობას აღნიშნავს), ხურიტული (ურარტული) **დიაოხის** შესატყვისია” (რეიფილდი, 2019:14). ქვემოთ კი მკვლევარი წერს: „თავად სიტყვა **კოლხეთი**, შესაძლოა, უკავშირდებოდეს საქართველოს სამხრეთ პროვინციას, **კოლას**, რომელსაც დაემატა ურარტული სუფიქსი -**ხი** (ეს სუფიქსი **ხალხს** აღნიშნავს) (რეიფილდი, 2019:16).

მაშასადამე, რეიფილდის აზრით:

ა. -**ხი** მრავლობითობის სუფიქსია;

ბ. -**ხი** აღნიშნავს ხალხს.

საყურადღებო მოსაზრებაა, თუმცა რამდენიმე კითხვას აჩენს:

რატომაა -**ხი** სუფიქსი ურარტული?

მაინც რაა -**ხი** სუფიქსის ფუნქცია, აღნიშნოს მრავლობითობა თუ ხალხი?

ქართველოლოგიაში არაერთი მკვლევარი შეეხო -**ხ** ბოლოსართს:

„-**ხ** სუფიქსი, ... სხვადასხვა წინამავალი ხმოვნით გავრცელებულია საქართველოსა და მთელი კავკასიის ტოპონიმულაში” (თოფურია, 1977:8. შდრ. მგელაძე, ფაღვა, 1998:3-20; ფაღვა, მგელაძე, 2005:14).

-**ხი** სუფიქსს რამდენიმეგზის შეეხო პ. ინგოროყვა:

ა. დაბოლოება -**ხი**, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი ბოლოკიდური ფორმანტია ქართული ეთნიკური სახელებისა: **მოს-ხი** (მეს-ხი), **კოლ-ხი**, **კას-ხი** (კა-ხი), **ტაო-ხი**, **ჰენი-ხი** (ჰენიო-ხი)=**სანიხი**. ბოლოკიდური -**ხი** ეთნიკური სახელების

დაბოლოებაში სადაურობაზე მიუთითებს. იგი იმავე ფუნქციას ასრულებს, როგორსაც დაბოლოებანი **-ელ**, **-არ** (მაგალითად სახელწოდებებში: **ოდიშელი**, **ოდიშარი**).

ასე, ქვეყნის სახელია **ტაო**, ხოლო ტომის სახელია **ტაოხი**, **ტაოელი**.

ქვეყნის სახელია **კოლა**, ხოლო ტომის სახელია - **კოლ-ხი**, იგივე **კოლაელი**, ანუ **-კოლარი** (ინგოროყვა, 2009:439, სქ.1).

ამდენად, პ. იგოროყვასათვის **-ხი** სადაურობას აღნიშნავს და **-ელ**’ი, **-არ**’ი აფიქსების ზადალია.

სხვაგან მკვლევარი წერს: **ჰენიოხი**, **სანიხი** და **სანიგი** ერთი ეთნიკური სახელწოდების დიალექტური ფორმებია, უფრო ადრინდელია **ჰენიოხი** (ძვ. წ. აღ. V ს-დან ახ. წ. აღ. I-II ს-მდე), შემდეგ გვხვდება **სანიხი** და **სანიგი** (ინგოროყვა, 2009:137). პ. ინგოროყვა შრომაში მოიყვანს **-ხ** სუფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებს: **ბასხი**, **ბატრახი** (ინგოროყვა, 2009:137), **მაწეხი** (სოფელი და მდინარე საინგილოში) (ინგოროყვა, 2009:174), **კორახი** (მდ. აფხაზეთში), **უკრუხი** (მდ. ყუბანი) (ინგოროყვა, 2009:122), **შაფსუხო** (ინგოროყვა, 2009:123, სქ.3), **აბასხი** (ახლა - მძიმთა) - აფხაზთა მდინარე (ინგოროყვა, 2009:125), **წურწუხი** (ახლა ტუაფზე), **ჰენიოხი**, **სანიხეთი** (ინგოროყვა, 2009:126).

გ. მელიქიშვილი **-ხ** სუფიქსს უკავშირებს **hi/ha** აფიქსს, რომლითაც ნაწარმოებია ბევრი გეოგრაფიული სახელი ამიერკავკასიაში (მელიქიშვილი, 1999:50).

ივ. ჯავახიშვილმა **-ხი**, **-ახ**, **-ოხ**, **-უხ** სუფიქსები გამოყო დაღესტნის გეოგრაფიულ სახელებში: **კუანხი**, **ხარახი**, **შაპიხ**, **ბოთლიხ**, **მოროხ**, **ინუხ**, **გინუხ**... (ჯავახიშვილი, 1998:61. შდრ. ჯავახიშვილი, 1951:393).

**-ხე/-ფხე** სუფიქსს შეეხო ო. ჭურღულია. მისი აზრით, **ხე/ფხე/ფხუ/მხე** კოლხური (ზანური) წარმოშობისაა. მათ გააჩნიათ პარალელები კავკასიურ ენებში და გამორიცხული არაა კავშირი შუამდინარეთის უძველეს ხალხთა ენობრივ სამყაროსთან (ჭურღულია, 1983:125; 119-134).

მნიშვნელოვანი დაკვირვებაა. საყურადღებოა,

ა. **-ხე/-ფხე** კოლხური წარმოშობისაა (რაც გადაჭარბებულად გვეჩვენება).

ბ. ქართველური სუფიქსი (**-ხე/-ფხე**) კავშირშია კავკასიურ და წინააზიურ სამყაროსთან.

თქმულიდან გამომდინარე, ყურადღებას მივაქცევ ივ. მეშჩანინოვის დაკვირვებას, რომ **hi/he/hini/hine** ურარტულში „შვილის“ აღმნიშვნელი უნდა იყოს (Мещанинов, 1958:27).

მოყვანილი მოსაზრებებიდან:

ა. გამოვლინდა უძველესი კავშირი კავკასიურისა წინააზიურ სამყაროსთან;

ბ. **ხი/ხე/ხინი/ხინე** ურარტულში, დასაშვებია სხვა ენებშიც, აღნიშნავს „შვილს“.

საყურადღებო დაკვირვებებია და სარწმუნოც. და, რაც მთავარია, არსებული ვარაუდები იძლევა მსჯელობის გაგრძელების საშუალებას. აღვნიშნავთ, რომ ქართულში **-ხე/-ფხე** „ძე“-სა და „შვილ“-ის ომონიმი იყო და აღნიშნავდა „ქალის პატრიარქალური სახლეულიდან წარმომავლობას“ (მგელაძე, ფაღვა, 1998:5). „შაქარაფზე“ ნიშნავს „შაქარას ქალს“. რაც მეორეული ჩანს, დასახელებული

სუფიქსის ფუნქციის დავიწროების/გადაზარების შედეგი. თავდაპირველად ქართველურ სამყაროში იგი „შვილის“ აღნიშვნელი იყო ზოგადად. მომდევნო ეტაპზე საერთოდ დავიწყებას მიეცა **ხე**’ს მნიშვნელობა, შესაბამისად გაჩნდა ორმაგი წარმოების სახელები: **ლაშხი-ლაშხიშვილი** (>ლასხიშვილი), **მესხი - მესხიშვილი**...

ბუნებრივია, დაისვას საკითხი **-ხ** სუფიქსის მნიშვნელობის შესახებ ტოპონიმებში.

გეოგრაფიულ სახელებში **ხ**’ უნდა აღნიშნავდეს კონკრეტული სახელეულის, ანდა პატრიარქალური ოჯახის საცხოვრის, რომელიც, ჩვეულებრივ, წარმოადგენდა სოფლის უბანს, ზოგჯერ მთელს სოფელს, კუთხეს, ქვეყანასაც. ანალოგიური წარმოება დღესაც დასტურდება ჭოროხის აუზში, სხვაგანაც. მხედველობაში გვაქვს - **იან**, **-ეთ**, **-ებ**, **-ფხ** (კატაფხია) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები, რომლის შესახებაც მსჯელობაა არაერთ ნაკვლევში (ფაღავა, 2017:6-8; ფაღავა, 2018:3-9; Paghava, 2018(1):129-133; ფაღავა, 2018(2):118-118; ფაღავა, 2015:6-9; კლარჯეთი, 2016:607-632; მსხალაძე, 1954:21).

დაბოლოს, მთავარია, რომ **ხ**’ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები უძველესი ფენაა ტაოს ტოპონიმიაში.

შევხებით პარხლის მონასტრის ერთ წარწერას: „ქ. ესე მე... შევკაზმე შუა შტოდ ზეიომა იყო ამისი კალატოზი სიხარულა... **შანიფხე** კოჩემადსათა იოანე მთავარდიაკონი” (თაყაიშვილი, 1, 2016:408). წარწერაში ექვთ. თაყაიშვილი ყურადღებას ამახვილებს სახელურ ფორმაზე **შანიფხე** და აკეთებს კომენტარს: „სიტყვა **შანიფხე**”ში ყურადღებას იქცევს ჭანურ-მეგრული დაბოლოება „-ფხე”, რაც „ასულს”, „ქალს” ნიშნავს და ახლაც ემატება ხოლმე გვარს მდებდრობითი სქესის აღსანიშნავად” (უთითებს: Кипшидзе, 1914:400; Мегрелидзе, 1938:152-181). მკვლევარი სწორად განსაზღვრავს **ფხე**’ს მნიშვნელობას, რომ იგი „ასულს, ქალს ნიშნავს”. დაზუსტებას საჭიროებს მსჯელობის მომდევნო ნაწილი: „ფხე” „...ეხლაც ემატება ხოლმე გვარს მდებდრობითი სქესის აღსანიშნავად” (თაყაიშვილი, 1, 2016:408). რა გამოდის, **შანიფხე** გვარია? საერთოდ, ქართულისათვის დამახასიათებელია სქესის აღნიშვნა? ვფიქრობთ, არა! **შანიფხე შანის ასულია**, ისევე როგორც **შანისძე** ან **შანისშვილი** „შანის ვაჟი”, „წული”. **შანისძე** და **შანიფხე** შანის ნაშობს აღნიშნავს, შესაბამისად ვაჟსა და ქალს და, რაც მთავარია, არც ერთი გვარი არაა (ვრცლად იხ. მგელაძე, ფაღავა, 1998:3-21; ფაღავა, 2009(2):3-27). **-ფხე** ასევე აღნიშნავს ქალის პატრიარქალური ოჯახისადმი კუთვნილებას. **-ფხე** სუფიქსიანი წარმოება იმ ეპოქისაა, როდესაც გარჩეული იყო „შვილი” (ძე, წული, ვაჟი) და „ქალი” (ასული). გვარი, ახლანდელი გაგებით, გვიანი მოვლენაა, ისევე როგორც „შვილის” მიერ ზოგადად „ნაშობის”, - ქალისა და ვაჟის აღნიშვნა. ფაქტია, რომ ქართულმა ენამ, ზოგადად ქართულმა კულტურამ, არ იცის ქალისა და მამაკაცის გვარის განსხვავებული წარმოება, ბუნებრივია, არც მაწარმოებელი. როდესაც გვარი ჩამოყალიბდა, „შვილმა” და „ძემ” აღნიშნა ქალიცა და მამაკაციც.

დავუბრუნდეთ მთავარ სათქმელს: რას გვაძლევს მოყვანილი მასალა?

- ტაოს ტოპონიმიაში გამოვლინდა გეოგრაფიულ სახელთა ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა ხმოვნის თანხლებით **ხ**’ სუფიქსითაა ნაწარმოები.

- **ფხე/-ხე/-ხ** ერთი ძველი სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტებია, რომლის თავდაპირველი ფუნქციაა აღნიშნოს „შვილი”. **-ფხე/-ხე/-ხ** სუფიქსს ქალის

გვაროვნული კუთვნილების აღნიშვნა გვიან დაეკისრა და მხოლოდ ქართველურ კულტურაში.

- ტაოს ტოპონიმიაში დადასტურდა **-ხ, -ახ, -უხ, -იხ, -ეხ, -ხუ** ფონეტიკური ვარიანტები.

- **-ხ** სუფიქსი ტოპონიმებში აღნიშნავს გარკვეული ოჯახის სამკვიდრებელს.

- ტაოს **-ხ, -ახ, -უხ, -იხ, -ეხ, -ხუ** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები გვერდით უდგას ისეთ ძველ გეოგრაფიულ სახელებს, როგორიცაა **კოლხა, დიაოხი, მოსოხი, ტაოხი...**

**3.3.6. სუფიქსი ძე.** ტაოს ტოპონიმიაში რამდენიმე ძეზე დაბოლოებული გვარი დასტურდება: **ჩიტაზე-ჩიტაძე** (ჭიმჭიმი) **ძ:ზ** მონაცვლეობით, **კილაზე-კილაძე** (ჭილათი), **გუნგუზე-გუნგუძე** (უტავი), **არუნზე-არუნძე** (უტავი).

„ქართლის ცხოვრების” მიხედვით იშხნის ციხე მდებარეობს **ასპარაძენ**ში: „ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, **ასპარაძენს**” (ქ.ცხ. II, 288-289).

ძეზე დაბოლოებული გვარ-სახელები ტაოში, მექართულე ტაოში მაინც, არ იციან, ტოპონიმებმა შეინახა რამდენიმე გვარი. აღნიშნავთ, რომ გვარი ტოპონიმად ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება მთელს ჭოროხის ხეობაში, უფრო მრავლობითის ფორმით: **გოგაძეები, ხაბელაშვილები...** (აჭარაში). ზოგჯერ ასეთ სახელებს ახლავს თურქული მრავლობითობის სუფიქსიც: **ჩიტაზელარ, კილაზელარ...**

**3.3.7. სუფიქსი -ეთ.** -ეთ სუფიქსის შესახებ ქართულ მეცნიერებაში რამდენიმე მოსაზრებაა:

ნ. მარი -ეთ სუფიქსს ახასიათებს:

ა. როგორც მრავლობითობის მაჩვენებელს (Mapp, 1938:50).

ბ. როგორც კრებითი მნიშვნელობის მატარებელს, რომელიც „ასევე ითვლება ქვეყნების, როგორც განსაზღვრული ეთნიკური სახელწოდების მატარებელი მოსახლეობის შემცველი კრებითი ცნებების, სახელწოდებათა მაწარმოებლად” (Mapp, 1925:69).

თუ გავითვალისწინებთ, რომ კრებითობა მრავლობითობასაც გულისხმობს, ნ. მარის მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები გასაზიარებელია.

მოვუსმინოთ სხვა მკვლევრებსაც:

-ეთ სუფიქსი კრებითობას აწარმოებს კ. კეკელიძის დაკვირვებითაც (კეკელიძე, 1955:308).

„-ეთ სუფიქსი რისამე ან ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს” (ჩიქობავა, 1926:308; დონდუა, 1948:133-134).

გასაზიარებელია თ. ზურაბიშვილის დაკვირვება, რომ „ყველა თ'ანიანი ბოლოსართი წარმოშობით მრავლობითობის, კრებითობის მაწარმოებელი ჩანს” (ზურაბიშვილი, 1961:144).

მოყვანილი ყველა მოსაზრებით, „-ეთ სუფიქსის ფუნქციაა მრავლობითობისა თუ კრებითობის გამოხატვა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ -ეთ (და ყველა თ'ს შემცველი) სუფიქსისეული თ' იგივეა, რაც სახელებსა და ზმნებში რიცხვის მაწარმოებელი თ(ა)” (ფაღავა, 2015(1):3; შდრ. კლარჯეთი, 2016:607).

ქართულ მეცნიერებაში არსებობს -ეთ სუფიქსის შესახებ განსხვავებული შეხედულებაც:

ა. -ეთ და -ელ ერთი და იგივე ფუნქციის მატარებელია (ყაუხჩიშვილი, 1959:077-078).

ბ. -ეთ სუფიქსი აწარმოებს მამაკაცის გვარებს (ენუქიძე, 1977:39; შდრ. კახიძე, 2013:31).

საკითხზე მსჯელობას აქ აღარ გავაგრძელებთ, რამდენადაც მასზე ვსაუბრობთ სხვა შრომაში (იხ. კლარჯეთი, 2016:610-611; ფაღავა, 2015(1):9). ყურადღებას გავამახვილებთ პ. ინგოროყვას ერთ მოსაზრებაზე: „საქართველოთი” ძველ ქართულად აიხსნება აგრეთვე როგორც „საქართველოსეული” და შესაძარებლად მოიყვანს დავით აღმაშენებლის მატთანეში ნახმარ „მამული ლიპარიტეთი” - „მამული ლიპარიტისეული” (ინგოროყვა, 2009:287; შდრ. ქავთარაძე, 1985:65-67). რა კომენტარის გაკეთება შეიძლება მოყვანილ მოსაზრებაზე? ვიტყვით, **ლიპარიტეთი - ლიპარიტისა** და მისი სახლელულის საცხოვრისია, ლიპარიტისეულია, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ „საქართველოთი” - „საქართველოსეულია”, სხვაგვარად, „მამული ლიპარიტეთი” და „საქართველოთი” არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოთავსდეს.

სხვაგან პ. ინგოროყვა წერს: „...გვარი „ჩოფიკაშვილი” ხევში ორნაირად გამოითქმის: როგორც „ჩოფიკაშვილი” და „ჩოფიკეთი”, ასევე „გომიაშვილი” და ამის პარალელურად „გომიეთი” (ინგოროყვა, 2009:97). შევნიშნავთ: „ჩოფიკა-შვილისა” და „ჩოფიკეთის” გათანაბრება არ შეიძლება, როგორც „გომიაშვილისა” და „გომიეთის”, რამდენადაც პირველი გვარ-სახელია, მეორე - მისი საცხოვრისი. ვფიქრობთ, მეორე ძველია პირველზე.

ტაოში ჩავიწერეთ რამდენიმე ათეული -ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი, სადაც -ეთ ნახმარია ზემოაღნიშნული ფუნქციით, - გამოხატავს სიმრავლეს ან კრებულს.

ტაოს ტოპონიმიაში -ეთ დაერთვის როგორც რა ჯგუფის, ისე ვინ ჯგუფის სახელებს.

ა. -ეთ დაერთვის რა ჯგუფის სახელებს:

აკ-ეთ-ი (ტაშქარანი), ჭონ-ეთ-ი (ტაშქარანი), კოზან-ეთ-ი (ტაშქარანი), შადვალ-ეთ-ი (ტაშქარანი), ვაკ-ეთ-ი (ტაშქარანი), ვაკ-ეთ-ი (წოიწყალი), ხოსილ-ეთ-ი (ტაშქარანი), ჩარმან-ეთ-ი//ჭარმან-ეთ-ი (ტაშქარანი), ჭუმახ-ეთ-ი//ჩუმახ-ეთ-ი (ტაშქარანი), ღვირ-ეთ-ი (ტაშქარანი), შაფ-ეთ-ი (ჩევრელი), ხახას-ეთ-ი//ჰაჰას-ეთ-ი (ჩევრელი), გოგეს-ეთ-ი (თუხერისი), გაზვერ-ეთ-ი (ვეჟანგეთი), თაზ-ეთ-ი (ვეჟანგეთი), ხას-ეთ-ი (ვეჟანგეთი), კიტ-ავ-ეთ-ი (<კიტ-ევ-ეთ-ი. არჯევანი), ქერ-ევ-ეთ-ი<sup>11</sup> (ვეჟანგეთი), საფან-ეთ-ი (ვეჟანგეთი), ისრ-ეთ-ი (ხერმუთი), ქუსრ-ეთ-ი (ხერმუთი), ბაშკარ-ეთ-ი (ესენდალი), ბაშკარ-ეთ-ი (წოიწყალი), ლიყი-ეთ-ი (არჯევანი), საჯვერ-ეთ-ი <\*საჯვარ-ეთ-ი (არჯევანი), ოხს-ეთ-ი (უზუნდერე), კიტალ-ეთ-ი (არჯევანი), გოჭ-ეთ-ი

<sup>11</sup> კიტ-ევ-ეთ<sup>1</sup>, ქერ-ევ-ეთ<sup>1</sup> - ორმაგმაწარმოებლიანი სახელები ჩანს, გამოიყოფა -ევ და -ეთ სუფიქსები.



(არჯევანი), **ბაკერ-ეთ-ი** (ვეჟანგეთი), **სალბ-ეთ-ი** (ხერმუთი), **ტალბ-ეთ-ი** (ხერმუთი), **ხისრ-ეთ-ი** (ხერმუთი), **ასკილ-ეთ-ი**<sup>12</sup> (ქისფოროთი), **დანალ-ეთ-ი** (წოიწყალი), **საჯვარ-ეთ-ი** (წოიწყალი), **ყვერ-ეთ-ი** (წითლევეკარი), **ჯარ-ეთ-ი** (დაილა), **საფან-ეთ-ი/საფან-ეთ-ი** (იუსუფელი), **სინკლ-ეთ-ი** (ადგილი პარხლის ხეობაში), **კოზან-ეთ-ი** (ზღაფორი), **შავდალ-ეთ-ი** (ზღაფორი), **გოჭი-ეთ-ი** (უტავი), **ნახს-ეთ-ი/ნაქს-ეთ-ი** (უტავი), **ბიკრი-ეთ-ი** (წითლევეკარი), **კვერ-ეთ-ი** (წითლევეკარი), **ყუმელ-ეთ-ი** (ოშნაკი), **სავრი-ეთ-ი** (ელიასხევი), **მისკი-ეთ-ი** (ელიასხევი), **პერ-ეთ-ი** (ჭიმჭიმი), **ბარდი-ეთ-ი** (ქუაბაგი), **ქისფორ-ეთ-ი** (სოფ. პარხლისწყლის მარჯვენა ნაპირზე), **ზარკ-ეთ-ი** (ხერმუთი)...

-**ეთ** სუფიქსს გამოვყოფთ ტოპონიმში **მუხურგ-ეთ/მუხურგ-ით**ში (ოშნაკი).

დასახელებულ გეოგრაფიულ სახელთა ნაწილის ფუძე, შესაძლებელია, საკუთარი სახელი, უმეტესად მეტსახელი იყოს, ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობი. ტოპონიმთა ნაწილი გამჭვირვალეა, ნაწილის მნიშვნელობა - საძიებელია. მთავარია, რომ ყველა მათგანზე **-ეთ** სუფიქსის დართვით გამოიხატება კრებითობა ან სიმრავლე.

ბ. **-ეთ** სუფიქსი დაერთვის ადამიანის საკუთარ სახელს/მეტსახელს:

**ვარმ-ეთ-ი** (ხერმუთი). შდრ. **ვარამ-ეთ-ი**. **ვარამი** საკუთარ სახელად დასტურდება ისტორიულ წყაროებში.

**გირგოლ-ეთ-ი** (ტაშქარანი, ზღაფორი). შდრ. **გრიგოლ-ეთ-ი**.

**მელი-ეთ-ი** (ჩევრელი). შდრ. **მელა**, მეტსახელი კაცისა. თუმცა, დასაშვებია, **მელიეთ**ში **მელის** კრებულიც დავინახოთ.

**პაპნ-ეთ-ი** (მეზრე ჩევრელი). შდრ. **პაპან-ეთ-ი**. იგი ორმაგსუფიქსიანი სახელია: ნ' მრავლობითობის სუფიქსია, **-ეთ** - კრებითობის თუ სიმრავლის აღმნიშვნელი. **პაპა** საკუთარ სახელად დასტურდება, იგივე ფუძე ჩანს გვარში **პაპიძე**.

**ჰაკან-ეთ-ი/ჰაქან-ეთ-ი** (ჩევრელი). შდრ. **ჰაკანი** - საკუთარი სახელი, მაგრამ არაქართული.

**საბან-ეთ-ი** (ვეჟანგეთის მეზრე). შდრ. **საბან>საბა** საკუთარი სახელი.

**სუმბათ-ეთ-ი** (წოიწყალი). **სუმბათი** მამაკაცის სახელად გვხვდება ძველ საქართველოში.

**ფიჩხი-ეთ-ი** (უტავი). **ფიჩხი/ფიჩხა** მამაკაცის მეტსახელად გვხვდება. შდრ. **ფიჩხაძე**, **ფიჩხაია**.

**კვირიკ-ეთ-ი/კვირიქ-ეთ-ი** (ქუაბაგი). **კვირიკე** - ადამიანის საკუთარი სახელია. შდრ. გვარი **კვირიკაძე**, **კვირიკაშვილი**.

**ქვაბელ-ეთ-ი** (ქუაბაგი). **ქვაბელი** - წარმომავლობის სახელია მეტსახელად ქცეული.

**კუნტაკ-ეთ-ი** (ყიშლა არჯევანში). **კუნტაკი** მეტსახელი ჩანს.

---

<sup>12</sup> **ასკილ-ეთ-ი** - **ასკილ'** მცენარეული ფუძეა, რომელიც ქისფოროთელებმა (არც სხვა ტაოელებმა) აღარ იციან, მხოლოდ ტოპონიმს დააუცავს.

**ვეჟანგ-ეთ-ი<ვეჟან-ეთ-ი<sup>13</sup>** (სოფელი იუსუფელს ზემოთ). **ვეჟანი** მამაკაცის სახელია ძველ საქართველოში.

**გოჩ-ეთ-ი** (არჯვევანი). შდრ. **გოჩა//გოჩი** - მამაკაცის სახელი.

**კილაზ-ეთ-ი//კილაძ-ეთ-ი** (ჭილათის უბანი). **კილაძეთი** - კილაძეთა უბანია სოფელში.

**მახათ-ეთ-ი** (ჭილათის უბანი). **მახათა** მამაკაცის სახელი/მეტსახელი ჩანს ძველ საქართველოში. ფუძე დაცულია გვარში - **მახათაძე**.

**ხოსილ-ეთ-ი** (ზღაფორი).

**აკაკ-ეთ-ი** (ზღაფორი). შდრ. მამაკაცის საკუთარი სახელი **აკაკი**.

**გორამ-ეთ-ი** (ზღაფორი). შდრ. **გუარამ>გორამ//გვარამ**.

**კაპან-ეთ-ი** (წითლეკვარი). შდრ. მამაკაცის სახელი/მეტსახელი **კაპანა**, გვარი - **კაპანაძე**.

**ფილარ-ეთ-ი** (ადგილი მექართულე ტაოში). შდრ. **ფილარ[გ]ეთი**, გვხვდება ასევე **ფილა[დ]რეთი** (**დ** და **გ** განვითარებულია). ამოსავალი ჩანს **ფილარეთი**.

**ი-ეთ-ი<\*ია-ეთ-ი** (სოფ. ელიასხევში). **ია** ადამიანის საკუთარი სახელია. შდრ. გვარი - **იაძე, იაშვილი**.

**მურტი-ეთ-ი** (ბინათის მეზრე).

**ქორი-ეთ-ი//ქორ-ეთ-ი** (მცირე სოფელი ელიასხევში). **ქორა//ქორი** მამაკაცის სახელი/მეტსახელი ჩანს. დაცულია გვარში **ქორიძე**.

**კევრალ-ეთ-ი** (სოფლის უბანი). **კევრ-ალ-ეთ-ი** - ორმაგსუფიქსიანი სახელია. **კევრ-ალ**ში -**ალ** თურქული სუფიქსია ქართული -**იან**'ის ბადალი. **კევრალი** - **კევრიანი** კაცის მეტსახელი ჩანს.

**ინის-ეთ-ი** (ოლური). **ინისა<\*ინუსა** მამაკაცის სახელია.

**ხაჯარ-ეთ-ი<\*ხაჟალ-ეთ-ი** (ჭიმჭიმი). **ხაჯარ>ხაჟალ** მამაკაცის სახელი ჩანს. შენახულია გვარში **ხაჟალია**.

**პეტრ-ეთ-ი** (ბინათი), შდრ. **პეტრე** - მამაკაცის სახელი.

**კუპრ-ეთ-ი** (მცირე სოფელი). **კუპრა** მამაკაცის სახელი/მეტსახელი ჩანს. დაცულია გვარში **კუპრაძე, კუპრეიშვილი, კუპრაფა**.

**ნორფ-ეთ-ი** (ახლა დემილ ბაღლარი).

**ვან-ეთ-ი** (ადგილი მექართულე ტაოში). **ვანა**' ადამიანის მეტსახელი უნდა იყოს. შენახულია გვარში **ვანაძე**.

**ვარდან-ეთ-ი** (უტავი). ტაოში დასტურდება **ვარდანეთი**. **ვარდანეთი** **ვარდანეთ**ზე ზეწოლის ცდაა.

**წუმახ-ეთ-ი** (ზღაფორი). **წუმახი** - მეტსახელი ჩანს.

**ჩარმან-ეთ-ი** (ზღაფორი).

**ქურუნგ-ეთ-ი** (ჩევრელი).

**ბარდი-ეთ-ი** (ქვაბაგი). **ბარდა**' სახელი ან მეტსახელი ჩანს.

---

<sup>13</sup> იუსუფელის ძველი სახელი **ვეჟანგეთია**: ნახვარი **ახალთი**, ნახვარი - **ვეჟანგეთი**, ბაშქა - **იუსუფელი** (იაშარ გულან'ი). აღვნიშნავთ, რომ ახლაც იუსუფელის სამ უბანს გვისახელებენ: **ახალთი, ვეჟანგეთი** (პარხლისწყლის მარცხენა ნაპირზე) და **კოწახურა** (მარჯვენა ნაპირზე).

**ტალბ-ეთ-ი** <\***ტალიბ-ეთ-ი**<**თალიბ-ეთ-ი** (ხერმუდი). **ტალიბი/თალიბი** მეტსახელი ჩანს.

ვახუშტი ბატონიშვილი **ფანასკერტს** მოიხსენებს ფორმით **ფანასკ-ეთ-ი**<**ფანას-ეთ-ი** (ქ.ცხ. IV, 682, სქ.). ვფიქრობთ, **ფანასეთი** ქართულია, **ფანასკერტი** კიდეც მისი არმენიზებული ვარიანტი.

თუ კარგად გავსინჯავთ მოყვანილ გეოგრაფიულ სახელებს შენვიშნავთ, რომ სახელური ფუძეები ძველია, უმეტესი მათგანი - ქართული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ტოპონიმებიც ძველია, ოსმალობამდელი პერიოდის მაინც.

მოყვანილი მასალა ასევე გვამღევეს საფუძველს ვთქვათ, რომ **-ეთ** სუფიქსი გავრცელებული მაწარმოებელია ტაოს ტოპონიმიში. იგი დაერთვის სახელურ ფუძეებს და გამოხატავს კრებითობას, სიმრავლეს. ჭოროხის ქვეყნებში, მათ შორის ტაოშიც, ა. **-ეთ** სუფიქსი დაერთვის ადამიანის საკუთარ სახელს/მეტსახელს და აღნიშნავს მის საცხოვრისს, კუთვნილებას, რომელიც სოფელში ქმნის უბანს, ზოგჯერ სოფლის სახელადაც გვევლინება. ბ. **-ეთ** დაერთვის საზოგადო სახელებს და გამოხატავს მცენარეთა, ცხოველთა... კრებულს.

**3.3.8. სუფიქსი -ათ.** **-ათ -ეთ**'ის ზანურ შესატყვისად არის მიჩნეული (ქართ. ე. ზან. ა) (ზურაბიშვილი, 1961:141). ბუნებრივია ზანური ფენა ჭოროხის ხეობაში და ტაოშიც. მაგალითები:

**ქერ-ათ** (ხერმუთი), **ბურ-ათ**'ი (ხრმუთი), **ვაჭ-ათ**'ი (ხერმუთი), **ვან-ათ**' (ვეჟანგთი), **ვან-ათ-ი** (წითლევეკარის ახლოს), **ჩინთ-ათ**'ი (ჩევრელი), **ქოჩგ-ათ**' (ჩევრელი), **ჭილ-ათ**'ი<sup>14</sup> (სოფ. პარხლის ხეობაში), **ჭალ-ათ**'ი (ხერმუთი), **მოშნალ-ათ-ი** (არჯევანი), **ჩერ-ათ**' (ხერმუთი, შდრ. **ჭერ-ათ-ი** ჩ:ჭ მონაცვლეობით), **მურ-ათ**' (ხერმუთი), **სურნ-ათ-ი** (მეზრე, ქისფოროთი), **სულნ-ათ-ი**//**სურნ-ათ-ი** (ქისფოროთი), **სიბრი-ათ-ი** (წოდწყალი), **თორნი-ათ-ი** (არჯევანი), **სახ-ათ-ი** (არჯევანი), **ტუბ-ათ-ი** (წითლევეკარის ახლოს), **კილდი-ათ-ი** (წითლევეკარის ახლოს), **კილდი-ათ-ი**<sup>15</sup> (ქუაბაგი), **სხალ-ათ-ი**<sup>16</sup> (ბინათი), **ვაკი-ათ-ი** (ბინ-ათ-ი), **თუხ-ათ-ი** (ტაშქარანი), **ჩირდილ-ათ-ი** (ტაშქარანი), **სალიბი-ათ-ი** (ელიასხევი), **თუხ-ათ-ი** (ზღაფორი), **ჯარ-ათ-ი** (დევეთისა), **სასელი-ათ**'ი (უტავი), **თანჯი-ათ**'ი (უტავი), **სავრი-ათ-ი** <\***სავლი-ათ-ი**, **კერეველ-ათ-ი**<\***კერეულ-ათ-ი** (უტა-ვი), **ქორი-ათ-ი**//**ქორი-ეთ-ი** (სოფ. ელიასხევი), **ბინ-ათ-ი** (სოფელი ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე).

<sup>14</sup> „ჭილოდ ერთი კაცი მოსულა, ჭილათი უთქმიან” - გადმოგვცემენ ჭილათელები. არის მეორე ვერსიაც: „ჭილი ცხენი ყოლია, ჭრელი ძანი. სახელი ჭილოდ რქმევია და... ცხენი ხყოლია ათი და ჭილათი დაარქვეს” (მეჰმედ იმამოღლი ჭილათიდან). გონებამახვილური დაკვირვებებია, ცდა ახსნან სოფლის სახელის მნიშვნელობა.

<sup>15</sup> „კაპნის თავია, მაღალი კაპანია, იმისთვინ - კილდიათი” აგვიხსნეს ქუაბაგელებმა.

<sup>16</sup> ბინათის ბევრ ტოპონიმს „კარი” ახლავს. დაგვანტერესა ფაქტმა, შეგვნიშნა ინფორმატორმა, „სხალათი - იმას კარი არ აქ” - აგვიხსნა ღიმილით.

**3.3.9. სუფიქსი თ(ა).** ტაოში დადასტურდა თ(ა) სუფიქსით ნაწარმოებები რამდენიმე ტოპონიმი, ესენია:

**ახალ-თ(ა)** (უტავი), **ახალ-თ(ა)**, ისმის - **ახალ-თ** იც (იუსუფელი), **გონ-თ(ა)** (არჯევანი), **მინდორ-თ(ა)** (არჯევანი), **სხალ-თ(ა)** (არჯევანი), **სომ-თ(ა)** < \***სოჭ-თ(ა)** (არჯევანი), **მოშნან-თ(ა)** (არჯევანი).

ადგილობრივ გამოთქმაში ზოგჯერ -**თ(ა)** სუფიქსს -ა მოკვეცილი აქვს:

**გონთ** (წითლევეკარი), **ველ-თ** ი (წითლევეკარი), **წყართ** (შდრ. **წყართა** ზემოაჭარაში), **წითელ-თ** ი, **ქესინ-თ** ი (ესბევი), **ესკან-თ** ი (ბინათი), **საზხელ-თ** ი (ბინათი), **ჯირ-თ** ი (ხერმუთი), **სომ-თ** (წითლევეკარი), **ნაყორ-თ** ი (ქისფოროთი), **სოჭი-თ(ი)** (არჯევანი), **ნასხი-თ(ი)**//**ნასხი-დ(ი)** (ბასლეკარი), **მინდორ-თ** ი (არჯევანი).

-**თ(ა)** სუფიქსის შესახებ რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა:

ვ. თოფურია: „-**თა** სუფიქსი ქართულ ნიადაგზე ყოფილა წარმოშობილი და წარმოადგენს მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას. ტოპონიმიკურ სახელად გვქონდა მსაზღვრელ-საზღვრული, სადაც მსაზღვრელი ნარ-თანიანი მრ. რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში იყო, ისე როგორც ქართულშივე დადასტურებული რომელიმე: მთავართა სანათლო, ქაჯთა ქალაქი... შემდეგ დაიკარგა საზღვრული და ადგილის აღმნიშვნელად დარჩა მხოლოდ -**თა** სუფიქსიანი მსაზღვრელი. მას დროთა განმავლობაში ადგილის სუფიქსის ფუნქცია დაუკავშირდა...” (თოფურია, 1924:7-10).

განსხვავებული მოსაზრება აქვს ს. ჯანაშიას: „...ამ კატეგორიაში მოიპოვება ისეთი სახელები, რომელთა დაბოლოება ჩვენ სახელობითი ბრუნვის ფორმანტად მიგვაჩნია: ჯერ ერთი, რომ მათი ქართული წარმოშობა საეჭვოა, რადგანაც ისეთ რაიონებში გვხვდება, სადაც ქართვების მოსახლეობის არსებობა ან დაუმტკიცებელია (მაგ. სამეგრელოში: **ხეთა**, **ჟინოთა**, **ჯაბურთა** და სხვ.), ან სამიებელი (**ხორანთა** - ჰერეთში, **ქურთა** - ჩრდ. ოსეთში დაა სხვ.), შემდეგ იმიტომაც, რომ ამ სახელების ეტიმოლოგია ყოველთვის არ არის იმდენად ნათელი, მათი, როგორც კომპოზიციის ნაშთის გაგება დაუმტკიცებლად არ ჩაგვეთვალა (თუნდაც იგივე **მცხეთა**<sup>17</sup>, **ვარენთა** - სამცხეში, **ხანძთა** - შავშეთში, **იკორთა** - ქართლში). დასასრულ, ამასვე გვაფიქრებინებს ჩვენ ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ისეთი სუფიქსები, სადაც ფორმატივი წარმოდგენილია **თი** ს სხვადასხვა, ხშირად გართულებულს პირობებში...” (ჯანაშია, 1959:143).

მოყვანილი მსჯელობა საჭიროებს კომენტარს: ა. რატომ არ შეიძლება სამეგრელოში, ჰერეთში, სამცხეში... **თა** სუფიქსიანი (ქართული) ტოპონიმების არსებობა? ბ. **ხანძთა** კლარჯეთში მდებარეობს და არა შავშეთში.

-**თა** სუფიქსის შესახებ გამოითქვა სხვა მოსაზრებებიც:

<sup>17</sup> აღვნიშნავთ, რომ მოგვიანებით ვ. თოფურიაზე დაყრდნობით მცხეთის ეტიმოლოგია შემოგვთავაზა გ. ბედომვილიძე. მან უარყო უკვე არსებული მოსაზრება მცხეთის **მესხი** საგან მომდინარეობის შესახებ (იხ. შანიძე, 1978:85; ჭუმბურიძე, 1987:474-475; ბადრიძე, 1977:11; ღლონტი, 1975:304; 7-8), გამოყო მასში ცხ//<ჯც ძირი (მ-ცხ-ე-თა<მ-ჯც-ე-თა) და გაიაზრა, როგორც „მამასახლისთა საბრძანისი“ (ბედომვილი, 2002:14-16).

ნ. მარი -თა<sup>s</sup> განმარტავდა, როგორც ადგილის საწარმოებელ აფხაზურ **ta>da>Ta** სუფიქსს (Mapp,1938). ამ მოსაზრებას იზიარებდა ს. კაკაბაძეც.

ვ. გამრეკელი ზოგიერთ -თა სუფიქსიან სახელს ქისტურ-ჩაჩნური მასალით ხსნის. მაგ. გუფთა (ლიახვის ხეობა): გუფ<sup>3</sup> ნიშნავს „ბორცვს“, -თა კი ქისტური თანდებულია, ქართული ზე<sup>s</sup> ბადალი.

კ. ჰანი და მ. ჯანაშვილი -თა<sup>s</sup> მთას უკავშირებენ მ<sup>s</sup> დაკარგვით (ვიმოწმებთ: ზურაბიშვილი, 1961:142-143 მიხედვით).

მოყვანილი მსჯელობებიდან, ვფიქრობთ, სარწმუნოა ვ. თოფურიას მოსაზრება, რომელიც -თა<sup>s</sup> ქართულ ნიდაგზე წარმოშობილად თვლის. -თა სუფიქსი ტაოს გეოგრაფიულ სახელებში, რომელთა მნიშვნელობაც ხშირად ნათელი არაა, მათ ქართულობაზე მიუთითებს. და ეს მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი გეოგრაფიული სახელები დასტურდება მეთურქულე ტაოში, სადაც ქართულის კვალი საძიებელია.

### 3.3.10. სუფიქსი -ოთ. ტოპონიმთა მცირე ჯგუფში გამოვყოფთ -ოთ სუფიქსს:

ქისფორ-ოთ-ი (დასახლება ქისფოროთის ხეობაში), ქისფორ-ოთ-ი (ხეობა, პარხლისწყლის მარჯვენა შენაკადი), წყარ-ოთ-ი (იგივე - სამკარი. ოლთისი), სობტორ-ოთ-ი/სოტორ-ოთ-ი (თორთუმი).

-ოთ სუფიქსს გამოვყოფთ ტოპონიმებში ზალუმგ-ოთ-ი და ფიშინგ-ოთ-ი. თუმცა ამ უკანასკნელს სომხურით ხსნის ს. ნიშანიანი: ფიშინგოთ - ეკლიანი. -ოთ მაწარმოებელი გვაფიქრებინებს, რომ ფიშინგოთ<sup>3</sup> არაა სომხური, თუმცა მისი მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია.

ნ. მარს -ოთ -ეთ<sup>s</sup>ის დიალექტურ ვარიანტად მიაჩნია. ს. ჯანაშია კი იტყვის: „ამ შემთხვევაში რამდენადმე გაუგებარი იქნებოდა, რატომ დიალექტური თავისებურება სუფიქსის მხოლოდ პირველი რადიკალით არის გამოხატული” (ჯანაშია, 1959:114). ჩვენთვის მისაღებია, რომ -ოთ ქართული მაწარმოებელია, მისი დიალექტურობა არსებითად არაფერს ცვლის.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ -ოთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი არ ჩანს შავშეთში (ცეცხლაძე, 2004:211) ჯერ-ჯერობით მაინც, თხუთმეტამდე დადასტურდა კლარჯეთში (ფაღავა, 2015:10-11), გვხვდება აჭარაში (წყარ-ოთ-ა, კალ-ოთ-ა...), ტაოში - ზემომოყვანილი ხუთიოდე ტოპონიმი. ნათელია, რომ -ოთ ერთ-ერთი ნაკლებადგავრცელებული სუფიქსია ჭოროხის ხეობაში.

### 3.3.11. სუფიქსი -უთ. სუფიქსი -უთ გამოიყოფა ტოპონიმებში:

ურ-უთ (ოლთისი), ვართან-უთ-ი (ოლთისი), ახ-უთ (ოლთისი), თამრ-უთ (ოლთისი), ტანზ-უთ<sup>3</sup>ი//ტანზ-ოთ-ი (ოლთისი), ჩორხ-უთ-ი (<\*ჭოროხ-უთ-ი? ოლთისი), ავახქ-უთ<sup>3</sup> (ესბეკი), შულ-უთ<sup>3</sup> (ოლთისი), ჩარ-უთ (ფანასკერტი), ოღ-უთ (ფანასკერტი), წონწყ-უთ-ი (ჭიმჭიმი), ხერმ-უთ-ი (დასახლება პარხლის ხევში), ჰაშ-უთ<sup>3</sup> (ალაფინარი), კაჰნ-უთ<sup>3</sup> (ჩევრელი), ადამ-უთ<sup>3</sup> (ჩევრელი).

მნიშვნელოვანია, რომ ზოგჯერ -უთ და -ოთ სუფიქსები მონაცვლეობენ: ტანზ-უთ<sup>3</sup>ი//ტანზ-ოთ-ი. საერთოდ აღვნიშნავთ, რომ -უთ -ოთ<sup>s</sup>თან ერთად „ნაკლებად-



პროდუქტული და ნაკლებადგავრცელებული” ბოლოსართებია ქართულ-გეოგრაფიულ სახელებში (ზურაბიშვილი, 1961:141).

-**უთ**’ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ჩვენ ქართული წარმოებისად მიგვაჩნია. არის ზოგიერთი ტოპონიმის განსხვავებული ახსნის ცდა: **ურუთ**’ს ს. ნიშანიანი სომხურად მიიჩნევს, **ურუდ**’ სახელური ფუძის ფონეტიკურ ვარიანტად და ხსნის მას როგორც **ტირიფი**.

**3.3.12. სუფიქსი -ურ (//ულ).** -ურ//ულ მაწარმოებელს გამოვყოფთ შემდეგ გეოგრაფიულ სახელებში:

**ობ-ურ**’ი (იშხანი), **გოსგოს-ურ**’ (ესბეკი), **გოზახ-ურ**’ი (იუსუფელი. შდრ. **კოწახური**), **ხობ-ურ**’ (ოლური), **კაკალა-ურ-ი** (ტაოსკარი), **მუსუნჯ-ურ-ი** (ჭიმჭიმი), **დუგ-ურ-ი** (დაილა, უძველესი სოფელი მასისზე), **ბანგ-ურ-ა** (ელიასხევი), **ჩილით-ურ-ი** (ელიასხევი), **თანჩატ-ურ-ი** (ბალხიბარი), **სეფ-ურ-ი** (ხერმუთი), **კანაფ-ურ-ა** (ყიშლა), **ზინა-ურ-ი** (თორთომი), **ცინა-ურ-ი** (<\*წინა-ურ-ი? თორთუმი).

**ხახ-ულ-ი** (თორთუმი), **ფარ-ულ-ი** (ელიასხევი), **ჩუმბ-ულ-ო** (ჭალა. შდრ. **ჭუმბ-ულ//ჭუმბ-ურ**).

-**ურ-ულ** სუფიქსი შეიძლება გამოვყოთ **ჩაკიდ-ულ**’სა და **დაყენ-ულ**’ში (ელიასხევი).

ხმოვნების მომდევნოდ -**ურ-ულ** სუფიქსისეული ხმოვანი ფონეტიკურ ნიადაგზე გვაძლევს ვ’ს: **ეულ>ეველ**, **ოვლ>ოვულ**, **ეურ>ევრ**:

**ჯანველი<ჯანე-ულ-ი** (იუსუფელი), **მოდველი<მოდე-ულ-ი** (ელიასხევი), **ფოროზოვლი <ფოროზო-ულ-ი** (ელიასხევი), **ლეღვერი<ლეღე-ურ-ი** (ელიასხევი), **ქეთევრე<ქეთევრი<ქეთე-ურ-ი** (უტავი), **ჭორეველი//ჭორეველი<ჭორე-ულ-ი** (უტავი), **ღოროვლი<ღორეველი <ღორე-ულ-ი//ღორო-ულ-ი** (დევთისა), **სიცეველი<სიცე-ულ-ი** (გოდდე-კარი), **გურნეთეველი<გურნეთე-ულ-ი<გურნათე-ულ-ი** (არჯევანი).

-**ურ//ულ** სუფიქსს აკ. შანიძე განიხილავს როგორც წარმომავლობის აფიქსს და აღნიშნავს: „-**ურ**’ის დართვისას (ისე როგორც -**ულ**’ის დართვისას) გეოგრაფიულ სახელს, რომელსაც ბოლოში -**ეთ** და -**ის** აქვს, შეიძლება ეს -**ეთ** ჩამოშორდეს ძველი წარმოების თანახმად: **დუშეთი - დუშური...**” (შანიძე, 1973:127-128; შდრ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988; ზურაბიშვილი, 1961:149).

არნ. ჩიქობავას -**ურ//ულ** სუფიქსი რა კატეგორიის (არაადამიანთა კლასის - ავტ.) მაწარმოებლად მიაჩნია (ჩიქობავა, 2013:137).

მოყვანილი ორივე მოსაზრება საყურადღებოა, თუმცა მიგვაჩნია, რომ -**ურ//ულ** სუფიქსის ფუნქცია ტოპონიმებში დამატებით კვლევას საჭიროებს, უფრო - დაზუსტებას.

**3.3.13. სუფიქსი -არ//ალ.** ტაოს ტოპონიმიაში არცთუ ბევრია -**არ(-ალ)** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები:

**პარხ-ალ-ა** (დევთისა), **პარხ-ალ-ი** (ისმის - **პარხარიც**. სოფ. პარხლისწყლის ხეობაში), **ბუზ-ალ-ი** (ელიასხევი), **ხუმბ-ალ-ი** (ჭიმჭიმი), **პეტხ-არ**’ (თორთუმი).

სულ ხუთიოდე სახელი აღმოჩნდა ჩვენს მასალებში -არ//-ალ სუფიქსით ნაწარმოები. ასეთი ტოპონიმები იშვიათი იყო კლარჯეთშიც (იხ. ფაღავა, 2015:19). სარწმუნოა თ. ზურაბიშვილის დაკვირვება: -ალ (მასთან ერთად -ოლ და -ულ) სუფიქსი იშვიათია ქართულ ტოპონიმიაში (ზურაბიშვილი, 1961:149).

აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ „-არ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელთაგან აწარმოებდა წარმომავლობის სახელს” და მოიყვანს ნიმუშებს: **ოპიზა - ოპიზ-არ-ი, ოლთისი - ოლთის-არ-ი...** შდრ. **ჯვარ-ალ-ი, ინჩხირ-ალ-ი, ხორგ-ალ-ი** (შანიძე, 1981:33 და შემდეგ. შდრ. Шанидзе, 1981:24-31). -არ ამ შემთხვევაში -ელ'ის ბადალია (ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე, 1988:42). ჩანს, -არ სუფიქსიანი წარმომავლობის სახელები ძველი ფენაა ქართული ლექსიკისა.

რა მივიღეთ მოყვანილი მოსაზრებებიდან? ბევრი ვერაფერი, რამდენადაც გაურკვეველი დარჩა -არ//-ალ სუფიქსის მნიშვნელობა გეოგრაფიულ სახელებში, ვერც ჩვენ ვთავაზობთ მკითხველს ახალს. თუმცა ერთი დაშვება შეიძლება: იქნებ -არ -ნარ'ის (დისიმილაციით -ნალ) ნარჩენი იყოს<sup>18</sup>... არნ. ჩიქობავა იტყვის: „-ნ მრავლობითობის სუფიქსია, -არ კი მეორე სუფიქსი, რომელიც თავისი მნიშვნელობით შეიძლება -ონ ჭანურისათვის გაგვეთანაბრებინა” (ჩიქობავა, 1926:308-309), რომელიც აღნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე მცენარე ხარობს. ვარაუდი სარწმუნო იქნებოდა, თუ **პარხალ, ბუხალ, ხუმხალ, პეტხარ** მცენარეული ფუძეები იქნებოდა, მაგრამ არა გვგონია ასე იყოს. უნდა დავუშვათ, რომ -არ//-ალ გარდა მცენარეულისა სხვა ფუძეებიდანაც აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს.

**3.3.14. სუფიქსი -ილ. მოგლეს-ილ-ი** (მწ. კაჩკარზე) - ერთი გეოგრაფიული სახელი -ილ სუფიქსით ნაწარმოები.

-ილ ბოლოსართით ნაწარმოები მიმღეობური ფუძე გამოყენებულია ტოპონიმად. ანალოგიური შემთხვევები ჰქონდა მხედველობაში აკ. შანიძეს, როდესაც წერდა: „საზოგადოდ, გეოგრაფიულ სახელებში შეიძლება ყოველგვარი მაწარმოებელი იქნეს გამოყენებული. ზედმიწევნულობა რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ: ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად” (შანიძე, 1973:137-138). გამომდინარე თქმულიდან, ტოპონიმებში მიმღეობისა და წარმომავლობის (კიდევ სხვა მრავალის) აფიქსების პოვნის არ არის მოულოდნელი.

დაბოლოს, ტაოს ტოპონიმიაში ერთი გეოგრაფიული სახელი დავადასტურეთ -ილ სუფიქსით ნაწარმოები, კლარჯეთში - სამი, შავშეთში საერთოდ არ ჩანს (იხ. ცეცხლაძე, 2004), აჭარაში მახსენდება **გაწყვეტილი//მიწაგაწყვეტილი** (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, ორთაბათუმის თემი). შეიძლება ითქვას, იშვიათია -ილ სუფიქსიანი მიმღეობური ფუძე ტოპონიმად.

<sup>18</sup> ნ. მარის მტკიცებით მრავლობითობის ნიშანია **ნ-არ**, სადაც **-ნ** „ქართველთაა”, -არ კი სვანურშია დაცული მრავლობითობის ნიშნად (Март, 1915:937). ეს მოსაზრება უარყო არნ. ჩიქობავამ (იხ. ჩიქობავა, 1926:310).

**3.3.15. სუფიქსი -ოლ.** სამიოდე გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა **-ოლ//ორ** სუფიქსს:

**ქაფშ-ოლ-ი** (ელიასხევი), **გოროზ-ოლ'**(ელიასხევი), **შედროლ-ოლ-ი** (ჭიმჭიმი).

**-ოლ** სუფიქსი ჩვეულებრივ მასდარს აწარმოებს. შდრ. **თრთის - თრთოლა, კრთის - კრთოლა** (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:349). ერთი რამ ნათელია, სახელდების პროცესში ენა არ არჩევს, თუ რა წარმოებისაა ესა თუ ის ლექსემა, მთავარია, ეს სახელი სახელდების ობიექტს ახასიათებდეს კონკრეტული ნიშნით.

**3.3.16. სუფიქსი -ელ:**

**ოლდ-ელ-ი, ქარახ-ელ-ი** (ბინათი), **ენგიშ-ელ-ი** (ვეჟანგეთი), **ქარხ-ელ-ი//კარხ-ელ-ი** (ჩევრელი), **ჩევრ-ელ-ი** (სოფ. ჭოროხის ხეობაში იუსუფელს ზემოთ).

**-ელ** ჩვეულებრივ ადამიანის წარმომავლობის მაწარმოებელი სუფიქსია (შანიძე, 1973:127). იშვიათად ასეთი სახელი ტოპონიმიდან გვხვდება (შდრ. მაკალათია, 1976:54).

**3.3.17. -თან თანდებულნი სახელი ტოპონიმად.** ანზავის//ანძავის ხეობაში ერთი თანდებულნი ფორმა დადასტურდა გეოგრაფიულ სახელად: **სახალდი-თან<\*სახალდ-თან**. მნიშვნელოვანია, რომ ტოპონიმი ჩავიწერეთ ახლა მეთურქულე ხეობაში.

**3.3.18. სუფიქსი -ომ.** ტაოს გეოგრაფიულ სახელებში დადასტურდა **-ომ//უმ** სუფიქსით ნაწარმოები ფუძეები:

**ქილაკ-ომ-ი** (თორთომი), **თორთ-ომ-ი//თორთ-უმ-ი** (მხარე და ქალაქი ტაოში), **მიღრეკ-ომ-ი//მეღრაკ-ომ-ი** (თორთუმი).

საყურადღებოა, რომ სამივე ტოპონიმი თორთომშია.

აღვნიშნავთ, რომ ს.ნიშანიანი **მიღრეკ-ომ**ს სომხურით ხსნის, „თაფლის მეზრას ნიშნავს“. ჩვენთვის უცნობია **მიღრეკ//მეღრაკ** ფუძის მნიშვნელობა, მაგრამ **მიღრეკომ//მეღრაკომ** სახელში უდავოდ გამოიყოფა **-ომ** ბოლოსართი, და ის ნამდვილად არაა სომხური.

**-უმ//ომ** სუფიქსის ერთ-ერთი ფუნქციაა მცენარეული ფუძიდან გეოგრაფიული სახელის წარმოება (იხ. ფაღვა, 2009:13), გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც (Климов,1964; გორდეზიანი, 1985:11).

არსებული მოსაზრებებიდან ჩვენთვის საყურადღებოა:

**-ამ//ემ** სუფიქსი გამოიყოფა ეგეიდასა და მცირე აზიაში გავრცელებულ სახელწოდებებში;

**-ამ//ემ** სუფიქსი წინარებერძულია და, ჩანს, არაინდოევროპული.

**-ამ//ემ** სუფიქსის ვარიანტია **-ომ//უმ**.

**-ამ//ემ** სუფიქსი და მისი ვარიანტები - **ომ//უმ** გვხვდება ქართულ ტოპონიმებში (ვრცლად იხ. ფაღვა, 2009:3-4).

ენათმეცნიერებაში არსებობს სხვა შეხედულებაც, პირველისაგან განსხვავებული (Март,1938:173; ბედოშვილი, 2002; ჭუმბურიძე, 1987:463).

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩანს, მომავალშიც გამოითქმება სხვა მოსაზრებები, ურთიერთგამომრიცხავი კი.

**3.3.19. სუფიქსი -ნარ//-ნალ.** ტაოში დავადასტურეთ **-ნარ//-ნალ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები:

**კოშკუ-ნარ** (ფანასკერტი). შდრ. **კოშკები**.

**კორდუ-ნარ** (ფანასკერტი), შდრ. **კორდუ-ნარ<\*კორდ-ნარ-ი**.

**ლოდ-ნარ-ი** (ელიასხევი).

**ნეკ-ნარ-ი** (ელიასხევი), შდრ. **ლეკ-ნარ-ი**.

**ბან-ნალ'** (წითლეკარი), შდრ. **ბალ-ნარ-ი**.

**ძეწ-ნარ-ი<ძეწ-ნარ-ი** (ელიასხევი), შდრ. **ძეწ-ი**.

**კორდ-ნალ-ი** (ელიასხევი).

**წვერი-ნალ-ი** (დევთისა), შდრ. **წვერ-ნალ-ი**.

**ხევ-ნარ-ი<ხე-ნარ-ი** (დევთისა), შდრ. **ხეები** (ტყე).

**ბე-ნარ-ა** (ზღაფორი).

**კევ-ნარ-ი** (ტყე, ქუაბაგი) - ადგილი სადაც კევის ხე, საღსაღაჯი (მაყაშვილი, 1991) იზრდება.

**კალოვ-ნარ-ი<\*კალო-ევ-ნარ-ი** (ელიასხევი).

**დარუ-ნალ-ი** (ყიშლა, ელიასხევი). შდრ. **დარე-ნალ-ი**. **დარე** - ფერდობი (ნიქარაძე, 1971).

**კოკ-ნარ-ი** (ყიშლა, არჯევანი).

**ჯინ-ნარ-ი** (ჩვერელი).

**გიგ-ნარ-ი** (ჩვერელი). **გიგი-ეთ-ი** (ამბოზენ - გივიეთ'საც) ქვაბაელების უბანია ჩვერელში.

**ჯილ-ნარ-ი** (ჩვერელი). მდინარისპირა ველია, მერე. გვხვდება - **ჯილჯილი** ც.

**ქუშ-ნარ-ა <\*ქვიშ-ნარ-ა** (არჯევანი).

**ვაკე[ვ]-ნარ-ი** (ელიასხევი).

**-ნარ//-ნალ** სუფიქსიანი ტოპონიმები აღნიშნავს მცენარეთა თუ სხვა საგნების სიმრავლეს.

**3.3.20. სუფიქსი -ოვან//-ევან.** ტოპონიმთა ერთ ნაწილში გამოიყოფა **-ოვან//-ევან** სუფიქსი:

**საბზ-ოვან-ი** (ზღაფორი), შდრ. **ბზე**.

**ნიგზ-ევან-ი** (ჭიმჭიმში), შდრ. **ნიგზ-ოვან-ი**.

**ბორ-ოვან-ი** (იუსუფელი).

**საბზ-ევან-ი** (მაილა).

**ყულახს-ვან-ი** (ელიასხევი), შდრ. **ყულახს-ოვან-ი**.

**საყურ-ვან-ი** (ელიასხევი), შდრ. **საყურ-ოვან-ი**.

**სატილ-ოვან-ი** (ელიასხევი), შდრ. **სამტილ-ოვან-ი**, ადგილი, სადაც **მტილია**, „ბოსტანია“ (ორბელიანი, 11949). ილ. აბულადის განმარტებით, ბაღი, ყვავილნარი, ბოსტანი (აბულაძე, 1973). აღვნიშნავთ, რომ ტაოურმა დღეს არ იცის „მტილი“, ფუძე დაუცავს ტოპონიმს.

**ლეღ-ევან-ი//ლეღ-ოვან-ი** (უტავი). **ლეღი** - წვრილი ლერწამია (ორბელიანი, 1949).

**კალ-ვან-ი<\*კალ-ოვან-ი** (უტავი).

**წალიკ-ვან-ი** (ელიასხევი). „წალი - ბუქი, სიცივე იქიდან მუა” - განმარტა ერთმა ინფორმატორმა. „წალიკვანი - წყალუკვანიო” - დააზუსტა მეორემ. **წალიკა** - მცენარეა, იგივეა, რაც წყლის **ინა**, **ცხენის ინა**. ეს მცენარე განსხვავებული სახელითაც გვხვდება საქართველოს ბევრ კუთხეში (იხ. მაყაშვილი, 1991:91). შ. ნიჟარაძე ასეთ განმარტებას გვთავაზობს: 1. წყლის მატიტელა; 2. ზაია (ნიჟარაძე, 1971).

**კულ-ვან-ი** (კრაეკარი). **კულა** - „ჯის სასმისი, ჯმიანი” (ორბელიანი, 1949).

**ზემ-ვან-ი<\*ზემო-ვან-ი** (ხერმუთი).

**კურდ-ვან-ი//ქურდ-ვან-ი** (სადგიყანა).

**ანღუარ<\*ანდოარ<\*ანდო-ვარ<\*ანდო-ვან** (ოშნაკი).

-**ოვან//ევან//ვან** სუფიქსი რისამე მქონებლობას აღნიშნავს.

**3.3.21. სუფიქსი -აკ**. რამდენიმე ტოპონიმში გამოიყოფა -**აკ** (>ეკ) სუფიქსი:

**ქერმუშ-აკ-ი** (ოშხი), **აქარ-აკ//ექრ-ექ** (თორთომი). შდრ. **აგარაკი**. აქ ქართული სახელის თურქიზებული ფორმა ჩანს.

ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელში -**აკ** -**იკ**’ად ქცეულა:

**ახჩირ-იკ** (თორთუმი), „მარილის პატარა საბადოო” - ხსნის სომხურით ს. ნიშანიანი.

**ხიზბირ-იკ** (თორთუმი).

**ხევ-ეკ-ი** - „ხევია, დერე, იმიტომ ქვია” (გვეუბნება ისმაილ ირთიჯი). **ხევ-აკ-ი>ხევ-ეკ-ი** ე - ა> ე - ე. არსებობს **დიდი ხევეკი** (არმენ ხევეკი) პარხლიწყლის ხეობაში და **ხევეკი** - ელიასხევს ზემოთ, პატარა ხევეკი.

**ეხრეკი//ეჰრეკი** (ოშხი). **ეხრ-ეკ-ი<ეხრ-აკ-ი** საგან ე - ა>ე - ე’ს ასიმილაციით.

**3.3.22. სუფიქსი -ის//ისი**. პროდუქტულია -**ის//ისი** სუფიქსიანი წარმოება:

**კოდან-ის-ი//კოდან-ს-ი** (თორთუმი). ს. ნიშანიანი მას სომხურით ხსნის, **ყაჩაღებს** ნიშნავსო. ტოპონიმი, ვფიქრობთ, ქართულია, სახელის ნათესაობითის ფორმა, ფუძეა **კოდან<კოდლო-ნ** (შდრ. **კოდლო-ნ-ი**, **ნ** მრავლობითობის ნიშანია).

**აბრნე-ს-ი//აბურნე-ს-ი** (თორთუმი). შდრ. **აბურნე-ის-ი**. ამჯერად ძნელია **აბრნე//აბურნე** ფუძის წარმომავლობაზე საუბარი, მაგრამ სახელის წარმოება უდავოდ ქართულია.

**ჩალირნ-ის-ი<\*ჭაგირნ-ის-ი** (თორთუმი).

**ვალტანოსი//ვახტანგაცი** (თორთუმი), შდრ. **ვახტანგ-ის-ი**. **ვალტანოსი//ვახტანგაცი**, ვფიქრობთ, **ვახტანგის**’ის არმენიზებული ფორმაა.

**ერკენ-ის-ი** (იშხანი). **ერკელ<ერკენ**’ გვხვდება აჭარულში (ერკელიობს), ნიშნავს ამინდის ცვალებადობას (ნიჟარაძე, 1971; ლლონტი, 1984). შეიძლება, ფუძე დავუკავშიროთ ქართულ **ერკინა** - „რკენა უყო” (ორბელიანი, 1949) ფუძეს. **ერკინა** >**ერკენა**’ს ე - ი>ე - ე ასიმილაციით.

**ზერდენ-ის-ი** (ოლთისი)<\*ზარდენისი, ა - ე>ე - ე’ს ასიმილაციით.

**არდუ-ს-ი<არდუ-ის-ი** (ოლთისი).

**სანან-ის-ი** (ოლთისი). შდრ. **სანანო** ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს.



ფირდანუ-ს-ი<\*ფირდანუ-ის-ი (ოლური).  
 ალქუნ-ის-ი (ოლური).  
 ალქუთ-ის-ი (ოლური).  
 ორთ-ის-ი (ოლური), შდრ. ორთა-ის-ი.  
 მალაქ-ის-ი<sup>19</sup> (ოლური). შდრ. მალაქია - მამაკაცის სახელი.  
 ქარნავ-ის-ი (ოლური).  
 აქურთ-ის-ი (ოლური).  
 ვაკეს'ი<\*ვაკ-ე[ვ]-ის-ი (ტაოსკარი).  
 არტან-ის-ი (ტაოსკარი), გამოთქვამენ არტან'საც. იგივე ფუძეა, რაც არტან//არდაან'ში.  
 ოლთ-ის-ი (ქალაქი და კუთხე ტაოში). თურქული გამოთქმით - ოლთუ.  
 ფირაჩე-ს-ი<\*ფირაჩ-ე[ვ]-ის-ი (ოლთისი).  
 ჯუჯურ-ის-ი<\*ჯუჯურუ-ის-ი (ოლთისი).  
 მას-ის-ი<sup>20</sup> (მწ. კაჩკარის/პონტოს მთებზე).  
 დევთ-ის-ა (ელიასხევი).  
 ქანსა-ს//ქანზა-ს (ქისქიმი). შდრ. ქანძა-ს-ი. აქ, ვფიქრობთ, გამოთქმის პრობლემაა.  
 სარენ-ს-ი<\*სარენ-ის-ი (ოშნაკი).  
 ჩანე-ს-ი<\*ჩან-ე[ვ]-ის-ი (ოშნაკი).  
 ჯადანს<\*ჯადან-ის-ი (ოშნაკი)<sup>21</sup>.  
 ხუნე-ს-ი<\*ხუნ-ე[ვ]-ის-ი (უტავი). ხუნ' იგივე ფუძეა, რაც ხუნევ'ში.  
 აზან-ის-ი (ორუქი; ანძავი).  
 ქირექ-ის-ი (ორუქი).  
 ქუქარ-ის-ი<\*გუქარ-ის-ი(?) (ტამარანი).  
 ზოცენ-ს-ი<\*ზოცო-ნ-ის-ი. შდრ. ზოცო-ნ-ი. ზოცო მამაკაცის სახელი ჩანს ძველ საქართველოში.  
 კუვანს<\*კუვან-ის-ი (ალაფინარი).  
 ვახტან-ს-ი<\*ვახტანგ-ის-ი (ალაფინარი). ვფიქრობთ, გამოთქმის პრობლემაა.  
 ხარ-ს-ი<\*ხარ-ის-ი(?) (უზუნდერე).  
 ფირექ-ის-ი (ანზავი).  
 თუხერ-ის-ი<sup>22</sup> (სოფელი ჩევრელს ზემოთ), შდრ. ძვ. თუხარ-ის-ი.

<sup>19</sup> ამბობენ, რომ ტაოსკარელთაგან მალაქისელებმა ყველაზე გვიან დაივიწყეს ქართული.

<sup>20</sup> „მასისი ღმერთის თა არი. მასი ღმერთის ერთი სახელია...“ (რეჯებ ქეჩეჯი). ამ დაკვირვებაში მნიშვნელოვანია, რომ მასისი კუთვნილების აღმნიშვნელი ფორმაა.

<sup>21</sup> ნათელია, რომ ოშნაკელებს უჭირთ არათურქული ტოპონიმების გამოთქმა, რაც დასტურია იმისა, რომ აქაურებმა დიდი ხანია დაივიწყეს წინაპართა ენა, იქნებ, სოფელში ნარევი მოსახლეობაცაა.

<sup>22</sup> პ. ინგოროყვას დაკვირვებით, „...ძველი, ისტორიული თუხარისი ეს არის თანამედროვე პუნქტი ხერსი. ეს უკანასკნელი მდებარეობს არა მდ. ჭოროხის ნაპირას, არამედ მთაში, მდ. ხერსის წყლის სათავეებში და ათეული კილომეტრი არის დაშორებული ჭოროხს“ (ინგოროყვა, 2009:364, სქ.2).

**ხერს-ის-ი** (ხევი ერენქოიში).

**თუქერ-ის-ი** (ჩევრელის მეზრე), იგივე - **თუხერისი**.

-ის სუფიქსიანი უნდა ყოფილიყო ახლანდელი **გურაბინ//გურაბიმ ბოლაზი** (ანზავი. შდრ. **გურაბინის//გურაბიმის კარი**). აქ გამოთქმის სიძნელესთან გვაქვს საქმე, ქართულის არმცოდნე გამოთქვამს ასე.

-ის სუფიქსს ვხედავთ **კარინკოს** შიგ(<\***კარინკო-ის-ი**) (თორთუმი). თუმცა ს. ნიშანიანი ჩაიწერს **კარინგეც** ფორმას, ახსნის როგორც „დამდგარი ქვა“. **კარინგეც** ი გეოგრაფიულ სახელზე ძალადობის გამოვლინებაა.

**3.3.23. სუფიქსი შენ**. ავ-შენ-ი (უზუნდერე).

**ვალენ-შენ-ს** (ოშნაკი). შდრ. ფა[ვ]ლენ-შენ.

**ვარ-შენ-ი** (ალაფინარი).

**ნორე-შენ** (ალაფინარი). შდრ. ნორაშენი.

**მურუნ-შენ-ს** (ოშნაკი).

**ბურნა-შენ-ი** (ოლთისი).

სულ შვიდიოდე სახელი ჩაგვიწერია **შენ** ელემენტით ნაწარმოები.

შენ-ით ნაწარმოები ტოპონიმები ტაოდან გვერდით დაუდგება ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, როგორცაა თამარაშენი, ოთარაშენი...

როგორც ვხედავთ, სუფიქსთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა ტაოს ტოპონიმია: -ა, -აკ, -ევ, -ებ, -იან, -ხ// -ახ// -უხ// -იხ// -ეხ// -ხუ, -ძე, -ეთ, -ათ, -თ(ა), -ოთ, -უთ, -ურ// -ულ, -არ// -ალ, -ილ// -ელ, -ომ, -ნარ// -ნალ, -ოვან, -ევან, -ის//ისი, -შენ ბოლოსართებით უწარმოებიათ გეოგრაფიული სახელები. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მანარმოებლები დაერთვის როგორც ქართულ, ისე არაქართულ სახელურ ფუძეებს. დაბოლოს, ქართულმანარმოებლიანი ტოპონიმები გავრცელებულია როგორც მექართულე, ისე მეთურქულე ტაოში, რაც მნიშვნელოვანია.

\*\*\*

ტაოს ტოპონიმიაში გეოგრაფიულ სახელთა ნაწილი, რაოდენობრივად მცირე, ნაწარმოებია უცხოური, უპირველესად თურქული, სუფიქსებით. ეს უკანასკნელი შედარებით ახალი ფენაა ტაოს ტოპონიმისა. უცხოური აფიქსები დაერთვის როგორც თურქულ, ისე ქართულ ფუძეებს.

---

აღნიშნავთ, რომ თუხარისის ციხე მდებარეობს ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, შემადლებულ გორაკზე, სადაც თუხერისის ხევი (თ. ოქუზდერე), პ.ინგოროყვათი - **ხერსი** შეერთვის ჭოროხს, სოფ. ჩევრელში, რაც შეეხება თუხერისს, იგი მდებარეობს მთაში, ჭოროხიდან ორ ათეულ კილომეტრზე მაინც.

თუხარისის ლოკალიზაციისათვის იქნებ ისიც გამოდგეს, რომ იგი იშხნის საეპისკოპოსოს საზღვრებშია, მასთან იშხნის საეპისკოპოსოში შედის საკავკასიძო (პარხალი) და ისპირიც (იხ. ინგოროყვა, 2009:381). ჭოროხის ხეობაში იუსუფელს ზემოთ მდებარეობს კავკასისმეთა ციხე (თ. თექვალე), ოთხთა ეკლესია, თუხარისი, უფრო ზემოთ - სპერი, ახლა - ისპირი.

**3.3.24. სუფიქსი -ლარ//ლერ.** -ლარ//ლერ მრავლობითობის სუფიქსია თურქულში, ქართული -ებ, -ნ, -თ, -ევ სუფიქსების ბადალი.

**ჩაქუთ-ლარ** (მეზრე, იმხანი), შდრ. **ჩაქუთები**.

**მერექ-ლარ** (იმხანი), შდრ. **მერეგები**.

**შეი-ლარ** (იმხანი), შდრ. **ქალაქები**.

**თაფი-ლარ** (ადგილი ბანისწყლის ხეობაში, ოლური/ტაოსკარის გადასახვევი. ადგილი, სადაც ტაოსკარის ციხეა აშენებული).

**წითე-ლარ**<**წითელ-ლარი** (ბინათი). წითელა მამაკაცის სახელი ან მეტსახელი ჩანს. შდრ. **წითლივკარი/წითლეკარი**, გვარ-სახელი **წითელაძე**.

**ტახ-ლარ**'ი (ხავისკარი), შდრ. **ტახები**.

**ყარამან-ლარ**'ი (ელიასხევი), გვხვდება ქართული ფორმებიც **ყარამანები**, **ყარამანევი**.

**ფევზა-ლარ**'ი (ელიასხევი), გვხვდება - **ფევზიანიც**.

**ბალაზე-ლარ**' (უტავი), დასტურდება - **ბალაზე**'ც.

**დუზ-ლარ**' (უტავი), შდრ. **მინდვრები**.

**ჩაი-ლარ**' (უტავი), შდრ. **ბალახები**, **ბალახვანი**.

**სითელოღლი-ლარ**'<**წითელოღლი-ლარ** (არჯევანი). შდრ. **წითელოღლები**.

**ედილოღლი-ლარ**' (არჯევანი), შდრ. **ედილოღლები**.

**კირიდაღ-ლარ**' (ორუქი).

**მინდორ-ლარ**' (ყიშლა არჯევანში), შდრ. **მინდვრები**.

**ქილისე-ლარ**' (ტაძარანი), შდრ. **ტაძრები/ეკლესიები**.

**ტუბეთე-ლარ**'<**ტუბ-ეთ-ევ-ლარ** (უტავი).

ერთ ტოპონიმში დადასტურდა **-ლარ**'ის **-ლერ** ფონეტიკური ვარიანტი: **ელიენჯე-ლერ** (ნევის ნარმანი).

მოყვანილ მასალაში ყურადღებას იქცევს:

- ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ორი (ზოგჯერ მეტიც) სუფიქსითაა ნაწარმოები:

**ტუბ-ეთ-ევ-ლარ**, **თოფალ-ოღლი-ლარ**, **სითელ-ოღლი-ლარ**, **ედილ-ოღლი-ლარ**, **ბალა-ზე-ლარ**. ყურადღებას მივაქცევთ, რომ ნაწარმოებელთაგან, ორივე ერთი და იმავე ფუნქციის მატარებელია, ოღონდ ერთი ქართულია, მეორე - თურქული: **ბალა-ზე-ლარ**, **ტუბ-ეთ-ევ-ლარ**...

- ქართულ ფუძეზე დართულია თურქული ნაწარმოებელი: **სითელ-ოღლი-ლარ**<**წითელ-ოღლი-ლარ**, **მინდორ-ლარ**, **ტუბეთ-ლარ**, **ტახ-ლარ**...

- ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ქართულის პირდაპირი თარგმანი ჩანს: **ქილისე-ლარ** - ტაძრების, ძვ. ტაძარანის თარგმანი ჩანს, **შეილარ** - ქალაქები...

- ზოგიერთი ტოპონიმი ახალ დროში ქართულის ანალოგიითაა შექმნილი: **ედილოღლი-ლარ** შდრ. **ედილოღლები**, **თოფალოღლი-ლარ** - თოფალოღლები...

აღვნიშნავთ, რომ თურქეთის ქართულ პროვინციებში გეოგრაფიული პუნქტების ქართული სახელები თურქულით შეცვალეს. სახელდების პროცესი რამდენიმე გზით წავიდა:

- სახელდებისას გეოგრაფიულ პუნქტს ახალი ნიშანი შეურჩიეს და შესაბამისი სახელი უწოდეს.

- ძველი სახელი თარგმნეს თურქულად.

ძირითადად ეს ორი ტენდენცია იკვეთება ძველის ახლით შეცვლის გზაზე (ფაღავა, 2015:37-36; კლარჯეთი, 2016:630).

**3.3.25. სუფიქსი -ლულ.** თურქული -ლულ ქართული -ნარ, -იან სუფიქსების ბადალია (შდრ. შავშეთი, 2011:330; კლარჯეთი, 2016:637). ტაოში -ლულ მაწარმოებლიანი გეოგრაფიული სახელი მხოლოდ ერთი ჩავიწერეთ: ყავ-ლულხ//ყავ-ლულ (ესბევი), - ქართულად „საკრამიტე მიწა“. ანალოგიური წარმოების ტოპონიმები შედარებით მეტი დადასტურდა შავშეთსა და კლარჯეთში. გვახსენდება აჭარაშიც: ბარდ-ლულ-ი, ჩამკადა-ლულ-ი (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, ორთაბათუმის თემი).

**3.3.26. სუფიქსი -გილ.** -გილ სუფიქსით ნაწარმოები სამ ათეულამდე გეოგრაფიული სახელი დავადასტურეთ ტაოში. გილს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაიც ქართულ -ეულ//-ოულ, -იენთ//-იეთ//-ეთ, -იან მაწარმოებლებს. „-გილ სუფიქსით გაფორმებული სახელები ძირითადად ერთი წარმომავლობის ოჯახებით დასახლებული ტოპონიმებია და აღნიშნავს სოფლის უბნებს, სადაც, როგორც წესი, ამ გვარის ოჯახები ცხოვრობენ“ (შავშეთი, 2011:329; ცეცხლაძე, 2004:1108. შდრ. ფაღავა, 2017:3-9; Paghava, 2018:129-133).

არაბ-გილ (იშხანი), შდრ. არაბის-ეულ-ი, არაბ-იან-ი, არაბი-ეთ-ი.

დელი-გილ (იუსუელი), შდრ. დელ-იან-ი.

დერვიშ-გილ (იშხანი), შდრ. დერვიშ-იანი.

ურუმ-გილ (იშხანი), შდრ. ბერძნის-ეულ-ი.

სანი-გილ (იშხანი), შდრ. სანის-ეულ-ი.

ჩელ-გირ//ჩელ-გილ (იშხანი).

ხუცე-გილ (ფანასკერტი), შდრ. ხუცის-ეულ-ი.

ნები-გილ (ხავისკარი), შდრ. ნებ-იან-ი.

თერზი-გილ (იშხანი), შდრ. თერმ-იან-ი.

ჯინ-გილ (ოშნაკი), შდრ. ჯინ-თა.

ქოროლი-გილ (ელიასხევი), ქოროლის-ეულ-ი.

ქერემ-გილ (ელიასხევი), შდრ. ქერემ-იან-ი.

ხოჯა-გილ (ელიასხევი). შდრ. ხოჯ-იან-ი.

კოჩა-გილ (ელიასხევი), შდრ. კოჩ-იან-ი.

სოფი-გილ (უტავი), შდრ. სოფ-იან-ი.

ისმე-გილ (უტავი), შდრ. ისმეს-ეულ-ი, ისმეანი.

მუხრაჩ-გილ (თხთა ეკლესია), შდრ. მუხრაჩის-ეულ-ი.

ბოლექშაშ-გილ (ოთხთა ეკლესია).

იმამ-გილ (ოთხთა ეკლესია), შდრ. იმამის-ეულ-ი. იმამი - მამაკაცის სახელია.

ჩახარ-გილ (ვეჟანგეთი), შდრ. ჩახარის-ეულ-ი.

ლაქინ-გილ (თუხერისი).

ლაჩინ-გილ (ჩევრელი).

აიაზ-გილ (თუხერისი), შდრ. აიაზის-ეულ-ი.

**ხოლოთ-გილ**<sup>23</sup> (ჩვერელი).

**ფილი-გილ** (ჩვერელი), შდრ. ფილის-ეულ-ი. ფილი მამაკაცის სახელი ჩანს (ფილიშვილი).

რამდენიმე ფუძე ნაწარმოებია -**გელ** (<\*გილ) ფონეტიკური ვარიანტით:

**ხორან-გელ** (ვეჟანგეთი), შდრ. ხორანისეული.

**ქარსი-გელ** (ჩვერელის მეზრე).

-**გილ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები აღნიშნავენ კონკრეტული პირის თუ სახლეულის საცხოვრისს, რომელიც ქმნიდა სოფლის უბანს, ზოგჯერ სოფელსაც. -**გილ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელების განაწილება სოფელში ასახავს მის დასახლების სტრუქტურას.

**3.3.27. სუფიქსი -ოღლუ.** ტაოს ტოპონიმიაში დადასტურდა -**ოღლუ** (ქართ. შვილი, ძე, იან) დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელები. ვფიქრობთ, ასეთი ტოპონიმები ქართული ძე, -იან' (შვილ'ზე დაბოლოებული სახელები ტაოში არ დაგვიდასტურებია) დაბოლოებიანი სახელების ანალოგიითაა შექმნილი.

**ხაჯი-ოღლუ** (იუსუფელი), **ემედ-ოღლუ** <\*ემედ-ოღლუ (უტავი), **სადირ-ოღლი** (ელიასხევი), **აბდი-ოღლი** (ელიასხევი), **უსტა-ოღლი** (არჯევანი), **ხიდირ-ოღლი** (თუხერისი), **ისპირ-ოღლი** (ოლთისი), **ქერ-ოღლი** <\*ქორ-ოღლი? (ოლთისი), **ქერ-ოღლი-ბაში** (მთ. ოლთისი), **ქაშიქჩ-ოღლუ** (ჩვერელი), **ჰიდირ-ოღლი** (ჩვერელი).

ერთი გეოგრაფიული სახელი დავადასტურეთ ორმაგი სუფიქსით: -**ოღლი+ებ**: **ისმაილ-ოღლ-ებ-ი** (იეთი). შდრ. **ისმაილ-ოღლი-ლარ**. აქ ძველისა და ახლის შერწყმასთან გვაქვს საქმე: **ბასლიანნი//ბასლიანები**. **ისმაილოღლები** იმავე მოდელით შექმნილი ტოპონიმია. და, რაც მთავარია, ანალოგიური წარმოების სახელები ახალი ფენაა ტაოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში.

**3.3.28. სუფიქსი სორ//ზორ//ძორ.** ფონეტიკური სახესხვაობებით გვხვდება - **ზორ//სორ//ძორ** და აღნიშნავს **ხევს, წყალს**. მაგალითები:

**სებ-სორ** (ოლთისი).

**ხო-სორ** (ოლთისი). შდრ. **მრუდე ხევი**.

**ახვი-სორ** (თორთუმი). შდრ. **წყაროს ხევი**.

**მეგ-სორი//მეგ-ძორი//მარქა-ძორი** (თორთუმი). შდრ. მდინარისპირა ჭალა, მერე.

**თივა-სორი** (ესბევი). „ძველები იტყოდნენ, ბევრი ბალახი იყო და ამიტომ ვუწოდეთ ეს სახელიო“ - გვითხრა იაშარ გურჩმა ესბევიდან. შდრ. თივის ხევი? მნიშვნელოვანია, რომ სომხური სუფიქსი ქართულ ფუძეს ერთვის.

**ეზნა სორი** (ტაოსკარი).

**ფარი-სორი** (ტაოსკარი).

<sup>23</sup> ყურადღებას იქცევს გეოგრაფიული სახელი **ხოლოთ-გილ**, რომელშიც გამოვყოფთ **ხოლო-მხოლო** ერთის აღმნიშვნელ ფუძეს. **ხოლოთგილი** ერთის საცხოვრისს, **ერთისეულს** უნდა ნიშნავდეს.



**ძონ-ცორი//ჯონ ჩური** (ოშხი). **ჯონ-ჩურ**ში გამოიყოფა **-ჩურ**, რაც თურქულად წყალს ნიშნავს. **ძონ-ცორ**შიც გამოიყოფა **ცორ//ზორ**, რაც სომხურია და ხევს, წყალს, ნიშნავს.

**ძონცორ//ძონზორ** - სომხურია და სიტყვასიტყვით ნიშნავს **ძონის ხევი//წყალი**.

**ჯონჩურ** კიდევ თურქულია და **ჯონ**'ის//**ძონ**-ის წყალს ნიშნავს.

**ბედა-ზორ** (ჭიმჭიმი).

**მანა-ზორ-ი** (ჭიმჭიმი).

**ვიდა-ზორ-ი** (ხავისკარი).

**ქო-სორ** (სოფ. იშხნის ხეობაში), შდრ. **ქვე ხევი>ქო ხევი**.

**ეზნა-სორ-ი** (ოლთისი).

**ისა-სორ-ი** (ოშნაკი).

**სიხ-სორ-ი** (ანზავი).

**აშუნქით-სორ-ი** (უზუნდერე).

**სევან-ზორ-ი** (ჩევრელი). შდრ. სევანის ხევი.

**ლივა-ძორ-ი** (ორუქი).

**ჩარ-ზოვ** (ანზავი).

**კელ-სორ** (ოლთისი).

ერთი ტოპონიმი დაფიქსირდა ორმაგი მაწარმოებლით: **ხინ-ძორ-იკ-ი** (თორთუმი). შდრ. ვაშლის ხევი.

ერთ გეოგრაფიულ სახელში **ზორ>ზარ//ძარ**'ს: **ალუზარ//ალუძარ** (ჩევრელის მეზრე).

**სორ//ზორ//ძორ** დაერთვის სახელურ ფუძეს და აწარმოებს ტოპონიმებს, მნიშვნელობით ვიღაცის ან რაღაცის ხევი.

მნიშვნელოვანია, რომ **სორ//ძორ** მაწარმოებლიანი ტოპონიმები გვხვდება ჭიმჭიმში, ხავისკარში, ტაოსკარში... სოფლებში, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ მექართულე იყო.

**3.3.29. სუფიქსი -ლი**. თურქული **-ლი** ქართული **-იან**, **-ნარ** სუფიქსების ბადალია:

**ქირეჩ-ლი** (ნარმანი), **გესმან-ლი** (ფანასკერტი), **არდუმ-ლი** (უტავი), **ფირინ-ლი** (ანზავი), **ჩამლიქ//ჩამლექ** (ქისფოროთი).

როგორც ვხედავთ, **-ლი** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები რაოდენობრივად მცირეა ტაოში, არც კლარჯეთში დაგვიდასტურებია ბევრი, სულ შვიდიოდე სახელი ჩავიწერეთ (იხ. ფაღვა, 2015:40).

**3.3.30. სუფიქსი -ჯი**. **-ჯი(>-ჩი)** თურქულში ხელობის სახელებს აწარმოებს. იგი ქართული **მე-ე** თავსართ-ბოლოსართის ბადალია. ასეთი წარმოების სახელები გვხვდება ტოპონიმებადაც:

**ფალან-ჯი** (ხერმუთი), **ღარღა-ჯი** (ქუაბაგი), **ჩიხთი-ჯი** (წოიწყალი).

**-ჯი** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ამა თუ იმ ხელობის მქონებლის საცხოვრის ადნიშნავს.

ერთი ტოპონიმი დავადასტურეთ **-ჯა** მაწარმოებლი: **ჩამლი-ჯა** (მაილა წოიწყალში).

უცხო აფიქსთაგან ტაოს ტოპონიმიაში დადასტურდა: -**ლარ**//-**ლერ**, **ლულ**, **გილ**, -**ოღლუ**, -**სორ**//-**ზორ**//-**ძორ**, -**ლი**, -**ჯი**//-**ჩი**, -**ჯა**. ამათგან -**სორ**//-**ზორ**//-**ძორ** სომხურია, სხვა - თურქული.

ზემოთ მოყვანილი მასალა გვამღვეს საფუძველს ვთქვათ:

ოდენსუფიქსური წარმოება ტაოს ტოპონიმიაში მრავალფეროვნებით ხასიათდება და ამ მრავალფეროვნებას ქართული აფიქსები ქმნის. ტაოს გეოგრაფიულ სახელთა სტრუქტურულ მოდელებს ქართული წარმოება ქმნის. რაც შეეხება უცხოაფიქსიან წარმოებას, შედარებით მცირეა და არც განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

### 3.4. პრეფიქს-სუფიქსური წარმოება

ისტორიული ტაოს ტოპონიმთა ნაწილი, რაოდენობრივად მცირე, პრეფიქს-სუფიქსითაა ნაწარმოები. თავსართ-ბოლოსართთაგან დადასტურდა: **სა-ურ**, **სა-ეთ**, **სა-ე**, **ნა-არ**, **ნა-ევ**, **სა-ავ**, **სა-ელ**, **სა-ო**. მომავალმა ძიებამ შეიძლება სხვა მაწარმოებლებიც გამოავლინოს, თუმცა დაბეჯითებით ვიტყვით, რომ იგი ვერ შეცვლის საერთო სურათს, ახალი მასალებით დამატებითი შტრიხები გამოჩნდება მხოლოდ.

**3.4.1. პრეფიქს-სუფიქსი ნა-არ. ნა-სახლ-არ-ი** (არჯევანი), **ნა-ცოხ-არ-ი** (ჭელინკარი), **ნა-ყორ-ვ-არ-ი**\***ნაყორ-ევ-არ-ი** (არჯევანი).

ყურადღებას მივაქცევთ გეოგრაფიულ სახელს - **ნა-ყორ-ვ-არ-ი**. ჩანს, გვექონდა **ნა-ყორ-ევ-ი**, შემდეგ დაერთო მას -**არ** სუფიქსი, ასე მივიღეთ - **ნა-ყორ-[ე]ვ-არ-ი** (შდრ. კლარჯეთი, 2016:634).

წინავითარების სახელია **ნაყორვარი**, გამოყენებული ტოპონიმად, წინავითარების გაგება აქვს **ნაყორევ**საც. ჩანს, ნამყოფობას **ნა-** პრეფიქსი გამოხატავს.

**3.4.2. პრეფიქს-სუფიქსი ნა-ევ. ნა-ტბ-ე-მ-ნა-ტბ-ევ-ი** (ელიასხევი).

**ნა-ფარცხ-ევ-ი** (ელიასხევი).

**ნა-ვან-ე-მ**\***ნა-ვან-ევ-ი** (სოფ. პარხლისწყლის ხეობაში).

**ნა-გარ-ე-მ**\***ნა-გარ-ევ-ი**\***ნა-ღარ-ევ-ი**\***ნაღვარ-ევ-ი** (პარხლისწყლის ხეობა).

**ნა-ყან-ევ-ი**//**ნა-ყან-ე-მ** (წითლეკარი).

**ნა-კალ-ევ**\***ნა-კალ-ევ**//**ნა-კალ-ებ** (არჯევანი). შდრ. **ნა-კალო-ევ-ი**.

**ნა-ქერ-ავ-ი** (პარხლისწყლის ხეობა).

**ნა-ქერ-ავ-ი** (უტავის მეზრე).

**ნა-სელ-ავ-ი** (არჯევანი).

მოყვანილი ყველა ტოპონიმი გამჭვირვალეა.

ფორმებში **ნატბემ**, **ნავანემ**, **ნაგარემ**, **ნაყანემ** ... ვ' ჩავარდნილია.

აღვნიშნავთ, რომ ტაოურში **V-V** პოზიციაში **ვ** სისტემურად იკარგება.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **სა-** თავსართთან სხვადასხვა ბოლოსართთა გამოყენებული, ესენია უპირველესად **-ე** და **-ო**, შემდეგ მეტ-ნაკლები სიხშირით **-ეთ**, **-ის**, **-ია**, **-არ**, **-ა**, **-ავ**, **-ელ** სუფიქსები (ზურაბიშვილი, 1961:152). ტაოს

მასალებში დადასტურდა **სა-ე, სა-ო, სა-ეთ, სა-ელ, სა-ავ, სა-არ, სა-ურ, სა-ა** პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

**3.4.3. პრეფიქს-სუფიქსი სა-ე.** რამდენიმე გეოგრაფიული სახელი დადასტურდა **სა-ე** თავსართ-ბოლოსართით:

**სა-ნაცრი-ე** (ელიასხევი), **სა-ნათლი-ე** (გოდლეკარი), **სა-ტალახ-ე** (ელიასხევი), **სა-სეფ-ე** (ხერმუთი), **სა-თიხ-ე** (ქუაბაგი), **სა-ზუნ-ე** (უტავი), **სა-ჭოკ-ე**, **სა-ტალახ-ე** (წითლეკარი), **სა-თიბ-ე** (იუსუფელი), **სა-ბამბ-ე** (ბინათი).

ჩვეულებრივ **სა-ე** კონფიქსი დანიშნულების სახელებს აწარმოებს. დასახელებული მაგალითები დანიშნულების სახელებია ტოპონიმებად ქცეული.

**3.4.4. პრეფიქს-სუფიქსი სა-ო.** **სა-ე**'ს ანალოგიური ფუნქციით იხმარება **სა-ო**:

**სა-ხაზ-ო** (ელიასხევი), **სა-ფალანთ-ო** (ელიასხევი), **სა-მანჯახ-ო** (ელიასხევი), **სა-კიზლ-ო** (ელიასხევი), **სა-პწკინ-ალ-ო** (მწვერვალი კაჩკარზე).

ერთი **სა-ო** კონფიქსიანი სახელი ტაოდან დატანილია კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე, - **სა-ჩინ-ო** (ოლთისი).

**სა-ე** და **სა-ო** კონფიქსების შესახებ საყურადღებო დაკვირვება აქვს გ. ახვლედიანს: თანასწორ პირობებში **სა-ე**'ს (ე.ი. ე') სუბსტანტივობისაკენ აქვს მიდრეკილება, **სა-ო**'ს (ე.ი. ო') კი - ადიექტივობისაკენ. ამის მიზეზს ის პოულობს იმაში, რომ **ო'** ელემენტი ქართულში იხმარება ზედსართავის მაწარმოებელ სუფიქსად, **ე'** კი სუბსტანტივის მაწარმოებლად (ახვლედიანი, 1923:58-59). ვფიქრობთ, საინტერესო დაკვირვებაა.

დაბოლოს, ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ დაკვირვებას: გ. გოგოლაშვილი ერთგან აღნიშნავს: **სა-** პრეფიქსიანი კონფიქსებში დანიშნულებას სწორედ პრეფიქსი გამოხატავს, მასთან დაკავშირებულ სუფიქსს კი დანიშნულების მნიშვნელობა არ უკავშირდება” (გოგოლაშვილი... 2011:233).

გ. ახვლედიანისა და გ. გოგოლაშვილის მოსაზრებები ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, რომ კონფიქსში თავსართსა და ბოლოსართს განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ზოგჯერ ახლაც შესამჩნევია.

**3.4.5. პრეფიქს-სუფიქსი სა-ა.** **სა-რწუ-ა** (მთა), **სა-პომლ-ა** (ელიასხევი).

**საპომლას** შესახებ ისმაილ ირთიჯმა გვითხრა: „იქიდან ბევრი ფავი (აქ: ზვაგი) ჩამოვა, საპომლას უძახიან”. საყურადღებო დაკვირვებაა, იმიტომაც რომ ისმაილისეულია, ხალხურია. ჩვენი აზრით, **პომლა**<**პომოლა**>საგან. **პომოლ'** სახელური ფუძე გვხვდება ქიზიყურსა და ლეჩხუმურში. ორივე დიალექტში **პომოლა** „პურეულის ჯიშია” (დლონტი, 1984. იმოწმებს: მენტეშაშვილი, 1943; ალავიძე 1938). ჩანს, **პომოლა**, პურის ჯიში, იცოდნენ ტაოლელებმაც. **საპომლა** აღნიშნავს ადგილს, სადაც **პომოლა** ითესებოდა.

**სა-ა**, ჩვეულებრივ, დანიშნულების სახელებს აწარმოებს. იგივე დატვირთვა აქვს ტოპონიმებშიც.

**3.4.6. პრეფიქს-სუფიქსი სა-ავ.** ერთი ტოპონიმი დადასტურდა **სა-ავ** კონფიქსით ნაწარმოები: **სა-სლიპ-ა-მ-სა-სლიპ-ავ**'ისაგან (ადგილი დუგურს ზემოთ).

აჭარულმა იცის **სლიპინი** - სრიალის მნიშვნელობით. **სლიპ** მარტივი ფუძე გამოიყოფა დასახელებულ ტოპონიმშიც, ნიშნავს - **სასრიალო**, ადგილი, საიდანაც **სლიპინებენ//ასლიპინებენ**.

**3.4.7. პრეფიქს-სუფიქსი სა-არ.** **სა-ქუნდ-არ-ი-სა-ხუნდ-არ**'ისაგან (ჯარის საწოლი, ჯარებთი მათალი). ფუძეა **ხუნდი** (ძვ. ჯუნდი). **ჯუნდი** - „ტრედთა და გურიტთა და მისთანათა“ მართვეა (ორბელიანი, 1949). სახუნდარი იმერულში „მტრედთა მოსაკლავად ჩასასაფრებელი ადგილია“ (ღლონტი, 1984. იმოწმებს, ბერიძე, 1912). ტაოური **სახუნდარი** ადგილია, სადაც „ტრედთა და გურიტთა“ მართვეა. შესაძლებელია სხვა ვარაუდიც. ძველ ქართულში **ჯუნდი** მახეა (იხ. აბულაძე, 1973; ცინცაძე, 2024:904). **სახუნდარი//საჯუნდარი** იქნებ ადგილია, სადაც მახეს აგებდნენ.

ჩანს, **ხუნდი//ჯუნდი** იცოდნენ ტაოელებმაც, თუმცა დღეს ტაოურში იგი არ ჩანს, ფუძე დაუცავს ტოპონიმს.

**სა-ფუზ-არ-ა<\*სა-ფუმ-არ-ა ძ:ზ** მონაცვლეობით (მეზრე, უტავი).

**სა-პწკინ-ალ-ო** (ელიასხევი).

**საფუზარა** და **საპწკინალო** ორმაგსუფიქსიანი გეოგრაფიული სახელებია - **არ//ალ** და **-ა,-ო** სუფიქსებით ნაწარმოები. დანიშნულების მნიშვნელობას სახელურ ფუძეს **სა-** პრეფისი აძლევს.

**3.4.8. პრეფიქს-სუფიქსი სა-ურ.** **სა-ლაჩ-ურ-ი** - გეოგრაფიული პუნქტები ოლურსა და ოშნაკში. აღვნიშნავთ, რომ დღეს ოშნაკი და ოლური მეთურქულეა, აქ ქართული ტოპონიმის დადასტურება მნიშვნელოვანია კუთხის ისტორიისათვის.

ჩვენთვის უცნობია **სალაჩურ**'ის მნიშვნელობა. შეიძლება, **სალაჩური< \*სალაჯურ**'ისაგან. **სალაჯა** კიდევ აჭარულში საკაცეს ნიშნავს.

**3.4.9. პრეფიქს-სუფიქსი სა-ელ.** რამდენიმე გეოგრაფიული სახელი ჩავიწერეთ **სა-ელ** კონფიქსით ნაწარმოები, ესენია: **სა-ზეკ-ელ**' (ხერმუთი), **სა-სეფ-ელ**' // **სა-ზეკ-ელ** (მეზრე ხერმუთში). დასახელებული ტოპონიმის ფუძეა **ზეკ**, **ზეკვა**ს კიდევ ცემის მნიშვნელობა აქვს აჭარულში.

**სა-წებ-ელ-ი//სა-ცებ-ელ-ი** (ხერმუთი).

**სა-ელ** კონფიქსს გამოვეყოფთ **სა-მჯ-ელ**ში, რომლის ძირია **მჯ<\*მჯა**, იგივე, რაც **ნა-მჯა**ში, „მომკილი პური თავთავიანად“ (ღლონტი, 1984). საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს **მჯა**, განმარტებისას გვაგზავნის **ბრჯა**'სთან, ეს უკანასკნელი ნიშნავს „ერთბამად ძნეული მდგარი“ (ორბელიანი, 1949). სამჯელი ადგილია, სადაც **მჯას//ბრჯას** დგამენ.

**3.4.10. პრეფიქს-სუფიქსი სა-ეთ.** **სა-ლბ-ეთ-ი** (ხერმუთი), **სა-ბზ-ეთ-ი** (არჯევანი), **სა-ფლანგ-ეთ-ი<\*სა-ფლანგ-ეთ-ი** (ქუაბაგი), **სა-ფან-ეთ-ი** (ყანა ვეჟანგეთს გაღმა) - სულ ოთხიოდე გეოგრაფიული სახელი დადასტურდა **სა-ეთ** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები.

ტაოს ტოპონიმიში გამოვლინდა რაოდენობრივად მცირე თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. პრეფიქსთაგან გამოყენებულია **ნა-** და **სა-**.

**ნა-** პრეფიქსიანი ტოპონიმები წინავითარების, ნამყოფობის სახელებია, **სა-** პრეფიქსიანი - დანიშნულებისა.

აღვნიშნავთ, რომ პრეფიქს-სუფიქსთაგან წინავითარებას **ნა-** პრეფიქსი გამოხატავს, დანიშნულებას - **სა-**, სხვაგვარად, პრეფიქსი და სუფიქსი არაა ერთი ფუნქციის მატარებელი.

### 3.5. რთული სახელები ტაოს ტოპონიმიში

ტაოს გეოგრაფიულ სახელთა ერთი, საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნაწილი კომპოზიტურია. რთული სახელები, ჩვეულებრივ, მსზღვრელ-საზღვრულია, წყობა ხან პოსტპოზიციურია, ხანაც - პრეპოზიციური.

რთულფუძიან სახელებში ორ ჯგუფს გამოვყოფთ:

ა. არსებითი სახელი + არსებითი სახელი.

ბ. არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი.

თუმცა დაყოფა პირობითია, რამდენადაც კომპოზიტში შემავალი ზედსართავები გაარსებითებულია (შდრ. ცეცხლაძე, 2004:47; კლარჯეთი, 2016:636-637).

**3.5.1. კომპოზიტში შემავალი ფუძეები არსებითი სახელებია.** საზღვრული მხოლოდობით რიცხვშია, მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული თანხმობიანი დაკარგულია, ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრული ერთ ფუძედ აღიქმება. აღვნიშნავთ, რომ კომპოზიტთა ერთი ჯგუფის მეორე ნაწილად გვხვდება „კარი“. ვიტყვით, რომ კარ<sup>24</sup> ფუძიანი ტოპონიმები გამორჩეული ყალიბია ტაოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში:

ა. კარი. კომპოზიტის პირველი ნაწილი მეტსახელი გვარია, მეორე - კარი:

**ჭელიანკარი//ჯელიანკარი** (იეთი). შდრ. ჭელიანების//ჯელიანების კარი.

**დოლეჯანკარი//დოლენჯიკარი//დოლეკარი//დოლეჯიანკარი**<sup>24</sup> (ელიასხევი). შდრ. დოლენჯიანების კარი.

**კუზიანკარი** (ელიასხევი). კუზიანი „გვარი“ აღარ გვხვდება მექართულე ტაოში, ფუძე დაუცავს ტოპონიმს.

**ხამფიანკარი//ჰამფიანკარი** (მცირე სოფელი ელიასხევეში), **ხ:ჰ** მონაცვლეობით.

**ბასლიანკარი//ბასლეკარი**<sup>25</sup> (ელიასხევი).

<sup>24</sup> „იმ ერთი კაცის სახელი ყოფილა **დოლენჯი**, ერთი თუთუნი ყოფილა“ (ჰაკინ ქედჯანი ბასლეკარიდან). „ერთი სახლი, ერთი თუთუნი (ინფორმატორის განმარტება), შდრ. **კვამლი>კომლი**.“

<sup>25</sup> ინფორმატორი გვიხსნის: „ენწინ მიღეთი ყოფილა, **ბასლეთები** ყოფილა, მიღეთი სახლი (აქ: სახელი) ბასლეთები. იმ ბარზე ემეა: სოფლების სახლები და უკანაჲ „კარი“. ბასლეთებში **ბასლოლი კარი, გოდლე კარი...** რომელიცხა მიღეთი არი, იმათი სახლები... მას უკან **კარი**“ (ქარდელენ ქეჩეჯი ბასლეკარიდან). თითქოს



**შაბანიანკარი//>შაბალენკარი<sup>26</sup>** (ელიასხევი). ნ - ნ> ლ - ნ დისიმილაციით!

**ფერუზიანკარი** (ელიასხევი).

**ბაირამიანკარი (ზინათი)**. შდრ. **ბაირამიანი** - მეტსახელი გვარი.

**არზიანკარი** (ფიშნარხევი). შდრ. **არზიანი** - მეტსახელი გვარი.

მოყვანილი გეოგრაფიული სახელები აღნიშნავენ კონკრეტული „გვარის“/პატრიარქალური ოჯახის საცხოვრის სოფელში, ზოგჯერ სოფლის უბანს ან მცირე სოფელს.

**ვაჩეკარი** (მცირე სოფელი), შდრ. ვაჩეს კარი. თუმცა ასეთ ფორმაშიც ზოგჯერ სიმრავლე იგულისხმება. იტყვიან, აქ „ვაჩეთები“ ცხოვრობენო. ვაჩეთები - ვაჩეს ჩამომავლებს გულისხმობს.

**კრა[ვ]ეკარი//კრაეკარი//კარათკარი<sup>27</sup>** (მცირე სოფელი ელიასხევში). შდრ. კრაეეკარი//კრაეებკარი.

**გოდდეკარი<sup>28</sup>** (ელიასხევი). შდრ. გოდდეს//გოდდეთ კარი.

**დევესეკარი** (ელიასხევი). შდრ. დევესაკარა.

**ქაჯიკარი** (ელიასხევი), **ქაჯეკარი** (ადგილი პარხლის ხევში).

**ცერეკარი<ცერასკარი** (მცირე სოფელი ელიასხევში). ე - ა>ე - ე ასიმილაციით.

**ხუცეკარი** (მცირე სოფელი წითლეკარის ახლოს). ხუცე<ხუცესი>საგან დადებია საფუძვლად მეტსახელ გვარს.

**ობლეკარი** (იეთი). **ობლე<ობოლა** მეტსახელი კაცისა.

**ცუცეკარი** (მცირე სოფელი ელიასხევში).

**დევალეკარი** (მცირე სოფელი ელიასხევში), შდრ. **დოლეკარი**, ვა>ო'ს.

**ჩუჩუნკარი** (დოლეჯიანკარი). ჩუჩუნა - მეტსახელი კაცისა.

**სადდეკარი** (ელიასხევი). შდრ. სადდეკარი.

**წითლეკარი//წითლეკარი** (სოფელი მექართულე ტაოში).

**კარ'** ფუძეს ვხედავთ ტოპონიმში არსუქარი (არჯევანი)<არსუკარი>საგან.

სწორად ესმის ინფორმატორს **კარ'**ის მნიშვნელობა, თუმცა ზოგიერთი რამ ვერ გაურკვევია, ამიტომაც ჯავრობს: „ვერ მივმხდარვარ ამ სოფლის სახელი, - **ბასლიკარი**: „კარი“ - მაჰალე, „ბასლე“ - რა თქმადა, ად არ ვიცი“ (ჰაკინ ქეიჯანი ბასლეკარიდან).

**ბასლეკარი<\*ბასლიანკარი**საგან, **ბასლიანი** (<ბასილიანი) კიდევ მეტსახელი გვარია მექართულე ტაოში.

<sup>26</sup> „შაბანიანკარი“ - კაცის სახელი **შაბანი**, პარხლიდან მოსული თათარი, აქ მოსულან, აგარა არ აქვან, იმისი კარი“ (ჰაკინ ქეიჯანი). **თათარი** - აქ გამუსლიმანებული ქართველი იგულისხმება.

<sup>27</sup> „მექეთების ძირად - კრაეკარი, ბევრი - კრაეები (<\*კრაეები), ცხვრები უმახიან, კრად პეტრად არი, იმიდან დუთქმევიან „კრაეკარი“ (ჰაკინ ქეიჯანი ბასლეკარიდან). კრაეები//კრაევი კონკრეტული ოჯახის მეტსახელი (ტაოურად - სახელმეტად) გვარია.

<sup>28</sup> „ბევრი ბგანები ყოფილან და იმისთვინ დუთქმევიან“ (ჰაკინ ქეიჯანი). **გოდდე**ს რა აქვს საერთო ბგანობთან (ქალებთან) არ ჩანს. **გოდდე** - მეტსახელი უნდა იყოს.

ტაოსკარში ჩავიწერეთ ადგილის სახელი **ჩათკერ**. ვფიქრობთ, იგი **ჩათკარ**ის სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს. თურქულ გამოთქმაში ქართული **ჩათკარი ჩათკერ**ად „გადატყდა“ (ს. ჯიქია).

თორთუმში ს. ნიშანიანი ასახელებს ტოპონიმს **დანკარი** და სომხურით ხსნის - „ქვის სახლი“ (შდრ. თ. ევქაძე). ვფიქრობთ, **დანკარი** ქართულია, მისი მეორე ნაწილია „კარი“.

**კარ** ფუძე გამოიყოფა სხვა კომპოზიტებშიც:

**ტაოსკარი** (ახლა ოლური), თურქულ გამოთქმაში - **თაუსქერ**ად გადამტყდარი.

**ჭიშკარი** (ზეკარი კაჩკარის/პონტოს მთებზე).

**წისქვილიკარი** (ქუაბაგი).

**ჯამეკარი/ჯამეანკარი** (ქუაბაგი).

დაბოლოს, შევხებით **კარ**ის მნიშვნელობას გეოგრაფიულ სახელებში: **კარი** - ეზოს, კარ-მიდამოს ნიშნავს (ფაღავა, 2015:72).

საყურადღებოა **კარ** ფუძის მნიშვნელობა კოლხურში:

**კარი** - **კარი**: შესასვლელი, სახლი უფლისა, ნიში. კარი (სახლისა), კარ-ავი (მწყემსისა). კომპოზიტში მცირე დასახლებასაც ნიშნავს: ჩემნაშკარი - ჩემინავას კარი. კარ'ი გვხვდება ასევე: კარ-აკანი - კარ-მიდამო, კარ-ალაგე, კარ-მიდამო (ქობალია, 2012).

ვფიქრობთ, უფრო ზუსტია **კარ**ის იოსებ ყიფშიძისეული განმარტება: **კარი** - дверь, двор, усадба (Кипшидзе, 1914).

სვანურში **კალო**ს ერთ-ერთი მნიშვნელობაა **ეზო** (თოფურია, ქალდანი, 2000).

**კარის** მნიშვნელობა ჩანს **საკარმიდამო**ში.

გასათვალისწინებელია, რომ ძველ ქართულში ეზოს ერთ-ერთი მნიშვნელობაა **კარი**<sup>29</sup> (აბულაძე, 1973).

**კარი** ტოპონიმებში სწორედ **ეზოს**, **ეზო-კარის** მნიშვნელობით იხმარება. იგივე ფუძე - **კარ** უნდა იყოს **კალო**შიც: **კარ>კალ(?)**. აჭარულში **კალო** ეზოსაც ნიშნავს (იხ. ფაღავა, 2014).

კომპოზიტის მეორე ნაწილად ასევე გვხვდება:

ბ. **ჯვარი**:

**ჯელიჯვარ** ი<\*ძელიჯვარი>საგან (უტავი), **ძ - ჯ>ჯ - ჯ**.

**ჩიხაჯორ** ი<\*ჯიხაჯორი? (ჩევრელის მეზრე). შდრ. ციხისჯვარი.

**ჭანჭუვარ<ჭანჯუვარ<ჭანჯვარი** (ჩევრელი). **ჭ - ჭ<ჭ - ჯ** თანხმოვანთასიმი-ლაციით.

<sup>29</sup> **კარ** ფუძიანი ტოპონიმები გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც: კობათკარი (სოფელი ფასანაურის თემში), კობიანთკარი (სოფელი ბაზალეთის თემში), მარმარის კარი (კოდორში), ტაშისკარი, მთიულთკარი, მაღაროსკარი, ვეჟანთკარი (აღმ. საქ.), უფალის კარი, გულეი კარი, წალიკარი (დას. საქ.) (ინგოროყვა, 2009:175). პ. ინგოროყვა კალოს ხეობაში ასახელებს გეოგრაფიულ სახელებს „რკინის კალო“ და „რკინის კარი“ (ინგოროყვა, 2009:258). შევნიშნავთ, „კალო“ და „კარი“ ერთი მნიშვნელობისაა, ნიშნავს - ეზო, კარი. შდრ. დემირ კაფუ.

ყურადღებას მივაქცევთ ტოპონიმს **ღაღრანჩორი**, რომლის მეორე ნაწილია ფონეტიკურად სახეცვლილი **ჯვარი**: ჩორ<ჯორ<ჯვარ: **ღაღრანჯვარი** უნდა იყოს ამოსავალი დასახელებული გეოგრაფიული სახელისა, რომლის პირველი ნაწილის, **ღაღრან**, მნიშვნელობა უცნობია.

საყურადღებო ჩანს ტოპონიმი **ქიჩაჩორი**<\*ქიჩაჯორი<ქიჩაჯვარი: ჩ - ჩქ - ჯ'საგან ასიმილაციით, და ვა>ო'ს: **ჯვარი**>ჯორი.

გ. უბანი:

**ქონობანი** (ელიასხევი), **უკანობანი** (ხევამ), **უბანი** (მეზრა, იუსუფელი), **ხუცთუბანი**// **ხუსთუბანი** (იუსუფელი).

დ. აგარა:

**შოგარა**<\*შვაგარა<\*შუაგარა (ბინათის მეზრე).

**ლაშაგარა** (ჭიმჭიმი)<\*[მ]ლაშ[ე]აგარა?

**გომდაგარა**//**გომშაგარა** (ხავისკარი), **დ:ნ** მონაცვლეობით.

**კომშაგარა** (ელიასხევი). კომპოზიტის პირველი ნაწილია კომში, უცნობი ფუძე თანამედროვე ტაოელისათვის.

**სეფაგარა**<\*სეფეაგარა (ზღაფორი). „სეფე - დიდებულთათვის” (ორბელიანი, 1949): დიდებული აგარა?

**ხოსტეგარა**//**ხოსთეგარა**<\*ხოსტაგარა (ზღაფორი).

**კოლაგარა** <\*კვალაგარა? (ქისფოროთი).

**კოდაგარა** (ქისფოროთი). კოდი - საწყაო (იხ. **ორბელიანი, 1949; ღლონტი, 1984**).

**ძველაგარა** (ქუაზაგს გაღმა).

როგორც ვხედავთ, **აგარა** გავრცელებული ფუძეა ტაოს კომპოზიტ ტოპონიმებში. **აგარა** ტაოურში იმასვე აღნიშნავს, რასაც „სადგური საზაფხულო” (ორბელიანი, 1949).

ე. ხევი//ჯევი//ჯემ.

**ელიასხევი**//**ელიასჯევი** (სოფელი და ხეობა მექართულე ტაოში).

**გუდასხევი** (სოფელი მექართულე ტაოში).

**საპათხევი** (ბინათი).

**ფიშნარჯევი** (მცირე სოფელი მექართულე ტაოში).

**კოჭიანჯევი**<sup>30</sup> (ადგილი მექართულე ტაოში).

**ანუთჯევი** (მეზრე უტავში).

**ორთახე** (ხერმუთი). შდრ. **ორთახედ**<**ორთახევი**, იგივეა რაც **შუახევი**.

**ნაფარაჯევი** (წითლეკვარის ახლოს). იგივე ფუძეა, რაც **ნაფარეულ**ში.

**მირმახევ**'<\*მირმათხევ'ი? (ხერმუთი).

**მინათხევი** (ვეჟანგეთი). მინა - მამაკაცის სახელი ჩანს.

**ირმაყევ**'<\*ირმახევი<ირემახევი (ხერმუთი) ყ:ხ მონაცვლეობით.

<sup>30</sup> **კოჭიანჯევი**'ის პირველი ნაწილი, - **კოჭიანი** მეტსახელი გვარია, გეოგრაფიულ სახელს შეფარებული. **კოჭიანები** დღეს აღარ სახლობენ მექართულე ტაოში.

**ხ:ჯ** (ხვეი:ჯევი) სისტემურად მონაცვლეობს ტაოურში. სხვაგვარად, **ჯ** თანამედროვე ტაოურში ისმის, მაგრამ მას არ აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფონქცია, იგი არაა ფონემა.

საყურადღებოა, რომ **ხევ//ჯევ** ფუძიანი კომპოზიტი ტოპონიმების პირველი ნაწილიც უმეტესად ქართულია. ერთი **ორთახე//ორთახევ**'ის პირველი ნაწილი - **ორთა** მივიჩნით თურქულად, ნიშნავს შუას, **ორთახევი** - **შუახევი**.

იუსუფელთან ახლოს კიდეც ორი ხევია - **რინდიხევ**'ი და **საგალიხევ**'ი.

**ვ. თავი:** **ადითავი** (ელიასხევი). შდრ. **ადა** - კუნძული. ადითავი - კუნძულის-თავი?

**რუმათავი** <\*რუსთავი (ბინათი). მოყვანილ მაგალითში **საღ**'ს. აღვნიშნავთ, რომ ტაოურში სპორადულად შეინიშნება **საღ** პროცესი.

**ფიქალთავი** (მცირე სოფელი პარხლის ხეობაში). **ფიქალი** - „კლდის ქუა ძარღვებიანი, რომელიც თავისთავად დაიშლება ფიცრებად სხვადასხვა ნაკვეთისად...“ (ჩუბინაშვილი, 1961).

**ნახისთავ**'//**ნახითავ**' (ორუქი).

**ხემათავ**'(იეთი). შდრ. ხევისთავი.

**ზ. ბარი:**

**ზალხიზარი** (სოფელი მექართულე ტაოში).

**წომბარი** (წოიწყალი).

**ზოთბარი** (ახლა: ესენდალყალესი).

**თ. ყანა:**

**ბერყანა** (არჯევანი).

**საფლაყყანა** (მექართულე ტაო, ადგილი კუპრეთსა და ბოწმინდას შორის).

**ხალიანთყანა**<sup>31</sup> (ცუცეკარი).

**სადგიყანა** (ელიასხევი).

**ძირვანყანა**<\*ძიროვანყანა.

**ხოჯიყანა** (ელიასხევი). შდრ. ხოჯიანყანა.

**ბერიჰყანა** (ელიასხევი). შდრ. ბერისყანა. **ჰ:ს** მონაცვლეობს.

**კაკჩიყანა** (ადგილი მექართულე ტაოში).

**ელიაჰყანა** (ადგილი მექართულე ტაოში). შდრ. ელიასყანა. **ჰ:ს** მონაცვლეობს.

**ჭაყანა** (ადგილი მექართულე ტაოში). შდრ. წყლიანი ყანა//მიწა.

**ბოლოყანა** (ადგილი მექართულე ტაოში).

**ქედიყანა** (წითლეკვარი).

**ქედიჰყანა** (მაილა). შდრ. ქედის ყანა. **ჰ:ს** მონაცვლეობს<sup>32</sup>.

<sup>31</sup> **ხალიანთყანა**'ში გამოიყოფა მეტსახელი გვარი **ხალიანი**, რომელიც გეოგრაფიულმა სახელმა დაიცვა.

<sup>32</sup> რამდენიმე გეოგრაფიული სახელი დადასტურდა, რომელშიც მონაცვლეობს **ჰ:ს** თანხმოვნები. ისტორიულად ქართული ენისათვის დამახასიათებელი იყო **ჰ>ს**, მაგრამ **ს>ჰ**ს მხოლოდ ტაოურში გვხვდება: ელიაჰყანა, ბერიჰყანა, ქედიჰყანა...

**ბალყანა** (გოდლეკარი). შდრ. ბალის ყანა.

ყურადღებას მივაქცევთ „ყანის“ მნიშვნელობას ქართულში, უპირველესად გეოგრაფიულ სახელებში:

ძველ ქართულში **ყანა** ნიშნავს: „აგარაკი“, „ველი“, „ყანობირი“ (აბულაძე, 1973).

სულხან-საბა საერთოდ არ განმარტავს **ყანა**’ს, განმარტავს **ყანობირ**’ს - **ყანები** (ორბელიანი, 1949).

ვნახოთ, რა მნიშვნელობა აქვს **ყანა**’ს დიალექტებში:

გურულში **ყან**’ის ერთი მნიშვნელობაა „მიწა სახნავ-სათესი, მამული“ (დლონტი, 1984). ასევეა ზემოიმერულში (იხ. ძოწენიძე, 1974).

აჭარულში **ყანა** - სახნავ-სათესია.

კლარჯულში **ყანა** მიწაა (კლარჯეთი, 2016:1074).

ტაოურში „**ყანა**“ „**მიწას**“ აღნიშნავს ზოგადად, ასეა დასახელებულ გეოგრაფიულ სახელებშიც.

ი. **ქედი**//**ქეთი**:

**ნაცრაქედა** (პარხალი).

**ჭოროხლაქეთი**//**ჭოროხლაქედი** (ელიასხევი).

**საფუსქეთი** (უტავი), შდრ. **საფუსქედი**.

**შალოთქეთი** (ყანა უტავში).

**ჩილიქეთ** (ზღაფორი), შდრ. **ჩილიქედი**.

**საფლაქეთი**<\*საფლაქეთი<საფლავქედი (ქუაბაგი).

**კოსქეთი** (არჯევანი), შდრ. **კოსქედი**.

**ორჩუვართქეთი** (ტაშქარანი) - საყურადღებო კომპოზიტია ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი: **ორჩუვართქეთი**<\***ორჯუვართქეთი**<\***ორჯვართქედი**. ვფიქრობთ, თურქულ გამოთქმაში „გადატყდა“ ტოპონიმი.

აქვე მოვიყვანთ კიდევ სამ გეოგრაფიულ სახელს ტაშქარანიდან: ნობექეთი, გასმალიქეთი და ჩილიქეთი. სამივე ტოპონიმის მეორე ნაწილია **ქედი**(>ქეთი), ხოლო პირველი ნაწილი „ნობე“, „გასმალი“ და „ჩილი“ თურქულია.

დასახელებულ ტოპონიმებში ყურადღებას იქცევს სიტყვის ბოლოში მჟღერი **დ**’ს დაყრუება (დ>თ), რაც დამახასიათებელია ზოგადად ქართული გამოთქმისათვის.

კომპოზიტი ტოპონიმების შედგენილობაში სხვა ფუძეებიც გვხვდება:

**წომწყალი** (არჯევანი), **ლომბიტბა** (ტბა მასისზე), **ხოსთავალ**<\***ხოსთვალ**<\***ხბოსთვალი** (ომნაკი), თურქული გამოთქმის შედეგია; **წყართვალი** (ელიასხევი), **ფაჯიდები** (ყიშლა. შუა ხიდებიო, - განმარტა ინფორმატორმა, შდრ. ფაჟ - ზვავი, ღვარი. ნაზვავარი, ნაღვარევი ხიდები. იხ. ტაო, 2020:1066 ), **ფაკერდი** (ელიას-ხევი), შდრ.ნაზვავარი კორდი; **ქორსანაცრიე** (ადგილი მექართულე ტაოში).



ქვაბაგი დასტურდება რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით: **ქვაბაგი//ქუაბაგი //ქუაბაქი //ქობაკი//ქობაჲ//ქობაჲკარი**<sup>33</sup> (სოფელი მექართულე ტაოში, ახლა ჯეჯა ლივანე).

**3.5.2. ატრიბუტივიანი ტოპონიმები ტაოდან.** გეოგრაფიულ სახელთა ნაწილი ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია, უმეტესად პირდაპირი წყობით:

**დიდი სათიბელი** (ჭელიანკარი), **წითლიანჭალა** (ელიასხევი), **აკჭალა** (ფარნაკი), **დიდელე** (ადგილი მექართულე ტაოში), **დიდქეთი//დიდქედი** (ელიასხევი), **ნაცრაქეთი//ნაცრაქედი** (ზიარეთი კუპრეთსა და გუდასხევეს შორის), **დიდქეთ** (უტავი), **დიდვაკე** (ადგილი მექართულე ტაოში), **დიდვაკე** (ყიშლა არჯევანში), **დიდმუხა** (მეზრე უტავში), **საცთელპა<\*საცდელტბა** (ტბა მასისზე), **ლალჭალა** (ადგილი მექართულე ტაოში).

**ზოწმინდა** (ელიასხევი), **ხემრუდი** (ადგილი პარხლის ხეობაში).

ორიოდე მსაზღვრელ-საზღვრული დავადასტურეთ ირიბი წყობით.

მსაზღვრელ-საზღვრულად მივიჩნევთ გეოგრაფიულ სახელს **ლონჯიქეთქეთი** (ელიასხევი), თუმცა მისი პირველი ნაწილის (ლონჯი) მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია.

ს. ნიშანიანის „დაკვირვებით“ **ხაშნუდი//ხაშუდი** სომხურია, წერილფეხა საქონლიანს ნიშნავს, **მოხრთაბი** - ნაცრიან ვაკეს, ხოლო **სერბოჰან** - წმინდა ოჰანესს ნიშნავს.

სამი სომხური სახელი მრავალ კომპოზიტ ტოპონიმს შორის.

შევნიშნავთ: **სერბოჰან<\*სერბოსან** (ჰ:ს მონაცვლეობა დასაშვებია ტაოურში) <**\*სერაბოსან**‘ი. ანალოგიური (-სან სუფიქსიანი) ფორმები ჩანს აქარულში. **სერაბო** მამაკაცის სახელი (მეტსახელი) ჩანს.

**3.5.3. უდეტრები კომპოზიტებში.** კომპოზიტის შემადგენლობაში შედის დამხმარე სიტყვები:

**ჭინჭვანე<\*წინჭვანე<\*წინ[მ]წვანე** (ხერმუთი): **წ - წ<წ - ჭ>ჭ - ჭ**.

**ჭინჭალა<\*წინჭალა** (გოდლეკარი): **ჭ - ჭ<წ - ჭ**.

**ჭინახო<წინახო** (ყიშლა არჯევანში).

ყურადღებას მივაქცევ დასახელებულ ტოპონიმებს, რომლებშიც ვლინდება თანხმოვანთცვლილების ერთი შემთხვევა ტაოურში, კერძოდ, **წ:ჭ** მონაცვლეობა. მნიშვნელოვანია, რომ მონაცვლეობის საფუძველი ასიმილაცია ან დისიმილაციაა, მესამე მაგალითში (**წინახო>ჭინახო**) **წ** შენაცვლებულია **ჭ** თი.

<sup>33</sup> **ქვაბაგის** ეტიმოლოგიაზე უფიქრიათ ტაოელებს, ერთ-ერთმა გაგვანდო: „ქუაც ბევრია, ბუქი ბევრია და ქუაბუქი, ქობაქი/ქობაკი უთქმიათ“ (რეჯებ ქესკინი ელიასხევიდან). საინტერესო დაკვირვებაა, უფრო იმიტომ, რომ ხალხის ფიქრია მასში გაცხადებული, თუმცა შორსაა მეცნიერული ეტიმოლოგიისაგან. ქვაბაგი კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილია ქვა, ცნობილი ფუძე, მეორე - ბაგ[ე], ალბათ **ქვაბაგე** - აღდგება ამოსავალ ფორმად.

**წინაგარა** (მაილა), **წინსაყარა** (ელიასხევი), **ქომოსმანი**<\*ქომოსმანი (ბინაღი), **ქვედაზორი**//ქვედაზორი (ელიასხევი), **უკანტყე** (წითლევეკარი) **ქონობანი**<\*ქომობანი <\*ქომო ობანი <\*ქომო უბანი (ელიასხევი).

**წვერსიქითი** (ყიშლა), **ტყისძირი** (ელიასხევი), **ქეთსიქითი** <\*ქედს იქითი (ადგილი მქართულე ტაოში), **ოფოწინი**<sup>34</sup> (წითლევეკარი), **ქერციქით**<\*ქედსიქით (წითლევეკარი), **ჭირბოლო** (უტავი), **ტყი[ს]პირი** (ქუაბაგი), **ხახპირი** (ოლთისი).

ზოგჯერ მასალის ჩამწერი აწყდება წინააღმდეგობას, კერძოდ, ინფორმატორი კარგად ვერ გამოთქვამს გეოგრაფიულ სახელს, ამის დასტურად გამოგვადგება „ქერციქით“, უნდოდა ეთქვა „ქედსიქით“, ვერ შეძლო. ჩვენ ჩავიწერეთ ისე, როგორც მოვისმინეთ.

დადასტურდა ერთი თურქულ-ქართული ფუძეებით შედგენილი ტოპონიმი: **კაპანდიბი**//**გაბანდიბი** (ხერმუთი). ფორმასხვაობა ფონეტიკურად შეპირობებულია.

**3.5.4. ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები.** რამდენიმე ტოპონიმი ფუძის გაორკეცებით არის ნაწარმოები:

**ქეთქეთი**//**კეტკეტი**<\*ქედქედი (ხერმუთი). **ზოღზორი**<ზოღზოლი (ჩევრელი), **ჯიღჯილი** (ქვაბები, უზუნდერე), **ჭანჭახი** (უტავი), **ჭიმჭიმი**<sup>35</sup> (სოფელი ბინათს გაღმა).

ტაოში რამდენიმე ქედქედია, რომელსაც ფონეტიკური სხვაობით გამოთქვამენ: **ქეთქეთი**//**კეტკეტი**//**ქედქედი**. სხვაობის მიზეზი მოსახლეობის ორენოვნებით უნდა აიხსნას. ბევრი თანამედროვე ტაოელისათვის (განსაკუთრებით ვინც თურქეთის სხვა პროვინციებშია გადასახლებული) თურქული გამოთქმა პირველადი, ქართული - მეორადი. ამიტომაც ქართული სიტყვების სწორად გამოთქმა ხშირად უჭირთ.

**ჯიღჯილი**, **ჭანჭახი**, **ჭიმჭიმი** ხმაბაძვითი სიტყვები ჩანს. **ჭანჭახი** ფონეტიკური ვარიაციებით - **ჩანჩახი**//**ჯანჯახ**'ი//**ჩანჩაქ** - გვხვდება კლარჯეთშიც (იხ. კლარჯეთი, 2016:644).

**3.5.5. სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმები.** ტაოს ტოპონიმიში ბევრია სიტყვათშეერთებით მიღებული გეოგრაფიული სახელები, რომელთაც სინტაგმა ტოპონიმებს ვუწოდებთ (იხ. კლარჯეთი, 2016:644). მათი რიცხვი რამდენიმე ათეულია. სინტაგმის წევრი შეიძლება იყოს არსებითი სახელი და მასთან მსაზღვრელის ფუნქციით დაკავშირებული არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები. ჩანს, სინტაგმა ტოპონიმები შედარებით ახალი ფენაა ტაოს, ზოგადად, სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიში.

**სინტაგმა შედგება ზედსართავი და არსებითი სახელისაგან:**

**პატარა ხევეკი** (სოფელი მექართულე ტაოში), გვხვდება ქუჩუკ ხევეკიც.

**დით დურგი**<\*დიდი[ი] ზურგი (დუგური). **ზ:დ** მონაცვლეობა რამდენიმეჯერ დადასტურდა ტაოურში.

<sup>34</sup> „აუზის წინა“ - ინფორმატორის განმარტება.

<sup>35</sup> გასული საუკუნის დასაწყისში ჭიმჭიმი მექართულე იყო: „დედე და ნენე ლაპარიკობდენ გურჯულა“ - გვითხრა ნეჯათ ილმაზმა - ჭიმჭიმელმა, რომელიც ახლა (2018 წელს) 76 წლისაა.

გურგუნა ქეთი<გურგუნა ქედი (ჭელიანკარი).  
დიდი წვერი (ჭელიანკარი).  
დიდი ყანა (პარხალი). ყანა აქ მიწის მნიშვნელობითაა.  
დიდი ჯემ<\*დიდი ჯევი. V-V პოზიციაში დაკარგულია ვ.  
დიდი ქედი (პარხალი).  
დიდი ხევეკი (ელიასხევი).  
კოჭა ტყე (ელიასხევი).  
ბრანგვი ჯემ<sup>36</sup> (ადგილი მექართულე ტაოში).  
დიდი მამული (ელასხევი). მამული დღეს ტაოურმა არ იცის, შეინახა  
ტოპონიმმა.

გირმელ ჭალა<გრძელი ჭალა (ადგილი მექართულე ტაოში). გირმელი  
თურქული გამოთქმის გავლენის შედეგია.

დიდ ჭალა (ადგილი მექართულე ტაოში), შდრ. ჭალადიდი.  
ნაგარა ჯევი<\*ნაღარა ჯევი<ნაღარა ჯევი (ადგილი მექართულე ტაოში).  
ფაგარა კილდიათი (ადგილი მექართულე ტაოში).  
დიდ ახო (წითლეკარი).  
პეტრამ დურგი<პეტრამ ზურგი (ელიასხევი).  
დიდ ხაშუდი<\*დიდ[ი] ხაშუთი (ადგილი მექართულე ტაოში).  
პეტრამ მასისი (მწვერვალი კაჩკარზე).  
დიდი ვაკე (ადგილი მექართულე ტაოში).  
დალეწილი კატრები<sup>37</sup> (ტყე).

დიდი ოროკი (გოდლეკარი). „ოროკი (თ. **Oruk**) ხელოვნურად ან ბუნებრივად  
დასაფეხურებულ-დაკიბურებული (დატერასებული) სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი.  
ოროკის კედელი შეიძლებოდა შემაგრებულიყო ქვა-ყორით, მოწნული ღობით ან  
ძელით...” (ნიჟარაძე, 1971). დიდი ოროკი - დიდი ხელოვნური ტერასა.

წითელი ყანები (გოდლეკარი), შდრ. წითელი მიწები.  
დიდი ბალხი (წითლეკარი).

სატალახე წვერი (წითლეკარი). წინათ ტაოური სახლის მშენებლობაში  
გამოიყენებოდა ტალახი. სატალახე ის ადგილია, სადაც ტალახს იღებდნენ.

ხინძა ხოვ<\*ხინძი ჯევი? (წოიწყალი).  
ნარიან ჯემ<sup>38</sup> (ხევი ბოწმინდის გვერდით).

კაკლიან დეღე (ელიასხევი).  
ძველი აგარა (ელიასხევი).

თევზა წმინდა (ყიშლა მექართულე ტაოში). „წმინდა ალაგია, ჭალებია” -  
განმარტა ინფორმატორმა. რა ინფორმაციას ინახავს ტოპონიმი? რატომ წმინდა?  
ძველი სალოცავი (ზიარეთი) ხომ არ არის ახლა დავიწყებული?

<sup>36</sup> „დიდი ჯემ - გენიში, ფართო” - განმარტა ინფორმატორმა. ბრანგვი -ფართეაო!

<sup>37</sup> დალეწილი კატრები - ბუნებრივია, გაგვიჩნდეს კითხვა, რატომ აირჩიეს  
სახელდებისათვის ეს ნიშანი - დალეწილი? დალეწილი კატრები - ეკოლოგიური  
კატასტროფის (ზვავი, ღვარცოფი) შემდეგ შექმნილი გეოგრაფიული სახელი ჩანს.

<sup>38</sup> ნარი - „ეკლიანი ბალახი”- განმარტავს საბა (ორბელიანი, 1949), ტყე  
(სარჯველაძე, 2001), არ დაგვიდასტურებია ტაოში, ფუძე დაიცვა ტოპონიმმა.

**ნაშალი ხევი//ჯევი** (ბინათი).

**ჩიფთე წყალი** (ელიასხევი). შდრ. ორწყალი. ჩიფთე წყალი ქართული ორწყალის თარგმანი ჩანს.

**სათივრე ღელე** (დევისა).

ატრიბუტულმსაზღვრელიანი გეოგრაფიული სახელები გვხვდება როგორც მექართულე, ისე ახლა მეთურქულე ტაოში. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ტოპონიმები უმრავლეს შემთხვევაში ქართულია.

**3.5.6. სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრული ტოპონიმად.** ტაოს ტოპონიმიაში ბევრია სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრული გეოგრაფიულ სახელად. აღვნიშნავთ, რომ მსაზღვრელს ზოგჯერ დაკარგული აქვს ბრუნვისნიშნისეული თანხმოვანი (ს), ზოგჯერ მთლიანი ნიშანი (ის), არის ნიმუშები, სადაც ბრუნვის ნიშანი მთლიანადაა წარმოდგენილი. აღვნიშნავთ, რომ სამხრულ მეტყველებაში, ზოგადად, უფრო გავრცელებულია ბრუნვისნიშან-დაკარგული სუბსტანტიური მსაზღვრელი საზღვრულთან.

**ა. ხუხულას წვერი** (წითლეკვარი).

**ტუზის ჭალა** (ბასლეკარი). შდრ. მარილის ჭალა.

**კულის//ყულის წვერი** (ელიასხევი). „ყულისწვერი დევსეკარაშია. სოფელი არი და, მაჰალე, უკნიდან წვერი არი და... ყალე-მალე არ ყოფილა აქ” - განმარტა ინფორმატორმა. საინტერესოა, რას მალავს ტოპონიმი. აქ ციხის/ნაციხარის არსებობა უარყო მთხრობელმა.

**დათვის საბანაჲ**<დათვის საბანავი<დათვის საბანავო [მორევი] (ელიასხევი).

**კანდრის თაჲ**<კანდრის თავი (ელიასხევი).

**ტყის ძირი** (ქუაბაგი).

**სანჩხრის თავი**<ჩანჩქრის თავი (ადგილი მასისის კალთებზე). **ჩანჩქერი** >სანჩხერს ს:ჩ და ქ:ხ მონაცვლეობით.

**ჯიდის თავი** (ადგილი მექართულე ტაოში).

**ხევამს ღელე** (მდინარე, იგივე ელიასხევი).

**იშხნის ციხე** (ქცხ.II:288-289). იშხნის ციხეს ახსენებს „ქამთააღმწერელი”, მასვე უწოდებს ასპარაშენს. ჩანს, ასპარაშენი ადგილია, სადაც ციხე დგას. სქოლიოში გამომცემელი გაიტანს - **ასპარაბეთს** (იხ. სქ. 1). ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაა **ასპარაშენი**.

**ხვარამზეს ჯიდი** (ქცხ. IV, 681). დღეს აქ არც ხიდია და არც სახელწოდება ახსოვთ ტაოელებს.

**ხავის კარი** (სოფელი ჭიმჭიმს გაღმა). ხავი ანთროპონიმი უნდა იყოს.

**ტლავის წვერი** (ბინათი). **ტლავი** - ჩვენთვის უცნობი სახელური ფუძეა.

**ნახის თავი** (ანზავი). მნიშვნელოვანია, რომ ტოპონიმი დადასტურდა ანზავის ხევიში, მეთურქულე ტაოში.

**ქოროლის ციხე** (ადგილი ანზავის ხევის თავში).

**ქუბის კარი//კუბის კარი** (არჯევანი). ქუბი//კუბი ანთროპონიმი ჩანს.

ზიგიერთი გეოგრაფიული სახელის პირველი ნაწილი მრ. რიცხვშია.

**პეტეთკარი**<პეტრეთკარი (ბინათი), ისმის პეტეტკარიც. **ტ - თ>ტ - ტ**ს ასიმილაციით.

**ბალხელებთ ყანა** (ბალხი). ორმაგი მრავლობითი გვაქვს: ებ+თ(ა)ჩანს, თს ფუნქცია გაურკვეველი დარჩა, ამიტომაც მეორე სუფიქსიც დაერთო იმავე ფუნქციის მქონე.

**ღობილთ ჯევ** (უტავი). შდრ. ღობილების ხევი?

**გიათ ქედი** <\*გიაეთ ქედი? (ელიასხევი). სხვაგვარად ადამიანის საკუთარს სახელი მრავლობითში გაუგებარია.

**ყანთრენ(თ)** ჭალა (ხევეკი). შდრ. ყანთრიანების ჭალა.

**კერევლათ მაჰალესი** (უტავი). შდრ. კერეულთა უბანი.

**არმენ ხევეკი**//ერმენ ხევეკი<sup>39</sup><არმენთ ხევეკი//ერმენთ ხევეკი (სოფელი პარხლისწყლის ხეობაში).

**ბ. არუზე მაჰალე**<არუძე მაჰალე? (უტავი). ძ:ზ გავრცელებული თანხმოდანთ-მონაცვლეობაა ტაოურში, დამახასიათებელია იგი ქართული ენისთვის ზოგადად (იხ. ცინცაძე, ფაღვა, 1998:34-35).

**უტავი ჯემ** <\*უტავის ჯევი (უტავი).

**ადა ჯემ** (იგივე ყვერეთი ჯემ<ყორეთი ჯევი), შდრ. ადას ხევი? ადა მამაკაცის სახელი //მეტსახელი ჩანს. შდრ. გვარი ადამე. ერთ აჭარულ შელოცვის ტექსტშია: „ადამ დედმახა, რუად დედმახა, ცხრად წყაროს წყალი ერთათ ჩემარა, ადავ, გააგდე მუცლის ტკივილი...”

**ყანითავ წყალი** (უტავი).

**წყარო ჯევ** (უტავი).

**ჯუმა ყანა** (ელიასხევი). „ჯუმა სარწყავი დღე იყო, იმიტომ უთქმიაან” განმარტა მუსტაფა ჰამფიანმა.

**ტალავარი ჯემ** (პარხლის ხეობა). ტალავარი - საჩრდილობელი, განმარტავს საბა (ორბელიანი, 1949). ტალავარი ჯემ - ჩრდილიანი, დაბურული ხევი?

**ბეღლი გუბე** (ელიასხევი).

**ჯემ ყანა** (ყიშლა მექართულე ტაოში).

**პაპაშებ ჯევი** (ბალხიბარი).

**ასკილ გორი** (ელიასხევი).

**ქედი ყანა** (ადგილი მექართულე ტაოში).

**მაჰმადიან ტყე** (ადგილი მექართულე ტაოში), შდრ. მაჰმადიანის ტყე.

**ხუხულა წვერი** (ელიასხევი). „ხუხულა - არს ყრმათ მიერ ბედითი ნამუშაკარი, რეცა სახლაკი” (ორბელიანი, 1949).

**თერსე ქედი** <\*თერძე ქედი<\*თერძის ქედი (ელიასხევი).

**ბაირ ყანა** (ელიასხევი), შდრ. ბაირის ყანა?

**ხევეკი ლივანე** (ქუაბაგი).

**სალიან ჭალა** <\*სალიანის ჭალა (ელიასხევი).

**ეიბიან ჭალა** <\*ეიბიანის ჭალა (ელიასხევი).

---

<sup>39</sup> ერმენი ხევეკზე არ ილოცავენ ზათი, იქ ერმენია ზათი. ამ ხევეკში უჩუმარად ულოციან, მუსლიმანებ ულოციან. აქ ქრისტიანები არ ცხოვრობდენ. უჩუმარად რატომ ულოციან? ...ლოცვა მასალი გამხდარა, უჩუმარად ულოციან, ხრისტიანებ - არა” (მუზაფერ გულერი). ერმენი, მთხრობელის აზრით, ურწმუნოა, ლოცვა აუკრძალავთ, ამიტომ მუსლიმანებს ულოციათ ფარულად (უჩუმარად).



ხიტიან ჭალა<\*ხიტიანის ჭალა (ელიასხევი).  
 ადღენ ჭალა<\*ადღენის ჭალა (ადგილი მექართულე ტაოში).  
 ბოცებ ჭალა<\*ბოცების ჭალა (ადგილი მექართულე ტაოში).  
 კოდედიან ჭალა<\*კოდედიანის ჭალა (ადგილი მექართულე ტაოში).  
 ფუქშებ ყანა <\*ფუქშების ყანა (ადგილი მექართულე ტაოში).  
 მოლახლიან ყანა<\*მოლახლიანის ყანა (ადგილი მექართულე ტაოში).  
 კოჩიან ყანა<\*კოჩიანის ყანა (ადგილი მექართულე ტაოში).  
 ლეწმანი ჳეე<\*ლერწმანი ჳევი (ქუაბაგი).  
 ყური გოლი<sup>40</sup><\*ყურის გოლი (მასისი).  
 ქვაფუტკრი მაღარა<\*ქვაფუტკრის მაღარა (ადგილი მექართულე ტაოში).  
 ფერსაბერ ტყე<\*ფერსაბერის ტყე (ელიასხევი).  
 ძეწმანი ჳევი<\*ძაწმანი ჳევი?(ელიასხევი). ძეწმა<ძეწნა?  
 იეთებ ჭალეები<\*იეთების ჭალეები (იეთი).  
 იეთი ჳევი<\*იეთის ჳევი (//იეთინ დერესი. იეთი).  
 პარეხი ჳევი<\*პარეხის ჳევი (ხევი ბალხიბართან).<sup>41</sup>  
 სასხლი ტბა<\*საცხლი ტბა (ს - ც>ს - ს)<\*სარცხი ტბა (ტბა მასისზე).  
 ბალხი აილა (აილა მექართულე ტაოში).  
 ფიშნარჳეე ლეე (მდ.მექართულე ტაოში).  
 ქაცი კარი<კაცი კარი(?) (ბინათი). კაცი - მამაკაცის სახელი ჩანს.  
 მუსხოლი კარი<\*მუსხოლის კარი (ბინათი).  
 ზანი ეწერი<\*ზანის ეწერი? (ხავისკარი).

<sup>40</sup> „გოლში შავი ჳარი ყოფილა ზამანდე, ახლა აღარ არი. გუმოვდოდა, ჳარებ ექედებოდა, შევდოდა შიან. გოლის ჳარი კარგი დიდი ყოფილა. არ ვიცი, რა იქნა მასკა” (იაშარ ჩელიქი იეთიდან).

<sup>41</sup> საყურადღებო გეოგრაფიული სახელია **პარეხი ჳევი**. **პარეხ**’ი გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში” (IX-X სს. პ. ინგოროყვას აზრით VI-VII ს.), შემდეგ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” (VIII-IX ს.) - ბერთის პარეხი. „ხუთვერსიან რუკაზე” დატანილია **პარეხის საგუმზაგო** და მდ. **პარეხი** (ისტორიულ კლარჯეთში), ახალციხის მახლობლად - **პარეხა** (Пагирев, 1913). შეიძლება ითქვას, **პარეხი** ცნობილი ფუძეა ქართულში. ბუნებრივია, დაისვას კითხვა, რას ნიშნავს **პარეხი**?

სულხან საბას განმარტებით, **პარეხი** კლდე, გამოქვაბულია (ორბელიანი, 1949).

ილ. აბულაძის აზრით, **პარეხი** ნაპრალია კლდეთა შორის, კიბის საფეხური (აბულაძე, 1973).

ზ. სარჯველაძის დაკვირვებით, მიუვალი, კლდიანი ადგილი, საფეხური (სარჯველაძე, 2001).

**პარეხ**’ ფუძე გვაქვს ტოპონიმში **პარხალი**<\*პარეხალი’საგან (შდრ. ძველ ქართულში გვქონდა **პარეხელი** და არა - **პარხელი**). ვფიქრობთ, **პარეხი** აღნიშნავს ადგილს, სადაც კლდეა, ნაპრალია კლდეთა შორის (იხ. კლარჯეთი, 2016:660-661). დასახელებული ტოპონიმი - **პარეხი ჳევი** - მიუვალი, კლდიანი ადგილია.

**იფნი** **ყანა/ხანა** (ჭიმჭიმი). **იფნი** იგივე **იფანია**, სხვადასხვა ფორმით დასტურდება ქართული ენის დიალექტებში, იგივეა, რაც კოპიტი (მაყაშვილი, 1991).

**კალო დელე** (ბინათი).

**კაკლი დელე** (ბინათი).

**ჭედლიანი კარი** < \*ჭედლიანის კარი (ბინათი).

**ჰაჯიანი კარი** < \*ჰაჯიანის კარი (ბინათი).

**კოჭა ტყე** < \*კოჭას ტყე (არჯევანი).

**ხინზი ხოვ** < \*ხინძი ხევი (არჯევანი). ხინზი/ხინძი'ს მნიშვნელობა უცნობია.

**მაჰმუდიან ტყე** < \*მაჰმუდიანის ტყე (ადგილი მექართულე ტაოში).

**სალ ჭალა** < \*სხალ ჭალა (არჯევანი). შდრ. სხალის ჭალა.

**სალიან ყანა** < \*სალიანის ყანა (ელიასხევი).

**წითლიან ჭალა** < \*წითლიანის ჭალა (ელიასხევი).

**გენი ჳევი** < \*გენის ჳევი (ელიასხევი).

ახალ დროში ტოპონიმს სახე უცვლია, ქართული ხევი//ჳევი თურქულ დერეს შერეულია, მსაზღვრელი კი იგივე დარჩენილა, რის მიზეზიც მოსახლეობის ორენოვნებაში უნდა ვეძიოთ:

**ხავისკარ დერესი** (ხავისკარი), შდრ. ხავისკარის ხევი.

**კათხევ დერესი** < \*კოთხევ დერესი (ხავისკარი), შდრ. კოთხევის ხევი.

გვაქვს ზოგიერთი სხვა ცვლილებაც:

**ძირ მეში** (ფანასკერტი), შდრ. სიტყვასიტყვით - ძირი მუხის.

**ბასლიან დუზი** (ადგილი მექართულე ტაოში), შდრ. ბასლიანთა მინდორი//ველი.

**ფაცაღუმ თარლა** (არჯევანი), შდრ. ფაცაღების ყანა.

**ხორხათ დუზი** < \*ხირხათ დუზი(?) (არჯევანი), შდრ. ხორხათის მინდორი//ველი.

**მელიეთის მაჰალე** (თუხარისი), შდრ. მელიეთის უბანი.

**ჭანჭუვარ სირთი** < \*ჭანჯუვარ სირთი (თუხერისის გაღმა), შდრ. ჭანჯუვარის ქედი.

**ზოომელე** < \*ზომ[მ]ო მეჰელე (ქუაბაგი), შდრ. ზომო უბანი.

**ცხენუმ ტაში** (წოდწყალი), შდრ. ცხენის ქვა.

**ყიზილ ფარეხი** (ტამარანი), შდრ. წითელი ფარეხი.

**კორდენუმ სირთი** (არჯევანი), შდრ. კორდიანი ქედი.

ბუნებრივია, ანალოგიური გეოგრაფიული სახელები ახალია. ასეთი ტოპონიმების არსებობა მეთურქულე სოფლებში იმის დასტურიცაა, რომ არცთუ შორეულ წარსულში ადილობრივმა მოსახლეობამ ქართული იცოდა.

**3.5.7. ფორმაუცვლელი სიტყვა სინტაგმა ტოპონიმში.** ფორმაუცვლელი სიტყვა, უფრო ზმნიზედა, ხშირია სინტაგმა ტოპონიმის შემადგენლობაში.

**ა. სახელი - ზმნიზედა:**

**ტყი ძირი** (ადგილი მექართულე ტაოში).

**გულია ძირი** < \*გულიან ძირი < \*გულიანთ ძირი (ადგილი მექართულე ტაოში).

**რუ ძირი** (ბალხიბარი). შდრ. რუს თავი.

**ნეკნარ ძირი//ლეკნარ ძირი** (ადგილი მექართულე ტაოში).

**წვერ იქითი** (ჭედლიანკარი),  
**ნაბიან წინი** (ელიასხევი), შდრ. ნაბიანთ წინი.  
**გამელთ წინაჲ**/გაღმელთ წინაჲ (ადგილი მექართულე ტაოში).  
**სოფლი წინაჲ** (ელიასხევი).

**კარი წინაჲ** (ელიასხევი), შდრ. ეზოს წინა.  
**ქეთს იქითი**<\*ქედს იქითი (ელიასხევი).

**ბ. ზმნიზედა - სახელი:**

**უკანა მთა** (ადგილი მექართულე ტაოში).

**უკან ჳეჲ** (ადგილი მექართულე ტაოში).

**ქვედა ზივინი** <ქვედა ზვინი (ანზავი).

**ზედა ზივინი**<ზედა ზვინი (ანზავი).

**უკან ოზანი** (ელიასხევი).

**ცენ წყარო//თენ წყარო**<\*წენ წყარო<\*წინ წყარო (არჯვევანი). აქ უფრო გამოთქმის პრობლემაა.

ანალოგიური ტოპონიმები გავრცელებულია მთელს ჭოროხის ხეობაში.

**3.5.8. უცხოური (თურქული) სინტაგმა ტოპონიმები ტაოდან.** ტაოს ტოპონიმიაში დადასტურდა თურქული სინტაგმა ტოპონიმები, შედარებით ახალი ფენა ტაოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში:

**ჯამე მაჰალესი** (იშხანი), შდრ. ჯამის უბანი. ცნობილია, რომ იშხნის ტაძარში 1984 წლამდე ჯამე ფუნქციონირებდა, ადგილსაც სახელი მუსლიმანური სამლოცველოს გახსნის შემდეგ ეწოდა. იქამდე ალბათ ტაძრის უბანი ერქვა.

**დერე მაჰალე** (იშხანი), შდრ. სოფლის უბანი.

**სირთ მაჰალე** (იშხანი), შდრ. ქედის უბანი.

**თერზიგილ თეფე**<თერძიგილ თეფე (იშხანი).

**ოქუზ დაღი** (ხუახის მთა), შდრ. ხარის მთა (აქ: დაილა, სამოვარი), ხარის სამოვარი/დათაღი.

**აღ თეფე** (ნარმანი), შდრ. თეთრი ქედი.

**ჩაირინ დუზი** (ნარმანი), შდრ. თივის ველი.

**ქირაჩ მაჰალე** (ნარმანი).

**აშალი მაჰალე** (ადგილი ნარმანსა და ხუახში).

**ფუხარი მაჰალე** (ადგილი ნარმანსა და ხუახში).

**ყანლუ ჯევიზი** (ფანასკერტი).

**ქუჩუქ ჩაი** (ფანასკერტი), შდრ. პატარა წყალი.

**ალაბალიქ ჩაი** (ფანასკერტი) - **კალმახის წყლის** თურქული თარგმანია, **კაპ სუ**საც ეძახიან.

**გაჟურ დაილა** (ფანასკერტი), შდრ. ურჯულოს (მუსულმანის თვალით) დაილა. ტოპონიმი, ვფიქრობთ, ინახავს ქრისტიანობის ხსოვნას ფანასკერტში.

**ინჯი ბაღი**<\***ინჯირ ბაღი** (ფანასკერტი), შდრ. ლეღვის ბაღი.

**ჰარმან მაჰალე** (ხუახი), შდრ. კალო უბანი.

**ინჯი ქოჲ**<\***ინჯირ ქოჲ** (ოლთისი), შდრ. ლეღვის სოფელი.

**აქ დაღი** (ხუახი), შდრ. თეთრი მთა.

**კალე ბოღაზი** (ხუახი), შდრ. ციხის კარი.

უნლუ ქადა, ძვ. ნეესი ნარმანი (ოლთისი).

ბელჩირი (ნეესი ნარმანი).

ალ თეფე (ნეესი ნარმანი).

ქირაჩ მაჰალე (ნეესი ნარმანი).

ჰაჯი მეზერი (ადგილი მექართულე ტაოში), შდრ. ჰაჯის საფლავი. ტოპონიმი ახალია. წმინდა ადგილების მოსალოცად წასული მუსულმანი მორწმუნე აქ დაუკრძალავთ, სახელიც აქედანაა.

ერმანი მაჰალესი (ქისქიმი). შდრ. სომხის უბანი.

ორთა მაჰალე (ქისქიმი). გვხვდება ქისფოროთშიც. შდრ. შუა უბანი//უბანი.

თირქი მაჰალე (ქისქიმი), შდრ. მელის უბანი.

ჩუქურ მეშე (ქისქიმი), შდრ. ჩაღრმავებული ტყე.

ქუფლადიმ სირთი (ქისქიმი), შდრ. ჭურების//ქვევრების ქედი.

ქისქიმ კალესი (ქისქიმი), შდრ. ქისქიმის ციხე.

ოშნაკ კალესი (ოშნაკი), შდრ. ოშნაკის ციხე.

საქუთი ფათ' (ოშნაკი).

ქუფერი<\*ქუფდერი (ოშნაკი), შდრ. ქვევრების ადგილი.

დუთ დერე (უტავი), შდრ. თუთის ხევი.

დევე მათალი (თორთუმში), შდრ. აქლემის საწოლი.

ჯამი ყაფისი (ზრაფორო), შდრ. ჯამიკარი.

ხაჯიოლ დერე (ზლაფორი).

ყარალიქ დერე (ადგილი პარხლის ხეობაში), შდრ. ძვ. წყვედიადი.

დორთ ქილისა ქოჲ (სოფელი ჭოროხის ხეობაში, იუსუფელს ზემოთ), შდრ. ოთხთა ეკლესია.

ტაშდიბი მაჰალესი (ოთხთა ეკლესია). შდრ. ქვის ძირის უბანი.

ქოთუ მაჰალე (ოთხთა ეკლესია).

ქობამ ბურუ (არჯევანი).

ოგეჩა თარლა (არჯევანი).

ქულუნუნ სირთი (არჯევანი).

მანდაკუნუნ დუზი (არჯევანი).

ხამხოლ თეფე (არჯევანი), შდრ. ხამხოლის ქედი.

ოგეჩანუმ მეშასი (წოდწყალი).

საზამნო თეფესი (წოდწყალი).

ჰასან ალა მაჰალესი (ქისფოროთი).

ჰაუზ ბაში (ქისფოროთი).

აშალი მაჰალე (ქისფოროთი).

ქელგერ (ანზავი).

ორთა ბურუნუნ (ორუქი).

ყარა გმოზი (ორუქი).

ყადიოლლი მაჰალე (არჯევანი).

ფირინლი დიბ' (ორუქი), შდრ. თონების ძირი?

ყიბლარინ სირთ (ორუქი). „ყიბლე - მუსლიმანური სამყაროს წმინდა ადგილი, ქაბას მხარე, საითკენაც ჩერდებიან მორწმუნენი ლოცვის დროს, სამხრეთი“ (ნიჟარაძე, 1971). ყიბლარინ სირთ' - სამხრეთი ქედი.

**დუზდე მაჰალე** (ანზავი), შდრ. ველისუბანი.  
**ზიარეთინ ბაში** (ორუქი), შდრ. ზიარეთის (სალოცავის) თავი.  
**ჯადდუნუნ დუზი** (ორუქი).  
**ძუვე თეფესი** (ფარნაკი).  
**უზუნ ჩურუხ** (ფარნაკი).  
**ყარა დორუხლო** (ხუახი).  
**ქილისე დერესი** (ხუახი), შდრ. ეკლესიის ხევი.  
**ალაფინარი** (ოლთისი).  
**ოშქ ვანქი** (უზუნდერე).  
**ყალედიბი** (უზუნდერე), შდრ. ციხის ძირი.  
**უზუნდერე** (ხეობა). შდრ. გრმელხევი.  
**უშუგუნ ტაში** (ვექანგეთი).  
**ზიარეთინ თაში** (ანძავი), შდრ. ზიარეთის/სალოცავის ქვა.  
**აზოლლი მაჰალე** (თუხერისი).  
**სადიროლლი მაჰალე** (თუხერისი).  
**ოქუზდადი დერესი** (ხეობა თუხერისში), შდრ. ხარისმთის ხევი.  
**ყარა თეფე** (თუხერისი), შდრ. შავი მთა.  
**მეიდან მაჰალე** (შევრელი).  
**კალე ბოინი** (თუხერისი).  
**სირთ მაჰალე** (ჩევრელი), შდრ. ქედის უბანი.  
**ჩაი ალზი** (უტავი), შდრ. წყლის პირი.  
**სირთ მაილა** (უტავი).  
**ადა მაჰალე**\*ადა[მ] მაჰალე (ჩევრელი), შდრ. ადამის უბანი (ადამი - მამაკაცის სახელია).  
**ხაშ თაფ**\*ხაჩ თაფ (ომნაკი), შდრ. ჯვრის ქედი//ჯვარიქედი.  
**გოლფარადი** (ელიასხევი).  
**ბალლიქ მაჰალე** (უტავი).  
**ჯამე მაჰალე** (უტავი).  
**შიმექლი ყაფლარი** (ადგილი მექართულე ტაოში).  
**ყალე დიბი** (ხავისკარი), შდრ. ციხისძირი.  
 ასზე მეტი სინტაგმა ტოპონიმი დავადასტურეთ ტაოში თურქული, შესაბამისად ყველა ახალია. დაკვირვებული მკვლევარი და მკითხველიც შენიშნავს:  
 - თურქული სინტაგმა ტოპონიმების ნაწილი ქართულის პირდაპირი თარგმანია: ოთხთა ეკლესია - **დორთ ქილისა**, ციხისძირი - **ყალე დიბი**...  
 - თურქული სახელი შექმნილია ქართულის გადააზრებით: **თუხარისი** //**თუხერისი ხარ**'ს დაუკავშირა ახალმა სახელმდებელმა და შექმნა ახალი სახელები: **ოქუზ დადი** (მაილა, შდრ. ხარის მთა), **ოქუზ დერე** (შდრ. ხარის ხევი)...  
 - ზოგიერთი სახელი ქართულის ანალოგიით შექმნილი ჩანს: **სადიროლლი მაჰალე** (თუხერისის უბანი), შდრ. **ნაბიანნი** - სოფლის უბანი მექართულე ტაოში. სხვაგვარად, ტაოური სოფლის დასახლების ერთი თავისებურებაა, რომ „გვარი“ ერთადაა თავმოყრილი და ქმნის სოფლის უბანს.  
 - სახელდებისათვის შერჩეულია ახალი ნიშანი: **თექ ყალე, ჯამე მაჰალე**...



ქართული კვალი ტაოს თურქულ ტოპონიმებში ხელშესახებია. ვფიქრობთ, ახალი სახელმძებელი ან ქართველია, ანდაც კონსულტაციას უწევს ოსმალთა თურქ ნათლიას.

## თავი II. მეტსახელი გვარები ტაოდან

გვარი, მისი შედგენილობა და გენეზისი კარგა ხანია ისტორიკოსების, ეთნოლოგებისა და ლინგვისტების მსჯელობის საგანია. უპირველესად აზრთა სხვაობას იწვევს ქართული გვარების წარმოშობის დრო. ამის მიზეზი, ვფიქრობთ, საძიებელია იმაში, თუ რას ვუწოდებთ გვარს. და კითხვა: რა არის გვარი? ეგებ, ამ თითქოსდა მარტივი კითხვის პასუხი დაგვეხმაროს ქართული გვარის ჩამოყალიბების დროის განსაზღვრაში.

ძველ ქართულში „გვარს“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: გუარი - წესი, სახე, ჯიში, სახეობა; ეროვნება, ნირი (იხ. სარჯველაძე, 2001; აბულაძე, 1973).

სულხან-საბასთვის „გუარი“ - შემასრულებელია, შემასრულებელი კიდევ - გასრულების მოქმედი (ორბელიანი, 1949).

„გუარის“ ძველი ქართულის მნიშვნელობათაგან „ჯიში“, „სახეობა“ რალაციით უხლოვდება „გვარ-სახელის“, „გვარის“ თანამედროვე გაგებას.

მოგვიანებით გვარის განმარტება გვხვდება დ. ჩუბინაშვილთან: ნათესავი, ტომი, ჩამომავლობა, თავობა, გვაროვნობა... родъ, фамилия, порода... (ჩუბინაშვილი, 1984).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „გვარი - 1. საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან... ჩამომავლობა...|ერთი წინაპრის შთამომავალი, ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფი“ (ქეგლ). გვარს სხვა მნიშვნელობებიც აქვს ქართულში, მაგრამ ჩვენთვის იგი ახლა არაა საინტერესო.

„გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან... ჩამომავლობა...|ერთი წინაპრის შთამომავალი, ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფი“ - მოყვანილ ამონარიდში კარგად ჩანს გვარის მნიშვნელობა და აკმაყოფილებს დაინტერესებულ მკითხველს. თუ ასეა, რა იწვევს აზრთა სხვაობას? უპირველესად უნდა შევთანხმდეთ, რომ გარკვეულ პირობებში წარმოქმნილი გვარ-სახელი ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის (ერთი მამის შვილებისათვის, ერთი წინაპრის შთამომავალთათვის, სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფისათვის...) ქცეულა სახელ-სიმბოლოდ და აღნიშნავს ამ ჯგუფს.

გამომდინარე თქმულიდან იზადება კიდევ ერთი კითხვა: რომელი საუკუნიდან ივარაუდება საქართველოში ასეთი სახელ-სიმბოლოდ ქცეული გვარი? როდიდან გაჩნდა საქართველოში პიროვნების სამწევრა აღნიშვნის საჭიროება - სახელი, მამის სახელი, გვარი? სხვაგვარად: ქართული გვარის ჩამოყალიბება იმ დროიდან უნდა ვივარაუდოთ, როცა საქართველოში, ქართულ კულტურაში ამის საჭიროება გაჩნდა.

„ქართული გვარების ძირითადი ნაწილი საკუთარი სახელებიდან (ან მასთან გათანაბრებული მეტსახელებიდან - ავტ.) მომდინარეობს ფუძეზე ძე, შვილ'ის ან მათი ეკვივალენტი აფიქსების მიმატებით. ძველი ქართული მწერლობის ისტორიამ იცის ასეთი გვარები: იოანე საბანის ძე (VIII ს.), იოანე ქინქოზის ძე, სტეფანე სანანოძის ძე (X ს.), ვაჩე კარიჭის ძე, იოანე ტარიჭის ძე, სუმბატ დავითის ძე (XI ს)...”

(ღლონტი, 1988:190). არის კი დასახელებული **საბანის ძე, ქონქოზის ძე, სანანოას ძე..** გვარები, გვარ-სახელები, ზემომოტანილ ქეგლ'ისეულ განსაზღვრებას რომ პასუხობენ? რა თქმა უნდა არა! რომელიმე „სუმბატ დავითის ძე“ და მისთანა სინტაგმები პიროვნების ორწევრა აღნიშვნაა, - სახელი + მამის სახელი და არა სახელი და გვარი. სხვაგვარად, „დავითის ძე“ აღნიშნავს არა „ჩამომავლობას“, „ერთი წინაპრის ჩამომავალს“, „ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფს“, არამედ კონკრეტულ პიროვნებას სახელითა და მამის სახელით, რაც, რა თქმა უნდა, არაა გვარი, სახელი-სიმბოლო სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფისა. აქვე აღვნიშნავ, რომ „დავითის ძე“ და მისთანა ფორმები გვარის ჩანასახებია, მაგრამ არა გვარები. ამიტომაც გადაჭარბებულად გვეჩვენება ალ. ღლონტის მოსაზრება, „გვაროვნული სახელი, მკვიდრი ნაწილი ქართული ანთროპონიმისა ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII საუკუნეებში მისი ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებული ჩანს...“ (ღლონტი, 1988: 197). ჩანს, გვარის ჩანასახი საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც, ადრეული ეპოქიდან ჩნდება, მაგრამ მისი ჩამოყალიბების პროცესი დიდხანს გრძელდება და საბოლოო სახეს გაცილებით გვიან ღებულობს, ვიდრე VII-VIII საუკუნეებია. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ გვარი ერთდროულად არ მიუღია ყველა წოდებას და ყველა კუთხეში, რაზეც სავლელე ექსპედიციების მიერ შეკრებილი მასალებიც მიუთითებს.

გვარ-სახელისადმი დამოკიდებულება ერთგვარი რომ არაა, ეს იქედანაც ჩანს, რომ ქართველოლოგიაში არის ცდები მის აღსანიშნავად შემოიტანონ სხვადასხვა ტერმინი: „**ოჯახის სახელი**“ (გ. ხორნაული, არ იწონებს ნ. მგელაძე), „**შტო-გვარი**“ (ს. ჯანაშია), „**ქვე-გვარი**“ (ვ. ბარდაველიძე), „**მეტ-გვარი**“ (ს. მელიქაძე), „**გვარის დანაყოფი**“ (რ. თოფჩიშვილი)... ნ. მგელაძის შენიშვნით, აქ ისეთი მცნებებია („შტო“ და „გვარი“, „ქვე“ და „გვარი“) გაერთიანებული, რომელთა აღნიშნული სოციალური დაჯგუფებების ტიპოლოგიური მიმართებები სრულად დადგენილი არაა. ის, თუ რა იგულისხმება „შტო-გვარში“ (თუ „გვარის შტოში“) გაურკვეველია (მგელაძე, 2001:25).

საუბარს აღარ გავაგრძელებთ, თუმცა სასაუბრო ბევრია (იხ. ფაღავა, 2017: 191-208), გადავალთ მთავარ სათქმელზე - მეტსახელი გვარები ტაოდან.

\*\*\*

### **§1. -იან სუფიქსიანი „გვარები“ ტაოდან**

ისტორიულ ტაოში სავლელე ექსპედიციების დროს ჩავიწერეთ ტაოური „გვარებიც“. მასალა საინტერესოა როგორც ლინგვისტური, ისე ეთნოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით.

„მეტსახელ გვარს“ ტაოელები „ქოხის სახელს“ უწოდებენ, მეტსახელს - სახელმეტას. ბარემ ვიტყვით, რომ „გვარი“ სოფელში კომპაქტურად სახლობს და ქმნის უბანს. სწორედ „გვარის“ განსახლება განსაზღვრავს ტაოური სოფლის დასახლების სტრუქტურას. ჩანს, „გვარიც“ იმ სოფლის კუთვნილებაა, სადაც მისი უბანია (იხ. ფაღავა, 2017:3-9; Paghava, 2018:129-133).

ტაოელთა „ქოხის სახელები“ დიდი ნაწილი -იან<sup>42</sup> სუფიქსითაა წარმოშობის ფონეტიკური ვარიანტებითაა ნაწარმოები. აღნიშნული მაწარმოებელი დაერთვის მამაკაცის საკუთარ სახელს (იშვიათად ქალისაც) ან მეტსახელს და აწარმოებს „გვარს“:

- გენჯ-იან-ი შდრ. გენჯი - მამაკაცის სახელი.
- სალ-იან-ნ-ი შდრ. სალი - მამაკაცის სახელი.
- სულბ-იან-ნ-ი შდრ. სულბი - მამაკაცის სახელი.
- აზლ-იან-ი<\*აზლ-იან-ი შდრ. აზლი - მამაკაცის სახელი.
- ნაბ-იან-ი<sup>43</sup> შდრ. ნაბი - მამაკაცის სახელი.
- ომარ-იან-ი შდრ. ომარი - მამაკაცის სახელი.
- ბასლ-იან-ი<\*ბასილ-იან-ი შდრ. ბასილი - მამაკაცის სახელი.
- სალრ-იან-ი<\*სალირ-იან-ი შდრ. სალირა - მამაკაცის სახელი.
- ჰელიმ-იან-ი შდრ. ჰელიმი - მამაკაცის სახელი.
- აიდილ-იან-ი შდრ. აიდილი//აიდინი - მამაკაცის სახელი.
- ყავაზ-იან-ი შდრ. ყავაზი - მამაკაცის სახელი. აღნიშნავთ, რომ აჭარასა და შავშეთში გვხვდება „ძველი“ გვარი ყავაზოლი.
- იბიშ-იან-ი შდრ. იბიშა - მამაკაცის სახელი.
- იბრიმ-იან-ი<\*იბრაიმ-იან-ი შდრ. იბრაიმი - მამაკაცის სახელი.
- დენგიზ-იან-ი შდრ. დენგიზი//ჯენგიზი - მამაკაცის სახელი.
- ხიტ-იან-ნ-ი შდრ. ხიტი - მამაკაცის სახელი(?).
- ბექირ-იან-ი შდრ. ბექირი - მამაკაცის სახელი.
- ნებ-იან-ი შდრ. ნები - მამაკაცის სახელი.
- ქოჩელ-იან-ი შდრ. ქოჩელა - მამაკაცის სახელი.
- მუს-იან-ი შდრ. მუსა - მამაკაცის სახელი.
- ეიბ-იან-ი<\*ეიუბ-იან-ი შდრ. ეიუბი - მამაკაცის სახელი.
- ფაზლ-იან-ი შდრ. ფაზლი - მამაკაცის სახელი.
- აუნუზ-იან-ი<\*აუნუს-იან-ი შდრ. აუნუსი - მამაკაცის სახელი.
- კედელ-იან-ნ-ი შდრ. კედელა - მამაკაცის სახელი.
- აღლობ-იან-ი<\*აყობ-იან-ი<აყუბ-იან-ი//აყუფ-იან-ი შდრ. აყუფი - მამაკაცის სახელი.

მანას-იან-ი შდრ. მანასე - მამაკაცის სახელი.  
 ფერუზ-იან-ი<sup>44</sup> შდრ. ფერუზე - ქალის სახელი.  
 მოყვანილ მაგალითებში, ვფიქრობთ, ადამიანის საკუთარ სახელზე -იან სუფიქსის დართვით ნაწარმოებია „ქოხის სახელები“. აღნიშნავთ იმასაც, რომ ინფორმატორი ზოგჯერ ფორმას მრავლობით რიცხვში გვისახელებდა, ჩვენც მრავლობითის ფორმა ჩავიწერეთ და ასე ვიყენებთ კვლევაში.

<sup>42</sup> „ჩვენი გვარები უკნედან -იან მოვა: კავლიანი...“- აგვიხსნა ფუათ სოლმეზმა სარიგიოლიდან.

<sup>43</sup> ნაბიანის შესახებ ქუაბაგში მოგვითხრობენ: [რუსის] დიდი კამანდარი დამდგარა ზომო მაჰალეში. აქიდან ნაბნი კაცი დამჟდარა, ნაბიანი დურქმევიან”.

<sup>44</sup> „ფერუზამ დეკაცი ყოფილა, იქიდან - ფერუზ-იან-ი“ - აგვიხსნეს ხევეკში.

-იან სუფიქსი დაერთვის მეტსახელს//სახელმეტას და აწარმოებს მეტსახელ გვარს:

**თოფლ-იან-ი** შდრ. **თოფალი** - კოჭლი (თ. topal).

**ხოჯ-იან-ი** შდრ. **ხოჯა** - მასწავლებელი, მუსულმანური სასულიერო პირი (სპ. hoca).

**ეფენდ-იან-ი** შდრ. **ეფენდი** - ბატონი, თავადი, მფლობელი, პატივცემული (თ. efendi).

**ჩოლად-იან-ი** შდრ. **ჩოლადი** - ცალხელა, უხელო, ინვალიდი, ხეიბარი (თ. çolak).

**მოლ-იან-ი**<sup>45</sup> შდრ. **მოლა** - მთავარი მოსამართლე, ისლამის კულტის მსახური, მასწავლებელი (არ. molla).

**ამად-იან-ი, აინ-იან-ი,**

**ბაქმაზ-იან-ი** შდრ. **ბექმეზი** - „ხილის დადუღებული წვენი“ (ნიჟარაძე, 1971), (თ. peqmez), ბეთმეზი. დღეს ტაოურმა ბაქმაზი არ იცის, „ქობის სახელს“ დაუცავს იგი.

**მოლახლ-იან-ი** შდრ. **მოლახ[ლ]ი** (?), გვხვდება - **მოლახოლიც**.

**ფერ-იან-ი**<sup>46</sup> შდრ. **ფერი** - სული, ფერია (სპ. peri): „ფერი ქალიც არის, კაციც, ფერებიც ჯინები არიან“ (შიომვილი, 2017:633; შდრ. შავშეთი, 2011).

**თათარ-იან-ი** შდრ. **თათარი**, მეტსახელი გამუსლიმანებული კაცისა.

**მიხლიკ-იან-ი** შდრ. **მიხლიკი**. გვხვდება - მიხიკიანიც.

**მუთაფ-იან-ი** შდრ. **მუთაფი**(?).

**ვოლელიან-ი** შდრ. **ვოლელი** (?).

**არხვ-იან-ი** შდრ. **არხვა** - სოფ. კლარჯეთში.

---

<sup>45</sup> ჩემი დედედ ხოჯა ყოფილა, ისტამბულ უკითხია, მოსულა, აქობაში ხოჯობა უქნია, იქიდან **მოლიანი** უმახიან ჩვენა” - აგვიხსნა ერთმა მოლიანმა მექართლე ტაოში.

<sup>46</sup> მევლუდ დოლენჯოლი ხევკიდან მოგვითხრობს: „სარცხელი დღე არ ყოფილა, ბიჭი გასულა, ტბაში შეხედავს კი, ლამაზი გოგო იბანავს, თმები დიდი აქ. მივა, გეხედავს ქი, გოგო დედნახავს კაცს, ჩეფლობა [წყალში] და დემალავს. ტარალი (აქ: სავარცხელი) დარჩა გოგოს. ბიჭი იმ ტარალს ასწევს, მეძპრის, წუმუვა ასე. გოგოც ადგა კი, ტარალი არ იქნება და იტირებს. ი სავარცხელი დიდი ოქროდნად ყოფილა. ბიჭიც უკნიდან წუმუვა, ჩქარა და ბიჭი ჩუმუვა აქ, ჭამის უკნიდან ჩუმუა.

ის გოგო ფერი გოგო ყოფილა. უთქვია, ნაჩუქარია, ვისმე უჩუქებია. ჩვენ რაცნა გვაჩუქებენ, შევნახავთ. ბიჭს უთქვია, დავეორწინდეთ.

ქალი ფიქრობს, როდის მეძპრის ტარალს და წევა. დაქორწილდენ. ბაღნები მესწრებინ, ქალს არ ულაპარაკია. ხუთი წელი გესულა. მერე იპუა ტარალი, გეძეცა. კაცი გამიეკიდა. [ქალი] გავა ტბაზე, კაცს ეტყვის: მე იქ გევალ, სისხლი თუ დედნახო, წადი, არ მელოდო, ვერ დედნახავ, მელოდე.

ამას [ძმები] ადარ შუშვებენ ტბაში, დაჰკლვენ. ტბა სისხლიანი გახდება. იმიდან არიან ფერიანი”. ვფიქრობთ, მშვენიერი ლეგენდაა ფერიანის, - მეტსახელი გვარის შესახებ.



**დელოგუზ-იან-ნ-ი** შდრ. დელოგუზი.  
**უსტ-იან-ნ-ი//უსტიან-ებ-ი** შდრ. **უსტა** - ოსტატი, ხელოსანი (თ. usta). **უსტა** - მეტსახელი კაცისა. გვხვდება - **უსტალოლიც**.  
**ტურც-იან-ი** შდრ. **ტურცი(?)**.  
**ზეინ-იან-ი** შდრ. **ზეინი(?)**.  
**კუდ-იან-ნ-ი** შდრ. **კუდიანი** - თურქების მეტსახელი ქართველების მიერ შერქმეული (იხ. ფალავა, 2017; 2011).  
**კავლ-იან-ი<\*კავ-იან-ი**, **ლ** განვითარებულია, შდრ. **კავი**.  
**თულულ-იან-ი** შდრ. **თულული(?)**.  
**ქეიჯ-იან-ი** შდრ. **ქეიჯი(?)**, დასტურდება - **ქეიჯანიც**.  
**ხაზნუთ-იან-ნ-ი** (ხაზნუთი(?)).  
**მახას-იან-ი** შდრ. **მახასი** (მაკრატელი).  
**აჭარ-იან-ი** შდრ. **აჭარა**. ვფიქრობთ, აჭარიდან მოსულის მეტსახელი გვარია და მას არაფერი აქვს საერთო სომხურ აჭარიანთან.  
**ჩულფ-იან-ნ-ი** შდრ. **ჩულფი<\*ჩილფი//ჩირფი(?)** (თ. cirpi) - **ლარი** (ნიჟარაძე, 1971).  
**ფირ-იან-ი<\*ფერ-იან-ი**: ე-ი>ი-ი'ს.  
**სალიფ-იან-ი** შდრ. **სალიფი(?)**.  
**ჭარაბ-იან-ი** შდრ. **ჭარაბი<ჭარბი(?)**. დასტურდება გვარი **ჭარაბაძე**.  
**ფერჩ-იან-ი** შდრ. **ფერჩ'ი(?)**. აჭარაში გვხვდება გვარი **ფენჩიძე**.  
**ფერჩ-ფენჩ'** ისაგან?  
**ჩულეგ-იან-ი** შდრ. **ჩულეგი//ჩულედი(?)**.  
**კოდი-იან-ი** შდრ. **კოდი<კორდი**: რ>დ  
**აილ-იან-ი** შდრ. **აილ'ი(?)**  
**ყურდ-იან-ი** შდრ. **ყურდ'ი<\*ქურდ'ი**. გავრცელებულია გვარები - **ქურდიანი**, **ქურდაძე**.  
**ტარლოლ-იან-ი** შდრ. **ტარლოლ<ტარალოლ'ი**.  
**მოლელ-იან-ი<მოლოლ-იან-ი** შდრ. **მოლა**.  
**ყალაჯ-იან-ი** შდრ. **ყალაჯ'ი<\*კალა[ი]ჯი** - მკალავი.  
**კარჩხლ-იან-ი** შდრ. **კარჩხალა**, - კარჩხლიდან მოსულის მეტსახელი.  
 მოყვანილი „გვარები“ მეტსახელებიდან ნაწარმოებად მივიჩნიეთ, მათგან ზოგი გამჭვირვალეა, ზოგიც - უცნობი ფუძე. დამატებით მიეზას საჭიროებს მათი მნიშვნელობა.  
 „მეტსახელი გვარების“ ერთი ნაწილი დღეს აღარ სახლობს ტაოში, არც სოფელს ახსოვს ისინი. შეუნახავს იგი ტოპონიმს. სხვაგვარად, სოფელმა დაივიწყა „ქოხის გვარი“, დაიცვა - გეოგრაფიულმა სახელმა. ტოპონიმის „მეხსიერება“ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე - სოფლის.  
**ხალ-იან-ი** შდრ. **ხალიანთყანა**, ადგილის სახელი მექართულე ტაოში.  
**ხალიანი//ხალიანა** მეტსახელია კაცისა/ქალისა.  
**ოხშ-იან-ი** შდრ. **ოხშიანი//ოხშალარი** (ოხშიანები) - ადგილი ელიასხევში.  
**წითლ-იან-ი** შდრ. **წითლიან** ჭალა//წითეველები//წითლევეკარი - ადგილი მექართულე ტაოში.  
**ბერ-იან-ი** შდრ. **ბერიანი//ბერიანნი** ადგილი მექართულე ტაოში.

**ჭელ-იან-ი** შდრ. **ჭელიანკარი** - ადგილი მექართულე ტაოში. **ჭელ** ფუძე გვხვდება გვარ-სახელში ჭელიძე.

**ჭეილ-ან-ი** შდრ. **ჭეილანკარი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ჰამფ-იან-ი** შდრ. **ჰამფიანკარი** - ყანა მექართულე ტაოში.

**სორ-იან-ი** შდრ. **სორიანი** - ჭალა მექართულე ტაოში.

**აინ-იან-ი** შდრ. **აინიანი** - ადგილის სახელი მექართულე ტაოში.

**კოდელ-იან-ი** შდრ. **კოდელიანი** - ყანა მექართულე ტაოში.

**ონახ-იან-ი** შდრ. **ონახეთკარი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ხუც-იან-ი** შდრ. **ხუცეკარი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ყარამან-იან-ი**//**ყარამან-ებ-ი** შდრ. **ყარამანლარი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ფევზ-იან-ი** შდრ. **ფევზალარი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**აბაზ-იან-ი** შდრ. **აბაზიანი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ქუნქლ-იან-ი** შდრ. **ქუნქლიანები** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ყარამად-იან-ი** შდრ. **ყარამადიანი** - ადგილის სახელი ელიასხევში. ვფიქრობთ, აქ წარმოთქმის პრობლემაა, ალბათ, ამოსავალია - **ყარამანიანი**.

**ქოროლი** - შდრ. **ქოროლივილი** - ადგილის სახელი მექართულე ტაოში. იმავე ფუძეს ვხედავთ **ქორი-ეთ**ში.

**კოჭ-იან-ი** შდრ. **კოჭიან ჯევი** - ხევი ტაოში.

**ომარ-იან-ი** შდრ. **ომარიანი** - გეოგრაფიული პუნქტი მექართულე ტაოში.

**არზ-იან-ი** შდრ. **არზიანი** - ყანა მექართულე ტაოში.

**მაჰმუდ-იან-ი** შდრ. **მაჰმუდიან ტყე** - ტყე მექართულე ტაოში.

**ლიტრ-იან-ი** შდრ. **ლიტრიანი** - ადგილი მექართულე ტაოში. დასტურდება - **ლიტრევიც**. **ლიტრა** - წონის ერთეული არ იცის ტაოურმა. ფუძე დაუცავს ტოპონიმს.

**დელ-იან-ი** შდრ. **დელიანი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**აბდ-იან-ი** შდრ. **აბდიანი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ბასლ-იან-ი** შდრ. **ბასლიანი** - ადგილი მექართულე ტაოში, გვხვდება: **ბასლიანკარი**, **ბასლეთები**.

**პაჩელ-იან-ი** შდრ. **პაჩელიანი** - ადგილის სახელი ელიასხევში.

**შაბან-იან-ი** შდრ. **შაბანიანი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**მალლ-ენ-ი** შდრ. **მალლენი** - ადგილი მექართულე ტაოში.

ორი შემთხვევა დადასტურდა, როდესაც ორი სუფიქსია გამოყენებული „გვარის“ საწარმოებლად: **ისმაილ-ოღლ-იან-ი**, **მელ-ოღლ-იან-ი**. ვფიქრობთ, ეს ახალი მოვლენაა ტაოური ქოხის სახელისა და ტოპონიმის წარმოებაში.

ოცდაათამდე მეტსახელი გვარი დავითვალეთ, რომელიც დღეს აღარ ცხოვრობს მექართულე ტაოში და რომელთა ხსოვნა მიწამ შეგვინახა. ბუნებრივია, დაიბადოს კითხვა: რა ბედი ეწიათ ამ „გვარებს?“ ნაწილი გადასახლდა თურქეთის სხვა კუთხეებში, ნაწილმა შეწყვიტა არსებობა, ზოგიც განერიდა ოსმალობას და საქართველოს სხვა კუთხეებში დაიდო ბინა. გავიხსენებ ექვთიმე თაყაიშვილის ერთ ცნობას: „ვისაც არ სურდათ გამაჰმადიანება, გადასახლდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში. ამათ რიცხვში უფრო წარჩინებულნი არიან: შალიკაშვილი, ციციშვილი, ავალიშვილი, ჯაყელი, დიასამიძე, გოგორიშვილი, თავდგირიძე, ხიმშიაშვილი, კაკვასიძე, დოლენჯიშვილი, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი,

ქობულაშვილი, სუმბათაშვილი, ზედგენიძე, თუხარელი, გუგუნავა” (თაყაიშვილი, 1, 2016:431).

## §2. -ძე/-ზე ტაოურ „გვარებში“

-იან სუფიქსიანი წარმოების გვერდით დადასტურდა ძე>ზე მაწარმოებლიანი სახელებიც: კილაზე<\*კილაძე, ჩიტაზე <\*ჩიტაძე, გუნგუზე<\*გუნგუძე, არუნზე<\*არუნძე (<\*ჰარუნძე?). ოთხივე გვარი შეუნა-ხავს ტოპონიმს. ამათ გვერდით დავასახელებთ უტავში დადასტურებულ გეოგრა-ფიულ სახელს ბალაზელარ, ვვიქრობთ, იგი ქართული ბალაძეების თურქული თარგმანია.

მოყვანილი მაგალითები დასტურია იმისა, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც, ტაოში იცოდნენ ძე’ მაწარმოებლიანი გვარები. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება ასპარაძენი, გეოგრაფიული პუნქტი, სადაც იშხნის ციხე დგას (იხ. ქ.ცხ, II: 288-289).

## §3. -იონ ტაოურ „გვარებში“

სამი „გვარი“ დადასტურდა -იონ სუფიქსით ნაწარმოები: პატახს-იონ-ი (ბასლევკარი), ბაჯახს-იონ-ი (ობლევკარი), კულახს-იონ-ი (გოდლევკარი).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სუფიქსი -ივ-ან „ერთის მხრივ, იძლევა -ი-ონ ნაირსახეობას (ვა>ო) გზით, ხოლო, მეორეს მხრივ, -ი-ან ნაირსახეობას (ხმოვნებს შორის ვ სონანტის ჩავარდნით)“ (ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე, 1988:239). ამდენად, -იან და -იონ ერთი რთული სუფიქსის (ივ-ან) გარდაქმნის შედეგია.

## §4. -ან სუფიქსიანი „გვარები“ ტაოდან

ტაოური „გვარები“ -ან სუფიქსითაც უწარმოებიათ:

ხოჯა-ან-ი, გვხვდება ხოჯ-იან-ი’ც.

უსტა-ალ-ნ-ი<უსტა-ან-ნ-ი. გვხვდება უსტალოლი, საქართველოს სხვა კუთხეებში - უსტალიშვილიც.

ცერე-ან-ი შდრ. ცერეკარი - ადგილი მექართულე ტაოში.

ქეიჯ-ან-ი,

დოლენჯ-ან-ი, გვხვდება: დოლენჯიანი, დოლენჯოლი.

სოითრ-ან-ი,

ჩეიჯ-ან-ი შდრ. ჩეიჯ-იან-ი.

ყანთრ-ან-ი, გვხვდება ასევე: ყანთრ-იან-ი, ყანთარ-ოლი, ყანთრ-ენ-ი.

სილიჯ-ან-ი,

ხოვ-ან-ნ-ი.

-ან სუფიქსიც -ოვ-ან’ის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია. აღვნიშნავთ, რომ ტაოურ მეტსახელ გვარებში მონაცვლეობენ -იან და -ან ვარიანტები.

## §5. -ენ ტაოურ „გვარებში“

რამდენიმე შემთხვევაში იხმარება -ენ (\*<-ან) სუფიქსი:

შაბალ-ენ-ი, - შეინახა ტოპონიმმა შაბალენ კარი.

მეძალ-ენ-ნ-ი,

**მუთაფ-ენ-ი** - „მატყლის მჭრელიო“- აგვიხსნა ჰაკი ქეიჯანმა, სომეხი სახელიაო ის”.

**ყანთრ-ენ-ი**, სახელში გამოვყოფთ **ყანთრ** <\***ყანთარ** (სასწორი) ფუძეს. გვხვდება „გვარი“ **ყანთაროლლი**. სასწორი გაუკეთებია მის წინაპარს და ყანთაროლლი უწოდებია. ჩანს, შემდგომ ქართული სუფიქსითაც გაუფორმებიათ „გვარი“.

**წნ. ვან (<ოვან) სუფიქსიანი „გვარები“ ტაოდან**

მექართულე ტაოში დადასტურდა **-ვან (<ოვან)** მაწარმოებლიანი „გვარებიც“:

**ყულახ[ს]-ვან-ი** - დაუცავს ტოპონიმს.

**ხამწ-ვან-ნ-ი** <\***ხამწ-ოვან-ნ-ი**.

**კურდ-ვან-ნ-ი**//**ქურდ-ვან-ნ-ი** შდრ. **ქურდ-ოვან-ი**.

**კულ-ვან-ნ-ი** <\***კულ-ოვან-ნ-ი**.

**კულახ[ს]-უან-ი** <\***კულახ[ს]-ვან** ისაგან.

ჩანს, რომ ტაოში „გვარის“ მაწარმოებელთაგან ყველაზე გავრცელებულია **-იან**, ასევე გვხვდება: **-იონ**, **-ან** (ზოგჯერ **-ენ**), **-ვან** ფონეტიკური ვარიანტები **-ივ-ან** სუფიქსისა.

გვარ-სახელების ანალოგიური წარმოება გვხვდება შავშეთში, კლარჯეთსა და აჭარაში. ყურადღებას მივაქცევ რამდენიმე რესპონდენტის განმარტებას:

- ძველი, ოსმალობისდროინდელი გვარები „ლაყაბია“ (მეტსახელი) და არა სოადი (თ. soyad) „გვარი“ (იხ. ფაღავა, 2011:219).

- „ენწინ ლაღაბი მქონებიან, ახლა ლაღაბი გედევდა“ (ფაღავა, 2016:363).

როგორც აღვნიშნეთ, ტაოში ასეთი გვარების აღმნიშვნელად დადასტურდა „ქობის სახელი“.

ბარემ ვიტყვით, რომ ქართულ კილოებში **-ნ** (ბეგო-ნ-ი, უთურგა-ნ-ი), **-იან**//**-იონ** (ციხელ-იან-ნ-ი, მაკრატ-იონ-ნ-ი), **-ენ** (გოჩი-ენ-ი) - **ენ-თ** (ლაშხ-ენთ-ი) სუფიქსებით ნაწარმოებ სახელებს ბ. ჯორბენაძე „ოჯახის სახელებს“ უწოდებს (ჯორბენაძე, 1989:199).

ამდენად, უნდა განვასხვავოთ **ლაღაბი**//**ლაყაბი**, **ქობის სახელი**//**ოჯახის სახელი**, **მეტსახელი გვარი** და **სოადი** - გვარი.

შავშეთსა და აჭარაში (ზემოაჭარაში) დასტურდება **-ენტ** სუფიქსით ნაწარმოები შტო-გვარები: **ჰაჯი-ენტ-ი**, **კილდი-ენტ-ი**, **ხატიჯ[ე]-ენტ-ი**, **სურათი-ენტ-ი...** (ფაღავა, 2011:44-45).

აჭარაში (აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებთანაც) დაცულია **-ისან**//**-სან** სუფიქსით ნაწარმოები შტო-გვარებიც: **ჰან-ისან-ი**, **დურჩელ-ისან-ი**, **მოლაუსუფ-ისან-ი**, **ზუბე-იცან-ი** (<\***ზუბე-ისან-ი**)... (ფაღავა, 2016:359).

**-იან**, **-იენტ**, **-ენტ**, **-ისან** ფუნქციურად ერთი და იგივე ოდენობაა (იხ. ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე, 1988:149; თოფურია, 1959:45; ფაღავა, 2015:33-4).

შტო-გვარების ანალოგიური წარმოება ჩანს ლეჩხუმსა (ალავიძე, 1941:14) და იმერეთში (ქავთარაძე, 1964:142). ივანე ქავთარაძე მოხეურში ადასტურებს **-ენ(-ან)** სუფიქსს, რომელიც გამოიყენება გვარ-სახელთა და მცენარეთა სახელთაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში: **თემურ-ენ-ი** (შდრ. თემურ-ეთ-ი), **გოგი-ან-ი** (//გოგი-ენ-ი შდრ. გოგი-ეთ-ი) (ქავთარაძე, 1985:72). ვფიქრობთ, **თემურენი** მიღებულია **თემურ-ენ**//**იან** ისაგან.

-იან, -იენ-თ, ენ-თ, -ან(-ენ) -ოვან სუფიქსის გარდაქმნიტაა მიღებული: -იენტ, -ენტში თ' მრავლობითობის ნიშანია. ჩანს, დასახელებული აფიქსები არაა ერთი რომელიმე ქვეკულტურის მახასიათებელი, იგი საერთოქართული კუთვნილებაა.

**§7. -არ სუფიქსი ტაოურ „გვარებში“.** ორ ქობის სახელში გამოიყოფა -არ სუფიქსი: **ბაირახტ-არ-ი, ლახტ-არ-ი.** ორივე ხელობის სახელი ჩანს.

-არ სუფიქსის ერთ-ერთი ფუნქციაა გეოგრაფიულ სახელთაგან წარმომავლობის სახელების წარმოება: **ოპიზა - ოპიზარი, ოლთისი - ოლთისარი...** -არ „მნიშვნელობით იგივეა, რაც წარმომავლობის სუფიქსი -ელ“. -არ სუფიქსიანი წარმომავლობის სახელები ზოგჯერ ქვეულა გვარებად: **ხოტივ-არ-ი...** (ჯორბენაძე, კაბაიძე, ბერიძე, 1988:42). ბარემ აღვნიშნავთ, რომ ა. შანიძეს -არ მეგრულ-ჭანური წარმოშობისად მიაჩნია (შანიძე, 1981).

არ ვიცით, რამდენად გამართლებულია **ბაირახტარისა და ლახტარის ოპიზარისა** და მისთანა სახელების გვერდით დაყენება, თუმცა ორივეში მაწარმოებლად -არ სუფიქსის გამოყოფას წინ არაფერი ელობება.

**§8. სხვა წარმოების „გვარები“ ტაოდან.** ტაოში გვხვდება სხვა წარმოების ქობის სახელებიც, რომელთა ნაწილი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი:

**აჯარები** შდრ. აჯარი.

**ჭიკვალები** შდრ. ჭიკვალი.

**ხოწითები** შდრ. ხოწითი.

**ფუქშები** შდრ. ფუქში.

**ბოცები** შდრ. ბოცი, დაუცავს ტოპონიმს.

**ხლატები** შდრ. ხლატი.

**ფესტილები** - შდრ. ფესტილი.

**ბასტაები** შდრ. ბასტა.

**ყემბერები** შდრ. ყემბერი, მამაკაცის სახელი.

**ქაჩოები** შდრ. ქაჩო.

**ფოირაზები** შდრ. ფოირაზი.

**პაწაები** შდრ. პაწა (პატარა), მეტსახელი კაცისა, დაუცავს ტოპონიმს - პაწაები.

**შირინები** შდრ. შირინი, მამაკაცის სახელი.

**ყაენები** შდრ. ყაენი.

**ჰამფენები** შდრ. ჰამფენი.

**ხაეთები** შდრ. ხაეთი.

**ფეჩენები** შდრ. ფეჩენი, გვხვდება - ფეჩიოლიც.

**დურგები** - შდრ. დურგი. ფუძე დაცულია ტოპონიმში - დურგი.

**პაპაშები** შდრ. პაპაში, გვხვდება თურქული ფორმაც - პაპაშლარ. შევნიშნავთ, რომ **პაპაშლაგა** (<პაპაშლარა?) ტოპონიმია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ორთაბათუმს ზემოთ.

**ჭიჭიხები** შდრ. ჭიჭიხი (-ხ' სუფიქსი უნდა იყოს).

**სილაჯები** შდრ. სილაჯი - ხელობის სახელი.

**ფაფაები**<**\*ფაფაზები?** შდრ. ფაფაზი. V-V პოზოციაში დაკარგულა ზ.

**კოშები** შდრ. კოში, დაუცავს ტოპონიმს - კოში.



**მუსტოები** შდრ. მუსტო<მუსტაფა'საგან.

**ბასლეთები** შდრ. ბასლი<ბასილი. გვხვდება ბასლიანი და ბასლიკარიც.

**თოსოები** შდრ. თოსოფ, მეტსახელი კაცისა.

**ზურნები** შდრ. ზურნა.

**კაკაჩები** შდრ. კაკაჩი. იმავე ფუძეს გამოყოფთ გვარში - კაკაჩია.

**კაკაბები** შდრ. კაკაბი, იგივე ფუძე გამოიყოფა გვარ-სახელში - კაკაბაძე.

**ჯიდები** შდრ. ჯიდი.

**ხეფეთები** შდრ. ხეფეთი<\*ხევეთი? V-V პოზოციაში დაკარგულა ვ.

**ჭუკალები** შდრ. ჭუკალად - მეტსახელი კაცისა.

**ფახრიჯები** შდრ. ფახრიჯი.

**პოკები** შდრ. პოკი.

**ქოსეთები** შდრ. ქოსა, მეტსახელი კაცისა.

ახალ დროში ქართული **-ებ** თურქულმა **-ლარ//ლერ** მრავლობითობის სუფიქსმა შეცვალა, ზოგჯერ პარალელური (ქართულ-თურქული) წარმოებაც გვხვდება:

**ხოლო-ლარ** შდრ. ხოლო<\*მხოლო?

**დევე-ლარ** შდრ. დევე -აქლემი.

**ალიგილ-ლერ** შდრ. ალიგილ'ი

**ქაზაზ-ლარ** შდრ. ქაზაზ'ი.

**მემო-ლარ** შდრ. მემო.

**პალიქ-ლარ** შდრ. პალიქ'ი.

**დურაქ-ლარ** შდრ. დურაქ'ი.

**თულუშ-ლარ** შდრ. თულუში.

**დურსუნ-ლარ** შდრ. დურსუნი - მამაკაცის სახელი.

**თულუს-ლარ** შდრ. თულუსი - მამაკაცის სახელი.

**შუქრი-ლარ** შდრ. შუქრი - მამაკაცის სახელი.

**ბაით-ლარ** შდრ. ბაით'ი.

**ყარღა-ლარ** შდრ. ყარღა<\*ყარღა - მამაკაცის სახელი.

**მემიშ-ლარ** შდრ. მემიში.

**ყადი-ლერ** შდრ. ყადი - მუს. მაღალი თანამდებობის პირი, მოსამართლე (ნიჟარაძე, 1971).

**დევრიშ-ლარ** შდრ. დევრიში (სპ. Dervis) - „მუსლიმანური სარწმუნოების სასულიერო პირი“ (ფუტკარაძე, 1993). გვხვდება მამაკაცის საკუთარ სახელადაც.

თურქული სუფიქსებით ნაწარმოები მეტსახელი გვარები და გეოგრაფიული სახელები დასტურდება ახლადმშობლიურენადაკარგულ სოფლებში - ზღაფორი, გუდასხევი, არჯევანი, უტავი... **-ლარ//ლერ** სუფიქსიანი წარმოება ახალია და იგი ქართული **ებ**'იანის ანალოგიითაა შექმნილი.

ტაოელებს „გვარები“ ახალ დროში თურქული **-ოღლი** (ქართული **-ძე, შვილ'**ის ეკვივალენტი) სუფიქსითაც უწარმოებიათ. თუ გავითვალისწინებთ თურქული ენისა და კულტურის რამდენიმესაუკუნოვან გავლენას ტაოზე და ტაოელებზე (ზოგადად ჭოროხის ქვეყნებზე) ეს არცაა მოულოდნელი:

**ჩაუშ-ოღლი, დელი-ოღლი, თოფალ-ოღლი, ხოჯი-ოღლი, უსტი-ოღლი//უსტა-ოღლი, უტავ-ოღლი, ეფენდ-ოღლი, ჭილაბ-ოღლი, ბასილ-ოღლი, ფესტილ-ოღლი,**

ქუჩუკ-აღა-ოღლი, ველი-ოღლი, სულ-ოღლი, ოსმან-ოღლი, მუსტაფა-ოღლი, თონ-  
ოღლი, უსტალ-ოღლი, მერეგ-ოღლი, მუჰერემ-ოღლი, მემედალი-ოღლი, მაილ-  
ოღლი, დევრიშ-ოღლი, თორუნ-ოღლი, რაზ-ოღლი.

აღვნიშნავთ, რომ ბევრი -ოღლით ნაწარმოები „გვარი“ ქართული  
მაწარმოებლებითაც გვხვდება, რაც კულტურათა დიალოგის შედეგია: **დევრიშ-  
ოღლი /დევრიშიანი, რაზოღლი //რაზოები, ხოჯიოღლი//ხოჯიანი...**

გვხვდება სხვა ტიპის მეტსახელი გვარებიც, მხედველობაში გვაქვს:

**ხოხონი, მომონი, ონახათნი;**

**დემირჯი, მაზიჯი, ჩორაფჩი (<\*ჩორაფჯი), დარლაჯი.**

-ჯი სუფიქსი თურქულ ენაში ხელობის სახელების მაწარმოებელია.

**წოწოლაჲ, დადულაჲ** - კნინობითი სახელები გაგებულია „გვარებად“.

დადასტურდა გაურკვეველი წარმოების „გვარები“: **ქოდადიქო და ყურული.**

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი დაიხატა ტაოური ქოხის სახელების  
წარმოებისა, კერძოდ:

- ტაოურ გვარებს ჩვენ ვუწოდებთ „მეტსახელი გვარები“, თავად ტაოელები მას  
„ქოხის სახელებს“ უწოდებენ, ეს უკანასკნელი იგივეა, რაც „ოჯახის სახელი“.

- ტაოური „გვარები“ უმეტესად ნაწარმოებია -იან, ასევე -იონ, -ან, -ენ, -ვან  
სუფიქსებით. ყველა მათგანი რთული -ივ-ან სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტებია.

- ტაოში, იშვიათად, მაგრამ მაინც, დასტურდება ძე<sup>1</sup>თი და -არ სუფიქსით  
ნაწარმოები ქოხის სახელები.

ტაოურ „გვარებად“ დასტურდება ებ<sup>2</sup>იანი მრავლობითის, ან მისი თურქული  
შესატყვისი -ლარ//ლერ სუფიქსით ნაწარმოები სახელები.

### თავი III. მდინარეები, ტბები, წყაროები ტაოდან

#### §1. მდინარეები ტაოში

ტაოს ქვეყანა გაშენებულია ჭოროხისა და მისი შენაკადების, თორთუმის წყლისა და ოლთისისწყლის ხეობებში, რომლებიც თავის მხრივ იტოტებიან მცირე და მოზრდილ ხევებად. ასეთები კიდევ ბევრზე ბევრია. საყურადღებოდ გვეჩვენება ტაოს მდინარეებისა და ხევების სახელწოდებები და სახელდების პრინციპები. ეს უკანასკნელი, შესაძლებელია, გავრცელდეს ისტორიული თუ თანამედროვე საქართველოს სხვა რეგიონებზეც<sup>47</sup>.

უპირველესად აღვნიშნავთ, რომ სამხრეთ საქართველოში სულ რამდენიმე მდინარე და ხეობაა, რომელსაც საკუთარი სახელი აქვს, ესენია: **ჭოროხი, მაჭახელა, აჭარა, კინტრიში, კინკიშა, დეხვა, ლეჩა, დევსქელი**, შესაძლებელია რამდენიმე სხვაც.

ბარემ ვიტყვით, რომ **მაჭახელი** და **აჭარაც** თავდაპირველად ხევის სახელები იყო, შემდეგ აღნიშნეს ქვეყანა, მოხდა სახელის გადააზრება, შედეგად: ქვეყანას ეწოდა **აჭარა**, მდინარეს – **აჭარისწყალი** (იხ. ფაღვა, მგელაძე, 2005:3–18). რაც შეეხება **მაჭახელს**: მას შემდეგ, რაც **მაჭახელმა** ქვეყანა აღნიშნა, მდინარის სახელად ჩამოყალიბდა – **მაჭახელა**. ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს **მაჭახელი** (ქვეყანა) და **მაჭახელა** (მდინარე). თავდაპირველად **ყოროლიც** მდინარის სახელი უნდა ყოფილიყო. ჰიდრონიმის გადააზრება მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, რაც სოფელს ეწოდა **ყოროლისთავი**, ხოლო, ტრადიციით, მასთან ჩამომავალ მდინარეს **ყოროლისწყალი** უწოდეს. თუმცა, სახელდების ახალი პრინციპის შესაბამისად, რომც არ გაემიჯნათ **ყოროლისთავი** (სოფელი) და **ყოროლისწყალი** (მდინარე) **ყოროლი** და **ყოროლისთავი** მაინც უპირისპირდებოდა ერთმანეთს და კარგადაც აღნიშნავდა აღსანიშნს.

კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს მივაქცევთ ყურადღებას: ზოგჯერ ერთ მდინარეს რამდენიმე სახელი აქვს, იმის მიხედვით შეურქმევიათ სახელები, რომელ სოფლებსაც ჩამოუდით.

ასეთია შავშეთში: **იმერხევის წყალი** და **ფაფართის წყალი**;

ტაოში: **ელიასხევის წყალი** და **ხევეკის წყალი**...

ჩვენს ხელთ არსებული ტაოური მასალებიდან ჩანს, რომ თითო–ოროლათ საკუთრივ ჰიდრონიმები, სახელები, რომლებიც ხევის/მდინარეს აღნიშნავენ. მდინარეთა სახელები უმრავლეს შემთხვევაში ნაწარმოებია ადგილის სახელზე წყლის, ხევის ან მისი თურქული შესატყვისის (დერე, სუ) დართვით.

ა. მდინარის სახელი სინტაგმაა (ადგილის სახელი + წყალი)<sup>48</sup>:

**დემურ ყიშლას წყალი** (ოლთისი, 69);

**\*კაპის წყალი||ალაბულახის წყალი||კალმახის წყალი** (ფანასკერტი, 112);

**პარხლის წყალი** (412);

<sup>47</sup> ტაოს ჰიდრონიმის შესახებ იხ. Paghava, 2018:257–261.

<sup>48</sup> მაგალითები მოყვანილია ექვთიმე თაყაიშვილის შრომიდან (იხ. თაყაიშვილი, I, 2016) და ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიდან.

**ბანას წყალი**, ახლა: **პენიაკ ჩაი** (თუ გავითვალისწინებთ, რომ **პენიაკი** ბანას თურქიზებული ფორმაა, ჩაი – კიდევ თ. წყალი, პენიაკ ჩაი ბანას წყლის პირდაპირი „თარგმანია“);

**\*ზარდუსის წყალი** (43);

**კანლის წყალი**, ახლა: **კანლი სუ** (43);

**სალაჩურის წყალი** (43);

**სევრის წყალი**, ახლა: **სევრი სუ** (43).

**ნიაკომის წყალი** (87);

**კისხას წყალი**, ახლა: **ქისხა სუ** (356);

**პარგძორის წყალი** (101);

**თორთუმის წყალი** (175)<sup>49</sup>.

ექვთ. თაყაიშვილი ასახელებს მდ. **ოთხთა ეკლესიას** და **ოთხთას წყალს**, ასევე მათ თურქულ შესატყვისებს, შესაბამისად: **ოთხთა ჩაი** და **დორთ ქილისა სუ** (380; 377).

**მანუსორის წყალი** (ომკთან. 175);

**ფანასკერტის წყალი** (112);

**კარნავაზის წყალი** (113);

**ანზავის წყალი** (ოლთისი, 116);

**ტაოსკარის წყალი** (107);

**ხახულის წყალი** (356);

**ოლორის წყალი**||**ოლორ სუ** (86);

**სიხჩეკის წყალი** (82);

**პარხლისწყალი**||**პარხალ სუ** (393).

**ომკის წყალი** (175).

**ოლთისის წყალი** (84).

**სალაჩურის წყალი** (87).

უტავში ჩავიწერეთ რამდენიმე წყლის სახელი:

**თეთრი წყალი;**

**ყუთელი წყალი;**

**წყარო დელე.**

ტაოში ექსპედიციებისას სხვა სახელებიც ჩავიწერეთ:

**კულუმუსი წყალი** (წყალი მექართულე ტაოში).

**გორამეთ წყალი** (მდ.მექართულე ტაოში).

**წომწყალი**//**დევისწყალი** (არჯევანი).

---

<sup>49</sup> თორთუმის წყალთან დაკავშირებით საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ექვთ. თაყაიშვილი, კერძოდ: 1791 წლის მიწისძვრის შემდეგ **ხორსბაშდაღის** მწვერვალი ჩამოინგრა და გადაკეტა თორთუმისწყალი, წარმოიშვა თორთუმის ტბა. მოვუსმინოთ მკვლევარს: „...ძლიერმა მიწისძვრამ მოსწყვიტა ხორსბაშ–დაღის მთის მწვერვალი, ჩააზავა იგი წყალში და შეაგუბა მდინარე... ამრიგად, წარმოიშვა ტბა, სიგრძით 13 კმ. და 420 მეტრი, სიგანით 2 კმ. და 170 მეტრი...“ (თაყაიშვილი, I, 2016:310). თორთუმის ტბა ეკოლოგიური კატასტროფის შედეგი რომაა, ვიცოდით, მაგრამ მისი წარმოშობის ისტორია პირველად ექვთ. თაყაიშვილმა მოგვითხრო.

**დუგური წყალი** (დაბლა - ხევას წყალი, უფრო ქვემოთ - ელიასხევი).

**ფენეკის წყალი** (მდ. ფარნაკში).

**ზევი წყალი/წოდს წყალი** (არჯვევანი).

**შავი წყალი** (წყარო მექართულე ტაოში).

**ჩიფთე წყალი** (ელიასხევი). შდრ. ორწყალი.

**ყანითავ წყალი** (უტავი).

სპეცრუკაზე დატანილია **სოფის წყალი** (ოლთისი. ჯიქია, 1958:596).

ახალ დროში მდინარეებისა და ხევების სახელები თურქულად უთარგმნიათ, უფრო გადაუთურქულებიათ და მასზე თურქული **სუ** ან **ჩაი** მიუწერიათ.

**სუ:**

**ტამრუტ-სუ** <\*თამრუთ სუ; 119);

**გეჩუდ-სუ** (ოლთისი. 83);

**Ольты-су** (შდრ. ოლთისის წყალი. Пагирев,1913)<sup>50</sup>;

**Олор-су** (Пагирев,1913, შდრ. ოლორის წყალი);

**Садага-балу-су** (Пагирев,1913, შდრ. სადაღა ბალუ სუ);

**Салачур-су** (Пагирев,1913, შდრ. სალაჩურის წყალი).

**ჩაი:**

**Ункер-чай** (Пагирев,1913, შდრ. უნქერის წყალი);

**Бардус-чай** (Пагирев,1913, შდრ. ბარდუსის წყალი);

**Панаскерт-чай** (Пагирев,1913, შდრ. ფანასკერტის წყალი)...

„ხუთვერსიან რუკაზე“ რამდენიმე ჰიდრონიმია დატანილი, რომელსაც საზღვრული არ ახლავს, სხვაგვარად, თითქოს მდინარის თუ წყლის საკუთარ სახელთან გვაქვს საქმე, თუმცა არსებული მასალების შედარება ამ დაშვების საშუალებას არ იძლევა. მაგალითისთვის, რუკაზე დაუტანიათ:

**Бардус-чай** [ბარდუს ჩაი] და **Бардусь** [ბარდუსი, ადგილის სახელი] და **Бардусь** p. [ბარდუსი მდ.]. რამდენიმე კითხვა გაგვიჩნდა: **ბარდუს ჩაი** და **ბარდუსი** ერთი და იგივე მდინარის სახელწოდებაა თუ სხვადასხვა? მეორეცაა და ბარდუსი მდინარის სახელიცაა და ადგილისაც. ვფიქრობთ, აქ ჩაწერის პრობლემასთან გვაქვს საქმე. მდინარის აღსანიშნავად ბარდუსს უნდა ახლდეს **სუ, ჩაი** ან **წყალი**.

იგივე შეიძლება ითქვას ჰიდრონიმებზე: **Агундирка** p. [Пагирев,1913. აგუნდირკა, მდ.], **Аг-даши** p. [აღ-დაში, მდ. <\*აღ-ტაში||აღ-თაში, ოლთისი], **Тамруть** p. [Пагирев,1913, თამრუთი, მდ.], **Пенякъ** p. [Пагирев,1913, პენიაკი, მდ.]... მათაც უნდა ახლდეს დასახელებულთაგან (სუ, ჩაი) რომელიმე საზღვრული, რამდენადაც **აგუნდირკა, აღ-ტაში, თამრუთი, პენიაკი** ადგილის სახელებია და არა ჰიდრონიმები.

ამათ რიგში ჩადგება **თუხერისი** (მდ) და **ხევანძორი||ხევანზორი** (მდ) (ფალავა, 2015:73).

<sup>50</sup> ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტს: კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე დატანილი მდინარისა თუ ხევის სახელები უმეტესად გათურქულებული ფორმებია, რომლის მეორე ნაწილია **სუ** ან **ჩაი** და არც ერთი ქართული. რატომ? ნუთუ რუსი კარტოგრაფებისათვის უფრო ახლო იყო თურქული სახელწოდება? თუ როდესაც რუკისათვის მასალები იკრიბებოდა, მდინარეთა სახელები უკვე გამოცლილი იყო?



ოლთისში ექვთიმე თაყაიშვილს ჩაუწერია **ხუდლი პუნარი** (<\*ფუნარი. შდრ. რძის წყარო. იხ. თაყაიშვილი, I, 2016:113).

ტაოში წყლის მნიშვნელობით იხმარება „ხევიც“:

**ოშკის ხევი** (310); **მანუსორის ხევი** (ოშკი. 310); **კალმახის ხევი** (ოლთისი, 88); **ნიაკომის ხევი** (ოლთისი, 88); **ცას ხევი** (პარხლის დაილა (293), **არმენხევეცი** (419)... **გენი ჰევი**, **ჰემ|<\*ჰევი**, **ანუთხევი|ანუთხემ** (უტავი), **ფიშნარჰევი**, **უკანჰემ**, **მეთინჰემ|მეთინდერესი**, **მეწმანი ჰევი|ლეწმანი ჰევი** (<\*ლე[რ]წმანიჰევი)...

**ლერწამა** მცენარეა, სატვირთია (იხ. მაყაშვილი, 1991).

სხვადასხვა დროს ჩავიწერეთ<sup>51</sup>:

**ბასლეკარ ჰემ** (ხევი ბასლეკართან).

**ფიშნარ ჰემ** (ხევი მექართულე ტაოში).

**ვაჩეკარ ჰემ** (ხევი მექართულე ტაოში).

**დოლეკარ ჰემ** (ხევი მექართულე ტაოში).

**ჰეილანკარ ჰემ** (ხევი მექართულე ტაოში).

**დიდი ჰემ**<\*დიდი ჰევი. V-V პოზიციასში დაკარგულია ვ.

**ზრანგვი ჰემ** (ხევი მექართულე ტაოში).

**ნაგარა ჰევი**<\*ნაღარა ჰევი<ნაღვარა ჰევი (ხევი მექართულე ტაოში).

**ნარიან ჰემ** (ხევი ბოწმინდის გვერდით).

**ნაშალი ხევი//ჰევი** (ბინათი).

**უტავი ჰემ**<\*უტავის ჰევი (უტავი).

**პაპაშებ ჰევი** (ბალხიბარი).

**იეთი ჰევი**<\*იეთის ჰევი (//იეთინ დერესი. იეთი).

**პარეხი ჰევი**<\*პარეხის ჰევი (ხევი ბალხიბართან).

**ფიშნარჰემ ლელე** (მდ.მექართულე ტაოში).

**ხინზი ხოვ**<\*ხინძი ხევი (არჯევანი).

**გენი ჰევი**<\*გენის ჰევი (ელიასხევი).

**ღობილთ ჰევ** (უტავი).

იუსუფელთან ახლოს კიდეც ორი ხევია - **რინდიხევ**’ი და **საგალიხევ**’ი.

**ხევის||ჰევის** თურქული შესტყვისია **დერე**:

**ჯეუს დერე**||<\*ჯეუს დერე (ოლთისი, 119); **დუთდერე**||<\*თუთდერე (შდრ. თუთათხევი); **ხაჯიოლი დერე** (უტავი).

ტაოში ჩავიწერეთ ასევე: **ყარალიქ დერე**. შდრ. ძვ. წყვდიადი; **ორუქ დერე**//**ანზავ დერე** (ანზავის ხეობა).

**წყალი და ხევი//ჰევი**(>**ჰემ**) სინონიმური ცნებებია ტაოურში: „ჩვენ წყალსა ხევ//ჰევ ვუმახივარ, აბლი - ნაკადია” - განმარტა ფუათ სოლმეზმა სარიგიოლიდან.

აქვე მოვიყვანთ ექვთ. თაყაიშვილის ერთ დაკვირვებას: „...ტაოში ვიწრო კლდოვან გამოსავალს მდინარისა თუ ხევისა კარ’ს უწოდებენ. მაგ. **ნარიმანის კარი**, **კისხას კარი** (ახლა: კისხა კაპუ, ალბათ კისხა კაფი – ავტ.) (თაყაიშვილი, I, 2016:107).

<sup>51</sup> ერთმა ინფორმატორმა აგვიხსნა: „ჰევამ ჰემს იეთი ჰემს ვეტყვით; იეთიდან მოვა - იეთი ჰემს ვეტყვით. იეთი ჰემ, ჰევით ელიას ჰემ. ჰევაბა ჰემ და იეთის ჰემ ერთმანებ ერევა” (ალი გუმუშოლი გოდლეკარიდან).

საყურადღებო დაკვირვებაა. ერთ ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში კარის ფუნქციას განვმარტავდით კლარჯეთსა და ტაოს ტოპონიმიში (ფაღავა, 2014; ფაღავა, 2017(1)), მკვლევარმა კარის კიდეც ერთ მნიშვნელობას მიაქცია ჩვენი ყურადღება.

## §2. წყაროები

ტაოში წყაროებიც გვხვდება, რომლის სახელი უმეტესად კონკრეტულ პიროვნება უკავშირდება:

**სომან წყარო** (ფიშნარხევი), **სუმან წყარო** (ხევეკი), **შაბან წყარო** (ფიშნარხევი), **დაფიქლული წყარო** (ფიშნარხევი), **მატლიან წყარო** (ფიშნარხევი).

იმვითად, ტაოში შეხვდებით „ღელესაც“:

**ბუძაღელე** (ელიასხევი).

**წყარო ღელე** (ელიასხევი).

**კაკლიან ღელე** (ელიასხევი).

**სათივრე ღელე** (დევთისა).

**კალო ღელე** (ბინათი).

**კაკლი ღელე** (ბინათი).

**ღელე** თუ იცითო, ვკითხვით ელიასხეველებს.

„ღელე“ ვიცით. **ღელე** პეტრაა, დიდი - „ჭოროხია“. „ნაკადი“ ვებნევით საწყავის ჩამოსაგდებათ რომ იქნება. „გოზი“ (ქართ. თვალი) **წყაროა** - მოგვცეს ვრცელი განმარტება. შდრ. ქართული **წყაროს თვალი**.

საყურადღებო ფაქტზე მიგვანიშნეს ელიასხეველებმა: დიდი მდინარე, ტაოელის გაგებით - **ჭოროხია**, სარწყავი რუ - **ნაკადი**, წყარო - **თვალი** (გოზი).

## §3. ტბები

რამდენიმე ტბაც (გოლი) გვხვდება ტაოში, უპირველესად მასისზე:

**ლომბი ტბა//ლომბი ტბავი** (მასისზე).

**სარცხი გოლი//ტბავი** (მასისზე). „სარცხელი უქნიან წყალში, - სარცხი ტბაა“.

**ხევეკ გოლი** (მასისზე).

**წოწოლ გოლი//ტბა** (მასისზე).

**გურჯი გოლი** (მასისზე).

**თხელპა** (მასისზე).

**სამი გოლი** (ტბა მექართულე ტაოში).

**თორთუმის ტბა** (თორთუმი).

**ყური გოლი** (ტბა მექართულე ტაოში).

**სარი გოლი** (შდრ. **ყვითელი ტბა//მორევი**), - მცირე დასახლებაა პარხლის-წყლის ხეობაში, უფრო სწორედ პარხლისწყლისა და უტავის ხევის შესართავთან, თუმცა ტბა არ ჩანს.

როგორც ვხედავთ, ტაოელებმა იციან **ტბა**, მის სინონიმდ იყენებენ თურქულ **გოლსაც**.

\*\*\*

მოყვანილი საილუსტრაციო მასალა გვაძლევს ზოგიერთი დასკვნის საშუალებას, კერძოდ:

ა. ტაოში (ისევე როგორც ჭოროხის ხეობაში ზოგადად) მდინარეს საკუთარს სახელი არ აქვს. უმეტესად იგი იმ სოფლისა თუ მთის სახელს ატარებს, რომელსაც ჩამოუდის, ან რომელი მთის კალთებიდანაც იღებს სათავეს. ამიტომაც ერთ მდინარეს ზოგჯერ რამდენიმე სახელი ჰქვია. თვით ჭოროხიც კი ვერ გადაურჩა ორსახელიანობას: სპერის მდინარე და ჭოროხი, ასე იხსენება იგი ქართულ ისტორიულ წყაროებში.

ბ. ტაოს ჰიდრონიმები უმეტესად სინტაგმებია, რომლის შემადგენლობაში შედის ადგილის სახელს + წყალი, მდინარე, ხევი||ვევი და მისი თურქული შესატყვისები: სუ, ჩაი, დერე.

თვალშისაცემია, რომ რუსულ წყაროებში მდინარეთა სახელების საზღვრული წევრია უმეტესად თურქული **სუ** ან **ჩაი**.

მდინარის, ხევის თუ წყლის სახელდების ეს პრინციპი საერთოა ქართული კულტურისათვის, სხვაგვარად, იგი არ არის ერთი რომელიმე რეგიონის მახასიათებელი.

## თავი IV. მცენარეთა სახელები ტაოდან

სრულად რომ წარმოვიდგინოთ ტაოს ონომასტიკა და, ზოგადად, ტაოური დიალექტი, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ მცენარეთა სახელწოდებებს ტაოში. ჩვენს ხელთ არსებული მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ტაოს ფლორაზე. შევნიშნავთ, რომ მასალები შეკრებილია როგორც მექართულე, ისე მეთურქულე ტაოში.

### §1. ვაზი და ვაზის სახელები ტაოში

ტაოელები მოგვითხრობენ რომ წინათ „აქ ყურძენი იყო, დუგური მაილაზეც იყო, ხინძანიც (აქ: მარანი) იყო, ახლა გაბელითებულია (ქვა-ღორღითაა ავსილი - ჩამწ.), დაყრილია (აქ: მიტოვებულია), ხინძანი ვის უნდა” (გოდლეკარი). ძველად დუგური მაილაზე, მასისის კალთებზე, სოფელი ყოფილა, ვაზიც ყოფილა გაშენებული. შემდეგ სოფელი ბარში ჩავიდა, დუგური საზაფხულო სადგომად იქცა, ვაზიც განადგურდაო. კლდის ნაშალში დღესაც ნახავ ვაზის ძირებსო - გვითხრა ჰაკი ჩეიჯანმა, ბურსელმა ტაოელმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ დუგური მაღალი მთის კალთებზეა, 2000 მეტრზე მაღლა ზღვის დონიდან, ძნელი წარმოსადგენია, რომ აქ ვაზს ეხარა. მთავარი ისაა, რომ ტაოელთა მეხსიერებას შეუნახავს დუგურზე ვაზისა და მარანის არსებობა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ მექართულე ტაოში შემოდგომის (ქალოცაძს - ოქტომბერი) დღესასწაულის ეპიზოდებია დაცული, რომელიც მოსავლის აღების შემდეგ იმართებოდა. მკითხველი ამ მოდელირებულ ფრაგმენტებშიც დაინახავს ვაზსა და მარანს: „ქალოცას ყურძენ კრეფვენ, ჰინძანი ჯეზმეებით კარგათ ტყლერჭვენ, ყურძენ ვავსებთ შიგან, ვადულვებთ თეშით, ყაზანით, ბექმეზი იჯვენება. პირტყვები ვკლავთა, ქებაზი ვაბრუნებთ, ვიფერხულებთ, შელლიგები ვიჯოლებთ” (ზულფიქარ თურგუთი წითლეკარიდან).

დავინტერესდით ვაზის ტაოური ჯიშებით.

აღვნიშნავთ, რომ ჭოროხის ხეობაში ვაზსა და მარანს პირველად ნიკო მარი შეეხო. მკვლევარს შავშეთსა და კლარჯეთში ყურძნის ოცამდე სახეობა დაუდასტურებია, - 11 თეთრი და 9 - შავი.

შავი ყურძენი: **სუერეკი, ახელეკი, შავი ორჯოხული, საფერავი, სირკლევი, ხალთური, ჯღე, ატ-მემესი** (შდრ. ცხენის ძუძუ), **შავროპი**.

თეთრი ყურძენი: **თურვანდა, დევრიმ ალი, თეთრი ორჯოხული, მელის კუდი, ხევარდული, ბუტკო, გორგოული, წყალთეთრული, ფუნდუხ უზუმი, შიშველი, პარმახ ხათუნი** (მარი, 2012:141-142; ფაღავა, 2012:76-81; ფაღავა, 2017:392-402).

საგულისხმოა, რომ ვაზის სახელები გარდა სამისა (**დევრიმ ალი, ფუნდუხ უზუმი, პარმახ ხათუნი**) ქართულია.

ნ. მარის მიერ ჩაწერილ ვაზის ჯიშებში არის როგორც სუფრის ყურძენი, ისე საღვინე. მოგზაური მკვლევარი ასევე აღნიშნავს ზამთრის ჯიშებს, მათ ნაყოფს ბედლებში ინახავდნენ სექტემბერ-ოქტომბერში მოკრეფის შემდეგ. ნაყოფი ხუთ-ექვს თვეს ინახებოდა. ასეთია, **სუერეკი, ახელეკი, შავი ორჯოხული, ატ-მემესი, თეთრი ორჯოხული, დევრიმ ალი, ბუტკო** (იხ. მარი, 2012:367-369; ფაღავა, 2017:397).

შავშეთსა და კლარჯეთში შენახული ვაზის შესახებ ს. ტიმოფეევის შრომისა და ნ. მარის „დღიურების“ მიხედვით მსჯელობს ივ. ჯავახიშვილი. ს. ტიმოფეევი ნ. მარისაგან განსხვავებულ რამდენიმე ჯიშს ასახელებს, ესენია: **თეთრი მწვანურა, სორეიქ** (შდრ.ნ. მარის - სიურეკი), **ალიჩელები, ოქჯო გოზი** (ხარისთვალა), **სტამბულ უზუმი** (იხ. ჯავახიშვილი, 1986:482-486).

კლარჯეთში ექსპედიციების დროს ჩავიწყრეთ: **გურჯი უზუმი, კასრევილი, ბუტკო, ძაბრა, ჯინეში, ხარითვალა, რუსულა** (აქ: ადესა), **ისტამბოლელა, ფუტკო/ბუტკო, სალთერა/სალთეთრა** (წყალთეთრა?), **რეზაყი, ორჯოხული, გოლგოური, შარა ყურძენი, ჯინეში** (ფალავა, 2017:398-399). 2014 წელს მემედ ალი ქესკინმა ჩაიწერა კიდევ რამდენიმე ჯიშის სახელწოდება: **სორეკი, ბუტკო, ახალაქი, ჩიშველი** (შდრ. შიშველი), **ადესა, რეზაკი** (შდრ. რეზაყი), **ავიბოლაზი**.

ზემო მაჭახელში დავადასტურეთ: **კოლომა, დუდლო, ცხენის ძუძუ, მისკეთი, რქაწითელი, ცოლიკაური**.

ჩვენთვის მოულოდნელი იყო მაჭახელში **რქაწითელისა და ცოლიკაურის** პოვნეობა.

შავშეთსა (მაჭახლითურთ) და კლარჯეთში ორმოცდაათზე მეტი ჯიში დავადასტურეთ, მომავალი ძიება, ვფიქრობთ, კიდევ გაზრდის ამ რიცხვს.

ტაოში ექსპედიციების დროს ვაზის სახელებსაც ვკრებდით. გვანტერესებდა ვაზისა და მარანის ხსოვნა ისტორიულ ტაოში. აღვნიშნავთ, რომ პარხლისწყლის ხეობაში, სხვაგანაც, ხარობს დაბლარი ვაზი, სოფლებში ჩანს - მალლარიც. სხვადასხვა დროს ტაოელებმა ჩაგვაწერინეს:

**ქეჩი მემესი** (ზღაფორი), შდრ. **თხის ძუძუ**.

**კაროლ'ი-კარული?** (ზღაფორი).

**საფერავი** (ზღაფორი).

**ხათხურლი** (ზღაფორი, ოქუზდალი), შდრ. **ხათხურული**.

**ქუზუ გოზი** (ზღაფორი), შდრ. **ბატკნის თვალი**.

**ჩოჩხასი** (ზღაფორი).

**ელვან'ი** (წოდწყალი).

**ჯინეში** (წოდწყალი, ქისფოროთი).

**კივითა** (წოდწყალი).

**ბუტკო** (წოდწყალი).

**თურვანდა** (წოდწყალი, ქისფოროთი).

**დევეურ'ი** (წოდწყალი). შავი ნაყოფი იცისო.

**კრალ უზუნი** (ქისფოროთი), შდრ. სამეფო ყურძენი?

**შავი (ყარა) თურვანდა** (ქისფოროთი).

**ჩითლები** (ქისფოროთი).

**რეზაყი** (ოქუზდერე).

**მეზალექ უზუმი** (ოქუზდერე).

**ყიზ მემესი** (ოქუზდალი), შდრ. **ქალის ძუძუ?**

**ოქუზ გოზი** (ოქუზდალი), შდრ. **ხარისთვალა/ხარითვალა**.

**პეტეკის თურვანდა** (ოქუზდალი).

**ზორბო უზუმი** (ოქუზდალი).

**ცხენის ძუძუ** (ქისფოროთი).



**კურტად//კორტად** (ელიასხევი).

ყურძნის ოცდასამი ჯიში ჩაგვაწერინეს ტაოელებმა. უმეტესობა ძველია, სახელებიც ქართულია, სამი შეიძლება ჩაითვალოს არაქართულად: **კრალ უზუმი, მეზალექ უზუმი, ზორბო უზუმი**, სხვები ან ქართულია, ანდაც ქართულის პირდაპირი თარგმანი. ამ უკანასკნელის ნიმუშია: **ქეჩი მემესი, ქუზუ გოზი, ოქუზ გოზი, ყიზ მემესი**.

ყურადღებას იქცევს ვაზის სახელების პრინციპიც, - სახელმძღვანელო შედარებას ახდენს:

ა. თვალთან (ალბათ ნაყოფის ფორმიდან გამომდინარე): **ოქუზ გოზი (ხარისთვალა //ხარითვალა), ქუზუ გოზი** (ბატკნის თვალი);

ბ. ძუძუსთან: **ქეჩი მემესი** (თხის ძუძუ), **ყიზ მემესი** (ქალის ძუძუ), **ცხენის ძუძუ**. შესადარებელ ნიშნად აღებულია მტევნის ფორმა;

გ. წარმომავლობა: **კაროლი**\***კარული**, **ხათხურლი**//**ხათხურული**, **დევეური**, **პეტეკის თურვანდა**, **ჩოჩხასი**.

ვაზის სხვა სახელების სახელების ნიშანი არ დგინდება, სადღესოდ მაინც.

აღნიშნავთ ასევე, რომ ვაზის რამდენიმე ჯიში მთელს ჭოროხის ხეობაშია გავრცელებული: **ჯინეში, ბუტკო, საფერავი, თურვანდა...** განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჭოროხის ყველა ქვეყანაში იციან **საფერავი**.

დაბოლოს, ჭოროხის ხეობაში - შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში დადასტურდა ვაზის სამოცდაათამდე ჯიში (ფვიქრობ, მომავალში მისი რიცხვი გაიზრდება), რომელთა უმრავლესობა ქართულია. არსებული მასალა იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ჭოროხის ქვეყნების მეურნეობის ერთი დაწინაურებული დარგი მევენახეობაც იყო მემინდვრეობის, მეცხოველეობისა და მებაზჩეობის გვერდით.

## §2. ხილი ტაოში

დავიწყოთ ტაოელის ეზო-კარში გაშენებული მცენარეების სახელებით.

ხევეკში იციან **კაკანა** (<\***კაკალა** ნ:ლ მონაცვლეობით), **სხალი**, **ვაშლი**, **ბალი**, **ერუქი...**

დასახელებულთაგან მხოლოდ **ერუქია** არაქართული, სხვა - ქართულია. აღნიშნავთ, რომ ქლიავის აღსანიშნავად თურქული **ერუქის** გვერდით **ეილუგიც** იხმარება. ქონობანში იციან ქართული **ქილიაძ'ც** (<\***ქილიავი**, V-V პოზიციამდე იკარგება ვ', მოვლენა გავრცელებულია მთელს სამხრულ მეტყველებაში). ტაოელები ქლიავის რამდენიმე სახეობას დაგვისახელებენ:

**დოდოფალა** (<\***დედოფალა**. ე - ო>ო - ო'ს რეგრესული ასიმილაციით), იგივე ჯიშს ვხვდებით აჭარაშიც (იხ. ნიჟარამე, 1971).

**ტულბა** (ალბათ, **ტყუბა**, გავრცელებულია ჭოროხის ყველა ქვეყანაში).

**მუმქლიავი** (შდრ. **სანთლის ქლიავი**//**სანთელა ქლიავი**), სახელებულია ფერის გამო, სანთლის ფერია.

ტაოელისთვის **კაკალა**//**კაკანა** აღნიშნავს მცენარესაც და მის ნაყოფსაც. თანამედროვე ტაოურში არ ჩანს **ნიგოზი**, თუმცა გვაქვს ტოპონიმი **ნიგზევანი** (<\***ნიგზევანი**<\***ნიგზოვანი**). ჩანს, ნიგოზიც იხმარებოდა ტაოში, როგორც ზოგადად

სამხრულ კილოებში. აღვნიშნავთ, რომ გვხვდება გეოგრაფიული სახელი „კაკალი ჯევი“ (ფუტკარაძე, 1993:176).

ამდენად, ტაოურში გვხვდება, როგორც **კაკალი**, ისე **ნიგოზი**.

**კაკალი** აღნიშნავს მცენარესაც და მის ნაყოფსაც, ტოპონიმებში ჩანს **ნიგოზიც**, რაც აღნიშნული სახელის პოვნეირების დასტურია ტაოურში.

**კაკანა** (<\*კაკალა) სამხრულ კილოთაგან მხოლოდ ტაოურში გვხვდება.

**სხალი** (<\*მსხალი) გავრცელებულია სამხრულ კილოებში. საერთოდ მ'ს დაკარგვა სიტყვის თავში დამახასიათებელია სამხრული მეტყველებისათვის (შდრ.: თა, თავარი, კალი...).

ტაოელი განარჩევს მსხლის ჯიშებს: **ზღაფხული სხალი**, **ვანგი//ვანგისამ**, **ხურდა სხალი**, **გომოდრეკილი სხალი**, **ბოზლოდანი**, **კალო სხალი**, **ფაშარმუდი**, **პანტა**, **ჩიყვა**, **ბალარმუდი**, **ბანდა** (იქნებ სხვასაც, ჩვენ დასახელებული ჯიშები ჩავიწერეთ).

დასახელებულ სახეობათაგან ზოგიერთის მცირე განმარტებაც მოგვცეს:

**ვანგი//ვანგისამ** - „მაგარია, სიცივეს რომ ჭამს, შიანა გაშავდება“ (ფიშნარჯევი).

**ხურდა სხალი** - „დიდვანი არ გეზდება“ (იეთი). **ხურდა** აქ წვრილის მნიშვნელობითაა ნახმარი (შდრ. წვრილი ფული//ხურდა ფული).

ყურადღებას იქცევს ზოგიერთი სახელწოდება:

**გომოდრეკილი სხალი** (<\*გამოდრეკილი სხალი. ა - ო>ო - ო ასიმილაციით).

**ბალარმუდი** (შდრ. ბალარმუთი, აჭარული სხალთაფლა//თაფლამსხალა. გვხვდება ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც).

**ბანდა** <\*პანტა ბ:პ და დ:ტ მონაცვლეობით. ორივე დაშვებული თანხმოვანთ-მონაცვლეობაა სამხრულ კილოებში.

მსხლის ბოლო სამი სახეობა ანზავში ჩავიწერეთ, მეთურქულე სოფელში.

მოუსვლელ მსხალს ფიშნარხეველები **კოკრი**'ს ეძახიან: „სხალი ჯერ კოკრია, არ შედქმება“. შესაძლებელია, კოკრი' ზოგადად უმწიფარი ხილის აღმნიშვნელი იყოს.

არჯევანში ჩავიწერეთ ტოპონიმი **სალჭალა**; ვფიქრობთ, აღდგება კომპოზიტი **სხალჭალა** (<\*მსხალ ჭალა). **სალჭალა<სხალჭალა**'საგან ხ'ს დაკარგვით.

**სალჭალა** ხ'ს დაკარგვის საინტერესო შემთხვევაა ტაოურში.

ვაშლი ტაოში (და არა მარტო) გავრცელებული ხილია. გვხვდება ვაშლის შემდეგი სახეობები: **ჟავე ვაშლი**, **შექერამ ვაშლი**, **წითელი ვაშლი//ყირმიზი ვაშლი**, **დუზ ალმა**, **დემურ ალმა**, **ზღაფხული ვაშლი**, **ბოკელამ**, **თეთრი ვაშლი//ბედაზ ელმა**, **ყუთელი ვაშლი**, **მისკეთი ვაშლი**, **ამედალა ვაშლი...**

**ჟავე ვაშლი** - სახელდებულია საგემოვნო თვისების მიხედვით.

**შექერამ ვაშლი**, შდრ. შექარა ვაშლი, გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. სახელდებულია საგემოვნო თვისებების მიხედვით.

**წითელი ვაშლი//ყირმიზი ვაშლი** - სახელდებულია ფერის მიხედვით.

**დუზ ალმა** შდრ. მინდერის ვაშლი, - სახელდებულია ადგილის მიხედვით.

**დემურ ალმა** (//დემირ ალმა) - გავრცელებულია მთელს ჭოროხის ხეობაში.

**ზღაფხული ვაშლი** - ტაოელი გამოთქვამს **ზღაფხული** <\* **ზაფხული**. სახელური ფუძე ყურადღებას იქცევს **ღ**'ს ჩართვითა და **ხ**'ს დაკარგვით. ვაშლი სახელდებულია მწიფობის დროის მიხედვით.

ვიტყვი, რომ **ზღაფხული**' მხოლოდ ტაოში ისმის.

**ბოკელა** - „დიდი და წითელი, წვნიანი“ ვაშლია.

**წვანი ვაშლი** - „სიცივეს რომ შეჭამს ფქვილს გავს, ბებრები კოვზით შეჭამენ“ (ფიშნარკევი).

**თეთრი ვაშლი//ზედაზ ელმა, ყუთელი ვაშლი<ყვითელი ვაშლი** (ვი>უ<sup>ს</sup>, უმლაუტის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე) სახელდებულია ნაყოფის ფერის მიხედვით.

**მისკეთი ვაშლი** შდრ. მისკეთური ვაშლი, სახელდებულია წარმომავლობის მიხედვით. **მისკეთი** ადგილის სახელი უნდა იყოს.

**ამედალა ვაშლი** - სახელდებული პიროვნების (ამედალა) მიხედვით, ვისგანაც გავრცელდა ვაშლის ეს ჯიში.

ვაშლისა და მსხლის მოსაკრეფად ტაოში **მამხალა**ს იყენებენ.

**მამხალა** „ვაშლისი და სხლისი საკრეფია“ (ხევეცი), შდრ. საკრეფელა: „გრძელ ჯოხზე დამაგრებული პატარა პირღია კალათა ხილის საკრეფად“ (ნიჟარაძე, 1971). საკრეფელას სინონიმად აჭარაში **ორხაპო/ხაპა** და **ოჭოჭოც** გვხვდება (ნიჟარაძე, 1971).

ბალი ბევრია ტაოში: „**თეთრი, შავი, წითელი//ყირმიზი**, - სამი სოფს ბალი არი“ (იეთი). არის „ველა ბალიც“ (ფიშნარკევი). დაგვისახელეს **ყუთელი<ყვითელი ბალიც** (ვი>უ<sup>ს</sup> გავრცელებული ფონეტიკური მოვლენა სამხრულ კილოებში). შ. ფუტკარაძე ჩაიწერს: **წყარობალა, ალამელეგი** (<\*ალამელეკი) - „დიდრუანია, გერმელია“ (ფუტკარაძე, 1993:173).

ბალის ჯიშებს ტაოელი განარჩევს,

ა. ნაყოფის ფერის მიხედვით: **თეთრი ბალი, შამ//შავი ბალი, ყუთელი ბალი**.

ბ. ადგილის მიხედვით, სადაც მცენარე ხარობს: **წყარობალა**.

გ. საგემოვნო თვისებებით: **გერმელი**.

დ. ნაყოფის სიდიდით: **დიდრუანი, წურილი**.

აღვნიშნავთ, რომ **ალამელეკი** (//**ალამელიკი** - ნოღაიდელი, 2015) აჭარაშიც დასტურდება, მოყვითალო ვარდისფერი ნაყოფი აქვს, შედარებით გვიან შემოდის, ზაფხულის მიწურულს.

ბალთან დაკავშირებით გავიხსენებთ ქვაბაგში ჩაწერილ ერთ ეპიზოდს: „ასე ტალი დეფწევ, ბევრი, ბევრი ბალი შექნილა, იმა კონკალი ვეტვით“.

**ტალი** ტაოურში ხის ტოტია, იგივეა, რაც აჭარული **ტანი** (ხის ტანი, შტო, რტო. ნიჟარაძე, 1971), ხოლო დახუნძლული ტალი - **კონკალი** (შდრ. ნიჟარაძე, 1971 - **კონწოლი**). **კონკალი** და **კონწოლი** სინონიმური მცნებებია სხვადასხვა დიალექტის კუთვნილი.

ბალის გვერდით გვხვდება **ვიშნაც** (რუს. Вишня, - ალუბალი). **ვიშნა** გვხვდება აჭარულში, შავშურსა და კლარჯულშიც. **ვიშნა** (თ. Vişne) ალუბლის მნიშვნელობით იხმარება თურქულშიც. ჩანს, **ვიშნა** თურქული ნასესხობაა სამხრულ კილოებში.

სხვა ხილიც გვხვდება ტაოში:

**ჯოლა**, - დაგვისახელეს სარიგიოლელმა ინფორმატორებმა, შემდეგ განმარტეს: „მაბანი - ჯოლა, სახლის - თუთა“.

**ჯოლა<\*ჯოლა**საგან ჯ:ჟ მონაცვლეობით.

ტაოურში დადასტურდა **იოლა** (<\*ჯოლა<sup>საგან</sup>); დასახელებულ ფორმაში **ჟ**ს იოტიზაციის იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

აღვნიშნავთ, რომ სხვა სამხრულ კილოებში **ჟოლი** (>ჯოლი) **თუთას** სინონიმია, მხოლოდ ტაოელი განარჩევს **ჯოლასა** და **თუთას**.

ბალხიბარში კიდევ ერთ ნიუანსზე მიგვაქცევინეს ყურადღება: „**ტუტა** - შავი თუთა, **თუთა** - თეთრია“.

ბალხიბარელმა **ტუტა** და **თუთა** ფერის მიხედვით გაარჩია.

**ტუტა**’ს განმარტავს საბა - **ხართუთა** (ორბელიანი, 1949).

საბას ლექსიკონის ნუსხებში ვკითხულობთ: „**ტუტა** - (ხე), - ხართუთა ZA. ხე BCDE. ნახე თუთა, ხართუთა“ (ორბელიანი, II, 1993). „ხართუთა თურქთა ენაა, ქართულად **ტუტა** ეწოდების“ CD (ორბელიანი, II, 1993).

„თუთა (ხე), ჟოლა, **ტუტა** - სამივე ერთია“ (ორბელიანი, I, 1991).

საბასთვის **თუთა** (ხე), **ჟოლა** და **ტუტა** სინონიმები ჩანს.

ტაოურ, უფრო სწორედ ბალხიბარულ **ტუტა**’ს მნიშვნელობას უახლოვდება ქვემოაჭარული, სადაც „**ტუტე** წყალი“ ნიშნავს მღვრიე, გად. შავ წყალს. ყურადღებას მივაქცევთ შელოცვაში ასეთ სინტაგმას: „მოდოდა შავი წყალი,/მას მოხონდა შავი გველი...“ **შავი წყალი** მღვრიე, **ტუტე** წყალია.

ბალხიბარში ატამი ვნახეთ: ერთი „**სახრაი ატამი**“ (შდრ. სახრაი ატამი. V-V პოზიციაში ვ’ დაკარგულა) და მეორე სახლეჩი, „**გეიპობა ძეგულეში**“. არის წვრილი, „**ფიჯი ატამიც**“ (ფიჯი - აქ: პანტა, უმცნობი ატამი; უფრო უჯიშო, ჩია, ჯუჯა“ (იხ. ნიჟარაძე, 1971, ფიჯი).

ტაოელის ეზოში დაინახავთ **ბიას**, **მუშმულას** (აქ: ზღმარტლი), **ტყიმალს** (<\*ტყემალს), **თამასხს**, „შავი, გირგვალი“, **თხილს**. გზისპირებში შეგხვდებათ **ველამ** (აქ: მაყვალი), **ველამ მარწი** (შდრ. მარწყვი. ყ’ს დაკარგვის იშვიათი შემთხვევა)...

**ზღმარტლს სკლიპუნტურას**, „თურჩა მუშმულასაც“ (ფუტკარაძე, 1993:179) ეძახიან.

მოყვანილი მასალა დასტურია, რომ ტაოში მრავალფეროვანი ხილი ხარობს. მნიშვნელოვა-ნია, რომ ბევრი ხილის სახელწოდება საერთოა სამხრულ კილოებში.

### **§3. ყანა და ბოსტანი ტაოში**

ეზო-კარის შემდეგ ტაოური ოჯახის ყანასა და ბოსტანშიც შევიხედოთ, ვნახოთ, რა უთესიათ იქ.

**კარტოფილი**, - ტაოელი გამოთქვამს **ყაჭრთოფი//ყარტოფი**. შდრ. აჭარული **ყართოფი**, **ყართოფილამ** და **ყართოფამ** (ნიჟარაძე, 1971), შავშური **ქართოფი** (<\*კარტოფი. ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:601).. არჯევანში, სხვაგანაც, კარტოფილს **ქართოლს** ეძახიან.

ბარემ ვიტყვით, რომ ტაოში კარტოფილს **მარქვალს//მარკვალს** და **ინგლიზსაც** ეძახიან: „ფათათეს ინგლიზებ ვეტყვით“ (ბინათი).

საინტერესოა **ინგლიზ**’ის წარმომავლობა. ხომ არ უკავშირდება იგი კულტურის შემომტან ქვეყანას, საიდანაც შემოიტანეს? იქნებ!

როგორც ვხედავთ, კარტოფილის აღსანიშნავად ტაოში რამდენიმე სახელი იხმარება: **ყაჭრთოფი//ყარტოფი**, **ქართოლი**, **მარქვალი//მარკვალი**, **ინგლიზი**.

ბოსტანში ტაოელი თესავს **ლებიო** (<\*ლობიო, ო - ო>ე - ო’ს რეგრესული დისი-მილაციით) // **ლებუოს**.

**აყირო** - გოგრა, სხვა სახელი არ ჩავიწერია.

**პატლიჯანი** - ბადრიჯანის ფონეტიკური ვარიანტი, იმავე ფორმას ვხვდებით აჭარულის ბათუმურ კილოკავშიც.

**რეჰანი**, - შდრ. აჭარული **შაშტრამი** (ნიჟარაძე, 1971). **რეჰანი** და **შაშტრამი** სხვადასხვა უნდა იყოს. მართალია, ორივე ერთი ოჯახის - *Ocimum basilikum*'ის წარმომადგენელია, მაგრამ სხვადასხვა სანელებლებია.

**კიტრი**, უფრო თურქულ **სალათულუს** უწოდებენ.

**სოლანი** - ხახვი,

**თომათესი//დომატესი** - პომიდორი,

**ქექიკი** - ქონდარი,

**ქინძი**,

**ჯოხური** (შდრ. რაც **ჯოხზე**, სარზე ადის), „ლობიო, იმა გავს“, ივეთში ჩავიწერეთ **ჯახური**.

**ჯახური** და **ჯოხური** ერთი სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებია. „თურქქე **ბეპელიეო**“. **ჯოხურით** „ფორვა ვიჯებითო“ - აგვიხსნეს ტაოელებმა.

ზოგადად მწვანილს **მაროლს//მარულს** ეძახიან.

**ლახანა** - მხალი, ფხალი.

**ბიბერი**- პიმპილი: წითელი და შავი ბიბერი.

**მაიდანოზი** - ოხრახუში.

**ცერცვი**, ეძახიან **ხუნდურსაც**.

**ძირა**, „თურქქე **შაღლამი**“(იეთი). ტაოელები **ძირას** **თაღგამს** უწოდებენ. „შაღლამ ვჰამთა, ჟავე ვიჯებით, ტოლმა ვიჯებით“; „ძირის უკან ტოლმა ვიჯებით“ (იეთი). შდრ. აჭ. ნიჟარაძე, 1971: „ძირა - თაღგამურა, იყენებენ საქონლის საჭმელად, ფესვი იჭმება“.

საყურადღებოა, რომ პარალელურად იხმარება **ძირა** და **ძირი**, ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი ფორმები.

**შამანთილო** - არჯევანში ჩავიწერეთ, ადგილზე ვერ აგვიხსნეს, რომელ მცენარეზეა საუბარი, ვერც ჩვენ შევძელით მისი იდენტიფიკაცია.

**ჟავენა** - „ამისი სახელი ჟავენად, საჭმელ იჯებთან. ჟავე თივა ესაა“. თივა აქ ბალახის მნიშვნელობითაა ნახმარი. შდრ. მაყაშვილი, 1991: **მჟაუნა**, აჭარული - **ჟაველა**.

ტაოური **ჟავენა** და აჭარული **ჟაველა** ერთი და იგივე ფუძეა ნ:ლ თანხმოვანთმონაცვლეობით.

მარცვლოვანთაგან ტაოელებმა იციან სიმინდი, ოღონდ **ლაზუდ**'ს ეძახიან, **ჭოლოსაც**: „ჩვენ ლაზუდ ვეტყვით, **ჭოლოსაც** ვეტყვით“ (ქონობანი).

**ჭოლო** სიმინდის მნიშვნელობით მხოლოდ ტაოში შეგვხვდა.

სიმინდის აღსანიშნავად იხმარება **მისირიც**: „მისირი ვხარშავთ, ვჰამთა, წისქვილში ვფქვავთა, მისირი ფქვილი იჯვენება (იეთი).

ძველდ ტაოში ითესებოდა **დიკა**, **ჭვავი** (>\*ჭვად, V-V პოზიციამი ვ'ს ჩავარდნით), **ქერი**. „აქა ყანაში ზათინ **ქერი** მოგვჰყავდა, ახლა აღარ მოგვჰყავს“.

**დიკას**, **ქერს**, **ჭვავს** კალოზე ლეწავდნენ. ტაოს სოფლებში დღესაც შეხვდებით კალოს, ბევრს კვერიც შეუნახავს სახსოვრად, გაიგონებთ მიკროტოპონიმს



ნაკალვარი: „კალობა ვიჯებოდით, ქერს ვლენიდიტ, ცხენ ვამუშავებდით“ ვალოზე“ (ქვაბაგი). ახლა მარცვლეული ითესება, შესაბამისად, „კალოც ადგა“...

**დიკა**, - дика, пшеница картлийская, Triticum carthlicum, Nevski... შდრ. ჭან. დიკა (მაყაშვილი, 1991). ლაზურში დასტურდება ფორმები: დიკა//ზდიკა//მდიკა, „პურის კაკალი“ (თანდილავა, 2013).

აქვე აღვნიშნავთ, რომ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ახ.) ასეა განმარტებული: „საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საგაზაფხულო ხორბალი, თავთუხისა და ყვავილის კილები მუდამ ფხიანი აქვს“. ჩანს, დიკა ჭოროხის ქვეყნებშიც იყო ცნობილი.

**დიკა** ქართული ხორბლის ჯიშია.

**სელი** დღეს არ ჩანს ტაოელთა ყოფაში, ფიშნარჯევში სხვა კულტურებს შორის სელიც დაგვისახელეს. გვხვდება ტოპონიმი **ნასელვარი**, რომელშიც **სელ** მცენარეული ფუძე გამოიყოფა. წინავითარების კონფიქსით (ნა - ავ) ნაწარმოებმა გეოგრაფიულმა სახელმა შემოგვინახა სელის ხსოვნა ტაოში. ტოპონიმი კიდევ უტყუარ ცნობებს ინახავს ტაოელთა (არა მარტო) სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

ტაოში იციან **მზის მზერი** (შდრ. მზესუმზირა), **ამჩიჩეკსა** და **გულჩიჩეგსაც** ეძახიან. **მზის მზერი** - რაც მზეს უმზერს: ზუსტად შეურჩევია სახელი სახელმდებელს...

**ყვითელი ჩიჩევიც** (ყვავილი) გვხვდება ტაოში, „გაახმობ, ჩაიში აგდებ“ - აგვისნა მისი დანიშნულება ქალბატონმა ხევეკიდან.

#### §4. ველური ბალახები ტაოში

ტაოში პატარა ბალახს **კოადი** (<\*კორდი, რ>დ) ეწოდება: „პატარა ბალახი კოადი ბალახი, კოადი მინდორი“. იგივე ფუძე დაუცავს სინტაგმა ტოპონიმს **კორდენუმ სირთი** (არჯევანი. შდრ. კორდი ქედი) .

**ჯიმჭარი** - სუსხავს//სუსხვად: „ჯიმჭარი, სუსხვად აინია“, „წვავს ესა“.

**სუსხვად ჭინჭრის** სახელად მხოლოდ ტაოში გვხვდება: სუსხავს სუსხვად,- ჭინჭრის სხვა თვისებას მიაქცია ტაოელმა სახელმდებელმა ყურადღება.

**ჯიმჭარავს//ჯინჭარავს//ჭინჭარავს** - **ჯიმჭარი//ჯინჭარი//ჭინჭარი**; **სუსხავს** - **სუსხვად**.

აღვნიშნავთ, რომ სამხრულ დიალექტებში უფრო **ჯინჭარი** იხმარება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით: **ჯიმჭარი//ჯინჭარი//ჭინჭარი**, ქვემოაჭარულში **ჟინჭარიც** გვხვდება (ჯ:ჟ მონაცვლეობით).

მრავალმარდვას ტაოელები **ხოზიკოს** ეძახიან, ასევე - **წამალდობსაც**. ორივე სახელს მხოლოდ ტაოში ვხვდებით.

**ყრალი მოლი** - ანწლია. მხოლოდ ტაოში ეძახიან ანწლოს ამ სახელს: ტაოელმა სახელმდებელმა სხვა მხრიდან შეხედა სახელდებისას ამ ცენარეს...

**კიკა** - „აჰ კიკაა! თქვენ რას ეტყვიტ, **ხოზიკაა?** ჩვენ **კიკა** ვეტყვიტ“ (იეთი). მცენარე სახელდებულია პატარა ნაყოფის, კაკლების (კაკაა<კიკაა) მიხედვით.

**კაპრაში**, „ბალახია, თაში არი“ - გვითხრეს ხევეკში, თავად მცენარე არ გვინახავს. **კაპრაშ** //**კაპრეშ** საინტერესო სახელური ფუძეა. იმავე ფუძეს ვხედავთ

ტოპონიმში **კაპრეშუმი**, - სოფელია ორთაბათუმის თემში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) (იხ. ფაღავა, 2009:3-14).

**კანაფურა** - კანაფის სახეობა, დათვის კანაფი, იყენებენ ყვითელი ფერის საღებავის დასამზადებლად. **კანაფურა** - ადგილის სახელიცაა იეთში.

**დარუნალი** - ბალახია ერთგვარი; სახელი ობლეკარში ჩავიწერეთ, თავად მცენარე არ გვინახავს.

**ყინა** - ინა, მცენარე, ქალები იყენებენ ხელის შესაღებად, მაღლიაო, ამბობენ. ფუძეში ყ' განვითარებული ჩანს.

**ღალო**, იგივეა, რაც **ღოლო** (>ღალო'ს დისიმილაციით). შდრ.ნიჟარაძე, 1971: **დვალოურა**, მხალია ერთგვარი.

**ბულლო**, იგივეა, რაც **ბუერა** (მაცაშვილი, 1991). **ბულლო** გვხვდება ყველა სამხრულ დიალექტში. შდრ. აჭარული **ბულლო** (ნიჟარაძე, 1971), კლარჯული **ბურღვამ** (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023), შავშური **ბულლო** (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022).

**ბულლო** სამხრული მეტყველების კუთვნილება ჩანს.

**სამყური** - „ააა **სამყური**, თურჩა **ყულას**, ქართველი (აქ: ქართულად) - სამი ყური“ შდრ. აჭარული **სამყურა**. სხვათაშორის ინგილოურში სამყურას **ვენჟამ**, **იონჟამ** ექვია (იხ. მაცაშვილი, 1991), სხვაგან - **სამყური**.

**თელა ხარში** - ბალახია ერთგვარი, არჯევანში ჩავიწერეთ სახელი.

**მაქაქელი** (მატატელი, მატიტელა), იგივეა, რაც **წიწიბურა**.

**ჭინავი** (<ჭნავი, ფუძეში ი ჩართულია), იგივეა, რაც **ცირცელი** (მაცაშვილი, 1991), შდრ. აჭარული **მჭკნავი** (ნიჟარაძე, 1971).

**ტიტა** - მცენარე, იციან არჯევანში.

**წუვანა**, იგივე **შვრიუკა**, *Festuca*, შდრ. მაცაშვილი წივანა.

ტაოელი ასევე იცნობს ბალახებს: **წმინდა თივა**, **ფოზღრუმი** (მსხვილი) **თივა**, **ბარაბურა თივა**.

ბალახის სახელი დაუცავს ტოპონიმებსაც:

**წალიკვანი** - \*წყალუკვანი<წყალუკანი, აგვიხსნეს ფიშნარჯევში. ვფიქრობთ, **წალიკვანი** <\*წალიკოვანი'საგან. **წალიკა** ბალახია, იგივეა, რაც **წყლის ინა**, **ცხენის ინა** (ქართლი, კახეთი), **წყლის მატიტელა** (ქიზიყი)... (იხ.მაცაშვილი, 1991). იყენებენ წამლად კვიმატას წინააღმდეგ (ნიჟარაძე, 1971).

**წალიკა** იცის აჭარულმა, არ დაგვიდასტურებია შავშეთსა და კლარჯეთში.

**ბარდიეთი** - ადგილი იეთში, შდრ. **ბარდი**. შევნიშნავთ, **ბარდი**//**ბარდა** კაცის სახელი ან მეტსახელიც შეიძლება იყოს, უფრო მეტსახელი. შდრ. გვარი **ბარდაძე** (მაისურაძე, 1990:30).

**ლონჯა** (<\*იონჯა) - ადგილი იეთში.

**კოწახურა** - ძველი იუსუფელის უბანი, წინათ სოფელი. შდრ. **კოწახური**.

**ნაქერავი** - ადგილი იეთში.

ვიტყვი, რომ ბალახის, ზოგადად, მცენარეთა სახელების შეკრება მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ვფიქრობთ, ბევრი ახალი ფაქტი გამოვლინდება, რაც შეავსებს ჩვენს ცოდნას ტაოს ფლორის შესახებ.

## §5. ტყის მცენარეები ტაოში

ტაოს ტყეში შეგხვდებით **ბირყიმი** (ფუტკარაძე, 1993:173), იგივეა, რაც **პანტა**. აღვნიშნავ, რომ **პანტა** ველურ მსხალს აღვნიშნავს. თუმცა ქვემოაჭარულში გაიგონებთ **პანტა ვაშლი**, **პანტა ბალი**, **პანტა ატამი**... სხვასაც. **ბირყიმი** პანტის მნიშვნელობით მხოლოდ ტაოში დადასტურდა.

**ძეწენი** - ფუძეში **კ'** ჩართულია. **ძეწენი** ისმის მთელს ტაოში. ტაოელები „ძეწენიდან გოდორ ქსოვენ, ჩეთენს, მაჯალას, ჯელედს“ (იეთი). გვხვდება ტოპონიმი **ძეწმან ჯევი**. აქ დაცულა **ძეწენ** ფუძე და არა **ძეწენ**. ჩანს, ტაოში **ძეწენი** 'ც ისმოდა.

ტაოს ტყეში გვხვდება **ასკილი**, **სოგუთი** (თ. Söğüt), **Salix alba**, **ტირიფი**), **წნორი**, **იფანი** (შდრ. იფნი[ს] ყანა - ტოპონიმი), **თეთრი ხე** (კატარი), **ჩამი** (ნამვი)...

აღვნიშნავთ, რომ მეთურქულე ტაოში ტოპონიმებს შეუწახავს ტყის ზოგიერთი მცენარის ქართული სახელი:

**სოშთ** (<\*სოშთა<\*სოჰთა, არჯევანი). ქართულის არმცოდნე არჯევნელი **ჭ**ს ვერ გამოთქვამს, **შ**'თი ანაცვლებს ხოლმე.

**ქონალა** - არჯევანის უბანია. **ქონალა**<\*კონალა. შდრ. მუხნარი. ტაოში, სხვა სამხრულ კილოებშიც, მუხას კო'ს (<\*[რ]კო) ეძახიან. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ბინათთან დასტურდება მიკროტოპონიმი **კათხევი** (<\*კოთხევი. შდრ. მუხათხევი).

დასტურდება ტოპონიმი **ქოსქეთი** (<\*კოსქედი).

ჩანს, **კო**<\***კო** გავრცელებული მცენარე იყო ტაოში.

ნაბიანის მაილაა **ლეკიანი**. შდრ. ლეკი. დასტურდება ასევე გეოგრაფიული სახელი **ნეკნარძირი** (<\*ლეკნარძირი. ლ - ნ>ნ - ნ'ს რეგრესული ასიმილაციით).

**კოკნარი**, ყიშლა არჯევანში. შდრ. **კოკოლა** - გირჩი. ჩანს, **კოკოლა** მცენარესაც (სოჭი) აღვნიშნავდა. მნიშვნელობა ტოპონიმმა დაიცვა.

ერთი ტაოელის განმარტებით, „სამი თანე ხე არი აქა: კატარი, ნამვი, თათი(?). ძველ ადგილებში არდუჯი არი, ბაშხა მოხ“.

**თათი** ჩვენთვის უცნობი მცენარეა, მისი იდენტიფიკაცია ვერ შევძელით. სამომავლოდ, იქნებ, ტაოში დადგინდეს, რომელ მცენარეს გულისხმობდა ინფორმატორი.

**კატარი** და **ნამვი** ცნობილი მცენარეებია...

ყურადღებას მივაქცევთ **არდუჯ**'ს. შ. ფუტკარაძე ლექსიკონში შეიტანს **არდუჯ**'ს (იხ. ფუტკარაძე, 1993:383). ამოსავალი ფუძე ჩანს **არდუჯი**, ასე ეძახიან ამ მცენარეს აჭარაში.

ტოპონიმებს დაუცავს **არდუშ**'ლი (<\*არდუჯ'ლი, შდრ. **არდუჯიანი**, **არდუჯნარი**, ტაო) და **არდუჩა** (<\*არდუჯა, ადგილი კლარჯეთში, ისკებთან).

**არდუჯი** იგივეა, რაც **მადა**, **ურთხელი**. ეს უკანასკნელი (ურთხელი) გვხვდება საქართველოს ბევრ კუთხეში სხვადასხვა სახელით:

კახეთი, ფშავი, ხევსურეთი - **ურთხვარი**.

რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, გურია - **ურთხმელა**, **ურთხველა**.

აჭარა - **მადა**, **არდუჯი**, **ურთხმელი**, **სატილია**.

ქვ. რაჭა - **წუთული**.

ქართლი - **ურთხლი**.

სამეგრელო - ურთხელ'.

სვანეთი - ურთხელ, შადრა (ვუთითებთ: მაყაშვილი, 1991'ის მიხედვით).

სულხან-საბა ლექსიკონში შეიტანს - საჯი (ორბელიანი, 1949).

**ურთხელს** ვრცლად ახასიათებენ ი. ჩანტლაძე და ნ. ნაკანი (იხ. ჩანტლაძე, ნაკანი, 2014:142).

როგორც ვხედავთ, **არდუჯი** გავრცელებული მცენარე ყოფილა საქართველოს ტყეებში, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: **უთხოვარი, ურთხმელა //ურთხველა, ურთხლი, მადა, სატილია, წუთური, ურთხელ'**, დაბოლოს **არდუჯი**.

ტაოს მცენარეთა საფარი მოყვანილით არ ამოიწურება. ამოიწურა ჩვენს ხელთ არსებული მასალა. მასალის შეგროვება და კვლევა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

ნაწილი მესამე

ტაოური დიალექტის მასალები



\*\*\*

1995 წლის 30 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორიის პირველი კომპლექსური ექსპედიცია დოც. მერი ცინცაძის, დოც. ელგუჯა მაკარაძის, დოც. რევაზ დიასამიძის, მასწავლებელ ლილე თანდილავას, ტარიელ ნიჟარაძის (მძღოლი) და დოც. მამია ფაღავას (ექსპედიციის ხელმძღვანელი) შემადგენლობით მუშაობდა ისტორიულ ტაოში, უმთავრესად ართვინის ილის იუსუფელის ილჩეში ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად. ექსპედიცია იუსუფელში, პარხლისწყლისპირას მდებარე მცირე სასტუმროში დაბინავდა. სასტუმროს მეპატონემ, ახალგაზრდა ტაოელმა, სირალი აიდინმა მნიშვნელოვანი სამსახური გაგვიწია, უპირველესად მეგზური გაგვიჩინა, ამ კუთხის კარგი მცოდნე დურსუნ ბეი, რომელსაც იუსუფელსა და მიმდებარე სოფლებში ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა, რაც გვიადვილებდა უცხოელსმიუჩვეველ ტაოელებთან კონტაქტის დამყარებას და საჭირო ინფორმაციის მიღებას. მძიმე იყო პირველი შთაბეჭდილება: ერთ დროს ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტის „ნამსხვრევებილა“ დაგხვდა: სულ რამდენიმე მცირე სოფელში (რომლებიც უმთავრესად ელიასხევის, პარხლისწყლის მარცხენა შენაკადი, ხეობაშია გაშენებული) ლაპარაკობენ ქართულად, ისიც გაჭირვებით. აქაურები უმეტესად ორი ენის მატარებლები არიან: ქართულის - წინაპართა ენისა და თურქულის - სახელმწიფო ენის. ტაოური ქართული თურქულის გავლენას განიცდის, ამიტომაც ხელშესახებია მასში თურქული ელემენტი. გადარჩენილი ტაოური დიალექტის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის შესწავლა ქართული მეცნიერების გადაუდებელ ამოცანად მივიჩნით.

ორი კვირა იმუშავა ექსპედიციამ ტაოში, ყოველდღიურად მოუწესრიგებელი ვიწრო გზითა და მოშლილი ავტომობილით ავდიოდით იუსუფელიდან ტაოს ქართულ სოფლებში და ვკრებდით მასალებს<sup>52</sup>. სხვა სიძნელებიც გვხვდებოდა, შეუჩვეველი მოსახლეობა ხშირად უარს ამბობდა ჩვენთან საუბარზე. მიუხედავად ყველაფრისა, საყურადღებო მასალები იქნა მოპოვებული და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი.

მას შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა: ტაოელები მიეზვივნენ სტუმრებს, სოფლებში მისასვლელი გზებიც მოწესრიგდა, - დაიგო ასფალტისა და ბეტონის საფარი. ქართველოლოგიის ცენტრის მეცნიერთა ჯგუფის მიერ წარდგენილმა სამეცნიერო პროექტმა გაიმარჯვა 2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევებისათვის გამოცხადებულ კონკურსში, მოიპოვა გრანტი და ახლა უკვე გრანტის ფარგლებში დაიწყო ტაოს კომპლექსური კვლევა. რამდენიმე დიდი და მცირე ექსპედიცია მოეწყო ტაოში ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური და

<sup>52</sup>ექსპედიციის მასალები გამოქვეყნდა 2005 წელს. იხ. მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური ტექსტები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, ბათუმი.



არქეოლოგიური მასალების შესაკრებად. ჩავიწერეთ მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური და ონომასტიკური მასალები, რომელთაც ლექსიკონითურთ ვთავაზობთ დაინტერესებულ მკითხველს. დიალექტოლოგიური ტექსტები ჩაწერილია ხელით, ასევე ვიდეო და აუდიოტექნიკით, რითაც საშუალება გვქმნება გადაგვემოწმებინა მასალა. გამომდინარე თქმულიდან, ჩაწერილი ტექსტები სანდოა და შესაძლებელია მისი გამოყენება კვლევებში.

**მამიაფაღვა, ჭმერი ცინცამე, მათა ბარამიძე**

\*\*\*

**ელიასხევი**

ძველათ ერმენები აქ ყოფილან. ერთი ფაფაზი ყოლიათ. ძველათ აქა არ უთოვლებია. ერთხელ თის წვერზე ცოტა გათოვებულა. ერთი კვირა დამჩალა, იმდენი გათოვლებულა. ფაფაზ კაცებ გუგზანია, ერთი შეხედეთ, ის რა არიო, ფორი. არ დგებაო. ცოტა გასულან, ბიჭებ უნახიან კი თოვლი, ცივი, ხელში უწვენიან, ხელებ უტკივნებიან, გამქრალა, გამდნარა. ჰოდა, უთქვიან იმ ფაფაზისთუნ ასე: გაველით, ხელში ვწევთ, ხელს გვატკივნებს, მოგვაქვს, იკარქვის. იმას უთქვია, კი: აქ აღარ იცხოვნებაო, ადექით, წევდეთო. ასე ილაპარიკებენ, წორი, მართალი, არ ვიცი.

**რეჯებ ქესკინი**

\*\*\*

ინგლისურებ დამებულა თურქეთი. აქ ერმენებ უცხოვრიან. ყველა ერმენები ყოფილან. ისინი ოქი ინგლისურებ ეომებოდა, თურქულებ არ გარევილან. ჩვენ სომხები ვართ და რათ გვენაღლება, არ გარევილან. ერთიც რა უქნიან. აქოვრობაში სუყველა ერმენები ყოფილან. ოქი თურქეთი კაცები საომებლად წასულან. იმათ აქ ქალები უხეთქიან, რაცხაფერა უჭრიან, უკდუნებიან ქალები, ღარჭები. ოქი, დამება გათავებულა თურქეთში. ათათურქი იცით? იმას უთქვია კი: სუყველა ერმენები გადაჰყაროთ თურქეთში. ეს არი თარიღში. მაშინ რა უქნიან? უყრიან გარესკე. ოქი, უთქვიან კი, მოდიან თურქელები, ჩვენ და დაგვკვლან სუყველა, მაშინ ამდგარან, გაქცეულან. მაშინ ბეური ფულები ქონებიან, ალთუნი ფულები. ისინი მიწაში ჩუდვიან, გამქცარან. აქ ბეურნი მოვლნეს თურისტები. ღამით თხრიან, იღებდეს, ბევრი ამეღდეს. ამისაც ასე ილაპარიკებენ კი: თურქები მოდიან, ჩვენ და დაგვკვლან, ემენი ჩუდვიან მიწაში, ამდგარან, გაქცეულან. ისინი მუკლავენ. იმისაც ისე ღაპარიკობენ კი. ვისაც რა იმეთი წორია, ისიც არ ვიცი. იმენი ქალები, ბერები ილაპარიკებენ კი; იმ სომხებ თურქი ქალები ჯოხებზე უცვიან, ყოლაფერა უქნიან. ოქი თურქეთი მობრუნებულა, შეშინებულან, ესენი აქ აღარ გვარგებენ, გვაკდუნებენ და გაქცეულან. იმეთი ჩვენი დედები ყოფილან იმტე აჭარადამ მოსული, იმათი ქართულებ ცოდნიათ. . . ის მიორე.

**ადემ ფოლადი**

\*\*\*

ერთი აქ რუსებ გუმუვლიან. თურქეთი გუმუვლიან რუსის ასკერები სუყველა. ის ახლოპირ გუმუვლიან რუსის ასკერებ აქოვრობაში. “ჯუჯულუმ, ჯუჯულუმ“ უძახიან, გვარს მილევ, გვერსაო, შექერ მოქცემდესაო, ქერ არ გვირევდეთაო”. სხვა ყველა ადგილი იმქარ არი... გურჯი ყოფილა, მოსულა.

აქოვრობაში უნახვან ხალხი, სუყველა გურჯი. მთავრობა მოვდა, ისიც გურჯი ყოფილა, უთქვიან, აქოვრობაში ხელთ არ გურევთ სულ. აქოვრობაში დამსხდარან, თქვენ რო გამოხველით, იქ დამსხდარან. ჩემ მამამს დედად იმსოდ იქა ყოფილა. ილაპარაკებდაო, მამამს დედად ილაპარაკებდა კი. მამამს დედად პეტრად ბავში ყოფილა. ის კაცებ სუყველა დამრად წასულან. კაცებ არ არიან, სუყველა ქალები ჩუმოსულან ღამით, დამალულან ემეში, დღისი ტყოვნარში დევმლოდითო, ღამი ჩომოვლოდით, ფილავ წედებდენ სახლიდამ, ფურ რასმე წედყვანდეს, ხელ არ გვირევდესო. წვრილ ღარჭები წევდოდესო, იმათ შექერ მიცემდეს... ერმენები დუკდუნებიან, იქოვრობაში ქართველები არიანო, ხელ არ ურევდენ. მამასი ალა იყო, გაგონილი მაქ, იმათ ყოფნიხან ჩამოსულან, ბათუმ უმუშავიან . . . (რალაც თურქულად დააბოლავა).

ძველათ ლაპარაკი მედმინოს კაცი, სუყველად ერთია და ცოტ-ცოტა აბი გვირევა. გადაცლილი ბერები კი იღვაწებდეს, რათა ემენ... (დაავიწყდა - ჩამწ.) ისერი (ისე არის).

### ბექირ გოურქ

\*\*\*

ისერი შაირებ ვწერ. ერთი ძუზ კირქ თანე დაწერილი მაქ, ჰამა თურქულეფ დაწერილია. მე არ მაგონდება, კი არის იშტა:

ჰადდე, წევდეთ რუს უკან,  
რა შეგხდება ჩემს უკან,  
ღელე-ღელე შევარე,  
ღელე ტალახიანი იყო,  
ერთი გოგო დევნახე,  
ზოვლად კად იყო.  
მალლა, მალლა რა ფრინავს?  
ორბია თუ ყართალი,  
მე ერთი რამ გევგონე,  
ტყვილია თუ მართალი?!

### ადემ ფოლადი

\*\*\*

ერ ღამეში, ანდა ხუთ დღეში ბიჭები მოვდოდეს, იმათ ვაჭმევ, უნდოვან კი ყოველ ღამე დავლიოთ, ჩვენში მეტი არ არი. ჩვენი ბიჭები სუყველა დალიოს, სხვა არაფერი არ უნდათ. დიდვან კასრებით წამოვღებთ ვოტკას, რუსეთი ვოტკას, ბაზარჩი ვიყიდით, მოვტანდით, დავლევდით ასე, ჩვენ ჩვენი რახი, იმათაც მათი ვოტკა. საქეიფოთ დავსხდებოდით. ისინიც გაათავებდენ მათ ვოტკას სუყველასა, ჩვენი რახები კიდენ დარჩებოდა, დამთრალდებოდენ დილამდე, მერე ჩვენ რახს მიადგებოდენ, დილამდე დამთრალდებოდენ.

### რეჯებ ქესკინი

\*\*\*

ახლა მე ვეტყვი ჩემ ბიჭსა და, პატრა ბიჭსა, გურჯიჯა, შეშდება ასე, რა ამბობსო ბაბო. მიხდება, ამა უკნისკე ვერ უთქვია. და გაბევრდება, დადა გააბლდება გურჯული.

### ბექირ გოურქ

\*\*\*

აქ ერთი სომხი ბიჭი ყოფილა, საქორწინებელ წელში, ოცდაერთი წლის თუ რა ყოფილა. ის აქევრ ვინმე გოგოზე თვალი ქონებია კი. გურჯი გოგო, სომეხი ბიჭი, გეგვე? სომხი ბიჭს ი გოგო უთხოვნია კი, გოგო მომეცით და ჩემთვის ქალი ვქნაო. ქართველებთა უთქვიან მისთვის, - იმა არ მოქცემთ შენაო. აქ ერთი კილდე ყოფილა, ფინთი კილდე გასაჭრელი, წყალი მოვდეს, სარწყავი წყალი. უთქვიან იმისთვის: იმ კილდე თუ გამოჭრავ, მოქცემთ, თუ არ გამოჭრავ, არ მოქცემთო. იმანაც იმ რიყეში შიშა მოზიდა, მუზიდა, დუჯობია კილდეზე, უნთია ი შიშა, ქვა გუცხელებია, იმის მერე წყალი დუსხმია, ი ქვა ისე გუფრეწია იქა, ისე გუჭრია, წყალი მუყვანია. მის მერე კიდო არ მუციან ქართველებ ი გოგო მისთუნ და უთქვიან, დავკარქოთო ეს. აქ ერთი მაღალი კილდე არი, იქ ჩუყვანიან, იქიდან გუდუგდიან ი სომხი ბიჭი. დაბლა ჩავარდნამდი უძახია კი: ღმერთმა იმ წყლით მოსარწყავი ჭალა-ყანა ქვიანი ქნასა და არ ამოვდესა. ჰოდა, ის დაილა ისე ქვიანია, მეტი კამ ჭალა-ყანა არაა და იმა ილაპარიკებენ კი: ისე იმ სომხი ბიჭს ასე დუდვია და იმი ბრალია. ამ დაილას კუპრეთი ქვია.

**რეჯებ ქესკინი**

\*\*\*

ერთი რა გევგონე აი. იმ ტბაში ემე ყოფილა, ფერი. იცით ფერი? ჰოდა, ისეც რა ვიცი, ილაპარიკებენ, წორია, მართალი. ინტკორ ჩვენი დაილა არი, სანჩხერ არი, შელალე, იმის თავ არი ასე ბევრი, დიდი ვაკე, იქ დაილაში მიდიან. იქ გასულან დაილაში, ერთი ბიჭი რამ ყოფილა, საქორწინებელი ბიჭი. გასულა იმ ტბაზე ერთ დიდზე კი. ხედავს ფერის გოგო დვას და ტაღლუჯობს და იმა დაეაშიკება. რა არი ეს დაეაშიკება? ის ფერი გოგო ჩუმუყვანია სახში, მარა ის მერე ბევრი ვერ უცოცხლია კარზე. ერთი კვირა დამდგარა, უთქვია, წიმიყვანე მშობლისკეო. მერე მუყვანია, იმ ტბაში შესულა და დუნახავს, სისხლი ამოსულა, დუკლიან. ასე ილაპარიკებენ ძველები, ბერები.

**რეჯებ ქესკინი**

\*\*\*

### **ცუცეკარი**

ჰოუ! კი, ჩამოსულან (რუსის ჯარზე ამბობს?). ესკიდან ზათინ აქაური ბერები ბევრი ყოფილან იქ, ფურუნჯები ყოფილან, უმუშავიან იქ. ზამთრი მოვდოდეს. ენა ცოდნიან, ყარშიბერი მოსულან ასკერები, ის ასკერები . . . ენჯამი არ უღალატნიან, შერიგებულან, ფინთობა არ უჯობიან აქ. აქ ბევრი ფინთი გურჯი ყოფილა. ასკერების თავი გურჯი ყოფილა, ჰადა ხელი არ ურევიან აქ.

-რა ვიცი! ჩემი ბაბოსი ბაბო პატრად, გენჯი ყოფილა; ასკერები ომ ჩომოსულან, ას წელწადზე ბეურია. ჩემი ბაბო დოქსანდოქუზ არი. გენჯი ყოფილა. რაამეთლი ალაბ იტყოდა ისე, რუსი კი მოვდაო, პატრად გენჯი ვიყავი და . . . ასი და თხუთმეტი წელი იქნება. აქედან მოუდენ, მურღულიდან. ჩვენ იქი მოსულა, აქიდანე იშტა, ჩვენ ასკერ ვეტყვით, ჩვენა, მოსულან. ჩვენთან და კუმანდანტი, კუმანდანტ ვეტყვით ხალით ფაშა ისუნდა. ხალით ფაშას სახელზე ჩვენებ უჯობნიან. აქა ბოვრი მეზერი არი, იქ დამჩალან, დიდი ყავლა იყო იქ . . . ჩემი დედედ იყო იქ. ჩემი დედედ ათი წელწადი თუ იქნება, მოკდა.

**ალი მაზიჯი**

\*\*\*

სამოცი და ოთხი წლისა ვარა და...ვკლავთ. გურჯი ხარა და მუსლიმანი თუ? ჰალლა ინნელლა მუხამედი რესულელლა . . . თქვენ კი გასულხართ და ყურბანს კი ვკლავთ და . . . ადა ყურბანია. ამას დავკვლავთ იშტა, გაწვიმდეს, ევენდუმ, გაწვიმდება, ყაღამ არ იყვეს, ბუქი არა იყვეს, სეპტკვა არა ჰყრიდეს . . .

-მაღლა რომ ელაპარაკეთ, ამის ქალია.

მაღლა'ნდა წეუდე, დათვი'ნდა შემეყაროს, მოვკლა'ნდა . . . სალამი'ნა ვუთხრა. ამის ბაბომა ბეური ლექსი იცის. აქ აღარაა სამღერებელი. ჩვენი ბაბომ, დედემ იცოდეს, ახლა დავაბლდით და. ახლა თავრობა მოვდა, მექთეფი გახსნა, თურქა ასწავლა. გზა შამოვდა მის მერე. სუყველა თურქა პარიკობენ. ჩვენში არიან და თურქეფ ეტყვიან კი. იმათ არ იციან თურქა. თქვენშიც არიან მაქფერი?

იქა მუსლიმანები დამჩალან და . . . იტყოდეს რაამეთლი ბაბომ, დედემ ზოვლი მუსლიმანი დამჩალან ბათუმზე. რაც არი, იქ დამჩალან მუსლიმანი!!!

შენი სახელი რა არი? ელგუჯა? გურჯიჯე და ?!

იუსუფელში ბაღანაა ჩემი დაჰა. ხვალ წებვალ გურჯისტანში? მე ხვალავ ჯუმაზე ვიქნები.

ჰადდე, წევდეთ რუს უკან,

რა დაგხდება ჩემს უკან.

ჰადდე, წევდეთ ჰალაზე,

მე წალდით, შენ კალათით . . .

ალი მაზიჯი

\*\*\*

### ელიასხევი

აჰა, ეს კედი (ქედი), ეს ბოწმინდა, გაღმა კუპრეთი. ესეც ჩემი ნათქუამი. ყოველ ქარჩაზე გამუალთ აქა, ერთი ათი ცალი იქნება თუ ფშვიდი, თუ ვრა ცალი ცხუარი, რაცხა იმრეთი იქნება ის ხალხი მისხამ (!!) წაართუამს, ფულს არ გუმულებს. ის ხალხი მოიკრიფებიან, გამუალთ აქა, დავკვლავთ, დავჰჭირთ, ვადულებთ, იმა შევჰჭამთ. აქო დააგებენ ქილიმებ, ილოცვენ, ღმერთ ეხოწებიან კი, აქო ნაწოლი გულისთუნ ჩონი ხოწნები გეგონეო და ასე, ასე.

აქო ნაწოლზე? აქ რუსებ კი გუმულია, გუმულია და ერთი სამი თანე თურქეთისი ასკერები მუკდუნებია, ასე წინ მოსულ კაცები მუკდუნებია, იქა, კუპრეთში. იმ კაცებ ის თავებ უხუჭიან კი, მოსულან აქოს, დაკარქულან. იმ ჯარის თავრობამ უთქვია კი: მე ასე სიცოცხლე რაღა ვქნა კი, ასე კაცები მუაკდუნე. იმასაც თავი მუკტუნებია. აქო ჩაწყობილან და დაკარქულან. ამის მერე ახლანდელი ხალხი, ერთი ორმოცდაათი წლის მალე ხალხი, აქ ნავალში აქ რო მუახლოვდებიან, ყურანი ქერიმის კითხვა იგონებს, მუერე იგონებს, მის მერე იტყვიან კი (ქი). ეს ადგილი კაა ადგილი, უცალი ადგილია.

საყვარელი ხალხი რუს აქევრები მუკლია, იმის მერე უთქვია კი, ეს კი ღმერთის საყვარელი ხალხი კი მოვჰკალი, მე ამისთანა სიცოცხლე რა ვქნაო, თავიც მუკლია. მის მერე აქა სუყველა ხალხი მარტო ნავლიხა აქა ყურანი ქერიმის კითხვა იგონებენ. ხალხსაც უთქვია კი, ჩვენც გევნეთ (გევდეთ) იქა, ღმერთისთუნ დავჰკლათ რამენი ცხვრები, ჩვენ ხალხს გაუმარჯოს, ფინთი არ მუვდესო, წყალი მუვდეს. სუყველა ქარჩაზე გამუალთ ხალხი. ვიტყვით იქ, ჯამეში, გევდეთ და დავჰკლათ ყურბნები.



თოვლი ეპკრიფვის აქა, დილა გამოვლენ, იმ ცხოვრებ დაჰკლვენ, ღმერთ ეხოწებთან, ეპკრიფვიან, წველენ.

### რეჯებ ქესკინი

\*\*\*

ძველათ ჰო? ა' ვიცი. ძველათ როგორ ყოფილა, იგი? იქ, ქომო, ელიასხევე არი, ქვედთ მეტი ხალხი არ ყოფილა. ძველათ გზა-მზა არ ყოფილა ქომოთ. ყანა-ჭალიდან მოსულ აქ სუყველა აქ სახლობდა. სუყველა აქ უცხოვრია და ბევრი ნადგომ ადგილია აქა. გზა-მზა მოვდა, ხალხმა იქ გადასახლდა. რაცხაფერა იქ გააკეთეს, იქ ყოლამფერი მოვა . . . აქა მოვა ზღაფხულ, საქონელ აძუეფს, წველავს, ის არი.

ელიასხეველები არიან ფატმა//ფათმა ავჯი და ნესლიან აჯარი. აქ ცხოვრობენ სულბიანნი, სალიანნი, ხოჯანნი, აჯარები, ჭიკვალეები, მოლიანნი, დამალიანნი, კარჩხლიანნი . . . სხვა აღარ ვიცი.

აქ საფლავყანაა, იგი-ქორეთი, გაღმა -არტანი (//არტანისი).

### რეჯებ ქესკინი

\*\*\*

ჰად მივდივართა? პარხალი გურჯი არ არი, ბალხი არი, ქობაა არი. ბერები მიდიან, ახალეზმა არ იციან, ქართული ლაპარიკი აბლი დარჩა.

ჩემი დედეა ბათუმ არი, მე სულ არ დევნახე ჩემი დედეა. ჩვენი დედიები აჭარადამ მოსულ არიან. ჩემი ხანუმი გურჯია. ხანუმის დედემ იცის, ჰამა ახლა აქ არ არი.

### ბექირ გაურქ

\*\*\*

ჩუენ ზროხებ ვინახავთ, ბოსტან ვთესავთ, მივდივართ, ვსაქმოფთ ბინებზე, ვართ იმტე იმით. დიკა, ქერი, ჭვავი ვთესავთ.

ახლა ყველას თავში ფარა აქ. ძველათ ფარა არ იყო.

გურჯიჯა ერთი უქუმათი'ნა შეიქნეს.

### ბექირ გაურქ

\*\*\*

დიდრუანი ლაპარიკობენ, წურილნი-წურილნი აღარ პარიკობენ. ზამან-ზამან ადგება; ქობაკი სულ გურჯი ყოფილა.

-აქ დევზადენით, აქ გევზარდენით და კად გუეჩვენება ჩვენი ადგილები.

-ძველათ ერთათობა იყო.

-პარხალჩი მეც გასული ვარ, ქილისე არ დევნახე, ისე ფოტომი დანახულ ვარ.

-ეს ამისი დეგანია. ჩემი ძმიშვილია.

### ბექირ გაურქ

\*\*\*

მინდოდა ველაპარიკო გურჯიჯა. ბიჭები მოდიოდეს და ცოტ-ცოტა დევწავლე. პირველ წელიწად ხოფაში ვიყავ. ერთ-ორ დღეს ჩამოვედი.

-ძველებმაც აღარ იციან, ერთ სიტყვაზე ხდებიან, გამოცლილია სიტყვები, ჩუენში თურქი გარეულია.

-ამ სოფელში სუყველა ქართველია, სხუა არ არი. ქართველი ვარ, ქართველ ვიყო. სისხლი არ იცლება.

-ძველათ აქ მამის დედიები როგორ ჩამოდდენ, არ ვიცი. წყალი უპოვნოა და დამსხდარან. კარქა ძველათ აქ ერმენები უსხდომიან, წასულან; ასი-ორასი წლის მემრენ გურჯები მოსულან, არვინ იცის, სადდან. ადრე ხრისტიანი გურჯები ყოფილან.

-მეზრები დუზია. ორი მეტრი თოვლი მოდის. ხუთ თვეს აქ ვცხოვრობთ, მაისში მივდივართ.

### ბექირ გაურქ

\*\*\*

-მოდის აქა ჩემ გვერცა.

-გედეარე, გადმეარე, გადადი, გადმოდის.

-“ლექსები” ვერ მივხვითი, რა არი. სიმღერა არ მახსონს.

-“ლელე” ვიცით. ლელე პეტრასა, დიდი “ჭოროხია”. ართვინში რომ მივა, იმის სახელი ჭოროხია, ჭოროხ ერევა. პარხალიც ჭოროხია. “ნაკადი” ვებნევით, საწყავის ჩამოსაგდებათ რომ იქნება. “გოზი” წყაროა. ბახჩიებია ამ თერეფში, ვწყავთ. არ მორწყა, გახმება. ზემოთკენ ხმელია. ხე მოჭრა, დასალია.

-დაბნელდება, მოდიან დათვები . . . არ კლენ და იმისთინ იზდება.

-ძველათ ნეკერ დაგვაფიდით, ფურცელი დაკაფე, დაჯოხე.

-ვიცით წალდი, თოხი, ნიჩაბი. პეტრად ნაჯალია, დიდი-ცული. ჩაქუჩი, ბოსელი, ქორი.

-ჩაი თესლი ამეგტანე, დავთესე, არ ამოვდა. ბორჩხაში არი ჩაი, ართვინში არ არი, ჰამა მოვა.

-ჩაი შევსვათ და მემრე ვილაპარიკოთ. შექერი წედე.

-გშია, პური ვჭამოთ, რომელიცხა გინდანან, ჭამეთ. ჩუენი ჩად წარეა. ბევრ ჩაყრი, წარე იქნება. ემეში სამი კოვზი ჩაყრი. წყალ ცალკე ვხარშავთ, ათი დეყე იქნება, მემრე ვსუამთ.

-თქუენში მექთეფი რამდენზე ისხნება ამ თვის?

-ვიცით ზემო, ქომო, გალმი, მოლმი.

### ადემ ფოლადი

\*\*\*

-თევზებ არიან, ყოლამფრით ვიჭირავთ. ნაილონის წმინდა ძავით. გურჯიჯა “ანკისი”? ჩუენც ვებნევით. ანკისზე კედ ვაბამთ, კედზე –ჯაყელი.

-ფეხი გზაა გზა ბაწარად. “ბაწარი” – წმიდა თოკვი.

-რუ სათავი - წყლები აქიდამ მოდის. აქ ტყეებ ყოფილა, გათავებულა. დაჭრეს, დაჭრეს, უთაურად დაჭრეს.

-მაილეფჩი აქიდამ მიდის გზა. ჩამოასხეს საქონელი. სხუა მაილა არაა, იქიდამ მედმალეს, აქ მოდიან.

-მიდამ ვაკეთეფთ ყველი, ერბო (დაღ), მაწონი, სადველი. ნაწველის თავი კადმალა. შრატი ადულეფ, საწურში ჩაასხამ, ვედრა შუუდგამ ძირიდამ და დარჩება სადველი.

### რეჯებ ქესკინი

\*\*\*

### ცუცეკარი

-ნეკერზე მიდიან.

- ქონობან მივდივარ.
- კევზე, კევის საკრეფელათ მიდიოდეს.
- ჩემი დედესი ჭალაა . . . ჭალა'ნა მორწყა.
- ოცი წელი არ შეიქნა, გზა რომ გააკეთეს, ეს გზა ასი წელი მოსულიყო, ქართული არ იქნებოდა . . . კარი გედსხნა.
- ერთი მაგან არ იცის, ამ სოფელჩი, სუყველამ იცის.

**ოსმან აზიჯი**

\*\*\*

### **ელიასხევი**

- მელი, კურდღელი, კვერნა, დათვი, ტახები. ტახებ არიან. მე ღორი არ ვჭამ.
- ქომო თერეფში გედევაროთ.
- ეს ძეწვანია, ძეწვანი. ასკილი, ტირიფი, კაკალა. ქუმა ჩვენც ვაკეთავთ. ყურძნიდამ თქუენ შარაფ აკეთავთ, ჩუენ - ტკიბილ ფაფას. ფესტილ თუთიდამ გააკეთებენ, ქლიავიდამ ცოტა ჟავა.
- აქ საცხოვრებელი ადგილი არ არი. ვაკეში ავლენ, ისაქმებენ, ფულ ეძღებენ, ბევრი ხალღი იქნებოდა.

**ბექირ გაურქ**

\*\*\*

- ახლა მივდივართ ქობაკს. იმის გაღმისკე არი სოფელი. ახლა გავალთ, განახვეთ.
- მანდევრი გზა კად არ არი. სირთზე გავალთ კადა. აქ ყურაღობა იჯება; ზემო ერევა გზები, ბერია გზა. აქ ერმენები ყოფილან. იქიდამ, მიერე თერეფიდამ, მოკლე გზა გუაქ. ზამთრი ქომო ჩავალთ. ამ მაჰალესი დაიღებია!
- იმ სირთზე დავდგეთ, ისტერსან ბალხში მივდეთ.
- ესენი კატარ ვუძახით, ნამვი მოშავოა. აქ იქნება ნამვი. აქ არი მეზრა. იმ თას ბოწმინდა ქვია, აქ კუპრეთია, გზა რომ მივა - გუდასხევი.
- ქვედაზორ დაჰწერე? ენაზე მიდგა, ვერ მითქვია. თეფე ენ მაღალი ადგილია, თევენარი - ბევრი თაა.
- მეცხვარეები ამოვებენ თხეფს.
- ვიპარიკოთ. აქ დეკაცი ყოფილა . . .
- ვაზები ყოფილა, გურჯები მოდიოდეს.
- გოლი ბეურია, ჭრელი გოლია, წყალი არაა.
- ბევრთ იპოეს ალთუნი, ყოლ წელ მოდიან, ართვინ მიდიან.
- ართვინში ვერ მითქვია, ქართველი ვარო, მეხატრება.

**ბექირ გაურქ**

\*\*\*

### **წითლეკარი**

- პეპელი არი, ფრინავს. კალი ხტის.
- აწმისიქეთ დავწერ, აწმამდი არ ვიცოდი. მე სულ არ მაგონდება. სიმღერა ვიმღეროთ.
- “ჰადდე წევდეთ რუს უკან,  
გოგო მოდის ჩემ უკან . . .”

ორი ცალი დავლით, მემრე გედსხნება. რას ვიქმოდით, იცი? ვერმ დავკლიდით.

- ამ ტოდოტოს ქარხანა გედსხნა თურქიეში ერთი წელია.
- მოვედით წითლეკარ; “ველარ მოვალ”, ნუ იტყვი.
- ურანიუმი ეძებენ, ყოფილა აქა.
- ჩუენ ამა ვებნევიტ “ქართოლ”.
- ქერი ყოფილა, მუჭრია.
- ამა რა ეტყვიტ თქუენა? წისქვილი?
- სავლელა მოსულა ბეური, საწერელაჲ ქალი არ ყოფილა.
- აქ კარებ ჭედდენ. ნახვარ საათჩი ფეხით მიხვალ. მაჰალეში გზა არ მივა. აქ გევევართო.

- ცერცვი, ლეზიო არი. გადადმა ბორჩხაა, მურლულია.
- მაილეზი ქონდეს, ახლა აღარ მიდიან.
- წევდეთ ახლა, აქო დავდგნეთ, დავსხნეთ, დავჯნეთ. ეს წყალი არ შედმევა.
- ეფეძჯა ვიჰადკეთ.

### ადემ ჰაჯიაჰმედოლი

\*\*\*

-იქ გოლი არი, კრატერის ტბა, ენ მაღალი კრატერის ტბა, ცივია. იქ ჯაყელი-მაყელი არ არი, დენისიდამ ბევრი მაღლაა.

-ჩემი გვარი დელიოლია, დელიოლი. დელი რა არი? ამ სოფელში არიან თოფალოლი, ხოჯიოლი, უსტიოლი, ჩაუშოლი, მაზიჯი.

- თქუენში ვოტკა, ჩუენში ჩაი.
- აქ ირანელები იყვნეს, უშექროს სმიდეს.
- დაჯე, რატონ არ ზიხარ?
- დიგისხა?
- ჩიმისხი!
- თუ ქშია, ჭამე; დუუსხი. რატონ არ სუამ? მე ბევრ ჩაის ვსუამ, ილლექი'ნა ვსუა.
- დავსხნებით. ერთი ღენჭი მყავს. ბერები არ საქმოზენ.
- მაბანჯი არ პარიკოზენ; გინდა მეც მოდდე? ქართული ეჰადკე სიფთა.
- მერლი პატრონ! არ იგონეფს.

- ათ და ვრა თუე იქ ვიმუშავე, გევევარე აღმანიაში... სარი გოლ დუქნები მქონდა, თერძობა ვიჯებოდე.

- აქ სოფელი იყო, დეხრაკა. ცემენტი მოვკოდე, ქვა დავლეწე, ვაშენე. რა იჯები? - მებნევიან არხატაშები, - აქ რა'და გამოდდეს, ვილლა ააშენე, მეტყოდეს.

- დიდუანი ბინები ააშენეს: მუთვადი, ოდა.
- ჩემი შეკერილი ფემტამალი კიდვენ არი, მედკრენ, მოკოჭვენ.
- უსტიოლი ყოფილა ზენგინი, ველიოლი არი ქომო, ქობაკში. სარი გოლი გეხრაკა, ქენარში ვიყავი, ჩემი არ გეხრაკა. დაბლა სახლი არიან. ოტელი'ნა ვაშენო, იქ ბევრ მთხოვენ, ჰამა არ ვყიდავ, მოაკეთონ კარგა.

-ფარა არ არი, ფარა... ბოვრი წითელი იქნება ჩადებული, დავთხაროთ. მე ვიცოდე, მარტოდ დავთხრი.

-ერთი ბიჭი მყავს, გუმინ ართვინში ვიყავი, გავგზანე ისტამბულ, იქ იკითხავს. პეტერად ათ და სამი წლისაა.

-მეც ვერ მივხვდი, წადან რომ გეარა; რატონ წახველ? – მანდაო. თორბა ვერ მოგე-  
ცი.

### აჰმედ უსტიოლლი

\*\*\*

-ასი მეტრო აკლია-ქი, გზას აკეთებენ, მანქანა შედის. მანქანაშუსლელი  
სოფელი, მგონი, აქ არ არი. კარების ჭედვა მასის თუეშია. მოდიან ყველა, მაშინ  
მოხათრობა არ იციან, ილაპარიკებენ.

-ცურვა იცი? ფეხ თუ არ მეტეხავ?

-ბალხიდამ მოდიოდეს. ერთი თანე მივდოდა; იქი თანე მიდიოდეს. ორნი,  
ექუსნი, ფიდნი (შვიდნი), ვრანი, ბევრი მიდიოდეს.

### ჰასან თოფალოლლი

\*\*\*

-ქვის ყვერე ზათინ უკეთებიან. ამდენი წყალი მოდის. დიდი ბალხი ესაა,  
პეტრა ბალხი არი.

-დიდი ღუარი ჩამოდა, დალეწა, მილეწა, წეფლო... სიცივეში დახრაკულია.  
თქუენ დახრაკილი იტყვით თუ დაწვილი?

-ქართული პარიკობა და გაბევრდება, და დააბლდეს. გერმანული დაჰა ბეური  
ვიცი. ბინალარი ვაშენებდი, მოდლოდი, ერთხელ მოდლოდი, სამ თუე დავდგებოდი.  
ყარდაში მყავს, მოდის, ერთ ღამე დადგება, წავა. შენ რაც გინდა, იმას დეფირავ? ენ  
ბუერი ინგლიშდა იჭირვენ.

-აბლი ბეური შეეკენით, ავმპიმდით, ზემ გედეარა.

-აქ ოცდახუთ წელწად ვმუშაოფ.

-ამისი ხოჯა ყოფილა.

-იპოვეთ გურჯი ერზერუმში?

-აქინამ არი ერთი მასწავლებელი ერზერუმში, გვარი არ ვიცი, სახელი ვიცი,  
დურსუნი.

-მაილა აგარა უძახიან, ჩუენ მაილა ვეტყვით. იქ გავალთ, იქ ვავსეფთ, წყარო  
ქოფში ვავსეფთ.

- ბოური ზე რომ შაადგება “გაუნე მაჰალე”, ბოური ზე რომ არ შაადგება -  
“გაუზედ მაჰალე”.

-ერ თუეში მოსულიყავი კაა იქნებოდა. პივაც კააა თურქეთისა; ამით წყალი  
ადარ წამედლოთ, ღვინო წამედლეთ, წყალი არი, წყარო არი.

### მეჰმედ ჩაუშოლლი

\*\*\*

#### ქუაბაგი

-რა გინდანან –ქი?

-გეფგნებენ, ვერ ილაპარიკებენ.

-ამას ვუმდერო მეა თუ?

-ჩუენი ლაპარიკი ერთმანეფს არ ეწყობა.

-შენ სახელი რა გთქვია? მაწონი შესვი. შენი შვილები დასახლულია?

-ზაფხულში თელი აქ მოდიან, სიციხე უჭირდებიან.

-ჩემ დედეს ბათუმ ქალი უპოვნია, ფურუნი ქონია, დეკაც ვერ გუძლია,  
წუყვანია.



-ლექსი, შელოცვა არ ვიცი.  
“ჭიაო, ჭიაო, ჭიადედაო,  
რა ეძგერები ვერძსათვენ?  
რა ბლუძხარ ჯარსათვენ?  
რა ბრუნავხარ ნართსათვენ?  
ამოსავლელი ხარ, ამეარე...

აიშე აბდულიანი

\*\*\*

-გურჯიჯა ალფაზე არ არი აქ.  
-შეიშვილია?  
-აქ სახლი იყო, ხოხონი, ბურსაში წევნენ.  
-ამას ხერტალი ვეტყვით, ამას ტარი, ამას გუუტოლეფთ და ორი ხერტალით  
დავართავთ.  
-დამახვა, შერთვა, დართვა.  
- ჩემი სახელმეტად (აქ: მეტსახელი) ჯანყუტარანია, აჰმედად მქვია. ჭანყუტარამა თქვა, ხირსუზიაო, იპრისო მუხტარი.

ფიშნარხევ სამი ოცი ქოხი იყო, დედშალა, ჩემდხლა, ახლა ოცი დამჩალა. ყოლ ქოხს კალო აქ.

წყაროები მკითხე, ბევრია:

სომან წყარო,

დაფიქლული წყარო,

მატლიან წყარო,

შაბან წყარო.

- ცხვარი, ვერძი, კრავი დავჰკლავთ, ვჭამთა.

- საყდარ ქი ამბობენ. იმის ძირიდამ ქილისა ყოფილა. დანგრეულა, მიწა ჩამჯდარა.

იქიდამ მოსულან, იმათ უთქვიან, აქ ქილისა არისო.

წალიკვანი<წყალუკვანი<წყალუკანი (ინფორმატორის დაკვირვება. წალიკაა - ბალახია ერთგვარი - ჩამწ.).

**აჰმედ ბაქანი, სალიანი  
აჰმედ მოლაზოლი, ჭედლიანი**

\*\*\*

- ჩემი სახელი - ნაჯიე გულ, გულ - კაცის.
- ვინ დაგასხათ აქა?
- ი არ ჩუმოვა, არა.
- ჩემი აღასი - თურან.
- ... ფიშნარჰედ!
- ალთმიშ უჩ, ექსი და სამი (წლის) - მე გურჯიჯა დათლა ზათი ა' ვიცი. მისმა გოგომ თქვა ქართულად - (ჩამწ.).
- ... ჰამალ მიე, დაჟდეს გო. ე მაქინად გო, გიმი'ლე, მაქინად, გო...
- ჰე და...ჰამ მიეყუ'დო?!
- მევლუდი რა იქნა, მევლუ'დი?
- ი' თქვენსგან არ იყო, ისა?
- ი' ჩემი ხისიმი'ა, ისა, ა ის ბიჭია.
- ძაბა ა' ვიცი.
- არაბა დევნახეთ და თქვენ თაე არ დიგვინახი'ა (გოგო ჩაერთო საუბარში - ჩამწ.).
- ახლა მოხვედით აქა გურჯისტანი'დამ?
- ოო, ეფედჯა ყოფი'ლხართ.
- აღა' მახსოვს, აღა', მაღწყდება ბითაო...
- რადს ახალგაზდა ვარ... დავბერდი, ალთმიშ უჩ მაშინდა...
- შენ კაჩ მაშინდა ხარ?
- გენჯი ვარ და, ავადეული რამ შეევენ და, მაღწყდება, დერინდა მაღწყდება.

– საამი: ერთი გოგო, ესაა გოგომ, ორის ბიჭი, ორი ზალი მყავან, ორი, იმ ზლიდან ორი თანე თორი მყავან, ამიდამ - სამი თანე, ესენი ჩემი თორებია, ჩემი, ე ბგანოსი თორია, ი – ბიჭისა, ესეც ჩემი თორია - ბიჭი.

- ე სამნი ჩემია, იცის და.
- ი ჩემ დედამთილმა იცო’და, ჰამა არ დევწავლე.
- მე არ გამომწიო და.
- მე ნუ მეძგერები!
- ე ჩემი ბგანოა, ე დეგანია, მე მისი ხალაა ვარ.
- მეა? სახე’ლი? - თურქან, ბაბას სოდადი გულ, ბერისი სოდადიც - აქგულ.
- ოთუზდოქუზ - სამი და ცხრააა.
- ეს აღასი სახლია, სიდაზე გუმუელ, მომსურნეს და დანახვაზე გუმუელ.
- დორთ - ოთხი (დღე - ჩამწ.).
- მე ისე ზაბა ა’ ვიცი.
- გურჯიჯა ა’ იცის, მე ვიცი (კაცი თურქია, გურჯი არ არისო - ჩამწ.).
- დედნახე, რა კაა იცი! (ქალბატონ თინას ეუბნება - ჩამწ.).
- ეა ა’ ვიცი მე.
- შენ ჩვენზე იავუზი იცი და!
- სარცხელ იჯება (სარცხი მანქანა მუშაობს - ჩამწ.).
- ე თორები გაყარეთ აქა (ნონაზე და ნატაზე ამბობს - ჩამწ.).
- ჩემი პატარა ტადაა იქა იყო, ბათუმ, საქმო’ბდა.
- ყარშიბერი ყონალი ხარ?
- შენი ბერი რახან მოგიკტა? ავადევლი იყო თუ ყეზაებში?
- ფეხზე ეძინება, ფეხზე.
- მეც მეძინება და, მეც.
- რა სოა დუა გინდა, რა ვიცი?
- ალლა რაზი ოლსუნ!
- ღმერთმა გაგახა’რონ!
- ღმერთმა გაგახა’რონ, ძავუზი წიგიყვა’ნონ, ძავუზი მიგიყვა’ნონ!
- მე ფოტას მწევს ა’ ის.
- ჰამა ქი წახვალთ, მაშინ მომაგონდება.
- ჩვენ ისე ა’ ვიცით, ჩვენი სხვა სოა.
- ტ..ი მიგიძრება, შენ ბერ აღარ მუხმარდება.
- მიგიძრება - გაშეშდება და.
- ამ სიცივეში მაგრე იარები, არ გცივა?
- მევლუდამ არ გითხრა?
- შარშან ჩემ ბიჭმა გაგასხა?
- აბა ჩემ ბიჭმა რომ განასხა გურჯები, ვინ იყვენ?
- თქვენი გურჯიჯე კაცები არ გახლავან?
- არაბა თვალი არ აქვა თუ?!
- ბოსტანი აქა არა, ქომო.
- კოტომ ვიჯებით, ყველამფერი...
- შენ რას წერავ?
- იჯება საჭმელსა? (მევლუდას ცოლზე იკითხა - ჩამწ.).

- გავზაიფდი.
- ძაღუზა გაწვიმდა.
- წევნენ და, სავლელად მოსულან.
- ღენჭები გყავან თქვენა?
- ი კარგათ წერავს, ი ქათიბია.
- ე შოფერია'ო?
- გაგათხოვოთ თქვენ აქა.

ნაჯიე გულ

\*\*\*

### წითლეკვარი

წითლეკვარისაკენ მივდივართ, დაბლა ხევშია გამენებული სოფელი//  
სოფლები: ხუცეკარი – ყარამანლიანითა და აბაზლიანით, ფევზიანითა და დიდი  
ბალხით.

ზემოთ ონახეთკარია.

– სამაარი მეტანო, ჩაი ვსვათ.

ათ და ხუთი დღეა შეიქნა, მოვედით.

დაბლა ლიტრეგია, ერთი ქოხი დამჩალა, სხვად დაყრილია.

ჩად მეტანო, არ ჯერავხართ?

ონახეთკარში ორი ქოხი დარჩა. წითლეკვარში ახლა ხუთი ქოხია, სხვად  
ბურსას წევდა, იქ არიან. ზღაფხულში აღარ მოვლენ, არ უნდათ და.

აბაზლიანში ქოხები არ არის.

ყარამანლიანში ერთი ქოხია.

ფევზიანში – ერთი ქოხი.

მაილა იყო ქედიჰყანა, დედნგრია.

იქეთ – ნაფარაჰევი, ყვერეთი, კილდიათი, ფა აგარა (ზემო აგარა – ისეც  
ვეტყვით).

სავრიათი არა, ბალხიბარი'ა! აქიდამ ჩანს, ბალხიბარი'ა.

წითლეკვარის ლაღბებია: ჭარაბიანნი, მანასიანნი, უსტიანები, ყავაზიანნი.

მალლა გეიხედე! სატალახე, ზედთ – სატალახე წვერი.

იქეთ: ვანათი, ჩაკიდული, ბანნალი (/ბალნარი), ტუბათი.

წყალი ბოვრია:

გორამეთი წყალი,

წყარო თვალი,

წყარო ჰევ,

ჩიფთე წყალი – სხვა რასმე არ ვეტყვით (შდრ. ორწყალი).

ყანითავ წყალი,

ხუხულას წვერი,

ველთი,

ნაყანევი//ნაყანედ,

ანკლანი,

ადა ჰედ//ყვერეთი ჰედ.

ბეჩია ქი ქობად...

უტავი ჰედ, იქიდან მოვა თამარას რუ.

სახელმეტად ბოვრი ვიცით, ერთმანეთს ვეტყვით, ვიცინებთ:

ელიას კევი, გუდასკედი – დათვები,

ხევად – ყვავები,

პარხალი – ცხვარი,

ქობად – ურუმი.

ჩვენ – ვირი და, ინათიანი ვართ, იმიტომ უთქმიან. ვირი ინათიანია, აბა.

ხევად იპრის, ყვადა.

– ქალოცად ყურძენ კრეფვენ, ჰინმანი ჯეზმეებით კარგათ ტყლეჯვენ, ყურძენი ვავსეფთ შიგან, ვადულებთ თეშით, ყაზანით, ბექმეზი იჯევენება. პირტყევი ვკლავთა, ქებაზი ვაბრუნებთ, ვიფერხულებთ, შელლიგები ვიჯოლებთ (ვიჯებით).

### ზულფიქარ თურგუთი, დელიანი

\*\*\*

– მერიემ თურგუთი, ალთიმო წლის.

– ჩუნ ბურსადდან მოვედით ახლა, ათ და ხუთი დღე შეიქნა.

– გოგულობს - შენი, ანასი სახელი - შენი, ალასი - გულმეზი.

– მე ჰელიმიანი, ალასი სოფელი.

– სამოვარი ... ჩაი გავაკეთო და.

– აქევრი და, მეზობლებ მოგვიკითხეს.

– აბაზლიანში, ზემო ჰელიმიანი.

– ჩემ ალასი მაჰალე.

– ექსი, ფიდი სახლები.

– ასე გენჯები ა' ხვარათო'ბენ, ჩემსავთენი ხვარათო'ბენ, ლაპარაკობენ გურჯი-ჯას.

– აი, გაღმათული რემეზან ქელიში ცხოვრობს.

– ამისი დედე ბოვრი უმუშავია - ქამილ თურგუთ.

– დოხ, არ წევსულვარ, ვერ მოველით.

– ჰაიდე და, ჰამეთ, სვით.

დენჭებო, ოთხი - ორი ბიჭი, ორი ბგანო.

– ჩემი ბიჭები ინშათში საქმობენ, სახლები აშენებენ, ჩემი ბგანოები სახში ზიან, საქმე არ აქვან.

– ერთ თანესი (ქმარი - ჩამწ.) ზაბთიე (=დაცვა) არი, ბელედიეში მუშაობს, ერთ თანეც - მუჰასეზე (=ბუღალტერი).

– ცხრა თანე თორი მყავან - ოთხი ბიჭი, ხუთი გოგო/ბგანო.

– კაცი ასე ქოხებ აშენებდა, გურჯიჯა ფაქ ვერ მიმიგვრია, ფაქ ოცდახუთი სენე წაველით ბურსას, ახლა მოელით.

– ყველ წელიწად არ მო'ვალთ, რა ვიცი, აბლი-ბოვრია, კაცები მუშაობენ, ყველ წელიწად ვერ მოვსულვართ.

– ერთი დუმახო'და თუ გეგონებს (მეზობელს ეძახის - ჩამწ.).

– აქ არი, აქ არი და მოდდეს.

– ახლა'ნა მოდდენ, ბადრამზე მოდდენ, ბგანები არა და, ბიჭები მოდდენ.

– დუგუნებში დევნახეთ, იმან მომიწონა, მას უკან მე მეწონე, დევლაპარიკეთ.

– ჩვენ ბევრ გურჯი ვერ ვიხვარათებთ, ფაქ ვერ მიმიგვრია.

– ჰად არი შენი ახრაბა?

- გურჯი ვიცი და არ ვხვარათობთ.
- მოქ, მიხთებიან და ვერ უხვარათიან.
- სატალახე, სატალახეს წვერი.
- ვიხვარათეთ, ერთ თვეში დუგუნი ვქენით.
- დუგუნებში ფენა კად იქნებოდა, იფერხულებდეს.
- გურსუს ვზივართ ჩვენ.
- ოთხი ყათი ბინაა, ჩემი ღენჭები, ბიჭები.
- ჩემ ბგანები გურჯი იციან და ზღები არ იციან.
- თურქა გელინი, გურჯიჯა - ზალი.
- გორამეთი - ისიც ბალხ არი.
- იქოვრობა ფინთია.
- რა მოგიტანა? - სამი თანე ალთუნი, ბეჭედი, სხვა არაფერი, ესენი მასკვან

ევლევიტ.

- თასი, თაბალი, ბევრი რამ არ მქონია. ახლა ბევრი რამ იჯებიან, იმხან არ იყო.
- აი ესენი იყო - წინდები, მათალი, მაზმა, ხავლი (ხალი - ნოხი); ვაძლევედით ახრაბაებს.

- ბევრ ფარა ვინცხა მოგცემდა, იმას - ხავლი, მაზმა, ბოხჩა ვაძლევედით (ქორწილზე ვინც ფულს აჩუქებდა - ჩამწ.).

- ახლაც არი, იმხანც იყო (ფულის ჩუქება - ჩამწ.).
- გაწვიმდება და, ხალები მაქ, ავწიო.
- ახლა მოველით და ხალები გავრცხით, ბოდა ვქენით. ბიჭები'ნა მოდენ, ზღები, თორები - ბიჭებ ღარჭები, ბადრამზე აქ ვართ, ყურბანი აქ'ნა დავკლათ.
- ჩემი ანად სავრიათ არი, დაჰა მავუხა ხვარათობს.
- იქოვრობა ბეჩია, იქა თამარა უმუშავია, ბეჭედი გუყიდია თამარას, ფარა არ დამჩალა.

- თამარა - ბოვრი ბეჩი კელდევნარი, წყალი მუყვანია, ჰამა ბედვა უქნია იქავრობას.

- ფარა ბოვრი წასულა.
- ბოვრი წყალი აქვა, ძირიდან მოვა.
- გურჯი ყოფილა, უწინდელი ზენგინი რამ ყოფილა, გოგო ყოფილა, ბგანო.
- (მეზობლები მოვიდნენ - ჩამწ.) დამამწყდა და!
- გასკდა მამალი, გახეთქილა მამალი.
- ყვად არიან - დეთი.
- გუდასხველები დათვები არიან, პარხალი და ელიასხევი - ცხვარი, ჩვენ - ვირი, ქობად - ურუმი. სახელმეტად ისინი, იმათი სახელმეტად.
- ელიასხევი, გუდასხევი ერთია, გუდასხევი - მაილა, ელიასხევი - პალლული და.

- მალეები თივა დუყრიან, ი გაბაა (ბაგა - ჩამწ.).
- კურჭატი - შემის მაი (ხის კოვზი - ჩამწ.).
- გზევნარი კადა, ბეჩი არ არი.

მერიემ თურგუთი

\*\*\*

პარხალი

ძველი წისქვილიაო პარხლის ტაძართან მისვლამდე. სანახავად მივედით: არ გავს ჩვეულებრივ წისქვილს, უფრო წყლის საცხეველია: მოზრდილი რკინისძირიანი ხის გობი დევს ქვაზე. „გობი“ შუაში გახვრეტილია, ხვრელში ბოძია, რომელიც ბორბლით ბოლოვდება. ბორბალი ისეთივეა, ჩვეულებრივ წისქვილებს რომ აქვს. ბოძზე დამაგრებულია მრგვალი ქვა. წყალი ეცემა ბორბალს და აბრუნებს ქვას. გობში იყრება დასაცხევი მარცვლეული (ბრინჯი, ხორბალი, ქერი, ღომი...) თუ ხილი (ზეთისხილი, მსხალი, ვაშლი, ყურძენი...). ტრიალებს გობში ქვა და ამტვრევს, ანაწევრებს გობში ჩაყრილ მარცვალსა თუ ხილს. საყურადღებო ნაგებობაა, როგორც ტექნიკურად, ისე დანიშნულებით. თუ გავითვალისწინებთ ჩვეულებრივ საცხეველში მარცვლის გაცხევის სირთულეს, უფრო მძიმე შრომას, მექანიკური საცხეველი დიდი შეღავათია. ცეხვის პროცესისათვის გამოყენებულია წყლის ძალა.

„წისქვილის“ ასაკი ვიკითხეთ.

– ხუთასი წლისააო, – პარხლელმა მოხუცმა.

წისქვილის ზოგიერთი ნაწილის სახელებიც ჩავიწერეთ:

თაბან თაში (შდრ. ქვის ჯამი) – რაშიც მარცვლეული თუ ხილი იყრება.

კონდი – ზემოთ გადაებული მორი.

ოხი – რაზეც ქვაა დამაგრებული.

ჩარხი – ბორბალი.

\*\*\*

### სადამო სასტუმროში

ახლა მე გითხრა ეფსანე (აქ: თქმულება):

ყოფილა, არ ყოფილა, ამ სოფელში ერთი უჭკვო მეცხვარე ყოფილა, ჩამოვლილი (ჭკვიდან აკლია – მთქმელის განმარტება). ეს პირტყევებს აძუებს.

ერთხელ, დილაზე, ლომბიტბას გავა, გათენებული არ არი: გათენდა, არ გათენდა. გოლზე შუხედნია კი, რა დედანახავს: წყალიდან ამოვარდნილა, კილდეზე დამქდარა, ტარადითა/სავარცხელითა თმებს ისწორებს. უჩუმრა მიეპარება, მიეპარება, სავარცხელსა დასტაცავს. ფერი ეხვეწება, მომეო, არ მიცემს. პურტყევს უკან სოფლისკე წომოვა. ფერი უკნიდამ მოჰყვება. სოფელში ჩომოვნენ. მეცხვარე სავარცხელსა სახლის ყვერეში დამალავს. ერთი კვირე გეძარს, ორი კვირე გეძარს, ფერი უკნისკე არ წავა. მეცხვარე იმა ითხოვს, დაქორწილდება. იმ მეცხვარესა იმ ფერიდან ერთი ბიჭი, ერთი ბგანო მეესწრება. ათი წელწადი გეძარს, ი ფერი არ ხვარათობს. ერთ დღესა ერთი ბებერი მომკდარა. მოკრებილან კაცები, მეზერში ჩასადებად მოჰყავან. ფერი უკნიდან შეხედავს კი, ერთი გეეცინებს. მისი კაცი ეტყვის კი, რა იქნა, ათი წელიწადია არ ხვარათობდი, ახლა რატომ გეეცინე?

ფერი უთქვია ქი: ამ ბებერსა ქი ედღუგი არ უქნიავო, ერთი ძველი წინდა მიდევსო (სხვამ ვერ დედანახა, მარტო ფერი ხედავს). იმ ბარზე გეეცინეო.

კაცს უთქვია კი, მეცხვარესა, კი დემეხვარათეო, შენ ვინ ხარაო? შენი სახელი რა არიო?

ათი წელიწადი გესულა, სახელი არ იცის.

ჩემი სახელი ფერიაო! – უთქვია ქალსა.

ჩემი სავარცხალი მომეო, ჩემს უკან წომოდი, ტბაზე გევენეთო, მე წყალში'ნა შევდეო, ტბაში, მომიცადეო. ჩუმი თუ არ გომომცესო, უკნისკენ გომოვალ, სისხლი თუ გომოვდა, მიხდი კი, დამკლეს, სახში წაღო.



ჰოვო, უთქმია!

ფერი წყალში შესულა. მეცხვარეს მუცდია, სისხლი წომოსულა. მეცხვარეს უტირია, იქოს დამჩალა.

სოფელში კაცი არ ჩამოვდა, უთქვიან, კაცი დეფარქა. სამებნელად წასულან. გასულან ტბაზე, მეცხვარე იქ დაბნედილი დგასა. ტბა სისხლი მოგდებული დგასა. მეცხვარეს ეგვიდებენ, ჩემეფყანენ სოფელში. თვალეებში აღარ გუხედავს, დაქორდა ტირილ-ტირილში. იმი ბგანო გაზდილა, ყველას უნდა ითხვოს, კარზე არ გომოსულა. მისი თაჲ მას ჩუმუკიდა. კაცი მომკტარა მასკვან. დამჩალა ბიჭი, ისე შექნილა ფერიანნი.

იტყვიან ქი, იმ ტბაზე ქი გეხვალ, შიგ ქვა არ ჩაადოთო, წითელი წყალი წომოვა. ახლაც ასეა, ნახვარი საათი არ გეძარს, ხოშკაკალი დეგეცემა.

**რეჯებ ქერეჯი**

\*\*\*

ენწინ სოფელი თაში იყო, მასკვა აქ ჩომოსულან, ორმანი უკაფიან, ყანა უქნიან, ქოხები უშენებიან, დამსხდარან. ორმოცდაათ წელიწად უკან ჩუმოსულან.

**რეჯებ ქერეჯი**

\*\*\*

ბრო ნონა! – იეთში.

გნო ნონა! – ელიას ჰვე.

ნო ნონა! – ხევეკში.

ჰო ჰასან!

ჰო მემედ!

გარო ნონა! – პარხალში.: გარო ნონა, რა იჯები?

– სად მი'ხვალ? – უუბანებენ ელიასხეველები.

**რეჯებ ქერეჯი**

\*\*\*

**არჯევანის ხეობა**

**არჯევანი** (მეთურქულე სოფელია, საუკუნის წინათ მოხუცები ლაპარაკობდნენ ქართულად)

ქონალაჲ (არჯევანის უბანი),

თოფალოღლილარ,

გონთ'(?)

ედილოღლულარ,

სითელოღლულარ ( <წითელოღლილარ- ჩამწ.),

ყიშლა,

სახათ',

გოჩეთ',

ქუბის კარი (მთა),

ცენ წყარო (წენ წყარო-წინ წყარო?), თენწყარო,

საყავი (დაილა),

არსუქარი (\*არსუქარი?),

თორნიათი,  
მინდორთ (დაილა),  
ნასელავ,  
ფოტორო/ფოთორო,  
ნასახლარი.

ფაზილ ალთუნთაშ'ი  
დედისანი ოლულლარ

\*\*\*

უსტაოლლი,  
ქილისა (გდავრუმ დუზი),  
სალ ჭალა,  
სხალთ',  
გურნეთეველი,  
კორდენუმ სირთი,  
ქობამ ბურუ,  
ნაყორუნ დუზი/ყორე დუზი/ ნაყორვარ,  
ოგეჩა თარლა (ყანა),  
ფაცალუმ თარლა (შდრ. ფაცალები),  
ქულუნუნ სირთი,  
მანდაკუნანუნ დუზი.  
ხორხათ დუზი,  
ხიამხოლ თეფე.  
ბევრი წინ ორი გურჯი დამჩალა, სხვები წევნენ (გიდის, ილიას ფოირაზის  
შენიშვნა).

**სოდადები:**

უსტაოლლი,  
დევრიშლარ' (შდრ. დევრიშები),  
ჰასანგილ'

**მცენარეები:**

ბულდო,  
შამანთილო,  
ტიტა,  
წუვანა,  
ქართოლი,  
ლებიო.

რამიზ თოსუნი, უსტაოლლი

\*\*\*

**ყადიოლლი მაჰალე**

ტოპონიმები:  
სოჭითი,  
გოჭეთი,

მინდორთ'ი,  
მოშნანთა,  
კიტალეთ დაილა.

რამიზ ტალიცილიჯი

\*\*\*

### ყიშლა

კუნტაკე[თ],  
მინდორლარ'  
დიდვაკე,  
მოშნალათი (თარლა შექნილა იქა),  
ჭინახო (წინ ახო),  
ქოსქეთი<\*კოსქეთი (კოსქედი),  
კოკნარი (სოჭი),  
კიტავეთ,  
გუგუსუ//ნაკალეფ (<\*ნაკალეფ?),  
გედუქ',  
სოშთ' (დაილა),  
საბზეთი.

### მცენარეები:

ღალო, ბულღო, თელა ხარში, ხოზიკო, მაქაქელი (შდრ. მატატელი <მატიტე-  
ლა?), ჭინავი, პანტა, ჩიყვა (მსხალია ერთგვარი).  
„როზან ტავარი გეთურულ, პურტყი“ (თქვა ინფორმატორმა).

რუმენ ერდოღანი

\*\*\*

### წოდწყალი

ზევი წყალ'/წოდს წყალ',  
ვაკეთ',  
ცხენუნ ტაში,  
საზამნო თეფესი,  
ოგეჩანუმ მეშასი,  
სიბრიათი (მაჰალე),  
საჯვარეთი,  
წოდბარი.

აჰმეთ ილითი (მუთაფოღლილარი)

\*\*\*

წოდბარიდან ხეობა მალლა გრძელდება, ჩამლიჯის დაილაზე, იქედან  
დანალეთში.

ვაკე,  
ლიყიეთი,  
ხინძი ხოვ (ხინძი კევ?),  
ლოდიან ყანა,  
სუმბათეთი,

ქედა,  
ბაშკარეთი.  
**ვაზი**  
თურვანდა,  
ბუტკო,  
კივითა,  
ჯინეში,  
ელვან' (შავი ყურძენი),  
დევეურ'ი (შავი ყურძენი).

აჰმეთ დემირჯი (ყაიხჩი/ყაიხჯი)

\*\*\*

### ქისფოროთის ხეობა

კოდაგარა,  
სულნათი/სურნათი,  
ნაყორთი,  
ბაუთ'ი,  
ქისფოროთი,  
აშალი მაჰალე,  
ორთა მაჰალე,  
ჰარან ალა მაჰალესი,  
აბანოზი,  
ჰაუზ ბაში.

### მეზრეები

ჩამლექ'ი/ჩამლიქ'ი,  
სურნათი,  
კოლაგარა,  
ასკილეთი.

### მაილა

ბაუთ',  
მერეგი (აქ: სათივე),  
**ყურძენი:** თურვანდა, ჯინეში, ჩითლეები, შავი (ყარა) თურვანდა, კრალ უზუნი.

\*\*\*

### ხერმუთ'

#### ტოპონიმია:

მურათ',  
ქერათ',  
ვარმეთ',  
ქეთქეთ',  
სალბეთ',  
სასაფერ',  
ისრეთ'.

იბრაიმ ქუჩუქმენი

ხერმუთის ცენტრი

**(ჯამიკარზე)**

უბნები:  
ჭალათი,  
ხუსრეთ',  
კაპანდიბი//გაბანდიბი.

**მიკროტოპონიმია:**

ჯირთი,  
სასეფე,  
ქერათ',  
ბურათი,  
ჭალათი,  
სეფურ',  
ქეთქეთი,  
ტალბეთ',  
ფოსო,  
ისრეთ',  
ორთახე (<\*ორთახევ?),  
ბახტევი,  
ჯინჭვანე (ხევი),  
მირმახევ',  
საწებელი//საცებელი,  
ვაჭათ',  
ზემვანი,  
ვარმეთ',  
ზარკათი,  
სექო,  
ჩერათ' (ჭერათ),  
საზეპელ',  
ზერაქაფ (<\*ზერაკაფ?),  
სალბეთ',  
ჯალათ' (ჭალათ?).

**ჰასან ფალანჯი**

\*\*\*

**ვეჟანგეთი** (სოფელი პარხლისწყლის მარცხენა სანაპიროზე იუსუფელს ზემოთ)  
ხორანგელ',  
დიგით',  
საფანეთი (გალმა მაჰალე),  
ჩახარგილ',  
იხუხ'.  
საბანეთი,  
ვაკეთი,  
თაზეთი,  
მინათხევი,

ვანათი,  
ბაკერეთ.

**იუსუფელის მაჰალები:**

ახალთი,  
კოწახური.

**ანზავის/ანძავის ხეობა**

სოფლები:

ჩარზოვ (დაილა ჩაირი),  
ქენაფოს' (ელმადუზუ),  
ქეჩექ' (სურუმ ქადა),  
ფირქექეს' (გურია ფრაქ'),  
სიხსორ' (გოგჩე დერე),  
ორუქ' (დერებაში),  
ისასორ (ართაში),  
ქელგერ (ჩანაქ ფინარი),  
ანძავი.

**ორუქის ადგილები:**

სახალდითან',  
ორთაბურურუნ,  
ყარაგმოზი,  
ნახისთავ',  
კირიდალლარ',  
აზანისი,  
ზიარეთიმ თაში,  
ქირექისი,  
ზივინ' (\*ზვინი?),  
ლივამოდორ (<ლივამორ'? ძორ – ხევი),  
ფირინლი დიბ',  
ყიბლარინ სირთ',  
ბედრიქ'.

თურან ალთუნი

\*\*\*

**ანზავი/ანძავი**

თათარ სირთი,  
დუზდე მაჰალები,  
გურაბინ//მ ბოლაზი (ძვ. ანზავ დერესი).  
იციან ზოგიერთი ქართული სიტყვა:  
ისკამი (შდრ. სკამი),  
ჭიშკარ',  
ლობია,



ხაჩაპური.

\*\*\*

**ორუქი**

ორუქ დერე (ქვემოთ: ანზავ დერე),  
ზედა ზივინი (მთა),  
ქვედა ზივინი (მთა),  
ზიარეთინ ბაში,  
ჯადუნუნ დუზი.

ჰაჯი ოზთურქი

\*\*\*

**ფერნეკი/ფარნაკი**

ძუვე თეფესი,  
უზუნ ჩუხურ,  
ფენეკის წყალი,  
სინაფი (ჭალა),  
ავჭალა.

სინან არასი  
სულეიმან არქაზუნდუზი

\*\*\*

**ხუახი**

ოლთისიდან ხუახისაკენ: ალათარლა, ინჯი/ინჩი (ზეკარი, უღელტეხილი),  
ინჯი (სოფელი), ხუახი.

**ხუახის მიკროტოპონიმია:**

აქდალ,  
ზუვარ (შდრ. ზვარი),  
ოქუზ დალი (ხარის მთა, შდრ. ხარი მათალი),  
ყალა დორუხლუ,  
ქილისე დერესი,  
კოთიქი//კოტიკი.

**ტამარანი**

ქუქარისი,  
ქილისელარ/ქილისელერ,  
ყიზილ ფარეხი,  
ლომბერიქი (მთა),

თაიარ თექინი

**ალაფინარი**

ბოცენსი,  
გასერიქი,  
კუვანს’

თიფილი,  
ვახტანსი (შდრ. ვახტანგისი),  
ჩერიქი,  
ნორეშენი,  
ჰაშუთი,  
ვარშენ,  
ჰოსფირი.

### **ძვ. ნიხორი, ახ. უზუნდერე**

ჭალა (სოფელი),  
ოხსეთი (სოფელი),  
ავშენი (სოფელი),  
ცუხური (ვაკე),  
ინგუზუქი/ინგიზუქი (სოფ. სადაც ციხე დგას),  
ოშქვანქი,  
ხარსი,  
ისი,  
აშუნქითსორი,  
მიხეგი,  
თევი,  
ხათხა,  
აშუნქი,  
ყალედები (სოფ. შდრ. ციხის ძირი),  
ჯილ-ჯილი (ქვაბუბი).

**მიქაილ ქელფეთინ**

\*\*\*

### **ხევეკი**

– უყურებს სოფელს და ის საყდარი ყოფილა პეტერა ეკლესია. გურჯები წასულხარ (აქ: წასვლისას, დიალექტურად: წასლიხან) ჩუმარხიან, დუმალიან; საყდარი აღარ არი და ჯამეები უშენებთან სხვა ალაგებში. საყდარი ყოლ უბანში არია: უბანის უკან. იქედამ უყურეფ სოფელს: ხევაა არი, დიდი სოფელია, მანქანით ოზდაორი კილომეტრია წუმოხვალ, სოფელში არი ხუთი ჯამე, ხუთი შკოლა, მექტეები. იქიდან შუმოხყვებით, ხევაასი, დევთისაჲ, გომოხვალ ელიასჴედ, გომოხვალ უკანობანი, გომოხვალ – ქონობანი, გომოხვალ – ბასლეკარი, ბასლიანები, ბასილიანი ყოფილა, ბასილიანცები, იმათი კარი, გუმოხვალ – გოდღეთები, გოდღეთებ უბანი, გუმოხვალ – დოლენჯიანი, დოლენჯიშვილები, ჩვენი უბანი, მერე გუმოხვალ – კრათეები, ქედაზე (აქ: ქედაზე) არი საფლაქეთი, სოფლისი, ყველა ხალხისი იქ საფლაქეთია. მოკდებიან ხალხი, იქ დაფლვენ. მერე – ჴედლიანკარი, მერე – დოლენკარი, დოღეთები, იქოს გათავდება სოფელი.

ასე წუმოხვალ მეორე მხარეზე: სადგიყანაჲ, იეთი (ყვავილი ყოფილა ბევრი, იმიდან დურქმევიან იეთი), იმის ქომო უბანი არი ოზლეკარი, სოფელს უყურებს.

– მე მოველ უნივერსიტეტში, ვერ დიგინახეთ თქვენ, ბათუმში: ზაზაა ვხვითხე, არ იყო.

პუშკინის ქუჩაზე მაღაზია მქონდა, დიდი მაღაზია, ფაბრიკიდან პირდაპირ მოტანული და თავრობიდან ემე მოვდა, წერილი, რატომ ეფურად ყიდავო, დიმიწერა მე ჯარიმა, წედიო და თურქეთში ებლაყუნეო. ახლა კონსერს ვაკეთებთ აქ, სოფელს მუყყვანთ...

– მე ვარ დოლენჯიშვილი მევლუდი, დოლენჯიკარში ვცხოვრობ, ეს გასტინიგა, სასტუმრო, ავაშენე, ქართველებიზა, თურქ ქართველები მოვლიან აქ და ჩემი მოსაფირი იქნებიან. აქ არი ძველი, ქართველებ რაცხა უხმარიან, ინსტრუმენტები:

ეს არი, შრატი კი იცი, შრატი აადუღებ და ყველი ამაღებელი (აქ: ამოსაღები), ამის სახელი რა იყო, იუსელ?

ციცვი!

დიდი ციცი (შდრ. ციციხვი).

ეს არი მათხელი//მათხილი (საწყაოა ერთგვარი – ჩამწ.). შენ მოხვალ ჩემთან, მეტყვი ქი, ერთი მათხელი ქერი მომე. მე ამას ამოვღეფ, ერთ მათხელ ვიზამ ასე (გვაჩვენებს – ჩამწ.), შენ მოგცემ. მერე წელ მომცემ ნასესხებელ.

ეს არი რენდე, ძველი, ეს გურჯებ ხელი მოსულია. ამ თახთას გარენდისთუნ არი ამ რენდე.

ეს არი მერული, ქერს აწეფ. ასე ამით ქერ ავაგდებდით, ბზე ასე წევდოდა, ქერი – აქეთ (ხელით გვაჩვენებს – ჩამწ.).

ეს არი თოვლის ფერდზე დავჯდებოდით და დავცურდებოდით (ხის ციგას გვაჩვენებს, სახელი არ უთქვამს – ჩამწ.).

ეს არი ფეხეჩვასი, ხეს ფეხეჩუ, პირი, ეჩო, ამას ტარი აქვა, ჩუსკვამთ, ხეს გავთლით.

ეს არი დერგი, ამაში მაწონს ჩავაყენებთ და დავფარავთ (დავახურავთ – ჩამწ.), არ გაფუჭდება ქი.

იაშარია ესა, ჩემაჯაშვილია (შდრ. ჩეიჯანი, ჩეიჯიანი - ჩამწ.).

ეს არი თუთიმი(?), თოხჩას დაამუხებს, ეს გურჯებთან ყოლაფერი (ხელში ორსი ეჭირა მთხრობელს – ჩამწ.).

ეს არი განკოჭი, ამას აქო გამკოჭი (მორების//ფიცრების კუთხეების შესაკრავი რკინის ფირფიტა – ჩამწ.), ეს განია და კოჭი აქ ამასა.

ეს ხელით ნაქნარია. ეს არი... ამოღებულ ყველს ამაზე დავდებდით, დეფურვის, წყალიც გავა, – საწური.

ეს არი საჩეჩელი, ემეს, მატყლს ამაზე გავჩეჩდით.

ეს არი სეცერი (საცერი – ჩამწ.) – ქერს, ცერცვს ჩავდებდით და ასე გავცრიდით. ამაში ჩავასხამთ მაწონს და ცივი დარჩება.

ესეც გამკოჭი (გვაჩვენებს კარის საკეტს, ბოქლომის სამაგრს – ჩამწ.).

ეს მანგალი: თივას მოვჭრიდით, მალეფ, ძროხას მუართმიდით.

ეს გაუხრიტიდით ხეს (ბურღს გვაჩვენებს – ჩამწ.), ყველა ძველი ინსტრუმენტია.

ეს არი ცხენისი ყაშა (*<*ყაშავი), საფხანაფ, ცხენ დავფხანდით.

ეს არი ხელედი (პატარა კალათა ხელზე ჩამოიკიდა – ჩამწ.).

ეს არი მაშხალა (გავს გარეგნულად – ჩამწ.), ვაშლისი და სხალისი-საკრეფი? ეს არი გურჯისტანის მაშხალა (აქ: საკრეფელა). ასე, აქოს ჩავა, ასე – აქოს ჩავა.

ეს არი საქსოვნისი, საფექლო.

ეს არი ჯაჭვა, ნარცხის ადულებისტვინ.

ეს საწონი (აქ: სასწორი – ჩამწ.), ეს სახოწი (სახვეწი – ჩამწ.), ეს სალესი, ესაც პურის საცხოზი, ტალახიდაძამ შენებდენ (კეცზე გვეუზნება – ჩამწ.).

ეს არი ვირისი, ვირის სემერი.

ეს არის კანას საკოჭი, ქოხის კანას საკოჭი.

ეს არი სახიზრი.

(საოჯახო მუზეუმში გამოფენილი ნივთები დაგვათვალთვინებინა ინფორმატორმა).

ერთი ღამე აქ ვართა, ყველაძ'ნა დავპაიჟო...

თაროზე ყველი მაქვა,

შემპალია, შემპალი,

გოგო, შენი ღეჯები,

დამპალია, დამპალი.

ფეხზე ფოთინი მაქვა,

კოჭებზე მოდებული,

ერთი გოგოძ მყავსა,

ბათუმში მოდებული.

თაზე შენი დეკველი,

იმან რა'და მოძოვოს,

შენ გაღმი, მე გომოდმი,

გულმა რა'ნა გეძსონოს.

მეველუდ დოლენჯოღლი

\*\*\*

### ობლეკარი

იეთ მაჰალეები:

ზომო მაჰალე ჯეილანკარი/ჭეილანკარი,

ჭოროხლა ქედი,

ველისთავ (იშვიათად, უფრო – ველითად)...

გურჯიჯე, გურჯიჯე უთხარი (ჩაერია მეველუდაძ – ჩამწ.).

მასისი, წაძ, წაძ ასეე – სანაცრიე/სანათლიე,

ბურასი საფალანთო (მთა).

ხედავ,

იეთებ ჭალეები,

კეძ ყანები.

თაზე კარზე გუმოძი,

ბალი შექნილა, ბალი,

ჰაჩან შექნილა ბალი,

ჩადი მეძწიე ტალი.

\*\*\*

ერთი კად ამბავია ის'ნა გელაპარიკოთ. ველითად არი აქ უბანი. ველითავში ყოფილა ერთი ბიჭი და ერთი გოგო შემეყვარებული. ისე გოგო[ს] დონებია, ამ გოგოს ბაბოს არ დონებია. არ მუუცემია ერთ წელ, სამ წელ... უჯერებია, უჯერებია, მოგცემ, მოგცემ და არ მუცემია ბოლოში. წასულა კაცი დუბედვია ესენი: ღმერთმა ისე'ნა დაგმართოს კი, ბითევ'ნა წაგასხას ხევმა, წყალმა. გასულა იქ წყლის თავში, წყალიც დუბუგებია, დუბუგებია, ერთ დღეს, ორ დღეს... უქნია დიდი გუბე და, წყალს გუფრეწია ის ყვერე, წუმოსულა, ისენი წუსხმია ბითევი, გუგდია, წუსხია ჭოროხში.

– პურ თუ გედვროფს ასე იზამ და (რკინის გრძელტარიან ნიჩაბზე ამბობს – ჩამწ.), სახში ქმრის დედიკოდ თუ ფინთია, იმა დაჰკრავ თავზე, შექერი შედქნება.

**მეველუდ დოლენჯოლლი**

\*\*\*

ხიდზე დეგელოდებით!

– გურჯიჯედამ არ ვიცი, თურქე ვიცი.

– აქ ულოცავ, ნემსი არ უნდა...

– კაკანა (<კაკალა, ნიგვზის ხეზე მიგვითითა - ჩამწ.), ლებუო, ყაპროთოფი, სხალი, ვაშლი, ყავალი, თამამ, ერუქი, ბალი, თხილი. ბაშქა, ბიშე დოქ.

ხეები? ჩამი და, კატარი. ყავალი და, წადან გითხარ, მისი სახელი ყავალი.

ქინძი ისინი აქ არ არი დათესი'ლი, იქოვრობაჩი არი და აქ არ არი. ფექ აქ არ თესენ იმას, ქინძი, მესელა, ნანე, ისე რამე აქ არ თესენ, ისენი ქომობა'ჩი თესენ.

ლებუო, ლებუო, მოვხარჩავთ, ვჭამთა. იმნებ ვერ ვიტყვი.

წითელი? ველად, ველად, მარწი. დიდვანი ისე (მარწევზე საუბრობს – ჩამწ.).

– ზროხები არ მყავან, მე დაბლა ვზივარ, სარიგოლო, ქომო. ახლა ღენჭი მოდიო'და ბურსადამ და... გოდორსა კარტოფ ჩა'ვჰყერთ, ევკი'დავთ, ჭალა-ყანაში წევალთ, მოვკი'დავთ, მოვტანთ. ამაში ჩავჰყერთ, ასე მოვკი'დავთ, წევლებთ იშტა.

– სახელი ქობაგია, ადგილები?

ტყისძირი არი,

ქვაბელეთი არი,

საფლა[ვ]ქეთი არი,

ბულუდად არი,

სათიხე არი,

ნაბიანწინი,

ქეთქეთი ვარ,

აგრები გვაქვა გაღმა თერეფში, ისინი, ლეკნარი,

ქეთქეთი – ძველი აგარაა.

– სოდადები: მაზიჯები, ჩონი მაზიჯია, ოზთურქები არიან, ოზდურექები არიან, ჩელიქები არიან, სარიყადები არიან, გაღმართული ადნი არიან, ერთ სოდადები.

ძველი სოდადები ჩვენ ხოჯიოღლები ვართა; ხოჯიანნი, რაზოები, ოსმანოღლები, გოგუანნი, თორუნიანნი, უსტალიანნი, დევრიშიანნი, – ესენი არიან.

გაღმა თერეფშია ვინ არიან? კაკაბები, ველიოღლები.

– ონურ სარიქაია აქ არ არი და მისი დედედ არი. ჩემი სახლი აქ არი, ხევნარი ხედავ, ძველი ყვერეებია გაკეთებული, ჩემი სახლია. ეს ძველებური სახლია. სამი

ყათია: ძირაჲ ბოსელი, ბოსელ ვეტყვით ჩვენ, მალეზ ვაზამ, შუა ყათი, თავაჲ ყათი: ბელღები დადგმულია იქა. იმ ბელღიჩ რაცხა შეინახავ, არ დაზარალდება ისა, არ დაღპება. ბუზდოლაზი იცით და, ბუზდოლაზიჩი დადებული ტომატესი იგი იყოს, ჯობია. ოღები იმისთანა მორთულია... აქ დიდი გათოვდება, ორი-სამი მეტრო თოვს აქა.

მე არ მყავან და (საქონელზე ამბობს – ჩამწ.), იმათ ყავან, ზოგს ყავან ბევრი. ვისაც ბევრი ჰყავან, ისინი მიდიან აგარაში: ქეთქეთი, ლეკნარი, ძველ აგარა. გაღმაში ჩანს, იქ, ზემოში, წალიკვანი (//სალიკვანი – თქვა მეორემ).

უწინ, უწინ გვქონდა (საქონელზე საუბრობს – ჩამწ.), მალი ბევრი იყო, ძროხები, ათასი/ბინ თანე იყო ნახირი, ბინ თანე პირტყვი იყო, სამასი კარი იყვეს, ასი ბეგირები იყვეს: ცხენები, ჯორები. ახლა მიღღეთი აღარაა, დეღცალა და სოფელი.

სოფელში რამზავობა არი, თქვენ სოფელში? ეზიეთი ყოღგან ბევრია. აქა ლენჩ-ბროზა აღარ არი, სიმინდ აღარ ვთესავთ, ჰუქუმეთი მალის აძღვეს, დიკას ვჭამთა, დიკას. სიმინდი აღარ არი.

ჰუქუმეთი მალის აძღვეს და მიღღეთი ფართი იყიდებენ, ფურუნში აცხოზენ პურსა, ფულიდამ ყიდუღობენ პურს.

ღებიო ვთესავთ, ქართოღი არი! ქართოღი იცი? ქერი იცი? ქართოღი ფათათისია.

ის ჩაი არ გიგიცივდეს!

ღერის სახეღები ვიცით, ჰამა თქვენებურა არ იქნება, ჩვენებურად:

კვირიქეთი,

მურუღაჲ,

საფღანგვეთი,

ქვაბეღეთი,

ტყისპირი,

უკანტყე,

სახაზო,

ბარდიეთი,

ნაზიანი – ამ სოფღის სახეღია, სახეღიჯ აინია და!

ამ სოფღის ესკი ისიმ ქვაბად (<ქვაბაგი, V-V პოზიციამი გ ჩავარღნიღა), გურჯიჯა ქობად, გურჯიჯა.

რაბიე, ჩად მეღტანე!

თამამ!

– არი ბათუმი და, ესკიდამ უსაქმიან, მოსუღან, ფურუნჯობა უწონიან, უსაქმიან, ყურბეთ ეტყვიან, რაცხა ისაქმებ. ჰუქუმეთს უკან განაყოფები გაყრიღან...

– სახღებ ვაკეთებდი, ასე, სახღებ. ქვიღან და, ქვიღან ვაკეთებდით. ზათი თუღღულა არ იყო, მანქანები არ მოვღოდა, გზა არ იყო, ეღდა, ასე, ქვებით ვაკეთებდით. ახლა თუღღულები მოვღა, ჩემენტოთი აკეთებენ. აა, ხეღავ და!

ჩაქუჩი, ლაპიღმა, ლომი, კოჭახნარ... გვქონდა. მურღულში, არქაბემი ვისაქმებდი. მურღულ მიდიხართ და! ბორჩხა იქ ახღოა. ფაცა – ამათი განაყოფები იქ არიან (ჩვენზე ამბობს, მუჰაჯირთა შთამომავღებს გუღისხმობს – ჩამწ.), ფაცა ეცოღინებიან.



– ჩვენი დედები ორთა აზიადამ მოსულან. ბათუმ თერეფში ყოფილან, აქ მოსულან.

იმათ მოსლამდე ვინ ცხოვრობდა? რა ვიცით ჩვენ, ძავ?! ჩვენი დედები ორთა აზიადან მოსულან...

– პარხალ ქილისა თამარა დოდოფალი ყოფილა, თამარა დოდოფალი ეტყვიან, იმას გუკეთებია, წყლი კანალი გუკეთებია კიდოვ; აქ არ იყო ქილისე. ვერ გეგვგენით: საქუნდარი/სახუნდარი თეფეს სახელია. დიდი მათალი არი იქა, კარებ ვაძუებდით, კარებ.

– აქ როდს მოხველით?

თქვენ მანქანათ მოხველით თუ?

– ქორწილი დუგუნ ეტყვიან და! დღეს რაცხა ვჭამე არ მახსოვს, ქორწილი რაფერ მემახსოვნება.

[ხებას გურჯულისა და ქვაბას გურჯულის] მარობა ეწყობა. ადგომა, დაჟდომა, საჭმელი... ერთია.

ერთი ბალხი არი, ერთიც პიტი, იუსუფელის მერქეზი ახლოს. მე არ მივსულვარ, არ ვიცი, ისე გაგონილი მაქ. პიტი გურჯიაო და! ერთი კილდე არი და იმა ბინათ ეტყვიან

– თელი ქვადა და: ქვა ბუქ, სულ ქვაა. მარობა, ლაპარიკი ისენია. ქვადა და ბუქი არიო ბევრი.

ხევეკი – ხევია, დერე, იმიტომ ქვია.

იეთი ხევადას მაჰალეა.

– აქ აღარ დგებიან, წევდენ სოფლებიდან (შვილებზე ამბობს – ჩამწ.), აღარ დგებიან, შეერებში მიდიან და! თქვენი ქოები რარიგია?

თქვენი ჰუქუმეთი ახლა რუსია თუ ქართველი? ედდა, რუსიას უკან არ ხართ? მოსული არ ვარ ბათუმში.

მმები არ ვართ, განაყოფები ვართ.

ხოვა ვიცით, სარფი – არა. ახლა დავბერდი, აღარ მახსოვს, აღარ მეგნება.

მუსლიმობა არი თუ არა თქვენ სოფელში?

თქვენ სოფელში რაცხა სოა ადეთი არი, აქაც ასეა და. არიან თქვენსავეფ კაცები ბევრი. ექშაშს დალევენ! ღორს ჭამთა თუ, ღორსა?

ღორს არ შჭამენ და ღვინოს სმენ.

– დათვი არი, გელი, კურთ ვარ; გელი იცი, გელი? გელი არი, ღორი არი.

არიან ჰამა წევნეს, აღარ მოვნეს. ჰუქუმეთ ყავან ავჯები, ჰუქუმათი ერთი დღე არი, ამ დღეში ავჯობა'ნა ქნათო, ეტყვის მათ და ძერზე ვერ წევლენ.

ჩვენ გარედამ არ დავქორწილდებით, ანნი ქოდადნ დავქორწილდებით.

გალმი თეთრი ქათამი

გამოდმი მოკუკუნავს,

მომაგონდა გოგოა,

მე გულში მიჩხაკუნავს.

გურჯიჯა რა გითხრათ, გძავ? გურჯიჯა რა ვიმღერო, ძავ?

ჰაიდე, წევდეთ ჟოლაზე

შენ კალათით, მე – გოდრით,

შენ გნო და მე ბიჭი

რა შეგვხვდება ხვართით.

ახლა თელეფონი მიმიტანე. ჩემი დაჟდა და!

– მაქვალი, მაქვალი და, გურჯიჯა ოღლე.

გუზელია ქვაბად? გურჯიჯა გებნევი, ვერ მიმხდარხარ და? დილბერია თუ არა, გებნევი? კადა ქვაბად?

მეველად აბი სუპერ, სუპერ! ოხ, ოხ, მე არ ვიცი. შირიც არ ვიცი. ალადა გუმოვდეს და ალადა ამღერეთ.

ახლა გომოა, დუმახე!

ალა ქომო არი, ქომო!

– მოლახოლლის შვილები ვართ, მოლახოლლის. ჩვენა, აქო, ესენი აღარ არიან, ესენი აღარ არიან (მეზობელ სახლებს გვიჩვენებს, დაიცალაო სოფელი – ჩამწ.). ქვედათაც აღარ არიან, გათავდეს: გენჯები წევნეს აქედან. ჩონ ვართ აქ, ჩვენც ქი გავთავნეთ, აქ აღარც ქართველი (აქ: ენა) დარჩება, აღარც... ღარჭებმა ქართული არ იციან. ქართულად ხვართობა არ იციან იმათა.

– ეს ფიშნარხედს დიდი მაჰალე, გაღმა ხამფიანკარი, აქ მაღლა არიან ხოწეთები, ისაც მაჰალეა. ფიშნარხედს მაჰალეა, იქ გახვალ ბირინჯი მაჰალეა, აქ – აზლენკარი, აზლენკარ ვუმახით, ქოხები დღეს არი, იქეთ – ქელაზორ.

– აქობად ელიასხევი. მერე სახელი პეტრად ხევევი. აქედამ ზემოთვე ბევრი არი. მე აქო ქოხი ვაშენებ, ხედამ, თახთადამ.

\*\*\*

### სახელოსნოში

– ე ალაგი არტანია, ბოდნა არტანია, ქომოსად ბუზადლი, ბოდნა ბუზადლი უმახიან, ზომო ბექნანები უმახიან.

ე ხევენარი ხიზრავს;

ე ხიზრებ ლესავენ;

ე თახთები გარენდებს;

ე ფიღნები ჭარი ვარ, ბიჩხი (ხერხი, ხის ტოტების გამოსახლელი – ჩამწ.).

ე ლომი (მაღაყინი – ჩამწ.), ხევენარზე ვხმარობთ. ესენი ხევენარი (ძელებზე ამბობს – ჩამწ.). ესენი –კატარია. მთადამ ჩამოვტანეთ, დავხიზრეთ, ჰაზირია. ე დიდი მაქინა ხევენარი თახთებ ვიჯებით.

ე ცული, ნაჯადი.

ე თალაშია, გურჯიჯე არ ვიცი.

ად ნიჩაზია.

– კოდი უმახიან, ფუტკრებ ვავსებ.

ად კაფალ უმახიან.

ე ჩექუჩი.

ე ქელფეთი, თელებ ჭრავს.

ე ქესარია,

ე მეორე სოდ ჩაქუჩი,

ე ბურღები, ისე უმახიან.

ე მატუკა უმახიან (უროზე ამბობს – ჩამწ.), ქვებ ვამტრევთ,

ეს ბიჩხი უმახიან აქ.

ამა ჯეზვე უმახიან,

ამა ხელი ბურღ უძახიან,  
ე გონია, ქოშეს გააკეთეფ,  
ესენი თოჯები, ჰემ ჭრისა, ჰემ დათხარებს,  
ე წალდი, დაკაფაზე ვხმაროფ,  
ესაც ლომისი მერე სოფ, გელაფ.  
ამა კონდ უძახიან (კონდი – სართულეფს შორის ბოძი – ჩამწ.).  
ესაც საჯი, სახლის გადასახურავი.  
– ეს ნამძვია, ამაზე კევი ვკრეფავთ.  
ი ყავალია, აფ – კატარი, ესანი ბოდნე ყავალია.

ე თუთა არი, ი ვაშლია, ბია არი იქ, კაკალა არი, სხალი არი, ვიშნა არი, ბალი არი, თამასხა არი, ტყიმალი არი, თხილი არი, მქოლა არი, აქ დოლა უძახიან და იქ არ ვიცი.

– ი ძველი სახლია, ბევრი ძველი სახლი. იქეთ არი, ისაც ძველია. ისენი ქვებიდან უშენებთან. სამი ყათია ბოდნე აქ.

ე ალაგი სატალახეს უძახიან, ზემოს – საპოშლა. იქიდან ბევრი ფავი (აქ: ზვავი – ჩამწ.) ჩამოვა, საპოშლას უძახიან.

**ისმაილ ირთიჯი**

\*\*\*

– ხოჯანნი (შდრ. ხოჯიანი - ჩამწ) არიან;  
მოლიანნი არიან, ჩემი დედეფ ყოფილა ხოჯა, ისტამბულ უკითხია, მოსულა,  
აქობაში ხოჯობა უქნია, იქიდან მოლიანნი უძახიან ჩვენა.

ხოჯანნი არიან, – ხოჯა ყოფილა ბოდნე დედეფ, ხოჯანი უძახიან.  
აჭარიანი არიან,  
ჩულფიანნი არიან, ონდასორა,  
ჭუკალები არიან,  
ფახრიჯები არიან, ბევრი არი.  
ყველა ელიასხევში არიან. პოკები არიან...

\*\*\*

ფოტოროში შევარე  
წითელი კამიონითა,  
არ იტირო შენ, გოგოვ,  
მე'ნა მოვდე მილიონითა.  
ჰადდე წევნეთ რუს უკან,  
რა შეგხდება ჩემს უკან,  
შენ – კალათით, მე – გოდრით  
ჰადდე წევნეთ ჩემს უკან.  
ერთი ქალი დევნახე,  
კაფ, კაფ, კაფოვ,  
მიველი და ვუთხაროვ,  
მოდო, წევნეთ ჩემს უკან.  
მე შენ დევნა დევნახე,  
დილბელია, დილბელი,  
მოდო, ერთი გიპაჭო,

რა შეგხდება ჩემს უკან.

– ეს ჩვენი დღე, ჭოროხი, თევზი არი, აქიდან იჭირავ, თავზე, ფეხებზე, შეშჰამ კადა. ჩონ ღმერთმა დასალი ღორი, დათვი, გველი არა, ჩონ ფური, კარი, ქათამი, ღმერთმა ჩვენ მოგვცა. ჩონ აქ სოფელში წყალი კადა, საქმე კადა, ჰამა ჩემ სახში, ჩემ მემლექეთში კადა. თმები წევდა, ღმერთმა ხელი, ფეხი მომცა... ერთი ჩემი ბებერა არი, კად არ არი, ავათ არი, თავიდან ნორმალი არ არი, თავში არაა ჭკვიანი, იმ ბარზე... ღმერთმა აქ (შუბლზე) მიწერია, ახლა ვამბობდი, ბათუმში მე ერთი კად, მსუქანი ბებერი, ქალი'ნა მოვყვანო, ლამაზი, მუსლიმანი. ქითაბი, ზარმელი'ნა ქენოს, წინდები'ნა გარცხას, სახში'ნა დაუდეს, სახლი'ნა გაფაქოს, მე შაჰმელი'ნა მიყოს, მე ყურბეთში წავალ, ფული გუგზანეფ, ხელში მივცემ, ხარჯ ვიზამ, ქალი მინდა მე ბათუმში. აქ არიან ქალები, კანდი არ არიან. აქაური ქალები მუშაობა არ უნდებიან, კარზე უნდაანან მარტო...

ღენჭები ისე მიყვარს მე, შაჰმელი'ნა ულო, ზარმელი'ნა მივართვა... მე ჰერამი არ მინდა, მე ჰელალი მინდა. მე ქალი მინდა: ხიზმეთი'ნა მიყოს, ზარმელი'ნა მიყოს... წინდები'ნა გიმირცხას, ნამაზი'ნა ილოცოს. მე იმა, ავწევ ქალი, თავზე დავდეფ.

ამა ჩემი ერთი ქალი არი, თავიდან სახათი, დანა მიჭირავს (მაჭერს? – ჩამწ.), მომტყეპავს, ქვა აწევს, მთქვიფავს; დობტორში წევყვანე, დევმიმები (წამალი?) მიცა, შეშჰამს, კად იქნება; ვიკითხე, ღმერთ დუმახე, ჰამა არ გასწორდა. ჩემმა ღმერთმა აქ (შუბლზე) დიმიწერა, მე მეყვანე ბებერი, ღენჭი არ მაქვა... ახლა მე, ალლა შუქურ, დელიყანლი ვარ, ფეხები კად, ხელები კად, ვმუშაობ, ჰამა კად ბებერა არ არი, სახლი მე ვიჯები, ზარმელი მე ვიჯები, კარზე საქმეები მე ვიჯები, ბოდნე მე ვიჯები; მეც ერთი ვარ, ერთი ინსანი ვარ, ღმერთს შუქურ, ყოლაფერი მომცა...

[ქალმა]... ზარმელი'ნა ქენოს.

– თქვენ საიდან ხართ?

ჩემი სახლი ესაა.

\*\*\*

... აღარ მყავს მალეები, ზღაფხულში მოვალ, ბურსაში ვარ. იგი ემის შვილია, ბიძას შვილი. მეორეზე თივას ვჯობავთ: ბზეა, თივა, ჩვენც ვდგავართ. ოთხი ოდაა. ზედთ დეფან ვეტყვით ჩვენ: ბელელი, ტახტიდან ამენებული. აქეთ მეზობელია.

– ე ბალია და, ესა – თუთა, ის – აყირო. ბიბერი მაქ, გურჯულა ბიბერ რა ეტყვით? პილპილი ჰო. პიმპილი ჩვენ მწვავე იქნება, იმა ვეტყვით. ჩვენ არ ვიცით, ალფაბე ჩვენ არ გვაქვა და, ყურიდან გაგონილი ვიცით.

ზღაფხულში აქ ბევრნი არიან და, ზამთარში – ბურსას. თქვენი ლაპარიკი გადარევა, ასიმილე ქნილა. არ ქნილა თუ? ალფაბე აქვან ამათ.

გაზდამდე ღარჭ ეტყვიან.

ჩვენ ახლა გურჯიჯა არ ვხვართობთ, თურქა ვხვართობთ, ტყვილი არ ვიტყვი. სამი თანე ღარჭი მყავს, გურჯული არ იციან, გედგნებენ, ჰამა ვერ ილაპარიკებენ.

ადემ სალიანი

\*\*\*

ადა სამყური, თურჩა ყულას, ქართველი სამი ყური.

ამისი სახელი წველა,

ამისი სახელი – ჟავენად, საჭმელ იჯებიან. მჟავე თივა ესაა.

კიდო ესაც შამანთილო,

ად ესა – ბულლო,

ად – ჯიმჭარი, სუსხვად ეტყვიან, წვავსა ესა.

ესა ყურძენი,

ესაც დომატესი,

ესა – ლებიო,

ესას აძიჩიკვი, გულჩიჩიკვი (მზესუმზირა),

ეგერაც შამანთილო.

აქა ყანაში ზათინ ქერი მოგვჰყავდა, ახლა აღარ მოგვჰყავს, ლებიოა აქ, ფათათესი, ჩვენ გურჯი ქართოლი ვეტყვით, ჰამა ისე თერსინადა.

შაჭმელები: შორვა, პური, ქართოლი (ფათატესი) შორვა, ფირინჯი შორვა.

ვაშლი: დუზ ალმა, ჟავე ვაშლი, შექერამ ვეტყვით არი, წითელი ვაშლი არი.

სხალი ზათი არი: ზღაფული სხალი არი, ვანგი...

ბალი არი, ჰამა ახლა აღარ ასხია: თეთრი, შავი, წითელი, სამი სოდს ბალი არი.

ქილიავიც არი, თამასხა არი.

ტყეებში კატარი, ნაძვი, თათი. სამი თანე ხე არი აქა: კატარი, ნაძვი, თათი. ძველი ადგილებში არდუჯი არი, ბაშხა დოხ. ფელუგი, კოდა (მუხა), ყარა ალაჯი.

ნადირი: დაბანი ქერი, გელი, დათვი, კურდღელი//ტავმანი, მაჩვი, მელი//ქილქი...

სახში მარტო ძროხა, სხვა არა. ზათინ იყვეს, ახლა აღარ არი.

[სახელები] ძროხების: ფაქიზოდ, შაველადა, ჭრელ ფურ ვეტყვით.

კარებთა – ჭილოდ, ბოზოდ, ვეჟანა, ბაშხა დოქ.

\*\*\*

მუცელი არ გვიძლება აქ, წეველით.

\*\*\*

### „მასისის“ სამზარეულოში

გურჯიჯა ხაძწი, მოხრაკული, ლულუკი, ბორეგი, ქადა, ქადა გურჯულადა არი, ლებიო. მარქვალი ეტყვით თუ კართოლი?

ხაძწი – კამდალი და... იმა ჩაახლი, ფქვილ ჩახყრი, მურევ, მურევ, გუმუა ხაძწი.

ლულუკი იმნაური, ნაწვნით იჯვენება. იმასაც ფქვილ ჩაყარი, ისეც ადნია, იმფერია. ხაძწი ჭენჭიანია, ლულუკი – უჭენჭო.

ქადას ცომ ვიქთა, ონდასორა, კამდალი, ფქვილ ჩავაყრი, ცომ მოვზილავ, გავაბტყელებ, ცომი შიგან ჩავრთეფ, ასე მოვხრუწავთ თავავრს, იმა შავაგდებთ სობაში, იქ გომოცხვება.

ფხალს ბრინჯ ვაყოლებთ, წვნიანს ვაკეთებ. ასე სქელი ნაქნარი, იმა ტოლმა ვეტყვით. იმა ტოლმა გუვაკეთებთ. უთხარ, უთხარ, ა' ვიცი მე, უთხარ!

მე არ ვიცი. მე ვიცი და... ამან ჭკვა დიმილია. ჩვენ ელთები (შილები) ვართ, ად ფინთი ელთია.

– ეს ბასლეკარულია, მე ჭედლიშვილი ვარ, ჭედლიანკარი ჩემი მაჰალე.

– გურჯულა არ ვიცი მერჯიმენგისი თქმა, ეს მანტია.

– ე ლიმონტუზი, ე ყავა, ბიბერი, შექერი, ქექიქი, პატლიჯანი, სალათა, მედნაოზი, ლეზუო, ყველი, ქაშარი, თაფლი, ბექმეზი, შირა (ტკბილი), ბურღული ფილა, ალჩა, ყერმიზი ბიბერი.

ტახტა (ბოსტნეული დასაჭრელ სამზარეულოს დაფაზე ამბობს – ჩამწ.), ტაფა, ისტიკანი, ირენდე (ჭურჭლის სახეხზე ამბობს – ჩამწ.), კეცი – თიხიდამ, თენჯერე, ციცხვი, სუზგი, დიდი კოზი, მაშა, მაწვენი, მაშრაბა, სოლანი/ხახვი, მარული.

მაწვენ დედა ჩავასხამ შიგა (რძეში – ჩამწ.), დავბურავთ, შეიქნება მაწვენი.

– ერბო ტაფაში ჩუვავდებ, მოშლილ (აქ: დაფშნილ – ჩამწ.) ყველს ჩუვავდებთ შიგა, ვურევთ, ვურევთ, შეიქნება მოხრაკული.

ჩვენ ქემელ ყველ ვიჯებით, სხვა ყველ არ ვიჯებით. ყველ საწურში ჩადევ, გახმება, შიან გაშავდება, ვჭამთა. გოდორში ჩააწყობენ, შიგა გახმება.

– ერბო, ყველი, მაწვენი, კამაღი – ძიდან. დო არ იჯებიენ. ერბო იჯებიან, დო – ასხმენ.

იმას ადუღებენ, სადველ იჯებიან. შრატადამაც იჯებიან სადველს: ყველი ძირ აადუღებ, სადველი ჩაჯდება.

იქ კარზე გევდეთ, აქ თავი ემენტო (დამცხაო – ჩამწ.).

\*\*\*

### კარზე (ეზოში):

– ჩვენ ერლი ვართ, დოლენჯიანკარი. ახლა მარქვალი მოგვერწყა'და, ღვარი მოსულა, მოთორი გაფუჭულა. ჩვენც ვიყადთ.

ცერცვ ვხარშავთ და ისე ვჭამთ. ა' ვახმობთ, ა'. უწინ ვახმობდით და ახლა – არა.

– მადენ იღებენ თაში და საჭმელი წულო (მევლუდამ). გავაკეთე და წულო.

– ამას ასე გავრცხავთ, ჩავჭყრით, მეხარშვის, მარილს ვაყრით, მასკვან შევჭყამთ.

ამი გახმობა თუ გინდა, ასე გაახმობ, შიგანას – თესლი ვიქთ ამას, თესლი.

– იპოე ახლა?

არ'ნა ჩუმობვიდე აქა?

ვერ ჩუმულა, მეილაჯი ვარ, იქ მივალ. მაილა – დევსეკარად.

– ერთი დიდი ძმა ხყავსა სტამბულში, ზამთარში მიასხამს, ზღაფხულში – მასხამს. ამათი აბლა იყო, დიდი ბაჯი, ისაც ასე იყო. ბითევა ასე იყვნეს... დიდი აბლა ოზდახუთი წლის იყო, ისე გახდა.

– ი' ბასლეთები არიან, ჯამეში წევნეს.

ასე'და წეხუდე აღმართში.

ბაღნობიხან წეელით ადაფაზარში, იქ ვიყადთ, ესა ააშენეს, წამულ.

დედა ჭელიანკარულია და ახლა იუსუფელშია. კაფე აქვან, „ნარკაფე“, ჩემ ძმისია ისი. იქა შედით, ჩემი ძმა გუხარდება. უყვარს გურჯები იმას.

ათი წლის წეველ, ავაშენეთ („მასისი“), მუელით აქ. მავუზ არ ააშენეს, ბეჭურ ააშენეს, შეხედე, რა შეიქნა, გაფუჭდა. დიდი ვეღარ გიქნია, ფული'და იყოს, ქნა, მა?!

– აბლა მოსულა ანკარადამ, აქ'ნდა მოვდენ... აქ არ დგება, ორ-სამ ღამეს დადგება, წევა. მისი სახლი უნდა. დოლეჯიანკარში აბლა მყავსა, დედნახეთ ბელქი გუშინ.

აქვენური გურჯები არიან ადაფაზარში.



ვიცნოვ, ჰამა ბითევათ არა. ნათესავები მყავს, იმათ ვიცნობ.

– ჯალი და, თილი (ჩხირები – ჩამწ.).

იმა (ნართს – ჩამწ.) აღარ ვიჯებით, უწინ ვიჯებოდით. ცხვარ გაპარცუნენ, გასწვენ ცხვარსა, გაპარცუნენ, საჩიჩელი იქნებოდა, ასე გაჰჩევიდეს, მემრე დართვიდეს, დამახვიდეს, მემრე მოქსოვდეს წინდას.

ა' იზამს, არა!

ის ძველათ იმღერებდეს, მე ესეს არ მიქნია. დანახული მაქ. ტარი და კვირითად ერქვა, რაშიც ატრიალებდენ ხაწაწია. იმა ლებავდენ, ბოდა ილებდეს, ჩაასხმიდეს წყალში, კედსა შიგან ჩაჰდებენ, ამოდებენ. სხვად ისე დალებვა ბოდადან.

ფერები: შავი, ყუთელი, თეთრი, წითელი...

არაა, წულდიან!

ძველები იპოთ'ნა, ჩვენ არ ვიცით, არ ვიცით.

– მე არ მყავს (შვილები) და ა' ვიცი, ამა ეცოდინება. ენ პეტერაჲ მე ვარ.

– მე ორი ბიჭი მყავს, დიდი დუაქორწილე.

თქვენში საფექრო იქნებოდა? ჩემი ანაჲ ქსოვდა, დედა. ფეშტემალ ქსოვდა, ახლა ადგა, დედაკარქა. ბევრი რამ იყო. ჩვენშიდაც იყო, ჩემ ანასაც ჰქონდა, დაანგრიეს. ჩვენშიც სამ ადგილად იყო, ჰამა ახლა აღარაა. სამე დადებული იქნება, ჰამა იმა ვერ დაჰდგმენ ახლა. დიდრუანი აღარ არიან, მე ვერ დავდგამ, ჩუნქი არ ვიცი.

ნაწილები: კარალი, ქუჯი. რომ განვენ, რა უმახდე იმასა? არ ვიცი, წევდე'და. დევნახო, გევხსენეფ.

მაქოქი, ჰო!

შიგნიდამ'ნა გაარუნო ასე. ასე შიგან ტახტი არი, რა უმახიან, მუხი არი, იმი ზეიდან კედი დახვეული, იმა გაარუნ–გამაარუნებ.

\*\*\*

### ჭედლიანკარი

– ხულოდამ ხარ შენ? ცეცხლითად ყოფილა იქ, ხულოში. მუსლიმებთან ხარა თუ არა? სახელი რაჲა შენი?

ესაც აქაურია და ადაფაზარშია! ადაფაზარი იცი? ოთხი მილიონი ქართველია თურქეთში. აქ ერმენები ყოფილან. ქელაზორ საყდარი ყოფილა. ისტორია არი, ვიცით ისტორია. თოვლი არ ყოფილა აქ. დილაზე ამდგარა ქეშიში, მასისზე შუხედნია ქი, მასისზე ნახვარზე ჩუმოსულა თოვლი, ხედავს თეთრი რამ არი. უთქმია, ერთი გადით, ნახეთ, რა არიო. გასულან, უწევნიან, წუმუდიან, წუმუდიან, გამდნარა, ვერ ჩუმუტანიან. უთქმია: წუმოვდეთ, ხელი მოგვწვა, დადნა...

უთქმია ქეშიშა: აქ გათოვდა, აქ აღარ დედდგომებო, ამდგარან, წესულან. მასკვა მოსულან ჩვენები აქა.

– სავრეთი რომაა, თამარა უშენებია.

ის, მასკვა, მასკვა!

იმა (თამარას – ჩამწ.) უთქმია კი, ის რომ ვაშენეო, ერთი საჩმალი (?) ალთუნი წიმივდაო. საჩმალი იცი? თოხა და! ერთი საჩმალი ალთუნი წიმივდაო.

– პარხალი? გურჯებთა (ააშენეს – ჩამწ.).

ჯორჯიადამ პროფესორი კაცი და ქალი მოსულან, უტირიან, გუმუწევიან, გურჯებთა უშენებთანო პარხალი. ბითთავა სახლები (აქ: სახელები) ქართულია.

სამი თუთუნი არიან: მუთაფენი (მატყლი მჭრელი), სომეხი სახელია ის.

დიდ სათიბელი, ჩირდილი, გურგუნა ქეთი, ნაცოხარ (ნაციხარი?), დიდ წვერი, წვერ იქითი, ბითთავა გურჯი.

**შერიფ ეუბოლლი, ეიბიანი,  
ჰაკი ქეიჯიანი**

\*\*\*

ჩუმუვლად დიგიდახეფ,

მეც დევსაკრისკე მივალ.

მიდის, მოდის მაშინა,

გოგო, შენ ვინ გაშინა?

შენ ვინცამ გაშინა,

მეც იმან შეგვაშინა.

ღელე, ღელე შევარე,

ღელე ფალადიანი იყო,

ერთი გოგო დევნახე,

მეტი კად გოგო იყო.

ჩიტი ჭამდა ლელუასა,

გოგო, შენ ვინ შეგაშინა,

მიდის, მოდის მაშინა,

ფოტორო ჩევარე წითელი კამიონითა,

ფოტორო ჩევარე წითელი კამიონითა...

[ყალბები] გურჯებ უშენებთან, გურჯებთა. გურჯებ უშენებთან ყალბები, იქ სალდათები, ასკერები დუუყენებთან, აქაუობად უცვიან იმათა. აქაუობა გურჯი ყოფილა.

– ორმოცი ბინი ასკერი მუცემია, თარიღში ვიკითხეთ, ოსმანლი სულთნის ყორმები(?) გურჯები ყოფილან ბითთავა. მახიმ ყორუმა და... ასკერი.

ელიასხედ? უკანობანი, უკანობად.

სავრიეთი, დევთისად ჩვენია, გურჯიჯა.

– თამარად? აქ თოვლი მოსულა და მის ადას უკან წასულა აქიდამ. უთქვია, აქა ადარ დეიდგუმლებო და წესულა. მისულა იქ, ბალხი წვერზე, უთქვია კი, დუა უყავო, დუა, აქაურობისთუნ არ უქნია. იქ წყალი არი. ჩემ ანად იტყოდა იმას. ქეშიშისთუნ უთქვია ქი, დუა უყავო, იეთისთვინ, დევსაკარისთვინ უქნია, აქობისთვინ არ უქნია. ქელაზორ ყოფილა ქეშიში, აქ, წვერზე. ენ მაგუზ ადგილია, საყდარი. ქეშიში იქ ხყოფილა.

**მეჰმედ შირინი**

\*\*\*

– ეს საყდარია. საყდარზე დავჰკლავთ ყურბანსა. დავჰკლავთ აქ ყურბნებ, ღმერთ შევეხოწებით, გაწუმდეს, სოფელში პრობლემები არ იქნას, დიდი წუმა არ მოვდეს, არ დეიწვას... დავჰკლავთ აქ, ღმერთ შევეხოწებით. აქ ყოფილა ეკლესია დიდი. დაფარებული ყოფილა, წესულან აქიდამ გურჯები, დუუფარებთან.

– ეს დაბერდა, ძალუან დაბერდა, იქნება ოთხასი წლის...

ინგა, შენ მართლა საბრიანო ხარ, ინგა.  
სემავალი (აქ: სამოვარი), ჩაინიკი. მოდი, გუმოსწიე.  
ეს არი ხაფი. თუ მედცურვებს, იქნება ხაფი, თუ არ მოდცურვებს – ლულუკი.  
ძალიან მაგარი თუ იქნება – მუდრუყი.  
ეს არი დოლაბი, ეს – სუთმაქინა.

### მეგლუდ ბაქმაზი

\*\*\*

– აქ ვართა დაბადული.  
ბალხი? რა ვიცი რატომ უთქმიან ბალხი, რაზე უთქმიან რა ვიცი.  
ნენედ გურჯი. არ ვიცი რატომ ქვიან. ზამთარში ქომო, ბალხიბარ ჩუვალთ,  
ქარჩაზე მოვალთ აქ. აქ ბოვრი გათოვდება. სამი მეთრი თოვლი გათოვდება. აქ ვერ  
დავმდგარვართ, ბალხიბარ ვდგავართ.  
– ცხვარიც არის, ფურიც!  
[შვილები] აქ ბევრი არ არიან, ბურსას არიან. თორები მყავან: ბალხიბარ არიან,  
აქ არიან.  
სოდადები: სარიყად არიან... ბევრნი არიან.  
– აქ ბოვრი მუჰელიმი მოსულა ქი: აქ გურჯიჯა არ'ნა იხვართოთო, თურქჩა  
იხვართოთო. ჩვენი დევლეთიც სერბესს იჯება. ზამთარში არ ვარა და ზღაფხულ აქ  
ვარ. ზამთარ იქ ვართა.  
ჩად შევსვათ, ჰადდე!  
– ა, ისა დაყენული. აქ თექ არ ჩანსა, იქ გევნეთ, დევნახოთ. იმედამ აქეთკენ  
მაჰმუდიან ტყედა. ა ისიც ტყე ძირი.  
აგი ჯამე კარი,  
იქეთ – ჩემი ქოხი კარი. იმდენი არ ვიცი, ძანი.  
– აი ჩემი ძეგანი. გურჯიჯა აბლი, აბლი ვიცი.  
ბექარია თუ დაქორწილებული ად ბგანო? (ნონაზე ამბობს – ჩამწ.). მუჰელიმი  
ხარა თუ?  
ძმა არ მყავს ბექარი, თვარა ვითხოვდი.  
– სავრიათ წყალი მედყვანა თამარამა. იქ ეზიეთი უქნია თამარასა. ედდა, ბედვა  
უქნია: აქ წყალი ბევრი იყვენეს, ჰამა სავრიათ ყანაში არ დარჩესო. იქ სავრიათ არიან...  
ჩვენ არ ვიცი, როდის აშენდა. დედებმა ააშენეს.  
ვინ აშენა? არ ვიცი ჩვენ.  
არ ვიცი კი ვინ ააშენა!  
– ის იეთი, ისაც იეთის აგარა. ტყე არ ვიცი.  
ესენი ხევეკი.  
იქა ფიშნარკვევი არი,  
ყულე დიბი არი,  
ობლეკარი არი,  
ცუცაგარა არი, კად არ ვიცი და.  
იქ მათი აგარა არი, ამა სახელი არ ვიცი.  
გუდასკედ აქ არი,  
კუპრიეთი არი ისა,  
უკან პარხალი არი, ალთი პარმადი,

ერმან ჰევეკი არი (მის იქით),  
ზემვანი (შდრ. ზემოვანი/ზემონი?) არი,  
აქეთ ქობაკი არი, სხვა არ არი.  
ოხშიან არი, იქ ერთანე სახლი იყო, ოხშალარი.

– ერთ კაც უცხოვრია იქა. ყურძნის დასაწურის ფეგებია იქა, საწნახელების.  
წყალზე გუგზანია რძალი, უცდია, უცდია, წყლისთვინ. ქალი დაბრუნებულა  
ცარიელი გუგუმით. რატომ დააგვიანეო, უკითხავს.

ვერ ავავეს წყალიო, თეთრი რამე იყოო შით.

კაცი მისულა, უნახავს, რომ წყალი გაყინულა. ამის მერე აქ არ დედგუმლებაო,  
აცივდაო. აიყარა სოფელი და სხვაგან წავიდა საცხოვრებლად.

**იდრის გულთექინი**

\*\*\*

### **ბალხი**

– თამარასა სავრიათ კანალი უშენებია, კანალი. ფარა გათავებულა, ალთუნი  
საჰბად (შდრ. თმის სარჰი – ჩამწ.)/საჩბად გუყიდია, წყალი მუყვანია და უთქმია კი: ამ  
კანალმა წყალი არ დეჰქიროსო.

– ჰანი ისეა!

– ქილისა უშენებია მასკან პარხალ.

სამი ასი წლის უკან უშენებია. გახველ პარხალ? იქ ნახე იმტე. რახან უშენებია,  
იქ არი დაზები.

– რატომ ქვია ბალხი? ჰმ, არ ვიცი.

ჩვენს ლაღაბი: დელიოღლი, უსტიოღლი, ჩაუშოღლი.

\*\*\*

ბევრი ვერ მივმხტარვარ თქვენი ხვარათი. აჰადა ფიდნებ ვწყავ.

– რა ვიცი ვინ მედყვანა, ჩვენც ასე დევნახეთ. ისიც არ ვიცი. ისე გევგონე და... მე  
არ ვიცი ის. ბელქიდა იმანაც არ იცოდა. არ ვიცი აქაური ყოფილა თუ სხვა ქოდადამ  
ყოფილა.

**აჰმედად ჩაუშოღლი**

**მურათ უსტიოღლი**

\*\*\*

### **სავრიათი**

– ჩვენ თოფლიანი ვართა. ჩვენი ქოდა ალაგი დერი – ხევაა. იმტა თქვენ ბალხში  
იყადთ. აქობადა – ბარი. ბითევაა წევნეს მუჰაჯირ, ჩვენც აპრილში მოვალთ, ყოჩადში –  
მივალთ: ჩუენი კორიშ–მორიში ბითევაა იქ არიან, ბურსას.

რუ იმტა თამარასი მოყვანილია. იქობაში მიხველით თუ? თამარასი  
მოყვანილია და იმგვარი გაბანები(?) იყო ქი, ვერ ვიარებოდიო. ამი მუხტრობიხან  
ჰუქუმეთიდად კინა, ჩიმენტო გუმულო, დინამითი გულო, კარქა ბეჩი ორთალული  
ბობადილარ, ართულ დავუხი რუ მოვა. მიხვალთ, დედნახავთ.

თამარა? გურჯის ფადიშაჰინუმ ბგანო.

თამარა: ერთი სავრიათი რუ, ერთიც პარხალ ქილისა, ერთიც ოშნაკ ქილისა  
არი (აუშენებია – ჩამწ.). რაჰმეთლი ჩემ ალადა იტყოდა ქი, ერთ წელიწადში უშენებია.  
გურჯისტანის ფადიშაჰის ბგანოს.

მე კარქა მახვარათე, ემეა ვიჯები. მე მაწონი მევტანო, შესვით. ჩაა ვქნა'და!

ახლა აჰმედად ახვარათეთ.

ე ქოდ ბოდნე ბურსას წესულია. ქოდ არ დარჩა, გეგბარგენ.

ჩემ ხვარათად ხდებოთ თუ არა, არ ვიცი.

ერთს ახლა მუსაფირი დუყენებია, ედდა, იმათ ახლა ემე უჭამიან, მე პალულ ვიტყვი, თქვენ – თევზი, მესელა. უჭამიან, მუსაფირისთვინ არ მუურთმევიან, ბოსელში, ფური გაბაში (აქ: ბაგა) დუწვენინან. მათ ღენჭსა ი' თევზისა გაჯრია ყიაში, ფხადა. კატული ვედარ უქნიან და მუსაფირისთუნ უთქვიან კი, ამა რამ უკითხე კი, თად დედხსნასო და იმა უკითხია:

მოა, მოა მორვანად,  
დაგაყენებ, არ დაგაყენებ,  
დეგაყენებ საწველი გაბა,  
თავქომ ქვად  
თევზი ფხადა,  
და ეარე, და ჩეარე...

ღენჭმა თად დედხსნასო, უკითხნია, ად ვიცი კი. ედდა თვალისი არ ვიცი. სირცვილის გურჯიჯა არ ვიცი!

შაკიკი რა არი? ისიც არ ვიცი. ისინი ვიცი, ჰამა თურქჩა ვიცი, არაფჩა ვიცი, გურჯულა არ ვიცი.

ქართული სიმღერა? ისიც არ ვიცი. ავ, ვიცოდი, მუთვადში მიკიდული ალთუნი ტაფა მაქვა, ბილმა რა მაქვა, არ ვიცი, დამადწყდა.

ბალხი არ ვიცი, იშტა. ისინი მაჰალე–მაჰალე ვინმემა დაგაწერია? ვისთან დაჯექით? ისიც მუხტარი იყო ბევრი ხან.

შვილი რამდენი თანე მყავა? ორი თანე ბიჭი, სამი თანე – ბგანო. ონალთი, ათდაექსი თანე თორი მყავან.

ჩემი ბაბოდ თოფლიანი, იმისი – ჰელიმიანი.

ზეჰმერი, გუჯუგი, მარტი, აპრილი, მაისი, ქირეზი, ჩურუგი, ახირმაზი, ხარმანად, ქალოცად, ყოჩად.

ხევად და იეთი გურჯიჯა ხვარათობენ, მათი ღენჭებიც გურჯიჯა ხვარათობენ. ახლა ჩემ ღენჭებ, თორებ, ვინმე არ ხვარათობენ. გურჯიჯა არ ხდებინან.

შაფათი დამადწყდა.

ქოდ სავსე მილლეთი იყო. დუგუნ ვიქმოდით, ბელქი აფუ თანე ინსან ვარიდი, აა! კარ დავკლიდეთ, კარ, იმხან დუგუნში.

ჩემ დიდი ბიჭი კი დავაქორწილეთ, ვრა თანე ვაცი და ვერძი დავკვალით. იქ, ბგანო თერეფში წევლეთ, კიდოვ, ერბო, მესელა, შექერი, ვრა თანე პირტყვები. ძალი მოყვანიხან ჩვენ სახელათ ცალკე ვიჯებით. ბითუნ კარზე მასრათით გვაქ დუგუნებში. ჩვენი დუგუნი ა' იცი, რამ არი.

იმხან ჯეფი ფაქ არ იყო რამ. ენ უწინ ასე იყო ჯეიზი და! ჩემი ბიჭი ... თორი ბილა დავაქორწილეთ. დიდი ბიჭი პოლისია, სიმეებიც პოლისია, ბგანოს კაცი.

არ ვხვარათავთ, არ ვდმერობთ, გვამიწყდება. ჩვენ დავრჩნით ასე ბერ–ბებერნი.

\*\*\*

## დუგური

ამის უკან არხავისი დაილები არი. კაჩკარისი ჭიშკარი მთადა. ეს არი მასისი.

აქოს არი სასლიპა. იქ დითდურგია (დიდი დურგი?), თეფე დურგი.

საცთელპა, საფალანთო, დუგური.

აქევრი ქართული ძალიან ვიცი.

აქ ჩამოდით, რამ და გითხრას.

ექსი თვე იქ ვართ, ექვსი თვე – იქა. ზამთარი იქა, ზღაფხული – აქა.

ქალოცაში სხვანი მიდიან, მე – ზეჰმერში.

ის ვერ უხვარათია და ხდება (პატარაზე ამბობს – ჩამწ.).

მატყელი დოქ, აღებული კედი.

ცივი წყალი შესვი თუ აქა? კად წყალია, ცივი თქვია და!

აქ ყველაფერი ქართულია.

ჩვენი ხვარათობა თქვენსავით კად არა. ზამან გეშდი, გადწყდება.

წადი და გუმოდი, ვიპარიკოთ აქ.

– ჩემ ანად აქ არი, პიკნიკზე გამუედით.

– ჩვენ ამას ნარი ვეტყვით, ფალადი, წველაა...

შენ ალფაზე გამომყვანეთ, თქვენი ღარჭები იციან გურჯიჯა, ქართული. ჩვენში ალფაზე არ არი; მე ვიპარიკე იმათ უკან იქ.

ეს დუგური წყალი. იქ სანჩხრი თავი, შელალე, დიდი დურგი, ლომბიტპა, სასიპავი, თქვენი დედები ყოფილან იქ, სოფლები უშენებთან იქ.

ჭიშკარი, სანაცრიე, საპწინალო, მასისი, მოგლესილი – მთები.

ის გოლი მე გაგონილი ვარ, ჰამა აქ არ არი, ი ბორჩხა, ყარაგოლშია (ლაპარაკობს ტბის ხარზე – ჩამწ.), ის მე გეგონე, ვიცი.

– წყალი გოლში არ მივა, ჰამა ძირიდამ ფემი მოვა. გოგო გამოსულა იქა, ფერი ყიზი, თმები მუჯოლია, უშენძია, ტარადი უდვია ქი. მეცხვარე ყოფილა აქ, ედა იმ მეცხვარეს დუნახია... მეცხვარე დუნახია (ფერი ქალს – ჩამწ.), გოლში შეფენილა, ტარადი დამჩალა. ბიჭსა ტარადი უწევნია, წესულა, ქოდში ჩუტანია. ფერი ყიზი ჩასულა მის უკან, ფიდი წელიწადი დამდგარა მის უკან. ერთანე შვილი მოსწრებთან, გოგო, იმათი ლადაბი ფირიანია, ფიროლლი.

იმ კაცისი ანად მომეტარა. ედა გუცინია იმას. ჩემს უკან შვიდი წელწადი ხარა, არ ლაპარიკოფო და ახლა რაზე გეეცინეო (ქმარმა).

შენ ანას ერთი ჩარული დუკიდი, სხვა ედლული არ აქვაო.

უთქვია ქი, ჩემ უკან წამოდ ქიო, გვენეთ გოლშიო და მე გოლში შევდეო, მომიცადე, თუ არ გამოვდეო, დამკლენ იქაო, თუ გამოველ, წუმოვალ შენ უკანო. შესულა კი სისხლი დაგოლებულა, დუკლიან.

– თამარასი ქილისა პარხალშია. დეკაცსა ქილისე უშენებია ქი, ყალეები უშენებია, ეფეიჯე რამ უშენებია. ქილისე გადმი არი წვერზე, სახელი არ ვიცი. სარიგოლ გამოხვალ, დიდი ყალე არი, დედნახე?

სავრიათ წყალი მუყვანთან, ქალი არ მუცემთან, დუბედვია: წყალი ჩამოვნეს და ხედრი არ დედნახოთო.

**რეჯებ ქეჩეჯი**

\*\*\*

### ქალები

ერთი ბგანო ყოფილა, არხატაში ყოლია, არ მუცემთან იმისთვინ. არ მუცემთან, წასულა, იქ გასულა, ემე უქნია. ჩემი ებეა იტყოდა.

– გურჯიჯა დუა არ არი, არაფჯა არი..



ლომბიტვა გოლი არი,  
სარცხი გოლი არი,  
ხევეკ გოლი არი... გოლები ბევრია იქა.

\*\*\*

სარცხი ტბად,  
წოწოლი გოლი,  
ლომბი ტბა,  
ხევეკ გოლი,  
ენ დიდი ხევეკ გოლი არი.

აქ ჭანებთ მაილეზია გადადმა. წინ–წინ ყოფილა, მარა ახლა არ არი (ჭანებთან თხოვნა–გათხოვებაზე საუბრობს – ჩამწ.).

დეამიღებთან გოგო და ბიჭი და!

\*\*\*

### ქვაბად

– ჯამეან კარში ვცხოვრობ. მე დიგინახე, აგზე მოხვიდოდი, ქომოთკე. ათ და ორი არიან.

[ზამთარში] მე ბურსას ვარა. ამის ბიჭი რიზეში ექიძია, ენსარ თოფალოლლი.

გურჯიჯე იხვარათეთ, გურჯიჯე!

– ქონობანში ვარა, ზამთარში იუსუფელში. ბოვრი ლაპარაკი არ ვიცი. ბოვრი არ ვიცი, დენჭები ვართა.

ფოტოროში შევარე  
წითელი კამიონითა.  
ჰაიდე, წევდეთ რუს უკან,  
რა შეგვხვდება ჩემს უკან.

### ანილი ყანთრიენთი

\*\*\*

– არ იცის კი, ამოვა. „ელია გოგო“ იცის. მოდი, ბიჭო, ეზანი იკითხე. ეხათრება ახლა.

ელია, გოგო, ელია,  
ე რა ჭ(წ)მინდა//წმინდა ჭელია//წელია,  
სამი ჭ(წ)ელიჭ(წ)ადია,  
შენი თხოვნა მჭ(წ)ადია.  
ჩუმომკე, გოგო, ჩუმომკე,  
არ ჩამოყვები, რა გიყავ,  
ჭ(წ)ითელ ალთუნ შაგაბამ,  
ჭ(წ)ითელ კაბას ჩაგაცვამ.

– ბერწი ხმა აქვა. სამი თანე ბალი არი.

მიხდება და ვერ ხვარათობს. მე დევჩვიე და! ანაები ხვარათობენ, ჩვენ დევწავლეთ.

თაროზე ყ[ვ]ელი მაქვა,  
შემპალია, შემპალი,  
ჩემი თალიბის დეჯები  
დამპალია, დამპალი.

ახლა ეყოფა, მევღალე, ვიტარუჯო'და!

– ესენი ქილისე არ იციან!

შენ იცი თუ?

ჰად არი ქილისე, არ იციან. იქ იყავ და ხოჯა არ არი. მე ა' ვიყავი, აგი ჯუმაზე ა' იარება! ე გაჰერსებულება, ე არ წავა. დანესხებულება(?), ჭკვიდან ნაკლებია ესა.

ვპამპალეობთ (აქ: ვცურავთ) და ვტარუჯობთ.

თევზური, ძაღლობა, ბოძა ვიჯებით, ვპამპალეობთ. ეს გუბეა, ის დიდია და!

გახველით ქობაძს?

ლამაზი რა ადგილია? იქ ნემიანია (ნამიანი – ჩამწ.), აქ კადა.

### ახალგაზრდები საუბრობდნენ მდინარისპირას

\*\*\*

– არდაჰან, ფოსოფ გურჯი არი, წორ იძახის ძამარი. სინოპ არი, ორდუმი ბოვრი არი... ესენი ბოძა დოქსან უჩ მაჰაჯირი წუმოსული არიან. აქიდამ არ გევექეცით, ამ სოფელეობთა რუსის ხარბჩი არ წესულა. აქ მასკვა წასულა. ქოდ გაზდილა, ადგილი აბლი, წესულა, იქ უმუშავია.

– ჰასან უსტა დევნახე, გემიხარდა.

ჩვენ ვიტყვით, ჰამა დაწერვა არ ვიცით.

– ჩემი ანაძ ქობავრია, ჩემი დედე იქ მეცხვარე ყოფილა. იმა დანახეობა, ბგანო გომოსულა გოლიდამ, თავი უძრია, ჩემ დედეს ტარალი უწევნია, აღარ მუცემნია. მეცხვარე უკნედამ ჩომოსულა ეზოში, ჩომოსულა, უთქვია ქი, ტარალი მომეციო. მე თუ წუმომყვები, ჩემი ქალი თუ შედქნები, მოგცემო. შვიდ წელიწად ყოფილა, შვიდ წელიწად იქეთ ჩემი დედეს ანაძ მომკტარა. ქი მომკტარა, იმა (ქალს – ჩამწ.) გუცინია. სულა დულაპარიკებელი გუცინია.

ჩემ დედეს უთქმია კი, რაზე გეცინეო? ჩემი ანაძ მოკტა, რატომ გეცინეო?

იმა ბოძენ ქი ხედრი არსა უქნიაო, ერთი ჩაროხი ხედრი უქნიაო.

ედდა იმა ტარალი მუცემია, ქალისთუნ მუცემია ტარალი და წასულა.

უთქვია კი (ქმრისათვის – ჩამწ.), თუ შემადირსებენ (შემინდობენ, მაჰატიებენ – ჩამწ.), თუ არ მომაკვდინებენ, გუმოვალ უკნისკეო. თუ მომაკვდინებენ, სისხლი შედქნებო გოლში.

შევიდა. ბოძენ სისხლი შექნილა, დუკლიან. ახლა იმა ფიროდლი ეტყვიან, ჩემ დედესა, ანას ბაბოს.

– აქ ერთი ქვა არი ერთი ცალი, წყალი დუგუბებია, ისე იტყვიან; ედდა ქი ქალი უთხოვნია, ა' მუცემიან, წყალი დუგუბებია, გაფებხან გაქცეველა ის, თაში გაქცეველა. ედდა ქი გაქცეველაო, ბედვა უქნიან, ქვა შექნილა. აძ წყემსი იყო ოლვილო.

იქა ქვა არი, ი' ქვა ოლვილოაო, ისე იტყვიან. ოლვილო? უზუნ ტაში.

– ოლვილო ქართულია? დაწუწვილი ქვადა.

– სარცხელი უქნიან წყალში, სარცხი ტბაა, არი ლომბიტკაც.

სარცხელი ყოფილა, ქალები მოკრეფულან, იმ ქვებზე სარცხელი უჯოვნიან.

– დინარე ყოფილა. ერთი ქალი სადამოზე წყალი ბარზე მისულა. მთიდამ ერთი ქვა იძახს, მოვალ, მოვალ... ქვა ყოფილა. მისულა მამასთვინ უთქვია, ასე ქვა არიო: რახანც მივალ წყალზე, ქვა იძახს მოვალ, მოვალ. მამაც უთქვია ქი, წომოდი, წომოდი!

გოგო წყალ ასხამს, ქვა – მოვალ, მოვალ... იმასაც უთქვია ქი, ჩომოდი, ჩომოდი. ქვა წუმოსულა, მასკვა ტბა შექნილა, ავსილა წყალი. იქ სოფელი ყოფილა, დუურჩვია.

– ა' მესმის. იქ ფართობდი, ჰო!

ჩემი დედები სამი ძმა ყოფილან. ერთი დუქორწილებელი ყოფილა, იმიდან არავინ არ დარჩნეს. ორი თანედამ ვართ, ერთი თანედამ ოქ. დედედამ ქობი დიგვირჩა, სხვა ა'ფერი.

– ყანთაროლლი ხევეკლი შენი დედე ყოფილა?

– არა, დედესი ემი.

– აქ მურღულ ყოფილა ერთი თურქი, ლაპარიკობენ. ედა ჩვენი დედე ჩასულა იქა, უთქმიან კი, ად ქობია მისიო. დედეს სიმღერა უთქვია, იმასაც უთქვია, ედა, შენაო ხვართით თურქი ხარო, შემოხვევნიან ერთმანეთ, ჰა!

1. მაშალაჰ, ბუკვან ალა,
2. ოთუზ იქი დირექლი დერ,
3. ბუნუ აფთურან ალა,
4. აურექლიდერ აურექლიდირ.
5. მუსაფირ გელმიშიმ,
6. სუფრა გელსუნ ბორექლიდე...
7. ევდა ჰასტალანრიმ ვარ,
8. დერდ უსტინე დერდ ექლე[ნ]დი.
9. ინშალლა შიფა ბულურ
10. აადიმ მუბარექლიდირ...

**ქართული თარგმანი:**

1. ყოჩად (//ღვთის წყალობა) ბუკვან ალა
2. ოცდათორმეტ სვეტიანში [სახლში],
3. ამის გამკეთებელი ალა
4. გულიანია, გულიანი.
5. სტუმარი ვარ მოსული,
6. სუფრა გაშალეთ ფუნთუმასთან (//ღვეზელთან) [ერთად].
7. სახლში ავადმყოფები მყავს,
8. დარდს დარდი დაემატა.
9. ღმერთით (//ღვთის შეწევნით) გამოჯანმრთელდებიან,
10. დალოცვილი (//კურთხეული) ფეხი მაქვს.

გურჯიჯა იხვართე!  
მეა?

მე ქალი ავთ გიმიხდა, ედა ყურბეთში ველარ წევედ სამუშაოთ, დავჰკი სახში, ამან ავუზი იცის. მალეზი შევნახე, პირტყევი შევნახე, ანადუმ ფუტკრეზი შევნახე, დედედამ დუქანი გვქონდა, დემირჩი დუქანი. ქორუგი აქ არი, დუქანი დუანგრიე და იქ ჩევტანე, ჯედრანი დავდგი.

ჯედრანი იქ არი, ქორული, ჰადდე დევნახოთ. ედა აღმანი მოვდა, მე მეხვართა, იქ გევდა, მაშინ დანგრევილი არ იყო. შეხედა, ბახალუმ, უწინდელი იგიავო, ცული აშენება, თოხი აშენება (აშენება – გამოჭედვის მნიშვნელობით)... ისინი ემე ქნადა, გომოვდა, ასე, შენსავეთ. ედა, ალლა რაზი ოლსუნ, ამისთანა

მოზობლები: თავლი ედღეს, ერბო ედღეს, ყველი ედღეს, მამუშავეს, ონდან სორა, ანადუმ, პურტყები, მალევი გეჩიმი ვქენი. ეზიეთი მიყვეს ამათ.

– ერთი ქალი ეახლა, ერთიც – კაცი. ად ქალიო პროფესორიაო. გიმიყვანეს აქა, დავანახვიე მანეთები, ერთი ქითაბი. იმ დეკაცმა უთხრა ქი, ად ევლოთო. რაცხა უთხრა იმ კაცმა, აღარ ედღეს.

ამა აქო ძველი მანათი, რუსული მანათი!

ორ–სამი თანე მაქ!

აქ გაქვა მანათი?

სამ არი ჩამარხული! არ გუმუაჩინოვო, მანათზე ასი მიეცა, მიმეცა’და, ა’ მომცენ, ა’ მივე. დედეს ალთუნი გუდუვლებია (აქ: გადაუცვლია) მანათზე.

ეყოფა?

იცის, ახლა აღა’ მახსოვსო, ამბოფს.

ერთი ხორთუმ ადგილი მუცვალო.

მელაპარიკე კაცია, ახლა არ ახსოვს.

– სასრედ ჩარხი, მალესად. ესა ამუშავებს და, ფეხით სამუშავებელი. ე’ დაბუნდება, ააა! ეს მისი დააბრუნებელი და (ღვედზე ამბობს – ჩამწ.). ე’ აბრუნებს, ამა ონაგორა ფეხ აწევ, დაბუნდება.

– ქორუგი (საბერველი – ჩამწ.) დიდია, ძიმიე.

ზექერია ამჯა, იყოს, იყოს!

აწიე და მიაყუდე იქა.

ამა ასე ვწევთა. ახლა ად გამაგრებულია, დააღბო’და; ამა ასე იქამ, ამასაც ასე იქამ, აქიდამ ნიავი მუა, ქარი, იქა ცეცხლ აანთებ, უბერავს, დუ, დუ, დუუ! ე ქარი აქენდამ მივა, აქენდამ. ქარი აქენდამ შევა, აქენდამ გამედრბენს.

ქორუგი ბევრი ძველია? რამდენი წლის იქნება? ბევრი ძველია, უწინდული ამენებულია. ახლა კი კანალი–მაინალი მოვდა, იქ ჩევტანე, მე ჩევტანე: უჩ დუზ სენე იქნება. ეს მოვხსენით, დამველდა ტყად. ტყად კარისი, ფურისი... კინა არი, იმაზე ემე იჯება (მიხვდი ახლა რა იჯება – ჩამწ., აღბათ – ეკვრისო ტყავი).

ეს ასე დედჭირავ...

ეს თუქანი, თივი საჯოხად, ძირად – თუქანი.

– ძირად ქორი, ბოსელი, – პირტყეებ, მალევი ვინახავთ.

მეორე – ჩვენ ვდგავართ.

ესეც თივებ ვჯოხავთ აქ. ორი თანეზე ბედელ ეტყვიან ასე.

ისა? სახლისი დუმანი ამოვა და!

ასე თახტებია და ზედამ მიწა არი. ასე ხევნარი გაყრილია, ზედა – მიწა.

ესა მერული: დიკას, ქერსა გავლეწავთ, ამით ავანიავებთ, ბუქ ვაძლევეთ, ართულ.

ეს კიბე.

ეს ხელედად,

ეს – გოდორი,

ეს – ქვაბი.

ეს – თავგი დუზალია: აქა შაქმელია, თავგი შევა, შეშქამს, დასხლიტავს, დედჭირავს (ხაფანგზე ამბობს – ჩამწ.). თავი, ჰო! იქ ისე ხეთქავს იმა, გააცუნცებს, ისხლიტავს, ეცემა, აგერ ქვადა, ხეთქავს იმას.

ესაც, ართულ, დიკად მარტო დაჰრჩება, ასე იმა ემე ვაძლევთ, ბუქს (ხვავის ასანიავებელ ნიჩაბზე ამბობს – ჩამწ.).

ამათ მე არ ვირჯები. ჩვენი დიდი დედემ, ესენი უშენებია. ყანთაროლლი სახელი უთქმიან, – ყანთარი უშენებია.

ესაც მისი აშენებულია, ჰო! (ცულზე ამბობს – ჩამწ.).

ეს ბედელია. ეს ჩვენი აშენებულია (აქ: გამოჭედილი).

ეს განია, ეს – კოჭი, ეს – კულაბი.

ეს თოკზე მააბამ, ეს არ ცვეთავს თოკს – კირკენი.

ესა? კალოზე ქი გავშლით ქერსა, დევენია (კვერი?) დიდი, ერთ ჯარ ამ თერეფში მუაბამთ, ერთ – ამ თერეფში, ვარბენიებთ, ვარბენიებთ, გავლენავთ და ისე გავანიავებთ. ცანდია (ღვედი – ჩამწ.) ამის სახელი.

ჩემი დიდი დედემ უსტა ყოფილა. ესენი უშენებია, ჰა. ამის ბაბომა იცის, ამან იცის. ად ყანთარია. ეს უშენებია ჩვენ დედესა და ამის გამიერს ყანთაროლლი უთქმიან.

ად – კვერი (საპირწონე სასწორის – ჩამწ.)

ჯენჯირი – ჯაჭვი.

პეტერად რამ იქნება ასაწონად, ამაზე წამოდეგ (სასწორის კავზე გვეუბნება – ჩამწ.), ამაზე – დიდი ქი იქნება და ამას (ჯაჭვს) ასე მუუხოვ, აჰწევ, აწონავ.

ამას დედესი დედემ აშენებდა.

ზათი აღარ ხმარობენ ამას. ედა ამას ვინახავ და, მუზელუდი.

ვაზი, ყურძენია.

ად ბედელია, თაგვი არ შევა, ვჯოხავთ და (აქ: ვაწყობთ).

ეს – გობი, ხელგობი. ამაში ცომ იქმოდეს, ასუქებდეს.

ეს საცერია, ცხრილი, ეს – ცხად.

ეს ძველებური, ამაზე ვბურვიდით (გობს ვახურავდითო – ჩამწ.), ახლა ჩვენ გუდმუაბრუნეთ, ასე ვქენითო (გობზე დასახური ფიცრიდან სუფრა გავაკეთეთო – ჩამწ.).

ეს კოდია.

კაცო, ად სატყეპად კაცია, საქმე გამაგდება (ხუმრობს ყანთაროლლი – ჩამწ.).

ახლა შენიდან მეხათრება, იაშარი'ნა შევტყეპო. მე დიდი ვარა, ხელ ვერ შემოდღებს, ვერ შემტყეპავს. ჰაიდან მიპოე შენ, ჰალლა, ჰალლა!

ეს მანგალი, თირფანი არ მოთიბავს, ამი იქ (საკოდავზე ამბობს – ჩამწ.).

ეს ბიჩხია, ამა (ტოტს – ჩამწ.) გადავჰჭრით.

ამაში ფუტკარ ჩავჰყრიდი, თაფლსა იქავს.

ამით ვხილავთ (თაფლს). ამასა – სახილად, თაფლის სახილად (ქვია – ჩამწ.).

ახლა სათვალად ამან'და მომცეს თუ შენ?

– ეს საფექროში მოქსოილია. საფექრო იცი რა არი?

ეს კოდია (სკა – ჩამწ.), ეს კოდი ყაფადი. ეს ხილია (სკაში), აქო გამოსლამდე ა' გამოვხილავდით. ასე გუმოვხილავთ, ისა მისია, ფუტკრის. ამა ვიხილავთ, ჰა, ეტყობა გამოხილული.

შენ ბვერი მახვარათე, შენ ფარა'და გუმოგილო!

იქ'ნა მივდეთ, საფუტკრეში. ესენი ძველი კოდებია, ძველი მოდა, ახალი – იქ არი.

ასე ჩვენეთ'და იქა, დუქანჩი, ისე ჩვენეთ'და.

კევრი – ვარბენიებთ, ვარბენიებთ, დეგირმავდება, ბუქ მივცემთ.

ტაბიკი და, ურმის ტაბიკი (კევრის წინა ნაწილი, რაზეც ხარების შესაბმელი ღვედი ებმება – ჩამწ.).

სახილად – სკაში ფიჭის მოსაჭრელი დანა.

მაკარა – ამაში (სკის ჩარჩოში – ჩამწ.), ვბლანდავთ (წვრილ მავთულს).

კოტა – ამას (კარებს) მისძრავ, ამა – გადააბრუნებ, დადგება.

ეს ავანაა, კაკლიდან გავაკეთებთ. კაკალასა ვნაყავთ. ართულ კაკალასა, ფუნდულ ჩავჰყრით, ამით (ქვა–სანაყი) ვნაყავთ. ბოდნე ძველი ემენია ესენი.

ესა სადგარი (სამფეხი, ბუხარში ქვაბის დასადგმელი, შდრ. საჯიადი). დიდვან ფახრაჯებ ვდებდით იქა.

გუგუმი//ფახირი, წყალს მოვტანთ.

ეს კანჯა, ამაზე წუმოვდეფთ, ჩუმოვკვიდავთ.

ეს ჩილფია, ხეს გავჩილფავთ, გავჰჭრით.

საყელო – ძროხის//ფურის დასაბმელი რკალი: საყელოს ქეჩოზე წამოვდებთ, ამასაც დუვასობთ მიწაში და [ძროხა] მისთვინაა ძოვს ბითთუმ.

ჩაქული – კედელი სწორი გამოვდესო ვიხმართ (შდრ. ლენძა). ესენი ბოდნე ერთ სისწორზე მოიტანს ქვებთ.

კალათი – თუთა ამაში დავჰკრიფავთ: ნამვი, კატარი... ესას (ტკეჩის) საძრობელი არი, გავაძრობთ, ედდა ისე ვდრეკავთ.

სახნისი – სახვნელია, აღარ დარჩა ისინი, დავჭარით, ახლა თრაქტორით ვიჯებთ.

მაჭა – ჰარებ დუბამთ, მაჭა დევეჭირავთ, ვკნავთა (მაჭა – გუთნის ტარი). მაჭა დასაჭერელი, საკნელი მიწაში მუშაობს.

ამასაც (ორსი? ცელის მოსაკოდი) ასე დუვასოფთ, თირფან მოსტყეპავთ.

შენ ბევრი მახვარათე მე.

მუხი – ლურსმანი.

მუჩი – ქვის სატეხი რკინის ჩივი/სოლი.

ჩივი – შეშას დავცემთ ცულსა, ამასა ჩავდებთ, ამასა დავსცემთ, გუვაპობთ.

მოთორის ემელი – ბემ მეთრო ხე მოვსჭრავთ, ედდა, მივასობთ, ბეშანქიში ასე მევეტაცებთ იმაზე, ძალლა (გავათრევთ). ხესა ათრევენ, მღერავენ: ძასა, ჰელესა, ჰეიმო, ჰეიმო... ასე გეთურურუს (გავათრევდით – ჩამწ.).

საფორჩხელი – ფოცხი, ესაც შეშიდამა.

ეს წყალი [სარწყავი] გოდლეკარიდამ მოვა. სადამოს ვავდებთ, დღისით ვწყავთა და.

## წისქვილი

შუმოდი, შუმოდი!

ხარული – ქერ ჩახყრი, ლაზუთ ჩახყრი.

ესაც კრუჭი, ამ დელუდიდან ჩავა, ჩაყრის.

ესაც ტაკტაკად (შდრ. სარეკელა).

ე – გუმოფქვილ ფქვილ ჩახყრის (ლაფერად, ფქვილის ასაღები ხის ნიჩაბი).

ფევოზი – ასე დუდეფ, არ დედექნიოს ფქვილი.



წისქვილი ქვა – ჭედლიანკარიდამ. არაბამა გეარა, იქიდამ იღებდა, ამა მოთოკვიდა კაცი, ართულ ფქვილ აქნევდა. ამისი მოზობელი, ასლან უსტა იჯებოდა იმა.

[წისქვილის] ღარი მიწაში დამჩალა. შემიდამ იყო, ახლა ბეთონიდამ ვქენევთ.

### ათოლი

კისხანჯი – სამჭედლოში რკინის დასაჭერი ბრტყელტუჩა/მაშა.

ყანთაროლი

\*\*\*

### ჭილათი

გაღმა ფიჩხიეთია, უტავისაა. ბევრნი იყენენ, რამ არ არიან, ორი კაცია.

აქას იდგნეს, წევნეს.

ევლეგი – ტერასა ყორეებით.

ზათი ბევრნი იყენეს და აღარ დარჩნეს.

ჭილოდ ისმინდა ერთი კაცი მოსულა, ჭილათი უთქმიან.

ჭილი ცხენი ყოლია, ჭრელი ძანი. სახელი ჭილოდ რქმევია და. ცხენი ხყოლია ათი და ჭილათი დაარქვეს.

არსაიდამ მოსული არ არიან, ძერლი არიან.

მეჭმედ იმამოლი

\*\*\*

### სასტუმროს ჰოლში

– ქორაჰმეთ მაჰალეში ცხოვრობენ, ერმენხევეკში, ახლა ერმენები აღარ არიან. სამი ხანე, ხუთი ხანე სომეხები იქნებიან.

– ახლა არ არიან გურჯები (პარხალში – ჩამწ.). სისხლი ქართველია, გურჯია. ახლა ჩვენ ვართ გურჯი.

– ხოდი არი, ხოდიც ქართულია, იციან გურჯიჯე, ჰო! არი'ან, გურჯი'ა, იციან გურჯიჯა.

– ძველათ იუსუფელის სახელი ვეჟანგეთია. ნახვარი – ახალთი, ნახვარი ვეჟანგეთი, ბაშქა იუსუფელი.

აიღინ თათარაშვილი,  
იაშარ გულან (მჭედლიშვილი).

\*\*\*

– ვაკიათი არი, ვანისჭევი არი, აგარა... მე ქობაკიდამ ვარ, ამი სოფლიდამ. ელიასჭევი არი, საფლაქეთი, არადეთი.

ლეკიანი – ნაბიანის ძაილაა.

სადგიყანა არი!

კოწახურა დორთ ქილისასკენაა, ძერე იჩი – ხარმუთია. ხისფოროთი ხევი შიგანაა, რაფერ გითხრა, ქართული არ იციან.

– წინაგარა, კარეთი, ვეჟანგეთი ზედთაა, ყარა დაღი არი (ყარა დაღი ძველი წყვდიადის თარგმანი ხომ არაა? შდრ. ყარა დაღი – შავი მთა – ჩამწ.).

\*\*\*

### ფიშნარკევი

- ამათურად ვერ მიხვარათია, ჭოვ. ესაა სააღლანები, სააღლანები მაჰალა.
- ხოწითებიდან მოვა წყალი.
- ზედთ აზლენკარი ტყე. ასე გუდმუვლიან და, ასე, ბალხში წესულა, აქ ემე არ უქნიან და ისე წესულან. ბალხიდანმე ჩუუვლიან.
- მე რა'ნა გეხვარათო, მე არ ვიცი თქვენი ხვარათა.
- მაღლა ქოხი აქვა და...
- რუსები ყოფილან იმხან და...
- რაცხა იცი, აა ის უთხარ.
- აქ ნაღვარედ არი, ნაღვარედ.
- ზამთარში აქ ვიყადო, ახლა აღარ ვართა. დედმური მივდოდით...
- იქ აღარაა, სახლები ჩემმხლა.
- ფილა, სმა – მაწვენი, ჩაი იმხან არ იყო. შარაფი შესვი ქალი შენ უკან არ წევდა... შარაფი დალიე, მუსლიმანობა წავაო, შენ მუსლიმანი არ ხარო, გეტყვიან.
- დათვი მო'ვდა წუხელი, გუმო'ვდა, გავაქციე.
- [დათვი] მალის (აქ: საქონელი – ჩამწ.) დუშმანი'ა.
- მელი არი, კურდღელი არი... ჩაქი/ჩაკი ბევრი'ა, ძინავხარ და, ტურამ დედმღავლა, და კაცი მოკტება, და ქალი.
- ისას ქართული'ა (ბალხი), იქ გიჯები ყოფილან, გაჭკვიანდენ აქ მოდენილან.
- ბალხი ისე არი? ჯუნუნ ეტყვიან, ჭკვა არ აქ და... ჭკვა მოსლიან, წესულან.
- მოცვა უნდა, შუბერო'და, ისე იქნება.
- ჭანებ ჭკვა არ აქვან. სიმინდ მეტი ჭამენ, ჭკვა მიემატა.
- დავ, ისენი ურუმ–ყურუმი არიან. იმან ხისიმი–მისიმი თამ არ იციან, სახში შამუა, მიგიპრის.
- მუხტარი არი'ა, ხედსუზი'ა. დავ, უთხარ. ჩემი სახელი აჰმედია, სახელმეტად
- ჭანკუტარანი. მე ყური დიმიგდე, იმ ხობო მუხტარმა უთხრა კი, ჭანყუტარამა გითხრა, ხედსუზიაო. მე ვებნევი და, მანქანა იყოს გავალ. მეჰმეტ ყარაგოზია მისი სახელი.
- ართვინი გურჯი ყოფილა, შავშეთი გურჯები ბევრი არიან, ახლა გადატრიალებულია.
- ჩემი ქალის ბაბომა ასი წლის იყო მოკტა, გურჯული არ იცოდა.
- ვლაპარიკობო ამბობენ და, ხვარათი ის არი.
- თუ გინდა, მოქცეთ ალაგი, სახლი'ნა მოქცე, ალაგი'ნა მოგცე, დაჰთესო, ჭამო.
- მატლიან წყარო იქაა, ზედთ.
- სოზან წყარო – იქ კუთხეა, გურჯისა.
- სოზან წყაროს ერთი ქოთან ალთუნი მაქვაო, იქ უთქმია, იქა (ვილაცას – ჩამწ.).
- პური ბოვრი იყოსო, უთქმია. მაწვენი კად იყო.

\*\*\*

### სასტუმროში

მოდრეკილან, გუვლიან და იქიდან დამჩალა ვირი.

– აქ ყვავები ბევრი ყოფილა, ყვავები (აქ: სოფლის მეტსახელი) უთქმიათ: ისე რატომ ებნედა, ისენი კუტუნაები არიან, ცხვრები. იმა ვერ იქმენ. დევსაკარად, იეთები იჩხუბებენ, ორთუენი ხარა–ხურად მილეთია. ჩვენ მედენიეთლი ინსან ვარ და...

ფერხულიო შენ ვერ გიქნიაო, მიქნიაო, იჩხუბებენ.

ჩვენში აქ შარაბი შესმა სირსხვილია. უჩუმად სმენ... დუგუნებში სმიდეს და უსკმენ მერე. იმფერი ილაპარიკებენ. ცალ–ცალკე დალევენ ფეხზე, თავი დაბრუნდა, გადელდებიან.

ჩვენში დუგუნები დიდვანია, ბევრი მილეთი მედყრები'ან. დუგუნი იქნა, დიდი'ა.

აქო იყო დუგუნი. მილეთი აქობად, იქობად მოვა... ბემ ძუზ მოვა: აქ არ ეტევიან (სასტუმროს ვრცელ ეზოზე გვეუბნება – ჩამწ.). ყაურმა ქნეს აქა, თაბალები არი, უსხმენ შიგან, ჭამენ და: ფილაა, ყაურმა...

აქ დუგუნში ბალხი მოვა, ქვაბელნი მოდი'ან, აქ მოდი'ან ფერხულში, ზღაფორიდამ მოდი'ან...

სიბე ფერხულ'ლობს, აბა!

ჩვენ ფერხულ ვეტყვით: დაჯექ, ადე, დეფიხვინე... ხალხი დეფიხვინებს.

ფაფაზი'ა ესა! (თანამოსაუბრეს აჯავრებს – ჩამწ.).

თქვენ შაჭმელი ჭამეთ და!.. მე არ ვშჭამ.

– ხომ გელდინიზ! (ახალმოსულს ესალმებიან – ჩამწ.).

– ერთი კაცი კუპრეთ ყოფილა. გოგო ყოფილა, ბგანო, დააშიკები'ა. უთქმიათ კი, წყალი მედყვანე, გოგო'ნა მოქცეთო. წყალი მოდყვანა, ბგანო არ მიცეს, კაცი გადაადდეს კევში, ის კანალი მუყყვანია. ერისმანის კანალიც მუყყვანია, ქელაზორის კანალიც ერმანებს მუყყვანია. აქ ყოფილან ერმენები, გურჯებს ერმენებს უძახიან.

იქ, ქომოთ, ქორიათ ერმანი ქეშიში ყოფილა.

ზათენ აქ, პარხალ, ერმანები არიან, არმენ ხევეკში. იმხან ერმანები ბოვრი ყოფილა. აქ ასკერი ჩუმოსულა, მალეები წუყყვანია. ჩემი ალაა ბალხიბარ ჩესულა.

– ჩვენში არ ვილოცო, არ ვიკითხო, გააგდეო, იტყვიან, ერმენიო, ხრისტიანიო.

და, არხატამ ამათი კად იქნებოდეს!

მუშაობენ და ფეხამური... უსტა არაა. ფეხამური რაა, რაფერ გაგანგებო! ფეხამურ ვეტყვით: ოთხი შევყარეთ, მე ვიცი საქმე, იმან არ იცის, ტალახ მოზილაგს, ფეხამურ ვეტყვით.

ალარ გეტყვი, აბა რამდენჯერ'ნა ჩასწერო?! ამან დაჰწერა, ამან!

– რეჯეფ, აქ არ გვიხვარათი'ა?

მე ბათუმში ჩამოველი, თქვენ ხალხ სხვა ერთგან ვიარე. ორი ხელა ბათუმში ჩამოველი, გორი ჩამოვედი.

– გუთლელად იხვარათებს, ბარბარად ვეტყვით (შდრ. აჭ. ბაგბაგად). ცუდი ხვარათი და!

– ბალხში წასულა სანადიროთა, მოდრევილა, ფეხზე გუხსნია. უსრიან არხატამებს. უხარიან კი, თხა მოვჰკალითო... კაცი ყოფილა.

თოვში გავაკეთებდით გზასა...

– ჯერ ჰავაშია (აქ: ჰაერში), ერთი ჩევდეს დაბლა და მერე მედკითხე...

არი, არი და ვერ მომიფერებია.

ტყეში უპოვნია გადაფეთხებული, ქოქებში გადაფეთხებული.

– ჩვენში ერთი კვერნა (სახელმეტად კაცისა – ჩამწ.) არი, ქათმებ ჭამსა. მაქინაძე დუბშია (მისაბმელი – ჩამწ.), ღენჭებ დასვამს, ამოზრება, იგი (მისაბმელი – ჩამწ.) თავდამ გაქანდება, აქ ჩუმუა, შეხედავს ღენჭები აღარაა. ტყეში უპუვია.

– იმისი ბაბოსა ხარის არაბა უშენებია. ფრენები (აქ: ურმის სამუხრუჭე – ჩამწ.) არ უქნია, თავდალმი წავა, დაძრიალდება და... ქოქებში გიერჭობა და... ხარი ტვირთი არაო და ცხენი მუყვანიან. ისიც დუუხრიკიან...

– ბალხში მგონი გიჯები არიან, ჭკვიანი არ არი.

მოკრეფულან ხალხი წესულან, ქვადა ჩამოდტანონ. ძიმე ვერ უწევნიან, ჩემი თავი შევტენოთო დელუგში. შუუტენიან. გაგორევითო, მე დაგხდებითო... ნახეს, თად არ აქვა. მისულან, ქალს უკითხვან: თად ქონდა თუ არაო შენ კაცს. წვერი ქონდა, შაჭმელ ჭამდაო, თად ქონდა თუ არაო, არ დიმიანხიაო.

– ჰად ა'რი? მეფყა'ნეთ და მეფყა'ნეთ! სათამაშებლა არი.

– ორი კაცი ყანაში მარილს დათესვენ. მარილი ამუ'ა? იცითა მარილი? არ ამოვი'და, კიდო დათესენ, არ ამოსულა. ამასაო მიწაში რასმე ჭამენ. თოფები წამუკიდიან, მისულან ყანაში, ერთი ამ ქენარში დამუდარა, მეორე – გაღმა ქენარში. ბუზი დაქდება შუბლზე, ასე უქნა, აჩვენა, აქ არიო! იქიდანაც ბრააგ, ესროლა, მოკლა. ერთი ბუზი, ერთი კაცი, არაფერიაო.

ჭანებს თავში არ აქვანო!

– ამან თურქა ჰად ისწავლა?

– ბურსას? მაშინ გეცოდინება და!

მე ორი წელწად მოსკოვ ვიყავ, მევლუდის უკან ვიყავ.

რამდენი დღეი'ნა იყოთ აქა? ხვალ მიხვალთ? რატომ ასე მალე მიხვალთ?

იქავრი ხალხი მეტი კად არ არიან.

– ისი ფულ იკრეფენ, შეჩოულა ისე. უმუშავებლაფ ფარა მოგება უნდანან. უწინ ვაძლევდით, ახლა აღარ ვაძლევთ. პრეზიდენტმა თქვა, მე ვაძლევ, თქვენ ნუ აძლევთო.

– ჩონ ერთი თემტი მუაკალვიეთ, ორასი, იქი ძუზ მივეციეთ. ქალები თად დაბურვილი? დოჩმენი (აქ: გადმოსახლებული) ყოფილან. ჩონ ქორიეთ მოვნეს, კალად ქნეს და... თემთს წონავს. ჩემი თემთი ონბემ კილო გამოვდა...

ზამთარში არა და ზღაფხულში არიან.

– ისენი პარხალიდამ გამოსულან. ბოწმინდა, კუპრეთი გურჯები არიან

ბოწმინდა ქომო უკანობანი.

კუპრეთს ქომო ცუცეკარაა...

– ჩემი დედემ ხყოფილა ბათუმ, პური უცხვია, იქ დამჩალა და. დეკაცი მალე გამოქცევლა...

– ნახვარ საათი უკან კარ დაყაფანებენ და ღამე დავჩებით კარში. გახვალ დილაზე, ღამეში ჰად იყავ? გეტყვის (ქალი), სახში არ მოხველ? გაგადებს, არ შიგიშვებს, აავ!

მე ვერ მეტყვის, ჰად იყავ? არ მოდ... არ მეტყვის (სერიოზულად მიიღო ხუმრობა აჰმედმა – ჩამწ.).

ად კაცი არ არი, ჭო. გითხარ მე შენ, აა ჩხაკი, აა – ესა. ის ვინაა, კარი დიმიყა-როს, აავ.

ქალი რაცხა ეტყვის, იმა იჯება.

ჩვენში ღამე ცხრა შეიქნება, დაწვე'ნა.

– ჩვენ ორმოზდარვა საათი ვყუმარობდით, ად არ წამოვდოდა, ემინოდა. ყილიჯი, ირმი ბირ (ოცდაერთი – ჩამწ.), ფურთი... მეც მაქვა ფული.

– ორი კაცი მოვდოდეს, მიცემდეს... ახლა ის აღარაა.

ჩვენ ქოძში... აქ რაცხა იჯები, იქა ხებერ ამღევს: დაშარი არი, კვერნა არი...

სათ წახველი?

– აზლენკარ ყოფი'ლა ზალიან დიდი ტყე. იქ ყოფი'ლა ტყი კაცი. ტყი კაცი სალიანებში ჩასუ'ლა, ამათ კარში ყოფილა ნარცხი. იქა ღვიორო უნახი'ა და მოჰკიდა ხელი, გაქცე'ვლა და ტყე დუწვი'ა. იმის მერე გურჯისტანში წესულან ტყი კაცე'ბი, აღარ ყოფი'ლან აქა. იქ არი'ან, ჰო!

– თქვენ სოფელში არ მოინეს? მაიმუნები რაფერია იცი? ტყეში კი გახვალ, შენ რაცხა ელაპარიკები, აანი გელაპარიკება. კამ ხარა? ისაც „კამ ხარა?“ – გეტყვის. რას საქმომ? ისეც „რას საქმომ?“ ჩვენსავეფ არაა, აქ იყო წვერიანი (წვეროსან მეზობელზე გვეუბნება მთხრობელი – ჩამწ.), წვერი იმაზე ბეთი აქ. მე არ მინახია და! წვერიანი ბალანები აქვა, ცხვირი აქვა, ყური აქვა, თვალი აქვა...

დედეებმა, ბაბოებმა გვითხრენ: ტყეში დევნახეთ, ასე დევლაპარიკეთ.

– კონჭოლიზი რაა იცი? ასე მოდიდო გოგო, არ გათხოვლა და იმას ეტყვიან კონჭოლიზიო.

– თქვენში ხორთლაღები არი'ან? აქ არი'ან! ამისი ებედ ადგა, ჰოუ? ბებრი ყოფი'ლა, ადგა და დეიჭირეს, მასკვა თავი მუჭრიან და კიდევა, ჰოუ?

მე არ გიმიგნია ესა.

შენ რა'ნა გეგნა, გუშინდელი ღარჭი ხარ, ჰოუ? მაღლა სერზე ყოფილა დამარხილი ხორთლა'ლი. ჩვენც ისე გევგონეთ და. მოკტა, დააყაფანეს, გათავდა! ადგომილი კტარი იქნება?

– რა უნდოდა?

– ოქულში წევდოდით, გურჯულა ლაპარიკი არ არი. ხელზე გისკმიდა, თავზე გისკმიდა ორეთმენი. გურჯი ლაპარიკი არა, თურქი'და ილაპარიკო. მუჰელიმი გურჯიკ კი იყვეს, ისის კი ვერ ილაპარიკებს.

გურჯი ლაპარიკი რატომაა იცი? თურქი ვერ გიხვარათია. ახლა ჩვენში გურჯიჯა მოზარდმა მეტი არ იცის.

ახლა თქვენში მარტო გურჯი ხვარათი არი თუ?

– ჩვენშისაც ადნია და? აქა ა' მოქცემენ, ძავ! თურქი დევლეთი, ასე არ უდელიო, თამამ მოქცემს, ქურთეფსავეფ თუ უდელიე...

გურჯი აბლია აქა! აქიდან მიდიან ბითავად. არ გამღევს, აქიდანე წასახა, წასახა, სერვისი მისცა, სარიგოლ ავლიებენ აქედამ. აქ მექთები აღარ არი. ღენჭები არ არიან და, აბლია. აქ ბითთავად ემექლები ვართ აქა. ჩვენსავეფ ბერებია, ღენჭი არ არი. დოხსა გურჯები ბევრია თურქიემი: ორდუს არი'ან, გოლოჯუქ არი'ან, გირესუნ არი'ან... გურჯები ბევრნი არიან და მოდენილი. ბურსა ჩოლი ამ სოფლიდამ არიან.

იმან მის დედედამ, ბაბოდამ ისწავლა. იტყვება, ტყვილია ესა. ტყვილი არადა ზოგს არ დაამიწყებინან, ილაპარიკებენ, ახსოვს. ჩვენ ართუდ დევვიწყეთ.

ამაში ჭკუა არა და? არაა და ხკითხე! არ აქვა და.

ბაბა ანე, გურჯიჯა – ებედ.

ემი (მეუღლე – ჩამწ.) – დეკაცი.

კაცი – ბებერი.

– დედეს თქვენ რას ეტყვიან? ალასი (ალა აქ: მამა) ალად – ბაბუა? ჩვენ დედე ვეტყვიან, მესელა, ბაბა ალასა.

ჰად მიხვალ, ბებერო, არ დედაკა'რქო...

უწინ გურჯისტანიდან ვინმე მოსულა, კაცი თხრის ყანაში და, დუღუბახებს, სალამი კაცო, როგორ ხარ, ქართველი ხარ?

არა, ყანას ვთესავო, კაცმა. გონებია, ქართოლ თესავო? არა, სოღან ვთესავო.

– ესეს ეჩქარება, ესეს კარ დუკეტვენ.

მალლა, ბაღნები რომ ვაფერხულეთ, ამისი ბაღანა იყო. ამან კი დედაგვიანოს, ქალი არ შუშვებს სახში. ქალიდამა ამასაც ეშინია. ვის არ ეშინია?

სოზაჯი არი, ოსმანი, ქობაურია ისა.

ჩვენში ტყვილი ლაპარიკი მეტი არ იცინა. ერთანე არი, ის თუ შენთან არი, დილამდე არ გიგიშვებს.

შესვი, შესვი და წევდეთ.

აჰმედ ბაქანი, სალიანი  
აჰმედ მოლახოლი, ჭედლიანი  
მეველუდ ბაქმაზი

\*\*\*

### ქობაკი//ქობაი

ქლიკები ენთება. შენ რამდენი წლის ხარა? ჩემზე დიდი ხარ!

აჰ სახლი და!

დაჰინანის ქობია. ფუტკარადის ემე მქონდა, კარტი და დიმიტვენია ჰაცხა.

სახლი იტყვიან, ქობი იტყვიან.

– ყვერე და, ყვერე გაკეთებული, თქვენ ყვერე არ იტყვიან თუ? ქვით ყორე გაკეთდება; კარი'და გადუზო (აქ: გადარაზო/ჩარაზო).

ქვები მისთვიდან ისეა, ჩაქუჩით გაჰტეხავ, მედტან. მე შუმანას ვიცნობ, უწინ მოდდა, სოფლებში ვარუნე, პროფესორი'და გავხდეთ.

ჩაქუჩს მატრუკას ვეტყვიან, დემურჯი აკეთებდა, იმისი უსტა სხვაა. აქ უწინ იყო, ჰამა მოკტა. ის ჩემი დედე იყო, ჰუსედნ დედე.

აქ უწინ ბოვრი ხალხი იყვენ. თელი ჩაწერა ბევრი ვახტი უნდა.

ამ სოფელში თელი//ყოლა უსტა იყო. ჩვენ წოვდოდით, ერზრუმ ვისაქმებდით.

ქობის გაკეთებაზე თელი სოფელი ვეშველებოდით: მეშველი და, მეშველი იქნებოდა. დღეს მე ვაკეთებ ქობს, შენ მეშველები, ხვალ შენ აკეთებ, შენ გეშველები, ვსიო, იშტა.

მე ხუთ წელიწად აღმანია ვისაქმე, ჰამა ჰიჩ არ შიმეყვარდეს... იქ ტურკები ბოვრია. აქ თელი გურჯები არიან, ჰამა ჩვენც ტურკი ვართ, გურჯი ვარ ჰამა, ის ემეში (ჰ/მოწმობაში – ჩამწ.) თურკი წერია, ჯუმურიეთი ისე წერავს. ერდოღანის კაცები ვართ ჩვენ. ჰანია, ჰამა კად კაცია. ამ სირთებს გადაღმა მათი სოფელია.

ჩემი ქალი გურჯია, ხევადამ. ხეველამს ქალი ვიტყვიან, ხევაერი ქალი, გოგო იშტე. ჩემი ერთი (ცოლი – ჩამწ.) მოკტა და ისევ იქიდან დაექორწილდი.

ჩემი დედე ბათუმ მომკტარა, ფურუნჯი იყო, პურ აცხოზდა. ჩემი დედე მე ა' მახსოვს. ჩემი სამი დედე იქ იყვენ, პურ აცხოზდენ, ტიფლისს ყოფილან...



– სახლი ავაშენოთ?

თემელ გაკთხრი. თემელში ყურბან დაჰკლი, თემელ ამოთხრიდეს, ყურბან დაჰკლიდეს. თქვენ მუსლიმანი ხართა თუ ხრისტიანი? მუსლიმანი გედგნებს და იმიტომ ვამბობ. თემელ ამედღებდეს, ქვას ჩააწყობდეს, თამამ. მერე სახლი გააკეთებს. მეც უსტა ვარ და. ხალხ მოვჰკრებდით, ყურბანი ხორც ვადუღებდით, ვაჭამდით. ყოლას დუმახებდით: ფაქუჩი (აქ: ჩაქუჩი), მალა, ტალახი... სხვა რამ არა. მიწით ვაშენებდით, ეს თეელი ტალახით ნაშენებია.

გომოდით ჩემ კალოზე, ჰემ ბალი ჭამეთ (ეზოში გვეპატიჟება ხალილი – ჩამწ.).

კალოზე ქერი, დიკა... მოვტანდით, ვლეწიდით. ჰარები ვატრიალებდით. კვერი იცით? ჩემს ალაბეს აქვა, ჰამა მე არ მაქვა. ჰარებით ვლეწიდით, ვლეწიდით, ჰო, ჰოო, ჰოოო (ხელის მოძრაობით გამოხატავს აღფრთოვანებას მთხრობელი – ჩამწ.).

ზომოთ ადი, დეაწიე ტალი, ჰამე ბალი. ზედთ გადი და, გადი, ტალი დეაწიე (თავაზობს ნონას ბალს მასპინძელი – ჩამწ.).

თემელის ქვა სიკლია ტყიდან მოქონდენ. ძარა, ძარა გედგნება? ძარით ვატრევდით თოვლში: გზა გავაკეთებდით, იმხან მემველ ვიქმოდით იმტე: ათი კაცი, ათი თანე ძარა. იქა დავღინიდით (მოვზვინავდით – ჩამწ.), ძარაში ჩავხყრიდით, მოვტანდით. თოკი მობმული წამედამ ბეჭხე, გამოჰწევ, ჩამოა. თოვლში ადვილათ ცურავს და, აცურეფ.

ქვა ცხენით არ ვზიდიდით, ცხენით შეშა ვზიდიდით, სახრაკავ (დასაწვავ – ჩამწ.) შეშას. სახში, სობაში არ ანთებ, სახრაკავია და. აჰა და აჰა შეშა, ამაღ არი, ამაღ... თივასა, შიშასა ცხენითა, ქვა – ძარითა. ზურგით არა. თელს ცხენი გვეავდა, ახლა არ არი.

მანქანა გამოდდა ახლა, ცხენი რა'ნდა ვქნა? იმხან ათი ძროხა, რვა მალი მყავდა, ახლა – ერთი.

– ყორენა გააკეთო, ორი მეტრო–ნახევარი გამედტანე. ძირ არი ბოსელი, გედგონე? ონდასორა, ბოსელი ხევნარი'ნა გუკარო, სხვილი ხევნარი, ასე, დუბანდო, ტახტები'ნა დაგო, ფიცარი, ტალახი'ნა გააკეთო, ათი სანთიმი ტალახი'ნა დაასხა. ბოსლიდამ სული არ გამოდდესო.

კედლები ხიზრით დავხიზრავდით, ოთხი მეტრი ხე იქნებოდა. ხე – კატარი იყო. ხიზარით დავხიზრავდით, ხიზრითა: სამი კაცი, ორი – ძირიდამ, ერთი – თავიდამ, დავხიზრავდით.

ხიზარი და! ერთი თავიდამ, ერთი – ქვეშ. ტახტები, მარანკოზი (ხითხურო – ჩამწ.) უსტა სხვაა, შენ გააგნებე.

ის ყორე ძუზ ირმი წლისაა, ქირიშიც – ისეა. ჰამა შექნილი კვარი... კვარი გედგნება?

– თივის ჩასაყრელი – გაბა (შდრ. ბაგა). თივა'ნა ჩაყარო შიგან. ბოსელში საზღვავი არი, იქიდან გადის ძროხის შარდი. შენ კად გურჯი არ ხარ (ნუგზარს მიმართავს კითხვებით შეწუხებული მთხრობელი – ჩამწ.).

ნეხვი აქო მოვა, მერე სანაწყული მივა, აქიდამ სანაწყულ. ახლა შენ გაგაგნებო და ამათ უთხარ შენ.

კედელ გააკეთებ კონდები'და გუყარო, ფიცარი'და დააგო. ბოსლიდან კიბე იყო, სათვლელე? სანათვლელე ვეტყვოდით. კიბე იყო, კიბე. თავიდან კარი ხქონდა, დააწყდო (აქ: დაახურო – ჩამწ.).

შუა კათში/ყათში ჩვენ ვცხოვრობთ, ზემო ყათიც – სათივრე. ის ჩემი დეგანი მუჰამმერი: ჩემი ემდას შვილისი ღარჭია და: მისი ნენე ჩემი ემედს შვილი.

– იმათი დერი ადრი იყო, მოჩითლული (შემოლობილი? – ჩამწ.), ქორი: თხები, ცხვარი შეხყრიდი იქა. თხაც იყო, ცხვარიც იყო ზათი.

გარედამც იყო კიბე, შიგნიდამც – იყო. აქ მეტი ბევრი გათოვდება: ორი მეტრო, სამი მეტრო. იქ ცურავს თოვლი.

– დათვები არიან, თხები არიან, დაბანი თხა. ტურა აქ არ არი. აქ ტავშანი არი, მელი – არი, გელი – არი, ქექლიქი – არი, პატინაჲ არი, ქათამსავენ. გარეველი ქათამი არი: შავი ქათამი, მრეხი (ბრეში – ნაცრისფერი) ქათამი.

საყელო იყო, ზათი ისე იყო, ზენჯირი არ იყო, საყელო იყო. ახლა ზენჯირია, ბაწარსაც მუაბამდით კისერზე.

სხვა რამ არ ვუძახით კი, ფუტკარი.

– შენ სამ ოდა გაკეთებ, მე ორ ოდა გავაკეთებ, ყველას ერთნაირი არ იქნება.

მე ორ წლის ვყოფილვარ ბაბოდ მომკტარა, დედედ არ მახსოვს.

ის მოკტა, მემედი. მეტი წარე არაა, წკიბილია, წკიბილი (აქ: ტკბილი – ჩამწ.).

– დინენედ იყო ჩემი ბაბოსი ანაჲ, ბაბა ანედ, უფროსი, ჩემი ებედ (აქ: ბებია – ჩამწ.). შენ გედგენ თუ! ჩემ ბაბოსი ანაჲ, ებედ.

**ხალილ იმამოღლი – ხოჯიანი**

\*\*\*

რა იყო, ჭოვ, დამამიწყდა, ავ. დედედ რაა იცი? დიდი დედესი სახელი მქვია, ეუბი, სულალე ეუბოღლი. ბევრი თურჩე იციან იქ, ბათუმში. მუსლიმები არიან ქი სოფლებში?

– ანაჲ რა ებნევიტ?

– რუსები მოსულან. იქეთური სახლი, ხედავ? კამანდარი იქ მდგარა.

სახელმეტად იცი თუ, სახელმეტად.. იქ რომ დგანან, იმათ კამანდარ უძახიან, კამანდარ – რუსი?

იმ სახლში ვინც ცხოვრობს, სახელმეტად – კამანდარი.

ქობად მეჰელეები:

ეს ზოჰომელე.

ქვედთ ნეზიანნი//ნაზიანი.

პატინაჲ მაჰალე – ადნიანი.

გაღმაჲ – გაღმა მაჰალე.

სარგ კარი გეელო აჲ, მაშინ... რა'ნდა მეთქვა, ჭო, მოვიდა ორი თანე რძალი, ორი ძმად, იმათი ქალები. ჰამა მაშინ აქ არ ვიყავით, თველი იყო. წასული ვიყავით, ქომო ვიყავით. ჩვენ თორუნოღლები ვართო, იმათა, ჩემი ტადაები არიან თორუნოღლები. ისინი არიან ბევრნი და ერთი ბიჭი არი, ნეჯათ აჲზიჯი. სულალე – გოგოვანნი.

მემრე ერთი ებედ ყოფილა, რაჰოდ, ახლა რაჰოებს უძახიან.

ქომო სალიფიანნი არიან, ისინი თლათ გედგალნეს;

დევერიშიანნი არიან,  
ხოჯიანნი არიან,  
უსტაალნი არიან,  
ფერჩიანნი არიან, ბევრი ჰამა გედვალნეს, წევნენ.  
ღარჭები არ არიან, მექტები არ არის, გედვალნეს ფაქა მილლეთი.  
ჩვენ იქ (ჭილათში) სამი თანე მეჰლე გვაქვა ქვაბელთა: ჭილათი, მახათეთი,  
ფიქალთა.

აქ ზღაფხულში ვართ, ზამთარში – იქ. აგრები გათავდა, თლათ ჩემძლა  
აგრები: ქეთქეთი, ლეკნარი. მე აგარა ქეთქეთი მქონდა, აქედამ წებვალ, ლეკნარ –  
გებვალ.

– ერმანი ხევექ//ხევეკ გედგონე თუ, იქ იყვენ ერმენები. იქ ყოფილან, ჰამა ახლა  
გაცლილან ფაქა ისტამბულ. დოხ, ერმენები ყოფილან, მე რა ვიცი, ჭო? პარხალ  
ქილისა არი? წახველ თუ პარხალ, ჰამა რა ქილისა არა?! ღარი დედანახევი, ღარი?  
შიდამონი(?) ღარები აქვან პარხალ ქილისას.

ემეში წახველით თუ, იშხან? ჰამა იშხანი კარქა დანგრევლა, დავ. გააკეთეს თუ?  
მე ეფედვე ხანია არ წევსულვარ.

დორთ ქილისა არი, შვიდი კილომეტრი. მე წასული ვარ, იქეთობაში, ჭო!

ფარუქ ჩელიქი გედგონე, ბაქანი, ახლა აღარ არი, იშხან მოდდა, მარა სოფლები  
ასე, იშხან წაველი, ერთიც მასკვან წაველი. ხმელი სირთზე მიხვალ, გახვალ – კამ  
სოფელია. ქომოდამ მიხვალ რამ არ არი და, ჰამა წყალი არ აქვა.

– მე ვუთხარი შუმანა ფუტკარა ზადეს, შენ მოგგავს–მეთქი. იმან თქვა, თქვენი  
ლაპარიკი ორას წელიწად წინ გურჯი ანის ლაპარიკობდაო, თქვა მა! ჩვენ  
დაგვბიწყებია, ასიმილე ვქნილვართ.

– ზამთრი ჩუმოსულა: მურლულიდან მერე გამოხვალ თეფე არი, თეფედამ მერე  
დიქინა, შავი (აქ: შვავი) არ ჩამოვდესო, სირთიდაამ მერე ჩუმუვლიან, ხევიდამ  
გუმუვლიან, დუზით გუვლიან, ჭალეებში მოსლამდე, სირთიდამ ქომოთვე  
ჩამოსულან. მინარეფ უძახიან, მაშინ გურჯისტან აქიდამე დედეები წასულან,  
დედესა ფურუნი ქონებია, პური უცხვია ბათუმ. აქ მაშინ რუსჯა ცოდნებიან. მოვა და  
რუსი! რა ვიცი, ჭოუ?

აქ სამი სოფელი არი, არ ვიცი ქი. რვა საათზე მურლულ ჩახვალ.

**ეუბ ეუბოლლი**

\*\*\*

### **სადგი ყანა**

მე რაათსუზი ვარ, ვერ გიმიგონია ქი.

მე ხასან ჩელიქი ვარ, ეს ბაბომა ჩემი, ჩულეგიანი – სოდადი.

ასე მუწიე! ათერთი ხანეა აქ.

იეთი ისაა, ეს სადიყანაა. იმა ვერ გუუგონია, ვერა და, ყურიდან აბლია.

– ესენი დაილაში მიდიოდეს, ჩვენ მეზრაში მივდოდით. ძველი დაილა ყოფილა,  
ძალიანი, ახლა არაა. ებეები//ნენეები წევდოდენ დაილაზე.

– დილამდე ვიფერხულებდით გურჯი ფერხული:

გევარე გა[ღ]მი ტყეში/გევარე გა[ღ]მი ტყეში...

ამან იცის „წა ცავ“, ფერხული იცის, იმა ტიკი უნდა, ბევრი ხალხი უნდა, ასე  
ვერ იფერხულავს.

– სახში მივნეთ, სალონია, იქ ვიყნეთო (ქარი ამოვარდა და სახლში მიგვიწვიეს – ჩამწ.).

– ყურბან დედემ კაკაჩია (ყაყაჩო), კაკაჩები, კაკაჩიანი.

ეს იყო ძველათ, დიდი მანქანა ყავდა, ხალხ ის მუტანე, ეს მუტანე... ნახშირი, შიშა...

– ბზე ნაღდი იზოლაციონია. სახლის ზეიდან ბზე დაყარა, არ დაწვავდა, არ დემწვებოდა.

– ად ვაზი ფურცელია, ადესასი ფურცელი.

– ახლა ორი მასწავლებელი იყოს, მე მივცემ ოტელს, ღარჭებს ასწავლებს (ქართულს – ჩამწ.).

– შად ყურძნიდან იჯებიან ბეთმეზი.

### ჰასან ჩელიქი, ჩულეგანი

\*\*\*

ეს დევთისადა! შემოვბრუნდეთ – იეთისი ბარია, ეს – პარხლისია.

ეს ნავანეა, ზედო ქოხებია – ტალავარი, იმის ზეით – ნაგარემ ტყეა.

ად ნაგარემ (ნაგარემ<\*ნაგარევი<\*ნალარევი<\*ნალვარევი) თეფე!

ად ყარალიქ დერე (შავი ხევი შდრ. წყვდიადი) – ბუქ ხევეკი. საძოვრები არიო? არი, ბევრი შორსაა.

თქვენ ახლა რაზე იმა იჯებით?

ჰაიდე, გულეგულე!

\*\*\*

### სასტუმროს ჰოლში

აქო ბითევ ქართული იყო.

აჰა მე გითხრა: ქონობანი გაყოფილია, მასკვად გაყოფილია. ჩვენი ბარი და მეზრეს სახელები ერთია.

მე კვევარი ვარ, ჰამა ერთმანეთში თუ მოვალთ, მე დევსაკრული ვარ.

ენწინ მოსულან ჩვენი, მაღლა გასულან, მეზრეში, მაილა არი, გასულან იქ, დამალულან, მასკვან წამოსულან აქ. გუმოქცევლან, ჩვენი ქი გურჯები თევნარი გუხარდებიან, მაღლა'ნა იყვენ, ცხელად არ'ნა იყვენ, შიშა ბევრი'ნა იყვენ, ენწინ მაღლა დასახლებულან: ფიშნარხელები, ხევაკრები, იეთლები. ჩემ დედესი დედეს აქ უშენებიაო (ქოხი – ჩამწ.), დედემ იტყოდა, მას აქ უშენებია (დედეს – ჩამწ.). იქვერი ადგილები ძველია, აქვერი – ახალი გატეხილი, ბარი მასკვა გატეხილია.

მიხტი ახლა? ენწინ მაღლა დამჯდარან, მასკვა თავდადმი წუმოსულან: ადგილები გუტეხიან, სახლები გუკეთებიან. მთაში გადი, ადგილები არი.

აქ ბევრი ხევნარი ყოფილა, ჩიტი ვერ გაძრებოდა – ელიასხევე, იეთი, ხევად... ჩამოსულან აქ, დუჭირიან, სახლები–მახლები უკეთებიან, გაღმა ყანები ჩემ ადასაც ახსოვს, ახალი ნაქნარია. ასი წელიწადის უკან ჩამოსულან აქ. ჩვენი ქართველები ენწინ ბარში არ დაქდებიან, ენწინ თევნარში'ნა გევნენ... თურქიეში ორდუ, ადაფაზარი, უნიე... ჰად არიან ჩვენი ქართველები იცი? თევნარში

– კარზე ხევაკრი ვარო, იტყვის, ჰამა შიგან შემოელით, მე ხევაკრი ვარ, არ ვიტყვი, ფიშნარკველი ვარ, მე დევსაკრული ვარ, იეთური... ადგილის სახელი დევსაკარა, მე – დევსაკრული, ფიშნარკვეი – ფიშნარკველი, იეთი – იეთური. იეთური – ფოშაა, ხუმრობაა ა! ელიასხევი – ელიასხევი.

ილისხვევი არა, ელიასხვევი (გაუსწორა ნუგზარს მთხრობელმა – ჩამწ.), ელია ღმერთია, მასისიც ღმერთია, მასისი ღმერთის თა არი. მასი ღმერთის სახელია. დიდი თა არი, დიდი თა, ესა მასისის თა არი. ენ დიდი თა არი, ღმერთის თა არი: ღმერთისი, მასისი.

– დევსაკარაჲს ბარის სოფლები მე გითხრა შენ: ჭედლანკარი, დოლეჯანკარი, გოდლეკარი, ქონობანი. ეს დევსაკარაჲს ბარი.

ქონობანი, ბასლეკარი, გოდლეკარი, დოლეჯანკარი, კრაეკარი,, ჭეილანკარი.

სადგიყანა და ობლეკარი ნახვარი დევსაკარაჲს ბარია. იეთებ მუცემიან ნახვარ–ნახვარი. ადრე ჩვენი ყოფილა. იეთებთა ადგილი მუცემიან.

ქონობანის ნახვარიც ფიშნარხესაა. ქონობანი მეზრეში ცუცეკარ არიან, ჭეილენკარ არიან.

ფიშნარხეც: ხამფიანკარი, ვაჩეკარი, ქოსეთები. ქოსეთი რა არი? ვერ მივმხტარვარ.

ბასლეკარი – ბასლეკარ გავა, სხვა ადგილი არ არი, გოდლეკარი გავა ჭეილანკარში.

დოლეჯიანკარი – ჭეილანკარი, შაბანიანკარი.

კრაეკარი – ჭეილანკარ გავა.

ბარი ჭეილანკარი გავა ზომო ჭეილანკარ, ზომო ბასლეკარ.

აილა ერთანე იყო, დოქ, სამი თანე აილა იყო: გოდლეტები და დოლენჯანი ნატბევ წევდოდენ.

ჩვენ წევდოდით... ბასლეთები, ჭეილანები, კრაეთები წევდოდით დუგურ.

ძველათ შაბანიან აილა იყო. უვლიან იქა, ჰამა მე არ მახსოვს.

ნატბევი დუგურის ქომოა.

არხავი, ფინდიკლი გადავა ჩვენი ადგილი, ჩვენი ადგილი ბევრია. აქევრ ქართველებთა ქონებია არხავ ჩასლამდე, ქარის საწველი ადგილი ჰქონია, ხუთი ადგილი, ექვსი ადგილი. გურჯი ყაფი, კარი იქაა გადავლილი, სინორი.

დევსაკარაჲს მეჰლეები მალლიდამ დევბაშლოთ: ბასლეკარი, შაბანიანკარი (შაბანი – სახელი კაცის, ინფორმატორის განმარტება), ჭედლანკარი, ცერეკარი.

ცერე რა არი? (კითხულობს ინფორმატორი – ჩამწ.). ჭედლიანკარი სხვაა, ჭედლანკარი – სხვა.

ჭედლანკარი რა არი? ჭედელი სხვა არი, ჭედლანი – სხვა.

ახლა მე გარეთ მიცდიან, გევდე'ნა.

**რეჯებ ქეჩეჯი, ყაჭიშვილი**

\*\*\*

– მაიდანოზი, დავჰკრავთ, მოვთუთქავ ზეთში, ვჰჰამთა. მაწონში ჩავეყრით...

ღორი მარქვალსა ჰამს. ღორი მოგიკლავს (აქ: მომიკლავს). ხობო ვერ მიჰამია, იგი ვჰამო?

**მევლუდ ბაქმაზი**

\*\*\*

**ობლეკარი**

ქომოდამ გამოველით, ქომო მაჰალეში ვიყავთ, ქორიათ მაჰალეში.

ძველი მეზრე ეს არი. ზამთრი – დევთისა, აილა – დუგური. ა ის აილა ჩემია, ჭოროხლაქეთი, ჰამა თხუთმეტი წელწადია არ გავსულვარ.

ობლევარ ცხრა–ათი ხანეა. იეთიდამ ჩესული ოცდაათი ხანეა. აუზეღლი წლის წინ ჩესულან.

ესენი მიდიან ახლა კოკოლაზე, კატრიდამ ჩამუარდება, ის'ნა მოკრიფონ აქ ტყეში.

წითელი თუ იქნება – გავრი ჯიმჭველიაო, შავი – თურქი.

ჩემი დედე ისაა. იმის უკან მივალთ ჩვენც. ბათუმ დევლეთ უნივერსიტეტდა გიდიერუმ. ჩვენც წუმოვდეთ თუ არა?

სამი ბგანო, პეტერა – ბიჭი.

აქობაში'და მოკრიფოთ. დავუზია და ჩაყრი...

კანაფურა (მცენარეა – ჩამწ.), დარუნალი.

**ფატმა ილმაჯი (ისმაილიანი)**

\*\*\*

**არჯევანის ხევი**

– წინცკარო, თორნიათი (აილა), არსუქარ (<[კ]არსუქან?), მინდორთ აილა, ნასელავ// ნასელევ, ქონალაა//ქონალარ.

სულალები: დედესანი ოღლულარ,

უსტაოღლი.

ადგილები:

ქილისა, გავრუმ დუზი (იქ არაფერი არაა – ინფრომატორის შენიშვნა).

**ჰაზილ ალთუნთაში**

\*\*\*

სალჭალა (შდრ. სხალჭალა),

კუსხალთი (<\*კუცხალი<\*კუწყალი?),

გურნეთევი (სირთი) (შდრ. გურნათელი – ჩამწ.),

კორდენუმ სირთი (შდრ. კორდიანი სერი),

ნაყორუნ დუზუ//დუზი (შდრ. ნაყორავი ველი), ჩოქ ვარ და!

ოგეჩა (ყანა),

ფაცალუმ თარლასი,

ქურუნუნ სირთი,

მანბაკუნანუნ დუზი (შდრ. მანბაკუნის ველი?).

ნებრი წინ აქ ორი გურჯი ძმა დამჩალა, სხვები წესულან. ბუ მაჰალე უჩ სულალე.

\*\*\*

**წისქვილში:**

ჩახჩახ (სარეკელა – ხმაბამპითი?),

დოლი,

არფანუმ უჯრე (ხარო. შდრ. ხორბლის უჯრა!),

ბედევრე (<\*ფედევრე?).

\*\*\*

**გზაში:**

**სოფლის მაჰალეები:**

თოფალოღლულარ'ი,

გონთი,



ედილოღლულარ'ი,  
წითელოღლიღარ'ი,  
ყადიოღლულარ'ი,  
ყიშლა,  
სუდეფოსი (შდრ. სუდეპო),  
გავრინუმ დუზი (ქილისას ადგილს უწოდებენ – ჩამწ.).

#### ადგილები:

კოსქეთი (ტყე. შდრ. რკოს ქედი).  
არჯევანი,  
საჯვერეთი (შდრ. საჯვარეთი),  
ტოისხალი (<\*წოისწყალი?),  
არმემენი (შდრ. არმაშენი),  
ტატვანა,  
ოიდემი (<\*ოგდემი?),  
ქუმნარა (სოფელი),  
შადუთი,  
ვეჟანგეთი,  
ფუსუფელი.

რამიზ თოსუნი, უსტაოღლი

\*\*\*

ქოთანალარ//ქოთანები,  
წითელოღლიღარ,  
წოღწყალი (სოფელი),  
წოიწყალი/დევისწყალი (მდინარე),  
ვაკე ცხენუნ ტაში(?) ან ვაკეთენუნ ტაში (შდრ. ვაკეთის ქვა. უჭირდა გამოთქმა –  
ჩამწ.),  
საზმნო თეფესი (\*სამმანო თეფესი),  
ოგეჩანუნ მეშასი (შდრ. ოგეჩის ტყე).

\*\*\*

ზოთბარი, წოიბარი – ახლა ესენდალ ყალესი.  
ბერყანა,  
სელე – ზათინ გურჯიჯე (ინფორმატორის რეპლიკა – ჩამწ.).  
ლიყიეთი,  
ხინზი ხოვ (შდრ. ხინძი ხევი).

რაფეთ ერდოღანი

\*\*\*

#### ესენდალი

ვაკე,  
ლოღიან ყანა,  
შადუთი,  
სუმბათეთი,  
ქედა,

ბაშკარეთი.

### ვაზი

თურვანდა (თეთრი),  
ბუტკო,  
კივითა (კვირტა?),  
ჯინეში,  
ელვანი (შავი ყურძენი),  
დევეურ (დევიეთური?).

### ადგილები

კოდაგარა – ქართულია,  
სურნათი – ადგილია, ქოხებიც არის...  
ნაყორთი,  
ბოუთი.

### არმუთის მაჰალეები

ნაკობარი,  
ბახჩელი,  
ისრეთი,  
სალვეთი,  
ჯირო,  
ქეთქეთი,  
ვარმეთი,  
ორთახევი//ორთახეი.

### ხემრუთი/ხერმუთი

აქ ყველფერი ქართულია – ბახჩების სახელები ქართულიაო (გვითხრა ინფორმატორმა თურქულად – ჩამწ.):

ჭალათი – ქართულია ჭალათი?  
ქუსრეთ',  
კაპანდიბი//გაბანდიბი,  
ჯიროდ,  
სასეფელი/სასეპელი (მეზრე. შდრ. საზეპელი – ჩამწ.),  
ქერათი (მეზრე),  
ბურათი,  
ჭალათი,  
სექუ,  
ქეთქეთი,  
ტალბეთი,  
ფოსო (შდრ. ფესვი),  
ისრეთი,  
ორთახე (ორთახეი?),  
ბახთერი (მეზრეს უბანი),

ჯინჭვანე (ტყე. ტყის ხევიაო – ინფორმატორმა), შდრ. ჯინწვანე.  
ირმაყეე (ირმაკეე?),  
ვაჭათი,  
ფალანჯი.  
ქართული არ არისო აქ, მოხუცმა. ქართული ქვემოთააო (გვითხრა  
თურქულად, გიდმა გვითარგმნა ქვაბაგურად).

**ვეჟანგეთი** (იუსუფელის უბანი, საცხოვრებელი):

ხორანგელ,  
დენგიშელი,  
საფანეთი. საფანეთ მივდეთ'ნა? (გვეკითხება ქობაელი გიდი),  
მიხიხი//იხუხი,  
ქერევეთი,  
საბანეთი (მეზრე),  
უშუგუნ ტაში,  
ხასეთი,  
თაზეთი,  
ვანათ',  
გაზვერეთი.

**იბრაიმ ქუჩუქშენ–სანიგილი**

\*\*\*

**ანზავის ხეობა**

ქერგერი – ანზავის ხეი,  
აქვერ',  
ისასორ',  
ანძავი,  
ქოროღლის ციხე,  
სახალდითან,  
ორთაზურუნი,  
ყარაგაოზ  
[ჩვენ თურქები ვართო, უწინ სომხები ცხოვრობდნენო, რუსებიცო.  
ქართველები აქ არ ცხოვრობენო. რუსებში ქრისტიანებს გულისხმობს, ქართველებში  
– ქართულის მცოდნეებს – ჩამწ.].

ნახის თავ',  
აზანისი,  
ზიარეთინ თაში (შდრ. ზიარეთის ქვა),  
ფირექისი,  
ზივინ (ზვინი?),  
ლივაძიძორ (ლივაძორ? – ლივასხევი?),  
ფირინლი დიბ',  
ფირინლი,  
ბედრიქ' (მთა).

[რამაზი თურან ალთუნის თურქულში აღმოაჩენს ზოგიერთ ქართულ-სიტყვას, რაც მნიშვნელოვანია ანზავის ხეობის სინამდვილისათვის]:

ჯიშკარ'  
ხაჭაპური,  
ჯილღა,  
ბუხარი,  
ხინგალი-ხინკალი (ამზადებენი კიდეც).  
სოფელი ძალიან ძველიაო, თურან ალთუნმა:  
თანდირ' – თონე?  
ფირინ – საცხოზი,  
ლავაშ' – ლავაში,  
ქილიტ' – კლიტე (აქ: ურდული),  
ზირზა – ხის ურდული.

[სოფლის თავზე ციხეა, ვრცელი. ციხეში კომკიდან შედიხარ, გამოქვაბულით – შიგა ციხეში. მაღლა ციხეში ჩანს ეკლესია, ბაზილიკა].

ანზავი – რუსულია თუ ქართულიო, – კითხულობს მასპინძელი.

**თურან ალთუნი**

\*\*\*

ფაშარმუდ (მსხლის ჯიშია),  
ბალარმუდ (შდრ. სხალთაფლა/თაფლამსხალა),  
ბანდა-პანტა,  
იცის ასევე: რამკა (შდრ. ჩარჩო).

**სულეიმან ბენდუზი**

\*\*\*

**ხოვაქი/ხოვაკი** (ძვ. ხუვახი)  
აქ დალი, (შდრ. თეთრი მთა),  
ზუვარ' (ზვარი!),  
ოქუზდად (ხარის მთა. შდრ. ხარის საწოლი),  
კასგენ' (ეკლესია იყოო ხევში, დაანგრისო).  
ქილისე დერესი (შდრ. ეკლესიის ხევი),  
კოთიკი/კოტიკი,  
ქიზილ კოტიკი.

[ხუვახში მუშაობა დავიწყეთ, კარგადაც, მაგრამ სოფლის მუხტარის აგრესიული ქცევის გამო იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა. სხვათაშორის, სოფელმა კარგად მიგვიღო, ხუვახის ციხეზე გაყოლაც დაგვპირდნენ, მაგრამ მუხტარმა სძლია და გამოგვისტუმრა. როდესაც თურქეთის რესპუბლიკის კონსული ვუხსენეთ და მისი მოწერილობაც ვაჩვენეთ, პასუხად მივიღეთ, თქვენ სოფელში მოსვლის ნება გაქვთ, თორემ ციხეზე ასვლის უფლება არაო. ციხეს პატრონი ჰყავს და სხვას არ აქვს უფლება ციხეზეო. ოქროსმამიებლები ვგონივართ ბატონ მუხტარს, ამიტომაც დაგვიშალა ციხეზე ასვლა და სოფელში მუშაობის ხალისიც დაგვიკარგა].

## ლექსიკონი

ა

- ა** - კითხვითი ნაწილაკი: შენ სიდამ მოსული ხარა? (ქუაბაგი); ჰა მივდივართა? (ელიასხევი); მუსო, როგორ ხარა? დაბუხებული ხარა? (ელიასხევი).
- ა** - ფუტკ. ნაწ. აი: ი' ჩემი ხისიმია, ისა, ა ის ბიჭია (ფიშნარტევი).
- ა'** - ნაწ. არ: ისინი ჩუენ ა' ვიცით... (ქუაბაგი).
- ა'** - არა: ა' ვხმარობთ ა'ა (ხევეკი).
- აბა** - გაკვირვების შორისდებული: სოფელჩი არ იქნება, აბა (ქუაბაგი).
- აბაზიანი** - „გვარი“ და უბანი წითლევეკარში.
- აბაზლიანი** - ხუცეკარის უბანი.
- აბანოზი** - ადგილი ქისფოროთის ხეობაში.
- აბდიანი** - ადგილი მექართულე ტაოში.
- აბდიგილი** - ადგილი მოსლიეთში.
- აბდულაები** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.
- აბი** - ნაკლი, წუნი: მველათ ლაპარაკი მედმინოს კაცი, სუყველაჲ ერყია და ცოტ-ცოტა აბი გვირეგია (ელიასხევი).
- აბი (თ. abi)** - უფროსი ძმა: აბი არ გომოსულა ჯერ (იეთი).
- აბლაჲ (თ. abla)** - უფროსი და; ბიცოლა; ასაკით უფროსი ქალისადმი მიმართვა: ჩემი აბლაჲ იყო ელჩი (ფიშნარტევი).
- აბლი** - ცოტა, მცირე: ქართული ლაპარიკი აბლი დარჩა (ელიასხევი); ავსწიეთ თეთრი, აბლი წამოვღეთ, ...გადნა (ელიასხევი); თქუენ „აბლი“ ამბობთ თუ „ცოტას“? (ქუაბაგი).
- აბლიხან** - ცოტა ხანს: აბლიხან მედცადე, მოვა (ქუაბაგი).
- აგარა** - იხ. დაილა: საზაფხულო სადგომი, „სადგური საზაფხულო“ (საბა), დაილა: დაილა თურქქა არი, ქართული - აგარა (ბასლეკარი); აგრები ქონდენ, ...იქედამ მილეთი მოდიოდეს... (ქუაბაგი); დაილა აგარა უძახიან... (ელიასხევი).
- ადა (თ. adak)** - პირობა, აღთქმა: თქვენ კი გასულხართ და ყურბანს კი ვკლავთ და... ადა ყურბანია (ელიასხევი).
- ადა კეჲ** - ხევი წითლევეკარში.
- ადები** - ადგილი მექართულე ტაოში.
- ადემი (თ. adem)** - ადამიანი: ედდა იმა უთქმია ქი: ხულა არი,... ხულა ადემიშ (ქუაბაგი).
- ადითავი** - ადგილი ელიასხევეში.
- ადულეზა** - მოხარშვა: მარილი შიან ჩახყრი, ადულდეზა მი, შეკჭამ (ქუაბაგი); [ცხვარს] დავკვლავთ, დავკჭრით, ვადულეზთ, იმა შევკჭამთ (ელიასხევი).
- ავავეთ'** - ადგილი ზღაფოროში.
- ავაზანი** - ადგილი უტავეში.
- ავანა** - აქ: საცხველი: ავანა გვაქ, ვიჯებით ასე, ჩავაგდებთ, დეეცემა, ჩავნაყავ (ბასლეკარი).

- აგანა** - სანაყი: ეს **აგანაა**, კაკლიდან გავაკეთებთ, კაკალასა ვნაყავთ... (ხევეცი).
- აგარა** - უსაქმური: **აგარა** ხარო, საქმე არ გაქვან, იარებიო და (ბასლევკარი).
- ავლიებს** - ატარებს: [ბავშვებს] ... სარი გოლო **ავლიებენ** აქიდამ (ხევეცი).
- ავშენი** - ადგილი ნიხორში.
- ავჭალა** - ადგილი ფარნაკში.
- ავჯობა** (თ. **avci - მონადირე**) - ნადირობა: ...ჰუქუმათი ერთი დღე არი, ამ დღეში **ავჯობა**ნა ქნათო, ეტყვის (ქუაბაგი); ედა ჩემი უსეინა **ავჯობას** იჯება (ცუცეკარი).
- აზანისი** - ადგილი ანზავში.
- აზელილი** - საჭამანდია ერთგვარი, ნაღები და ყველი: ...დეკაც **აზელილი** უქნია, კანალი უშენია, კანალში ჩადებდა, ქეშიში მოვდოდა, შემჭამდა (ელიასხევი).
- აზვაქ//აზვაკ** - ადგილი ქისქიმში.
- აზინისი** - ადგილი ორუქში.
- აზლენკარი** - 1. ადგილი ელიასხევში; 2. უბანი ხევეცში.
- აზლიანკარი** - იხ. აზლენკარი.
- აზული** - ბოძი ღობისა: ეს ღობეა, ...დაასობ **აზული**, აზულ გამაგრებ - დანჩალმა (ქუაბაგი).
- ათ და ექსი** - თექვსმეტი: **ათ და ექსი** თანე თორი მყავან (მოსლიეთი).
- ათ და ვრა** - თვრამეტი: **ათ და ვრა** თუე იქ ვიმუშავე, ალმანიაში (ელიასხევი).
- ათ და ოთხი** - თოთხმეტი: **ათ და ოთხი**... ეგ არი წორი დათლა (ელიასხევი); იმხან ჩემი ხალა **ათ და ოთხის** ყოფილა, წლისა (ქუაბაგი).
- ათ და ორი** - თორმეტი: **ათ და ორი** ... ეგ არი წორი დათლა (ელიასხევი).
- ათ და სამი** - ცამეტი: **ათ და სამ** ... ეგ არი წორი დათლა (ელიასხევი); პუტურად [ვაჟი] **ათ და სამი** წლისა (ელიასხევი).
- ათ და ხუთი** - თხუთმეტი: [ჩამოვიდა] **ათ და ხუთი** თანე ცხვარი, პირტყვი, დანი (ქუაბაგი); **ათ და ხუთი** დღედ შეიქნა, მოვედით (წითლევკარი).
- ათაბარი** - ცეკვა, გავრცელებული ჭოროხის ხეობის ქართულ სოფლებში.
- ათ და ფიდი** - ჩვიდმეტი: **ათ და ფიდი** წლის ვიყავ, დავქორწილდი (გოდლეკარი).
- ათი ოცი//ათოცი** - ორასი.
- ათოლიე** (თ. **atli - საცხენოსნო**) - ცხენსაშენი (?): იქიდამ მოვდა, **ათოლიეში** ვეფელებოდი (ბასლევკარი).
- აიდინიანნი** - მეტსახელი გვარი მოსლიეთში.
- აინიანი** - 1. მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში. 2. უბანი იეთთან ახლო; 3. ადგილი ქუაბაგში.
- აიშოა** - ქალის სახელი მექართულე ტაოში.
- აკრიფვა** - აქ: შეგროვება: ...დემერ ეხოწებიან, **ეკრიფვიან**, წევლენ (ელიასხევი).
- ალაბიუმი** - ალბომი: **ალაბიუმი** იქ არი, ამასიას, ალასი, ანასი რესმები იქ არი (წითლევკარი).
- ალაგი** - ადგილი: ...**ალაგებ** სახელი ფაქანე ქართულია (ბალხი); მე არ გითხარი, დამვიწყდა, დოლენჯიანკარის ერთი **ალაგია** ჩუჩუნაკარი (ხევეცი).
- ალაჯა** (თ. **alaca**) - ჭრელი, მრავალფეროვანი: [ხეზრეთი ალის] ...უთქმია ქი, აქევრი **ალაგები** **ალაჯა** არი, **ალაჯა**, ჭრელ-მჭრელიო (ქუაბაგი).
- ალაჩარი ქოა** - ტაოელთა სოფელი ბურსის გუბერნიაში.



**ალდინჯი (?)**: ალდინჯი დაში ამოვდივარ, აქ ვზივარ... (ობლევარი).

**ალთი** - ექვსი: ალთი თანე ზგანო... (ქუაბაგი).

**ალთი პარმალი** - ძვ. პარხალი.

**ალთმიშ ბემ** - სამოცდახუთი: ჰაჯერ აიქ, ალთმიშ ბემ დაშინდა (ბინათი).

**ალთმიშ იქი** - სამოცდაერთი.

**ალთმიშ უჩ** - სამოცდასამი.

**ალჩად (თ. alca)** - მოწითალო, მოვარდისფრო: ე... ალჩად, ყერმიზი ბიბერი (ხევკვი).

**ალიგილერ** - მეტსახელი გვარი უტავში.

**ალლა რაზი ოლსუნ (არ. Allah razi olsun)** - ღმერთს მადლობა, ღმერთი გადღეგრძელებს, ღმერთი მადლობელი დაგირჩება: ალლა რაზი ოლსუნ! ღმერთმა გაგახარონ (ფიშნარკვეი); ედა, ალლა რაზი ოლსუნ, ამისთანა მოზობლები: თაფლი ედღეს, ერბო ედღეს... მამუშავეს (ქუაბაგი).

**ალმანი** - გერმანელი: იქ ერთი ალმანი მოვდა, გიმიყვანა (ბასლევარი).

**ალმანია (თ. Almanya)** - გერმანია: მე ხუთ წელიწად ალმანია ვისაქმე (ქუაბაგი).

**ალფაბე (თ. alfabe)** - ანბანი, დამწერლობა, ალფავიტი: ჩვენ ალფაბე არ დევნახეთ, ალფაბე არ არი აქ... (ელიასხევი); გურჯიჯა ალფაბე არ არი (ქუაბაგი).

**ამა** - ამას: ამა რამ უკითხე კი ... (სავრიეთი); ამა რა ეტყვიტ თქუნენა? (ელიასხევი).

**ამათურად** - ამათებურად, ამათ მსგავსად: ამათურად ვერ მიხვარათია, ჭოვ! (ფიშნარკვეი).

**ამაღებელი** - ამოსაღები: ...ეს არი ყველი **ამაღებელი** ... (ხევკვი).

**ამეზლამ** - ამაღამ: ამეზლამ აქ'ნა გაწუმდეს (წითლევკარი).

**ამელეთი (თ. ameliyat)** - ქირურგიული ოპერაცია: ბოვრი ვიარე დოხტურებში, ამელეთი არ შევქენ (ქუაბაგი), შდრ.: ფუტკ. **ამელიათი**.

**ამოა** - ამოვა: აბლაყუნეო, ამა ხმა ამოაო (ხევკვი).

**ამმომება** - დამმომება: აბლი ბეური შევქენით, **ამმომდით**... (ელიასხევი).

**ამჯა (თ. amca)** - მამის ძმა (ბიძა), მიმართვის ფორმა უფროსისადმი: ზექერია ამჯა, იყოს, იყოს (ქუაბაგი).

**ანდუარ'** - ადგილი ოშნაკში.

**ანზავ დერე** - იხ. ორუქ დერე.

**ანზავი//ანძავი** - სოფელი ანზავის ხეობაში.

**ანკლანი** - ადგილი წითლევკარში.

**ანნენუმ ზაბა** - ზაბუა, დედის მამა: ეს ჭალა ანნენუმ ზაბასია (ელიასხევი).

**ანოო** - შორისდ. გამოხატავს გაკვირვებას: ემედვო... ანოო, რა არ მომაგონდება, მე ყოლაფერ იმა ვიჯები... (ქუაბაგი).

**ანუთკევ'** - 1. უტავის მეზრე. 2. ადგილი უტავში.

**ანჩითიქ** - ადგილი ქისქიმში.

**აი (თ. ay)** - თვე: აბლი ხან, ბირ აი ...ვიყავით ნიშანლი (ბალხიბარი).

**აიჩიჩეკი (თ. ayciçeği)** - მზესუმზირა: ესას აიჩიჩეკი, გულჩიჩეკი (ელიასხევი).

**აჟდაა** - გველვეშაპი: ორმოცი წლის წინ აჟდაა დედებებს დუუნახიან და... (ელიასხევი).

**არაბა (თ. araba)** - ავტომობილი, მარხილი, ურემი: თოვლი იყო, არაბაზე დასვეს, წეყვანეს (ქუაბაგი).

**არალიქ (თ. aralik)** - დეკემბერი

- არაფჩა** - არაბული: ...თურქა ვიცი, **არაფჩა** ვიცი, გურჯულა არ ვიცი (სავრითი).
- არდუმლი** - ადგილი უტავში.
- არზიანკარი** - ფიშნარხევის უბანი.
- ართუხ (თ. artik)** - კვლავ, ახლა, ამიერიდან: რუსი, **ართუხ** რუსი მჯდარა და... გურჯიჯა, ა'ვიცი (ქუაბაგი); ჩვენ ასე ვიცით: **ართუხ** ორი მმა მოსულან, **ართუხ** ასკერიდან გაქცეულან... (ქუაბაგი).
- არია** - 1. არიან: გუდასხევეში ქართველები არ **არია** (ელიასხევი); 2. არის: საყდარი ყოლ უბანში **არია** ... (ხევეცი).
- არმენ ხევეცი** - სოფელი პარხალს ზემოთ.
- არმეშენი** - ადგილი არჯევანის ხეობაში.
- არსაიდამ** - არსაიდან: **არსაიდამ** მოსული არ არიან, ძერლი არიან (ჭილათი).
- არსუქარ'ი** - ადგილი არჯევანის ხეობაში.
- არტანი//არტანისი** - მთა/სამოვარი ელიასხევეში.
- არტანი//არტანისი** - ადგილი ელიასხევეში.
- არტანნი** - ელიასხევის უბანი.
- არუნზე//არუზე მაჰალესი** - უტავის უბანი.
- არფანუმ უჯრე** - წისქვილის ხარო.
- არხატაში** - (თ. arkadaş) - 1. ამხანაგი, ტოლი, სწორი: რა იჯები? - მეზნევიან **არხატაშები** (ელიასხევი). 2. შეყვარებული: ერთი ზგანო ყოფილა, **არხატაში** ყოლია, არ მუცემიან იმისთვინ (დუგური).
- არხვიანნი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.
- არჯევანი** - მეთურქულე სოფელი არჯევანის ხეობაში.
- ასკერების თავი** - ჯარის უფროსი, მეთაური: **ასკერების თავი** გურჯი ყოფილა, ჰადა ხელი არ ურევიან აქ (ელიასხევი).
- ასკერი (თ. asker)** - ჯარისკაცი: თურქეთში გუმუვლიან რუსის **ასკერები** სუყველა (ელიასხევი).
- ასკილგორი** - ადგილი მოსლიეთში.
- ასკილეთი** - მეზრე ქისფოროთის ხეობაში.
- ასკროზა** - ჯარისკაცობა: **ასკროზა** ბიჭები იჯებიან, დეკაცი არ წავა (გოდლეკარი).
- აფაქებს (სპ. pak)** - სუფთა, მართალი, წმინდა, უცოდველი, შეუზღალავი, რიგიანი) - ასუფთავებს, წმენდს: [გზას] ახლა **აფაქვენ**, უწინ დაყაფანდებოდა (წითლეკარი); **უფაქებიან**, ქრისტიანი შექნილან (წითლეკარი).
- აფეხებული** - არეული, მოუსვენრად მყოფი: მერე რუსია ქი **აფეხებულა**, აქ გამოქცეულან... (ქუაბაგი).
- აქ დალი** - მთა ხუვახში, შდრ.: თეთრი მთა.
- აქასაც** - ზმნ. აქაც: [დუგუნი] **აქასაც** იყო... (ბალხიბარი).
- აქაუობა** - აქაურობა: **აქაუობა** გურჯი ყოფილა (ჭედლიანკარი).
- აქე** - ზმნ. აქ: ჩქარა, ჩქარა და ბიჭი ჩუმუვა **აქე**, ჰამის უკნიდან ჩუმუა (ხევეცი).
- აქევნური** - აქაური: **აქევნური** გურჯები არიან ადაფაზარში (ხევეცი).
- აქევრი** - აქაური: მე **აქევრი** გურჯი ვარ, **აქევრი** (ქუაბაგი); საყვარელი ხალხი რუს **აქევრები** მუკლია (ელიასხევი).
- აქენდამ** - აქედან: ე ქარი **აქენდამ** მივა, აქენდამ (ქუაბაგი).
- აქვა** - აქვს/აქვთ: მალლა ქოხი **აქვა** და ... (ფიშნარჯევი). შდრ.: აჭ. **აქვან**.

**აქვერი** - ადგილი ანზავში.

**აქიდან** - აქიდან: ჩვენ იქი მოსულა **აქიდან** (ელიასხევი).

**აქო//აქოს** - 1. აქეს: სალიანი ექრემი არი და, მაღლა ქოხი **აქო** და... (ფიშნარტევი); ამ ხელსა წინაა **აქოს**, უკანაა **აქოს** (დუგური). 2. აქ: **აქო** ქორწილი იქნებოდა... (ფიშნარტევი); **აქო** დააგებენ ქილიმებ, ილოცვენ... (ელიასხევი); წევდეთ ახლა, **აქო** დავდგნეთ (ელიასხევი); **აქოს** გააჩერე! ჩომოდით (ხევეკი); შენ ხაიწი'და ჭამო... იყო'ნა **აქოს** (ხევეკი).

**აქობაში//აქობაჩი** - აქაურობაში: [დათვები] **აქობაში** მოდიან, **აქობაჩი!** (ცუცეკარი).

**აქუნური** - აქაური: **აქუნურები** გითხრა... (გოდლეკარი).

**აქური** - აქაური: **აქური** სულალები გინდა? (დუგური).

**აღა (თ. aġa** - პრივილეგიური ფენის წარმომადგენელი ოსმალეთში, ბეგზე დაბლა მდგომი) - აქ: შემღებული კაცი: თუ პურ მიართვამს მუსაფირ, იმა **აღა** ვეტყვით (ელიასხევი).

**აღა'** - უარყ. ნაწ. აღარ: **აღა'** მახსოვს, **აღა'**, მადწყდება ბითაო (ფიშნარტევი); იცის, ახლა **აღა'** მახსოვსო, ამბოფს (ქუაბაგი).

**აღაბეი (თ. aġabey)** - უფროსი ძმა; ასაკით უფროსი მამაკაცი; „დიდ ტადასა ეტყვიან“: კევრი იცით? ჩემ **აღაბეის** აქვა, ჰამა მე არ მაქვა (ქუაბაგი); **აღაბესი** დეკაცი... იჯებოდა, იმან მის ანადდან დეიწავლა... (ბასლეკარი).

**აღამ** - 1. მამა: ანაა, **აღამ** ბურსას არიან, მე ვინახავ აქა თორს (ქუაბაგი); **აღამ** ჩვენ ბაბოსაც ვეტყვით, **აღასაც** ვეტყვით (ქუაბაგი); 2. აქ: **ბიძა**: რაამეთლი **აღამ** იტყოდა ისე... შდრ. აჭარული **აღაბიძა**.

**აღება** - ყიდვა: ...ძველათ რა იყო, **აღება** არ იყო, ყიდვა (ელიასხევი). შდრ.: კლარჯ. **აღება**.

**აღუსტოსი** - აგვისტო.

**აყირო** - გოგრა: ვიცით კიტრი, თომატესი... **აყირო**... (ბოწმინდა).

**აყუდება** - დადგომა, გაჩერება: ბიჭიც თაზე **აყუდებულა**, თა შექნილა (დუგური).

**აშალი მაჰალე** - ს. ქისფოროთის უბანი.

**აშენება** - აქ: გამოჭედვა, გაკეთება: შეხედა, ბახალუმ, უწინდელი იგიავო, ცული **აშენება**, თოხი **აშენება**... (ქუაბაგი).

**აშილი (თ. aşik)** - აშული, შეყვარებული, ხალხური მთქმელი, ჟონგლიორი: მამაგონდა **აშილი**, გულში მაკანკალებს... (ფიშნარტევი).

**აშუნქი** - ადგილი ნიხორში.

**აშუნქითსორი** - ადგილი ნიხორში.

**აწმამდი** - აქამდე: აწმისიქეთ დავწერ, **აწმამდი** არ ვიცოდი (ელიასხევი).

**აწმისიქეთ** - ზმნ. აწი, ამის შემდეგ: **აწმისიქეთ** დავწერ, აწმამდი არ ვიცოდი (ელიასხევი).

**აჭარიანი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ახალთ'ი** - 1. ადგილი უტავში; 2. იუსუფელის უბანი.

**ახალ მოსულები** - ახალგაზრდები: **ახალ მოსულებ** არ იციან, ჩვენ გავთავნეთ... გურჯიჯა აღარ იქნება (ბალხიბარი).

**ახალშენი'ი** - ადგილი წითლეკარში.

**ახლოპირ** - ახლახან, ახლა, მალე: ის **ახლოპირი** გუმუვლიან რუსის ასკერებ აქოვრობაჩი (ელიასხევი).

**ახო** - ადგილი იეთში.

**ახოს წვერი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ახუჭვა** - ახუტება, აღება (?): იმ კაცებ ის თავებ **უხუჭიან** კი, მოსულან აქოს, დაკარქულან (ელიასხევი), შდრ.: ქეგლ **ახუტება**.

**აჯარი** - მეტსახელი გვარი ელიასხევეში.

**აჯი ბიბერი** (თ. **aci** - მწარე, **biber** - წიწაკა) - მწარე, წიწაკა: ქათამ ჩავყყრით ტეფსიში, ...მარილი, **აჯი ბიბერი**, იმა ფურუნში შუაგდებთ... (ბასლეკარი).

## ბ

**ბაბა** - (თ. **Baba**) - მამა: რამეთლი **ბაბაი** იტყოდა, გეგონებდი... (ხევეკი).

**ბაბა ანე** (თ. **Baba** - მამა, **anne** - დედა) - მამის დედა, ბებია: **ბაბა ანე** გურჯიჯა - ებე (ხევეკი).

**ბაბა ადა** (თ. **Baba** - მამა, **ağa** - მამა) - მამის მამა: ჩვენ დედე ვეტყვით, მესელა, **ბაბა ადასა** (ხევეკი).

**ბაბოსი ბაბოი** - მამის მამა, ბაბუა: ჩემი **ბაბოსი ბაბოი** პეტრამ, გენჯი ყოფილა (ელიასხევი).

**ბაითლარ'ი** - მეტსახელი გვარი ზღაფორში.

**ბაირ ქილისესი** - ტამარი და ადგილი ოთხთას ზემოთ.

**ბაირამიანკარი** - ადგილი ბინათში.

**ბაირახტარი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ბაირხა** - ადგილი ბინათში.

**ბაკერეთ'ი** - ადგილი ვეჟანგეთში.

**ბალაზელარი** - ადგილი უტავში. შდრ. ბალაძეები.

**ბალარმუდ** - მსხლის ჯიში, მწიფდება ზაფხულში; შდრ.: თაფლასხალი// სხალთა-ფლა.

**ბალულა** - ხის (უმეტესად ცაცხვის) ქერქისაგან დამზადებული საგები ახალშობილის დასაწვენად: ბალანა ერთი ათ დღე **ბალულაში** იქნება, მერე აკვანში გუმუვა (სადიყანა), შდრ.: ნიჟ. ხოჩიჩი, საბა, ნ. ჩუბ., მაკალ. ხოჭიჭი.

**ბალყანაი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ბალხელეფთ ყანა** - ყანა ელიასხევეში.

**ბალხი** - მცირე სოფელი მექართულე ტაოში.

**ბალხიბარი** - მცირე სოფელი მექართულე ტაოში.

**ბანგურა** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ბანგურა** - მსხლის ადგილობრივი ჯიში, ხარობს მექართულე ტაოში.

**ბანდა-პანტა** - ველური მსხალი.

**ბანნალი/ბალნალი** - სათიბი და სამოვარი წითლეკვარში.

**ბადრამი** (თ. **bayram**) - მუსლიმანური რელიგიური დღესასწაული: აღდინჯი მაში ამოვდივარ, აქ ვზივარ, **ბადრამზე** და წევდეთ (ობლეკარი).

**ბარაბურა თივა** - ბარამბო (?).

**ბარათ'ი** - ადგილი ხერმუთში.

**ბარაჯი/ბარაჟი** (თ. **baraj**) - კამხალი: ...**ბარაჯს** რომ აშენებენ, ექუს თვე იმუშავა იქა (ქონობანი).

**ბარბარად** - უაზრო ლაპარაკი: გუთლელად იხვარათებს, **ბარბარად** ვეტყვი, ცუდი ხვარათი და! (ხევეკი).

**ბარდალი//ბარდაგი (თ. bardak)** - ჭიქა, ფინჯანი: [ცომი]...თხელი **ბარდალით**ნა დასჭრა ... (ბასლევარი); ერთი **ბარდაგი** დავლიოთ, აღარ დამჯავდები... (ელიასხევი).

**ბარდიეთი** - ადგილი ელიასხევში.

**ბარზე** - 1. თანდ. -**თვის**, მიზეზით: ერთი ქალი სადამოზე წყალი **ბარზე** მისულა (ქუაბაგი); შდრ.: კლარჯ. ბარზე. 2. **იმიტომ, იმის გამო**: ... მე მივხდი და **იმ ბარზე** გიმძირვარ; ზათენ ღენჭებ **ბარზე** ჩვევლით ყეზაში; ხოჯიყანა - ჯამე წინიდამ სა არი და **იმ ბარზე**.

**ბარყიმი** - მსხლის ადგილობრივი ჯიმი, ხარობს მექართულე ტაოში.

**ბასია** - მექართულე ტაოში გავრცელებული ცეკვის სახეობა.

**ბასილოლი** იხ. **ბასლიანი**.

**ბასლეთები** - 1. ბასლევარელები: ი' **ბასლეთები** არიან, ჯამეში წვენეს (ხევეკი). 2. უბანი და მეტსახელი გვარი ბასლევარში.

**ბასლევარი** - პატარა სოფელი მექართულე ტაოში.

**ბასლევარული** - ბასლევარელი: ეს **ბასლევარულია**, მე ჭედლიშვილი ვარ... (ხევეკი).

**ბასლევარჯე** - ხევი მექართულე ტაოში.

**ბასლიან დუზი** - ადგილი ელიასხევში.

**ბასლიანი** - მეტსახელი გვარი ტაოში.

**ბასრეკარი** იხ. **ბასლევარი**.

**ბასტაები** - უბანი და მეტსახელი გვარი სადგიყანაში.

**ბაუთ'ი** - 1. ადგილი ქისფოროთის ხეობაში; 2. მაილა ქისფოროთის ხეობაში.

**ბაქვი** - ბაქო: **ბაქვიდამ** მოვდოდა ყაზიალი, ჩევდოდით, ევლებდით (ქუაბაგი).

**ბაქმაზიანი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ბაღლიქ** - ადგილი უტავში.

**ბაღლიქ მაჰალესი** - უტავის უბანი.

**ბაყალი (-ბაკანი)** - ხის ჯამი: **ბაყალს** დადებენ, [დედოფალი] ფეხით გატეხს (ცუცეკარი).

**ბაშთან (თ. Baştan)** - თავიდან, კვლავ, კიდევ: **ბაშთან** აქ გურჯი სოფლები ყოფილან, მერე მოსულან სომხები (ელიასხევი).

**ბაშკარეთი** - ადგილი ესენდალში.

**ბაშქანი (თ. Başkan)** - უფროსი, მთავარი, თავმჯდომარე: ბურსას **ბაშქანი** აქ მოვდა, იარა (ქუაბაგი).

**ბაჩელა** - ადგილი მოსლიეთში.

**ბაწარი** - „წმიდა თოკვი“ (ელიასხევი).

**ბახალუმ (თ. bakalim)** - ვნახოთ, შევხედოთ: შეხედა, **ბახალუმ** უწინდელი იგიავო, ცუდი აშენება... (ქუაბაგი).

**ბახთერი** - ადგილი ხერმუთში.

**ბახტევი** - ადგილი ხერმუთში.

**ბახჩები** - ადგილი დევთისაში.

**ბახჩელი** - არმუთის უბანი.

**ბაჯახსიონნი** - უბანი და მეტსახელი გვარი ოზლევარში.

**ბაჯი** - (თ. baci) - და: ერთი თანე [ბგანო] **ბაჯის** მივე, დეგან (ბინათი).



- ბაჰარი (თ. bahar)** - გაზაფხული: **ბაჰარში** მოვალთ, ვთხრით, თველზე მივალთ... (ბინათი).
- ბგანო** - 1. აქ (გად.): ქალი, ცოლი: ღარჭი... სამსონ არი, **ბგანო** მუენდისი მეფყვანა... (ბინათი). 2. გოგონა: ჩუენ „**ბგანო**“ ვიტყვით, თქუენ - გოგო (ბოწმინდა). შდრ.: ფუტკ. ბგანი.
- ბე (თ. Be)** - შორისდ. ჰა, ახ, და: იციან და გურჯიჯა, **ბე** (ცუცეკარი).
- ბებერაჲ** - ცოლი: ჩემი **ბებერაჲ**, თქვენი ბებე'რი, ბებე'რი და, ქალი (წითლეკარი).
- ბებერი** - მოხუცი ქალი: ე'თი მუსაფირი **ბებერი** ყოფილა იქა, დაბერებული ქალი (ქუაბაგი); პირველ **ბებრები** წევლენ, მემრე კაცებ გავგზანთ (ცუცეკარი).
- ბეგირი (თ. Beygir)** - ცხენი, ტაიჭი) - შინაური ცხოველი სატვირთოდ თუ შესაჯდომად: [სოფელში] ...ასი **ბეგირები** იყვეს: ცხენები, ჯორები (ობლეკარი).
- ბედაზორი** - ჭიმჭიმის უბანი.
- ბედაზორი//პეტრაზორი** - ადგილი ჭიმჭიმს ზემოთ.
- ბედრიქ'ი** - ადგილი ორუქში.
- ბევრი** - აქ: ბევრად, ძალიან: იქ ჯაყელი-მაყელი არ არი, დენისიდამ **ბევრი** მაღლაა (ელიასხევი); ქორუგი **ბევრი** ძველია (ქუაბაგი); **ბევრი** ცქვიტა ხვარათობენ, ვერ მივხდები იმა ხვარათობა (ბალხიბარი).
- ბევრი წინ** - დიდი ხნის წინ: აქ მოსულა სამი ძმა **ბევრი წინა** ბათუმიდამ (ბინათი).
- ბევრნი** - ბევრი: **ბევრნია** ჰო, დაჯე და მემრე წახვალთ (ჭილათი).
- ბეზი (თ. Bez)** - ტილო, უხეში ქსოვილი: ...შრატ აადურებ... ჩასწურავ **ბეზში**, საწურავში, ასე თორბასავთ შეკერილი საწურავი (ელიასხევი); ...ამა მოვწურავთ, ფქვილ ვაყრით, ვადულებთ, **ბეზზე** ვახმოვთ (ცუცეკარი).
- ბეთი (სპ. Bed)** - ცუდი, საძაგელი, ავი: წვერი იმაზე **ბეთი** აქ (ხევეკი).
- ბელქი (სპ. Belki)** - შესაძლებელია, იქნებ, შეიძლება: ხალხმა ქართული არ იცის, **ბელქი** ჭრიჭინამ იცის (ელიასხევი); ძველი დამჩალი **ბელქი** ერთი-ორი ხანე არი (ელიასხევი).
- ბენარა** - ადგილი ზღაფორში.
- ბეაზ (თ. beaz)** - თეთრი: **ბეაზ** ელმა ვარ... (ბინათი).
- ბეპელიე** - იხ. ჯახური.
- ბერაბერ (სპ. Beraber)** - ერთად, საერთოდ: ჩვენ ზამთრი ბურსას ვართ, ერთგან ვართ, **ბერაბერ** (ქუაბაგი); ...**ბერაბერ**, ერთფერაჲ გევზაედეთ (იეთი).
- ბერბათი (სპ. Berbat)** - დასვრილი, უსუფთაო, ბინძური: ამათი შეითანი ჭკვიანია, ჩვენი - **ბერბათი** (ფიშნარკევი). შდრ.: ფუტკ. ბერბადი, ნიჟ. ბერბათი.
- ბერ-ბებე'რი** - ცოლ-ქმარი: ჩვენ ასე დავრჩნეთ **ბერ-ბებე'რი** (მოსლიეთი).
- ბერეექეთ'ი** - მეზრე უტავში.
- ბერი** - აქ: ქმარი, მეუღლე: **ბერიც** ადაფაზარ გავგზანე (ბოწმინდა); ბექირი ჩემ მამას დის **ბერია** (ქუაბაგი); მე გათხოვილი [ვარ], ბორჩხადან ჩემი ბერია (ფიშნარ-ხევი); შდრ.: ნიჟ. ბერ-დედაბერი - ქმარი და ცოლი.
- ბერიანი** - სათიბი.
- ბერიჰყანა** - ყანა ელიასხევიში.
- ბერო** - ქმარო (მეუღლისადმი მიმართვა მექართულე ტაოში): ბალხელნი რას უძახიან კაცსა? - **ბერო!** (ბალხიბარი).
- ბერყანა** - ადგილი არჯევანის ხევიში.



- ბეური** - ბევრი: მამინ **ბეური** ფულები ქონებიან, ალთუნი ფულები (ელიასხევი).
- ბექარი** (არ. **Bekar**) - დაუქორწინებელი: ბიჭი დასახლებულია, ზგანო - **ბექარია** (იეთი); ძმა არ მყავს **ბექარი**, თვარა ვითხოვდი (ხევეკი).
- ბექირიანნი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.
- ბექმეზი** (თ. **bekmez**) - ხილის (მსხალი, ვაშლი, ყურმენი, თუთა) დადუღებული წვენი: წინწინ ქალოცას ყურმენ დაკვრეფდით, **ბექმეზ** ვიქმოდით... (ობლეკარი), შდრ.: ნიჟ. ბეთმეზი.
- ბექნანნი** - ადგილი მექართულე ტაოში.
- ბეღელი** - სურსათ-სანოვავის შესანახი ნაგებობა, ტაოურ სახლში განთავსებულია მესამე სართულზე: ესეც **ბეღელი**, იქეთ თერეფში მუთვადი არი ერთი (ბინათი).
- ბეღლი გუბე** - ადგილი მექართულე ტაოში.
- ბემ-ალთი** - ხუთი-ექვსი: **ბემ-ალთი** წელია გზები გამეცდა (ქუაბაგი).
- ბეჩი** - (თ. **Beç** - შტერი, ყყყერი) 1. გონებასუსტი, უჭკუო: კად კაცი დააქებენ, **ბეჩ** კაცსა - დაამაგებენ (ბასლევკარი); **ბეჩია** ქი ქობად... (წითლევეკარი); 2. **ბეჩი** - აქ: ცუდი: ზემო ერევა გზები, **ბეჩია** გზა (ელიასხევი); ...კად ალაგ მოთიბავენ, **ბეჩ** ალაგებ ზროხები მოძოვენ (ქუაბაგი).
- ბეჩური** - სულელური: დავუზი არ ააშენეს, **ბეჩურ** ააშენეს... (ხევეკი).
- ბეჭით** - აქ: მხრით: [ქვა] **ბეჭით** მუტანიან აქ (ბალხიბარი).
- ბზე** - პურეულის ნამჯა: სახლის ზედან **ბზე** დაყარა, არ დაწვავდა, არ დეფწვებოდა (სადგიყანა).
- ბზის დაყენება** - ბზის ჩაგება (აკვანში): **ბზე** დუყენებდეს, არ დაცხესო, ბალანას... (სადიყანა).
- ბიბერი** (სპ. **Biber**) - წიწაკა, პილპილი: ე ...ალჩად, ყერმიზი **ბიბერი** (ხევეკი).
- ბიბიოღლი** (თ. დიალ. **Bibi** - მამიდა, **oğul** - შვილი, **ძე**, **ვაჟი**) - მამიდაშვილი: მისი ებედ, ჩემი ებედ, ტაოლოლი-**ბიბიოღლები** (ქუაბაგი).
- ბიზე** - ბზე: ჩეთენი, ენ დიდი **ბიზე** ჩეთენი. კალოდან **ბიზე** ჩაყრი... სათივრეში მედტან (წითლევეკარი).
- ბითევა** (თ. **biteviye**) - მთლიანად, ყველა: **ბითევა** იქ ვიყავით (ხევეკი).
- ბიკრიეთი** - ადგილი მექართულე ტაოში.
- ბილეზული** (თ. **Bilezik**) - სამაჯური: [კაცმა] მომიტანა ბილეზული (ბოწმინდა); შდრ.: ფუტკ. ბილეზუგი...
- ბილმერიუმ** (თ. **bilmek** - ცოდნა) - არ ვიცი: მეც **ბილმერიუმ** ბაბად, ადრე მოკტა (ბინათი).
- ბილმიემ** (თ. **Bilmem**) - არ ვიცი, ვერ ვერკვევი: ფატმა ასლან, მაში - **ბილმიემ** (ბალხი).
- ბინ** - ათასი: თამარა **ბინ** სენე ყოფილა (წითლევეკარი).
- ბინათური** - ბინათელი: აქევრი ვარ, **ბინათური** ვარ (ბინათი).
- ბინალარი** - ბინები: **ბინალარი** ვაშენებდი, მოდლოდი... სამ თუე დავდგებოდი (ელიასხევი).
- ბირ** - ერთი.
- ბირინჯი** (თ. **Birinci**) - პირველი: ფიშნარჯემს მაჰალეა, იქ გახვალ, **ბირინჯი** მაჰალეა... (ქუაბაგი).
- ბიშე/ბიში** (თ. **pişmek**) - ცხიმში შებრაწული პურის კვერები: ქადა გამუაცხოზ, **ბიშე** ... გააკეთებ (ხევეკი).

**ბიჩაღჩილარი** - სოფელ ელიასხევის თანამედროვე სახელი.

**ბიჩხი (თ. Bicki)** - ხელის ხერხი: ეს **ბიჩხია**, ამა [ტოტს] გადავჭყრით (ქუაბაგი).

**ბლაყუნი** - უაზრო ლაპარაკი, სულელივით ქცევა: ...წედიო და თურქეთში  
**ებლაყუნეო** (ხვეკვი); შდრ.: ნიჟ. ებლაყუნება.

**ბოგანო** - იხ. **ბგანო**: ...ნურჯანი, **ბოგანო** ჩემი, ორეთმენია იშტე ართვინ (ბინათი).

**ბოზალთი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ბოზალო** - ქუაბაგის ალაღები.

**ბოზლოდანი** - მსხლის ჯიშია ერთგვარი, ხარობს ტაოში.

**ბოკელამ** - ვაშლის ჯიშია ერთგვარი, „დიდი და წითელი, წვნიანი“ ნაყოფი იცის.

**ბოლექ ბაშ გილ** - ადგილი ოთხთა ეკლესიაში.

**ბომა (თ. Boya)** - საღებავი: იმა ღებავდენ, **ბომა** იღებდეს, ჩაასხმიდეს წყალში, კედსა შიგან ჩაჰკიდებენ, ამოღებენ (ხვეკვი).

**ბომნა (თ. boyne)** - მუდამ, ყოველთვის, სულ: ჩუენი ძველი ინსნები ...**ბომნა** ჯორებითა და ვირებით... უზიდია შექერი, ფრინჯი, მაკარინა (ქონობანი); ე ალაგი არტანია, **ბომნა** არტანია... (ქუაბაგი).

**ბორეგი (თ. borek)** - ნიგეზიანი ნამცხვარი: ქადა გამუაცხოზ, **ბორეგებ** ... გააკეთებ (ხვეკვი).

**ბოტოტი** - მახრა, მატლი: წყალში **ბოტოტები** არიან, წყლი შიგან... (ელიასხევი).

**ბოუთი** - ადგილი ესენდალში.

**ბოცებ ჭალა** - ადგილი ელიასხევეში.

**ბოცენსი** - ადგილი ალაფინარში.

**ბოწმინდა** - აილა ელიასხევეში.

**ბრააგ!** - შორისდებ. თოფის გასროლის ხმა: იქიდანაც, **ბრააგ**, ესროლა, მოკლა (ხვეკვი).

**ბრანგვი ჯემ** - დიდი ხევი: **ბრანგვი** ჯემ, დიდი ჯემ, გენიში, ფართო (ქუაბაგი).

**ბრაქიანი//ბრექიანი** - ელიასხევის უბანი.

**ბრეწეული** - ბროწეული Punica granatam: ამ ხესა? გურჯიჯა **ბრეწეული** (ჭილათი).

**ბრო** - ქალო (მიმართვა იეთში).

**ბუ (თ. Bunu)** - ეს, ამ: **ბუ** ღელე? ეს წყალი წამუა (ქუაბაგი).

**ბუდლობს (შდრ.თ. budala** - სულელი, ბრიყვი) - სულელობს, ბრიყვობს: ბერ-ბერ **ბუდლობენ** (ბინათი).

**ბუზადელე** - ადგილი ელიასხევეში.

**ბუზდოლაბი (თ. Buzdolabi)** - მაცვივარი: [წყალი] ცივი არ არი მგონია მე, **ბუზდოლაბი**დამ დეძლია (ელიასხევი).

**ბულლო** - ბუერა, Petasites: ამ? ბულლო! (ელიასხევი). შდრ.: მაყ. ბუერა, ნიჟ. ბულლო.

**ბურათი** - ადგილი ხერმუთში.

**ბურასი (თ. burasi)** - ეს ადგილი, აქაურობა: **ბურასი** საფალანთო (ობლეკარი).

**ბურსადა** - ბურსაში: ...ახლა მუაჯირი წევნეს **ბურსადა** (ბალხი).

**ბურღი** - სახვრეტი იარაღი: ე **ბურღები**, ე ხელი ბურღ უძახიან, ისე უძახიან... (ქუაბაგი); შდრ.: ქეგლ.

**ბუსუნსულა** - მუმლი, წვრილი მწერი: მე თაში ზროხებ ვაძუებ, იქაც არი **ბუსუნ-სულეები** (ბასლეკარი).

- ბუტკო** - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშში არჯევანის ხეობიდან, გვხვდება ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც.
- ბუქი** - აქ: მტვერი: დიკას, ქერსა გავლენათ, ამით ავანიავებთ, **ბუქ** ვაძლევთ, ართულ (ქუაზაგი) შდრ. ბულა
- ბუქის მიცემა** - განიავება: კვერი ვარბენიებთ, ...დეგირმავდება, **ბუქ მიცემთ** (ქუაზაგი).
- ბუძაღლე** - ღელე ელიასხევში.
- ბღანი** - ბიჭი: **ბღანები** - ბიჭები, ბღანო - გოგო (ობლეკარი); ერთანე ბღანო, ორი თანე **ბღანი** (ბალხი).
- ბღანობიხან** (**ბაღნობიხან**) - ბავშვობისას: **ბღანობიხან** კაცის გულს შეჰჭამს... (ბასლეკარი).
- ბღუის** - ბღავის: ჭიაო, ჭიაო, ჭიადედაო.../რა **ბღუიხარ** წარსათვენ? (ქუაზაგი).

## ბ

- გა[ღ]მელთ წინა** - ადგილი ელიასხევში.
- გააბლდება** - შემცირდება: მა გაბვერდება, მადა **გააბლდება** გურჯული (ელიასხევი).
- გაასხა** - გაიყვანა: გაა არი ერთი ბათუმში, ის გაამას მისი ხალხი **გაასხა** (ქუაზაგი).
- გაბელითებული** - ქვა-ლორღით ავსებული: ...ხინძანიც იყო, ახლა **გაბელითებულია**, დაყრილია, ხინძანი ვის უნდა (გოდლეკარი).
- გაგდება** - დატოვება: ბაღანად არი ჰუტურად, ვერ **გაგდება** (ფიშნარკევი).
- გაგდებული** - მიტოვებული, ქმარსგაცილებული: ...ახლა **გაგდებული** ბღანო იქ არი, ართვინ (ბინათი).
- გაგონილი ვარ//გაგონილი ვართ** - გაგონილი მაქვს//გაგონილი გვაქვს: ის გოლი მე **გაგონილი ვარ**, ჰამა აქ არ არი... (დუგური); ისე **გაგონილი ვართ** ჩუენა, რა ბარზე არ ვიცი ქი (ქუაზაგი).
- გადაბრუნება** - აქ: სხვად ქცევა: ესკიდან გურჯი ყოფილა, თურქზე **გადაბრუნებულა** (გურჯული არ იცის, გურჯი აღარაა) (ელიასხევი).
- გადავლება** - აქ: გადაცვლა: დედეს ალთუნი **გადავლებია** მანათზე (ქუაზაგი).
- გადაკაფვა** - აქ: დახოცვა, თავების დაჭრა: გურჯები **გადაკაფიან**, ერმენები დამსხდარან, გურჯები დუკლიან, იმ უბანზე ერმენ ხევეკი უთქმიან... (ელიასხევი).
- გადაფიქრება** - დავიწყება: დამამიწყდენ, **გადაფიქრდენ**... და ველარ გევხსენე (ქუაზაგი).
- გადაცვალება** - შეცვლა, სხვად ქცევა: აბლი, აბლი **გადაცვალენით** (ხევეკი).
- გადაცლილი** - გარდაცვლილი: **გადაცლილი** ბერები კი იღვაწებდეს... (ელიასხევი).
- გადუზვა** - გადარაზვა, ჩარაზვა: კარი'და **გადუზო**, წებვიდე (ქუაზაგი).
- გაზვერეთი** - ადგილი ვეჟანგეთში.
- გათამდება** - გათავდება: ...სამი ღამე **გათამდება**, წავლენ და გააგდებენ იმას (ცუცეკარი).
- გაკარება** - გაკრა (?): ონდასონრა, ბოსელი ხევენარი'ნა **გაუკარო**, სხვილი ხევენარი... (ქუაზაგი).
- გაკეთო** - გააკეთო: ...ტალახი'ნა **გაკეთო**... (ქუაზაგი).

**გალავანი** - ღობე: ღობეს **გალავანსაც** ეტყვიან... (ელიასხევი); შდრ.: საბა-გალავანი, ზღუდე.

**გალალვა** - გარეკვა, გადენა, გაგზავნა, წასვლა: გუგუმით წყალი მევტანეთ, **გევლალენით** (ობლევარი); შდრ.: ღლ. გალალვა.

**გამააგდეს** - გამოაგდეს: ფარუქი ახლა **გამააგდეს**... (ხევევი).

**გამთელემა** - გამოჯანმრთელემა: როგორ იქნა? **გამთელდა**, თქვენ - გაჯამთელდა (ჭილათი).

**გამიერს** - გამო: ეს უშენებია ჩვენ დედესა და ამის **გამიერს** ყანთაროდლი უთქმინან (ქუაბაგი).

**გამკოჭი** - ბოქლომის სამაგრი კარზე: ესეც **გამკოჭი**... (ხევევი).

**გამოა** - გამოვა: ეს პატარად ამაღამ **გამოა** (ქუაბაგი).

**გამოთხოილი** - გათხოვილი: ამ სოფში ვიყად ...**გამოთხოილი** (ცუცეკარი).

**გამოცლა//გუმოცლა** - გამოცვლა, შეცვლა: ძველებმაც აღარ იციან... **გამოცლილია** სიტყვები, ჩუენში თურქი გარეულია (ფიშნარკევი); ზორჩხა **გუმოცლილია** (იეთი).

**გამოღება** - აქ: გამორთმევა: შენ ბევრი მახვარათე, შენ ფარა'და **გუმოგილო** (ქუაბაგი).

**გამქცარან** - გაქცეულან: [ოქრო] მიწაში ჩუუდვიან, **გამქცარან** (ელიასხევი).

**გამღერება** - სიმღერა, მომღერება: კიდევ **გამღერდებოდით**: თაროზე ყველი მაქვა, შემპალია, შემპალი... (სადიყანა).

**განაყარი** - განაყოფი, აქ: მეზობელი: ესენი, ჩვენ **განაყარი** ვართ, ძველიდამ **განაყარი** ვართ, ძველიდამ (ცუცეკარი).

**განიავება** - „ნიავეზე აყრით ზვის გაცლა“ (ქეგლ): [ქერს] გავლენწავთ და ისე **გავანი-ავებთ** (ქუაბაგი); აგი მერულია, **ვანიავებდით** დიკასა, ქერსა (ელიასხევი).

**განკოჭი** - გამკოჭი, მორების/ფიცრების კუთხეების შესაკრავი რკინის ფირფიტა: ეს არი **განკოჭი**, ეს განია და კოჭი აქო ამასა (ხევევი).

**გადავუზებული (თ. Yavuz** - მრისხანე, მკაცრი, ავი, სასტიკი) - გაავებული: დედამთილი **გადავუზებულია**, რძალი ასაქმებსო (ზასლეკარი).

**გაპარცვა** - გაპარცვა: ცხვარ **გაპარცუენ**, გასწევენ ცხვარსა, **გაპარცუენ**... (ხევევი).

**გარედამც** - გარედანაც: **გარედამც** იყო კიბე... (ქუაბაგი).

**გარეთ** - გარდა: დაა დეკაცი არ არი თქვენ **გარეთ?** (ბინათი).

**გარეთული** - გარე, უცხო: ...**გარეთული** კაცი ჩვენ ჭად არ მოგვიხმარდება... (ქუაბაგი).

**გარეე** - გარეთა: ...შიგანად იღებ, **გარეე** - არა, **გარეე** - ძროხებთვინ... (ქუაბაგი).

**გარიგება** - მიხვედრა, გაგება, სწავლა: შენი ლაპარიკი ბევრი ვერ **გომირიგებია** (ფიშნარკევი); მე მექთებში მივდოდი, თურქჩა არ ვიცოდი, იმხან **გევრიგე** (ფიშნარკევი).

**გარცხვა** - გარეცხვა: [ქალმა]... წინდები'ნა **გომირცხას** (ელიასხევი); ამას ასე **გავრცხავთ**, ჩავჰყრით, მეხარშვის... (ხევევი).

**გასერიქი** - ადგილი ალაფინარში.

**გასიება** - აქ: გაბერვა (ტივის): ...ტივი მეეტანდეს, **გასიებდეს** და იფერხულებდეს ხორომი (ქუაბაგი).

**გასტინიცა (რუს. Гостиница)** - სასტუმრო: ...ეს **გასტინიცა**, სასტუმრო, ავაშენე ქართველებიზა ... (ხევევი).

- გასწორება** - აქ: გამოსწორება, გამოკეთება გუნების: ერთი ბარდაგი დავლიოთ, აღარ დამჯავდები, **გაჰსწორდები** (ელიასხევი).
- გასხნა** - გახსნა: ორი ცალი დავლიოთ, მემრე **გეისხნება** (ელიასხევი).
- გატეხილი** - აქ: გაკაფული (ტყე): ...მასკა თავდალმი წომოსულან, ადგილები **გუტეხიან**, სახლები გუკეთებიან (ხევეკი).
- გატყლაპვა** - გადაზელა: ...ონდასონრა ჩახყრი შიგან, ...ასე ქი უხრაფთ'ნა მუურიო, არ **გეეტყლაპოს...** (ბასლეკარი).
- გაფრეწა** - გახეთქვა, გატეხვა: ...ი ქვა ისე **გუუფრეწია**, ისე გუუჭრია... (ელიასხევი); ლომბი ტბა არი, იგი **გაფრეწილა** და წულია იეთი (დუგური).
- გაფუჭული** - გაფუჭებული: ...ღვარი მოსულა, მოთორი **გაფუჭულა** (ხევეკი).
- გაღმავრი** - გაღმელი: ქობაჲ ადნი'ა, **გაღმავრი** ვარა და აქ გამოვეთხოვეა იქე'ვრი (ქუაბაგი).
- გაღმართული** - გაღმიელი: აი **გაღმართული** რემეზან ქელიში ცხოვრობს (წითლეკარი).
- გაღმი** - გაღმით: **გაღმი** კი სოფელი არი, იქიდან ჩუვლიან (ფიშნარკევი).
- გაღმობა** - გაღმა: აჲ **გაღმობაში** უყურავს (ქუაბაგი).
- გაყარა** - გადაყარა, დაყარა: [თევზები] აზა წყალში **გაყარა?** (ხევეკი).
- გაყრა** - 1. გაძეგება, გარეკვა: [ათათურქს] ...უთქვია: სუყველა ერმენები **გადაჰყართ** თურქეთში; [ერმენები] ...**უყრიან** გარესკე (ელიასხევი). 2. დაყრა, დატოვება: ე თორები **გაყართ** აქა (ფიშნარხევი).
- გაყუდება** - გაჩერება: იმ ქოხიკარ **გეყუდე** და (ელიასხევი).
- გაჩეჩავს** - დაჩეჩავს: ბებერი გაპარცავს დათვსა, მერე **გაჩეჩავს**, დართავს კედს (ხევეკი).
- გაჩილფვა** - გასახერხ მორზე ჩილფით (იხ.) სწორი ხაზის გავლება: ეს ჩილფია, ხეს **გაჩილფავთ**, გავჰჭრით (ქუაბაგი).
- გაცხავება** - მარცვლის გასუფთავება საცრისებრ ჭურჭელში, ცხავში გატარებით: [ქერს, დიკას] წისქვილში წაღებამდე **გავაცხავებდით...** (ელიასხევი).
- გაცხვირული** - ნაწყენი, გაბრაზებული: **გაცხვირულია** ჩემგან, არ მეხვარათება (ქუაბაგი); შდრ.: ფუტკ. გაბუკული; აჭ. ცხვირის გაშვერა.
- გახელება** - გაბრაზება: იქ ძმები ერთმანეთიდან **გახელებულან** (ბინათი).
- გახერსება** (არ. **Hersi** - ბრაზი, რისხვა) - გაბრაზება, განრისხება: ...არ იქნა ქი, იმაზე **გახერსდი** ქი (ობლეკარი). იხ. გაჰერსება.
- გახოცვა** - გაწმენდა: ...შენი თავი გუუწევიან, მე **გავხოცოთო** და **გუუხოციან** (ობლეკარი).
- გახრაკვა** - დაწვა: დენჭები დუკლიან, ხელში რაცხა ქონდეს, გუმუდეს, სახლები **გახრაკეს** (ქუაბაგი); ...ერბო'ნა **გახრაკო**, მაწონ მასხხამ, ერბო მასხხამ, შუჰჰამ (ბასლეკარი).
- გახრაკული** - დამწვარი: ეს **გახრაკული** გავა იმათჩი (ხევეკი).
- გახსნა** - აქ: დარეკვა: ზალ **გუუხსენ**, ოთუზ ბემ სიცხე არი (ობლეკარი).
- გაჯრა** - გარა: თევზი ფხაჲ **გაჯრილა** ყიაში... (მოსლიეთი).
- გაჰერსება** - გაბრაზება, გაჯავრება, განრისხება: გული მენთება - **გაჰერსდი** შენზეო, ი თქმაჲა (სადიყანა). იხ. გახერსება.



**გაჰყავლობს** - ჩხუბობს, ომობს, დავობს: ჰოე...უუ! რა **გაჰყავლობს**, რა **გაჰყავლობს** (ქუაბაგი). შდრ.: თ. **Kavga** - ჩხუბი, დავა, ომი.

**გაჰჩეჩავს** - გაჩეჩავს (მატყელს): ...საჩიჩელი იქნებოდა, ასე **გაჰჩეჩავდეს**, მერე დართვიდეს... (ხევეკი).

**გედუგ ქილი** (თ. **Gedik** - ხევი, უღრანი, გაუვალი ადგილი; **kil** - ბალანი, ბეწვი, თმა) - ადგილი ჭილათში.

**გედუქ** - ადგილი არჯევანში.

**გევეარე** - გავიარე: რა გელაპარიკო, რა ვიცი, განი გინდა, **გევეართ** (ქუაბაგი).

**გევნეთ** < **გევდეთ** - გავიდეთ: ჰა, **გევნეთ** სახში (ქუაბაგი).

**გელა** - „ხის ან რკინის კეტი მოღუნული ბოლოთი“... (ქეგლ): ესეც ლომისი მეორე სომ, **გელაჲ** (ქუაბაგი).

**გელი** - მგელი: ახლა დათვია, ზამთარში - **გელი** (ფიშნარჯევი).

**გენიში** (თ. **Geniş**) - ფართო, დიდი: ბრანგვი ჯე - დიდი ჯე, **გენიში**, ფართო (ქუაბაგი).

**გენიჯევი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**გენჯიანი** - (ახლა: გენჯთურქი) მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**გელსონოს** - დაისვენოს: შენ - გალმი, მე - გომოდმი,/ გულმა რა'ნა **გელსონოს** (ხევეკი).

**გერმალი** - გემრიელი: გიჰამია ხომ, **გერმალი**'ა, **გერმა**'ლი (ცუცეკარი).

**გერმელი** - იხ. გერმალი: ის **გერმელი** ბალი'ა (ცუცეკარი).

**გეშდი** (თ. **Geçti**) - გაიარა: ზამან **გეშდი**, გადწყდება (დუგური).

**გეჩიმი** (თ. **Geçim** - არსებობის საშუალება, სოცოცხლე, ცხოვრება) ვაშენე: ...ონდასონრა, პურტყევი, მალევი, **გეჩიმი** ვქენი (ქუაბაგი).

**გეჩიორ (?)** - ხარიტადან გუდასხევ მონასტერ **გეჩიორ**... (ქუაბაგი).

**გეჩიშდურ** - წავიდა, დაიკარგა: ისაქმებს, წევა, **გეჩიშდურ**, პატრაჲ ფარები აქვან (ქუაბაგი).

**გვაქვა** - გვაქვს: **გვაქვა**, **გვაქვა**, ქართოლ ვთესავთ, მაროლი... (ქუაბაგი).

**გვახსონ** - გვახსოვს: ძველი არ **გვახსონ** ...ძველი ხებრები არ **გვახსონ** (ქუაბაგი).

**გზაბაწარაჲ/გზაბაწარი** - ბილიკი: ფეხი გზაა, **გზაბაწარაჲ** (ელიასხევი); იქ **გზაბაწარზე** გედარებენ ჯარები (ელიასხევი).

**გზაპატარა** - ბილიკი (შდრ.: გზაბაწარა): ახლა მივდივართ ასე, გზაჲა, ფეხი გზა, **გზაპატარა** (ელიასხევი).

**გზევენარი** - გზევი: ბიჭი... **გზევენარ** იჯება, **გზევენარ** აშენებს (ბალხი).

**გიათქედი** - ადგილი ელიასხევიში.

**გიდეირიმ** - მიდის: ეს გზა ფუნდულ მივა, ფუნდულ **გიდეირიმ** იშტე (ქუაბაგი).

**გიდეყუდება** - გადაყუდება: ხალი გედემხურეფ, **გიდეყუდები** ზედა, კარგა დაგცხება, გამთელდები (დუგური).

**გიენარი** - უბანი ჩევრელში.

**გიზა** - გზა: აქიდან გედარ, ჩეხვალ **გიზაზე** (ბალხიზარი).

**გირძელ ჭალა** - ადგილი მექართულე ტაოში.

**გიჯი** - გიჟი: **გიჯები** ყოფილან იქ, ბალხში... (ფიშნარჯევი).

**გლახა** - ცუდი: **გლახა** საქმე ვქენო, ახლა ფიშმანი ვარო (ელიასხევი).

**გნო//გნო'უ** - ქალო: ბრალია, **გნო**, მოკრიფეთ და მედტანეთ (ქუაბაგი); გნო'უ, ერთი და'ჯექ და! (ქუაბაგი).



**გავ** - შორისდ. გამოხატავს გაკვირვებას: გურჯიჯა რა გითხრათ, **გავ?** (ქუაზაგი).  
**გავარი** - ურჯულო, არამუსლიმანი, ქრისტიანი: ხომ **გავარი** არ ვარა, ვილოცავ და რემეზან ვიჭირავ (ბალხი); იხ. ნიჟ. გაიური.

**გავრუმ დუზი** - ადგილი არჯევანში.

**გაოლი (თ. Göl)** - ტბა: იქ **გაოლი** არი, კრატერის ტბა... (ელიასხევი).

**გაუზემ მაჰალე** - ჩრდილი: ...ბოური ზე რომ არ შაადგება, „**გაუზემ მაჰალე**“ (ელიასხევი).

**გაუნე მაჰალე** - მზიანი, სამზეური: ბოური ზე რომ შაადგება, „**გაუნე მაჰალე**“ (ელიასხევი); შდრ.: ნიჟ. გუნეული.

**გობზევლა** - ადგილი იეთში.

**გობი** - „თეფშის მსგავსი დიდი ზომის ამოთლილი ან შეკრული ხის ჭურჭელი“ (ქეგლ): ეს **გობი**, ხელგობი, ამაში ცომ იქმოდეს, ასუქებდეს (ქუაზაგი).

**გოგდე** - რუხი: **გოგდე** მიწაა, რუხი, არ მოკტება (დუგური).

**გოგოვანნი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**გოდლეკარი** - მცირე სოფელი ელიასხევიში.

**გოდრეკარი** - იხ. გოდლეკარი.

**გოდდეკარი** - იხ. გოდლეკარი.

**გოვაჰსწორო** - გავასწორო: საქმე'და **გოვაჰსწორო** (ელიასხევი).

**გოზი (თ. Göz - თვალი)** - წყარო, წყაროს თვალი: **გოზი** წყაროა (ელიასხევი).

**გოლფარადი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**გომოსულა** - გამოსულა: ...ბგანო **გომოსულა** გოლიდამ... (ქუაზაგი).

**გომოდმა** - გამოდმა: გაღმა თეთრი ქათამი/**გომოდმით** მიკუკუნებს (ხევეკი).

**გომოდრომა** - გამოდრომა: **გომოდრომა** იქსა, ვერ **გომოდრება** (ხევეკი).

**გომოხვალ** - გამოხვალ: იქედამ შუმუყეებით, **გომოხვალ** აქოს... (ხევეკი).

**გონთ'ი** - 1. ადგილი არჯევანში; 2. ადგილი წითლეკარში.

**გონია** - მკუთხავი: ე **გონია**, ქომეს გააკეთრფ (ქუაზაგი); შდრ.: ქეგლ: გონიო.

**გორამეთი** - 1. ადგილი ელიასხევიში; 2. ადგილი წითლეკარში.

**გორამეთი წყალი** - ღელე მექართულე ტაოში.

**გორგალი** - მრგვალი: ესენი ხელით გათლილია, ერ თანე **გორგალი** ხიდან ერთ თანე ტახთა გამოვდოდა ცულითა (ქუაზაგი).

**გორგოლეთ** - ადგილი ზღაფორში.

**გოროზოლ** - ყანა დოლეჯიანკარში.

**გოყავლება (თ. Kavga - ჩხუბი, დავა, ომი)** - გვეომება, გვეჩხუბება: ისინი **გოყავლებიან** ქი, გურჯიჯა ავიწყებთ ღენჭებსაო (ბალხიბარი).

**გომდაგარა//გომნაგარა** - ადგილი ხავისკარში.

**გოჩიები** - ადგილი ჭიმჭიმს ზემოთ.

**გოჭეთი** - ადგილი ყადიოდლის უბანში, არჯევანის ხეობა.

**გოჭიეთი** - მეზრე უტავში.

**გუბე** - ტბორი: [ბიჭს]... უქნია დიდი **გუბე** და წყალს გუფრეწია ის ყვერე (ობლეკარი).  
 შდრ.: ქეგლ.

**გუგუმი (თ.güğümlü)** - თუნგი, წყლის ჭურჭელი სპილენძისა: **გუგუმით** წყალი მეგტანეთ... (ობლეკარი); ეს **გუგუმია**, ფახირი, წყალს მოვტანთ (ქუაზაგი);  
 შდრ.: ქხელა - გუგუმი.

**გუგუსუ** - ადგილი არჯევანში.

**გუდასხევი** - მეთურქულე სოფელი ელიასხევის ხეობაში.

**გუდმოღმა** - გადმოღმა: **გუდმოღმა** უზევი ვუძახივარ (ბასლეკარი).

**გუდუაგდე** (<გადავაგდე) - უარყყავი, დავივიწყე: **გუდუაგდე**თ გურჯიჯა, ღენჭებ არ იციან (ბალხიზარი).

**გუდუყრიან** - გადაუყრიათ: ...იქიდამე ჭოროხში **გუდუყრიან** რუსები (ფიშნარკევი).

**გუვაკეთებ** - გავაკეთებ: იმა ტოლმა **გუვაკეთებ**თ (ხევეკი).

**გუვენლიქჩი** - გარე მცველი(?): ბიჭმა ლისე გაათავა, ბურსა ბელედიეში **გუვენლი-ქჩია**, გარედან საცველი (იეთი).

**გუზელ'ი//გაუზელ'ი** (თ. Güzel) - ლამაზი, მშვენიერი, საუცხოო: ...**გუზელ** არ ვიტყვით, დიღბერი ვიტყვით (ბასლეკარი); ორთა კამარა ჩოხ **გუზელ** (ელიასხევი); ...გუშინ მოსლაზე// დაგაჯერე **გუზელი** (ქუაბაგი); **გუზელია** ქვაბად (ქუაბაგი).

**გუკეთებია** - გაუკეთებია: გამოსულა აქა, ყვერე **გუკეთებია** (დუგური).

**გულა ძირი** - ადგილი ელიასხევეში.

**გულეგულე** (თ. Güle - ბედნიერად, კარგად იყავი, ბედნიერი მგზავრობა, ნახვამდის): ბედნიერი მგზავრობა, კარგად იყავი (დალოცავენ წამსვლელს): ჰადდე, **გულეგულე!** (სადგიყანა).

**გული ენთება** - გაბრაზებულა, ნაწყენია: ხაღწი არ მაჭამე, **გული მენტება** შენზეო (სადიყანა).

**გულჩიჩეგი** (თ. Gül çiçek - ვარდის ყვავილი) - აქ: ვარდი: ესა? **გულჩიჩეგი!**

**გულჩიჩეკი** - იხ. აჩიჩეკი: ესას აჩიჩეკი, **გულჩიჩეკი** (ელიასხევი).

**გუმოგილო** - გამოგართვა: შენ ბევრი მახვართე, შენ ფარა'და **გუმოგილო** (ქუაბაგი).

**გუმოდი** - გამოდი: გოგო, **გუმოდი** კარზე (ბასლეკარი).

**გუმოვალ** - გამოვალ: ...თუ არ მომაკვდინებენ, **გუმოვალ** უკნისკეო (ქუაბაგი).

**გუმოსწიე<გამოსწიე** - აქ: გადაიღე ფოტო: **გუმოსწიე**, ლამაზია! (წითლევკარი).

**გუმუა** - გამოვა: ...ზედან ნაწველი დავასხათ, ისე ფორვა **გუმუა** (ბასლეკარი); კადმადი და... იმა ჩაახლი, ფქვილ ჩახყრი, მურევ, **გუმუა** ხაღწი (ხევეკი).

**გუმულია** - გამოუვლია: აქ რუსებ კი **გუმულია**, **გუმულია** და ერთი სამი თანე თურქეთისი ასკერები მუკდუნებია (ელიასხევი).

**გუმუუვლიან** - გამოუვლიათ: ერთი აქ რუსებ **გუმუუვლიან**; თურქეთიჩი **გუმუვლიან** რუსის ასკერები სუყველა (ელიასხევი).

**გუმუქცევა** - გამოქცევა: **გუმუქცევა**, გამოსულა აქა... (დუგური).

**გუმუღებს < გამოუღებს** - აქ: გადაუხდის: ...ის ხალხი წაართუამს [ცხვარს], ფულს არ **გუმუღებს** (ელიასხევი).

**გუმუღეს** - აქ: წაართვეს: ღენჭები დუკლიან, ხელში რაცხა ქონდეს, **გუმუღეს...** (ქუაბაგი).

**გუმუშიანი** - (ახლა: გენჯთურქი) მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**გუმუშიანი** - გოდდეკარის უბანი.

**გუმუძღება < გუმუუძღება** - გამოუძღება: გზაჩი შააგებებენ ბიჭსა და **გუმუძღება** და წამოდყვანებენ (ცუცეკარი).

**გუნგუზე** - ადგილი უტავში.

**გუნეჲ მაჰალესი** - ადგილი ოთხთა ეკლესიაში.

**გურაზინ ბოლაზი** - ძვ. ანზავ დერესი - ადგილი ანზავში.

**გურგუნა ქეთი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**გურევთ** - გაურევთ: ლეზიოში **გურევთ** მარქვალსა (ბასლეკარი).

**გურნეთეველი** - ადგილი არჯევანში.

**გურჯიგოლი** - ტბა.

**გურჯიჯა** (თ. Gürcüce) - ქართული: **გურჯიჯა** ერთი უქუმეთი'ნა შეიქნეს (ელიასხევი).

**გუზგდია** - გად. უშობია: ქუაბ ქუაბი **გუზგდია** (ქუაზაგი).

**გუფრეწია** (<გაუფრეწია) - გაუხეთქავს: ...ყვერე გუკეთებია, წყალი დუგუბებია, ყვერე **გუფრეწია** და გესულა იმ წვერზე (დუგური).

**გუწუმდეს** - გაწვიმდეს: ამეზლამ აქ'ნა **გაწუმდეს** (წითლეკარი).

## დ

**და** - „გასაპასუხებელი სიტყვა-ნაწილაკი, დადასტურების შინაარსის გასამდიერებლად“ (ნიჭ. 1971): ...ესაც დამადი, სიმე, სიმე **და** (წითლეკარი).

**დაა** - იბ. დაჰა.

**დააბლება** - დაცოტავება, შემცირება: სიფთა ბევრი იყო აქ თევზი, ახლა **დააბლდა** (ელიასხევი); ჩვენი ბაზომ, დედემ იცოდეს, ახლა **დავაბლდით** და (ელიასხევი).

**დაალაპლაპებს** - აანთებს: [დედე] კვარი **დაალაპლაპებს** და ბოსელში ჩავაქი... (ელიასხევი).

**დააშიკება** - შეყვარება: ხედავს ფერის გოგო დგას და ტალღუჯობს და იმა **დაააშიკება** (ელიასხევი); შფრ.: საბა: აშიკობა - ტრფიალება; ნ. ჩუბ. დ. ჩუბ.

**დააძაგებს** - აუგს, ცუდს ამბობს (ვინმეზე): კად კაცს დააქებენ, ბერ კაცსა - **დააძაგებენ** (ბასლეკარი).

**დაბადულა** - დაბადებულა: ჩემი დედემ სექვზე **დაბადულა** ქვაზაძში (ბალხი).

**დაბადული** - დაბადებული: აქ **დაბადული** ღენჭი ენა ამოიდგამს - ქართული (დუგური).

**დაბადული ენა** - აქ: მშობლიური ენა: ჩვენი **დაბადული ენა** ქართველია, მასკა დევწავლე თურქჩა (იეთი).

**დაბანდვა** - დაწყობა, დაგება (ხეების): ...სხვილი ხევნარი, ასე **დუუბანდო**, ტახტები'ნა დააგო... (ქუაზაგი).

**დაბაშლება** - დაწყება: მე ახლა'ნა **დავბაშლო**, მე თურიზმი ვიკითხე (ბასლეკარი); დევსაკარადს მეჰელეები მალლიდამ **დევბაშლოთ**: ბასლეკარი, შაბანიანკარი... (ხევეკი).

**დაბედვა** (სპ. Beddua - წყევლა, შეჩვენება) - დაწყევლა, შეჩვენება: ... წასულა კაცი, **დუბედვია** ესენი (ხევეკი); იმ ქალის ანასა **დუბედია**: ღმერთმა ქო შექნასო, ვინცხამა ქნა ეს საქმეო (ქუაზაგი).

**დაბერნეს** - დაბერდეს: ე ქალები **დაბერნეს**, აღარ ესმიან (ელიასხევი).

**დაბუგება** - დაგუბება: და გასულა იქ, წყლის თავში, ედა წყალი **დუბუგებია**, **დუბუგებია**, ...ერთ დღეს, ორ დღეს, სამ დღეს... (ხევეკი).

**დაბუნდება** - დაბრუნდება: ე' **დაბუნდება**, ააა! ონაგორა ფეხ აწევ, **დაბუნდება** (ქუაზაგი).

- დაბურვა** - დახურვა: მაწვენ დედა ჩავასხამ შიგა [რძეში], **დავბურავთ**, შედქნება  
მაწვენი (ხევეკი).
- დაბუხება** - დაბუჟება: **დაბუხებული** ხარა? (ელიასხევი); შდრ.: ფუტკ. დაბუჟება.
- დაგო** - დააგო: ...ტახტები'ნა **დაგო**... (ქუაბაგი).
- დადგომა** - გაჩერება: **დამდგარა** მი საათი (ბინათი).
- დადე** - მდადე, ქალის მაყარი: ერგან იქნებიან **დადეები** გოგოს უკან, სამი ღამე  
გათამდება, წავლენ და გააგდებენ იმას (ცუცეკარი).
- დადულაჲ** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.
- დავდნეთ** - დავდგეთ: **დავდნეთ** ერთი, ვიპარიკოთ (ელიასხევი).
- დავსხნეთ** - დავსხდეთ: წევდეთ ახლა, აქო...**დავსხნეთ** (ელიასხევი).
- დავჯნეთ** - დავჯდეთ: მოდი, აქო **დავჯნეთ** (ქუაბაგი).
- დათვები** - ელიასხეველთა და გუდასხეველთა სახელმეტად (მეტსახელი).
- დათვი წყარო** - ადგილი მექართულე ტაოში.
- დათვითავი** - იხ. **ტაკტაკაჲ**.
- დათვის საბანაჲ** - ადგილი მექართულე ტაოში.
- დაკარქვა** - 1.: დამარხვა: იმ კაცებ ის თავებ უხუჭიან კი, მოსულან აქოს,  
**დაკარქულან**... აქო ჩაწყობილან და **დაკარქულან** (ელიასხევი). 2. მოკვლა,  
მოკვდინება: ...არ მუშუციან ქართველებ ი გოგო მისთუნ და უთქვიან,  
**დავკარქოთო** ეს (ელიასხევი).
- დაკდუნება** - დახოცვა: ერმენები **დუუკდუნებიან**, იქოვრობაში ქართველები არიანო,  
ხელ არ ურევდენ (ელიასხევი).
- დაკილვა** (<**დაკილტვა**) - დაკეტვა: კარის **დაკილვა**, ჰო? არი! (ცუცეკარი).
- დალანძვა** - დაწვა: რაები რომ ისხემდა, ერთი თანე არ არი ახლა, ცხელაში არ იქნება,  
**დეღლანძა** (ბინათი).
- დალეწვა** - დამტვრევა, დატეხვა: ცემენტი მოვკოდე, ქვა **დავლეწე**, ვაშენე  
(ელიასხევი);...ლებიო **დალეწავ**, მოხარშავ ცივ წყალში... (ბოწმინდა). შდრ.: ძვ:  
დალეწვა, საბა: დალეწა - დაამტურია.
- დალეწილი კატრები** - ტყე მექართულე ტაოში.
- დამ** - თანდებული: ფილავ წედლებდენ **სახლიდამ** (ელიასხევი).
- დამადი** (თ. **Damat**) - სიძე: ეს ჩემი ბგანო, ესაც **დამადი**, სიძე, სიძე და... (წითლეკ-  
კარი).
- დამაძწყდა** - დამავიწყდა: **დამაძწყდა**, ა' ვიცი (წითლეკკარი).
- დამთრალდება** - დათვრება: [ბიჭები] ...**დამთრალდებოდენ** დილამდე, მერე ჩვენ  
რახს მიადგებოდენ, დილამდე **დამთრალდებოდენ** (ელიასხევი).
- დამუხება** - დალურსმვა, დაჭედება: ეს არი თუთიმი, თოხჩას **დაამუხებს**... (ხევეკი).
- დამჩალა** - 1. დარჩენილა: [წისქვილის] ღარი მიწაში **დამჩალა** (ქუაბაგი); ერთი კვირა  
**დამჩალა**, იმდენი გათოვლებულა (ელიასხევი); იქა მუსლიმანები **დამჩალან**  
და...რაც არი, იქ **დამჩალან** მუსლიმანი (ელიასხევი). 2. გად. დახოცილან: აქა  
ბოვრი მეზერი არი, იქ **დამჩალან**, დიდი ყავლა იყო იქ (ელიასხევი).
- დამჩალი** - დარჩენილი: ძველი **დამჩალი** ბელქი ერთი-ორი ხანე არი (ელიასხევი).
- დამცვი** - დამცავე: ჩევდე, კედი გამოვტანო, შენც აქედან **დამცვი** (ხევეკი).
- დამძრალა** - მოყინულა: მისულან, უწევია, ხელი **დამძრალა**, წუმულიან - დამძნარა  
(დუგური).

**დამჯავებული** - დამჯავებული: საჭმელი არ ჰქამე, შენ **დამჯავებული** ხარ (ელიასხევი).

**დანალეთი** - ადგილი არჯევანის ხეობაში.

**დანახული ვარ** - დანახული მაქვს, მინახავს: ...ქილისე არ დევნახე, ისე ფოტოში **დანახული ვარ** (ელიასხევი).

**დამობა** - ომი: ოქი, **დამობა** გათავებულა თურქეთში (ელიასხევი).

**დამორად წასვლა** - სამორად წასვლა: ის კაცებ სუყველა **დამორად წასულან** (ელიასხევი).

**დაჟდება** - დაჯდება: ოხშან ქეთქეთზე მივლენ, **დაჟდებიან** (ხევეკი).

**დარე** - ადგილი იეთში.

**დარუნალი** - 1. ბალახია ერთგვარი: ად კანაფურაა, ესას - **დარუნალი** (ობლეკარი). 2. ყიშლა მექართულე ტაოში.

**დარჩუმლება** - დარჩენა: აქ არ **დედარჩუმლებაო**, ქეშიშმა, წესულან (ელიასხევი).

**დასახლებული** - დაქორწილებული: შენი შვილები **დასახლებულია?** (ქუაბაგი).

**დასხა** - დასხა: ...ათი სანთიმი ტალახი'ნა **დასხა** (ქუაბაგი).

**დასხი** - დასხი: შენ **დასხი**, მასე ხელები ერყევა (მოსლიეთი).

**დასხლიტავს** - გამოჰკრავს სასხლეტს: ...თავი შევა, შემჭამს, **დასხლიტავს**, დეჰჭირავს... (ქუაბაგი).

**დატყევა** - ცემა, გალახვა: **დავსტყვიპეთ** [პარხლელები] და მოველით (ხევეკი).

**დაუტყვია** - დაუნახავს: ე ჰუსედნადა, ქომოთ რომ არი, ვერ **დიმიტყვია?** (ქუაბაგი).

**დაფაქება** - გაწმენდა, დასუფთავება: ჯამე'ნა **დავაფაქოთ** და წევნეთ'ნა (ბასლეკარი).

**დაფიქლული წყარო** - წყარო ფიშნარჯევში.

**დაქვაება** - ქვების დაშენა, ჩაქოლვა: ჯინები სადამოზე **დაქვაებენ** ქოხებზე, საჯებზე, დააბეჩებენ და... (წითლეკარი).

**დაქორება** (თ. Kör - ბრმა) დაბრმავება: [მეცხვარეს] თვალეში აღარ გუხედავს, **დაქორდა** ტირილ-ტირილში (ხევეკი).

**დალეჭა** - დაგლიჯა: [დათვმა] **დალეჭა** ჩვენი ბებერი, **დალეჭა**, ჰო, კაცი **დალეჭა**... (ცუცეკარი).

**დაღინვა** - დატეხა (?): იქა [სიკლია ტყეში] **დაღინდით** [ქვას], ძარაში ჩავხყრიდით, მოვტანდით (ქუაბაგი).

**დაყაფანება** - დაკეტვა, დახურვა: ნახვარ საათი უკან კარ **დაყაფანებენ** და ღამე დავჩებით კარში (ხევეკი).

**დაყენული** - ადგილი მექართულე ტაოში.

**დაყრა** - დაკეტვა: ის ვინაა, კარი **დიმიყაროს**, ძავ (ხევეკი); იქიდან შეველით და კარი **დეყარა** (იეთი). შდრ. დაყაფანება.

**დაყრილი** - აქ: მიტოვებული: აქ ბევრი ყანა **დაყრილია**, დაყარეს, წევნეს (გოდლეკარი).

**დაყუნება** - დაყოვნება: ბევრი არ **დეყუნო**, მალე მოდ (ჭედლიანკარი).

**დაშველება** - დახმარება: ქოხის გაკეთებაზე თელი სოფელი **ვეშველებოდით**... (ქუაბაგი).

**დაშქრის** - დაჭრის: მერე ყურბან **დავშქრით**, ხუთი თაძ ... **დავშქრით**, ვადულებთ (ბასლეკარი).



**დაჩურულება** (დიალ. **Çürük** - ფუჭი, დამპალი) - დაღობა: წინწინ ყავარი რყო, შამა დაღობა, **დაჩურულდა** (ხევეცი).

**დაცხომლება** - დაავადება ციებით (?): **დაცხომლება** - ავით გახდა და! (დუგური).

**დამაბუნება** - მამუნად ქცევა, დასუსტება, დაუმღურება: **შემიმაბუნა** ბგანომ (ბალხი).

**დამახვა** - ორი ან მეტი წვერი ძაფის ერთმანეთთან შეგრება: [მატყლს]... გაჰჩეჩვიდეს, მემრე დართვიდეს, **დამახვიდეს...** (ხევეცი); შდრ.: ქეგლ: მახვა.

**დამრომა//დამრობა** - მოყინვა: „ყინვისგან დაწვა“ (საბა): ხელები **დამრობია** თამარას გაგზანულ კაცსა (ელიასხევი); შდრ.: საბა: დაზრობა.

**დაწკალებული** - დამწკრივებული, ჩაწყობილი: ასე ზომო **დაწკალებული** იყო წისქვილები ერთმანეთს ზედან (ქუაბაგი).

**დაწუწვილი** - დამჯდარი: [ოლვილო] **დაწუწვილი** ქვადა (ქუაბაგი).

**დაწყდომა** - აქ: დახურვა: [სათვალეს] თავიდან კარი ხქონდა, **დაწყდო** (ქუაბაგი).

**დაწყობა** - დაწყება, დასაწყისი: ეს არის ქალაზორი, ქელაზორი საყდარი, აქო წელ **დაწყობაში**, ზღაფული **დაწყობაში**, დავჰკლიდით ყურბნებ (ქუაბაგი).

**დაჭიხვინება** - აქ: შემახილი ცეკვისას: ჩვენ ფერხული ვეტყვით: დაჯექ, ადე, **დემაჭიხვინე**, ხალხი **დემაჭიხვინებს** (ხევეცი).

**დახიზრვა** (თ. **Hizar** - ხერხი) - დახერხვა: ხე მოჭრეს, **დახიზრეს** (ხევეცი); მთიდან ჩამოვტანეთ, **დავხიზრეთ**, ჰაზირია (ქუაბაგი); კედლები ხიზრით **დავხიზრავდით...** (ქუაბაგი).

**დახკარგული** - დაკარგული: ბი **დახკარგულია**, ჰო - დამჩალა (ბალხი).

**დახრაკვა** - დაწვა: აქ სოფელი იყო, **დემახრაკა** (ელიასხევი).

**დახრაკილი** - დამწვარი: თქვენ **დახრაკილი** იტყვით თუ დაწვილი (ელიასხევი).

**დაჯერება** - დარწმუნება: ...ერთ წელ, ორ წელ... ოც წელ **უჯერებია**, **უჯერებია**, მოქცემ, არ მოქცემ... არ მუცემია ბოლოში (ხევეცი).

**დაჯეჯგვა** - ცემა, ბეგვა: თიხა ურევდა, **დაჯეჯგვიდა**, **დაჯეჯგვიდა**, გამაგრდებოდა ისა, კეცებ აშენებდა... (ბასლეკარი).

**დაჯოხვა** - დაწყობა, შეგროვება: [თივას] **ვჯოხავთ** და ზამთარ ვაჭმევთ (ცუცეკარი); ...შიმა მოზიდა, მუუზიდა, **დუუჯოხია** კილდეზე, უნთია ი შიმა... (ელიასხევი).

**დაჰა>დაა** (თ. **Daha**) - კიდევ, ჯერ კიდევ, აქამდე, კიდევ უფრო: **დაა** დეკაცი არ არი თქვენ გარეთ? (ბინათი); იუსუფელში ბალანა ჩემი **დაჰა** (ელიასხევი); გერმანული **დაჰა** ბეური ვიცი (ელიასხევი); ჩვენ **დაა** ზომოთ, ზომოთ მაილაში ფეხით მივდოდით (ცუცეკარი).

**დაჰკრავ** - დაკრავ: ...სახში ქმრის დედეკომ თუ ფინთია, იმა **დაჰკრავ** თავზე, შექერი შემაქნება (ობლეკარი).

**დაჰწერე** - დაწერე: ერთი ტყე **დაჰწერე**, სიკლია ტყე (ქუაბაგი).

**დეგირმავდება** (თ. **degirman** - წისქვილი) - დაიფქვევა: კვერი ვარბენიებთ, ვარბენიებთ, **დეგირმავდება...** (ქუაბაგი).

**დედე-ა** (თ. **dede**) - 1. ბაბუა, პაპა, 2. წინაპარი: **დედეს** თქვენ რას ეტყვით? აღასი აღად - ბაბუა? (ხევეცი).

**დედეკაცი** - იხ. დეკაცი: ერთ თერეფში **დედეკაცი** ...იფერხულვდეს (ქუაბაგი); ამ **დედეკაცსაც** იდარე ქნად-მეთქი და... (ქუაბაგი).

**დედესანი** - მეტსახელი გვარი არჯევანში.



- დევსაკრული** - დევსაკრული: ...ხევაერი ვარ, არ ვიტყვი,... **დევსაკრული** ვარ (ხევევი).  
**დევე** (თ. Deve) - აქლემი: ისე დიდ კაც **დევე** ვეტყვით (ფიშნარკევი).  
**დეველარ** - მეტსახელი გვარი უტავში.  
**დევენი** - კვერი (?): კალოზე ქი გავშლით ქერსა, **დევენია** დიდი, ერთ ჯარ ამ თერეფში მუაბამთ, ერთ - ამ თერეფში, ვარბენიებთ, ...გავლენავთ (ქუაბაგი).  
**დევეთისა** - მცირე სოფელი ელიასხევიში.  
**დევეთისკარი** - მცირე სოფელი ელიასხევიში.  
**დევი** - ზღაპრული გმირი, გოლიათი: დიდი კაცი, გძელი კაცი, ჩვენ **დევი** ვეტყვით, დევკაცი (ფიშნარკევი); შდრ.: საბა: დევი.  
**დევისწყალი** - იხ. წოღწყალი.  
**დევიმი** - აბი (?): [ქალი] დოხტორში წევყვანე, **დევიმები** მიცა, შემჭამს, კაი იქნება (ელიასხევი).  
**დევირიშლარ** - მეტსახელი გვარი არჯევანში. შდრ. დევირიშები.  
**დევირიშოდლი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.  
**დევსაკარა** - ძაილა, ადგილი ელიასხევიში.  
**დევსაკრი ჭალები** - ადგილი მექართულე ტაოში.  
**დევეური** - წითელყურმჩიანი ვაზის ჯიში არჯევანის ხეობიდან.  
**დეინგრია** - დაინგრა, დაიშალა: აქ აღარ არი, ის ქოხები **დეინგრია** (ფიშნარკევი).  
**დეკაცი** - 1. ცოლი: ედაა ჯელალის დეკაციც წვენეს (ქუაბაგი); 2. დედაკაცი, ქალი: აქ დეკაცი ყოფილა (ელიასხევი); ...დეკაც ვერ გუუძლია, წუუყვანია (ქუაბაგი).  
**დელამოტი** - თავმოხდილი რძე: მაშინას დავაბრუნებთ, ...ერთიდან გამუა კამადლი, მეორედან - **დელამოტი** (ფიშნარკევი), შდრ. შ. ფუტკარაძე, დელამუტი, საბა დელამუტი - რძე შეყველებული.  
**დელიოდლი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.  
**დელიხორომი** - ცეკვის სახეობა, გავრცელებული შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში.  
**დელუგი** (თ. Delik) - ნახვრეტი, ჭრილი, ნაჩხვლეტი: ...მას უკან ამედღებ ქევგირით, **დელუგიანი** ციციხვით... (ბასლეკარი); ჩემი თაჲ შევტენოთ **დელუგში** (ხევევი).  
**დემირჩი დუქანი** - სამჭედლო: დედედამ დუქანი გვქონდა, **დემირჩი დუქანი** (ქუაბაგი).  
**დემირჯიანი** - (ახლა დემირჯი) მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.  
**დემურ აღმა** (თ. Demir - რკინა, elma - ვაშლი) - რკინა ვაშლი, ვაშლის ჯიშია ერთგვარი, მწიფდება გვიან შემოდგომაზე, ინახავენ საზამთროდ... იხ. ფუტკ. დემირ აღმა, ნიჟ. დემირ აღმა.  
**დემურჯი** (თ. demitçi) - მჭედელი, რკინით ხურო: ჩაქუჩს მატრუკას ვეტყვით, **დემურჯი** აკეთებდა... (ქუაბაგი). შდრ.: ფუტკ. დემირჯი.  
**დენგიზიანი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.  
**დენისი** (თ. Deniz) - ზღვა: იქ ჯაყელი-მაყელი არაა, **დენისი**დამ ბევრი მაღლაა (ელიასხევი).  
**დეიშური** (თ. Değişik) - განსხვავებული, შეცვლილი, სხვანაირი: ზამთარში აქ ვიყადთ, ახლა აქ ვართა, **დეიშური** მივდოდით (ფიშნარკევი).  
**დეიშკიროს** - დაიჭიროს: იმან კაცი **დეიშკიროს**, მააკდენს... (ფიშნარკევი).  
**დერგი** - თიხის ჭურჭელი: ეს არი **დერგი**, ამაში მაწონს ჩავაყენებთ და დავფარავთ, არ გაფუჭდება ქი (ხევევი).

**დერინა(დ)** (თ. **derin** - ღრმა) - ღრმად ჩვენ არ ვიცით, ჰამა **დერინა** არ ვიცით... (ხევეკი).

**დეფანი** - დერეფანი, აივანი: ...თავში **დეფანი**, იქ ბერელია (ელიასხევი).

**დეყა** (არ. **Dakika**) - წუთი, დროის მცირე მონაკვეთი: წყალი ცალკე ვხარშავთ, ათი **დეყე** იქნება, მემრე ვსუამთ (ელიასხევი).

**დვალეკარი** - მცირე სოფელი მექართულე ტაოში.

**დიაცი** - დედაკაცი, ქალი: თქვენში არიან დაბერებულები? ბებერი, ბერი **დიაცი** არი? (ბალხი).

**დიგით'ი** - ადგილი ვეჟანგეთში.

**დიდ სათიბელი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**დიდ წვერი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**დიდახო** - ადგილი წითლევეკარში.

**დიდვაკე** - ყიშლა არჯევანის ხეობაში.

**დიდი** - აქ: უფროსი: მე **დიდი** ვარა, ხელ ვერ შემოიღებს, ვერ შემტყეპავს (ქუაბაგი).

**დიდი ბალხი** - მცირე სოფელი მექართულე ტაოში.

**დიდი ვაკე** - ადგილი მექართულე ტაოში.

**დიდი ინტკორი** - ნასოფლარი, საზაფხულო სადგომი.

**დიდი მამული** - ადგილი ელიასხევიში.

**დიდი მთიკარი** - სამოვარი.

**დიდი ქალი** - აქ: ასაკოვანი ქალი: აქ ერთი ებედ იყო, **დიდი ქალი** (ქუაბაგი).

**დიდი ყანა//დიდყანა** - სათიბი.

**დიდი ჭალა** - სათიბი.

**დიდი ჯემ** - სათიბი.

**დიდმუხა** - მეზრე უტავში.

**დიდუანი** (<დიდვანი) - დიდები, უფროსები: [ხორცს] ღენჭებ უწინ მუართვამთ, მასკვან **დიდუანი** დავსხდებით... (ბასლეკარი).

**დიდქეთი//დიდქედი** - ადგილი ელიასხევიში.

**დიდჭალა** - ადგილი მექართულე ტაოში.

**დითდურგი** - დიდ[ი]ზურგი: იქ **დითდურგია**, თეფე დურგი (დუგური).

**დიკა** - ხორბლის ჯიში, *Triticum caphthlikum nevski*: **დიკას** აღარ ვთესავთ... [წინათ] **დიკა** საკმარისი მოჰყავდათ (ელიასხევი).

**დილბელი//დილბერი** (სპ. **dilber**) - ლამაზი, მიმზიდველი, ფერმკრთალი: მე შენ დევნა დევნახე,/ **დილბელია**, **დილბელი**... (ქუაბაგი);... გუზელ არ ვიტყვით, **დილბერი** ვიტყვით (ბასლეკარი); აქაური ჰავა **დილბერია**, ფაქი... (ბალხიბარი); **დილბერია** თუ არა, გებნევი (ქუაბაგი). შდრ.: ფუტკ.: დილბერაი.

**დინამითი** - დინამიტი (ბერძ. δυναμις - ძალა), ასაფეთქებელი ნივთიერება: ამი მუხტრობიხან... **დინამითი** გულო... (სავრიეთი); შდრ.: ქეგლ: დინამიტი.

**დინგი** (თ. **Dingil**) - ღერძი, საყელური: მუტანიან კაცები, დინგი, ისენი უქნიან, მუჭით გუხრეტან, დინგი უქნიან... (ბალხიბარი).

**დინი** (არ. **Din**) - რწმენა, რელიგია: ...სხვა ალაგებში'ნა წევნეს... **დინ** კულტურიზე (ქონობანი).

**დირეგი//დირელი** (თ. **Direk**) - დირე, ბოძი: ...ღობეს გალავანსაც ეტყვიან, ღობეს ჭერი და **დირეგი** აქ (ელიასხევი).

**დიქინა** (თ. **Dik** - ვერტიკალური, შვეული, ციცაბო, ფრიალო) - აქ: ციცაბო ადგილი, ფრიალო: მურღულიდამ მერე გამოხვალ თეფე არი, თეფედამ მერე **დიქინა**, შავი არ ჩამოვდესო, სირთიდამ მერე ჩუმუვლიან... (ქუაბაგი).

**დო** - მაწვნის შედღვების შემდეგ დარჩენილი სითხე: **დო** არ იჯებიენ: ერბო იჯებიენ, **დო** - ასხმენ (ხევეკი).

**დოდოფალა** - ქლიავის სახეობა: ქლიავი არი **დოდოფალა** (ბინათი).

**დოლეკარ კეი** - ხევი მექართულე ტაოში.

**დოლეკარი** - 1. სამოვარი მექართულე ტაოში; 2. ადგილი ელიასხევეში.

**დოლენჯანი//დოლენჯიანნი** - უბანი და მეტსახელი გვარი დოლეჯიანკარში.

**დოლეჯიანკარი** - მცირე სოფელი მექართულე ტაოში.

**დოლი** - დოლაბი, წისქვილის ქვა.

**დომუზი** (თ. **Domuz**) - ღორი: ტყეში... გელი არი, **დომუზი** არი... (ქუაბაგი).

**დონებია** - ნდომებია: ...გოგო **დონებია** და გოგოს ბაბოს არ **დონებია** [ბიჭი] (ხევეკი).

**დორთ** - ოთხი: ქუაბად **დორთ** კილომეტრია აქედამ (ელიასხევი).

**დოსტი** (სპ. **Dost**) - მეგობარი, ამხანაგი, საყვარელი, მოყვარე, ნათესავი, მომხრე: ჩვენ **დოსტ** ვიტყვით, თქვენ ამხანაგ ამბობთ, ვერ მიუხტი (ცუცეკარი); ჩემი დედემს **დოსტი** ყოფილა რამეთლი (ქუაბაგი).

**დოფაფა** - საჭამანდია ერთგვარი ადრანითა და ფქვილით: **დოფაფა** იცი? ადრანში ფქვილი ჩაყრი, მურურე, ადუღეფ, თამამ (ბოწმინდა).

**დოქსანდოქუზ** - ოთხმოცდაცხრამეტი: ჩემი ბაბო **დოქსანდოქუზი** არი (ელიასხევი).

**დოჩმენი** - გადმოსახლებული: **დოჩმენი** ყოფილან, ჩონ ქორიეთ მოვნეს (ხევეკი).

**დღევნარი** - დღეები: ძველი **დღევნარი** მომაგონეთ (ბალხიბარი).

**დრეკს** - ხრის, ლუნავს: მერე ერთი ასი ოჯახის ქოხები არი, მდგური წყალი არი, ხელ ვერ შეყოფ, **მოდრეკავს** (ხევეკი).

**დუ, დუ, დუუ!** - შორისდ. საბერველის ხმა: იქა ცეცხლი აანთებ, უბერავს, **დუ, დუ, დუუ!** (ქუაბაგი).

**დუბე** - ყანა უტავში.

**დუგური** - ძაილა (ძვ. ნასოფლარი) მასისის კალთებზე.

**დუდურა (?)** - **დუდურებს** ვკლავთა, ვჰყიდავთ [ხორცს] (ქუაბაგი). შდრ.: ფშ. დუდურა - ხმელი ბალახის გახვრეტილი ლულა; ხევსურ. დუდურა ცაცხვისა - ცაცხვის ლატნისათვის გამრობილი ქერქი.

**დუზ ალმა** - ვაშლის ჯიში ერთგვარი.

**დუზალი** - ხაფანგი (?): ეს თავგი **დუზალია**: აქა შაჭმელია, თავგი შევა, დასხლიტავს, დედჭირავს... (ქუაბაგი).

**დუზბარი** - ტაოს სოფლებში გავრცელებული ცეკვა.

**დუზგუნი** (თ. **Düzgün**) - სწორი, უნაკლო, წესიერი: **დუზგუნი** კაცები არიან, წორი კაცები, იმათდა გაარიგონ (სადიყანა).

**დუზდე მაჰალესი** - უბანი ანზავში.

**დუზი** (თ. **Düz**) - ვაკე, სწორი ზედაპირი: მეზრები **დუზია** (ელიასხევი).

**დუზლარ'ი** - ყანა უტავში.

**დუზხორონი** - ცეკვის სახეობა, გავრცელებული შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში.

**დუთდერე** - ადგილი უტავში; შდრ.: თუთათხევი.

**დუკლია** - დაუკლავს: ბოძნე სისხლი შექნილა, **დუკლიან** (ქუაბაგი); **დენჭები**  
**დუკლიან...** ქოხები გახრაკეს (ქუაბაგი).

**დულგუზიანნი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**დუმანი** (თ. Duman) - კვამლი, ნისლი: ...**დუმანი** და, **დუმანი** წავა და, თუთუნობს  
(ქონობანი).

**დუნახიან** - დაუნახავთ: **დუნახიან** აჟდაა, ორი თავი ქონებია (ელიასხევი).

**დურ** (თ. Durak) გაჩერება, შეჩერება, შესვენება: **დურ**, **დურ**, დაჯექი (ბინათი).

**დურაქლარ** - მეტსახელი გვარი გუდასხევეში.

**დურგები** - ადგილი ელიასხევეში.

**დურსუნლარ** - მეტსახელი გვარი ზღაფორში.

**დუშმანი** (სპ. Düşman) - მტერი, მოწინააღმდეგე: ეს ჩემი **დუშმანია** (ქუაბაგი).

**დუძახო** - დავუძახო: მე **დუძახო**, მუვდეს, ილაპარიკოს, შე დასწერე (ხევეკი).

## ე

**ე** - ეს: **ე ა'** ვიცი მე (ფიშნარჯევი).

**ე'თი** - ერთი: იქ **ე'თი** ფელეგანი ყოფილა, სარი სულეიმანი... (ქუაბაგი).

**ეახლა** - ახლდა: ...დემეკლა'ნა, ჰამა თქვენ **ეახელით** და ვერ დაკვალი (ქუაბაგი).

**ებეა** - (თ. Ebe - ბებიაქალი, მენი) 1: ბებია: ბაბა ანე, გურჯიჯა - **ებეა** (ხევეკი); 2. **ებეა**  
- ასაკოვანი ქალი: აქ ერთი **ებეა** იყო, დიდი ქალი (ქუაბაგი).

**სოღანე** (თ. soğan) - ხახვი: ვიცი... **სოღანე** - რომ ჭამ და თვალეფში გენტება, ად ისი... (ბოწმინდა); ძირ თესვენ, ...**სოღანი**, მისირი (იეთი).

**სოშთ'** - მაილა არჯევანში.

**სოშთ'ა** - ადგილი წითლეკვარში.

**სოჭითი** - ადგილი ყადიოღლის უბანში, არჯევანის ხეობა.

**სუამს** - სვამს: რატონ არ **სუამ?** მე ბევრი ჩაის **ვსუამ**, ილლექი'ნა **ვსუა** (ელიასხევი).

**სუდეფოსი** - ადგილი არჯევანში.

**სუზგი** (თ. *Súzgǎn*) - საწური: [ეს] სუზგი (ხევკვი).

**სუთმაქინა** (*sūt* - რძე, *makine* - მანქანა) - რძის გამოსახდელი მანქანა: ეს არი დოლაზი, ეს - **სუთმაქინა** (ხევკვი).

**სულალე** (არ. *sulale*) - შთამომავლობა, გვარი, მოდგმა, თაობა: ქობის სახელი ჭილაბოლლი, **სულალე** (წითლეკვარი).

**სულბიანნი** - მეტსახელი გვარი ელიასხევში.

**სული** - სუნი: [აქ] **სული** არ არის (ქუაბაგი).

**სულნათი/სურნათი** - ადგილი ქისფოროთის ხეობაში.

**სულოლლი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**სუმან წყარო** - წყარო ფიშნარჯევში.

**სუმბათეთი** - ადგილი ესენდალში.

**სუპერ'ი** (ინგ. *Super*) - საუცხოო, ჩინებული, შესანიშნავი: მევლუდ აზი **სუპერ**, სუპერ (ქუაბაგი).

**სურნათი** - 1. ადგილი ესენდალში. 2. მეზრე ქისფოროთის ხეობაში.

**სუსხვამ** - იხ. ჯიმჭარი: ფიშნარჯევში ჩვენ ჯიმჭარ ვეტყვით, იგი **სუსხვამ** ეტყვის (ელიასხევი): ჰო, ჯიმჭარი, **სუსხვამ** ადნია (ელიასხევი).

**სხალათი** - ადგილი ბინათში.

**სხალთ'** - ადგილი არჯევანში.

**სხალი** - მსხალი: ბანგურა **სხალი**, ბიყიმი **სხალი** არი (ბალხიბარი).

**სხენან** - 1. სხედან: იმათ გაათავეს საქმე, **სხენან** (ობლეკარი); 2. სახლობენ: ოთხ ადგილას ერთათ **სხენან**, ბურსაში სულ ერთათ არიან (ელიასხევი).

**სხვაფერი** - სხვაგვარი: იმათ უმზირვარ, ისინი **სხვაფერ** თლიან... (ელიასხევი).

## ტ

**ტაბიკი** - გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, კვერის წინა ნაწილი, სადაც ხარების შესაბმელი ღვედი ებმება.

**ტადამ//ტადომ** - უფროსი ძმა: ჩემი **ტადომ** დიდია, იმა ვუპოვოთ (ბალხი); ესეც ჩემი **ტადამა**, ამის კაცია (ქუაბაგი).

**ტაკვანა** - მარცხენა: **ტაკვანა** ხელით საქმე არ იქნება, ტ...კ დემბან (წითლეკვარი); შდრ.: ნიჟ. ჭაკვა; მენტ.: ქართლ. კაკვილა.

**ტაკტაკამ** - 1. ნადირის საფრთხობელი: **ტაკტაკამ**, ...ჩვენთან **ტაკტაკამ** ვეტყვით (ცუცეკარი); 2. სარეკელა (წისქვილში): ესაც **ტაკტაკამ** (ქუაბაგი).

**ტალავარი** - ადგილი ჰარხლის ხეობაში იუსუფელს ზემოთ.

**ტალავარი კვი** - მდინარე მექართულე ტაოში.

**ტალბეთ'ი** - ადგილი ხერმუთში.

**ტალი** - ტოტი: ჩადი მედწიე **ტალი**, /არ მოტეხო კონკალი (ობლეკარი).

**ტალდაჯი** - მატყუარა: ტყვილ გიგიკეთებს, წევა, არ მუა, იმა ჩვენ **ტალდაჯი** ვეტყვით (ფიშნარჯევი).

**ტამარი** (თ. *Tamar*) - მარღვი, ნერვი: ჩვენ მელეზი ვართ: ნახვარი ქართული, ნახვარი თურქი, ჰამა **ტამარი** ქართულია (ბინათი); აქვთ ასე ბედის **ტამარი** (ქუაბაგი).

**ტანჩანტური** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ტაი** (თ. *dayi*) - დედის ძმა, ბიძა: ერთი **ტაი** მყაუდა... (ქუაბაგი).

**ტაიოლი** (თ. *dayi* - დედის ძმა, იგუი - შვილი, ძე, ვაჟი) - დედის ძმის შვილი: მისი ებედ, ჩემი ებედ **ტაიოლი**-ბიბიოლლები (ქუაბაგი).

**ტარალი** (თ. *Tarak*) - სავარცხალი, საჩქელო: უთქვია კი, **ტარალი** და მომცე (ელიასხევი); **ტარალი**, თმა დედეგე... იმა ვეტყოდით **ტარალი** (ქუაბაგი); **ტარალი** დარჩა გოგოს; გოგოც ადგება კი, **ტარალი** არ იქნება და იტირებს (ხევეკი).

**ტარი** - აქ: „მაფის დასამახი უკვირისთავო, მოზრდილი თითისტარი“ (ნ. ნოდ.), შდრ. „ქალთ თითის ტარი“ (საბა): ამას ხერთალი ვეტყვით, ამას - **ტარი**... (ქუაბაგი); [იმას] **ტარი** და კვირითად ერქვა (ხევეკი). შდრ.: ნიჟ. ხერთალი.

**ტარლოლიანი** - მეტსახელი გვარი ტაოში.

**ტატვანა** - ადგილი არჯევანის ხეობაში.

**ტალლუჯობა** - ყვინთვა: [ბიჭი] ხედავს ფერის გოგო დგას და **ტალლუჯობს**... (ელიასხევი).

**ტაშკარანი//თაშკარანი** - სამოვარი ტაოში.

**ტამარანი** - სოფელი ოლისში.

**ტახლარ** - ადგილი ხავისკარში.

**ტახტა** (სპ. *Tahta*) - 1. ხე, ძელი, ფიცარი: ტახტადან ბეღელი მქონდა, ბეღელში შაქმელი დავდებდი (ხევეკი). 2. ბოსტნეულის დასაჭრელი სამზარეულოს დაფა (ხევეკი).

**ტეფსი** (<თეფსი) (თ. *Tepsi*) - სინი, ლანგარი, ხონჩა: ...ქათამ ჩავჰყრით **ტეფსიში**, ზედან მარქვალ დავაყრით... (ბასლეკარი).

**ტიკი** - ჭიბონი, გუდა-სტვირი: ქალი მის სახში იყო, ჩვენც მიველით, **ტიკით** მეყვანედთ (იეთი); შდრ.: საბა: ჭიბონი.

**ტირთვი** - ტვირთი: დუწყვია დიდი **ტირთვი** (ხევეკი).

**ტიტა Tulipa** - მცენარე, იციან არჯევანში.

**ტლაფას წვერი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ტლაფას წვერი** - ადგილი ბინათში.

**ტოისხალი** - ადგილი არჯევანის ხეობაში.

**ტოტოლი** - ტორი, ტოტი (დათვის): მეხედავს და დათვის **ტოტოლები** ბებრის ბეჭზე არი გოდმოკიდებული (ხევეკი).

**ტუბათი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ტუბეთლარ** - ადგილი უტავში.

**ტუზის ჭალა** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ტულბა** - ქლიავის ჯიშია ერთგვარი: ქლიავი არი **ტულბა** (ბინათი).

**ტულუსლარ** - მეტსახელი გვარი ზღაფორში.

**ტურციანნი** - უბანი და მეტსახელი გვარი ქვაბაიში.

**ტუტა** - შავი თუთა (ბალხიბარი).

**ტყაი** - ტყავი: **ტყაი** ჯარისი, ფურისი [იყო] (ქუაბაგი).

**ტყევნარი** - სამოვარი მექართულე ტაოში..

**ტყვილ გიგიკეთებს** - მოგატყუებს: **ტყვილ გიგიკეთებს**, წვეა, არ მუა... (ფიშნარკევი).

**ტყვილაი** - ტყუილაი: ის **ტყვილაი** არ იხვარათებს... (სადიყანა).

**ტყვილი არ უკეთო** - არ მოატყუო: **ტყვილი არ უკეთო** და რაცხა იცი, ელაპარიკე (ფიშნარკევი).

**ტყისძირი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ტყოვნარი** - ტყევნარი, ტყე: ...დღით **ტყოვნარში** დევმალოდითო, ღამი ჩომოვდო-დით... (ელიასხევი).

## უ

**უბან'ი** - ადგილი ზღაფორში.

**უბანებს** - ბანს აძლევს: ტაოს ზოგიერთ სოფელში სიტყვის ბოლო ხმოვანს (კითხვითი ინტონაციით) ან ბოლოდან მეორე ხმოვანს (რომელსაც ტონური მახვილი ეცემა) დაგრძელებულად წარმოთქვამენ, რასაც მობანებას ეძახიან: [ხვეაელები და ქობაელები] აბლი **უბანებენ** და... ხვეაელები: რა იჯები **ნო'**? რა ვოზი **ხა'რა?** - ასე იტყვიან. ქობაელნი: რა იჯები გნო? რა კად **ხა'რა?** (ხვეკვი); აქედამ ასკერი **გუგზანი'ა, უთქმი'ა...** (ხვეკვი).

**უბარკავს** - ლაპარაკობს: **უბარკავს** - ხვართობს (ბასლევკარი); შდრ.: საბა: უბარი - უზრახი; მო-უბარ-ი.

**უდელა (თ. Deli - გიჟი, გადარეული)** - გადაერია, გაუგიჟდა: თურქი დევლეთი ასე არ **უდელო**, თამამ მოქცემს, ქურთეფსავეფ თუ **უდელე**, მოქცემს? (ხვეკვი).

**უზევი** - უმზეო, ჩრდილი: გუდმოღმა **უზევი** ვუძახივარ (ბასლევკარი).

**უზუნ ჩუხურ** - ადგილი ფარნავში.

**უთავო** - მთა.

**უთამამებია** (არ. **Tamam** - მთლიანი, სრული, კეთილი, კარგი...) - დაკმაყოფილებულა, უკმარია: **უთამამებია**, წესულა რუსი (წითლეკარი).

**უთაური** - უთავო, უთავბოლო: [ტყე] დაჭრეს, დაჭრეს, **უთაურად** დაჭრეს (ელიასხევი).

**უთოვლებია** - უთოვლია: ძველათ აქა არ **უთოვლებია** (ელიასხევი).

**უკან** - 1. თან, ერთად: შენ ქმარის **უკან** დაგაბეროს (იეთი); ედდა, რუსიას **უკან** არ ხართ? (ქუაბაგი); 2. ში: თქვენიც [ლაპარაკი] გადარევლა რუსულს **უკან** (ელიასხევი).

**უკან ჯეა (<ჯევი)** - ადგილი ელიასხევეში.

**უკანა მთა** - ადგილი ელიასხევეში.

**უკან ობანი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**უკან ტყე** - ადგილი ელიასხევეში.

**უკითხია** - შეულოცავს: ხოჯას ნაცარზე **უკითხია**, შუბერი'ა... და უთქუამს... (ფიშნარჯევი).

**უკნისკე** - ბოლოს: მიხდება, ამა **უკნისკე** ვერ უთქვია (ელიასხევი).

**უმზერს** - უყურებს: არ **გიმზირონ**, ჰო! (ქუაბაგი).

**უმზირვარ** - ვუყურებ: ...იმათ **უმზირვარ**, ისინი სხვაფერ თლიან ... (ელიასხევი).

**უნდოვან** - უნდათ: [ბიჭებს] **უნდოვან** კი ყოველ ღამე დავლიოთ... (ელიასხევი).

**ურუმი (თ. Rum)** - 1. ძვ. ბერძენი, ბიზანტიელი. გად. ქვაბაელთა მეტსახელი: ქობავრი **ურუმი**ა, ხისიმ არ იცნობს... (ხვეკვი).

**უსკვამს** - ცემს, ურტყამს: [მასწავლებელი] ხელზე **გისკმიდა**, თავზე **გისკმიდა...** (ხვეკვი); ...დუგუნებში სმიდეს და **უსკმენ** მერე (ხვეკვი).

**უსტავოლლი** - მეტსახელი გვარი ტაოში.



**უსტალიანნი//უსტაალნი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**უსტალოდლი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**უსტაოდლი** - მეტსახელი გვარი და უბანი არჯევანში.

**უსტიანები** - მეტსახელი გვარი წითლევეკარში.

**უტავი** - მეთურქულე ხეობა და სოფელი ტაოში, სარიგიოლს ზემოთ.

**უტავი კეი** - ხევი მექართულე ტაოში.

**უტამ** - იხ. უტავი: **უტამ** ერმენი ყოფილა, მუსლიმანი შექნილა (ბასლეკარი).

**უტკივნებია** - უტკენია: ბიჭებ უნახიან კი თოვლი, ცივი, ხელში უწევნიან, ხელებ **უტკივნებიან...** (ელიასხევი).

**უფერავს** - ეფარდება: ჩემი გურჯიჯა თქვენი გურჯიჯა არ **უფერავს** ხომ? (ქუაბაგი).

**უფრის** - ფარავს, ეფარება: კუპრეთი იქ არის, კილდე **უფრის** (ბასლეკარი).

**უქუმათი//ჰუქუმათი//ჰუქუმეთი** (არ. **Hükümet**) - მთავრობა, ხელისუფლება: გურჯიჯა ერთი **უქუმათი**’ნა შეიქნეს (ელიასხევი).

**ულუროლა** (თ. **uğur** - სიხარული, ბედნიერი, **yol** - გზა) - ბედნიერი გზა: ჰადდე, **ულურულა**, - რომ წავა გზაზე, ასე ვეტყვი (ხევეკი).

**უყურავს** - უყურებს: ამ გაღმობაში **უყურავს** (ქუაბაგი).

**უშენებია** - აქ: უკეთებია: ყანთარი უსაქმია, **უშენებია**, ჩვენ დედეს ემის... (ბასლეკარი).

**უშუგუნტაში** - ადგილი ვეჟანგეთში.

**უჩ ძუზ** - სამასი: უჩ ძუზ სენე იქნება (ქუაბაგი).

**უჩ ძუზ ონ დედი** (სამი ასი და ათი და რვა) - სამასთვრამეტი: აქა **უჩ ძუზ ონ დედიდან** იქიდან გუდმუვლიან ... (ქუაბაგი).

**უჩუმარად//უჩუმა** - ფარულად, ჩუმად: ამ ხევეკში **უჩუმარად** ულოცვიან... (ქუაბაგი); ჩუმად: [ხევაძში] ბაქან **უჩუმა** ულოციან (ელიასხევი).

**უცალი** - დაცდილი, კარგი: ეს ადგილი კამ ადგილია, **უცალი** ადგილი (ელიასხევი).

**უწევნია** - აუღია, აუწევია: ბიჭებ უნახიან კი თოვლი, ცივი, ხელში **უწევნიან**, ხელებ **უტკივნებიან...** (ელიასხევი); ბიჭსა ტარადი **უწევნია**, წესულა, ქოძში ჩუტანია (დუგური); ...ჩემ დედეს ტარადი **უწევნია**, აღარ მუცემნია (ქუაბაგი).

**უწინდული** - უწინდელი: [ქორუგი] **უწინდული** აშენებულია (ქუაბაგი).

**უხახანებს** - უცდის, უსაფრდება: **უხახანებს** ღამით, აღარ მოვდა, სარაკუნები არ აშინებთ (ცუცეკარი).

**უჭრად** - უხლავო, ჰურის ცომის გასაშლელი ჯოხი: ...[ცომი]გააპტყელო’ნა **უჭრადთა** (უხლავო/ოქლავო), თხელი ბარდალით’ნა დასჭრა... (ბასლეკარი).

**უჯება** - უკეთებს: ქვები დაგებულია, ფიქლები დაგებულია, სარცხელი **უჯებიან** ზათი (გოდრეკარი).

**უჯერებია** - დაურწმუნებია: [ქალის მამას]... **უჯერებია**, **უჯერებია**, მოგცემ... და არ მუცემია ბოლოში (ობლეკარი).

**უჯობიან** - გაუკეთებიათ: ენჯამი არ უღალატნიან, შერიგებულან, ფინთობა არ **უჯობიან** აქ (ელიასხევი).

## ფ

**ფა აგარა** - ადგილი მექართულე ტაოში.



**ფადიშაჰი (სპ. Padişah)** - სულთანი, მონარქი, ხელმწიფე: თამარაჲ იმტე გურჯის  
**ფადიშაჰის** ბგანუ... (მოსლიეთი).

**ფაგვერდი** - ადგილი მოსლიეთში.

**ფაზლიანნი** - უბანი და მეტსახელი გვარი ქონობანში.

**ფალანჯი** - ადგილი ხერმუთში.

**ფალაღი** - ბალახი (?): ღელე, ღელე შევარე, /ღელე **ფალაღიანი** იყო... (ჭედლიანკარი).

**ფალენშენს** - ადგილი ოშნაკში.

**ფამ** - ზვავი: თოვლი **ფამ** წუმუა, წყალიდან - ღვარი წუმუა (დუგური).

**ფარა** - ფული: შენ ბევრი მახვარათე, შენ **ფარა** და გუმოგილო (ქუაბაგი).

**ფართობა** - ლაპარაკი: ა' მესმის, იქ **ფართობდი**, ჰო! (ქუაბაგი).

**ფართობს** - ლაპარაკობს: [ზავშევი] ...მექეთებში თურქა **ფართობენ** (ცუცეკარი).

**ფარული** - ადგილი ელიასხევში.

**ფაფაები** - უბანი და მეტსახელი გვარი ქონობანში.

**ფაფაზი (თ. Papaz)** - მღვდელი: **ფაფაზ** კაცებ გუუგზანია, ერთი შეხედეთ, ის რა არიო,  
 ფორი (ელიასხევი).

**ფაფიდები** - ყიშლა მექართულე ტაოში.

**ფაქა** - სულ?: სახში **ფაქა** ქართული ვხვარათობდით (ბასლეკარი).

**ფაქური** - აქ: ჩაქური: ყოლას დუძახებდით: **ფაქური**, მალა, ტალახი... (ქუაბაგი).

**ფაშარმუდ** - მსხლის ჯიშია ერთგვარი, მწიფდება ზაფხულში. შდრ.: **ფაშარმუთი**.

**ფაშვი** - აქ: მუცელი: იმხან ისე იყო... **ფაშვი** ტკივა, წევა იქა [ზიარეთზე] (ფიშნარკევი).

**ფაჩალი (თ. faça)** - შერცხვენილი, შეცხუნებული: **ფაჩალი** მამა'ლი, ქათამიც იყო და სამ  
 წევდა (წითლეკარი).

**ფაცალუმ თარლა** - ყანა არჯევანში.

**ფაცახები** - ადგილი სოფ. ელიასხევში.

**ფაცახი** - უხეში, მსხვილბეწვიანი მატყლი: **ფაცახები** - კამ არა, ბერი (ელიასხევი).

**ფაცი** - გოგო, გად. ჭანების მეტსახელი, ძროხასაც არქმევენ: **ფაცი** ჭანებს ეტყვიან,  
 ძროხასაც ეტყვიან (იეთი).

**ფახირი** - იხ. გუგუმი.

**ფახლაჲ** - ძროხის სახელი.

**ფახრაჯა (თ. bakraç)** - სპილენძის ქვაბი, ტოლჩა: **ფახრაჯებში** ნაწველს ჩადებდეს,  
 ადულებდეს... (ელიასხევი).

**ფახრაჯები** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ფეგი (თ. Pek)** - ნასახლარი, ნაფუძარი: ყურძნის დასაწურის **ფეგებია** იქა,  
 საწნახელების (ხევეკი).

**ფეგზალარი** - შდრ.: ფეგზიანნი; ადგილი მექართულე ტაოში.

**ფეგზიანნი** - ხუცეკარის უბანი.

**ფეგოზი** - ფქვილის შესაკავებელი ფიცრები წისქვილში, ქვის გვერდით: **ფეგოზი** - ასე  
 დუდეფ, არ დეძქნიოს ფქვილი (ქუაბაგი).

**ფემი** - გრუნტის წყალი (?): წყალი გოლში არ მივა, ჰამა ძირიდან **ფემი** მოვა  
 (დუგური).

**ფენეკის წყალი** - ხეობა ფარნაკში.

**ფენერ'** - მეტსახელი გვარი ელიასხევში.

**ფენქე** - იხ. სექვი: სახში ორი ოდა გვქონდა, **ფენქე** იყო, იმაზე დაწვებოდით (სადიყანა).

**ფერი (სპ. Peri)** - სული, ფერია: იმ ტბაში ემე ყოფილა, **ფერი**. იცით **ფერი**? (ელიასხევი); შდრ.: ნიჟ. ფერი.

**ფერიანნი** - უბანი და მეტსახელი გვარი იეთში.

**ფერსაბერ ტყე** - ადგილი ელიასხევში.

**ფერსეჭეთი** - ადგილი სოფ. ელიასხევში.

**ფერუზად** - ქალის სახელი.

**ფერჩიანნი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ფერხული** - ცეკვა: მოზობლები ტიკით **იფერხულეს** (იეთი).

**ფესერ'** - ადგილი ოშნაკში.

**ფესტილები** - მეტსახელი გვარი ტაოში.

**ფესტილი (თ. pestil)** - ტყლაპი: **ფესტილ** თუთიდან გააკეთებენ, ქლიავიდან ცოტა ჟავა (ელიასხევი); კიდევ შექერ ვაყრით, **ფესტილ** ვიჯებით, ვჭამთა (ცუცეკარი).

**ფესტილოდლი** - იხ. ფესტილი.

**ფექ (თ. Pek)** - ძალიან, ძლიერად, მეტად: ისინი მევლუდმა იცის, მე **ფექ** არ ვიცი, ძველობა **ფექ** არ მახსოვს (ხევეკი).

**ფემტამალი (სპ. pestamal)** - 1. ქალის წინსაფარი, 2. თავზე მოსახვევი ქსოვილი, თავშალი: ჩემი შეკერილი **ფემტემალი** კიდვენ არი, მედკრენ, მოკოჭვენ (ელიასხევი); ჩემი ანად ქსოვდა,... **ფემტემალი** ქსოვდა...(ხევეკი); შდრ.: მარი იმერხ. ნიჟ. აჭ.

**ფეშხუნი** - დაბალი სუფრა: კოფოზე დავსხნეთ, **ფეშხუნი** დაბალი მოვდა (ელიასხევი).

**ფერენები** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ფერიოდლი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში, იხ. ფერენები.

**ფეხებქომ** - ფეხებ ქვეშ: [ქალმა]... ქითაბი'ნა იკითხოს, **ფეხებქომ'**ნა დაჟდეს... (ელიასხევი).

**ფეხეჩუ** - ეჩო: ეს არი ფეხეჩვასი, ხეს **ფეხეჩუ** პირი, ეჩო, ამას ტარი აქვა, ჩუსკვამთ, ხეს გავთლით (ხევეკი).

**ფიდან (თ. fidan)** - ნერგი: ე ბალი, **ფიდან** ბალი (ბალხი); ე **ფიდნები** ჭარი ვარ, ბიჩხი (ქუაბაგი).

**ფით'** - შვიდი: **ფით** წელიწად ყოფილან (წითლეკვარი).

**ფილადრეთი//ფილარეთი** - ადგილი ელიასხევში.

**ფინთი (თ. pinti** - ძუნწი, ხელმოჭერილი) - ცუდი, ავი, ბოროტი: აქ ბევრი **ფინთი** გურჯი ყოფილა (ელიასხევი); იქ ერთი კილდე ყოფილა, **ფინთი** კილდე... (ელიასხევი).

**ფინთობა (თ. Pinti)** - ცუდი, ავი, ბოროტი, გველი: **ფინთობიდან** შიგინახოს ღმერთმა (ქუაბაგი); ენჯამი არ უღალატნიან, შერიგებულან, **ფინთობა** არ უჯობიან აქ (ელიასხევი).

**ფირექისი** - ადგილი ანძავში.

**ფირინლი დიბ** - ადგილი ორუქში.

**ფირინჯ'ი** (სპ. **Pirinç**) ბრინჯი: ლახანა ტოლმა შავახოვთ, იმი ფორვა ვიქთ – **ფირინჯ** გურევთ... (ბასლეკარი); შაჭმელები... **ფირინჯი** შორვა (ელიასხევი).

**ფიროლი** - იხ. ფერიანი.

**ფირქექეს'ი** - სოფელი ანზავის ხეობაში.

**ფიქალთავი** - ადგილი ჭილათში.

**ფიქალი** - „შრეობრივი აგებულების ქვის ქანი“ (ქეგლ): ასკერი დუწკარებია, **ფიქალი** ხელიდან-ხელში მუუცემიან... (ქუაბაგი).

**ფიშმანი ვარ** (სპ. **Pişman** - სინანული, მონანიება) - ვნანობ: გლახა საქმე ვქენ, ახლა **ფიშმანი ვარო** (ელიასხევი).

**ფიშნარ კეი** - ხევი მექართულე ტაოში.

**ფიშნარ კეი** - მეზრე ელიასხევში.

**ფიშნარ კეი ლელე** - ლელე ელიასხევში.

**ფიშნარხევილი** - ფიშნარხეველი: იგი **ფიშნარხევლია...** (ხევეკი); ხევაერი ვარ, არ ვიტყვი, **ფიშნარხეველი** ვარ (ხევეკი).

**ფიშხეთ'ი//ფიჩხიეთი** - ადგილი უტავში.

**ფოვა//ფორვა** - შორვა: ჩასაყრელი: ფხალი **ფორვა**, ...ლებუო **ფოვა**, ლაზუდი **ფორვა...** (სადიყანა).

**ფოზღრუმი თივა** - მსხვილი თივა.

**ფოთინი** (თ. **Potin**) - ყელიანი ფეხსაცმელი: [კაცმა] მომიტანა... **ფოთინი** (ბოწმინდა); ფეხზე **ფოთინი** მაქვა /კოჭებზე მოდებული... (ხევეკი).

**ფორაზები** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ფორე** - იხ. **ფორი**: ბერიჰყანა **ფორეა** და... (ბასლეკარი).

**ფორი** - 1. ობი: ფაფაზ კაცებ გუუგზანია, ერთი შეხედეთ, ის რა არიო, **ფორი** (ელიასხევი); 2. შორი: ...ისაც **ფორიდან** დევნახე; ბოდნა ასე იტყვიან - **ფორიდან** დევნახეო (ბასლეკარი).

**ფოროზოვლი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ფოსო** - ადგილი წითლეკვარში.

**ფოსტი//ფოსორო** - მთა მექართულე ტაოში.

**ფოტოგრაფი** - აქ: ფოტოსურათი: ახლა ე' **ფოტოგრაფი** - ბალხი ქომს **ფოტოგრაფი**'ა ესა (ქუაბად).

**ფოტორო** - ფხვიერი მიწა: **ფოტოროში** შევარე/ წითელი კამიონითა... (ქუაბაგი); შდრ.: ფუტკ. ფოთორო.

**ფოტორო//ფოთორო** - ადგილი არჯევანში.

**ფოშა** - 1. ბოშა; 2. უსირცხვილო, უნამუსო: ის ჩადირჯია, ჩადირს აკეთებს, ჩვენ **ფოშას** ვეტყვით (იეთი); ბევრს იარება, ითხოვს, იმას **ფოშას** ეტყვიან (იეთი).

**ფოშეთი** - ჭურჭელი ერთგვარი, პარკი: **ფოშეთი** ა'გქონდა წითელი ახლა ხელჩი? ამეთ, **ფოშეთი** მოატა? რა ქენი? წყალი **ფოშეთ** არ მქონია ქი... ხელით ქი მეტტანე მე... (ხევეკი).

**ფრენი** - ურმის სამუხრუჭე: იმისი ბაბოსა ხარის არაბა უშენებია, **ფრენები** არ უქნია, თავდალმი წავა, დამრიალდება და... (ხევეკი).

**ფურთი** - აზარტული თამაში ბანქოთი: ჩვენ ორმოზდარვა საათი ვთამაშობდით... ირმი ბირ, **ფურთი** (ხევეკი).

**ფური** - „ზროხა დედალი“ (საბა): ერ თანე **ფური** გყყავს (ბალხი).

**ფურუნჯი (თ. Firin - ღუმელი, თონე)** - თონეში მომუშავე, პურის მცხობელი; ხაზაზი: ესკიდან ზათინ აქაური ბერები ბევრი ყოფილან იქ, **ფურუნჯები** ყოფილან... (ელიასხევი).

**ფურცელი** - ფოთოლი, აქ: ფოთლიანი, ნორჩი ტოტები: ძველათ ნეკერ დავკაფიდით, **ფურცელი** დაკაფე, დაჯოხე (ელიასხევი); ამ ვაზი **ფურცელია**, ადესასი **ფურცელი** (სადგიყანა); შდრ.: საბა: ფურცელი.

**ფუტკარი ანაჲ** - ფუტკრის დედა: **ფუტკარი ანაჲ** გუმუშეებს, მართვე ვებნევით (ზასლეკარი).

**ფუქშენ ყანა** - ადგილი ელიასხევიში.

**ფუჩიანნი** - ელიასხევის უბანი.

**ფურუკ** - ცოტა(?): ლებიო **ფურუკ** არი, ჰამა ერთი თანე არ მედსხა (ბინათი).

**ფქული** - ფქვილი: ახლა სიმინდი **ფქულ** ვარი... (ხევეკი).

**ფშვიდი** - შვიდი: ერთი ათი ცალი იქნება თუ **ფშვიდი**... (ელიასხევი).

**ფშუიდი** - იხ. ფშვიდი: ...თორები ყავს, **ფშუიდი** თანე თორი ყავს (ქუაზაგი).

## ქ

**ქადა** - ნამცხვარია ერთგვარი დანაყული კაკლისა და შაქრის შიგთავსით: ...**ქადა** გამუაცხოზ... ხაძე გააკეთებ... (ხევეკი); ცომს გავხსნავთ, კამაღს გურევთ, კაკალაჲ ვიჯებით, მოშლილი (ახალი, თაზა ყველი - ინფ.) ვიჯებით, შევაგდებთ სობაში - იქნება **ქადა** (სადიყანა). შდრ.: საბა - ქადა.

**ქაზაზლარ** - მეტსახელი გვარი გუდასხევიში.

**ქათამი** - აქ: დედალი: ფაჩა'ლი მამა'ლი, **ქათა'მიც** იყო და სამ წევდა; **ქათამი** წევდა აჲ, ყვირის [მამალი] (წითლეკარი).

**ქათიბი (არ.katip)** - მწერალი: ი კარგათ წერავს, ი **ქათიბია** (ფიშნარკევი).

**ქათმი პუტრუჲ** - წიწილა: **ქათმი პუტრუჲც** - წიწილი და! (წითლეკარი).

**ქალი** - 1. ქალიშვილი: ხუთი შვილი მყავს... ორი **ქალეზ** [არიან] (ელიასხევი); 2. ცოლი (იხ. დეკაცი): **ქალ** ვეტყვით, დეკაცსაც ვეტყვით (იეთი); აქევროზა - „დეკაცი“, მურღულ, ბორჩხა იქავროზაში „ქალი“ ეტყვიან (ბალსეკარი).

**ქალი ვქნა** - აქ: ცოლად შევიერთო: სომხი ბიჰს ი გოგო უთხოვინა კი, გოგო მომეცით და ჩემთვის **ქალი ვქნაო** (ელიასხევი).

**ქალისტუნ** - ქალისტვის: **ქალისტუნ** მუცემია ტარალი და წასულა (ქუაზაგი).

**ქანსას/ქანზას მეზრე** - ყიშლა, საზაფხულო საძოვრების (დაილების) წინა საძოვარი ქისქიმში.

**ქარახელი** - მეზრე ბინათში.

**ქართო** - ქართოლი, კარტოფილი: **ქართო** მოხარშე, ჩაი და მეტი არ უნდა (ბოწმინდა).

**ქართოლი** - კარტოფილი: ჩუენ ამა ვებნევით „**ქართოლ**“ (ელიასხევი).

**ქარის ამოღება** - ამოსუნთქვა: მძიმე შემოწვება, შემჭირდები, **ქარი ვერ ამოიღეფ** (ზასლეკარი).

**ქარქაში** - ხმელი, გაქარული (შემა): შემათ **ქარქაშს** ვხმაროფთ, ამ ძელს ვხმარობთ... (ქუაზაგი).

**ქარჩად//ქა'ჩად** - გაზაფხული, თოვლის დნობის დრო: ყოველ **ქარჩაზე** გამტალთ აქა... (ელიასხევი).

**ქასიმი (თ. Kasim)** - ნოემბერი.

**ქაფშოლი** - ადგილი ელიასხევეში.

**ქალოცად** - ოქტომბერი.

**ქაჩად<ქარჩად** - გაზაფხული.

**ქაჩოები** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ქაცი კარი//ქაჯე კარი** - ადგილი ბინათში.

**ქედა** - 1. ადგილი არჯევანის ხეობაში. 2. ადგილი ესენდალში. 3. **ქედა** - ჭიმჭიმის მაჰალე. 4. ქედი: მთის უკან **ქედა** არი, ჭილჭიმი, ახლა ჯევიზლი (ბინათი).

**ქედაზორი//ქელაზორი** - ყანა.

**ქედიყანა//ქედიხყანა** - ადგილი წითლევეკარში.

**ქედიჰყანა** - დაილა მექართულე ტაოში.

**ქევეგირი** - ქაფქირი (სპ. ქაჭგირ) „დაჩხვრეტილი დიდი კოვზი ქაფის მოსახდელად და წვნიანიდან რისამე ამოსაღებად“ (ქეგლი): ...მას უკან ამეღებ **ქევეგირით**, დელუგიანი ციცხვით, მას უკან ამეღლო... შეჰჭამ (ბასლეკარი).

**ქეთევრე** - ადგილი უტავში.

**ქეთსიქითი** - ადგილი მოსლიეთში.

**ქეთურეთი** - იხ. კეტურეთი - ადგილი იეთში.

**ქეთქეთ'ი** - 1. ადგილი ხერმუთში. 2. ადგილი იეთს გაღმით (იეთი).

**ქეთქეთლარ** - ქეთქეთები: აქეთაძვა, ამისი აგრებ არი, **ქეთქეთლარ** (ქუაბაგი).

**ქეიჯანი** - უბანი და მეტსახელი გვარი ბასლეკარში.

**ქელაზორი** - ფიშნარხევის უბანი

**ქელგერ** - სოფელი ანძავის ხეობაში.

**ქელიმე (არ. Kelime)** - სიტყვა: ა'იციან იმათ და ვაჩოვ, თითო-ოროლი **ქელიმე** ვაჩოვ (ქონობანი).

**ქელგეთი (სპ. Kelpet)** - გაზი, მარწუხი: ე **ქელგეთი**, თელეზ ჭრავს (ქუაბაგი).

**ქემელი ყველი** - იხ. მძალე ყველი: ჩვენ **ქემელ ყველ** ვიჯებით... ყველ საწურში ჩადეფ, გახმება, შიან გაშავდება, ვჭამთა (ხევეკი).

**ქემერი (სპ. kemer)** – ქამარი, თალი, კუთხე: **ქემერი** ხიდები არის... (წითლევეკარი).

**ქენარი (სპ. Kenar)** - კიდე, ნაპირი, კუთხე: სარიგდოლი გედხრაკა, **ქენარში** ვიყავი, ჩემი არ გედხრაკა (ელიასხევი);...ერთი ამ **ქენარში** დამჟდარა, მეორე - გაღმა **ქენარში** (ხევეკი).

**ქენაფოს'ი** - სოფელი ანძავის ხეობაში.

**ქენფეს** - გააკეთებს: [ღარი] შეშიდამ იყო, ახლა ბეთონიდან **ვეენეფთ** (ქუაბაგი).

**ქეაჯანები** - ადგილი ელიასხევეში.

**ქერათ'ი** - ადგილი ხერმუთში.

**ქერემგილ** - ადგილი წითლევეკარში

**ქერიმი (არ. Kerim)** - კეთილშობილი, პატივსაცემი, მოწყალე, მწყალობელი, გულუხვი, - „ყურანის“ ეპითეტები: აქ რო მუახლოვდებიან, ყურანი **ქერიმის** კითხვა იგონებს... (ელიასხევი).

**ქერციქით** - ადგილი წითლევეკარში.

**ქესარი (თ. keser)** - ეჩო, ხელეჩო: ე **ქესარია**, ე მეორე სოდ ჩაქუჩი (ქუაბაგი).



**ქესკუნი ქვა** (თ. **keskin** - მჭრელი) - მჭრელი ქვა, ჩვეულებრივ, დატეხილი კაჟის ქვა: [კვერში] **ქესკუნი ქვები** იყო ჩასობილი (წითლევკარი).

**ქეფზე** (თ. **Кефче** - ციცხვი, ჩამჩა) - აქ: ციცხვიანი ექსკავატორი: ბიჭი ერთ თანე - **ქეფზე**, გზევნარ იჯება... (ბალხი).

**ქექიქი** (თ. **kekik**) - რეჰანი: რეჰანი - **ქექიქი** ვეტყვით (ხევეკი); შდრ.: ფუტკ. ქექიკი - ტარხუნა.

**ქექლიქი** (თ. **Keklik**) - კავაბი: აქ ტავმანი არი, მელი არი... **ქექლიქი** არი, პატინაა არი, ქათამსავენ (ქუაბაგი).

**ქერქე** - სოფელი ანზავის ხეობაში.

**ქერეჯი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ქერი მემესი** - ვაზის ჯიში ტაოში; შდრ.: თხის ძუძუ.

**ქერო** - „ამოწული კისერი“ (საბა): [ფურს]... საყელოს **ქეროზე** წამოვდებთ... (ქუაბაგი).

**ქვაბაგი//ქვაბაი//ქობაკი//ქობაი//ქუაბაგი//** - სოფელი: აქ ქვა და ბუქი, იმდაგვარ **ქვაბაი** დუურქმიან (ქუაბაგი).

**ქვაბაი ჳეი** - ხევი მექართულე ტაოში.

**ქვაბელეთი** - ადგილი ელიასხევში.

**ქვაბელი** - ქვაბელი//ქვაბაგელი//ქობაელი//ქუაბაელი: ჩვენ სამი თანე მაჰალე გვაქ **ქვაბელთა**: ჭილათი, მახათეთი, ფიქალთი (ქუაბაგი).

**ქვაფუტკარ მადარა** - ადგილი ელიასხევში.

**ქითაბი** (არ. **Kitab** - წიგნი) აქ: ყურანი: [ქალმა] ჩემს უკან ნამაზი'ნა ილოცოს, **ქითაბი**'ნა იკითხოს... (ელიასხევი).

**ქილიმი** (თ. **kilim**) - ფარდაგი, ხალიჩა: აქო დააგებენ **ქილიმებ**, ილოცვენ... (ელიასხევი); შდრ.: საბა, ფუტკ.,ნიჟ.

**ქილისა** - ადგილი არჯევანში, იგივე გავრუმ დუზი.

**ქილისე დერესი** - ხევი ხუახში.

**ქილისელარ//ქილისელერ** - ადგილი ტამარანში.

**ქიმ** (თ. **Kim**) - ვინ: **ქიმ** მიხთენ და ვერ უხვარათიან (ბალხიბარი).

**ქინძი** - „მწვანელი ქოლგოსანთა ოჯახისა, ფოთოლს (თესლსაც) ხმარობენ საჭმლის შესაკაზმავად...“ (ქეგლ): **ქინძი**, ისინი აქ არ არი დათესილი, იქოვრობაჩი არი და აქ არ არი... (ობლეკარი).

**ქირექისი** - ადგილი ორუქში.

**ქირიში** (თ. **kiriş**)- მორი, ძელი: ის ყორე აუზ ირმი წლისაა, **ქირიშიც** ისეა... (ქუაბაგი).

**ქისფორეთი** - ხეობა და ციხე იუსუფელს ზემოთ.

**ქისქიმ ყალესი** - ქისქიმის ციხე.

**ქისქიმი** - ძვ. ხევეკი ქისქიმი - სოფელი მეთურქულე ტაოში.

**ქნაი** - ქნას: ამ დედაკაცსა იდარე **ქნაი** მეთქი და... ყურბანი გასწიენო (ქუაბაგი).

**ქო** - ქვა: ღმერთმა **ქო** შექნასო, ვინცხამა ქნა ეს საქმეო... (ქუაბაგი).

**ქობაეზი** - ქობაელები: **ქობაეზი** „გნო“ ამბობენ, ჩვენ - „ნო“ ვამბობთ (ხევეკი).

**ქობავრი** - ქობაელი: **ქობავრი** ურუმია, /ხისიმ არ იცნობს (ხევეკი).

**ქობაკი** - ცეკვა, გავრცელებული მექართულე ტაოში.

**ქობამ ბურუ** - ადგილი არჯევანში.

**ქობაი** - სოფელი ელიასხევში.



**ქობაური** - ქობაელი: სობაჯი არი, ოსმანი, **ქობაურია** (ხევეცი).

**ქოდადიქო** - მეტსახელი გვარი დევთისაში.

**ქოთანალარ** - იხ. ქოთანები.

**ქოთანები** - მეტსახელი გვარი არჯევანში.

**ქოთუ მაჰალე** - ადგილი ოთხთა ეკლესიაში.

**ქომო** - ქვემო: ველიოლლი არი **ქომო**, ქობაკში (ელიასხევი); ქორიეთი **ქომო** მაჰალეა (ფიშნარჯევი).

**ქომობა** - ქომო უბანი: აქ, **ქომობაში** რუსებსა მუხებით ქალებითინ ხელები უსიან... (ქუაბაგი).

**ქომოთ** - ქვემოთ: ძველათ გზა-მზა არ ყოფილა **ქომოთ** (ელიასხევი).

**ქომოსად** - იხ. ქომოთაჲ: ე ალაგი არტანია,... **ქომოსად** ბუზადლი... (ქუაბაგი).

**ქომოსმანი** - მეზრე ბინათში.

**ქომრობაში** (<ქომობაში) - ქომო უბანში: **ქომრობაში** რა იჯები, /ახ, გულო, ჩემთან მოდი (ბინათი).

**ქონალაჲ** - ადგილი არჯევანის ხეობაში.

**ქონალარი** - იხ. ქონალაჲ.

**ქონობანი** - მცირე სოფელი მექართულე ტაოში.

**ქონობანი//ქონუბანი** - საძოვარი.

**ქო** (თ. **koj**)- სოფელი: იქ გავალთ, იქ ვავსეფთ, წყარო **ქო**ში ვავსეფთ (ელიასხევი).

**ქოადიანი** - მეტსახელი გვარი დევთისაში.

**ქოადლური** - სოფელი: ჩუენი **ქოადლურია**, იცნობდა და [რძალს] (ქუაბაგი).

**ქოა-ქოა** - სოფელ-სოფელ: იარებით **ქოა-ქოა**? (ბალხი).

**ქოაშიგ** - სოფელში: **ქოაშიგ** მოხველით? (ბინათი).

**ქორეთი** - ადგილი ელიასხევიში.

**ქორი** - შემოღობილი ადგილი ბოსელში წვრილფეხა საქონლისათვის: [სახლის] ძირშია ბოსელი და **ქორი**. **ქორში** თხები და ცხვრები შეიყრება (ხევეცი).

**ქორიათი//ქორიეთი** - მცირე სოფელი ელიასხევის ხეობაში.

**ქოროდლიგილ** - ადგილი წითლეკვარში.

**ქოროდლის ციხე** - ციხე-სიმაგრე ანზავის ხეობაში.

**ქორსანაცრე** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ქორუგი** (თ. **körük** - **ქორუდი**) - საბერველი: **ქორუგი** აქ არი, დუქანი დუანგრე და იქ ჩეგტანე... (ქუაბაგი); **ქორუგი** დიდია, ძიმე (ქუაბაგი).

**ქოსეთები** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ქისფოროთის ხეობა** - ხეობა პარხისწყლის მარჯვენა სანაპიროზე იუსუფელის ზემოთ.

**ქოსქეთი** (<კოსქედი) - ყიშლა არჯევანის ხეობაში.

**ქოქი** - აქ: ხის ფესვი: [ურემი]... დაბრიალდება და ...**ქოქებში** გიერჭობა (ხევეცი).

**ქოჩელიანი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ქოხი** - სახლი: სოფელი პარეხი, ბალხიბარს უკან რამდენიმე **ქოხია**, ბევრი არაა (წითლეკარი).

**ქოხის სახელი** - სახლის სახელი, მეტსახელი გვარი, სახელმეტად გვარი, სულალე: **ქოხის სახელი** ჭილაბოდლი, სულალე (წითლეკარი); **ქოხის სახელი** ბევრია (მოსლიეთი).

**ქუა** - ქვა: **ქუაც** ბევრია, ბუქი ბევრია და ქუაბუქი, ქობაქი//ქობაკი (ელეასხევი).  
**ქუაბ ქუაბი გუუგდიაო** - ქვაბს ქვაბი უშობია (ქუაბაგი).  
**ქუბის კარი** - მთა არჯევანის თავზე.  
**ქუზუ გოზი** - ვაზის ჯიში ტაოში; შდრ.: ბატკნის თვალა.  
**ქუთულლი** (თ. Kütük- ხის მორი) - მორებიანი: თამარამა, ართვინ ბემეულაა,  
**ქუთულლი** მალარაა, იქა წილი დუყრია (ელეასხევი).  
**ქუნქლიანი** - ადგილი მექართულე ტაოში.  
**ქურუნუნ სირთი** - ადგილი არჯევანში.  
**ქუსრეთი** - ადგილი ხერმუთში.  
**ქუფერი** - ადგილი ომნაკში.  
**ქუფლადიმ სირთი** - ადგილი ქისქიმში.  
**ქუქარისი** - ადგილი ტამარანში.  
**ქუშნარა** - ადგილი არჯევანის ხეობაში.  
**ქუჩუკადაოლლი** - ლაღაბი გვარი მექართულე ტაოში.  
**ქუჯი** - საქსოვი დაზგის ნაწილი (?): [საფექროს ნაწილები] კარალი, **ქუჯი** (ხევეცი).

## ღ

**ღაზლა** - თხის ბეწვი: ამა მატყლ ვეტყვით, თხისას - **ღაზლა** (ქუაბაგი). შდრ.: საბა:  
 ღაზლა - „მატყლის მკედი სხვლი; ნიჟ. ღაზლის წინდა - მატყლის ნართით,  
 ღაზლით მოქსოვილი წინდა; ღლ. ღაზლა.  
**ღათგორო** - ადგილი მექართულე ტაოში.  
**ღალო** - იგივეა, რაც ღოლო, *Rumex patientia* (წოდწყალი); შდრ.: ნიჟ. დვალურა.  
**ღამე შეიქნა** - დაღამდა: **ღამე შეიქნება**, დათვი იღარღალებს, რატომ გავგზანე  
 ბებერიო (ხევეცი).  
**ღარღალი** - ხმამაღალი, უაზრო ლაპარაკი: ღამე შეიქნება, დათვი **იღარღალებს**,  
 რატომ გავგზანე ბებერიო (ხევეცი). შდრ.: საბა: ღარღილი - „მცირე რამ ჰაზრი“;  
 ნიჟ. ღარღალი.  
**ღარღაჯები** - უბანი და მეტსახელი გვარი ქვაბაში.  
**ღარჭი** - ბიჭი, ვაჟიშვილი: იმათ აქ... უკდუნებიან ქალები, **ღარჭები** (ელეასხევი).  
**ღეჯი** - კბილი: გოგო, შენი **ღეჯები**,/დამპალია, დამპალი (ხევეცი).  
**ღმერა** - მღერა: ჩუენ თურქქა **ვღმერობთ**, გურჯიჯა არ **ვიღმერებთ** (ბალხიბარი).  
**ღობილთ ჳევ** - ადგილი უტავში.  
**ღომელთ'ი** - ადგილი უტავში.  
**ღორი წიწილა** - გოჭი: ბათუმ წუმოდი, **ღორი წიწილა**’ნა დიგიკლა (ქუაბაგი).  
**ღოროვლი** - ადგილი დევთისაში.  
**ღუარი** - ღვარი: დიდი **ღუარი** ჩამოადა... (ელეასხევი).

## ყ

**ყაბულის ყოფა (Kabul - თანხმობა, მიღება)** - აქ: დათანხმება, პატიება(?): ...სისხლი თუ  
 ამუა, მიხდი ქი, დამკლეს, **ყაბული არ მიყვეს** (ელეასხევი).  
**ყადილერ** - მეტსახელი გვარი ზღაფორში.  
**ყადიოღლულარ** - უბანი არჯევანის ხეობაში.

**ყავაზიანნი** - მეტსახელი გვარი მოსლიეთსა და წითლეგვარში.

**ყავარი** - ხის სახურავი, „თხელი და ვიწრო ფიგარი“ (საბა): წინწინ **ყავარი** იყო, ჰამა დალჰა... (ხევევი).

**ყავალი (თ. Kavak)** - ჩინარი, ალვის ხე, Populous gracilis Grossh.

**ყავრი ქუდის მოხდა** - აქ: სახურავის გადათოვლა: აქ ისე თოვლი გათოვდებოდეს, ზამთრი სამ-ოთხ ხელა **ყავრი ქუდ მოვხდით** (ცუცერავი).

**ყავლა (თ. kavga)** - ომი, ჩხუბი, დავა: დიდი **ყავლა** იყო იქ, ჩემი დედემ იყო იქ (ელიასხევი).

**ყავლობს** - ჩხუბობს, დავობს: ჩუენ ყუელდღე **ყავლობთ** (ქუაბაგი).

**ყაზა (თ. kaza)** - ძვ. ადმინისტრაციული ერთეული, რაიონი: მე სარიგოლ ვარ, ე აქ, ზამთრი **ყაზაში**, აქ იუსუფელი არი, იქა (ბასლეკარი).

**ყაზანი (თ. kazan)** - ქვაბი: მაქინაში ვწევთა ნაწველი, დიდი **ყაზანში** ედვსობა (ბალხიბარი).

**ყაზახები (რუს. Kazax - ყაზახი)** - უბანი ქვაბაგში, სადაც რუსის ჯარი გაჩერებულა: აქ რუსი მოსულა, იმტა, უჭამიან, უსვენიან... იმ მეელეს **ყაზახებს** უძახებენ (ქუაბაგი).

**ყაზადლი (თ. gazyagdi)** - ნავთი: ბაქვიდამ მოვდოდა **ყაზადლი**, ჩევდოდით, ევლებდით (ქუაბაგი).

**ყათი** - სართული: სახლი სამი **ყათი** იყო... (ქუაბაგი).

**ყაიბოლდი (არ. Kayip)** - დაიკარგა: გურჯიჯე სიმღერა არ არი... არი და ისე **ყაიბოლდი** (ქუაბაგი).

**ყალა დორუხლუ** - ადგილი ხუახში.

**ყალაჯიანი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ყალე (არ. kale)** - ციხე: ახალთა **ყალე**, ქისფორეთ **ყალე**, ძველინდელი სახელი არ არი (ჭილათი).

**ყალე დიბი** - ადგილი ხავისკარში.

**ყალე დიბი** - ადგილი ნიხორში.

**ყანები** - ქონობანის მაჰალე.

**ყანთარები** - 1. მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში; იხ. ყანთაროლი. 2. ქონობანის მაჰალე.

**ყანთარი (არ. kantar)** - სასწორი: **ყანთარი** უსაქმია ჩვენ დედეს ემის... (ბასლეკარი).

**ყანთაროლი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში; იხ. ყანთარები.

**ყანთრანი** - უბანი და მეტსახელი გვარი ქონობანში.

**ყანთრელ ჭალა** - ადგილი ელიასხევიში; იხ. ყანთარები.

**ყანთრიაანი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში; იხ. ყანთარები.

**ყანითავ წყალი** - წყარო წითლეგვარში.

**ყანისთა[ვ]ი** - ადგილი იეთში.

**ყამადლი** - იხ. კამადლი: ნაწველის თავი არი **ყამადლი**... (ელიასხევი).

**ყამანა (თ. kayin - ცოლის ძმა, ane - დედა)** - ცოლის ძმის დედა, სიდედრი: ვინ მოდდა და **ყამანა** და მისი ტად... (ბალხიბარი).

**ყარაგოზი** - ადგილი ანზავის ხეობაში.

**ყარადალი** - დაილა მექართულე ტაოში.

**ყარადენიზი (kara - შავი, deniz - ზღვა)** - შავი ზღვა: **ყარადენიზში** იჯებინან მარტო (ზასლეკარი).

**ყარალიქ დერე** - პარხისწყლის მარჯვენა შენაკადი იუსუფელის ზემოთ. შდრ.: ძვ. ხევი წყვდიადი.

**ყარამანლარი** - შდრ.: ყარამანები//ყარამანიანი - ადგილი მექართულე ტაოში.

**ყარამანლიანი** - ხუცეკარის უბანი.

**ყარამალიანი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ყარატაში//კარატაში** - მთა.

**ყარაუზუნ** - ყურძნის ჯიში, გავრცელებული ჭოროხის ხეობაში.

**ყარაყამიშ** - ადგილი ოშნაკში.

**ყარდაში (თ. Kardeş)** - ძმა: მე პეტერა **ყარდაში** მყავს, შევხედო'ნა (ობლეკარი); **ყარდაში** მყავს, მოდის, ერთ ღამე დადგება, წავა (ელიასხევი).

**ყართალი (თ. kartal)** - არწივი: მაღლა, მაღლა რა ფრინავს? /ორბია თუ **ყართალი**? /მე ერთი რამ გევეგონე, /ტყვილია თუ მართალი?! (ელიასხევი).

**ყარუტა უზუნი|ყურძენი** - ყურძნის ჯიში, ვნახეთ ბინათში.

**ყარღალარ** - მეტსახელი გვარი ზღაფორში.

**ყარშიბერი (თ. Karşı - მოპირდაპირე, beri - ეს მხარე)** - მოპირდაპირე, პირისპირ, პირდაპირ: **ყარშიბერი** ყონალი ხარ? (ფიშნარკევი); ენა ცოდნიან [ბერებს] **ყარშიბერი** მოსულან ასკერები... ენჯამი არ უღალატნიან (ელიასხევი).

**ყარჩი ყანა** - ადგილი ელიასხევში.

**ყაუდა** - ყავდა: ერთი ტად **მყაუდა**... (ქუაბაგი).

**ყაურმა (თ. kavurma)** - შემწვარი, მოხრაკული, მოხალული: ღახანა ტოლმა შევახოვთ, იმი ფორვა ვიქთა: ფირანჯ გურევთ, **ყაურმა** გურევთ... (ზასლეკარი).

**ყაშავი (თ. kaşığı)** - „რკინის კბილებიანი ჯაგრისი, პირუტყვის დაურვებისათვის, - სამურველი“ (ნიჟ): ეს არი ცხენისი **ყაშაი**, საფხანამ, ცხენ დაფხანადით (ხევეკი).

**ყაჰვე (არ. kahve)** - ყავა: [დედე] **ყაჰვე** მედტანდეს, ჩასაცემელი მედტანდეს (ელიასხევი).

**ყაჰრთოფი** - იხ. მარქვალი.

**ყეზა (არ. kaza)** - მარცხი, უბედური შემთხვევა: შენი ბერი რახან მოგიკტა? ავადეველი იყო თუ **ყეზაებში**? (ფიშნარკევი).

**ყაზა//ყეზა (თ. kaza)** - რაიონი: ...ლისე **ყაზაში** იკითხა [თუბამა] (ქონობანი).

**ყემბერები** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ყერმიზი - იხ. ყირმიზი**: ე ...ალჩად, **ყერმიზი** ბიბერი (ხევეკი).

**ყვაები** - ყვავები: ხევაელთა სახელმეტად (მეტსახელი, ლაღაბი).

**ყვაილი** - ყვავილი: **ყვაილი** ქონდა და ბალმა თუ დეიჭირა, არ ვიცი (ქუაბაგი).

**ყველი ძირი** - შრატ: ყველი ძირ აადულეზ, სადველი ჩაჯდება (ხევეკი).

**ყვერე** - 1. ქვა: ახლებიც აშენებენ და [ყორეებს], აშენებენ თოხით, ნიჩბით და **ყვერებით** (ცუცეკარი); 2. ყორე: ფურუნში საქმობდეს, ჰემ **ყვერე** აშენებდეს (ელიასხევი); ქვის **ყვერე** ზათინ უკეთებიან (ელიასხევი).

**ყვერევნარი** - ყორეები: **ყვერევნარი** აშენეს, **ყვერევნარი** თავრობამ აშენეს... (ჭილათი); შდრ.: საზა - ყორე.

**ყვერეთი** - ადგილი ელიასხევში; შდრ.: ყორეთ'ი.

**ყვერიეთი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ყვერიეთი კეძ** - ადგილი წითლეკვარში. იხ. ადაკეძ.

**ყიბლარინ სირთ** - ადგილი ორუქში.

**ყიზართმა (თ. Kizartma)** - შემწვარი ხორცი: ქათამი - მარქელის უკან **ყიზართმა** ვიჯებით (ბასლეკარი).

**ყიზი (თ. kiz)** - გოგონა: გოგო გამოსულა იქა, ფერი **ყიზი**... (დუგური).

**ყიზილ ფარეხი** - ადგილი ტამარანში.

**ყიზილ ქოთიკი** - ადგილი ხუვახში.

**ყილიჯი** - აზარტული თამაში, ბანქოს სახეობა: ჩვენ ორმოზდარვა საათი ვყუმარობდით... **ყილიჯი**... (ხევეკი).

**ყინა** - ინა: მადლიაო **ყინა** (ქუაბაგი).

**ყირალი (თ. kral)** - მეფე, ხელმწიფე: იქ მათი **ყირალი**, ფრეზიდენტი და, ყოფილა, იმა უთქვია... (ბასლეკარი).

**ყირმეხი** - ყიშლა მექართულე ტაოში.

**ყირმიზი (თ. Kirmiz)** - წითელი: ...**ყირმიზი** ვარ, ბედაზ ელმა ვარ... (ბინათი).

**ყიშლა** - ადგილი არჯევანში.

**ყიშლა** - ადგილი უტავში.

**ყოვლისფერი** - ყველაფერი: ჩარდაღში ასე ტახტა არი, დუზი, **ყოვლისფერი**: კაკალა, ლეზიო... (ელიასხევი)

**ყოლ'იყოველი** - ყველა: ბევრთ იპოეს ალთუნი, **ყოლ** წელ მოდიან, ართვინ - მიდიან (ელიასხევი).

**ყოლა** - ყველა: ესენი ჩემი ნათესები არიან **ყოლანი** (იეთი).

**ყოლამფერი** - ყველაფერი: ახლა **ყოლამფერ** იღებენ... (ელიასხევი).

**ყოლგან** - ყველგან: უწინ გურჯები ყოფილან **ყოლგან** აქა... (ქუაბაგი).

**ყოლიფერი** - ყველაფერი: ...ესენი **ყოლიფერი** ცალკე მეცხვარეს დეაჭირვიდეს, გაგზანიდეს (ხევეკი); იხ. ფუტკ. ყოლიმფერი, ნოდ. ყველიმფერი, ყოლიმფერი.

**ყოლული (თ. Koruk)** - ნაკრძალი, შემოღობილი, შემოკავებული ადგილი... - აქ: საზღვარი, ღობე: უთქვია კი, რომ თუ გეძხსნება **ყოლული** და თურქიეში წახვალთ, იქიდამე თორბით მიწა ჩაყარეთ და მეძტენეთ... (ქუაბაგი).

**ყონალი (თ. konak)** - სახლი, სასახლე, ბინა, სასტუმრო ოთახი, სასტუმრო: ყარშიბერი **ყონალში** ხარ? (ფიშნარკევი).

**ყორე დუზი** - იხ. ნაყორუნ დუზი.

**ყორიეთყანა** - ქალა ცუცეკარში.

**ყორმა (თ. Koruma)** - დაცვა: ...ოსმანლი სულთნის **ყორმეხი** გურჯები ყოფილან ბითთავა... (ჭედლიანკარი).

**ყოფნიხან** - ყოფნისას: ...გაგონილი მაქ, იმათ **ყოფნიხან** ჩამოსულან, ბათუმ უმუშავიან (ელიასხევი).

**ყოჯაყარი (თ. kaçakari)** - მოხუცი ქალი: **ყოჯაყარი** არ გამოსწიოთ (ბალხი).

**ყრალი მოლი** - აწლი: მაძ? **ყრალი მოლი**, არ ჭამენ, ამუა, გახმება (ფინარკევი).

**ყუთელი** - ყვითელი: ვაშლი იყო **ყუთელი**, წითელი, თეთრი (იეთი).

**ყუთელი წყალი** - წყარო ელიასხევეში.

**ყულახსვანი** - ადგილი ელიასხევეში.

**ყულესწვერი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ყულისწვერი** - ადგილი მექართულე ტაოში.



**ყუმელეთი** - ადგილი ოშნაკში.

**ყურადი** (თ. Kurak) - გვალვა, პაპანაქება: თუ ბოვრ წუმს, ღმერთ ზითვალ ვითხოვთ...

**ყურადია** - წუმა ვითხოვთ (ბასლეკარი).

**ყურადობა** (თ. Kurak) - სიცხე, გვალვა: აქ **ყურადობა** იჯება (ელიასხევი).

**ყურბანი** (არ. kurban) - შესაწირავი, სამსხვერპლო: თქვენ კი გესულხართ, და **ყურბანს** კი ვკლავთ და... (ელიასხევი).

**ყურბეთი** (არ. yurbet) - უცხო მხარე, უცხოეთი: კაცი **ყურბეთშია**... (ბოწმინდა).

**ყურდიანი** - გვარი მექართულე ტაოში.

**ყური გოლი** - ტბა მოგლესილის კალთებზე.

**ყური მიყაჲ** - ყური დამიგდე, მომისმინე: **ყური მიყაჲ** მე: ყოლ ქოღში გათხოვილან... (ქუაბაგი).

**ყურიდამ ყურში ვისწავლეთ** - გაგონილით ვისწავლეთ: ...ანადამ, დედედამ...

**ყურიდამ ყურში ვისწავლეთ** [ქართული] (ელიასხევი).

**ყურიდან აბლი** - სმენადაქვეითებული: იმა ვერ გუუგონია და! **ყურიდან აბლია** (სადიყანა).

**ყურული** - მეტსახელი გვარი ტაოში.

**ყურძნის დასაწური** - მარანი: **ყურძნის დასაწურის** ფეგებია იქა, საწნახელების (ხევეკი).

## შ

**შააგდებს** - შეაგდებს: იმა **შააგდებთ** სობაში... (ხევეკი).

**შაბალენკარი** - ადგილი ელიასხევში.

**შაბან წყარო** - წყარო ფიშნარკევში.

**შაბანიანკარი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**შადლუთი** - ადგილი ესენდალში.

**შავი** - აქ შვავი: ...თეფედამ მერე დიქინა, **შავი** არ ჩამოვდესო... (ქუაბაგი).

**შავი ყველი** - იხ. მძალე ყველი.

**შავი წყალი** - წყარო ელიასხევში.

**შავლაღეთი** - ადგილი ზღაფორში.

**შავშეთური** - შავში: ჩემი სიძე **შავშეთურია**, გურჯი არ იცის იმან (ბინათი).

**შაირი/შირი** - ლექსი: ისერი **შაირებ** ვწერ, ერთი ღუზ კირქ თანე დაწერილი მაქ... (ელიასხევი).

**შალოთქეთ** - ყანა უტავში.

**შალღამი** (სპ. şalgam) - თალღამი: ძირ თესვენ, თურქქე **შალღამი** (იეთი); **შალღამ** ვჭამთა, ჟავე ვიჯებით, ტოლმა ვიჯებით (იეთი).

**შამანთილო** - მც. იციან არჯევანში.

**შამოხვეული** - შემოლობილი: ...ჯარები იქ დაწვებოდეს თაში - ასე **შამოხვეული** აქვა, შეყრი, დაწვებოდეს ჯარები (ხევეკი).

**შაჲ** - შავი: ...**შაჲ** ყურძენი არი აქ (ბასლეკარი); **შაჲ** ყურძნიდან იჯებიან ბეთმეზი (სადიყანა).

**შარაბი** (სპ. şarap) - ღვინო: **შარაბი** შესვი, ქალი შენს უკან აღარ წევსა (ფიშნარკევი).



- შაჭმელი** - საჭმელი: ლებუოსაც აინი და: ვტეხავთ, **შაჭმელი** ვიჯებით, ვჭამა (ქუაბაგი); ტახტადან ბეღელი მქონდა, ბეღელში **შაჭმელი** დავდებდი (ხევეკი).
- შახა** (თ. *şaka*) - ხუმრობა, ცელქობა, ხუმარა... **შახა** იჯება მაგი (ქუაბაგი).
- შედროვილი** - ადგილი ჭიმჭიმში.
- შეეძგერა** - შეეჯება: ...იმანაც ხესაც **შეეძგერა**, წვერიანი ხე იყო (ხევეკი).
- შეველა** (<შველა) - ძროხის სახელი.
- შევნეთ** - შევიდეთ: დასხენით, ჩვენ **შევნეთ** [ჯამეში] (ქონობანი).
- შიერ**'ი (სპ. *şehir*) - ქალაქი: ბევრი **შიერი** შიგან არი'ან, ფაგა იქ ვართ (წითლეგვარი).
- შეისმევა** - დაილევა: ეს წყალი არ **შეისმევა** (ელიასხევი).
- შიეჩნება** - გახდება: ჩემი ქალი თუ **შიეჩნები**, მოგცემო (ქუაბაგი).
- შიეშვილი** - შენი შვილი: **შიეშვილია?** (შეეკითხა ინფორმატორი ქ-ნ მერი ცინცამეს მ. ფაღავაზე); - არა, ამხანაგია! - გგავს და! (ქუაბაგი).
- შელაღე** (არ. *şelale*) - ჩანჩქერი: ინტკორ ჩვენი დაილა არი, სანჩხერ არი, **შელაღე** (ელიასხევი).
- შელიგი** (თ. *şenlik*) - სიხარული, მხიარულება, გამოცოცხლება: დეკაც იქა, კაცი აქ, **შელიგში** (ელიასხევი).
- შელლიგობა** - მხიარულება: ქალოცობა აქ იციან, ბარში, **შელლიგობა** - თაში (სადიყანა).
- შელიქი** (თ. *şellik*) - სიხარული, მხიარულობა, გამოცოცხლება: ქოლოცას... **შელიქ** ვიქმოდით (ობლეკარი).
- შემოღება** - აქ: შემობრუნება (ხელის): მე დიდი ვარა, ხელ ვერ **შემოღებს**, ვერ შემტყეპავს (ქუაბაგი).
- შემყვარება** - შეყვარება: ...ველითავეში ყოფილა ერთი გოგო და ერთი ბიჭი **შემყვარებული** (ხევეკი).
- შენახვა** - აქ: მოვლა: ანაჲ, ალაჲ ბურსას არიან, მე **ვინახავ** აქა თორს (ქუაბაგი).
- შიეთანი** (არ. *şeytan*) - ეშმაკი, სატანა: ყოლი ინსნის შიანა **შიეთანი**, ეტყვის, აჲ კაცი დავეკლათ... (ბასლეკარი).
- შერთობა** - შეკეთება შემის: ... შემა **ურთობენ**, ჭაღებ აცხოზენ (ბინათი).
- შერი** (არ. *şeri*) - კანონიერი, ნებადართული: **შერი**' მი დაა იყვნეთ აქ? (ბინათი).
- შეტყეპვა** - ცემა, გალახვა: ახლა შენიდან მეხათრება, იაშარი'ნა **შევტყეპო** (ქუაბაგი).
- შეფენა** - აქ: ჩავარდნა: მეცხვარე დუნახია [ფერი ქალს], გოლში **შეფენილა**, ტარალი დამჩალა (დუგური).
- შექერა** - ვაშლის ჯიშია ერთგვარი.
- შექერი** (თ. *şeker*) - შაქარი; ტკბილეული, კანფეტი: პატინაჲ ღარჭებისთვინ **შექერი** მუუციან, შიკოლადები (ქუაბაგი); წვრილ ღარჭები წევდოდესო, იმათ **შექერ** მიცემდეს (ელიასხევი).
- შექნილი** - აქ: შემოსული, დამწიფებული: ბალი **შექნილი** არი, ბალი შექნილა (ხევეკი); გოგო, გუმოდი კარზე, /ბალი **შექნილა**, ბალი, /დეწიოთ ტალი, /შევჭამოთ ბალი (ბასლეკარი).
- შელირსება** - აქ: პატიება, შენდობა: უთქვია კი, თუ **შემაღირსებენ**, თუ არ მომაკვდინებენ, გუმოვალ უკნისკეო (ქუაბაგი).
- შეყრა** - შეხვედრა: გურჯი იგზე **შეგეყრება** (ქუაბაგი).

**შეყურება** - გაჩუმება, დადუმება: იქ **შაყურე'ბდეს**, ჩვენი თავი ვაყურებდეთ... (ხევეკი).

**შეშა** - ხე: სახლ ვაკეთებდით ქვიდამ, **შეშიდამ...** (ქუაბაგი).

**შეშჰამს/შეშჰამს** - შეჰამს: [დეკაცი]... კანალში ჩადებდა წყალში, ქეშიში მივლოდა, **შეშჰამდა** (ელიასხევი); პირტყვს **შეშჰამს** დათვი (ელიასხევი); იმან კაცი დედშეიროს, მააკდენს, **შეშჰამს** (ფიშნარჯევი); ...მარილს ვაყრით, მასკვან **შეშჰამთ** (ხევეკი).

**შეწუხულა** - შეწუხებულა: დიდი კაცები **შეწუხულან** ქი (ქუაბაგი).

**შეჭირვება** - შეწუხება: აღრიბასანი ფეხებიდან წუმუა, შემოწვება, **შეგაჭირვებს** (ბასლევარი).

**შეხათრება** - მორიდება: ჩვენ არ ვიფერხულეთ, **შეგეხათრა** (იეთი).

**შეხოწება** - შეხვეწება: დაეჰკლავთ აქ ყურბნებ, ღმერთ **შევეხოწებით...** (ხევეკი)

**შვიდი ოცი/შვიდმოცი** - ასორმოცი.

**შიან** - თანდ. -შიგან, -შიგ, -ში: ყოლი ინსნის **შიანაა** შედთანი (ბასლევარი); ერთი ბინა **შიან** რაღ'ნა იქნას? (ბალხიბარი); ყველ საწურში ჩადეფ, გახმება, **შიან** გაშავდება... (ხევეკი).

**შიგა** - შიგ: [ყველს] გოდორში ჩააწყობენ, **შიგა** გახმება (ხევეკი).

**შიგან** - -ში თანდებულის ამოსავალი ფორმა: წყალში ბოტოტები არიან, **წყალიშიგან...** (ელიასხევი).

**შიგანა** - ზმნს. შიგა: **...შიგანას** - თესლი ვიქთ ამას... (ხევეკი).

**შიგნიდამც** - შიგნიდანაც: გარედამც იყო კიბე, **შიგნიდამც** - იყო (ქუაბაგი).

**შიდამონი (?)** - **შიდამონი** ღარები აქვან პარხალ ქილისას (ქუაბაგი).

**შილი** - მაზლის ცოლი: ახლა აი ჩემი **შილის** ქვეშაა (ბინათი).

**შიმექლი ყაღლარი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**შინაა** - შინაური: გარედამ არ მეფყვანებენ, **შინაა** კაცები იქმენ (სადიყანა).

**შირინები** - ადგილი და მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**შოგარა** - მეზრე ბინათში.

**შომოგცივდება** - შეგცივდება: შენ წინდები არ გაქვა, **შომოგცივდება** ზამთრი, ავათ გახდები (ხევეკი).

**შორაული** - შორიდან, შორებელი: ისინი **შორაული** არიან, მე ბინათური ვარ (ბინათი).

**შრატი** - „ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე“ (ფუტკ.): დელამოტს გავაცხელებთ... ჯეჯიმში ჩავასხამთ, ...მერე **შრატი** ხომ გამოვა, და'ჩება ყველი (ფიშნარჯევი); ეს არი **შრატი** კი იცი, **შრატი** აადულებ და ყველი ამაღებელი (ხევეკი); **შრატიდამაც** იჯებიან სადველს (ხევეკი).

**შუბათი** (არ. Subat) თებერვალი: აპრილი, მაისი, **შუბათი...** გურჯიჯა აღარ ვხვაათობთ, დუგუავიწყდა (ბალხიბარი).

**შუბერია** - შეუბერავს: ხოჯას ნაცარზე უკითხი'ა, **შუბერი'ა**, **შუბერი'ა** და უთქუამს... (ფიშნარჯევი).

**შუმოხყება** - შემოყვება: იქიდან **შუმოხყებით**, ხევამსი, დევთისაა, გომოხვალ ალიასჯე... (ხევეკი).

**შუმუქცევს** (<\*შუმუქცევს<\*შემუქცევს<შემოქცევს) - აქ: ჩააბარებს (?): ...დილაზე მოსწველენ კი, ჩობანს **შუმუქცევენ**, ჩობანი წაასხამს [ძროხას] (ქუაბაგი).

**შუმუყეები** - შემოუყეები: იქიდან **შუმუყეებით**, გომობვალ აქოს... (ხევეკი).  
**შუმუხვიე** - შემოუხვიე: თუ ჩუმობვალთ იქა, **შუმუხვიეთ** (იეთი).  
**შუქრილარ** - მეტსახელი გვარი ზღაფორში.  
**შუხედავს** - შეუხედავს: მოვა იაღობიანჩი, ფენჯრიდან **შუხედავს** [დათვი] (ხევეკი).

## ჩ

**ჩადირჯი** (თ. **çadir** - კარავი) - კარავის ოსტატი: ის **ჩადირჯია**, ჩადირს აკეთებს... (იეთი).  
**ჩავჰყრით** - ჩავყრით: ამას ასე გავრცხავთ, **ჩავჰყრით**, მეძხარშვის... (ხევეკი); ამაში **ჩავჰყრით**, ასე მოვკი'დავთ, წევლებთ იშტა (ობლეკარი).  
**ჩათმა** (თ. **çatma**) - ძელური, აქ: ნალია: **ჩათმა** რა არი არ იცი? - ნალია! (იეთი); შდრ.: ფუტკ. ჩათმა.  
**ჩაილარ'ი** - ყანა უტავში.  
**ჩაინიკი** (რუს. Чайник) - ჩაიდან: სემავალი, **ჩაინიკი**, მოდი გუმოსწიე (ხევეკი).  
**ჩაირი** - (თ. **çayir** - მდელო, სამოვარი) - თივა, ბალახი: **ჩაირსა** ვკრიბავთ, ძროხებ ვინახავთ (ქუაბაგი); შდრ.: მ. ცინ. ჩაირი.  
**ჩაკიდული** - ადგილი მექართულე ტაოში.  
**ჩალიშიორ** (თ. **Çalışma** - მუშაობა, სამუშაო, შრომა) - მუშაობს: იმდენი არ ვიცი, ფაბრიკაში **ჩალიშიორ** (ფიშნარჯევი).  
**ჩამაასხამს** - ჩამოიყვანს, ჩამორეკავს (საქონელს): იქობაში, თევნარში ამოვებდეს, სოფელ **ჩამაასხმიდეს** (ხევეკი).  
**ჩამი** (თ. **çam**) - ფიჭვი, Pinus  
**ჩამლექ'ი//ჩამლიქი** - მეზრე ქისფოროთის ხეობაში.  
**ჩამლიჯა** - დაილა არჯევანის ხეობაში.  
**ჩამოელ** - ჩამოველ: მე **ჩამოელ** ბათუმში (ხევეკი).  
**ჩამოვლილი** - ჭკუანაკლული: ამ სოფელში ერთი უჭკვო მეცხვარე ყოფილა, **ჩამოვლილი** (ხევეკი).  
**ჩამოიდეს** - ჩამოვიდეს: გოგო **ჩამოიდეს**, გოგო (ბალხი).  
**ჩამხლევა** - ჩაქცევა, დანგრევა: ...დაბლა ჩვენი ქობია, **ჩემხლა**, დავაგდეთ, **ჩემხლა** (ჭედლიანკარი); იქ აღარაა, სახლები **ჩემხლა** (ფიშნარჯევი).  
**ჩანალი** (თ. **çanak**) - თასი, ჯამი, თეფში: **ჩანალი**, ხორცი-მორცი აქ (ბინათი).  
**ჩანეს'** - ადგილი ომნაკში.  
**ჩანთარევი** - ადგილი ხავისკარში.  
**ჩადალზი** - ადგილი უტავში.  
**ჩარდალი//ჩარდახი** (თ. **çardak**) - ტალავერი, ფანჩატური: **ჩარდალში** ასე ტახტა არი, დუზი, ყოვლისფერი: კაკალი, ლეზიო... (ქუაბაგი); აქ თარზი ისეა: ზემო სათივრე, **ჩარდახი**, ბეღელი, ზომოთ ყავარი (ბალხი).  
**ჩარზოვ'ი** - სოფელი ანზავის ხეობაში.  
**ჩარმანეთ'ი** - ადგილი ზღაფორში.  
**ჩაუშოლლი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.  
**ჩავალაქება** - ჩარჩენა: თიდან მოვდიოდით, **ჩევფალაქენით**, დავშნით გზაზე, გზა დეკეტება (იეთი).

**ჩაქული** - შვეული, ორივე მხრიდან სიმძიმე დამაგრებული თოკი, იყენებენ მშენებლები კედლის სისწორის დასაცავად: **ჩაქული** - კედელი სწორი გამოვდესო ვიხმართ; ესენი ბოდნე ერთ სისწორზე მოიტანს ქვებთ (ქუაბაგი).  
შდრ.: ნიჟ. ლენძა.

**ჩადელი** (თ. çakil) - ღორღი, ხრეში: დოქუშა ადგილია, **ჩადელები** ჩამოსულა... (ქუაბაგი).

**ჩახარგილ'ი** - ადგილი ვეჟანგეთში.

**ჩახყევი** - ჩაყევი: აქიდან **ჩახყევი** ასე, - ხამფიან კარი (ფიშნარჯევი).

**ჩახჩახ** - წისქვილის ნაწილი, სარეკელა.

**ჩეზა** - რჩეზა: ...ყოლი რამ არ **ჩეზა** (სადიყანა).

**ჩეეფლობა** - აქ: ჩაყვინთავს: ...გოგო დედნახავს კაცს, **ჩეეფლობა** [წყალში] და დედმაღავს (ხევეცი).

**ჩეთენი** - გოდორი: **ჩეთენი** გოდორია (ხევეცი).

**ჩეიჯანნი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ჩეიზი/ჯეიზი** (არ. **ceyiz**) - მზითევი: **ჩეიზი** ამბობ? ერთი ყათი დათმადი, ბირ ყაშთანე საანი... (ბალხიზარი).

**ჩერათ** (<ჭერათ) - ადგილი ხერმუთში.

**ჩერიქი** - ადგილი ალაფინარში.

**ჩეფერი** (თ. **çeper**) - ღობე, კედელი, ტიხარი: ეს **ჩეფერია**... ესაც ჩვენია, არ დეეჯერებს ხომ? (ფიშნარჯევი).

**ჩეშიტ-ჩეშეტი** (თ. **Çeşit-çeşit**) - ნაირ-ნაირი: [სოფელში] **ჩეშიტ-ჩეშეტი** მეევებია (ბალხიზარი).

**ჩვენებურა** - აქ: ჩვენებური: ...**ჩვენებურა** დეკაცი მეზნევა ქი - რა მიმძირიხარო? (ქონობანი).

**ჩი** - თანდ. -ში: **იმეთჩი** ჩვენი დედეები ყოფილან იშტე აჭარადამ მოსული, **იმათჩი** ქართულეზ ცოდნიათ... (ელიასხევი)

**ჩივი** - მორის გასახეთქი ხის ან რკინის სოლი: შეშას დავცემთ ცულსა, **ჩივს** ჩავდებთ, ამასა დავცემთ, გუვაპობთ (ქუაბაგი).

**ჩითლები** - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში ქისფოროთის ხეობიდან.

**ჩილინთური** - ადგილი მოსლიეთში.

**ჩილიქეთ'ი** - ადგილი ზლაფორში.

**ჩილფი** (თ. **çirpi**) - წარნაქში ამოვლებული ბაწარი, ლარი, იყენებენ დასახერხ მორზე სწორი ხაზის გასავლებად: ეს **ჩილფია**, ხეს გავჩილფავთ, გავჭკრით (ქუაბაგი).

**ჩილ-ჩოჯული** (თ. **Çil** - ახალი, ცინცხალი, çocuk - ბავშვი) - ახალი, პატარა ბავშვები: იქ არიან ჩემი **ჩილ-ჩოჯული**, ბგანები იქ არიან (ბალხი).

**ჩიმენტო** - ცემენტი: ამი მუხტრობიხან ჰუქუმეთიდამ კინა, **ჩიმენტო** გუმულო (სავრიეთი).

**ჩიტაზე** - ადგილი ჭიმჭიმში.

**ჩიფთე წყალი** - წყარო წითლევეკარში. შდრ. ორწყალი.

**ჩიფლადი** (თ. **ciplak**) შიშველი: ...**ჩიფლადი** იყო, უკნისკე გადაწეული, ჰემ [მ]ხრები **ჩიფლადი**... (ობლეკარი).

**ჩიყვა** - მსხლის ჯიშია ერთგვარი (არჯევანი).

- ჩიჩეგი/ჩიჩელი** (თ. *çiçek*) - ყვავილი: ეს **ჩიჩეგი**, ყვითელი **ჩიჩეგი**, ...ჩაიში აგდებ (იეთი); ...ამ ხელეზში **ჩიჩელი**, /ქობაგის **ჩიჩელია** (ქუაზაგი); შდრ.: ფუტკ. ჩიჩეგი.
- ჩობან წყარო** - წყარო მექართულე ტაოში.
- ჩოლაღიანი** - მეტსახელი გვარი ტაოში.
- ჩომოსულა** - ჩამოსულა: მეცხვარე უკნედამ **ჩომოსულა** ეზოში, **ჩომოსულა**, უთქვია ქი, ტარალი მომეციო (ქუაზაგი).
- ჩონ** - ჩვენ: [ქილისე] ყოფილა, **ჩონ** ა' მოვესწართ (ქუაზაგი); **ჩონ** აქ გავთავდეთ, გურჯი არ იქნება (ფიშნარვევი); **ჩონ** ორი ვქენით, მაშინ ისე იყო, ახლა ჩამოაგდეს (გოდლეკარი).
- ჩონი** - ჩვენი: ...ღმერთ ეხოწებთან კი, აქო ნაწოლი გულისთუნ **ჩონი** ხოწნები გეგონეო (ელიასხევი); დაბლა **ჩონი** ქობია... (ჭედლიანკარი).
- ჩორგენის'** - ადგილი ოშნაკში.
- ჩოჩხასი** - ვაზის ჯიში ტაოში.
- ჩოხ/ჩოლი** (*çok, çoğuş*) - ბევრი, საკმაო, მრავალი, ძალიან: მეფა ბოვრია, დერლია, **ჩოლი** დერლია (გოდლეკარი); ორთა კამარა **ჩოხ** გდუზელ (ელიასხევი).
- ჩუნ** - ჩვენ: **ჩუნ** ამა ვებნევით „ქართოლ“ (ელიასხევი); შდრ.: ძვ. ჩუნ.
- ჩუნი** - ჩვენი: იქ **ჩუნი** მეზრებია (ქუაზაგი); შდრ.: ძვ. ჩუნი.
- ჩულეღიანი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.
- ჩულღიანი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.
- ჩუმარხიან** - ჩაუმარხავთ: გურჯები წასულხარ (sic) **ჩუმარხიან**... (ხევეკი).
- ჩუმბულო** - ჭალა ელიასხევიში.
- ჩუმის გაცემა** - ხმის გაცემა: **ჩუმი** თუ არ **გომომცეს**, უკნისკენ გომოვალ (ხევეკი).
- ჩუმოსულან** - ჩამოსულან: სუყველა ქალები **ჩუმოსულან** ღამით (ელიასხევი).
- ჩუმუა** - ჩამოვა: ვერ **ჩუმუალ**, დეილაჯი ვარ... (ხევეკი).
- ჩუმუვდა** - ჩამოვიდა: იქ **ჩუმოვდა**, მიცა მოქალაქეობა (ხევეკი).
- ჩუმუვლა** - ჩამოვლა: **ჩუმუვლა** დიგიძახეფ, /მეც დევსაკრისკე მივალ (ჭედლიანკარი).
- ჩუმუყვანია** - ჩამოყვანია: ერთ კაც უთხოვნია ის, **ჩუმუყვანია** (ელიასხევი).
- ჩუმუშვა** - ჩამოშვა: ეს ბაწრები **ჩუმუშვი**, ერთი კვირა არ შეიქნა (იეთი).
- ჩუნთქია** - ჩაუყლაპავს: ხალხი **ჩუნთქია**, ღვარი წუმოსულა, ახლა ის გახსნილა (ელიასხევი).
- ჩუნქი** (თ. *çunki, çünkü*) - რადგან, იმიტომ, რომ, რადგან, ვინაიდან, ისე როგორც: **ჩუნქი** დიგინახაო და წყალში ჩავარდაო (ბასლეკარი); დიდრუანი აღარ არიან, მე ვერ დავდგამ, **ჩუნქი** არ ვიცი (ხევეკი).
- ჩულღიან** - აქ: დაუფლავთ: მიწაში **ჩულღიან**, გამქცარან (ელიასხევი).
- ჩუქურ მეშე** - ტყე ქისქიშში; შდრ.: ჩაღრმავებული ტყე.
- ჩუჩუნაკარი** - ადგილი დოლეჯიანკარში.
- ჩხაკა-ჩხუკი** - ხმაბაძვითი სიტყვა, ლითონის ფულის ხმაური: ჯიფში მაქვა ფარები, /**ჩხაკა-ჩხუკით** ვიარები (ელიასხევი).
- ჩხაკი** - საშინაო ფეხსაცმელი, ფლასტები, ფლოსტები: გითხარ მე შენ, და **ჩხაკი**, და - ესა (ხევეკი).



**ჩხაკუნი** - „ლითონთა შეჯახებით მაგარ რამეზე მოხვედისას გამოწვეული ხმა“ (ქეგლ), გად: გულის გაძლიერებით ცემა, ბაგა-ბუგი: მომაგონდა გოგომ, /გულში მოჩხაკუნავს (ქუაბაგი).

### ც

**ცააცი, ცააცი...ცა, ცაავ** - შრსდ. შეძახილი ტვირთის გათრევისას: ერთი კაცი არი, კამანდარი, იტყვის: **ცააცი, ცააცი... ცა, ცაავ!** (სადიყანა).

**ცანდი** - ღვედი, რომლითაც ხარებს აბამენ კვერში: ...ერთ ჯარ ამ თერეფში მუაბამთ, ერთ - ამ თერეფში... **ცანდია** ამი სახელი (ქუაბაგი).

**ცახი** - ფიჩხი: **ცახი** ნარცხი ძირიდან ვანთებთ (იეთი); ხე მოვჭარი, იმისი ტალი (აქ: ტოტი) **ცახია** (იეთი).

**ცენ წყარო//თენ წყარო** - ადგილი არჯევანში.

**ცერეკარი** - ბასლევარის უბანი.

**ციცვი** - ციცხვი: ეს არი... ყველი ამაღებელი, ამის სახელი რა იყო, იუსელ? - **ციცვი!** (ხევეკი).

**ციცხვი** - ხის დიდი კოვზი: ესაც **ციცხვი** შეშიდამ... (ხევეკი).

**ცოდნებია** - ცოდნია: აქ მაშინ რუსჯა **ცოდნებთან** (ქუაბაგი).

**ცომის გახსნა** - ცომის მოზელა, გაყვანა: ცომს **გავხსნავთ**, კამდალს გურევთ... (სადიყანა).

**ცოცხლობა** - სიცოცხლე: რომ დაბერდები, **ცოცხლობა** კად არ არი... (ქუაბაგი).

**ცუცაგარა** - აგარანი, სამოვარი.

**ცუცეკარი** - მცირე სოფელი ელიასხევის მარჯვენა ნაპირზე.

**ცუხური** - ადგილი ნიხორში.

**ცქვიტა-ცქვიტა** - ჩქარა-ჩქარა: თუ **ცქვიტა-ცქვიტა** მოქსოვ, ერთ კვირაზე... მოქსოვ (ქუაბაგი).

**ცქვიტა[დ]** - ჩქარა, სწრაფად: **ცქვიტა** წახვალ, მეწეფ, ნელა წახვალ, არ მეწეფ... (ბალხიზარი); ბევრი **ცქვიტა** ხვარათობენ და ვერ მივხვდები... (ბალხიზარი).

**ცხად** - საცერის მსგავსი ხელსაწყო, რომლითაც მარცვლეულს... წმენდენ კილისა, ზვისა და მისთანათაგან“ (ქეგლ): ეს საცერია, ცხრილი, ეს - **ცხად** (ქუაბაგი).

**ცხელა** - სიცხე, გვალვა: რაები რომ ისხემდა, ერთი თანე არ არი ახლა, **ცხელაში** არ იქნება... (ბინათი).

**ცხენის ძუძუ** - ვაზის ჯიში, ხარობდა ტაოში.

**ცხენუმ ტაში** - ადგილი წოდწყალში.

**ცხვარი** - პარხლელთა სახელმეტად (მეტსახელი, ლაღაბი).

**ცხოვარი** - ცხვარი: თოვლი ედკრიფვის აქა, დილა გამოვლენ, იმ **ცხოვრებ** დაჰკლვენ... (ელიასხევი). იხ. ცხუარი.

**ცხრილი** - იხ. საცერი: ეს საცერია, **ცხრილი** (ქუაბაგი).

**ცხუარი** - ცხვარი: ერთი ათი ცალი იქნება თუ... ვრა ცალი **ცხუარი**... (ელიასხევი). იხ.ცხოვარი.

### ძ

**ძალი და სიძე** - ნეფე-დედოფალი: **ძალი და სიძე** - ისე იტყვიან (იეთი).



**ძარა** - მარხილი: **ძარა, ძარა**, გედგნება? **ძარით** ვათრევდით [ქვას] თოვლში (ქუაბაგი); **ძარები** ათრევდენ ქვას თოვლშიგან... (ქუაბაგი); შდრ.: ფუტკ.: ძარი, ნიჟ. ძარ-მარხილი.

**ძალე** - მეტისმეტად მჟავე.

**ძალე ყველი** - ყველის სახეობა, ამზადებენ ელიასხევის სოფლებში: „მაშინას დავაბრუნებთ, ბადიაში ნაწველს ჩაასხამ, ორი ღარი აქ, ერთიდან გამუა კამადი, მეორედან - დელამოტი. დელამოტს გავაცხელებთ, ...ჯეჯიმში ჩავასხამთ, მუუჭირებთ, მერე შრატი ხომ გამოვა, დაჩება ყველი. ყველ ბელელში დავდებთ, გაშრება, ერთ თვეს იქეთ მოხმება, გამძალდება შიანად, გაშავდება... **ძალე ყველი** ან შავი ყველი ქვია“ (ფიშნარკევი)

**ძალლი წიწილი** - ლეკვი: ძალლი პეტრუდ - **ძალლი წიწილი** (წითლეკარი).

**ძალლობა** - ცურვის სახეობა, ძალღური: თევზური, **ძალლობა**, ბოდნა ვიჯებით, ვპამპალბთ (ქუაბაგი).

**ძგარუნი (?)** - თავში რაცხა **მიძგარუნებს**, ნენიო (ქუაბაგი).

**ძგაფ** - ხმაბაძვითი სიტყვა, თოფის გასროლის ხმა: გევდოდი კარში, **ძგაფ, ძგაფ...** გოგოზე ერთი, ბიჭზე - ორი (სადიყანა).

**ძგერება** - ტაკება, ჯახება, კვრა, „ძლიერად ორთ შეკლა“ (საბა), „მძლავრად ტაკება, კვრა, ჯახება“ (ქეგლ): **დეძგერე** ქვემოთკენ (ბინათი); ჭიაო, ჭიაო, ჭიადედაო, /რა **ეძგერები** ვერძსათვენ (ქუაბაგი).

**ძგულე** - ატმის გული, კურკა: ატამი - ერთი სახრად არი, ად გედპობა **ძგულეში** (ბალხიბარი).

**ძენძვა** - ჩეჩვა, წეწვა: გოგო გამოსულა იქა, თმები **უძენძია...** (დუგური).

**ძეწნი** - ძეწნა.

**ძეწნარი** - ადგილი მოსლიეთში.

**ძეწწნი** - ძეწწა, მტირალა ტირიფი, salix babylonica: ეს **ძეწწნია, ძეწწნი...** (ელიასხევი); შდრ.: მაყ. ძეწწა.

**ძეწმანი ჯევი** - ადგილი ელიასხევიში.

**ძველაგარა** - ადგილი ქვაბაგის გაღმით.

**ძველანდელი** - ძველებური, ძველი: ესეც **ძველანდელი** რადიო, ძველათ ევლევით (ბინათი).

**ძველთა** - ძველებს: საყდარზე **ძველთ** უნთიან, მუმი არ იყო, სხვა რამ უნთიან, ცეცხლი (ხევეკი).

**ძველი ბარი** - ადგილი დევთისაში.

**ძველი რუ** - სარწყავი არხი სოფ. ელიასხევიში: **ძველი რუ** - ისე სახელი დუუდვიან, მუყვანიან (ელიასხევი).

**ძველობა** - ძველი ამბები, წარსული: ...**ძველობა** ფექ არ მახსოვს (ხევეკი).

**ძიან** - სხედან (დიალ. ზიან), ცხოვრობენ: უსტა არის, აშენებს, სახლები აქვან, **ძიან** (ქუაბაგი).

**ძინავხარ** - გძინავს: **ძინავხარ** კი, ტურა მოვა, დედბლავლა, იმ სახჩი და ქალი მოკტება, და - კაცი (ფიშნარკევი).

**ძირ'ი** - თალგამი: **ძირ** თესვენ, თურქქე შალღამი (იეთი).

**ძირვანყანა** - ყანა ელიასხევიში.

**ძის** - ზის: პაპაშებ ჯევი, იქ **ძიან** (ბალხიბარი).

**ძიხევი** - ადგილი ნიხორში.

**ძმაო** - ქალის მიმართვის ფორმა მამაკაცისადმი: სხვა კაცი თუა - **ძმაო: ძმაო**, შემომხედე (ბალხიზარი).

**ძუვე თეფესი** - ადგილი ფარნაკში.

## წ

**წააცავ** - ცეკვის სახეობა, ცეკვავენენ ტაოელები.

**წავლა** - სწავლა: მე ანამ **მაწავლა** გურჯიჯა (ბოწმინდა).

**წალდი** - „ფიჩხის საკაფი“ (საბა): ე **წალდი**, დაკაფაზე ვხმაროფ (ქუაბაგი).

**წალიკვანი** - სათიბი ქუაბაგში: წალიკვანი<წყალუკვანი<წყალუკანი (ახსნა ინფორმა-ტორმა) (ფიშნარჯევი). წალიკვანი<წალიკოვანი<საგან. წალიკა ბალახია, იგივეა, რაც წყლის ინა, ცხენის ინა (ქართლი, კახეთი), წყლის მატიტელა (ქიზიყი)... (მაყაშვილი, 1991). აჭარაში იყენებენ წამლადაც კვიმატის წინააღმდეგ (იხ. ნიჟარაძე, 1971).

**წამალ დიბი** - მრავალძარღვა.

**წასხმა** - აქ: წაღება, წაყვანა: ღმერთმა თქვენ ისე რამ'ნა დაგმართონ ქი, **წაგასხას** ხევმა, წყალმა (ხევეკი).

**წახუდე** - წახვიდე: ჩემთან ერთათ'ნა ვიცხოვროთ, არ'ნა **წახუდე** სახში (ხევეკი).

**წეელით<წეველით** - წავედით: ბაღნობიხან **წეელით** ადაფაზარში... (ხევეკი).

**წვენეთ (<წევდეთ)** - წავიდეთ : ჯამე'ნა დავაფაქოთ და **წვენეთ**'ნა (ბასლეკარი).

**წერვა** - წერა: ამისი **წერვა** ჩვენ არ ვიცით (იეთი).

**წერილობა** - აქ: წერა: [ქართული] **წერილობა** ჩვენში არაა (ბასლეკარი).

**წეხუდე** - წახვიდე: ასე'და **წეხუდე** აღმართში (ხევეკი).

**წვანე ვაშლაჲ** - ვაშლის ჯიშია, „სიცივეს რომ შეჭამს, ფქვილს გაგს, ბებრები კოვზით შეჭამენ“.

**წველაჲ** - ბალახის სახეობა: ჩვენ ამას ნარი ვეტყვით... **წველაჲ** (დუგური). შდრ.: მთიულ. წვერაკა - მწარე ბალახი.

**წვერ იქითი** - ადგილი მექართულე ტაოში.

**წვერი** - სათიბი.

**წვერინალი** - ადგილი დევთისაში.

**წვერსიქეთი** - ყიშლა მექართულე ტაოში.

**წვრილი** - პატარა: ბაღანა არი პუტური, **წვრილი**, ვუმზირო'და (ფიშნარჯევი); დიდუანი ვპარიკობთ კიდო გურჯიჯას, **წვრილები** აღარ პარიკობენ (ელიასხევი).

**წითეველები** - ადგილი მექართულე ტაოში.

**წითელ ყანები** - ადგილი მექართულე ტაოში.

**წითელარი** - ადგილი ბინათში.

**წითელთი** - ადგილი ელიასხევიში.

**წითელი** - აქ: ოქრო: ბოვრი **წითელი** იქნება ჩადებული, დავთხაროთ (ელიასხევი).

**წითელი ვაშლი** - ვაშლის ჯიშია ერთგვარი.

**წითელოღლილარ** - 1. მეტსახელი გვარი არჯევანის ხეობაში. 2. უბანი არჯევანის ხეობაში.

- წითლეკარი//წითლეკარი/წითლიეკარი** - მცირე სოფელი მექართულე ტაოში.
- წითლიან ჭალები** - ადგილი ელიასხევში.
- წითლიანჭალა** - ჭალა ცუცეკარში.
- წინაგარა** - დაილა მექართულე ტაოში.
- წინაწინ** - წინწინ, ძველად: კეცები იყო **წინაწინ** მიწიდან აშენებული... ( ქუაბაგი).
- წინსაყარა** - ადგილი ელიასხევში.
- წინყანა** - იხ. კარჩი ყანა.
- წისქვილები** - ადგილი ქვაბაგში.
- წისქვილიკარი** - ადგილი მექართულე ტაოში.
- წიწილი** - აქ: პატარა: **წიწილი** პუტრუე და! (წითლეკარი).
- წოვა//ზოვარ** - ადგილი ჭიმჭიმში.
- წომოდი** - წამოდი: მამას უთქვია ქი, **წომოდი, წომოდი** (ქუაბაგი).
- წომოველი** - წამოვედი: ანა დევნახე, **წომოველი** (ფიშნარკევი).
- წონობდა** - იწონებდა: [დედე] ბოვრ **წონობდა** ბათუმ (ელიასხევი).
- წონწკუთი** - მეზრე ჭიმჭიმში.
- წომბარი** - ადგილი წომწყალში.
- წომწყალი** - მდ. არჯევანის ხევის მარცხენა შენაკადი.
- წომწყალი** - სოფელი არჯევანის ხეობაში.
- წოწოლ კილდე** - ადგილი მასისის კალთებზე.
- წოწოლ ტბა** - ტბა მასისის კალთებზე.
- წოწოლად** - მეტსახელი გვარი მოსლიეთში.
- წუართი** - ადგილი ქვაბაგში.
- წუვანა** - იგივე შვრიუკა, Festuca. იციან არჯევანში; შდრ.: მაყ. წივანა.
- წული** - შვილი: ისინი ჩემი მულის **წულები** არიან (ქუაბაგი).
- წუმა** - წვიმა: **წუმამა** გააფუჭა [ბალი], **წუმამა** (ჭედლინკარი); ...**წუმა** არ **წუმს**, ...სიცხეა, დედწვა (ბინათი).
- წუმახეთი** - ადგილი ზღაფორში.
- წუმოდლო** - წამოდლო: წყალმა წუმოვდა, აჟდა **წუმოდლო** (ელიასხევი).
- წუმოყვება** - წამოყვება: მე თუ **წუმომყვები**, ჩემი ქალი თუ შეიქნები, მოგცემო (ქუაბაგი).
- წუმუვა/წუმუა** - წამოვა: [ქალი] ბიჭის უკნიდან **წუმუვა** (ხევეკი); თოვლი ფა **წუმუა**, წყალიდან ღვარი **წუმუა** (დეუგური).
- წუმულიან** - წამოულიათ: **წუმულიან**, დამდნარა [თოვლი] (დეუგური).
- წულია** - წაულია: ლომბი ტბა არი, იგი გაფრეწილა და **წულია** იეთი (დეუგური).
- წულო** - წაულო: მადენ იღებენ თაში და საჭმელი **წულო** მევლუდამ (ხევეკი).
- წყავზარ** - რწყავ: რას შვრები მაგასა, **წყავზარ?** (ელიასხევი).
- წყართვალი** - წყარო წითლეკარში.
- წყარო დელე** - მდინარე ელიასხევში.
- წყარო ჰევ'ი** - წყარო წითლეკარში.
- წყარო'** - ადგილი მექართულე ტაოში.
- წყაროსთვალი** - წყარო: იქ **წყაროსთვალა**, გევნეთ, ვსვათ (ჭედლიანკარი).
- წყლის დაგდება** - წყლის მიშვება: ად ჭალანა მორწყას... **წყალი დუუგდია** (ელიასხევი).

## ჭ

**ჭაკვალი** - მარცხენა: მარცხენად და, **ჭაკვალი** (ბასლევკარი); შდრ: ნიჟ. ჭაკვა.

**ჭალა** - 1: ქვა: სახლის შიანად თახთიანია, **ჭალადამ** სახლია (იეთი); შდრ.: ნიჟ. ჭალიქვა. 2. ადგილი ნიხორში.

**ჭალათი** - ადგილი ხერმუთში.

**ჭალი** - „ურმის ნაწილი, ბრტყლად გათლილი სარი (მანა)“ (ღლ): ესა **ჭალი**, ესა სათივლეა... (ქვაზაგი).

**ჭალიყანა** - ადგილი მექართულე ტაოში.

**ჭამის უკნიდან** - ჭამის წინ: ჩქარა, ჩქარა და ბიჭი ჩუმუვა აქე, **ჭამის უკნიდან** ჩუმუვა (ხევეკი).

**ჭანკი** - „ჭანგი ფრჩხილი არს კაცთა თითთა რქანი“ (საბა): ...რა მიზდევსო უკან: ერთი **ჭანგი** მარილი წეიდლო, მეტი არაო (ელიასხევი).

**ჭანურად** - მსხლის ჯიშია ერთგვარი.

**ჭანჭახ** - ყანა უტავში.

**ჭანჭახი** - ადგილი ელიასხევში.

**ჭაპანი** - მსხვილი თოკი: შევხსნათ **ჭაპნები** და... (ბასლევკარი).

**ჭარაბიანნი** - ადგილი და მეტსახელი გვარი წითლევკარში.

**ჭარბი** - მომეტებული, ზომაზე მეტი: [დედეს] ერთი ბიჭი, ერთი გოგო ყოლია, იმდენი ძროხა, **ჭარბი** ყოლია (ელიასხევი).

**ჭალი** - შამფური: არადა შეშა ურთობენ, **ჭალებ** აცხობენ ( ბინათი).

**ჭაყანა** - ადგილი ბალხში.

**ჭედდენ** - აჭიდავებდენ: აქ კარებ **ჭედდენ** (ელიასხევი).

**ჭედლიანკარი** -1. მცირე სოფელი მექართულე ტაოში. 2. უბანი ბინათში.

**ჭელიანკარი** იხ. ჯელიანკარი - იეთის უბანი.

**ჭელიანკარი//ჭელიანი** - ბასლევკარის უბანი.

**ჭელიანკარული** - ჭელიანკარელი: დედა **ჭელიანკარულია** და ახლა იუსუფელშია (ხევეკი).

**ჭენჭი** - ცხიმი: ხაღწი **ჭენჭიანია**, ლულუკი - უჭენჭო (ხევეკი).

**ჭედლიანკარ ჯე** - ხევი მექართულე ტაოში.

**ჭერი** - დაუმუშავებელი ხე, იყენებენ ღობის ბოძებს შორის გასადებად, ასევე სიმინდისა და საქათმის იატაკად: ღობეს **ჭერი** და, დირეგი აქ (ელიასხევი); შდრ.: ღლ. ჭერი, ფუტკ. ნიჟ. ჭერი.

**ჭეშნევი** - ადგილი უტავში.

**ჭვად** - ჭვაგი: **ჭვად**... აღარ ვთესავთ (გოდლეკარი).

**ჭიკვალეები** - მეტსახელი გვარი ელიასხევში.

**ჭილაბოლი** - ქობის სახელი, მეტსახელი გვარი წითლევკარში.

**ჭილათი** - სოფელი პარხლისწყლის მარჯვენა სანაპიროზე.

**ჭილო** - საკუთარი სახელი ტაოში: **ჭილო** ისმინდა ერთი კაცი მოსულა, ჭილათი უთქმიან (ჭილათი).

**ჭიმჭიმი//ჭილჭიმი** - სოფელი ტაოში.

**ჭიმჭიმული//ჭიმჭიმური** - ჭიმჭიმელი (ქალი): ჩემი ნენე **ჭიმჭიმულია** (ბინათი).

**ჭინავი** - ჭნავი, ცირცელი, sorbus caucasigena (არჯვევანი); შდრ.: მაყ. ცირცელი, ნიჟ. მჭკნავი.

**ჭინახო** - ყიშლა არჯვევანის ხეობაში.

**ჭინჭალა** (**//წინჭალა**) - ადგილი მექართულე ტაოში.

**ჭირბოლო** - ყანა უტავში.

**ჭიშკარი** - ზეკარი პონტოს მთებზე.

**ჭიჭიხები** - უბანი და მეტსახელი გვარი კრავკარში.

**ჭკუის დაღევა** - გამომტერება(?), გამოთაყვანება; ...ჩემ კაცმა **ჭკვა დიმილია**, წევდა, ერთი თვე არ ვხედავდი...(ხევევი).

**ჭლიკი** - ფეხი: **ჭლიკები** ენთება! შენ რამდენი წლისა ხარა? (ქუაბაგი); შდრ.: ნიჟ. ფუტკ - ჭლიკი; ქეგლ ჭლიკი, ჩლიქი.

**ჭო** - ბიჭოს შეკვეცილი ფორმა: უთხარ, **ჭო**, აქ რა იჯებიო... (ელიასხევი).

**ჭოლეთ'ი** - ადგილი ზღაფორში.

**ჭოლო** - სიმინდი: ჩვენ ლაზუდ ვეტყვით, **ჭოლოსაც** ვეტყვით (ბასლეკარი).

**ჭორევილი//ჭოლევილი** - ადგილი უტავში.

**ჭოროხი** - აქ: დიდი მდინარე: დელე პეტრაა, დიდი - **ჭოროხია** (ელიასხევი).

**ჭოროხლაქედი** - იეთის უბანი: ღვარი წამოუდა, სოფელი წალეკა, **ჭოროხლაქედი** უთქმიან (იეთი).

**ჭოუ** - იხ. ჭო.

**ჭრავს** - ჭრის: ე ქელფეთი, თელეზ **ჭრავს** (ქუაბაგი).

**ჭრელი გდოლი** - მორევი.

**ჭუგდო** (<**წუგდო**) - წაგდება (გადაკეტვა) წყლის: დაჯექით **წყალი ჭუგდო** და მოვალ (ბალხიბარი). შდრ.: აჭ. მოგდება.

**ჭუკალეზი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ჭუტი** - პატარა(?): ეს [ბალი] **ჭუტია**, ჰამა გერმელია (ქუაბაგი); შდრ. წვიტი (>ჭვიტი>ჭუტი).

## ხ

**ხაეთები** - ქონობანის მაჰალე.

**ხავისკარი** - სოფელი ჭიმჭიმს გაღმა.

**ხავისკარის ციხე** - ციხე პეტრაზორში, ჭიმჭიმს ზემოთ.

**ხავლი** - იხ: ნოხი: ბევრი ფარა ვინცხა მიცემდა, იმა **ხავლი...** ვაძლევდით (წითლეკარი).

**ხაზნუთიანნი** - უბანი და მეტსახელი გვარი კრავკარში.

**ხაზრეთი ალი** (თ. hazreti Ali) - მუხამედ წინასწარმეტყველის სიძე, უწმინდესი ალი: **ხაზრეთი ალი** არზრუმ გამოსულა...(ელიასხევი).

**ხათრი** - რიდი; მეხათრება - მერიდება: ახლა შენიდან **მეხათრება**, იაშარი'ნა შევტყეპო (ქუაბაგი); ართვინში ვერ მითქვია, ქართველი ვარო, **მეხათრება** (ელიასხევი).

**ხათუნი** - ყანა დოლეჯიანკარში.

**ხათხა** - ადგილი ნიხორში.

**ხათხულ'ი** - ვაზის ჯიში ტაოში.



- ხალაიქებს** - რწყავს: თამარასი რუა, ასე წყალი მოვა, **ხალაიქებს**, რწყვენა (ქუაბაგი).
- ხალბაკევი** - ყანა უტავში.
- ხალბაქი** - ადგილი ბალხში.
- ხალი** (სპ. **Hali**) - ნობი: ახლა მოველით და **ხალები** გავრცხით, ბოდა ვქენით (წითლევკარი); ჯელაღინი **ხალი** გედეღხურეფ, გიდიეყუდები, კარგა დაგცხება, გამთელდები (დუგური).
- ხალიანთყანა** - ჭალა ცუცეკარში.
- ხალღი** - ხალხი: ვაკეში ავლენ, ისაქმებენ, ფულ ეღღებენ, ბევრი **ხალღი** იქნებოდა (ელიასხევი).
- ხამდან** - ხელმეორედ, ხელახლა: **ხამდან** თქვი, ვერ დაწერა (სადიყანა).
- ხამი** - აქ: მსუქანი: ყედირი **ხამი** რომ არი, ვერ ვიცან, გამოცლილაო (ბასლევკარი); შდრ.: საბა - ხამი: ცხენი ნასუქარი და ნაბამი, გინა გამოუჯაგავი; ფუტკ. ხამი (3) - გამოუცდელი, უცოდინარი, უწვრთნელი.
- ხამიდან** - ზმნ. ხელახლა: გახრაკულა, **ხამიდან** უშენებთან...(ბალხიბარი); შდრ.: ნიჟ. ხამდან.
- ხამფიანკარი** - იხ. ქონობანი.
- ხამფიანნი** - უბანი და მეტსახელი გვარი ქონობანში.
- ხამწვანნი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.
- ხანე** (სპ. **Hane**) - სახლი, კომლი: ელლი **ხანე** არიან, ჰამა ახლა არ არიან (ბინათი).
- ხანუმი** - აქ: ცოლი: ჩემი **ხანუმი** გურჯია. **ხანუმის** დედემ იცის, ჰამა ახლა აქ არ არი (ელიასხევი).
- ხანში-ხანში//ხანჩი-ხანში** - დროდადრო, ხანდახან: გურჯები **ხანში-ხანში** მოდიან (ელიასხევი); **ხანჩი-ხანში** მიდიან, ხანჩი - მოდიან, მიდიან, კიღოვ მოდიან (წითლევკარი).
- ხაღი<ხავიწი** - კერძია ერთგვარი, ნაღებითა და ფქვილით შემზადებული: ...ქადა გამუაცხოზ... **ხაღ** გააკეთებ... (ხევეკი); შდრ.: ქხელა - ხავიწი.
- ხაპათ ჯევი** - ხევი/წყალი ბინათში.
- ხარა** - ხარ: გურჯი **ხარა** და მუსლიმანი თუ? (ელიასხევი).
- ხარდლები** - მეტსახელი გვარი გოდლეკარში.
- ხარითა** (თ. **Harita**) - რუკა: ჩვენ ემეში **ხარითა**... ხარითალარ ვარ (ქუაბაგი).
- ხარითვალა** - ყურძნის ადგილობრივი ჯიში, გავრცელებულია ჭოროხის ხეობაში.
- ხარის საწვენი** - იხ. ჯარი მათალი.
- ხარიტა** - იხ. ხარითა: **ხარიტადან** გუდასხევ მონასტერ გეჩიორ (ქუაბაგი).
- ხარმანი სირთ'** - ადგილი ხავისკარში.
- ხარო** - ჭირნახულის შესანახავი ადგილი: ფქვილ ვიქმოდით, ბელელში, **ხაროში** ჩავხყრიდით, ვიხმარდით (ელიასხევი).
- ხარსი** - ადგილი ნიხორში.
- ხარული** - ხვიმირი: ესაც **ხარული**, ქერ ჩახყრი, ლაზუთ ჩახყრი (ქუაბაგი).
- ხასეთი** - ადგილი ვეჟანგეთში.
- ხაფუსქეთ** - ადგილი უტავში.
- ხაჩ-ი** (თ. **Haç**) - ჯვარი: **ხაჩ** იქმოდეს, რატომ არ ვიცი (სადიყანა).
- ხაწაწი** - ხის პატარა, ნახვრეტიანი ძელი, რაშიც თითისტარს ატრიალებდნენ: [იმას] ტარი და კვირითაჲ ერქვა, რაშიც ატრიალებდენ, **ხაწაწია** (ხევეკი).



**ხაჯარეთი** - მეზრე ჭიმჭიმში.

**ხაჯიოლდერე** - ადგილი ზღაფორში.

**ხევაერი** - იხ. ხეველა.

**ხევაღ დელე** - დელე ელიასხევში.

**ხევეგი** - იხ. ხევეკი.

**ხევეკი ლივანე** - ელიასხევი.

**ხევეკი/ხევექი** - ნასოფლარი, დაილა მექართულე ტაოში.

**ხევეკლი** - ხევეკელი: ყანთაროლლი **ხევეკლი** შენი დედე ყოფილა? (ქუაბაგი); ჩემი დედე ...შაინი ყოფილა, ყანთაროლლი, **ხევეკლი...** (ხევეკი).

**ხეველაი** - ხევეალი ქალი: ჩემი ქალი გურჯია, ხევადადამ. **ხეველაას** ქალი ვიტყვით, ხევაერი ქალი, გოგო იშტე (ქუაბაგი).

**ხევენარი** - ადგილი დევთისაში.

**ხევენარი** - ხეები: აქ ზვრი **ხევენარი** ყოფილა, ჩიტი ვერ გაძრებოდა (ხევეკი); კევი იცით? ნამვი **ხევენარზე** იქნება (ელიასხევი); ასე **ხევენარი** გაყრილია, ზედა - მიწა (ქუაბაგი); ონდასორა, **ხევენარი**'ნა გუკარო, სხვილი ხევენარი... (ქუაბაგი); ჩემი სახლი აქ არი, **ხევენარი** ხედავ, ...ჩემი სახლია (ობლეკარი).

**ხეთქავს** - დაეცემა, გახეთქს: იქ ისე **ხეთქავს** იმა, გააცუნცებს, ისხლიტავს, ეცემა, აგერ ქვადა, **ხეთქავს** იმა (ქუაბაგი).

**ხეთაგ'ი** - ადგილი ელიასხევში.

**ხელაღ** - ჯერ: სამ-ოთხ **ხელაღ** იტყვი, დუმანი დეკარქვის (წითლეკარი).

**ხელგობი** - იხ. გობი.

**ხელედი** - პატარა კალათა: ეს არი **ხელედი**, ხელზე ჩამოიკიდევ (ხევეკი).

**ხელის დაკვრა** - თანხმობა, პირობის დადება: ამათა ზარხოში გახადესა ჩვენი მუხტარი, **ხელი დააკრევის**, ცალკე სოფელი ქნესა (ელიასხევი); შდრ.: სახ. ხელი ხელს დაჰკრა.

**ხელის რევა** - ხელის ხლება: უთქვიან [რუსებს] აქოვრობაში **ხელთ არ გუურევთ** სულ (ელიასხევი).

**ხემელი<ხმელი** - გამომშრალი ნაკელი: **ხემელ** ვაყრით ჩუენ [ყანაში] (ქუაბაგი).

**ხენჭი** - იხ. ღენჭი: ორი **ხენჭი** მყავს: ერთი ბიჭი, ერთი - ბგანო (იეთი); ღარჭი - **ხენჭი** აინი ვიტყვით (იეთი).

**ხეღ (< ხევი)** - წყალი: **ხეღ** დიდი ჩუმოვდა, ქვაბად გაწუმდა (ბასლეკარი).

**ხეღეთები** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ხეღრი (არ. hayir)** - სიკეთე, ბედნიერება, წყალობა, სარგებელი: იმა ბოდნე ქი **ხეღრი** არსა უქნიაო, ერთი ჩაროხი **ხეღრი** უქნიაო (ქუაბაგი); ...წყალნი ჩამოვნეს და **ხეღრი** არ დედნახოთო (დუგური); მე წევდე'ნა ჩემ კუდრებ **ხეღრისთინ** (წითლეკარი).

**ხერმუთი** - მოზრდილი დასახლება ქისფოროთის ხეობაში.

**ხერტალი** - თითისტარი: ამას **ხერტალი** ვეტყვით, ამას ტარი... ორი **ხერტალით** დავართავთ (ქუაბაგი). შდრ.: ნ. ჩუბ. ტარი; დლ.ხელტარი; ქხელა - ხერტალი.

**ხვაათოფ** - იხ. ხვარათი: ჩვენებურა **ხვაათობ** და მე მივხდი (ქონობანი).

**ხვარათი** - ლაპარაკი: მე არ ვიცი თქვენი **ხვარათი** (ფიშნარკევი); სახში არ ვხვარათობთ, შვილები-მილები თურქა **ხვარათობენ**, ჩვენც თურქა ვხვარათობთ (ბინათი).

**ხიამხოლ თეფე** - ადგილი არჯევანში.

**ხიზარი (თ. hizar)** - ხერხი: ე **ხიზრებ** ლესავენ (ქუაზაგი); ზათინდელი ხელი **ხიზარი** იყო, ხევდენ (ქუაზაგი).

**ხილვა** - აქ: თავლის ამოღება სკიდან: ეს ხიღია, აქო გამოსლამდე ა' **გამოვხილავდით...** (ქუაზაგი).

**ხინზი ხოვ** - ადგილი არჯევანის ხეობაში.

**ხინკალი** - „დაკეპილი ხორცი, პურის ცომში გახვეული და მოხარშული“ ( ქეგლ): **ხინკალი** - ჩემი ანად ბევრ იჯებოდა... ( ბასლეკარი).

**ხინძანი** - საწნახელი: უწინ აქ ყურძენი იყო... **ხინძანიც** იყო, ახლა გაბელითებულაია, ...**ხინძანი** ვის უნდა (გოდლეკარი); შდრ.: ფუტკ. ჰინძანი.

**ხინძიხოვ** - ადგილი არჯევანის ხეობაში.

**ხირსუზი (თ. hirsiz)** - ქურდი, მპარავი: ჭანყუტარამა თქვა, **ხირსუზიაო**, იპრისო მუხტარი (ფიშნარჯევი)

**ხისიმი (იხ. Hisim)** - ნათესავი: ჩვენ **ხისიმნი** ვათ, ჩვენ ბურსას ვართ (ქუაზაგი); ქობავრი ურუმია, /**ხისიმ** არ იცნობს... (ხევეცი)

**ხიტან ჭალა** - ადგილი ელიასხევიში.

**ხიტანნი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ხკლავს** - კლავს: ვერ იპუა ქი, **მოხკლიდა**, ფინთი'ა (მოსლიეთი).

**ხლათები** - მეტსახელი გვარი ტაოში.

**ხლისტიანი** - ქრისტიანი: მე მევესწარი, იქ **ხლისტიანები** იყვენ (ელიასხევი).

**ხმელი სირთი** - ადგილი ოთხთა ეკლესიაში.

**ხოზო** - ხზო: **ხოზო** ვერ მიჭამია, იგი ვჭამო? (ხევეცი).

**ხოდუჩურ** - ადგილი ოშნაკში.

**ხოვანი** - მეტსახელი გვარი მექართულე ტაოში.

**ხოზიკო** - ბირკა (არჯევანი); შდრ.: ნიჟ. ხოზიკა.

**ხოლოლარ** - მეტსახელი გვარი უტავში.

**ხორათი** - იხ. ხვარათი.

**ხორანგეთი** - ადგილი ვეჟანგეთში.

**ხორთლადი (თ. hartlak)** - მუსლიმან მორწმუნეთა აზრით ცოდვით დატვირთული მიცვალებული ღამით საფლავიდან ადგება და სასაფლაოებსა და მიყრუებულ ადგილებზე ჩონჩხის სახით მოველინება ადამიანებს: თქვენში **ხორთლადები** არიან? აქ არიან, ამისი ებეჟ ადგა, ჰოუ! ბებერი ყოფილა, ადგა და დედჭირეს... (ხევეცი).

**ხორთუმი (არ. Hortum)** - რეზინის მილი, შლანგი: აჟ **ხორთუმი**, ყანას ვწყავთა (იეთი).

**ხორქი** - ადგილი ზღაფორში.

**ხორხათ დუზი** - ადგილი არჯევანში.

**ხოსთვალი** - ადგილი ოშნაკში.

**ხოსილეთი** - ადგილი ზღაფორში.

**ხოსტეგარა** - ადგილი ზღაფორში.

**ხომ გელდინიზ (არ. hoş geldiniz)** - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მოხარული ვარ თქვენი ნახვისა.

**ხომაკალი** - იხ. ხომკაკალი: წუმსა, **ხომაკალი**, დიდრუანი, თეთრი წუმსა (ზასლე-კარი).

**ხომკაკალი** - სეტყვა: გოლში ქვა ჩააგდო, **ხომკაკალი** გათოვდებაო (ელიასხევი).

**ხოწეთები/ხოწითები** - უბანი ფიშნარხევში.

**ხოწა** - ხვეწა: ღმერთ **ეხოწებიან** კი... (ელიასხევი); აქო ნაწოლი გულისთუნ ჩონი **ხოწები** გეგონეო... (ელიასხევი).

**ხოხონი** - მეტსახელი გვარი ქვაბაგში: აქ სახლი იყო, **ხოხონი**, ბურსაში წევნენ (ქუაბაგი).

**ხოჯა** (სპ. Hoca - ა) მასწავლებელი; ბ) მუსლ. სასულიერო პირი) - აქ: მასწავლებელი: ამისი **ხოჯა** ყოფილა (ელიასხევი).

**ხოჯაგილ'ი** - ადგილი წითლეკარში.

**ხოჯანი/ხოჯიანი** - მეტსახელი გვარი ელიასხევეში.

**ხოჯიანნი/ხოჯიოღლი** - მეტსახელი გვარი მოსლიეთში.

**ხოჯიყანა** - ყანა ელიასხევეში.

**ხტება-ხდება** - ხდება: ეს **ხტება** კილო (ხევეკი); ამბობს **მიხტები**, შენ ვერ გითქვია (ბინათი).

**ხუახი/ხუვახი** - სოფელი ოლთისში.

**ხუთ ოცი** - ასი, იხ. ხუთმოცი.

**ხუთმოცდაათი** (<ხუთმოცი და ათი) - ას ათი.

**ხუთმოცი** - ასი: **ხუთმოციც** იქნებოდეს [ჯარები] (იეთი).

**ხულა** -1. ცალკე მდგომი საკუჭნაო ან მარცვლეულის შესანახი შენობა; 2. ხის პატარა სადგომი, ჯიხური, ბუდრუგანა (ქეგლ): ედაა ამა უთქმია ქი: **ხულა** არი, **ხულა** არი, **ხულა** ადემიშ (ქუაბაგი).

**ხუმხალი** - ადგილი ჭიმჭიმში.

**ხუნდური** - ცერცვი: ასლიდან **ხუნდურია** და, ცერცვსა **ხუნდურ** ეტყვიან (ქუაბაგი).

**ხუნესი** - მეზრე უტავში.

**ხურდა სხალი** - მსხლის ჯიში წვრილი ნაყოფით: სხალი იყო - **ხურდა სხალი**, დიდვანი არ გეძდება (იეთი).

**ხუსრეთი** - ხერმუთის უბანი.

**ხუცეთები** - ფიშნარხევის უბანი.

**ხუცეკარი** - მცირე სოფელი, ახლა ნასოფლარი მექართულე ტაოში.

**ხუხულას წვერი** - ადგილი წითლეკარში.

**ხყავს** - ჰყავს: ერთი დიდი ძმამ **ხყავსა** სტამბულში (ხევეკი).

**ხყოფილა** - ყოფილა: ჩემი დედე **ხყოფილა** ბათუმ (ხევეკი).

## ჯ

**ჯ(ჯარი)** - ფარინგალური თანხმოვანი, დასტურდება მექართულე ტაოს ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში იმავე პოზიციაში, ძველ ქართულში რომ გვხვდება: ჯარი, ჯელი, ჯევი... ტაოურში ჯ'ს აღარ აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია და მას ბუნებრივად ენაცვლება ხ'.

**ჯარეთი** - დაილა მექართულე ტაოში.

**ჯარი** - ხარი: ...დამე ჩომოსულან ჩვენ სახლსა ორი **ჯარი** (ქუაბაგი); აქ **ჯარებ** ჭედდენ (ელიასხევი); გოლში შავი **ჯარი** ყოფილა (იეთი); **ჯარების** ჭედვა მაისის თუეშია (ელიასხევი).

**ჯარი ათალი (თ. Yatak - საწოლი)** - ხარის საწოლი: მაილა, სადაც ხარებს ამოვებენ: ბოზალო, - ისიც **ჯარი ათალი**, ბოვრ ჯარებ ამუებდენ (ქუაბაგი).

**ჯევაერი** - ხევაელი: მე **ჯევაერი** ვარ (ხევეკი).

**ჯევაი ჯეი** - ხევი მექართულე ტაოში.

**ჯევი** - 1. ხევი: მელოს აქეთკე რუს ვერ მუფულიან, აქ დამჩალან **ჯევი** (ბინათი). 2. წყალი: ჩვენ წყალსა **ჯევიხე** ვუძახივარ, აბლი - ნაკადია (ბალხიბარი).

**ჯელედი** - მოქსოვილი ჭურჭელი მახალაზე პატარა: მახალა - გოდორზე პეტრაა, იმის პაწაა - **ჯელედი**, ასე წამეძამ (ხევეკი).

**ჯეი ყანა** - ყიშლა მექართულე ტაოში.

**ჯიდები** - უბანი და მეტსახელი გვარი ქვაბაიში.

**ჯიდი** - ხიდი: ...ხედე გეძართ - **ჯიდი** (ელიასხევი).

**ჯიდის თავი** - ადგილი ელიასხევიში.

## ჯ

**ჯადუნუნ დუზი** - ადგილი ორუქში.

**ჯაზი (სპ. cazi)** - კუდიანი, გრძეული: **ჯაზი** ეტყვის, ღენჭის გული შევჭამოთო (ბასლეკარი); **ჯაზებ** პუტურად კუდი ქონებია... (ბასლეკარი).

**ჯალათი** (<ჭალათი) - ადგილი ხერმუთში.

**ჯალი** - საქსოვი ჩხირი, ყაისნალი: ეს? **ჯალი** და, თილი (ხევეკი).

**ჯამე მაჰალე** - უტავის უბანი.

**ჯამი** (არ. cami) - ჯამე, მეჩეთი: **ჯამი** ქომოა, ნამაზ კითხულობენ (ბინათი).

**ჯამის ყაფისი** - ადგილი ზღაფორში; შდრ.: ჯამიკარი.

**ჯანლი (თ. Canli)** - სულიერი, ცოცხალი: ხმააა, ხმააა... ისე **ჯანლი** არ დევნახეთ და... (ხევეკი).

**ჯარათი** - ადგილი დევთისაში.

**ჯალანს'** - ადგილი ოშნაკში.

**ჯაყელი** - ჭიაყელა: ანკისზე კედ ვაბამთ, კედზე - **ჯაყელი** (ელიასხევი); **ჯაყელსაც** ვხმარობთ, ჰამა თევზი **ჯაყელზე** არ მოვა (ელიასხევი).

**ჯაჭვა** - ჯაჭვი: ეს არი **ჯაჭვა**, ნარცხის ადუღებისთვინ (ხევეკი).

**ჯახური** - ჯახველი, ძახველი (?) - ძირ თესვენ, ...**ჯახური**, თურქე ბეჰალიე - [თესვენ] (იეთი); **ჯახური** ფორვა ვიჯებით, ვახმობთ, ...საჭმელ ვიჯებით... (იეთი).შდრ. საბა: ჯაჭუელი.

**ჯევიზლი** - იხ. ჭილჭიმი

**ჯეილანკარი** იხ. ჭეილანკარი - იეთის უბანი.

**ჯელიჯვარ'** - უტავის მეზრე.

**ჯერავენ** - ჯერავთ: **ჯერავენ**, არ **ჯერავენ**, ჰამა დუუნახიან ქი (ელიასხევი).

**ჯერავხარ** - დაჯერდები, დარწმუნდები: ჩაი მეცტანო, არ **ჯერავხარ?** (წითლეკარი); შდრ.: ვტყ. ჯერ ვარ - ვჯერდები; ძვ. დაჯერება.

**ჯერმანი (არ. cereyan)** - დენი, შუქი: **ჯერმანი** იქ არი, ქორული, ჰაიდე, დევნახოთ (ქუაბაგი).

**ჯეჯიმი (cicim** - მოქსოვილი ფარგადი) - აქ: ტომარა: [დელამოტს] ...**ჯეჯიმში** ჩავასხამთ, მუუქირებთ, მერე შრატი ხომ გამოვა, დარჩება ყველი (ფიშნარჯევი).

**ჯვალი (თ. çuva)** - ტომარა: ორი **ჯვალი** მუტანიაო... (ბასლეკარი).

**ჯილველო** - ჭოროხის ხეობის მექართულე სოფლებში პოპულარული ცეკვა.

**ჯიმჭარი** - ჭინჭარი, *Urtika urens*: ფიშნარჯევში ჩვენ **ჯიმჭარ** ვეტყვით (ელიასხევი).

**ჯიმჭველი** - ჭიანჭველა: აქ **ჯიმჭველები** არიან, აქ მოსლა არ უნდნან (ბალხი); წითელი თუ იქნება - გავრი **ჯიმჭველიაო**, შავი - თურქი (ობლეკარი).

**ჯინგილ** - ადგილი ოშნაკში.

**ჯინეში** - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში არჯევანისა და ქისფოროთის ხეობებიდან, გვხვდება ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც.

**ჯინი (არ. Cin)** - ბოროტი სული, დემონი: **ჯინები** საღამოზე დაქვავებენ ქობებზე, საჯებზე... (წითლეკარი).

**ჯინჭვანე** - ადგილი ხერმუთში.

**ჯირთი** - ადგილი ხერმუთში.

**ჯირო/ჯირო** - ადგილი ხერმუთში.

**ჯიფე** - ჯიბე: **ჯიფში** მაქვა ფარები... (ელიასხევი).

**ჯიდ-ჯიდი** - ქვაბები ნიხორში.

**ჯოლა** - გარეული თუთა: დაბანი **ჯოლაა**, სახლის - თუთა (უტავი).

**ჯოხური** - პარკოსანი მცენარე, ლობიოს მსგავსი: **ჯოხური** - ლებო, იმას გავს (ხვეკვი).

**ჯუმა (არ. Cuma)** - პარასკევი: წინ **ჯუმაზე** მოსულიყავ, /კვირა შეიქნა არ მოხველ (ქუაბაგი).

**ჯუჯულუმ** - შრსდ. გამოხატავს მოხმობს: **ჯუჯულუმ**, **ჯუჯულუმ** უმახიან [რუსის ასკერებს] (ელიასხევი); შდრ.; შან. ვაჟას ლ.: ჯუ, ჯუ, ჯუ, ჯურრ. საბა: **ჯუჯუ** - ქათამთ მოწოდება.

### ჰ

**ჰა** - შორისდ. აბა: ჰაჰჰ, ახლა დეეტყო, **ჰა!** (ქუაბაგი).

**ჰაჰჰ** - შორისდ. გამოხატავს გაცეზებას: **ჰაჰჰ**, ახლა დეეტყო, **ჰა!** (ქუაბაგი).

**ჰადემდა** - ზმნ. საიდან? **ჰადემდა** მოხველით? (ფიშნარჯევი).

**ჰავა** - ჰაერი: ჯერ **ჰავაშია**, ერთი ჩევდეს დაბლა და მერე მედკითხე... (ხვეკვი); **ჰავა** კადა, ჰამა რა'ნა ქნა, მოზობელი არ არი (ბალხი).

**ჰავის მოშლა** - ამინდის მოშლა: უნდა გაწვიმდეს, **ჰავა მოშლილიაო**, ვიტყვით (ქუაბაგი).

**ჰავუჯი (თ. havuç)** - სტაფილო: თურში ვიჯებით ლაჰანა, **ჰავუჯ** გურევთ (ტავმანი ჭამსა)... (ბასლეკარი).

**ჰაზირანი (თ. haziran)** - ივნისი

**ჰაზირი (არ. Hazir)** - მზა, მომზადებული: მთადამ ჩამოვტანეთ, დავხიზრეთ, **ჰაზირია** (ქუაბაგი).



- ჰაიდე (თ. Haydi)** - შორისდ. წამო: **ჰაიდე**, წევდეთ რუს უკან, /რა დაგხდებხ ჩემს უკან... (ელიასხევი); შდრ.: ნიჟ. ჰაიდე.
- ჰალა (არ. Hala)** - 1. ვითომ, ნეტავი: ჰაიდე, წევდეთ **ჰალაზე**, /მე წალდით, შენ - კალათით... (ელიასხევი); 2. ჯერ, ჯერ კიდევ: იმი ზომოთაჲ ძველი აგარა, **ჰალა** არი აგარები... (ქუაბაგი).
- ჰალი (არ. Hal)** - უსიამოვნება, გასაჭირი, მძიმე მდგომარეობაში ყოფნა: ოო, შენ ბევრი **ჰალი** გცოდნია (ჭილათი).
- ჰალლა, ჰალლა** - შორისდ. გამოხატავს გაკვირვებას: ჰაიდან მიპოე შენ, **ჰალლა, ჰალლა!** (ქუაბაგი).
- ჰამა (არ. Ama)** - კავშ. მაგრამ: ერთი ძუბ კირქ თანე დაწერილი მაქ, **ჰამა** თურქულეფ დაწერილია (ელიასხევი); ხანუმის დედემ იცის, **ჰამა** ახლა აქ არ არი (ელიასხევი).
- ჰამფენები** - ქონობანის მაჰალე. შდრ. ჰამფიანები.
- ჰამფიანკარი** - ადგილი ელიასხევეში.
- ჰანი (თ. hani)** - აბა? სად? აბა სად? სად არის?: ჩვენი ძროხები ახლა იქ არიან **ჰანი...** (ელიასხევი).
- ჰაიდე (თ. Haydi)** - აბა, დაე, კარგი, კეთილი, ეგრე იყოს: ჯერდანი იქ არი, ...**ჰაიდე**, დევნახოთ (ქუაბაგი); **ჰაიდე**, ჩაჲ შეესვათ, ისინი სმენ... (ბინათი).
- ჰაივანი (არ. Hayvan)** - ცხოველი, პირუტყვი, მხეცი: ზღაფხულჩი თაში წაასხმიდეს **ჰაივანს** (სადიყანა).
- ჰარან ალა მაჰალესი** - ქისფოროთის უბანი.
- ჰარბი (არ. Harp)** - ომი, ბრძოლა: ონ ედი და **ჰარბი** ქნილა (ქუაბაგი).
- ჰარლი** - არხი: ყანა, **ჰარლი...** ახლა მივედივართ, ასე გზადა... (ელიასხევი).
- ჰასანგილ** - მეტსახელი გვარი არჯევანში.
- ჰასილი (არ. Hasil)** - დამუშავებული, რაფინირებული, გამოყვანილი: იმა (ცომს) კარგა **ჰასილ** მისცემ, ონდასორა, გააპტყელო უხრაფთა... (ბასლეკარი).
- ჰასუთა (არ. Hasuta)** - ერბოთი, სიმინდის ფქვილითა და ბაქმანით მომზადებული საჭამანდი: **ჰასუთა** შავია, თუთა აადულეფ, ბეთმეზით ვიჯებით (სადიყანა). შდრ.: ფუტკ. ჰასუთა, ნიჟ. ჰასუთა, ხასუთა, მარი, იმერხ.
- ჰაუზ ბაში** - ადგილი ქისფოროთის ხეობაში.
- ჰაფისი (არ. Hapis)** - ციხე, დაპატიმრება, პატიმარი: წერავთ და რამე ზარალი არ მოვდეს, ...**ჰაფისი**-მაფისი არ მოვდეს (ბინათი).
- ჰაშუთი** - ადგილი ალაფინარში.
- ჰაჩანქი (თ. hacanki)** - კავშ. რადგანაც, ვინაიდან: დუუნგრეგია, წყალი **ჰაჩანქი** გესულა... (ქუაბაგი).
- ჰაჯი (არ. Hacı)** - მექაში სალოცავად ნამყოფი მუსულმანი: კაცი **ჰაჯი**დან მოსულა, აქ მომკტარა **ჰაჯი...** (ქუაბაგი).
- ჰაჯი მეზერი** - ადგილი ქვაბადში: კაცი **ჰაჯი**დან მოსულა, აქ მომკტარა... ჩუუფლიან, **ჰაჯი მეზერი** უთქმიან (ქუაბაგი).
- ჰაჯიდან მოსელა** - მექაში წასული მლოცველის დაბრუნება: კაცი **ჰაჯი**დან მოსულა, აქ მომკტარა (ქუაბაგი).
- ჰელაქი (არ. Helak)** - დაქანცული, ძლიერ დაღლილი: **ჰელაქი** შეიქნა, **ჰელაქი** (ქუაბაგი).



**ჰელბეთ** (არ. **Elbette**) - უქველად, უსათუოდ, რა თქმა უნდა: შემიყვარდა-**ჰელბეთ** (ქუაბაგი).

**ჰელიმიანნი** - მეტსახელი გვარი მოსლიეთში.

**ჰემ** (სპ. **hem**) - კავშ.: და, თან, თანაც, ამასთან ერთად, აგრეთვე; ნაწილაკი - ც, ცა: **ჰემ** პეტერა ბურსაში გავატხვე... (ბინათი).

**ჰერალდა** (თ. **Heralde**) - შეიძლება, ალბათ, უსათუოდ, როგორც ჩანს: იშტა, ქემში მიჯდარა იქა, გურჯები **ჰერალდა** (ქუაბაგი).

**ჰერეთი** - უბანი ჭიმჭიმში, ახლა ჯამიმაჰალე.

**ჰერსიანი** - ბრაზიანი, მრისხანე: რა გინდა, რა **ჰერსიანი** ხართა? (ქუაბაგი).

**ჰერსიანოფ** (არ. **Hers** - ბრაზი, რისხვა, მრისხანება) - ბრაზობ, მრისხანებ: რაზე ჰყავლობ, ანი, რაზე **ჰერსიანოფ**? (ქუაბაგი); ბრაზობ: აჰმედავ, **ჰერსიანოფ**? (ბასლეკარი).

**ჰეკია** (არ. **Hakaye**) - მოთხრობა, ზღაპარი, ლეგენდა: **ჰეკიებ**, კარგათ დაბერებული ბერებ არიან, კაცები, იმათ იციან (ცუცეკარი).

**ჰიდამი/ჰიდან** - საიდან: **ჰიდამა** ხარა-მეთქი? - ვუთხარ (ქუაბაგი); თქვენ **ჰიდან** მოხვედით? (ხევეკი).

**ჰმ** - შორისდ. გამოხატავს უნდობლობას, ირონიას: რატომ ქვია ბალხი? **ჰმ**, რა ვიცი? (ბალხი).

**ჰო** - შორისდ. გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას: არ გიმზირონ, **ჰო!** (ქუაბაგი).

**ჰო, ჰოო, ჰოოო, ჰოჰოჰოო** - შორისდ. გამოხატავს მოწონებას: ჯარებით ვლენდით [კალოს], **ჰო, ჰოო, ჰოოო...** (ქუაბაგი); **ჰო, ჰოოო, ჰოჰოჰოო**, ვიფერხულებდით... (ბინათი).

**ჰოე...უუ** - შორისდ. გამოხატავს გაკვირვებას: **ჰოე...უუ!** რად ყავლობს, რად ყავლობს... (ბინათი).

**ჰოსფირი** - ადგილი ალაფინარში.

**ჰოუ** - დადასტურებითი ნაწილაკი: ჩვენი ჰუსეინაა თუ? **ჰოუ!** (ქუაბაგი); **ჰოუ**, კი ჩამოსულან (ელიასხევი).

**ჰუი** (სპ. **Hay**) - ხასიათი, ჩვევა, ცუდი თვისება: ...ნეო, ჩემი **ჰუი** იცის იმანო (ქუაბაგი); შდრ.: ფუტკ. ხუი.

**ჰყავლობ** - ჩხუბობ, ბრაზობ, ომობ, დავობ: რაზე **ჰყავლობ**, ანი, რაზე **ჰერსიანოფ**? (ქუაბაგი).

**ჰყოფილა** - ყოფილა: ...რუ არ **ჰყოფილა** (დუგური).

## ბოლოთქმა

დავასრულეთ ტაოური დიალექტის შესახებ თხრობა. შევეცადეთ, შეგვექმნა ტაოს ლინგვისტური პორტრეტი, რაც არცთუ იოლი საქმე დარჩა. მთავარი სიძნელე ისაა, რომ ტაოური ქართული ისმის ელიასხევეში გაშენებულ რამდენიმე მცირე სოფელში, ჩვერელში (რომლის ერთ უბანში - გივითში ქვაბაგიდან გადმოსახლებულები დაბინავებულან) და ბინათში, სხვაგან ქართული დაივიწყეს. თანამედროვე მკვლევრისათვის ძნელია, შეაერთოს ტაოური კილოს „ნამსხვრევები“ და გაიაზროს ერთ დროს ვრცელი ქვეყნის მკვიდრთა მეტყველების თავისებურებები. მოვიხდომეთ კი!

საქმე მასალების შეკრებით დავიწყეთ. ტაოური დიალექტის ნიმუშებს ვიწერდით ტაოს მექართულე სოფლებში, ქართულის კვალს ვეძებდით მეთურქულე ტაოელთა მეტყველებაშიც. ჩვენმა ძიებამ გარკვეული შედეგი გამოიღო: წინაპართა ენადაკარგულ ტაოელთა მეტყველებაში მართლაც აღმოჩნდა ქართული ფენა - უპირველესად გეოგრაფიული და მცენარეთა სახელების სახით. გამძლეა ხალხის ისტორიული მეხსიერება. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ქვეყნის 1959 წლის 7267-ე კანონის საფუძველზე ძველი ქართული ტოპონიმები თურქულით შეიცვალა და ოფიციალურად ხმარებაში ძველი სახელები აღარაა; ახალმა სახელმძღვანელომ გეოგრაფიულ პუნქტს ახალი ნიშნით ახალი სახელი უწოდა, აბორიგენ მოსახლეობას კი მაინც ახსოვს ადგილის ძველი სახელები და იყენებენ კიდევ მას. შესაბამისად, მცენარეების თურქული სახელები შემოიტანეს მიმოქცევაში, თუმცა მოსახლეობას ახსოვს ქართული სახელებიც... დიახ, მეთურქულე ტაოში გადარჩენილია ქართული ელემენტი. მკვლევარი ტაოს ონომასტიკაშიც იპოვის ტაოური დიალექტის არაერთ თავისებურებას. ონომასტიკის მონაცემების გათვალისწინება კი ავსებს ჩვენს ცოდნას ტაოური კილოს შესახებ, რაც სრულიადაც არ არის ცოტა და არგასათვალისწინებელი.

საქმეს გარკვეულად გვიადვილებდა მეზობელი კლარჯული, შავშური და აჭარული დიალექტების მონაცემები, შესადარებელი მასალა გვეძონდა სანდო და დასაყრდენი. კვლევის პროცესში კიდევ უფრო გვიმტკიცდებოდა ადრე გამოთქმული აზრი, რომ სამხრული კილოები ერთიანი სამხრული მეტყველების დიფერენციაციის შედეგია. გამომდინარე აქედან, სამხრულ დიალექტებს ბევრი აქვთ საერთო: ისინი გულისხმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს; ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაშიც. დასანანია, რომ სამხრულ კილოებს დღეს გვერდით არ უდგას ამავე რიგის მეხუთე, სპერული დიალექტი - ისტორიული სპერის მკვიდრთა მეტყველება. სამწუხაროა, რომ სპერელებმა დაივიწყეს წინაპართა ენა. ვერ მივუსწართ ქართულად მოლაპარაკე სპერს, დავიგვიანეთ!

სპერში მისვლა დავიგვიანეთო, ვამბობთ, „სულზე მივუსწართ“ შავშთა, კლარჯთა და ტაოელთა, ასევე მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულს. თურქეთის ქვეყანაში ქართული ენის მდგომარეობას კარგად გამოხატავს ერთი ფიშნარხეველის ნათქვანი: „ჩონ აქ გავთავდეთ (გულისხმობს მის თაობას - ავტ.), გურჯი არ იქნება“. გურჯი არ იქნებაო ჩვენი თაობის შემდეგ! ეს სიტყვები არსებული ვითარების სწორი

შეფასება. გურჯი არ იქნება, რამდენადაც, მისი აზრით, „გურჯიჯა არ იცი, გურჯი არ ხარ!“ დიახ, თურქეთის ქვეყანაში მცხოვრები ქართველის იდენტობის უპირველესი ნიშანი წინაპართა ენის ცოდნაა და ვინ იცის დღეს ტაოში (ასევე კლარჯეთსა და შავშეთში, მუჰაჯირთა ჩამომავალთაგან) ქართული?

მექართულე სოფლებში ახალგაზრდებმა ქართული არ იციან, „გეგებენ, ჰამა ვერ უთქმიან“, ქართულად საუბრობენ მხოლოდ უფროსი თაობის წარმომადგენლები, მაგრამ არა ყველა. მათგანაც ხშირად გაიგონებთ, „დამამიწყდენ, გადამფიქრდენ და ველარ გევხსენე“ (ქვაბაგი). თავადაც ხედავენ, რომ წინაპართა ენა კარგად არ იციან, თუმცა სხვას ჯობნიან: „აქ კიდევ ვიცით აბლი-აბლი და იქ (პარხალში) ჰიჩ არ იციან“ (ბალხი). ქართული რომ „ჰიჩ არ იციან“ ასეთი სოფლები სჭარბობს მექართულეთ. ესაა დღევანდელი რეალობა და ვინც იცის ქართული, იმისი ცოდნაც პასიურია, რამდენადაც ნაკლებად იყენებს მას. მექართულე ტაოელი, ასევე ყველა თურქეთელი ქართველი (ამ სიტყვის მართებული გაგებით), როგორც წესი, ორი ენის მცოდნეა მაინც: წინაპართა ენისა და სახელმწიფო ენის. შვილებმა და შვილიშვილებმა ქართული რომ არ იციან, ქოხშიც თურქულად ლაპარაკობს უფროსი თაობა, სხვაგვარად, ოჯახშიც ავიწროებს ქართულს თურქული, უფრო ზუსტად, ქართულს თურქული ცვლის: „ჩვენი ლაპარაკი გადარეველა, ასიმილე ქნილა“, - გვამცნობს ერთი ფიშნარკვეელი, თუმცა სწამს, რომ მისი „დაბადული ენა ქართველია“ (აქ: ქართულია), რამდენადაც მის ღარჭობაში ქოხში მხოლოდ ქართული ისმოდა, მოზრდილმა სკოლაში ისწავლა თურქული. სკოლაში, რომელიც ცდილობდა, სხვადასხვა მანქანებით მოზარდისათვის დაევიწყებინა ქართული, საამისოდ ყველა ხერხს მიმართავდა, მასწავლებელი ფიზიკურადაც სჯიდა მოწაფეს, თუ გაბედავდა და ქართულად დაილაპარაკებდა. ზოგიერთი ინფორმატორი შემოგვივიღებს: „აღფაბე ჩვენ არ გვაქვა და ყურიდან გაგონილი (ქართული - ავტ.) ვიცითო“. ერთმა პარხლელმა მოხუცმა ისიც გვისაყვედურა, რომ თქვენ მიგვატოვეთ და იმიტომ ვართ ამ დღეშიო. მშობლებისაგან ნასწავლი ქართული იცის ქართულის მცოდნე ტაოელმა (სხვებმაც), ქართული ანბანი მას არ აქვს, შესაბამისად, ქართული წიგნი არ იცის; თუმცა, ზოგიერთი სიამაყით გეტყვით: „ჩუენა თამარ დოდოფალის გურჯიჯა მაქუან“ (ფუტკარამე, 1993:171). თამარ დედოფლის სახელთან კი ძველი და ამალღებულა დაკავშირებული.

ტაოელი, ჭოროხის სხვა ქვეყნების მკვიდრთა მსგავსად, ცდილობს, დაიცვას წინაპართა ტრადიციები. ერთი მოთხრობით: „აგარაში, დაილაში რომ გავალთ, შევკმაზვით, ახალს ჩეცვუამთ, ვეჟანკევისკე წავალთ, იქ ვიფერჯულავთ, ჭიბონსაც ვუკრავთ, სადამომდე ვიფერჯულავთ. ამას ვეჟანკევი დლე ქვია“ (ფუტკარამე, 1993:177).

მკვლევარი რთველის დღესასწაულის ეპიზოდებსაც შეხვდება ტაოლთა მოთხრობებში, შინაარსშეცვლილს, მაგრამ მაინც საყურადღებოს (იხ. ფალავა, 2021:295; ფალავა, შიოშვილი:2021:105-11).

მიუხედავად ყველაფრისა, თანდათან დაღარიბდა ტაოელის ქართული ლექსიკა, ქართულის ვერგახსენებისას უნებლიეთ თურქულით ანაცვლებს მას, თუმცა, მთლიანადაა შენარჩუნებული დიალექტის ფონეტიკური სისტემა და გრამატიკული წყობა.

ამ მდგომარეობაში მყოფ ტაოურს მივუსწარით. ყველაფერი 1995 წელს დაიწყო, როდესაც ბსუ ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიამ პირველი კომპლექსური ექსპედიცია მოაწყო ტაოში (ექსპედიციის წევრები: დოცენტი მამია ფაღავა (ხელმძღვანელი), დოცენტი მერი ცინცაძე, დოცენტი ელგუჯა მაკარაძე, დოცენტი რევაზ დიასამიძე, მასწავლებელი ლილე თანდილავა, მძღოლი ტარიელ ნიჭარაძე). მას შემდეგ არაერთი დიდი და მცირე ექსპედიცია მოვაწყვეთ ტაოში, მოვიარეთ მექართულე და მეთურქულე სოფლები, შევკრიბეთ ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური მასალები, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს კვლევებს. კვლევის შედეგები აისახა კომპლექსურ მონოგრაფიაში „ტაო“(2020) და სხვა გამოკვლევებში, - ცალკეულ მონოგრაფიებში, სტატიებში და ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებში. წინამდებარე მონოგრაფიაც ამ კვლევის შედეგია. თითქმის სამი ათეული წელი მოვანდომეთ მის შექმნას: აღწერითი, შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენებით ვცდილობდით, აღგვედგინა ტაოური დიალექტის (შავშურისა და კლარჯულისაც) ერთიანი ლინგვისტური პროტრეტი. რამდენად შევძელით მიზნის მიღწევა, მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ ცდა არ დაგვიკლია; ცდას კი ყოველთვის აქვს აზრი...

ჩვენს ბოლოთქმას ისე ვერ დავასრულებთ, მადლიერებით თუ არ მოვიხსენიებთ მათ, ვინც თანაზიარი იყო ჩვენი კვლევების:

უპირველესად მადლობას მოვახსენებთ ტაოელებს, ჩვენს რესპოდენტებს, რომლებიც თავდაპირველად ეჭვით უყურებდნენ ჩვენს საქმიანობას, თავს გვარიდებდნენ, გვუცხოობდნენ, შემდეგ - გვერდით დაგვიდგნენ, ცდილობდნენ, დაგვხმარებოდნენ; მადლობა მათ თანადგომისა და მასპინძლობითვის...

მადლობას ვუძღვნით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის წევრებს, პროფესორებს: თინა შიოშვილს, ზაზა შაშიკაძეს, მალხაზ ჩოხარაძეს, რამაზ ხალვაშს, ნუგზარ მგელაძეს, მერაბ ხალვაშს, ჩვენი ექსპედიციის მძღოლს, ბატონ ტარიელ დიასამიძეს. თუ არა მათი თანადგომა და ერთობლივი ძალისხმევა, ეს მონოგრაფია ვერ დაიწერებოდა. მადლობა თქვენ, მეგობრებო და კოლეგებო!

მადლობა ჩვენს უნივერსიტეტს...

მადლობა ჩვენს კოლეგებს, ვინც გვგულშემმატივრობდა, გვამხნევებდა, გვაქეზებდა და თვალყურს ადევნებდა ჩვენს კვლევა-ძიებას.

მადლობა ყველას ვინც წაიკითხავს ჩვენს ნაშრომს და სათანადოდ შეაფასებს მას...

7 იანვარი, შობა, 2024 წლისა.

## შემოკლებანი

- ა. თანდ.** - ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ. 2013.
- ადდლ** - აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული.
- ალავ. ლეჩხ.** - მიხეილ ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, 1, თბ. 1938.
- არ.** - არაბული ენა.
- არჩ.** - არჩილი. ქართული მწერლობა, IV, თბილისი, 1989.
- აჭ.** - აჭარული.
- ბსკივ ს-** ბსუ ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდები, საქმე.
- ბსუ** - ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- გად.** - გადატანით;
- გურ.** - დავით გურამიშვილი, ქართული მწერლობა, V, თბილისი.
- დ. ჩუბ.** - დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ. 1984.
- დავთ.** - სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, 1958. თბილისი.
- ვტყ.** - ვეფხისტყაოსანი.
- ზმნ.** - ზმნიზედა.
- თ.** - თურქული.
- ი** - სახარება იოვანწსი. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, 1945.
- იკე** - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.
- იხ.** - იხილე.
- კახ.** - კახური დიალექტი;
- კლარჯ.** კლარჯული კილო.
- ლევიტელთა** - წიგნი ლევიტელთაჲ. წიგნნი ძუელისა აღქუმისანი, ნაკვეთი 2 (ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ). ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილ აბულაძემ, ბ. გიგინეიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ც. ქურციკიძემ. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, XI(2), თბ. 1990.
- მაკალ.** - სერგი მაკალათია, ხევსურეთი, თბ. 1955.
- მარი, იმერხ.** - ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი, 2012.
- მარი, ჭან.** - Н.Я. Марр, Грамматика Чанского (Лазского) Языка с Хрестоматиею и Словарем, СПб, 1910.
- მაყ.** - ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ. 1991.
- მენტ.** - სტეფანე მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ. 1943.



**მესხ.** - მესხური კილო.

**მთიულ.** - მთიულური.

**მსშხი** - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით (აჭარული ტექსტები შეკრიბეს ქ. ლომთათიძემ და თ. ანდლულაძემ), 2(1), თბილისი. 1979.

**მც 1951** - მერი ცინცაძე, მაჭახლური ტექსტები (ხელნაწერი). დაიბეჭდა: ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში, წიგნი პირველი, მაჭახლელი მუჰაჯირები, ბათუმი.

**მც 1998** - მერი ცინცაძე, აჭარული ტექსტები (ჩაწერილი 1951 წელს კირნათსა და მარადიდში), ქესს, VIII, თბილისი.

**ნ. ნოდ.** - ნანული ნოღაიდელი, ნანული ნოღაიდელი, ძველი ქართული ენის ლექსიკა და საფეიქრო ტერმინოლოგია. ადდლ, VII, თბ. 1990.

**ნ. ჩუბ.** - ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ. 1961;

**ნიჟ. 1961** - შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი.

**ნიჟ.** შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

**ნოდ.** - ჯემალ ნოღაიდელი, აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა, ბათუმი, 2015.

**ორთაბ.** - ორთაბათუმი, თემი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

**რუს.** - რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ. 1993.

**რუსუდ.** - „რუსუდანიანი“, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი. 1957.

**საბა** - სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ. 1949.

**სახ.** - თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ. 1984.

**სპ.** - სპარსული ენა;

**ტბელი** - აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე. 1233 წლის ტექსტი. თბილისი. 1941.

**ფუტკ.** - შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.

**ფშ.** - ფშაური.

**ქართ.** - ქართლური კილო.

**ქეგლ** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ. 1950-1964.

**ქეგლ ახ.** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ავთ. არაბულის საერთო რედაქციით, ტ. I-IV, თბ. 2008-2019.

**ქესს** - ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები.

**ქხელა** - ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, აჭარა, თბ. 2018.

**ღლ.** - ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984.

**შავშ.** - შავშური კილო.

**შან. ვაჟას ლექსიკონი** - აკაკი შანიძე, ვაჟას ლექსიკონი. ვაჟა-ფშაველა, თხზ. 1-4, 1922-1946, თბ.

**შან. ხევს.** - აკაკი შანიძე, ჯევესურული მასალების ლექსიკონი, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, I-II, ტფ. 1923-1924.



**შდრ.** შეადარე.

**შემ.** - შემოკლებით.

**შიომ. 2018** - თინა შიომშვილი, ტაოური ხალხური პოეზია. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, XIII, თბილისი.

**შორისდ.** - შორისდებული.

**ცინც. ფაღ.** - მერი ცინცაძე, მამია ფაღავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი, 1998მგ. - ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ.

**ჭან.** - ჭანური ენა.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

**აბულაძე, 1946** - ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ლექსიკური შეხვედრანი, ზეზვა. დაბეჭდილია: ილია აბულაძე, შრომები, II, თბილისი.

**აბულაძე, 1973** - ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი.

**ალავიძე, 1938** - მიხეილ ალავიძე, ლექსუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი.

**ალავიძე, 1941** - მიხეილ ალავიძე, ლექსუმურის თავისებურებანი, კპი შრომები, II, თბილისი.

**არაბული, 1981** - ავთანდილ არაბული, მახვილი ხევისურულ დიალექტში. ქესს, ტ. V, თბილისი.

**ახვლედიანი, 1923** - გიორგი ახვლედიანი, „სა-ო“ და ური'ს მნიშვნელობა, ჩვენი მეცნიერება, №2-3, ტფილისი.

**ბადრიძე, 1977** - შოთა ბადრიძე, ქართლის ცხოვრების მოთხრობები, თბილისი.

